პაპრიკა
ანდრეაძისული

ჯვეზიდენის ლაყვანგელი

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი 1991

ზ44АН 2
ა 633

თანამედროვე ინგლისელი მწერალი პატრიკ ანდერსონი მრავალი სოციოლოგიურ-პოლიტიკური რომანის ავტორია. უკანასკნელ სანებში მისი სახელი პოპულარული გახდა. 1987 წელს ჟურნალ „ოგონიოკში" გაგრძელებების სახით მთლიანად გამოქვეყნდა მისი საყოველთაოდ ცნობილი რომანი „პრეზიდენტის საყვარელი". ამ რომანში ასახულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებისა და სენატორების აღვირახსნილი ცხოვრება, დღევანდელი ამერიკის პოლიტიკური და სოციალური ყოფა. ავტორი რეალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით აკეთებს თანამედროვე მსოფლიო მოვლენების სწორ ანალიზს.

წიგნი განკუთვნილია ახალგაზრდობისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

თარგმნა ზურაბ ჩილაჩავამ
მხატვარი ზურაბ სირაძე

წიგნი გამოდის მთარგმნელის ხარჯით

470000000 – 115
А ———————— ბრძ. – 91
М–602(08)–90

© მთარგმ. ზ. ჩილაჩავა, 1991

ISBN 5–505–01274–4

1

— ახლავე მოგვეცით სამუშაო!...

— ახლავე!...

— ახლავე!...

შეერთებული შტატების პრეზიდენტი განმარტოებით იდგა თეთრი სახლის ზემო სართულის ფანჯარასთან და ისმენდა ლაფაიეტ-სკვერში თავმოყრილი მამაკაცებისა და ქალების მოთხოვნას.

ამწუთში მიართვით მათ ყველაფერი, აუცილებლად ამწუთში. სამუშაო ახლავე, მშვიდობა ახლავე, თავისუფლება ახლავე. რამდენი წელია ისმის ეს მოთხოვნები! ხალხს არ უნდა გაიგოს, რომ შეერთებული შტატების მთავრობას დროთა განმავლობაში თითქმის ყველაფრის გაკეთება შეუძლია, ამწუთში — არაფრის.

— ახლავე მეორე ქუჩაზე გადასვლაც კი არ შემიძლია, — ბრაზიანად გაიფიქრა პრეზიდენტმა ჩარლზ უიტმორმა, ამოიოხრა და სათვალე გაიკეთა, ხალხში იგი არასოდეს გამოდიოდა სათვალით, რადგანაც მოსწონდა თავისი მკაცრი გამომეტყველება. ახლა ფანჯრიდან დაჟინებით აკვირდებოდა ხალხის სახეებს, ცდილობდა ამოეცნო მათი განწყობილება, დარწმუნებულიყო, რომ სწორად მოიქცა, როცა ლაფაიეტ-სკვერზე დემონსტრაციის მოწყობა დაუშვა. საიდუმლო სამსახური ურჩევდა დემონსტრანტები თეთრ სახლამდე რამდენიმე კვარტალის მოშორებით, სადღაც მოლის მახლობლად შეეჩერებინა, მაგრამ უიტმორი თავის პოლიტიკურ ალღოს ენდო, გაუხსნა მათ მოედანი და მიტინგზე რამდენიმე მეგობრული გამცხადებაც გააკეთა. იმედი ჰქონდა, რომ ასეთი ხერხით მოსალოდნელ უწესრიგობას აიცდენდა თავიდან, მაგრამ რას მოიმოქმედებს ბრბო — ამის თქმა წინასწარ არავის შეუძლია. ადრე მან რამდენჯერმე გაამხნევა ხალხი და კარგად იცოდა,

რომ მისი ვნებები დაუოკებელი და გამოუცნობია, როგორც ქალისა.

როგორც ქალისა, თავისთვის გაიმეორა მან და მწარედ გაეღიმა საკუთარ ხუმრობაზე.

აპრილის იმ მშვენიერ საღამოს მას ორი პრობლემა აღელვებდა. ლაფაიეტ-სკვერში აბობოქრებული ხალხი, სამუშაოს რომ მოითხოვდა, სულაც არ იყო მთავარი. დაბინდებისთანავე ისინი ასე თუ ისე ოჯახებს მიაშურებდნენ და დემონსტრაცია თავისთავად მალე დაიშლებოდა. მეორე პრობლემა ქალი იყო და სწორედ ამ პრობლემის უფრო მეტად ეშინოდა უიტმორს, გრძნობდა, რომ იგი ასე იოლად არ გადაიჭრებოდა. მაწ კვლავ ამოიოსრა, მოიხსნა სათვალე და ფანჯარას მოსცილდა.

ედი მერფის მაგიდაზე ზარმა გაიწკრიალა — პრეზიდენტმა ეს-ესაა შენს კაბინეტთან ჩაიარაო, ამცნეს მას, — მერფმა ლაპარაკი შეწყვიტა, ოთახიდან გამოვარდა და პრეზიდენტს ოვალური კაბინეტის შესასვლელთან დაეწია.

— ედ, შემოდი, — შეიპატიჟა უიტმორმა.

ორივენი თავ-თავის ადგილებზე დასხდნენ, უიტმორი ულაზათო დიდ მაგიდასთან, რომელიც დედოფალმა ვიქტორიამ რუტეფორდ ბ. ჰეისს აჩუქა, ედი მერფი კი ჩაჯდა უბრალო შავ სავარძელში, რომელიც მაგიდას გვერდით ედგა.

ოვალური კაბინეტი დიდებულად გამოიყურებოდა. როგორც კი ახალმა პრეზიდენტმა თანამდებობა დაიკავა, მისმა მეუღლემ, რომელსაც იშვიათი გემოვნება ჰქონდა, თვითონ მოუწყო კაბინეტი. თეთრად მოქათქათე ჭერიდან მდიდრულ, ღია-ყვითელი ფერის ხალიჩაზე და ოქროსფერ ავეჯზე უსვად იფრქვეოდა მოვარდისფრო-ნარინჯისფერი შუქი. ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტი ძველებურად ისევ კამოდის თავზე ეკიდა იმ განსხვავებით, რომ კლერ უიტმორმა ყოფილი მფლობელის მიერ დატოვებული ვულგარული ოქროსფერი მოფარდულობა რბილი მწვანე ფერით შეცვალა. გარდა ამისა, დადგა ხეპლუაიტის სტილის კამოდი, დაახლოებით 1810 წელს მასაჩუსეტის შტატში — სეილებში გაკეთებული ლომბერის პატარა მაგიდა და ასევე ძველმოდური მოხდენილი კედლის საათი.

ქალბატონ უიტმორის მიერ ჩატარებული რესტავრაცია

ყველას მოეწონა, მაგრამ კაბინეტის მფლობელი გულგრილად მოეკიდა ამას. მან განკარგულება გასცა კაბინეტში ფრანკლინ რუზველტის, ჰარი ტრუმენისა და ჯონ კენედის ბიუსტები დაედგათ.

— როგორ არის საქმე ქუჩის გადაღმა? — იკითხა პრეზიდენტმა.

— ვერ არის კარგად, შეიძლება უარესად ყოფილიყო, გამომსვლელთა სიტყვები რომ არა.

პასუხი სასიამოვნოდ ჟღერდა. — გამომსვლელები კარგად ლაპარაკობდნენ, — განაგრძობდა მერფი, — ისინი დამსახურებად გითვლიან კანონპროექტს სამუშაო ადგილის შესახებ.

— რა საზოგადოებამ მოიყარა თავი?

— ჭრელმა. ჭარბობენ მუშები, ოცი პროცენტი ზანგებია. ზოგზოგები ბავშვებითა და ცოლებით, სანოვაგით არიან მოსული. როგორც ყოველთვის, ფსიქოპათებიც ურევია.

— უწესრიგობა იქნება?

— გამორიცხული არ არის, ბრბოში რაღაც ფარული უკმაყოფილება სუფევს. ხმებს ავრცელებენ, ბუზღუნებენ, ამბობენ, რომ თქვენ მათ დასარბევად ჯარს გამოიყვანთ.

უიტმორმა თვალები დაახამხამა.

— ეშმაკმა დალახვროს, ედ, მე ყველაფერი გავაკეთე, სადილზე მოპატიჟების გარდა, მეტი რა უნდათ? — ის სავარძელში გასწორდა და მაგიდას მუშტი დაჰკრა, — იქნებ ჩავიდე მათთან, მოველაპარაკო.

— ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, — თქვა მერფმა. — იქაურობა ფსიქოპატებით სავსეა, სკანდალის ასატეხად კი ერთიც კმარა.

შეწუხებულმა უიტმორმა ხელისგულს მუშტი შემოჰკრა. ამ თემაზე მათი გაუთავებელი დავა ყოველთვის ასე თავდებოდა. ამერიკა სავსეა ფსიქოპათებით და არც ერთ პრეზიდენტს არ შეუძლია გამოჩნდეს ხალხში, იქ, სადაც მისი ყოფნა აუცილებელია.

ორივე გაჩუმდა. დუმილი ედი მერფის წარმატებების ერთადერთი იარაღი იყო. ყველა სხვა ცდილობდა, ასე თუ ისე დაერწმუნებინა პრეზიდენტი თავის სიმართლეში. მერფი კი დუმდა და ელოდა, როდის მიმართავდნენ მას.

— იცი, დღეს კიდევ ერთი პრობლემა მაქვს, — თქვა ბოლოს და ბოლოს უიტმორმა.

მერფი ოდნავ შეიშმუხნა.

— დონა?

— ჰო.

— უნდა შეხვდეთ?

— ასე ფიქრობს დონა.

— თქვენ როგორღა მიგაჩნიათ?

— ვშიშობ, ეს ძალიან ძნელი იქნება. ფანჯრების წინ დემონსტრაციაა, თანაც კლერმა მიტინგზე გამოსვლაზე უარი განაცხადა.

— მაშინ ხვალ ან ზეგ მოინახულეთ.

— იგი ამბობს, რომ არ დაგელოდებიო, — უიტმორი წამოდგა და კაბინეტში ბოლთას ცემა დაიწყო. იგი მოქნილ და გამძვინვარებულ ვეფხვს ჰგავდა.

— იცით, მე ვინ ვარ? — გამომწვევად იკითხა უიტმორმა, — პატიმარი, რომელიც ამ წყეულ სახლშია გამომწყვდეული.

— თვითონ გსურდათ ეს.

— მართალია, მსურდა, მერე რა, ამიტომ კაცი არა ვარ? ნუთუ არავითარი უფლება არა მაქვს?

ედი მერფი დუმდა. პასუხი ორივემ შესანიშნავად იცოდა.

უიტმორი ადამიანად კი არა, როგორც მტრების, ისე მეგობრების თვალში უკვე ღმერთად იყო აღიარებული. თუ მოისურვებდა, სამყაროს განადგურებაც შეეძლო, და მკვლევრების სხვა პლანეტაზე გაგზავნაც, მაგრამ ძველი მითოლოგიური ღმერთებისგან განსხვავებით, რომლებსაც ანალოგიურ შემთხვევაში შეეძლოთ მეტი თავისუფლებით ესარგებლათ, მას უფლება არ ჰქონდა შეხვედროდა ახალგაზრდა ქალს, რომელიც მასთან ქორწინების უღლით არ იყო დაკავშირებული.

უიტმორმა ბოლთას ცემა შეწყვიტა და მაგიდას მიეყრდნო.

— მე მის ცოლად მოყვანას ვაპირებდი, შენც ხომ გეუბნებოდი?

ედი მერფი უჩუმრად მისჩერებოდა თავის ბოსს.

— ზოგჯერ ვფიქრობ — ეშმაკსაც წაუღია-მეთქი, ეს თანამ-

დებობა ყველაფერს როდი ნიშნავს. იქნებ ჯობდეს რვა წლის ნაცვლად აქ მხოლოდ ოთხი წელი გავატარო და დაუმარცხებლად წავიდე. პირველი არჩევნების ვადა რომ დამიმთავრდება, მე ასე 56 წლისა ვიქნები. სადმე ფერმას ვიყიდიდი, შესაძლოა ბავშვიც გაგვჩენოდა და მეც ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრებდი.

— უბედური იქნებოდით, — თქვა ედი მერფმა, — შეებმებოდით ფერმაში საქმეს, ამ კაბინეტს ვინმე იდიოტი დაიკავებდა, და ერთი თვის შემდეგ თქვენ არავინ არაფრად ჩაგაგდებდათ.

— კეთილი, კეთილი, უბედური ვიქნებოდი, — დაეთანხმა უიტმორი, — მაგრამ არის სხვა ვარიანტიც, ხომ შეიძლება, შემერთო დონა და მაინც განმეორებით ავერჩიეთ პრეზიდენტის პოსტზე.

— ასე ძროხებმაც შეიძლება იფრინონ, — თქვა ედი მერფმა.

— არა, ეს შესაძლებელია, — დაიჟინა უიტმორმა.

— შეუძლებელია, — ჯიუტად შეეპასუხა მერფი, — ან დონა ან პრეზიდენტობა.

უიტმორმა გამგმირავად გახედა თანაშემწეს.

— ეშმაკმა დალახვროს, მართალი ხარ, როგორც ყოველთვის.

— ვცდილობ, — სერიოზულად უპასუხა მერფმა და წამოდგა. — წავალ, გავიგებ, როგორ არიან ჩვენი მეგობრები ქუჩის გადაღმა.

— კარგი, ედ, წადი, გმადლობთ.

უიტმორი უყურებდა კარისაკენ მიმავალ დაბალი ტანის, მსუქან ირლანდიელს. ედი მერფი, ეს უიღბლო ჟურნალისტი, ათ წელზე მეტია, რაც მასთან თანამშრომლობდა, და საოცარი ის იყო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში უიტმორმა ვერაფერი შეიტყო მის შესახებ. არ იცოდა მისი მრწამსი, მისწრაფებები და პოლიტიკური შეხედულებებიც კი, თუკი მას ასეთი რამ საერთოდ გააჩნდა. იცოდა, მხოლოდ ის, რომ ედი მერფი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ის ენდობოდა.

ტელეფონმა დარეკა.

—სერ, მისის უიტმორს თქვეწი ნახვა სურს, — მოახსენა მდივანმა ქალმა.

უიტმორმა მძიმედ ამოიოხრა. ეს დღე დილიდანვე ცუდად დაიწყო და კლერისაგანაც კარგს არაფერს ელოდა.

— ხუთი წუთის შემდეგ ჩამოვიდეს.

პრეზიდენტი წამოდგა, ვარდების ბაღს გადახედა და შემდეგ კვლავ ფანჯარას მიაშურა, რომელიც ლაფაიეტ-სკვერს გადაჰყურებდა. დემონსტრანტები ისევ და ისევ სამუშაოს მოითხოვდნენ და პოლიციელების ბარიერს აწვებოდნენ, რომელიც უფლებას არ აძლევდა მათ, პენსილვანია-ავენიუ გადაეკვეთათ და თეთრი სახლის წინ ტროტუარზე გასულიყვნენ. უიტმორმა გაიფიქრა, ხალხს ამისკენ მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მითი თუ უბიძგებდა — თითქოსდა ყველა მათი პრობლემის დადებითად გადაჭრა ამ დიდ თეთრ სახლშია შესაძლებელი, ჩარლზ უიტმორს ესმოდა ხალხის, მასაც ხომ დიდხანს ასე სჯეროდა. ახლა თვითონ იყო აქ და საქმის ჭეშმარიტი ვითარებაც იცოდა.

„საწყლებო, — გაიფიქრა მაწ, — თქვენ შემოსვლა არ შეგიძლიათ, მე კი — გამოსვლა".

თეთრი სახლიდან ასე ათი კვარტლის დაშორებით ჯორჯტაუნზე, ბენ ნორტონის პატარა სახლი იდგა.

ბენი ლოგინიდან წამოდგა, ყავა დალია, ქერის ფაფა მიირთვა და ცხელი შხაპი მიიღო. შემდეგ შარვალი და სპორტული კურტაკი ჩაიცვა და მ-სტრიტზე გავიდა. საღამოვდებოდა. უეცარი სიხარულით გაბრუებული, რომ ისევ საკუთარ ქალაქშია, ტუჩის კუთხეში წუთით შეჩერდა. მის წინ საზეიმოდ მორთული ჯორჯტაუნი გადაშლილიყო. უცნობ სიმპათიურ ქალიშვილს ღიმილზე ღიმილითვე უპასუხა. გაუყვა მ-სტრიტს, ჩაუარა ბარებსა და მოდურ მაღაზიებს, სტუდენტებსა და ზანგ გოგონებს, ნარკომანებსა და ჰომოსექსუალისტებს, ტურისტებსა და ჩინოვნიკებს, ხანდაზმულ ქალებსა და დიპლომატებს, ჟურნალისტებსა და ყველა ჯურის ქურდბატაცებს და ბოლოს გიწრო კარით ძლივს შეაღწია ბარ „ნატანზი".

— ოო... მისტერ ნორტონ, დაბრუნება მომილოცავს, — დახლიდან ბიტი მიესალმა. ეს ულალწვერებიანი ბიჭი უკვე რამდენიმე წელია იურიდიულ კოლეჯში სწავლობდა. საარ-

სეპო წყაროს ბარში მუშაობითა და ნარკოტიკების გაყიდვით შოულობდა, — როდის ჩამოფრინდით?

— დღეს, გამთენიისას, მთელი დღე მეძინა. მინდოდა კანტორაში წასვლა, მაგრამ გადავიფიქრე და აქეთ გამოვწიე ყელის გასასველებლად.

პიტს გაეღიმა და ლუდი დაუსხა.

— არ ჩანდით, სად იყავით აქამდის? ლონდონში?

— არა, პარიზში.

— როგორი ცხოვრებაა იქ?

მკვრივი აღნაგობის ნორტონი, გონებადამჯდარი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი წუთით ჩაფიქრდა.

— როგორი ცხოვრებაა პარიზში? რაც შეეხება კვებასა და ღვინოს, პიტ, პირველი ქალაქია, „ნუმერო უნო". ხოლო რაც შეეხება ქალებს, ალბათ — მესამე. წყალგაყვანილობა და გათბობა მოუგვარებელია. საერთოდ ურიგო ქალაქი არ არის, მაგრამ მე მაინც ვაშინგტონი მირჩევნია.

— მისმინეთ, თქვენ ხომ უიტმორის თანამშრომელი იყავით? ახლა, ალბათ, თეთრ სასლში დიდი თანამდებობა გელით.

— არა, მეგობარო, მე კერძო პრაქტიკას ვეწევი და ძალიანაც მომწონს ჩემი საქმე.

— ასეა ვითომ? — უნდობლად უპასუხა პიტმა. — ამას წინათ აქ ერთი ტიპი მოვიდა, დაწვრილებით გამომკითხა შენზე, აინტერესებდა, ვისთან მეგობრობ და კიდევ ბევრი სხვა რამ. მეგონა სფბ[1]-დან იყო მოსული შენს შესახებ ცნობების შესაგროვებლად.

— როგორ გამოიყურებოდა?

— საერთოდ უცნაურად, საუცხოოდ ეცვა, გამოხედვა კი გიჟური ჰქონდა, რომ წავიდა, მერე ვიფიქრე: „არა მგონია, ეს ტიპი სფბ-დან იყოს, ძალიან ჰგავს შერეკილს".

— მათ ასე წვრთნიან, — შენიშნა ნორტონმა, — შენ რა უთხარი?

— ვუთხარი, რომ შენ ნარკოტიკებით ვაჭრობ, გახსნილი გაქვს ბარდერები და სხვა ამდაგვარი.

— ყოჩაღ, ასეთი დახასიათებით, ალბათ, სახელმწიფო მდივნის თანამდებობა გარანტირებული მაქვს.

---

[1] საგამოძიებლო ფედერალური ბიურო.

პიტმა ცალყბად გაიცინა და სხვა მუშტრებს მიაშურა.

ნორტონმა გაიფიქრა, მართლა ხომ არ მამოწმებს თეთრი სახლი რაიმე თანამდებობის შემოთავაზების წინო. მან მხრები აიჩეჩა, იქვე ვიღაცის მიერ დახლზე დატოვებული ვაშინგტონის გაზეთი „სტარი" აიღო. პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო წერილი „უმუშევართა მიტინგი" და დიდი სტატია „უიტმორის 100 დღე", სადაც ეწერა, რომ პირველ სამ თვეში ახალმა პრეზიდენტმა თავი გამოავლინა, როგორც ყოველგვარი დაჯგუფების წინააღმდეგმა. ნორტონს ეს არ გაჰკვირვებია, იგი უიტმორთან სამი წელი თანამშრომლობდა სენატში და დიდად აფასებდა ყოფილი ბოსის პოლიტიკურ ნიჭს. მართალია, ამავე დროს ვერ იტანდა ამ ძაღლის შვილს პირადი გრძნობების გამო.

გაზეთი გადადო თუ არა, ნორტონმა იგრძნო, რომ ვაშინგტონში დაბრუნებით განცდილი სიხარული გაუნელდა. ბარში ნაცნობებიდან არავინ იყო, უცხოსთან ცეკვა არ უნდოდა, როგორც ჩანს, საღამოს გატარება მარტოობაში მოუწევდა. ერთი წუთით გონების თვალი გადაავლო ნაცნობი გოგოებიდან ვისთან შეიძლებოდა დარეკვა, მაგრამ გადაიფიქრა. იჯდა, ლუდს სვამდა და თავს ირწმუნებდა, წარსულზე არ ვიფიქროო, მაინც დონა გაიხსენა.

* * *

როცა კლერ უიტმორი მეუღლის კაბინეტში შევიდა, პრეზიდენტი არ წამოდგა, სამაგიეროდ, არც კლერ უიტმორმა მოისურვა დაჯდომა. ეტიკეტის ეს წესები მათ კარგა ხანია დავიწყებული ჰქონდათ. უიტმორი ზოგჯერ ფიქრობდა, რამ აიძულა იგი, ეთხოვა მსოფლიოში ერთადერთი ქალი, რომელიც მის გასაოცარ ნებისყოფას სრულიად არ ეპუებოდა.

— მე მგონი, უკვე დროა, არა? — ჰკითხა უიტმორმა.

— მე არ წავალ, ჩარლზ.

— ღმერთო ჩემო, კლერ, — თქვა დაღლილმა უიტმორმა. — ჩვენ ვცდილობთ, დავაშოშმინოთ დემონსტრანტები, შენ თუ ახლა სიტყვით არ გამოხვალ, შთაბეჭდილება შეიქმნება, რომ მათი გვეშინია.

კლერი იყო მკვეთრნაკვთებიანი, მაღალი, წარმოსადეგი ქა-

ლი, ერთნი ასეთ სასეს არისტოკრატიულს უწოდებენ, მეორენი — ცხენისებურს. მაღალი საზოგადოების ქრონიკიორები კი — „წარმოსადეგს“ ან „დიდებულს“. მხოლოდ ქმარი თვლიდა, რომ იგი იყო ჭირვეული, ჯიუტი ქალი. ჩარლზი თავისთავს იშვიათად უტყდებოდა, რომ კლერის ჭირვეულობა ხშირად მისი ბრალი იყო.

— გამიგე, არ შემიძლია წასვლა, როცა თეთრ სახლთან უზარმაზარი ბრბო დგას, ჩარლზ, შეიძლება იფიქრონ, გაქცევით ვშველი თავს.

უიტმორმა უეცრად გაიფიქრა, რომ მსოფლიოში ახლა მას არავინ უწოდებს ჩარლზს, დონა მას ჩაკს უძახდა, ყველა დანარჩენი — ბატონ პრეზიდენტს, ყოველ შემთხვევაში, პირადი შეხვედრებისას მაინც. უიტმორმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეთხოვა.

— კლერ, — მშვიდად დაიწყო მან, — გთხოვ, გაემგზავრო და გამოხვიდე სიტყვით. ეს გამოსვლა ჩვენთვის სასარგებლო იქნება და დემონსტრაციით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს გაანელებს. შენს სიტყვაში, სხვათა შორის, შეგიძლია ჩაურთო, რომ ძალიან გაწუხებს იმ ხალხის ბედი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს.

ქალმა იგრძნო, რომ ემორჩილება, ახლაც ისევეა დაბრმავებული მისი სიყვარულით, როგორც 30 წლის წინათ, როცა ჩარლზი სტუდენტთა საზოგადოების პრეზიდენტი იყო, ის კი — კოლეჯის ყველაზე მდიდარი სტუდენტი გოგონა... კლერს ოდნავ გაეღიმა, იგი გულდასმით ათვალიერებდა უიტმორის ამაყ, ჭკვიანურ, იდუმალებით მოცულ სახეს და ფიქრობდა, რომ არასოდეს შეხვედრია უფრო საინტერესო მამაკაცი.

— ამ საღამოს მე გარკვეული გეგმები მაქვს, ჩარლზ, იქნებ სჯობდეს შენს გეგმებზე მოვილაპარაკოთ.

— ჩემსაზე? ჩემი გეგმებია, როგორმე გადავიტანოთ ეს დემონსტრაცია, შემდეგ კი იქნებ ეკონომისტებს შევხვდე, გაკმაყოფილებს?

— ჩარლზ, — მკაცრად თქვა მან, — მაცნობეს, რომ ვაშინგტონში ერთი ახალგაზრდა ქალი ჩამოსულა.

— ეშმაკმა დალახვროს, კლერ!

— ...რომელმაც თითქოსდა ვაშინგტონი სამუდამოდ დატოვა.

— ნუთუ შენ მართლა ფიქრობ, რომ...

— თუ შენ მას შესვდები, დაელაპარაკები, თუნდაც ჩემი თანდასწრებით მის სასელს ახსენებ...

უიტმორი სავარძელში ჩაჯდა და სიგარას მოუკიდა. დამარცხებულს ამ მამაკაცური ჟესტით სურდა ცოტაოდენი ღირსება შეესარჩუნებინა.

— ჩავალაგებ ბარგს და წავალ! — თქვა ქალმა.

უიტმორი სავარძლის ზურგზე გადაწვა, ჭერს მიაშტერდა და სიგარა გააბოლა. მოეჩვენა, რომ სიჩუმე დაარღვია წამოძახილებმა — სამუშაო ახლავე! სამუშაო ახლავე! მალე მიხვდა, ყოველივე ეს მის წარმოსახვაში ხდებოდა, თორემ კონდენცირებულ კაბინეტში გარედან ხმა ვერ შეაღწევდა, ცოლი კი...

— ნუ მემუქრები, კლერ, — მშვიდად თქვა მან.

— არ გემუქრები, ეს ფაქტია.

— წასვლა სისულელე იქნება. აქ რომ მოხვედრილიყავი, შენ ბევრის გაღება მოგიხდა.

— შეიძლება მართლაც დიდი სისულელეა, მაგრამ თუ წავედი, ჩემი ცხოვრება ყოველმხრივ გაუმჯობესდება, შენი კი, რადგან ცხოვრება შენთვის პოლიტიკა არის და იქნება, შესამჩნევად გართულდება. დაუფიქრდი, ჩარლზ, და იქნებ ამ საღამოსთვის უფრო გონივრული გეგმა მოიფიქრო, — მან გაიღიმა და კაბინეტიდან გავიდა. უიტმორი იჯდა მაგიდასთან, კვნეტდა სიგარას და შემდეგ სვლაზე ფიქრობდა. კლერმა გამოიჭირა — ორივესათვის ცსადი იყო, ქალისთვის არაფერს წარმოადგენდა უიტმორის განადგურება, უბრალოდ, წავიდოდა თეთრი სასლიდან და მეორე დღეს საქმეს აღძრავდა განქორწინების შესახებ; იგი ამას უთუოდ იკისრებდა, უიტმორს წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი. მიუხედავად ამისა, მან გაიღიმა და გემო გაუსინჯა ამ გამოწვევას. ის ფიქრობდა, რომ ამ მდგომარეობიდანაც შეიძლებოდა თავის დაღწევა. მას, როგორც ყოველთვის, ახლაც უნდა მიეღწია სასურველი შედეგისათვის. მთავარი პრობლემა კლერი არ არის, — ფიქრობდა ის, — კლერმა უკვე თავისი სიტყვა თქვა. ახლა მთავარი დონაა, რომელსაც თავისი სათქმელი ჯერ არ უთქვამს.

უიტმორმა კიდევ ერთხელ გააბოლა და ტელეფონს გადასწვდა.

* * *

— ბენ, ძველო ყალთაბანდო, როდის დაბრუნდი?

ნორტონი შემოტრიალდა და დაინახა ფილ როსი, ჟურნალისტი, რომელიც ჯორჯტაუნში რამდენიმე წელს მეზობლად ცხოვრობდა.

— ზუსტად დღეს, — უპასუხა მან, — ხომ არ დაგველია?

— სიამოვნებით, ოღონდ სწრაფად, — უპასუხა ჟურნალისტმა და მარტინი არაყით მოითხოვა. ფილ როსი ნერვიული, გამხდარი ჟურნალისტი ორმოც წელს იყო გადაცილებული, როცა ნორტონმა გაიცნო. ეს იყო მხიარული და მუდამ მოუცლელი რეპორტიორი, მაგრამ როგორც კი სააგენტოში თანამდებობა მიიღო, დასერიოზულდა.

— შენ, უიტ სტოუნის იურიდიულ ფირმაში მუშაობ, ხომ ასეა, ბენ? — ჰკითხა როსმა, — პარიზში გაფრინდი რაღაც საერთაშორისო საქმის მოსაგვარებლად, არა?

— კი, — თქვა ნორტონმა, — საქმე ცოტა არ იყოს რთული აღმოჩნდა. მასში ხუთი მთავრობა და შვიდი ნავთობის კომპანია მონაწილეობს. საუბარი წარიმართა სუპერტანკერებისა და სპეციალური ღრმაწყლიანი ნავსადგურების შესახებ. ვერ წარმოიდგენ, ფილ, როგორ გართულდა საქმე არაბების მოწვევის შემდეგ.

ჟურნალისტი მექანიკურად უქნევდა თავს, მაგრამ მისი უინტერესო გამოხედვა ნორტონს არ გამოპარვია. იგი მიხვდა, რომ ვაშინგტონში არავის აინტერესებს, რა ხდება პარიზში, ან სადმე სხვაგან. აქ გამონაკლისია მხოლოდ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმი, ც ს ს[1], პენტაგონი და სახელმწიფო დეპარტამენტი. ნორტონმა გადაწყვიტა საუბრის თემა შეეცვალა.

— უიტმორზე მომიყევი, ფილ, — სთხოვა ბენმა, — მე ხომ მთელი წელია აქ არ ვყოფილვარ, როცა გავემგზავრე, ის მხოლოდ ბრმა ცხენი იყო, ახლა პრეზიდენტია. როგორია ის ამ როლში?

ჟურნალისტი თავის არაყის სირჩას ისე დააშტერდა, თითქოს იგი მაგიური კრისტალი ყოფილიყო.

— ძნელია პასუხის გაცემა, ბენ, — თქვა მან. — მე დარ-

---

[1] ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო

წმუნებული ვარ, უიტმორი შეიძლება დიდი პიროვნება გამ-ხდარიყო. სახელმწიფოს ხელმძღვანელი სჭირდება, ამისი ნიჭი მას უდავოდ აქვს, ერთი სიტყვით, შეეძლო კარგად და-ეწყო.

— რამ შეუშალა ხელი?

— ადამიანურმა ფაქტორმა, — უპასუხა მსუბუქი ირონიით როსმა, — სიამაყემ, მიუკარებლობამ, ქედმაღლობამ. ხშირად მსმენია მის თავხედობაზეც, ამას წინათ, კონგრესში უმიზე-ზოდ უყვირა უმრავლესობის ლიდერს, ხმები დადის, ხშირად სვამს და უხეშად ექცევაო თანამშრომლებს.

საოცარია, მაგრამ ნორტონს სურვილი გაუჩნდა, გამოსარ-ჩლებოდა თავის ყოფილ ბოსს.

— ის ძალიან დატვირთულია, ფილ.

— გამოდის, რომ მას შეუძლია სცემოს ადამიანები?

— ვინ სცემა?

— მოდი, ჩვენ შორის დარჩეს, დაივიწყეთ, რომ მე გითხა-რით ეს. რაღაც მშვიდად არა ვარ, ბენ. მე ხელს ვუწყობდი ამ კაცის არჩევას, ახლა კი ვნანობ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ძა-ლაუფლებამ თავბრუ დაასვია.

ნორტონმა დაბნეულად დაუკრა თავი, ათწუთიანმა პოლი-ტიკურმა ჭორაობამ, საღერღელი აუშალა და რატომღაც მოუნ-და, ისევ ჩაბმულიყო თამაშში, ეს მას სისხლში ჰქონდა გამ-ჯდარი. ის ამ წუთში ბავშვად თვლიდა თავს, რომელსაც ცხვი-რი საკონდიტრო ფანჯრის მინაზე აქვს მიჭყლეტილი.

— უნდა წავიდე, — თქვა ჟურნალისტმა. — მოდი, მოვახერ-ხოთ და დღეს ერთად ვისადილოთ, დამირეკე. ის კარისაკენ წავიდა, მერე შემობრუნდა, — ჰო, დამავიწყდა მეთქვა, ამას წინათ ერთ-ერთი შენი მეგობარი ქალი ვნახე.

— რომელი? — ჰკითხა ნორტონმა მოჩვენებითი გულგრი-ლობით.

— ის, უიტმორთან კაპიტოლიუმში პრეს-ცენტრში რომ მუშაობდა, პატარა, მშვენიერი, წაბლისფერთვალება გოგო, რა ერქვა?

— დონა? დონა ხენდრიკსი?

— ჰო, ჰო, მეგონა ის ვაშინგტონიდან წავიდა-მეთქი.

— მეც ასე მეგონა, — თქვა ნორტონმა, — სად ნახე?

— რამდენიმე კვარტალით იქით, ფრაწგულ ბაზართან,

გამვლელმა ლიმუზინმა კინალამ გამიტანა. შევიხედე მანქანაში და დავინახე, ის კი უცებ ბზრიალასავით შებრუნდა, იცი, ვინ იჯდა მასთან ერთად?

ნორტონი გულგრილად უყურებდა.

— შენი ძველი მეგობარი ედი მერფი.

ნორტონმა ორივე ხელი მოუჭირა ლუდის კათხას.

— ხომ არ შეგეშალა?

ჟურნალისტს გაეღიმა.

— ან ერთი, ან მეორე ნუთუ შეიძლება ვინმეში შეგეშალოს.

— მართალია, — წაილუღლუღა ნორტონმა, როცა ჟურნალისტმა ხელი დაუქნია და წავიდა. მერე ცარიელ ლუდის კათხას დააჩერდა, გულზე საშინელი სევდა შემოაწვა.

* * *

დონამ მაშინვე უპასუხა, როგორც კი ტელეფონმა დარეკა.

— ეს შე ვარ, — თქვა უიტმორმა, — ბოდიშს ვიხდი რომ გალოდინე. დღევანდელი დღე ცუდად დაიწყო.

ლაპარაკობდა, თან ეღიმებოდა, აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის წარმოთქვა ეს სიტყვა? პრეზიდენტს არ ეგების ბოდიშის მოხდა.

— ძალიან ცუდად? — ჰკითხა დონამ.

— უარესი წარმოუდგენელია, — უპასუხა უიტმორმა. — დაბოლოს, ყოველივე იმით დამთავრდა, რომ კლერი არ გაემგზავრა გამოსასვლელად. როგორ დავუძვრე ხელიდან ვერ წარმომიდგენია, თითქმის შეუძლებელია.

— ეს კი მართლა საძაგლობაა, — წყნარად თქვა მაწ. უიტმორს ერჩივნა, დონას ელანძღა, ეყვირა, ოღონდ ასე დამშვიდებით არ ელაპარაკა, ის გრძნობდა, რომ დონა მას საბოლოოდ სცილდებოდა; დასასრულ, უიტმორს ყველაზე მეტად აწუხებდა, რომ ტელეფონით მათ საუბარს ისმენდნენ. მართალია, საიდუმლო სამსახური არწმუნებდა, რომ ამ ტელეფონს ყოველდღე ამოწმებენ, სადმე ხომ არ არის დაყენებული მოსასმენი მოწყობილობაო. რომ კვირაში ერთხელ იცვლება ტელეფონო ხაზი, მაგრამ განა შეიძლება საიდუმლო სამსა-

ხურის ხდობა? განა შეიძლება აქ კაცი ვინმეს ენდოს, თვით დონასაც კი.

— რომ შეგეძლოს ერთი-ორი დღე კიდევ დამელოდო?

— არა, ჩაკ. მოხოვე ჩამოვსულიყავი და ჩამოვედი, მაგრამ ლოდინით ვერ დაგელოდები. არ შემიძლია, ამ სახლში მარტო ჯდომა. ხვალ მივფრინავ. დღეს ან არასოდეს.

მისმა კატეგორიულმა ტონმა უიტმორი შეაშინა.

— იქნებ როგორმე თავი დავაღწიო, — თქვა მან. — შევეცდები მოვსახო გამოსავალი.

დონამ იგრძნო, რომ საცაა ატირდებოდა.

— ჩაკ, ჩაკ, იქნებ შევეშვათ ამ ილუზიებს? ყველაფერი დამთავრებულია და თუ ჩვენ არ შევიგნეთ ეს, გავწამდებით, ხედავ, მხოლოდ ერთი მილი გვაშორებს ერთმანეთს და მიუხედავად ამისა, არც შენ შეგიძლია ჩემთან მოსვლა და არც მე. ეს, ყველაფერი უაზრობაა, რაც მე ჭკუიდან მშლის, არ შემიძლია ასე ცხოვრება. — უიტმორი მიხვდა, რომ საშინლად ატკინა გული, და ერთი წუთით საკუთარი თავი შეზარდა.

— დონა, მინდა გნახო, მინდა ძველებურად ჩაგიკრა გულში, მოგელაპარაკო, შენთან ყოფნა ყველაფერს მირჩევნია ქვეყანაზე, რაღაცას მოვიფიქრებ, მე მესმის შენი, ვიცი, ძალიან გიჭირს, მაგრამ ცოტა ხანს მაცალე, გემუდარები, დონა, მოვნახავ გამოსავალს. ჩვენ შევხვდებით და ყველაფერი კარგად იქნება.

დონამ თვალები დახუჭა, ცრემლები რომ შეეკავებინა. უიტმორს ისეთი მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა, ათი ათასკაციანი აუდიტორიის წინაშე რომ ელაპარაკა, თითოულ მათგანს ეგონებოდა, რომ ის მიმართავდა მხოლოდ მას. ახლა კი, როცა უიტმორი უშუალოდ მას ელაპარაკებოდა, ეს თითქმის აუტანელი იყო, დონას ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს ზეცაში დაფრინავდა, თითქოს მთელი სამყარო მხოლოდ მათ ეკუთვნოდა. მან გაიხსენა ღამე, როცა ისინი გამთენიამდე იწვნენ ლოგინში. უიტმორი უყვებოდა თავის ახალგაზრდობისდროინდელ თავგადასავლებს; როგორ მუშაობდა ნავთობსარეწებში, როგორ შემოიარა მთელი დასავლეთი გამვლელი მანქანებით, მუშტიკრივზე, ქალებზე და კიდევ მრავალ შფოთიან ამბავზე; ბოლოს, როცა ის გაჩუმდა, დონა ატირდა.

— რა მშვენიერი ხმა გაქვს, — უთხრა მაშინ დონამ, — დასანანია, რომ მსასიობი არა ხარ!

— მსასიობი ვარ, — უპასუხა უიტმორმა და გულიანად გაეცინა საკუთარ აღიარებაზე.

ახლა კი დონამ თავს სძლია და გადაწყვიტა არ დაეთმო.

— დაგირეკავ, როგორც კი შესაძლებლობა მექნება, — დაჰპირდა უიტმორი.

— ჩაკ, როგორ, ვიჯდე და ველოდო, ტელეფონი როდის დარეკავს? მომბეზრდა, — თქვა მან. — შეიძლება შინ არ დაგხვდე, წავალ, გავისეირნებ.

— გაისეირნებ? სად?

— უბრალოდ, გავისეირნებ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები სეირნობენ კარგ ამინდში, გესმის? ახლა მე უკვე ნორმალური ქალი ვარ, ჩაკ. ამას ვესწრაფოდი მთელი თვეების განმავლობაში.

— შენ ყოველთვის ნორმალური იყავი, — თქვა მან, — ამიტომაც მიყვარდი.

„მიყვარდი" წარსული დროა, ორივეს გააკრჭოლა.

— შესაძლებელია მივიდე ლაფაიეტ-სკვერამდე და დემონსტრაცია მოვაწყო შენს წინააღმდეგ. დიდი პლაკატით, როგორიც იმათ აქვთ, მალე სამყაროს დაღუპვას რომ წინასწარმეტყველებენ, — თქვა მან, — „უიტმორი მშრომელი ქალების მიმართ არასამართლიანია, მან მაწყენინა, შემაცდინა და მიმატოვა".

— დონა, ეს ხუმრობა არ არის.

— არც მე ვხუმრობ.

ისევ დუმილი ჩამოვარდა, უიტმორმა იგრძნო, რომ ინიციატივას კარგავდა, ეს კი ყველაზე უფრო აშინებდა ამ ქვეყანაზე.

— დონა, ჩამოიტანე შენი ხელნაწერი? — ჰკითხა ბოლოს და ბოლოს, — დაასათაურე?

— ჩამოვიტანე, ღმერთო ჩემო, შენ მას ასეთ მნიშვნელობას ანიჭებ! ვნანობ, ამის შესახებ რომ გითხარი.

— დონა, არ შეიძლება ქაღალდს ანდო ყველაფერი, რასაც გაიფიქრებ, მეტი სიფრთხილეა საჭირო.

უიტმორს სურდა ეყვირა. დონამ მშვენივრად იცოდა, როგორ ამუშავებდა, ლანძღავდა ის ადამიანებს, როგორ ამცი-

რებდა, აშინებდა, მიდიოდა ყველაფერზე, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია.

— ჩაკ, მე ჩემთვის წყნარად ვცხოვრობ კალიფორნიის ერთ პატარა ქალაქში. ზოგჯერ ვწერ ბრძნულ გამონათქვამებს, ზოგჯერ — რომანს და თავს ამით ვიმშვიდებ, ეს არის ჩემი ერთადერთი გასართობი, იყავი მოწყალე, ნუ შეეხები იმას, რაც ჩემთვის ძვირფასია და რაც მხოლოდ მე მეკუთვნის.

უიტმორი შეუწყნარებელი იყო, ის ფიქრობდა: დონა წერს წიგნს, რომანს, ან სულ ერთია, რას. რაზე შეიძლება ის წერდეს? რა თქმა უნდა, მხოლოდ მასზე. დღეს წიგნს ყველა მოცლილი კითხულობს, პრეზიდენტის თანაშემწეები, პრეზიდენტის დალაქი, პრეზიდენტის მსახურები, წერა-კითხვის თითქმის ყველა მცოდნე, ამერიკელი მით უმეტეს, თუ იგი პრეზიდენტზეა დაწერილი, თანაც საყვარლის მიერ.

— დონა, უნდა დაფიქრდე, რას წერ და რაზე წერ.

— მე მხოლოდ ჩემს ცხოვრებაზე ვწერ, ჩემს გიჟურ, მოუწესრიგებელ ცხოვრებაზე.

— კი, მაგრამ მე ხომ ნაწილი ვარ შენი ცხოვრებისა, ის წერილები, რომელსაც მე შენ გწერდი...

— დაივიწყე შენი წერილები! — წამოიყვირა ქალმა. — დაივიწყე ყველაფერი, მე აღარ მსურს მეტი ლაპარაკი. ამ საუბარს სიკეთისაკენ არ მივყავართ.

— მე კიდევ დაგირეკავ, — თქვა მან. — იქნებ შინ იყო რვა საათზე.

— შევეცდები, — უპასუხა დონამ. მას არ უნდოდა, რაიმე საბაბი მიეცა ჩაკისათვის.

უიტმორი დაემშვიდობა ქალს და ჟურმილი ისე დადო, თითქოს ასაფეთქებლად გამზადებული ყუმბარა ყოფილიყოს. დონა წუთით ჩამოჯდა და ფანჯარაში გაიხედა. გაბოროტებულმა შეუკურთხა უიტმორს და სასეირნოდ გაემართა.

ჟურმილის დადებისთანავე უიტმორმა ედი მერფი გამოიბახა. იგი ნიკ გალიანოსთან ერთად შევიდა პრეზიდენტის კაბინეტში. ნიკი საშუალო სიმაღლის, დაკუნთული, მოციმციმეთვალებიანი, ორმოც წელს გადაცილებული კაცი იყო, გატეხილი ცხვირითა და მოკლედ შეკრეჭილი თმით. ეცვა სინთეტიკის დაჭმუჭნილი პიჯაკი, საყელოგახეხილი კუბოკრუ-

ლი სპორტული პერანგი. ის შემოვიდა ღიმილით, მაგრამ პრეზიდენტის სახის დანახვისთანავე ღიმილი გაუქრა. მასზე აბობდნენ, თუ დაჭრი უიტმორს, გალიანოს გადაესხმება სისხლიო.

— მძიმე დღეა, ბოსს? — იკითხა მან.

— საძაგელი, ნიკ. კოკტეილი შეიზავე და დაჯექი.

უიტმორს ცოტა გამოუსწორდა ხასიათი, როცა გალიანომ თვალი ჩაუკრა და ბარისაკენ რწევა-რწევით გაემართა. ჯონ კენედის უთქვამს, რომ თეთრი სახლი შეუფერებელი ადგილია ახალი მეგობრების შესაძენად, ამიტომ უნდა იმეგობრო ძველებთანო. უიტმორიც ზუსტად ასე ფიქრობდა, გალიანო ხომ მისი ძველისძველი მეგობარი იყო.

— შენც გისდა, ბოსს?

უიტმორი ოდნავ შეყოვნდა.

— დამისხი, მხოლოდ მაგარი არა. — და ედი მერფისაკენ შეტრიალდა, რომელსაც ჩვეულებრივად თავისი ადგილი ჰქონდა დაკავებული, — რა ხდება ქუჩის გადაღმა?

— ამ წუთას მოვედი იქიდან, — უპასუხა მერფმა. — მდგომარეობა მეტად დაიძაბა, შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს.

— და, რაში შეიძლება გადაიზარდოს?

— როგორც კი წამოიწყებენ, მეამბოხეებს შეიპყრობენ, ჩვენი ხალხი იქ არის, ისინი აპირებდნენ მოთავეების წინასწარ დაპატიმრებას.

უიტმორმა თავი გააქნია.

— ვადროოთ.

გალიანომ უიტმორს გაზავებული ვისკი მიაწოდა.

— გმადლობთ, ნიკ.

გალიანო გაბრუნდა, იქვე ბუხართან დაჯდა და მაგარი კოკტეილის სმა დაიწყო წება-ნება.

— ედ, მე დაველაპარაკე დონას, — თქვა უიტმორმა.

მერფმა არაფერი უპასუხა.

— მან განმიცხადა, დღეს აწ არასოდესო, ვატყობ, საქმე ისე ზიდის, ალბათ, არასოდეს.

უიტმორი ადგა და ისევ დაიწყო ბოლთას ცემა კაბინეტში. მერფი ელოდა. გალიანოს თავი ჩაექინდრა, გეგონებოდათ, ჩასთვლიმაო.

— მე ვკითხე დონას თავისი წყეული ხელწაწერების შესა-

ხებ, — თქვა უიტმორმა, — მან მიპასუხა, ხელნაწერი თანა მაქვსო, თან დასძინა, ხელნაწერი მისია და მე მასთან არაფერი მესაქმება. ეშმაკმა დალახვროს, მე არ ვიცი, დონას რა აქვს ჩაფიქრებული. იქნებ ჩემზე რაიმე პროვოკაციულიც დაწეროს. ქალებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი... ეშმაკმა დალახვროს, როგორ მოვიქცე? თეთრი სახლის ჭიშკართან ბრბო დგას. ქვეყნის ეკონომიკა დაქცევის ზღვარზეა. მოსალოდნელია ერთად ატყდეს რამდენიმე ომი... ის კი ამ დროს წიგნს წერს. ეს უკვე მეტისმეტია.

ის შეჩერდა და კოკტეილი გამოსცალა. გალიანო წამოხტა, ცარიელი სირჩა აიღო და ხელახლა შეავსო.

— მე მას ვენდობოდი, ის კი ახლა მზად არის მიმუსტოლოს, — განაგრძო უიტმორმა. — არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც რომ უნდა ვიღონოთ, ფაქტია! ამ გადარეულ ქალს შეუძლია მე დამღუპოს!

ედი მერფს სახე გაუმკაცრდა. გალიანომ პრეზიდენტს პირველზე უფრო მაგარი კოკტეილი მიაწოდა. უიტმორი ისევ დაჯდა. მას ხელები უცახცახებდა. ედი მერფი ადგა და გავიდა.

დონა უმისამართოდ დასეირნობდა ვაშინგტონის ქუჩებში, შეჰხაროდა მზეს, ყვავილებს, წარსულს, თეატრი „ბიოგრაფი" გაიარა თუ არა, გამოერკვა, რომ ლაფაიეტ-სკვერისაკენ მიდიოდა. ადრე, როცა ის მშვიდობის კორპუსში მუშაობდა, ეს იყო მისი საყვარელი ადგილი, მისი განყოფილების კაბინეტის ფანჯრები ამ ბაღს გადასცქეროდა. კარგ ამინდში ჩადიოდა ხოლმე, თავის სკამზე ჯდებოდა და მიირთმევდა ლენჩს, თავის ციყვებს აპურებდა, თავის მოხუცებს უყურებდა, რომლებიც შაშს თამაშობდნენ, მაგრამ ეს იყო შორეულ წარსულში. ახლა პარკი მისთვის უკვე უცხო იყო.

იქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი და გაჰყვიროდნენ „სამუშაო ახლავე", როგორც უწინ, თვითონ თავის მეგობარ გოგოწებთან ერთად რომ ყვიროდა: „მშვიდობა ახლავე", „მშვიდობა ახლავე", მაგრამ ახლა ატმოსფერო იყო რაღაც ავისმომასწავებელი. ამან შეაშინა დონა და უკან გაბრუნდა. საღამოვდებოდა, ბცივდა კიდეც. დონას ჯორჯტაუნამდე გზა ადრინდელზე უფრო შორი მოეჩვენა. ოცდამეთერთმეტესა და მ-სტრიტის კუთხეში ის ღვინის დუქანში შევიდა. სიღრმეში თაროზე მან

შენიშნა ის, რასაც ეძებდა, — ერთი ბოთლი ქლიავის არაყი. ჩაკს უყვარს ეს სასმელი, გაიფიქრა მან და რისხვა ჩაუცხრა. თუ მოვიდა, კარგ სიურპრიზს დავახვედრებ. როგორც კი პარკში დემონსტრაცია ნახა, უიტმორი შეეცოდა — მას იმდენი საზრუნავი აქვს და მეც ახლა გავუჭირვე საქმე.

სასმელების გამყიდველი ულამაზო სახის ბიჭი, ხურდის დაბრუნებისას წითლდებოდა და ენა ებმებოდა.

— თქვენ მე ზედმეტი ხურდა დამიბრუნეთ.

— რა? — ბიჭი გაფითრდა, ხელები აუკანკალდა, თითქოს დონა მას ბრალს სდებდა რაღაც საშინელ დანაშაულში. — კარგით, ლედი, ხელმეორედ გადავითვლი, მე აზრადაც არ მომსვლია რაიმე სისულელე.

— არ შეიძლება ასეთი გულუხვობა, — თქვა დონამ ,და გამყიდველი ბიჭის შემოსედვით გამოწვეული შიში რომ დაეძლია, ხელზე შეეხო და გაუღიმა.

— დიდებული ქალი ხართ, — თქვა ბიჭმა, — და თან ძალიან ლამაზი.

დონამ ისევ გაუღიმა ოდნავ ნაღვლიანად, აიღო ხურდა და დუქნიდან სწრაფად გავიდა. ამ საუბარმა რატომღაც ტკივილი მიაყენა. ის საოცრად დაიღალა იმის გამო, რომ მამაკაცებს ხშირად უყვარდებოდათ, დაიღალა სულ გაცემით, გაცემით, გაცემით, სამაგიეროდ, უკან ძალიან ცოტა უბრუნდებოდა. ის საკუთარ თავს არწმუნებდა, თუ გინდა სიკვდილს გადაურჩე, უნდა იყო ეგოისტი და მტკიცე რკინასავით, მიუხედავად ამისა, მაინც დაუზოგავად იხარჯებოდა.

ათიოდე მეტრი ჰქონდა გავლილი, რომ მ-სტრიტის მეორე მხარეს თვალი მოჰკრა კაცს, ფრომლის ნახვაც ყველაზე ნაკლებად სურდა.

ბარ „ნატანადან" ნორტონი გამოვიდა, ის ისეთივე იყო, როგორიც დონას ახსოვდა: — მაღალი, ძლიერი, გაწეწილი ქერა თმით. ის აუჩქარებლად მიაბიჯებდა, სახეზე გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა, ხელები ჯიბეებში ჩაეყო. ყველაფერი ნათელ სახეზე აწერია, — გაიფიქრა დონამ, — კეთილშობილება, იუმორი, პატიოსნება, — „ყველაფერი, გარდა ჭკუისა და სიმტკიცისა, რომელსაც ერთი შეხედვით ვერ გამოიცნობ". დონას ის ძალიან მარტოხელა ეჩვენა და მოუნდა, რომ მასთან ყოფილიყო გოგონა, რომელიღაც ჩიტუნა, როგორც თა-

ვად ეძახდა მათ. მაგრამ ჩიტუნები იშვიათად სწყალობდნენ ბესს. „მეც არ ვაფასებდი მას“, — სინანულით გაიფიქრა დონამ. მოუხდა გადაერბინა ქუჩა, მოხვეოდა მას და წარსულს დაბრუნებოდა, როცა მის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ იყო ეს უცნაური გართულებები. მაგრამ უკანდასახევი გზა არ არსებობდა. წარსული ცრემლებში, ჩხუბსა და ბოდიშის მოხდაში გაილია. ახლა კი ყველამ თავისი გზით უნდა იაროს. ის და ბენი ერთმანეთისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ახლა ქუჩას უკვე ვეღარ გადახვალ, ვეღარ დაელაპარაკები მას, გვიანაა. დონა ცრემლნარევი მზერით აცილებდა ბენის, სანამ იგი თვალს არ მოეფარა. შემდეგ სწრაფი ნაბიჯით წავიდა სახლისაკენ, ვოლტა-პლეისზე, რათა დალოდებოდა უიტმორის ზარს.

* * *

ამერიკული გაგებით ეს არ იყო აჯანყება; ვფიქრობ, მღელვარება უფრო შესაფერი სიტყვაა. ორივე მხრიდან ისმოდა გაბოროტებული შეძახილები, იყო ხალხის შესლა-შემოხლა, ბრწყინავდნენ პოლიციელების ხელჯოხები, რამდენიმეს თავი უკვე გასისხლიანებული ჰქონდა, რამდენიმე მძიმედ იყო დაჭრილი, დემონსტრანტებმა უკანდახევის დროს ფანჯრები ჩაამტვრიეს. ქვეყნის სხვა ქალაქში ეს ამბავი შეუმჩნეველი დარჩებოდა, მაგრამ რადგან ეს თეთრი სახლის წინ მოხდა, ამას უკვე პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. დილით, საუზმის წინ, როცა ხალხი მომხდარი ამბის შესახებ წაიკითხავდა საგაზეთო ანგარიშგებას, როცა ტელევიზორში უჩვეწებდნენ გასისხლიანებულ პოლიციელებსა და ასობით დაჭრილ დემონსტრანტს, მოქალაქეები სამართლიანად აღშფოთდებოდნენ. ჩარლზ უიტმორმა თვითონ წამოიწყო თამაში და წაადგო კიდეც, ეს მას ყველაზე უკეთ ესმოდა.

— გაფიცვა სტიქიური არ იყო, — უყვიროდა ედი მერფს. — ვიღაც აქეზებდა დემონსტრანტებს. ეს შეთქმულებაა, ჩვენ უნდა გავიგოთ, გიწ ხელმძღვანელობდა მას.

— არა მგონია შეთქმულება ყოფილიყო, — იუარა ედი მერფმა, — საიდუმლო სამსახურმა და ს ფ ბ-მა გადაამოწმა ორგანიზატორები, მათ ყველაფერი კანონიერების ფარგლებში

(სუფთად) აქვთ გაკეთებული. უნდოდათ მშვიდობიანი დემონსტრაცია ჩაეტარებინათ. ეს შეიძლება სტიქიურადაც მომხდარიყო.

— ეშმაკმა დალახვროს, რა სტიქიურად! — წამოიძახა უიტმორმა, — ვიღაცამ მოაწყო პროვოკაცია და ხალხი ააჯანყა. ჩვენ უნდა გავიგოთ, ვინ გააკეთა ეს. თუ ამას საიდუმლო სამსახური და ს ფ ბ -ი ვერ შეძლებენ, მაშინ მონახე კაცი, რომელიც ამას გაარკვევს.

— მოვნახავთ, — დაჰპირდა მერფი.

— ეშმაკმა დალახვროს, საქმე არც ისე ცუდად არის, — თქვა უიტმორმა, — წინასწარაც რომ მცოდნოდა, მე მაინც შემოვუშვებდი პარკში. რას წარმოადგენს რამდენიმე დაჭრილი? მე ჩხუბი მინახავს ბარში, სადაც გაცილებით მეტი დაშავებულა, ვიდრე დღეს. ყველაფერი კარგად და უნაკლოდ არ შეიძლება იყოს, ედ, და თუ შენ უნაკლო ხარ, ყველა შეგიზიზღებს. ამიტომაც დროდადრო უნდა წავიბორძიკოთ კიდეც. სამუშაო უნდა მივცეთ კრიტიკოსებს. ახლა „ტაიმსი", „პოსტი", „კრაფტი" და სხვა გაზეთები დაიწყებენ წერას, თუ როგორ წააგო ლაფაიეტ-სკვერში ბრძოლა დიდმა ჩაკმა, ზოგიერთი მწერალი აღმოაჩენს, რომ მე ძალიან „ლმობიერად" მოვიქეცი, რომ მე ლაფაიეტ-სკვერში არ უნდა შემეშვა ბრბო, რომელსაც წითლები მეთაურობდნენ... მეორენი დაწერენ, რომ მე უნდა დამეთმო, უნდა მივსულიყავი ჩემს უმუშევარ ძმებთან და დებთან, გადავხვეოდი და დამეკოცნა ისინი. რა თქმა უნდა, მათ შეიძლება ჩემთვის იქვე თავი წაეცალათ, სამაგიეროდ, ეს გენიოსი პოლიტიკოსი „მწერლები" თვეების მანძილზე გაზეთებს ააჭრელებდნენ სტატიებით, როგორი მომხიბვლელი და ლამაზი იყო ჩემი გვამი და რა ბევრის გაკეთება შეეძლებოდა ყოფილ პრეზიდენტს.

უიტმორი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და სმამაღლა ახარხარდა.

— ედ, რამდენი ვილაყბე, არა! — თქვა მან, — მოგისმენია როდისმე ამდენი უაზრობა?

ედი მერფმა გაიღიმა და ორივენი ცოტათი დაწყნარდნენ. უიტმორს უნარი შესწევდა შეექმნა დაძაბული ატმოსფერო და შემდეგ სწრაფადვე განემუხტა იგი სიცილით, ხუმრობით. დაძაბული სიტუაციის შექმნა თითქმის ყველა პოლიტიკურ

მოღვაწეს შეეძლო, მაგრამ უიტმორის მსგავსად, მისი განმუსტვა — არავის. ალბათ ამაში იმალებოდა ერთი იმ მიზეზთაგანი, რის გამოც ხალხი, რომელიც გარს ეხვია, მზად იყო თავი გაეწირა მისთვის.

— ეკონომისტებს თუ მიიღებთ დღეს? — ჰკითხა მერფმა.

— ო... ღმერთო, — ამოიოხრა მან, — კიდევ აქ არიან?

— დიახ, სერ.

— უთხარით შინ წავიდნენ. არ შემიძლია დღეს მათი ყბედობის მოსმენა.

ედი მერფმა ყურმილი აიღო და რამდენიმე წუთის შემდეგ ქვეყნის ხუთივე წამყვანი ეკონომისტი, აგერ რამდენიმე საათია კუნკენს რომ თამაშობდნენ, დაღვრემილები გავიდნენ თეთრი სახლიდან.

როცა მერფმა ყურმილი დადო, პრეზიდენტს ხასიათი ისევ გაუფუჭდა. ის ფანჯრიდან მოღუშული გაჰყურებდა ვარდების ბაღში ჩამოწოლილ ჩრდილებს.

— მე დავურეკე მას, ედ, — თქვა მან წუთიერი დუმილის შემდეგ, — ეტყობა შინ არ იყო, ყურმილი არავინ აიღო.

— შეიძლება ეს უკეთესიც იყოს.

— არა, უკეთესი არ არის. ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი, მარტო მის წიგნზე არ არის საქმე. უნდა გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ მომავალში, ან ასე, ან ისე. მე კი ამის გარეშეც არა მაქვს მოსვენება.

— დაურეკეთ კიდევ.

— ტელეფონით ვერაფერს გადავწყვეტ. მე უნდა ვნახო ის. ეს არის ერთადერთი გამოსავალი. მისმინე, ედ, ხომ შეიძლება როგორმე გავიპაროთ, ვთქვათ, წავიდეთ მასთან შენი მანქანით.

— ძალიან სარისკოა, — თქვა მერფმა, — კლერი თავისთან არის, ქალაქი კი გაფიცვის შემდეგ რეპორტიორებითა და პოლიციელებითაა სავსე. ვინმემ შეიძლება დაგვინახოს, ჩვენ კი ვერ ავუხსნით, სად მივემგზავრებით.

— ეშმაკმა დალასვროს, საშინლად მომბეზრდა იმის მოსმენა, რა შეიძლება და რა არ შეიძლება! — დაიქუხა უიტმორმა. — რადგან მე მინდა მისი ნახვა, მე მას ვნახავ კიდეც! — თქვა გაბრაზებულმა, მაგრამ დარჩა თავის დიდ ტყავის სავარძელში, როგორც ძაფებით დაბმული გულივერი. დაბოღმი-

ლი ფიქრობდა იმაზე, რა შეიძლება და რა არა მთელ ქვეყანაზე ყოვლისშემძლე ადამიანისათვის. ედი მერფი კი მდუმარედ შესცქეროდა პრეზიდენტს.

2

— ის მკვდარია, სერჟანტ, ეჭვი არ შეგეპაროთ, — თქვა აღელვებულმა ახალგაზრდა პოლიციელმა, რომელსაც დაუთოვებული შარვალი ეცვა. — მე ეს შემოსვლისთანავე ვიგრძენი.

კრავიცმა არაფერი უპასუხა. ქალის გვამთან დაჩოქილს სწრაფად სურდა განეჭვრიტა ყოველივე: ჩალურჯებული სახე, სხეულის მდგომარეობა, მორთულობა, ტანსაცმელი, ფრჩხილები, რომელშიც შეიძლება აღმოეჩინა თმები, ან მოფხაჭნილი ტყავის ნაფლეთი. ათას მეერთე დეტალი, რომელზედაც ყურადღების მიქცევა და გამახვილება კარგა ხანია ისწავლა.

— იქნებ გააუპატიურეს? — თქვა ახალგაზრდა პოლიციელმა, — ქალიშვილი სიმპათიურია.

კრავიცი შემობრუნდა და შეხედა — პოლიციელი საშუალო ტანისა იყო. ისევ უარყვეს სიმაღლის პრიორიტეტი. მალე პოლიციაში ლილიპუტების მიღებას დაიწყებენ. შეუხედავი პოლიციელი, დასავლეთირლანდიური აქცენტით ლაპარაკობდა. მის გამოსაცნობ ფირფიტაზე ეწერა „უიტსონი“.

— ეჭვი მეპარება, უიტსონ, — თქვა კრავიცმა, — ის მთლიანად ჩაცმულია, იქნებ გახვიდე და ბიჭუნას დაელაპარაკო, თუ ღმერთი გწამს, ხელი არაფერს ახლო.

— გისმენთ, სერჟანტ. — უპასუხა პოლიციელმა, დაუთოებული შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიყო და შემინული კარით ვერანდაზე გავიდა, სადაც სკამზე იჯდა გაზეთის გამყიდველი გაოცებული ბიჭი.

კრავიცი ისევ შემობრუნდა გვამისაკენ. კიდევ რამდენიმე წუთს, სანამ მოვლენ დაკტილოსკოპისტი, ექიმი და სხვა ექსპერტები, საქმე მთლიანად მის ხელში იქნება. ამის შეგნება სიამოვნებდა. მკვდარი არ აღუძრავდა არავითარ განსაკუთრებულ ემოციებს. მას თავის პრაქტიკაში ბევრი მოკლული ქალი უნახავს. სიკვდილს კრავიცი არ აღიქვამდა, როგორც ტრაგედიას, მიცვალებული მისთვის ახალი ამოცანა

იყო, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდებოდა და კიდევ შესაძლებლობა სამსახურში დასაწინაურებლად. ის ადგა, სიგარეტს მოუკიდა და ბინის დათვალიერებას შეუდგა.

პირველი შეხედვით ეს იყო ჯორჯტაუნისებური, ასე თუ ისე, ჩვეულებრივი „ოსობნიაკი". ქალის კეთილმოწყობილი, მოცუცქნული საპირფარეშო, წინკარითა და უკანა მხრიდან პატარა ბაღით, ოთახები გამოტენილი იყო წიგნებით, სურათებით, ძვირფასი ავეჯით, მიუხედავად ამისა, კრავიცს მოეჩვენა, რომ რაღაც აკლია, მერე მიხვდა, სახლი საცხოვრებლად არ იყო გათვალისწინებული. პრიალა ავეჯი, თანამედროვე სურათები, თან კრავიცისათვის უცნობი, მოძრავი ბარი ისეთი, როგორც ჟურნალის ილუსტრაციებშია, თითქო ახალი ჩანდა, ბარში ელაგა ჩვეულებრივი „ჯიენდ ბის" მარკის ვისკის ბოთლები, შოტლანდიური ვისკი, ჯონა „ბიტფიტერი" და ერთი გაუხსნელი ბოთლი ქლიავის არაყისა.

კრავიცმა სასტუმრო ოთახის კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ წიგნებს მიაქცია ყურადღება, აქ უმთავრესად ნახავდით პოპულარულ რომანებსა და პოლიტიკურ ლიტერატურას — სერიებს, — „როგორ გავხდეთ პრეზიდენტი", „როგორ ყიდიან პრეზიდენტებს", „საუკეთესო და უმკვეთრესი". ამ წიგნების უმრავლესობა კრავიცს წაკითხული ჰქონდა. განსაკუთრებით გაიტაცა წიგნებმა — „პრეზიდენტის სიკვდილით დასჯა და კანდიდატები პრეზიდენტის პოსტზე". პრეზიდენტობას კრავიცი არ აპირებდა, მაგრამ ძალიან უნდოდა სამძებრო პოლიციის უფროსი გამხდარიყო და ახლა უკვე იმაზე ფიქრობდა, როგორ გავლენას მოახდენდა ეს გამოძიება მის შემდგომ კარიერაზე. საქმე სერიოზული ჩანს, მისი გონივრულად წარმართვა მას ხელს შეუწყობს მიიღოს სასურველი თანამდებობა. სამსახურის დაწყებისას კრავიცს ეზიზღებოდა პოლიტიკოსები, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ პოლიტიკა მარტო ხელის ჩამორთმევა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება არ არის, პოლიტიკაა ყველაფერი. მკვლელობის გამოძიებაც კი შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკა.

სხვა თაროებზე ჩამოლაგებული იყო კინოკრიტიკოსების წიგნები, მათი გვარები — კეილი, საიმონი, სარისი, ეიჯი — არაფერს არ ეუბნებოდა კრავიცს. ფილმების სცენარები, რომლებიც მას არ ენახა, გაგებით კი ჰქონდა გაგებული — „შუა-

დღე“, „აფრიკელი დედოფალი“, „ცისფერი ანგელოზი“, „ადგილი მზეებისათვის“, „უკანასკნელი ფილმი“.

კრავიცი დაფიქრდა, მიცვალებული იქნებ მსახიობი იყო. მან ისევ გადასედა ქალს, გაიფიქრა, ნეტა სად დაიკარგა ამდენ ხანს ექიმი-ექსპერტიო, შემდეგ ადგა და ხვეული კიბით მეორე სართულზე ავიდა.

როგორც ჩანს, ღამე ქალმა საძინებელ ოთახში გაათია. დიდი საწოლი აკურატულად გაესწორებინა, მხოლოდ ტუალეტის მაგიდაზე იყო დახვავებული კოსმეტიკა. ტუმბოზე, საწოლის გვერდით იდო: ელექტრომაღვიძარა, რომელიც დილის შვიდ საათზე იყო დაყენებული. ყვითელი ტელეფონი, სუფთა ბლოკნოტი და უბრალოყდიანი წიგნი „ანაის ნინის დღიური“, კრავიცმა წიგნი გადაშალა, გახაზულ ადგილებს ეძებდა, მაგრამ არ აღმოჩნდა, შემდეგ იმ იმედით, რომ რაიმე საბუთს, წერილებს ან დღიურს ნახავდა, გადაქექა კამოდი, მაგრამ იქ მხოლოდ თბილი ძვირფასი სვიტრები, ხასხასა ფერის ბლუზები, აკურატული თეთრეული და ძვირფასეულობის კოლოფი ნახა, კედლის კარადაში კრავიცმა აღმოაჩინა ის, რასაც ეძებდა — ხელჩანთა, რომელშიც იდო ქაღალდის ცხვირსახოცები, კოსმეტიკა, ბურთულიანი კალამი და სხვა ნივთები. ჩანთაში საფულე და საბუთები არ აღმოჩნდა. კრავიცმა შეიკურთხა და დაათვალიერა კარადაში დაკიდული კაბები, ზომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გარდაცვლილს ეკუთვნოდა. ისინი ნაყიდი იყო სხვადასხვა ქალაქში, როგორც კი ჩაიწერა მაღაზიის სახელები, იგი გამოვიდა საწოლი ოთახიდან და ვიწრო კორიდორით მეორე სართულის უკანა კარებისაკენ გაემართა. ოთახი კაბინეტს ჰგავდა, ფანჯარასთან, რომელიც პატარა ეზოში გადიოდა, იდგა ანტიკვარული მაგიდა ელექტრონული საბეჭდი მანქანით. კრავიცმა გადაიხედა ფანჯრიდან და დაინახა პოლიციელი და გაზეთის გამყიდველი ბიჭი, რომლებიც დილის მზეზე თბებოდნენ. საბეჭდი მანქანის გარდა, მაგიდაზე იდგა ყავის თეთრი ფინჯანი, რომელშიაც ახალწათლილი ფანქრები ელაგა, აქვე იდო თეთრი ქაღალდების შეკვრა და ლექსიკონი, მაგიდაზე არ იყო არც ერთი დაწერილი, ან დაბეჭდილი ფურცელი, რაც ამტკიცებდა, რომ მაგიდასთან არ უმუშავიათ. კრავიცმა გაიხსენა წიგნის თაროზე დალაგებული

სცენარები და გაიფიქრა, გარდაცვლილი, ალბათ, მსახიობი კი არა, სცენარისტი იყოო.

მესამე სართულზე არაფერი არ აღმოჩნდა. ორივე სააბაზანო უნაკლოდ იყო დასუფთავებული, ორივე საწოლი ოთახი დალაგებული, ყოველივე იმაზე მეტყველებდა, რომ საწოლი ოთახებით არავის უსარგებლია.

კრავიცმა გაიგონა, ეზოს შესასვლელთან თუ როგორ მიიხურა მანქანის კარი, ის ჩამოვიდა ძირს და მიესალმა ექიმ-ექსპერტს კრეინს, რომელიც მსუქანი, მრისხანე სახის სათვალიანი კაცი იყო. ის თავის მონაწილეობას მკვლელობის გამოძიებაში „ბინაზე გამოძახებას" ეძახდა.

კრეინმა მისალმებაზე უპასუხა და მიცვალებულთან ახლოს ჩამოჯდა.

— ვინ არის ეს ქალი!

— ჯერ დაუდგენელია.

— უცნაურია, — თქვა კრეინმა და დაიწყო გარდაცვლილის თავის გასინჯვა მოკლე თითებით.

— მე ვერანდაზე ვიქნები, — თქვა კრავიცმა, — უკვე ათი წელია ისინი ერთად მუშაობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მკვლელობის შესახებ გახმაურებულ ერთ-ერთ პროცესზე, როგორც კრავიცი თვლიდა, ყველაზე პასუხსაგებ ნაწილში ექიმმა-ექსპერტმა რაღაც ყალბი საბუთი წარმოადგინა, რის გამოც დამნაშავე გაამართლეს.

კრავიცი ვერანდაზე გავიდა, სადაც ბიჭუნა და პოლიციელი ისხდნენ. სიმპათიური, ლამაზი სახის ბიჭი ასე თსუთმეტი წლის იქნებოდა, როგორც მან თქვა, მას ჯიმი დენტონი ერქვა, მამა, ექიმი ჰყავდა.

— ის მკვდარია? — იკითხა მან, — როცა კრავიცი მის პირდაპირ დაჯდა.

კრავიცმა თავი დაუქნია. ბიჭი ატირდა, კრავიცი დუმდა, სახეს მზეს უფიცხებდა. როგორც კი ბიჭი გაყუჩდა, მან ჰკითხა:

— ჯიმ, შენ დაგვეხმარები, თუ ყველაფერს მოყვები, რაც იცი ამ ამბის შესახებ.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— შევეცდები, მაგრამ მე ძალიან ცოტა რამ ვიცი.

— გვარი იცი?

— არა, სერ.

— როგორ, შენ არ იცი, შენს უბანში ვის ემსახურები?

— ვიცი, სერ, მაგრამ ამ სასლში, როგორც წესი, არავინ ცსოვრობს, ხანდახან ვიღაცა ჩამოდის, და როცა შევნიშნავ მანქანას, ან სინათლეს ფანჯრებში, ვაკაკუნებ კარზე და ვეკითხები, ხომ არ უნდათ გაზეთი „პოსტი", ჩვეულებრივ ისინი უარს მეუბნებიან და როცა მიემგზავრებიან, კარგ გასამრჯელოს მაძლევენ.

— ვინ არიან ეს ადამიანები?

— ძნელი სათქმელია, ერთი მამაკაცია, მგონი ფილმებში იღებენ. ერთხელ მან მომცა ათი დოლარი და მთსოვა, ცენტრში წავსულიყავი და მისთვის მეყიდა ჟურნალი „ვერიეტი". რამდენჯერმე როცა, ჩემს უბანზე ჩამოვლა მქონდა, აქ გვიან ღამემდე გრძელდებოდა წვეულებები, ჭიშკართან მანქანები იდგა კონგრესის ნომრებით, მაგრამ მეტწილად აქ არავინ ცხოვრობს. მგონი კვირაში ერთხელ მოდის დამლაგებელი ზანგი ქალი.

კრავიცი დააფიქრა კონგრესის ნომრებიანმა მანქანებმა, იქნებ მიცვალებული ცუდი ყოფაქცევის ქალი იყო. თუ ასეა, მაშინ ალბათ, ძალიან ძვირად აფასებდა თავს, თორემ ასეთ სასლს ვერ იქირავებდა.

— არ გახსოვს უკანასკნელად როდის ნახე დამლაგებელი ქალი?

— არა, სერ.

— სხვა, რა იცი მიცვალებულის შესახებ?

— დაახლოებით წინა კვირას მოვკარი მას თვალი. ჩამოვლაზე ვიყავი, ამ სახლის ფანჯრებში სინათლე დავლანდე და დავაკაკუნე, გამოვიდა ის ქალი.

— ამიწერე.

— საშუალოზე დაბალი, წაბლისფერი თმა, წაბლისფერივე დიდი თვალები,... კეთილი და მომხიბვლელი, იდგა და მელაპარაკებოდა. მე ვკითხე, ხომ არ ინებებდა გაზეთს, ის დამთანხმდა. შინ მიმიწვია, კოკაკოლაზე დამპატიჟა და მიამბო: დიდი ხნის წინათ, როცა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, გაზეთების დამტარებელ ბიჭს ხვდებოდა. როგორც კი მოსაღამოვდებოდა, გადმოძვრებოდა ფანჯრიდან და მასთან ერ-

თად უბანში გაზეთებს არიგებდა, მერე ისევ ფანჯრიდან შეძვრებოდა ოთახში და იძინებდა. საღამოს ეს სეირნობა კარგა ხანს გრძელდებოდა, ისე, რომ მშობლებსაც კი არაფერი შეუნიშნავთ.

— არ უთქვამს, სად, რომელ ქალაქში?

— არა, სერ, მგონი არა. ერთი სიტყვით, მე მთელი კვირა დამქონდა გაზეთები, გუშინ კი დღისით, როცა ფულის შესაგროვებლად ჩამოვიარე, მან მითხრა, რომ დღეს დილით აპირებდა გამგზავრებას. ანგარიშის გასწორება უნდოდა, მაგრამ ნაღდი ფული არ აღმოაჩნდა და დღეისათვის დამიბარა. მანამდე კი ქალაქში გავიდოდა და ჩეკს გადაახურდავებდა.

— და შენც მოხვედი, არა?

— დიახ, სერ, სკოლაში მივდიოდი, და გამოვიარე, დავაკაკუნე და მან არ გააღო, ვიფიქრე, იქნებ ეზოშია-მეთქი, მივედი ღობესთან და გადავიხედე. დავინახე, რომ ვერანდის კარი ღია იყო, დავუძახე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. ბრა მგონია, ასეთ რაიონში ვერანდის კარი ბრ დაეკეტა და ისე წასულიყო. გადავძვერი ღობეზე და შევიხედე კარებში — ვხედავ, ვილაც წევს იატაკზე. შემეშინდა და ვიყვირე, შემდეგ გადმოვძვერი ღობეზე და გავიქეცი, მივრბოდი, სანამ მეზობელ კვარტალში ეს პოლიციელი არ დავინახე. მან ჯარიმა გამოუწერა ვილაცას და წამომყვა.

— ოთახში არ შესულხარ, არა?

— არა, სერ.

— ან კარისათვის ხელი არ გიხლია?

— მგონი არა, თუმცა შეიძლება შევეხე კიდეც.

კრავიცმა გაიგონა, რომ სახლის წინ მანქანის კარი ხმაურით გაიხურა და წამოდგა.

— ჯიმ, ჩვენ კიდევ დაგვჭირდება გასაუბრება.

— მე უკვე დავიგვიანე სკოლაში.

— ო, სკოლა დაივიწყე, ეს პოლიციელი მიგიყვანს შინ. დღის მეორე ნახევარში მე ან სხვა თანამშრომელი შემოვივლით შენთან. თანახმა ხარ?

— რაკი ასეა საჭირო...

— აი, ეს მესმის.

კრავიცმა ხელი ჩამოართვა ახოვან მოზარდს და მზერა გააყოლა. ბიჭუნამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა

მასზე. მიუხედავად ამისა, ის მაინც უნდა შემოწმდეს, — ფიქრობდა კრავიცი, — ის ისეთ ასაკშია, რომ შესაძლებელია, მოესიბლა და გაეტაცა ალერსიან ლამაზ ქალს, შემდეგ დაეწყო უსეში არშიყობა, მოხვეოდა, წაექცია და მომხდარი ფაქტის შემდეგ გაქცეულიყო. დილით კი პოლიციელისათვის მოეთხრო ეს ლეგენდა. საჭირო იქნება მისი შემოწმება. ეჭვმიტანილთაგან კრავიცი არავის გამორიცხავდა.

კრეინმა ღვამის დათვალიერება დაამთავრა.

— ჯერჯერობით, — უთხრა მან სერჟანტ კრავიცს, — შემიძლია დავასკვნა, რომ ვიღაცამ მუშტი გაარტყა მარჯვენა ყბაში. ის დაეცა გულაღმა და თავი დაარტყა ყავის მაგიდის კუთხეს.

— როდის?

— თორმეტი საათისათვის, პლიუს-მინუს ერთი საათი. დაახლოებით ათ საათსა და შუაღამეს შორის. გაუპატიურება საეჭვოა. აქვს თუ არა რაიმე ფრჩხილებში? მგონი არა აქვს. ლაბორატორიაში ზუსტად დავადგენთ. დამირეკეთ ხვალ, ჩვენ მოგიმზადებთ სრულყოფილ ანგარიშს.

— გმადლობთ, — თქვა კრავიცმა. მოხუცი ექიმი შავი „მერკურისაკენ“ წაჩანჩალდა. როგორც კი ის გაემგზავრა, მოვიდნენ დაკტილოსკოპისტი და ფოტოგრაფი. კრავიცი მათთან ერთად წინკარში გაჩერდა, მოწია სიგარეტი და აუხსნა მათგან რას მოითხოვდა. მეზობელ სახლში, სიწყნარე სუფევდა, როგორც ეტყობოდა, ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცოდა. მოვლენ თუ არა რეპორტიორები კინოოპერატორებით და სანიტარიული მანქანა, ყველაფერი აირევა, შეგროვდებიან ქუჩის მეორე მხარეს, დაიწყებენ თვალთვალს, ჭორაობას, ერთმანეთს გაუზიარებენ გაგონილს. მე ამ დროს მათ ვუთვალთვალებ მესამე სართულის ფანჯრიდან. შესაძლებელია, მათ შორის მკვლელიც აღმოჩნდეს. დაზღვევისათვის კრავიცს გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა დაეკითხა. მანამდე კი ამ განმარტოებით მდგარ მდიდარ სახლებში სიწყნარე იყო. კრავიცმა მხრები აიჩეჩა და ისევ შინ შევიდა.

მას შემდეგ, რაც დაქტილოსკოპისტმა ტელეფონი გასინჯა, კრავიცმა სამმართველოში დარეკა თანამშრომელთან, რომელიც მისთვის ცნობებს აგროვებდა.

— მგონი ეს სახლი ეკუთვნის ქალს, გვარად კოლდუელს,

მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მისი მონახვა,— თქვა ახალგაზრდა თანამშრომელმა, რომელიც გადაიყვანეს კაბინეტურ სამუშაოზე, რადგანაც ცუდად გახდა, როცა ერთხელ მანქანის საბარგულში დამსრჩვალი ორი მედდა აღმოაჩინეს.

— დაუკავშირდი ჯორჯ ტაუნის საბინაო რწმუნებულებს,— თქვა კრავიცმა, — გაიგე, ვინ ისდის ქირას. რას ამბობენ სატელეფონო კომპანიაში?

— აქ საქმე უცნაურად შეტრიალდა, დოკუმენტები გაქრა.

— ეს როგორ, ეშმაკმა დალასვროს, გაქრა?

— ვიღაც ტიპმა შეამოწმა და თქვა, რომ დოკუმენტები ადგილზე არ არის, თვითონაც გაოგნებულია.

— ახლავე გაემგზავრე მასთან და აიძულე, რომ ყველაფერი გითხრას, ცოცხლად, აუმაღლა ხმას კრავიცმა, — დაადო ყურმილი და ამოიოხრა. გარედან ხმამაღალი ლაპარაკი მოესმა: ორი ნაცნობი რეპორტიორი სისხლის სამართლის ქრონიკიდან საგუშაგოზე პოლიციელს ეკამათებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციელი შემოვიდა.

— ბატონო სერჟანტო, რეპორტიორები ამბობენ, რომ გვაზის დასათვალიერებლად განკუთვნილი დრო უკვე ამოიწურაო.

— უთხარი, რომ ახლავე გამოვალ.

კრავიცს უნდოდა მანამდე მოეცადა, სანამ სხვა რეპორტიორები მოვიდოდნენ, რომ რამდენჯერმე არ გაემეორებინა ერთი და იგივე. გარდა ამისა, მისთვის აუცილებელი იყო დაფიქრება, რადგან მომავალში ბევრი რამ იყო იმაზე დამოკიდებული, რასაც ახლა იტყოდა. „იდუმალი მკვლელობა ჯორჯ ტაუნზე, — როგორც ჩანს, დიდ რეზონანსს გამოიწვევს, ჟურნალისტები ბუზებივით დამეხვევიან და როცა მკვლელს აღმოვაჩენ, მუნიციპალიტეტში მყოფი უსაქმურები იძულებული გახდებიან, სამძებრო პოლიციის უფროსად დამნიშნონ", — ფიქრობდა კრავიცი, — „მათთვის ადვილი საქმე იქნებოდა ეს, მე რომ თეთრკანიანი არ ვიყო. საქმე ის არის, რომ ჯერ სამძებრო პოლიციის უფროსის პოსტზე ზანგი არასოდეს ყოფილა. შავკანიანები კი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისიანის დანიშვნას, კანდიდატურაც კი ჰყავდათ, ერთი უსაქმური, გვარად კოლმენი. ის, რომ თეთრკანიანი ყოფილიყო, მას დიდი ხნით ადრე გააგდებდნენ პოლიციიდან. კრავიცი მაინც ფიქ-

რობდა, რომ თუ საქმეს ისე წარმართავდა, როგორც საჭიროა, მაინც მიიღებდა ამ თანამდებობას. ახალგაზრდა რეპორტიორი გაზეთ „პოსტიდან“ ჰპირდებოდა, საკვირაო გამოცემის დამატებაში მასზე მასალის გამოქვეყნებას, თუ საამისო საბაბი ექნებოდა. ასეთი რეკლამა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ვაშინგტონელებზე. ანალოგიური რეკლამის გამო კონგრესმენებს ირჩევენ სენატორებად, სენატორებს კი — პრეზიდენტებად. სწორედ რეკლამას შეუძლია ჯო კრავიცი აქციოს სამძებრო პოლიციის უფროსად.

სახლის წინ გაჯასუნდა კიდევ რამდენიმე ავტომანქანის კარი და ბოლოს და ბოლოს ჯო კრავიცმა, მკვლელობისა და პოლიტიკური შანტაჟების გამოძიების სპეციალისტმა, გადააგდო სიგარეტი, გაისწორა ჰალსტუხი და პრესის მუშაკებთან გავიდა.

3

ნაბახუსევმა ბენ ნორტონმა 9 საათზე დამძიმებული თავით გაიღვიძა. გასულ საღამოს ის ადრე დაბრუნდა შინ, მაგრამ გვიან ღამემდე იჯდა და ნელ-ნელა სვამდა ბურგუნდიულ ვისკის, თან თავიდან არ შორდებოდა ფილ როსის მონაყოლი ამბავი დონასა და ედი მერფის შესახებ. როგორც ეტყობა, დონამ გადაწყვიტა, დაბრუნდეს ვაშინგტონში და დაიწყოს მუშაობა ადმინისტრაციაში. დღეს ბენ ნორტონს გადაუდებელი საქმეები ჰქონდა, მან უნდა მოახსენოს ფირმა „კოგინს, კოპლენდი და სტუონს“ მის სასარგებლოდ მოგვარებული საკითხების შესახებ. ნორტონი ადგა, მოადუღა ყავა და დაურეკა უიტ სტოუნის მდივანს.

— ეველინ? ბენ ნორტონი ვარ, დავბრუნდი ფრონტიდან.

— თქვენ ზარს გუშინ ველოდით, — გულგრილად უპასუხა ეველინმა.

— გუშინ ისე ვიყავი დაღლილი, ფეხზე ძლივს ვიდექი, — იცრუა ნორტონმა, — მთელი დღე ზეძინა, ახლა კი მზადა ვარ შევუდგე მუშაობას.

— პირველის ნახევარზე უიტი გელოდებათ საუზმეზე, — თქვა ეველინმა, — არ დაიგვიანოთ.

ნორტონს არ დაუგვიანია, უიტი კი სადღაც შეყოვნდა. ახ-

ბლგაზრდა იურისტი ბოსის მისაღებში იჯდა, წელა ფურცლავდა ჟურნალ „ნ. ს. იუსის ენდ ეორლდ რიპორტს"-ის ძველ ნომერს და თანდათან მოთმინების ფიალა ევსებოდა. მას არ უყვარდა უიტ სტოუნი, არ ენდობოდა და, საერთოდ, არ ესმოდა, რატომ მუშაობდა მის ფირმაში! ბოსი, რა თქმა უნდა, აფასებდა მას, როგორც ვაშინგტონის იღბლიან ადვოკატს, კლიენტებს ყველაფერს რომ აძლევდა, რაც შეეძლო, მაგრამ უიტ სტოუნის ფირმაში ერთობ ცივი ატმოსფერო სუფევდა, რომელსაც ბენი ვერაფრით შეეგუა. ზოგჯერ ფიქრობდა კიდეც, იქნებ აჯობებს რომელიმე ძველ, ნაკლებად ცნობილ იურიდიულ ფირმაში ვიმუშაო, პოლიტიკასთან საერთო რომ არა აქვსო, მაგალითად, „კოვინგტონი და ბერლინგში", ერთი წლის წინ, როცა სენატორ უიტმორის შტატში სამსახურიდან განთავისუფლება გადაწყვიტა და სამუშაოს მოსაძებნად კი დრო არ ჰქონდა, უიტ სტოუნმა სწორედ ამ დროს შესთავაზა ყველაზე კარგი და სარფიანი ადგილი, რასაც პარიზში მივლინებაც ერთვოდა, ნორტონს კი მაშინ ყველაზე მეტად უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად გარიდებოდა ვაშინგტონს. ამავე დროს სტოუნის ფირმას სახელი ჰქონდა კარგი, საუკეთესო კლიენტურა ჰყავდა და კარგ ხელფასსაც უხდიდნენ. არა, მას მხოლოდ უიტ სტოუნი არ ეხატებოდა გულზე.

მრავალი წლის მანძილზე თანამშრომლები ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს ლეგენდას იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხებულად გახდა შედარებით ახალგაზრდა სტოუნი ფირმის თანამეპატრონე. 1942 წელს ფირმა დააარსა ახალი კურსის მიმდევარმა, პროგრესულმა ადვოკატმა ჯონ კოგინსმა, ამბობდნენ, რომ მან თითქოს მოისყიდა ექიმი, რომელმაც იგი სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად სცნო. შემდეგ მიატოვა იურიდიული სამინისტრო, სადაც წელიწადში ექვსი ათას დოლარს ღებულობდა და დააარსა კერძო იურიდიული ფირმა, რომლის შემოსავალი ომის დასასრულისათვის წელიწადში მეოთხედ მილიონ დოლარს აღწევდა. ორმოციანი წლების დამლევს კოგინსი მისვდა, რომ მას პარტნიორი სჭირდებოდა და არჩევანი მეისონ კოპლენდიზე შეაჩერა. ეს იყო შუაგულ დასავლეთში დაბადებული, ახოვანი აღნაგობის გამჭრიახი კაცი, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტ ტრუმენის ადმინისტრაციასთან. კოპლენდი არა მარ-

ტო კარგი ადვოკატი იყო, არამედ ავანტიურისტიც, დიდ პატივს რომ სცემდა ინტრიგებსა და რისკს. ამიტომ, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პრეზიდენტის გაუთსოვარი ქალიშვილი დაფეხმძიმდა, როცა უმაღლესი სასამართლოს წევრი არასრულწლოვან გოგონასთან კავშირისათვის იაფფასიან სასტუმროში დააპატიმრეს, როცა პრეზიდენტის მთერალმა მეუღლემ მოსუც ექიმს, მის დაწყნარებას რომ ლამობდა, ლარნაკი თავზე დაამსხვრია, ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში მეისონ კოპლენდს მიმართავდნენ, ის კი მოლაპარაკებას აწარმოებდა, საჭიროების შემთხვევაში საქმეში ფულსაც ჩარევდა, ზუქარასაც, ოღონდ კლიენტი გადაერჩინა.

ორმოცდაათიან წლებში კოგინსი გულის შეტევამ იმსხვერპლა. კოპლენდმა, რომელიც ფირმას მეთაურობდა, დაიქირავა რამდენიმე ასალგაზრდა იურისტი, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციასთან. ამ იურისტებიდან კოპლენდს გადაწყვეტილი ჰქონდა, მათ შორის საუკეთესო თავის პარტნიორად გაესადა. ერთ-ერთი მათგანი ჰარვარდის უნივერსიტეტდამთავრებული და იუსტიციის სამინისტროში ნამუშევარი არისტოკრატი უიტნი სტოუნი გახლდათ. მას მდიდარი მოსხიბვლელი ცოლი და ორი პატარა ბავშვი ჰყავდა.

მეისონ კოპლენდი პატივს სცემდა სტოუნს, განსაკუთრებით მოსწონდა და თვალი ეჭირა მის ცოლზე, 1960 წლის გაზაფხულზე მან სტოუნი ტესასში გააგზავნა, რათა მას სერიოზული მოლაპარაკება ეწარმოებინა ნავთობის სარეწების თაობაზე. მოლაპარაკება ჩაიშალა. უიტ სტოუნი ვაშინგტონში ორი დღით ადრე დაბრუნდა და კოპლენდს საკუთარი ცოლის ხაწოლში წაასწრო. არ მომკლასო, შეშინებული ტიტლიკანა ქალი სააბაზანოში ნაიკეტა. მაგრამ ის არ იცნობდა იურისტის ჭკუის წყობას, სანამ აბაზანაში კანკალებდა, მისმა ქმარმა და საყვარელმა, ზეწარი ოფლიან მხრებზე ტოგასავით რომ ზემოესვია, სწრაფად დაამთავრეს მოლაპარაკება. ფირმას დაკრძალა „კოგინს, კოპლენდი და სტოუნი“.

ამბობენ, რომ, როცა მოლაპარაკება დამთავრდა, მოხუცმა იურისტმა მომავალ ახალგაზრდა პარტნიორს უთხრა: ერთი კითხვა მაქვს, უიტ, შენ ჩამიწყე ეს საქმე?

თუ გადმოცემას დავუჯერებთ, უიტ სტოუნმა მზაკვრულად

გაიღიმა და უპასუხა: „შენ ვერ გაიგებ ამას, მეისონ, ვერასოდეს ვერ გაიგებ...“

— ბენ, ძალიან მიხარია შენი ნახვა, — თქვა კარის შემოღებისთანავე უიტნი სტოუნმა. — შემოდი, არ გალოდინებდი, მაგრამ შენი შემოსვლისთანავე იუსტიციის მინისტრმა დამირეკა.

ნორტონმა ჟურნალი მოისრესა, წამოდგა და ხელი ჩამოართვა ბოსს. უიტნი სტოუნსს ხელის მტევანი პატარა და სუსტი ჰქონდა, შეეხებოდი თუ არა, იმწამსვე სიცივეს იგრძნობდი. ნორტონს ამისგან ყოველთვის აურჟოლებდა ხოლმე, როგორც ახლა, მიუხედავად იმისა, რომ თვით სტოუნი ძალზე მომხიბვლელი იყო.

— შემოდი, ბენ, — თქვა სტოუნმა, — ცოტა შერი ხომ არ დაგველია? კეთილი, დაჯექი.

ისინი დიდი კაბინეტის შორეულ კუთხეში დასხდნენ. სტოუნმა თვითონ შეავსო ორი სირჩა და სადღეგრძელო წარმოთქვა.

— გაგიმარჯოს, ბენ. შენ პარიზში ბრწყინვალედ იმუშავე.

ნორტონმა გაიღიმა, შერი მოსვა და თვითონაც ქათინაურით უპასუხა:

— ალბათ, ამაში შენი დამსახურებაც იყო, უიტ, როცა შეთანხმება ის იყო უნდა დარღვეულიყო, არაბებმა უცებ, მთლიანად შეცვალეს თავიანთი პოზიცია. მივხვდი, რომ ამ დროს შენ დააჭირე თითი რომელიღაც ღილაკს.

— აი, თურმე რა ყოფილა, — სტოუნის ნახევრადმოჭუტულ თვალებში ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი გამოკრთა. როგორც ჩანს, გაიფიქრა მან, — ნორტონი უფრო გამჭრიახია, ვიდრე მეგონა. ეს აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიქონიო.

— საერთოდ, როგორც კი არაბებმა კურსი შეცვალეს, ცსს-ს ხალხი, ანუ ჩვენი მოწინააღმდეგენი თვალს მიეფარნენ. ჩვენ არავითარი ზომები არ მიგვიღია, ამიტომ ვიფიქრე, როგორც ეტყობა deux exmachina[1] ნამდვილი საქმის გამკეთებელი თქვენ იყავით.

სტოუნმა დინჯად ჩაიცინა.

---

[1] „ღმერთი მანქანიდან“, — მოულოდნელად გაჩენილი ძალა, რომლის წყალობითაც ჩნდება გამოსავალი.

— მე მოველაპარაკე ზოგიერთებს. — კმაყოფილებით თქვა მან. — ბოლოს და ბოლოს ის გარიგება მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. იგი ასლო აღმოსავლეთში სტაბილურობის ფაქტორიც გახდება.

სტოუნი გაურკვევლად ლაპარაკობდა, შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ მისმა საიდუმლო კავშირმა ცს ს-სთან უზრუნველყო საქმის წარმატებით დამთავრება, რისთვისაც ნორტონი და კიდევ ათიოდე იურისტი უკვე მთელი წელია იბრძოდნენ.

— კარგი, ბენ, გვეყო პარიზზე საუბარი. მინდოდა შენგან სრული წერილობითი ანგარიში მიმეღო, მაგრამ მოდი, ახლა იმაზე ვიფიქროთ, რა იქნება. შენ დაბრუნდი, შენი მეგობარი უიტმორი პრეზიდენტი გახდა, მომავალში ალბათ წარმატებები გელის. წავიდეთ ვისაუზმოთ.

ისინი დერეფნით ფირმის სასადილოსაკენ გაემართნენ, რომელიც ყველასათვის ღია რომ ყოფილიყო, კონკურენციას გაუწევდა ფრანგულ რესტორნებს ვაშინგტონში. ის ზოგავდა თანამშრომლების დროს და შთაბეჭდილებას ახდენდა კლიენტურაზე. ხარჯები კი მის შენახვაზე ორი ათასი დოლარი იწერებოდა გადასახადის ანგარიშზე.

თეთრხალათიანმა ზანგმა მათ ღვინო და კუს სუპი მოართვა. სტოუნმა საუბარი თეთრ სახლზე წამოიწყო.

— მითხარი, ბენ, დაბრუნების შემდეგ ელაპარაკე პრეზიდენტს ან ბატონ მერფს?

ნორტონმა ღიმილი შეიკავა.

— ჯერ არა, უიტ.

— ეს აუცილებელია, თავის არიდება არ ღირს. მათ ალბათ დაინტერესებთ, რომ შენ ისევ დაბრუნდი ვაშინგტონში.

ამჯერად ნორტონმა თავს უფლება მისცა გაეღიმა.

— ეჭვი მეპარება, უიტ, რომ ჩემი დაბრუნება მათ დაინტერესებს.

— ნუ თავმდაბლობ, ჩემო ბიჭუნა, მათ შენზე კარგი აზრი აქვთ, გარკვევით მაგრძნობინეს ეს, როცა ფირმაში ეწყობოდი. არ გამიკვირდება, თუ ისინი შენს გადაბირებას შეეცდებიან. უეჭველია, გექნება საქმე მათთან, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენს კლიენტებს შეეხებათ.

ეს იყო უთუოდ მიზეზი მისი ასე თბილად მიღებისა. ნორ-
ტონი შეეცადა საუბრის თემა შეეცვალა.

— უიტ, რას იტყვი უიტმორზე? პარიზში მე ერთმანეთის
საწინააღმდეგო აზრებს ვისმენდი.

— გამჭრიახი კაცია,— უპასუხა სტოუნმა, მის ხმაში იგ-
რძნობოდა პატივისცემა. — ზოგიერთ მის მოწინააღმდეგეს
სურდა ჩვენი კლიენტები მის წინააღმდეგ წაექეზებინა, მაგ-
რამ მან ბრწყინვალე სამუშაო ჩაატარა საკუთარი პრესტიჟის
განსამტკიცებლად, — ოფიციანტმა წვნიანის თეფშები წაიღო
და მეორე კერძი მოიტანა.

— იცი რა, ბენ, რადგან დაბრუნდი, უნდა დაგაკალო ერთი
სამუშაო.

— რაც მეტი იქნება, უკეთესია.

— ყოჩაღ, ჩვენ გამოგვიჩნდა ახალი კლიენტი, ფირმა „ბაკ-
სტერ კომუნიკეიშნ", მას აქვს ერთი პრობლემა, რაშიც შენ
შეგიძლია დაეხმარო.

— ხარვი ბაკსტერი, — თქვა ნორტონმა, — გახარებულმა
იმით, რომ უიტი საქმიან საუბარზე გადავიდა, — მას აქვს ტე-
ხასში რამდენიმე გაზეთი და ახლა ცდილობს გუბერნატორი
გახდეს, არა?

— ზუსტია, და კიდევ სურს პატარა ქალაქებში შეიძინოს
რამდენიმე რადიოსადგური. მაგრამ არა აქვთ წარმოდგენა,
როგორი დამოკიდებულება ექნება ამასთან ანტიტრესტების
განყოფილების ხელმძღვანელობას.

— გაი ტიმონსი, — თქვა ნორტონმა, — წავიკითხე მისი და-
ნიშვნის შესახებ.

— შენი ნაცნობია?

— ჩვენ ვხვდებოდით კაპიტოლიუმში. ტიმონსი უიტმო-
რისათვის რაღაც ცნობებს ამზადებდა. ჩემი აზრით, ეს არის
ერთადერთი პროფესორი, რომელმაც შეძლო შთაბეჭდილება
მოეხდინა ედი მერფზე.

— შეგიძლია მოელაპარაკო მას ბაკსტერის განზრახვის
შესახებ? რა თქმა უნდა, არაოფიციალურად.

— ვფიქრობ, უკიდურეს შემთხვევაში, იუსტიციის სამი-
ნისტროში მყავს ახლო ნაცნობები, ისინი დამეხმარებიან.

— ძალიან კარგი,— თქვა სტოუნმა, — შეეცადე რაღაც იღო-
ნო, მომავალ კვირაში. ბაკსტერი ჩამოვა ჩემს სანახავად.

— არჩევნების დროს, რა პოზიცია ეკავათ მის გაზეთებს?

— არც ერთ კანდიდატურას არ უჭერდნენ მხარს.

— ფულადი შენატანები?

— მან და მისმა ოჯახმა გადაიხადეს ათი ათას-ათი ათასი დოლარი თითოეულ კანდიდატურაზე.

ნორტონს გაეცინა.

— ეს არ უშველის.

— შესაძლებელია, ახლა მისი გაზეთები მხარს დაუჭერენ პრეზიდენტს.

— ეს საქმეს არ ავნებს.

— მოველაპარაკები მათ, — თქვა სტოუნმა, მან ყავას მოუ-რია და თემა ამოწურულად ჩათვალა. როცა საუზმე დამთავრ-და, სტოუნმა უცნაურად შესედა ნორტონს.

— კიდევ ერთი, ბენ, შეკითხვა შეიძლება ცოტა უცნაურიც იყოს, მაგრამ ხალხში ხმა დადის... შენ ხომ არ გსმენია უილ-ნორის რაიმე კავშირის შესახებ ახალგაზრდა ქალთან.

ნორტონმა შესვა ყავის უკანასკნელი ყლუპი და შეეცადა, რაც შეიძლება დამაჯერებლად ეცრუა.

— არა, რა არის?

სტოუნმა უკმაყოფილოდ მოკუმა ტუჩები.

— ალბათ, ხმები არასწორი იყო, — თქვა მან, — შენ თვი-თონ იცი, როგორ ვრცელდება ჭორი. მეგონა, თუ ჩვენ ად-ნიშნავენდით ამის მიზეზს, პრეზიდენტს კარგ სამსახურს გა-ვუწევდით. ეს ისე, შემთხვევითი აზრია.

ის წამოდგა, ნორტონიც ადგა.

— ბენ, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ ისევ ჩვენ-თან ხარ. — ნორტონსა უპასუხა, რომ ისიც მოხარულია. კმა-ყოფილებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ნორტონი თავის კაბინეტისაკენ გაემართა. ის ფიქრობდა, რომ საუზმეზე კარგად ჩაიარა, თუმცა, როგორც ყველა შეხვედრამ უილ სტო-უნთან, რაღაც ნალექი დაუტოვა.

ტელეფონმა დარეკა. ნორტონს დროებით არ ჰყავდა მდი-�და თავითონ აიღო ყურმილი.

— ბენ-ნორტონი? — იკითხა ვილაც უცნობმა.

— დიახ.

— ნახეთ „სტარის“ უკანასკნელი გამოშვება?

— ვინ ლაპარაკობს?

— გადახედე გაზეთს, მეგობარო, — თქვა მან, — შენი ერთი მეგობარი მკვდარი ნახეს.

— რაა?

უცხობმა ყურმილი დაკიდა. გაღიზიანებულმა ნორტონმაც ნელა დადო იგი. ნუთუ ვაშინგტონში ასე გახშირდა ხულიგნობა? მან მხრები აიჩეჩა, და იურიდიულ ჟურნალში სტოუნის მიერ რეკომენდებული სტატიის კითხვა დაიწყო, მაგრამ გული ვერ დაუდო, რაღაც უწეწავდა გონებას. ერთი წუთის შემდეგ იგი მისაღებში მდივნის მაგიდისაკენ გაემართა.

— „სტარი" უკვე მოვიდა, ჟოზი?

— ამ წუთში, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა და მიაწოდა გაზეთი.

ნორტონმა თვალი გადაავლო პირველ გვერდს და ქვემოთ აღმოაჩინა ის, რასაც ეძებდა. სათაური იტყობინებოდა:

ჯორჯტაუნში ნაპოვნია მკვდარი ახალგაზრდა ქალი.

მან კითხვა დაიწყო:

„ოლქის პოლიცია ამჟამად იძიებს ახალგაზრდა ქალის მკვლელობის საქმეს. მისი გვამი აღმოაჩინეს ჯორჯტაუნში, კერძო სახლში, ვოლტა-პლეისზე, სერჟანტმა კრავიცმა გვაცნობა, რომ შუადღისათვის ქალის ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია. არც ის არის გარკვეული, ვის ეკუთვნოდა მდიდრული კერძო სახლი, სერჟანტ კრავიცის თქმით, ქალს სახის არეში გაარტყეს და ალბათ ტვინის შერყევით გარდაიცვალა, დაცემისას მან თავი დაარტყა ყავის სასმელად განკუთვნილ მაგიდას. კრავიცმა აღნიშნა, რომ ქალი გაუპატიურებული არ არის. მისი აღწერით, იგი ოცდაათი წლისაა, სიმაღლე ხუთი ფუტი და ორი დიუმი. მას გრძელი, წაბლისფერი თმები და ამავე ფერის თვალები აქვს".

აღელვებულმა ნორტონმა ორჯერ გადაიკითხა ცნობა. შემდეგ გაიხსენა, რომ ფილ როსმა ჯორჯტაუნში ნახა დონა. აღწერილობა სავსებით ემთხვეოდა დონას გარეგნობას.

— ო... ღმერთო, — წაიჩურჩულა მან, — ეს შეუძლებელია.

იგი შეშლილივით გამოვარდა ქუჩაში და ტაქსებს უყვიროდა — თუ ღმერთი გწამთ, ჯორჯტაუნში წამიყვანეთო.

მეზობლები დილიდან უთვალთვალებდნენ პოლიციის მანქანების მიმოსვლას. სერჟანტ კრავიცთან პირველად მივიდა ლია მწვანე შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი მაღალი ქალი. მან ქუჩა გადმოჭრა და თვალით სერჟანტს ანიშნა, რომ მასთან ლაპარაკი სურდა; კრავიცი წინკარიდან ჩამოვიდა და ბატარა ეზოში შეჰყვა ქალს.

— მე მისის კარტერ ფლემინგი ვარ, ეცხოვრობ იქ, — მან თავის ხოძრაობით ანიშნა მოპირდაპირე მდიდრულ ვილაზე.

— თქვენ პოლიციელი ხართ?

— მე სერჟანტი კრავიცი ვარ, მკვლელობების სამძებრო განყოფილებიდან.

— მკვლელობა? ესე იგი, ვიღაც მოკლეს?

— იცით ვისია ეს სახლი, მისის ფლემინგ?

— სერჟანტ, იქნებ ჯერ თქვენ მიპასუხოთ ჩემს კითხვაზე? როგორც ჩანს, ჩვენ მეზობლები, ყველაფერს ბოლოს ვგებულობთ.

კრავიცი შეეცადა გამოეცნო, ვინ იყო ამ ქალის ქმარი, ადვოკატი? ჟურნალისტი? კონგრესმენი? ის დიდი ხალისით უამბობდა ყველაფერს, მაგრამ მისი შეკითხვა მიზანშეუწონლად ჩათვალა, რადგან იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ჯორჯტაუნელ ქალბატონებთან.

— ამ დილით აქ ნახეს მკვდარი ქალი, დაახლოებით ოცდახუთი წლისა, ხუთი ფუტისა და ორი დიუმის სიმაღლის, წაბლისფერი თმითა და მომხიბვლელი გარეგნობით. თუ იცნობდით მას? — თქვა მან.

— არა, არა მგონია.

— ხომ არ გინდათ დახედოთ, იქნებ ამოიცნოთ.

ქალი დაახლოებით 47—48 წლისა იყო, მაღალი, მზემოკიდებული. კრავიცმა იგრძნო, რომ ის სასიამოვნო პარტნიორი იქნებოდა, მაგრამ მისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. კლიენტებით შეიძლება ტელევიზორის ოსტატები გაერთონ, პოლიციელები კი არა.

— დავხედავ, თუკი ეს საქმეს გამოადგება.

კრავიცი მასთან ერთად შევიდა შინ და გადახადა მიც-

ვალებულს, მისის ფლემინგი ცნობისმოყვარეობით, ყოველგვარი ემოციების გარეშე დააცქერდა ქალის გვამს.

— მგონი, არასოდეს მინახავს იგი, — თქვა ბოლოს მან, — გააუპატიურეს?

— როგორც ჩანს, არა.

— საინტერესოა, — თქვა მან, — ჩემი აზრით, როცა მიმზიდველ ქალს აუპატიურებენ და კლავენ, ეს ერთია, თუ უბრალოდ კლავენ, ეს სულ სხვა საქმეა.

— კარგად შენიშნეთ, — თქვა კრავიცმა, — თუმცა მიხვდა, რომ შენიშვნა იმდენად კარგი არ იყო, რამდენადაც ლოგიკურად დანაშაული კი, რომელიც ჩადენილია აღელვების დროს, არასოდეს არის ლოგიკური. მაგალითად: არალოგიკურია, როცა ქმარი კლავს ცოლს გაუპატიურებამდე ან გაუპატიურების შემდეგ. მიუხედავად ამისა, კრავიცი ასეთ შემთხვევას ერთი ათჯერ მაინც შეხვედრია.

— დავუბრუნდეთ ჩემს პირველ შეკითხვას, მისის ფლემინგ. თქვენ იცით, ვის ეკუთვნოდა ეს სახლი?

— ის ეკუთვნოდა რუტ კოლდუელს, იქნებ გავიდეთ აქედან?

— რა თქმა უნდა.

პარმაღზე კრავიცმა სიგარეტს მოუკიდა და თანამოსაუბრესაც შესთავაზა, მისის ფლემინგმა უარი უთხრა.

— რუტ კოლდუელი, — თქვა მან, — გარისონ კოლდუელის ქვრივია. ის ბანკირი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ რუტი ქალიშვილთან გაემგზავრა ფინისკში. არ ვიცი სახლი გაყიდა თუ აქირავებს. ზოგჯერ აქ ცხოვრობენ, ზოგჯერ კი მგონი ცარიელია.

— ვინ არიან ისინი?

— მე აქ ორჯერ ვნახე ერთი ახალგაზრდა მსახიობი, თუმცა ის ცნობილი არტისტია, გვარი არ მახსოვს.

— ამ რამდენიმე დღის წინათ ხომ არ გინახავთ ვინმე?

— სახლში სინათლე ენთო და ერთხელ საღამოს, რამდენიმე დღის წინ, დავინახე როგორ გამოდიოდა ეზოდან ლიმუზინი. სახლი ძალიან კარგი არ არის, მაგრამ მანქანის გაჩერება ეზოში შეიძლება, ვწუხვარ, რომ მე არა მაქვს ამის საშუალება.

— თქვენ არ მიგიქცევიათ ყურადღება ლიმუზინში ვინ იჯდა?

— აზრადაც არ მომსვლია. ლიმუზინი ამ რაიონში არც თუ ისე იშვიათია. სერჟანტ ბოდიშს ვისდი, ცუდად ვგრძნობ თავს.

— იქნებ კიდევ ერთხელ მოგელაპარაკოთ, დღეს შინ იქნებით?

— არა მგონია, თავი გამოვყო, ქუჩა სავსეა მკვლელებით.

— დიდხანს მოგიხდება შინ ჯდომა, — გაიფიქრა კრავიცმა, მაგრამ ქალს ზრდილობიანად დაემშვიდობა. შემდეგ უთვალთვალებდა, შევიდოდა თუ არა იმ სახლში, რომელსაც საკუთარი უწოდა.

როგორც კი ქალი თვალს მიეფარა, სახლთან ტაქსმა მკვეთრად დაამუხრუჭა. ახოვანმა, ქერა მგზავრმა მძღოლს ფული გადაუხადა და სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან. კრავიცმა იაზრა, რომ უცნობი 40 წელს იქნებოდა მიღწეული. მას ხელში ეჭირა დახვეული გაზეთი. კარგად ჩაცმული, ფერი არ ედო სახეზე. ახლა მოვისმენ აღიარებას, ეს კაცი იტყვის, რომ მკვლელი ვარო, — გაიფიქრა კრავიცმა.

— მე მქვია ბენ ნორტონი, — თქვა მოსულმა, — მკვლელობა აქ მოხდა?

— დიახ აქ, მე სერჟანტი კრავიცი ვარ.

— გაზეთში დაბეჭდილი აღწერილობის მიხედვით ჩემს ნაცნობსა ჰგავს... მიცვალებული უკვე ამოიცნეს?

— შეიძლება გაზეთი ვნახო? — ჰკითხა კრავიცმა. გაოგნებულმა ნორტონმა თავის ხელს დახედა და კრავიცს გაზეთი გაუწოდა. სერჟანტმა თვალი გადაავლო ცნობას, სიამოვნება აღებეჭდა სახეზე, რომ იგი პირველ გვერდზე იყო გამოქვეყნებული, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა. მან გაზეთი ნორტონს დაუბრუნა.

— არა, ამოცნობა არ მომხდარა. გნებავთ დახედოთ მიცვალებულს? — ნორტონმა თავი დაუქნია და კრავიცს შინ შეჰყვა.

როცა კრავიცმა გვამს ზეწარი გადახადა, ნორტონმა იყვირა და მუხლებზე დაეცა. ხელი შეახო ქალს სახეზე და მისმა კანის სიცივემ და სიკვდილის რეალურობამ დაამუნჯა. დაჩოქილი, ფერმკრთალი და თვალცრემლიანი რაღაცას ჩურჩულებდა, შესაძლებელია მის სახელს.

კრავიცი პროფესიონალად უთვალთვალებდა. ანალოგიური სცენები მას ათასჯერ უნახავს. უნახავს ისტერიკები, სიცილი, ნრძნობის დაკარგვა, შოკი, გულის შეტევა, ნევროზი, ცუდად დამალული სიხარული — რომლითაც მკვლელები თავისთავს ეასცემენ ხოლმე. ამ კაცის ბეწუსარება სერჟანტს გულწრფელი ეჩვენა, რაც მისთვის არაფერს ნიშნავდა.

როცა ნორტონი ადგა, კრავიცმა გვამს ისევ გადააფარა ზეწარი და ნორტონს ვერანდაზე გასვლა შესთავაზა. ნორტონი სკამზე დაეშვა და სახეზე ხელები მიიფარა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, — სთხოვა მან.

— ნუ ჩქარობთ, მისტერ ნორტონ, — უპასუხა კრავიცმა, სიგარეტი გააბოლა და დაელოდა.

— ეს დონა სენდრიკსია, — თქვა ნორტონმა, როცა მას ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა. ის დაბადებით ცინცინატიდანაა. ვაშინგტონში ჩამოვიდა ექვსი თუ შვიდი წლის წინ, ბოლო დრომდე მუშაობდა სენატორ უიტმორის შტატში. მისი სრული ბიოგრაფია შეგიძლიათ ნახოთ სენატის კადრების განყოფილებაში. მეც უიტმორის შტატში ვმუშაობდი. ერთ დროს ჩვენ ახლობლები ვიყავით, შემდეგ დავცილდით. მე პარიზში გავემგზავრე სამსახურის საქმეებზე. როგორც ჩემთვის ცნობილია, ისიც გაემგზავრა ვაშინგტონიდან და ცხოვრობდა კალიფორნიაში.

— თქვენ არ იცოდით, რომ ის ვაშინგტონში დაბრუნდა?

— არა.

როგორც კი უპასუხა, ნორტონმა თავი დაიჭირა სიცრუეში. მართალია, მან ნამდვილად არ იცოდა, რომ დონა ვაშინგტონშია, მაგრამ ფილ როსისაგან ხომ გაიგო, რომ მან ქალი ახლახან ედი მერფთან ერთად ნახა. მართალია, ეს ცნობა გადმოცემით იცოდა და, ამასთან რასს შეიძლება შეშლოდა კიდეც, ნორტონი მაინც თვლიდა, რომ სერჟანტისათვის უნდა ეთქვა ჟურნალისტის მოსათხრობი. ყოველივე ეს არა თქვა იმიტომ კი არა, რომ შოკში იყო, არა, მას ამ მდგომარეობაშიც კი ეხმარებოდა პოლიტიკური ალღო. არ შეიძლებოდა, ასე იოლად ჩაერია ედი მერფი და შეიძლება პრეზიდენტიც კი ამ აშკარა მკვლელობის საქმეში, ნორტონმა შესანიშნავად იცოდა, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას: ხმები, ჭორები, საგაზეთო სტატიები, იპოზიციის ცილისმწამებლური კამპანი-

ები და ყოველივე ეს შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩენილიყო, ამან გადაწყვიტა, ედი მერფის მოლაპარაკებოდა, მისგან გაეგო ყველაფერი დაწვრილებით, რისთვის იყო ჩამოსული და რას აკეთებდა დონა ვაშინგტონში, მაგრამ მასთან ამ პოლიციელის გაგზავნას არ აპირებდა.

— თქვენ არ იცით მისის ხენდრიკსი რატომ წავიდა ვაშინგტონიდან?

ნორტონი ისევ შეყოვნდა. ეს შეკითხვები აღიზიანებდა მას ისე, როგორც კრივში მარცხენა ხელის პირდაპირ დარტყმა. მას არც ის შეეძლო სერჟანტისათვის ეთქვა, რატომ გაემგზავრა დონა ვაშინგტონიდან.

— ჩემი აზრით, ვაშინგტონი მობეზრდა, — უპასუხა მან. ეს უკვე მართალი იყო. — დონამ გადაწყვიტა, რომ ეს ქალაქი მამაკაცებისათვის არის, და მობეზრდა მათთან ბრძოლა, ის მწერდა კალიფორნიიდან, რომ მას სურს იცხოვროს განმარტოებით, იფიქროს საკუთარ მომავალზე და ხელი მოჰკიდოს ლიტერატურულ საქმიანობას.

— წერილი თქვენა გაქვთ?

— მე მგონი, — ორჭოფულად უპასუხა ნორტონმა, მან შესანიშნავად იცოდა, რომ წერილი შენახული ჰქონდა.

— მინდოდა გავცნობოდი მას.

— ეს აუცილებელია?

— მისტერ ნორტონ, გამიგეთ, ვიძიებთ მკვლელობის საქმეს. შესაძლებელია მისის ხენდრიკსი მოკლა მძარცველმა, ჩვენ აღმოვაჩენთ მისი თითების ანაბეჭდს და ხვალვე დავიჭერთ. მაგრამ საქმე შეიძლება უფრო რთულიც აღმოჩნდეს. ჩვენ მისის ხენდრიკსზე რაც შეიძლება ბევრი უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერში გავერკვეთ.

— ამ მეთოდებით თქვენ ვერაფერს მიაღწევთ. არც ერთი ნორმალური, ჭკუაზე მყოფი ადამიანი არ მოკლავდა დონას, ის იყო ძალიან კეთილი, ძალიან საყვარელი...

ნორტონმა თავი ჩაქინდრა, შემდეგ ისევ მოეგო გონს.

— ვინ იყვნენ მისი მეგობრები, მისტერ ნორტონ?

ნორტონი უკმაყოფილოდ მოიღუშა.

— მას ბევრი მეგობარი ჰყავდა.

— დაასახელეთ რამდენიმე გვარი.

— ნებისმიერი ადამიანი უიტმორის თანამშრომლებიდან,

ჩვენ ყველაზი მეგობრები ვიყავით. ისე, ქალებიდან დონას ყველაზე ახლო მეგობარი მაინც გვენ ბაუერსი იყო.

— გვენ ბაუერსი,— გაიმეორა კრავიცმა, — ის ტელევიზიით გამოდის ხოლმე, ხომ ასეა?

— დიახ, გვენი ახლა ცნობილი ქალია, — თქვა ნორტონმა. — დონა და გვენი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. ისინი დიდი ხნის წინ ერთ სახლში ცხოვრობდნენ.

— მტრები ჰყავდა მისის ხენდრიკსს?

— არა, არც ერთი სულიერი.

— ლამაზ ქალებს მტრები ჰყავთ.

— მე ვცდილობ გაგაგებინოთ, რომ დონა იყო საოცარი ქალი, — თქვა გაღიზიანებულმა ნორტონმა, — ის ყველას უყვარდა.

— ხომ არ იცით, ჰქონდა თუ არა მას გასულ წელს რაიმე რომანტიული გართულება.

— არა, საიდან უნდა ვიცოდე.

— კინოს სამყაროში ჰყავდა მეგობრები?

— კინოს სამყაროში? შესაძლებელია.

— ხომ არ იცით, ეს ვისი სახლია?

— არა.

— ყოფილხართ აქ ადრე?

— არა.

— არ იცით, რატომ გაჩერდა ის აქ?

— არა, — უპასუხა მან, ისე, რომ გაღიზიანებას ვეღარ მალავდა. პირველად ნორტონი ვერ ამჩნევდა კრავიცის გარეგნობას, ვერც მის ტონს, მაგრამ უცებ დააკვირდა და შენიშნა გამჭოლი, მოცისფრო-ნაცრისფერი, პატარა თვალები, კითხვებში მისდამი მტრული დამოკიდებულებაც ამოიცნო და ნორტონმა ამ სქელი, მელოტი პოლიციელის მიმართ, რომელიც სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, არაკეთილი განწყობილება იგრძნო.

— რას აკეთებდით გუშინ საღამოს, მისტერ ნორტონ.

— დილით ჩამოვფრინდი პარიზიდან, მთელი დღე მეძინა, საღამოს ავდექი და შევედი ბარ „ნატანაში", დავლიე ლუდი ჩემი სახლი ოცდამერვე ქუჩაზეა. ბარში შემთხვევით შევხვდი ჟურნალისტ ფილა როსას, ცოტა წავილაყბე მასთან. ძალიან

დაღლილი ვიყავი, ამიტომ ადრე, ასე რვა საათი იქნებოდა, დაებრუნდი შინ.

— თქვენ მარტო ცხოვრობთ?

— დიას.

კრავიცმა ისევ მოუკიდა და დაუსვა კარგახნის მომწიფებული კითხვა, იმდენად თვალსაჩინო, რომ ნორტონს თითქოსდა კითხვა არ უნდა ეცლია, ისე უპასუხა.

— მოდი, გავარჩიოთ, მისტერ ნორტონ. თქვენ არ გინახავთ მისის ხენდრიკსი უკვე ერთი წელია. თვლით, რომ იგი ცხოვრობდა კალიფორნიაში, მაგრამ როგორც კი გაზეთში წაიკითხეთ ჯორჯტაუნში ახალგაზრდა ქალის მკვლელობის შესახებ, ტოვებთ ყველაფერს და მოქრისართ აქეთ სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ ეს არის დონა. სწორად გაგიგეთ?

ნორტონი მოიღუშა და უხერხულად შეიშმუშნა სკამზე.

— არა, — უპასუხა ნორტონმა, — მე თქვენთვის არ მითქვამს ერთი უცნაური მოვლენის შესახებ.

— რომელზე?

— დღეს საუზმის დამთავრებისთანავე დამირეკა ვიღაც მამაკაცმა და მირჩია მენახა გაზეთი, რომელიც ჩემი ნაცნობის მკვლელობას იუწყებოდა. მაშინვე წავიკითხე გამოქვეყნებული ცნობა და დავრწმუნდი, რომ აღწერილობა მთლიანად ემთხვევა დონას გარეგნობას. ამიტომაც სასწრაფოდ წამოვედი აქეთ.

— იმ კაცმა არ დაასახელა ვინ იყო?

— არა.

— ხომ არ იცით, ვინ შეიძლება ყოფილიყო.

— არა.

— ხომ არ შეგიმჩნევიათ რაიმე განსაკუთრებული მის ხმაში. ვთქვათ, ზანგური, უცხო, სამხრეთული აქცენტი?

— რეკავდა, მე მგონი თეთრკანიანი, ხმა არასასიამოვნო ჰქონდა, უაქცენტო, — ნორტონი დაფიქრდა, — ერთადერთი იმან გამაოცა, რომ ის კაცი მე „მეგობაროს“ მეძახდა თავხედური მანერით, ამბობდა, „ჩაიხედე გაზეთში, მეგობარო, იმიტომ, რომ შენი მეგობარი მკვდარია“.

— იქნებ თქვენმა მდივანმა რაიმე შეამჩნია? — დაუჟინა კრავიცმა.

— არა, ყურმილი მე ავიღე.

კრავიცი თანამოსაუბრის სახეს ისე აკვირდებოდა, როგორც მეცნიერი აკვირდება მიკროსკოპში მიკრობს.

— მე თვითონ ვიმტვრევდი თავს ამ საკითხზე, — განაგრძო ნორტონმა. — ვის შეეძლო დაერეკა და რატომ? ვინ იცოდა, რომ ის მოკლეს? ჩემი აზრით, იცოდა თქვენმა ხალხმა, პოლიციამ და იმათ, ვინც გაზეთები უკვე გადაათვალიერეს, მაგრამ პარიზიდან ჩემი დაბრუნების შესახებ მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა.

ის გაჩუმდა და გაოგნებულმა გაიქნია თავი.

— თქვენ გავიწყდებათ ზოგი რამ, მისტერ ნორტონ, — მშვიდად თქვა კრავიცმა, — ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო მოკლული, საგაზეთო ცნობარში მისი გვარი არ ეწერა. მკვდარი რომ დონა ხენდრიკსია, ეს მხოლოდ მკვლელმა იცოდა და მან, ვისთვისაც მკვლელს შეიძლება მოეთხრო ამ შემთხვევის შესახებ. სულ ერთია, ეს გარემოება ვერ ხსნის იმას, თუ რატომ დაგირეკეს თქვენ.

— შეიძლება, მისი ამოცნობა უნდოდათ? — თქვა ნორტონმა.

— შესაძლებელია, — დაეთანხმა სერჟანტი, — მაგრამ პოლიციაში ან რედაქციაში დარეკვა და მოკლულის გვარის დასახელება უფრო ადვილი არ იყო, ვიდრე თქვენი ჩათრევა ამ საქმეში?

„თქვენი ჩათრევა", ეს სიტყვები განუწყვეტლივ ჩაესმოდა ნორტონს ყურში, მაშინაც კი, როცა ის რამდენიმე წუთის შემდეგ ვოლტა-პლეისზე მდებარე სასლიდან წამოვიდა. ნორტონი შეუთანხმდა კრავიცს, რომ ორ-სამ დღეში მისცემდა ოფიციალურ ჩვენებას.

მხოლოდ საუბრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მისვდა ნორტონი, რომ კრავიცისათვის ის ეჭვმიტანილი პიროვნება იყო. სერჟანტმა არ დაუჯერა, ტელეფონის დარეკვასთან დაკავშირებული ამბავი, გამონაგონად ჩათვალა. პოლიციელი ფიქრობდა, — ბოროტმოქმედი ხშირად უბრუნდება დანაშაულის ჩადენის ადგილსო. ეს უაზრობა იყო, მაგრამ ნორტონი გრძნობდა, რომ სერჟანტის თვალსაწიერიდან ეს შეიძლება სწორი ყოფილიყო: მიტოვებული საყვარელი, ერთი წლის შემდეგ ხვდება თავის ყოფილ მეგობარს, წაეჩხუბება და კლავს მას. ბოლოს და ბოლოს ნორტონმა შეიგნო, რა სე-

ტიოზულ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი უბრალო იყო დონას მკვლელობაში, მაგრამ ბრალი ედებოდა იმაში, რომ არ შეეძლო, ქალის შესახებ მოეთხრო პოლიციელებისათვის და ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ სერიოზულად გართულებულიყო მისი ცხოვრება. ის იყო „ჩათრეული" ამ საქმეში, ოღონდ არა იმ აზრით, როგორც ეს კრაგიცს მიაჩნდა.

ის ჩათრეული იყო იმიტომ, რომ ყოველ წამს უფრო და უფრო უძლიერდებოდა სურვილი, თვითონ მოენახა მკვლელი. მიდიოდა ვოლტა-პლეისზე და ვერ ამჩნევდა მეზობლებს, რომლებიც პარმაღიდან უყურებდნენ, ყურადღება არ მიაქცია იმ რეპორტიორსაც კი, რომელიც ეკითხებოდა, რა გვარი ხარო. სერჟანტი შეიძლება დაეჭვებულიყო, დაურეკა თუ არა ვინმემ ნორტონს, სერჟანტს შეიძლება ეფიქრა, რომ დონა მოკლა მან ან მძარცველმა. ნორტონმა კი იცოდა, რომ დონა მას არ მოუკლავს და რომ მძარცველები არასოდეს ურეკავენ იურისტებს, საკუთარი დანაშაულის აღიარებისათვის. ამ საქმის ირგვლივ რაღაც უცნაურობა ხდებოდა; ნორტონმა არ იცოდა კონკრეტულად რა, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ დონა მოკლულია, საშინლად სტანჯავდა. და მან თავის თავს პირობა მისცა, რომ ნათელს მოჰფენდა საიდუმლოს. მას სჭირდებოდა ჭეშმარიტების ცოდნა, მაგრამ არამარტო ცოდნა; მას სურდა შურისძიება ისეთი საშინელი, რომლის მსგავსიც კი არ არსებობს სამყაროში. პოლიციამ ეძებოს მძარცველი, თითების ანაბეჭდები, თმები, ნორტონისათვის არსებობს სხვა მიმართულება ძიებისა, მაგალითად, გაარკვიოს, რას აკეთებდა დონა ვაშინგტონში, რატომ ნგზავრობდა ედი მერფისან ერთად და ვის ეკუთვნის სახლი, რომელშიც დონა მოკლეს.

ნორტონმა უცებ აღმოაჩინა, რომ ის საკუთარ სახლშია, მივიდა ტელეფონთან. თავდაპირველად გვენ ბაუერსთან დარეკა, შემდეგ-თეთრ სახლში.

5

ნორტონი გვენის სახლისაკენ მიდიოდა, როგორც კი განიერი გაზონი გადაჭრა, დაინახა, ციდან როგორ მოსწყდა მოციმციმე ვარსკვლავი, რომელმაც დონა გაახსენა.

გვენი მას კარებთან ელოდა. ნორტონმა ხელი მოჰხვია. გაოცდა — რიგორი სუსტი და ნაზი ყოფილა. თავალცრემლიანი გვენი ნორტონს არასოდეს უსახავს, იმ საღამოსაც კი, როცა ჯონ კენედი მოკლეს, მაშინ ისინი ექვსნი თუ რვანი ისხდნენ კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე ბისის იატაკზე, სადაც იმ დროს გვენი დონასთან ერთად ცხოვრობდა. იგი საშინლად დათვრა, რაღაც სისულელეებს რიშავდა, მაგრამ არც ერთი წყეთი ცრემლი არ დაუღვრია.

— მაპატიე, — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, — მინდოდა შენს მოსვლამდე გამომეტირა, შემოდი, ყელი გავისველოთ.

— მინდა მოგელაპარაკო, გვენ. მინდა ზოგიერთი რამ გავარკვიო.

— მოვილაპარაკოთ, — დაეთანხმა ის. მას ეცვა შარვალი და სვიტერი, ქერა თმები ბეჭებზე ეფირა.

— საუცხოო სახლია, — თქვა ნორტონმა.

— ცოდვების მისაგებელია, ჩემო მეგობარო. ამ სასლში გასულ კვირას მეოთხედ მილიონს მთავაზობდნენ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ გვენი და დონა დამწყები ჟურნალისტები იყვნენ. წელებზე ფეხს იდგამდნენ ბინის ქირის გადასახდელად, მაგრამ გვენს არ უყვარდა აგრერიგად თავის შეწუხება. მას ღრღნიდა სურვილი, სწრაფად გამოსულიყო საზოგადოებაში და წარმატებამაც არ დააყოვნა. შეიძლება ითქვას, მან შესანიშნავი, თავისი არსით ერთადერთი საშუალება გამონახა. იგი გაჰყვა ძალზე მდიდარ მოხუც კონგრესმენს, რითაც ყველა გააოცა. მეგობარი ქალები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამ ქორწინებას გვენი ერთ წელზე მეტს ვერ გაუძლებსო, მაგრამ ქორწინებამ მხოლოდ ოთხ თვეს გასტანა, კონგრესმენი სწორედ რომ დროულად გარდაიცვალა გულის შეტევით (ეს წინასწარ განზრახული მკვლელობა იყოო, — დასაფლავებიდან სამი კვირის შემდეგ ერთ-ერთ წვეულებაზე, ჩურჩულით უთხრა მან ნორტონს, — მე სიქა გავაცალე მას).

— მეტს აღარ ვიტირებ, — დაჰპირდა ის. — არავითარი ორქიდეები მისის ბლენდიშისათვის, არავითარი ცრემლები მისის ხენდრიკსისათვის. ის იყო ძლიერი, ბენ, იმაზე უფრო ძლიერი, შენ რომ გეგონა. ძლიერი და დიდებული. იყო ძლიერი და აფთარი — ადვილია, მაგრამ ძლიერი და დიდებული — თითქმის შეუძლებელი. ის მკვდარია, მაგრამ იცი რა? დონამ

უკანასკნელი სუთი წელი ისე ლამაზად იცხოვრა, რომ ზოგიერთი ქალი სთელი საუკუნე ვერ მოახერხებს. ბევრი ქალ-მკვდარნი ბადება, ისინი ლამაზმანები ხდებიან, შინაგანად კი უსულგულოები არიან. დონამ კი, როგორც დადგა თავის პაწია, ფეხებზე, განაცხადა: „ეშმაკსაც წაეღიხარ, მსოფლიო, ჩე ეს ნე გარ ლა ჩვენ ჩემი წესებით ვიცხოვრებთ". ეს ასეც ნორდა, მშვიდად განისვენე, ძვირფასო, მშვიდად და ეშმაკსაც წაეღია ყველა დანარჩენი.

ბვენი ისევ ატირდა, ტიროდა და ჯიქურ შესცქერიდა ნორტონს, ოითქოს უმტკიცებდა, შენზე ნაკლებ როდი მიყვარდა დონა. დონას გამო მათ შორის ყოველთვის იყო ფარული მეტოქეობა, რას იზამ, ასეთი იყო ის; ადამიანები მას ბესაკუთრებივით ექცეოდნენ, დონა კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის უმხედრდებოდა.

— მახსოვს სალამო, როცა ჩვენ ჩამოვფრინდით ამ დაწყევლილ ქალაქში, — განაგრძო გვენმა, — მანამდე არც ერთი არ ვიყავით აქ ნამყოფი. მე ის-ის იყო სრულწლოვანი გავხდი, რომ კლივენდელმა მეტიჩარამ გადავწყვიტე დამეპყრო ვაშინგტონი და დონაც გამოვიტყუე, რადგან ვიცოდი, ის ვინმე ადიოტს გაყვებოდა ცოლად, და მთელს ცხოვრებას გაატარებდა მის მოვლა-პატრონობაში. როგორც კი თვითმფრინავი აფრინდა, ჩვენ ცოტა დავლიეთ და იმწამსვე ჩაგვეძინა, ვაშინგტონის თავზე გაგვეღვიძა. არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ გადავისედე ძირს და დავინახე ღამის ქალაქი, მანქანები მეშორიალნის ხიდზე, ეს წყეული უღამაზესი ძეგლები, კაპიტოლიუმის გუმბათი და ავტირდი. მე მოვიჩქაროდი აქეთ. ნინდოდა, რომ ეს წყეული ქალაქი ჩემს ფერხთით გართხნილიყო. ერთმა მსახიობმა მიოხრა, მეც ანალოგიური გრძნობა ბქონდა, როცა ჰოლივუდში გორაკზე ავედი და ლოს-ანჟელესს გადავხედე, ალბათ, იგივეს განიცდიან სხვებიც, როცა ახალგაბრიელა არიან და სჯერათ, რომ ყველაფერს მიაღწევენ. თვითმფრინავი ეშვებოდა, მე ვტიროდი, დონას კი ეგონა, ნიში მატირებდა, ამოკვდა ხელი და დამამშვიდა, როგორმე ან დავიკარგებითო.

კონგრესმენის სიკვდილს მოჰყვა იურიდიული გართულებები მის სრულწლოვან შვილებთან. საქმის დამთავრების შემდეგ ბვენს დარჩა საკუთარი სახლი სპრინგ-ველიზე, იგი ცხო-

ბილი ქალი გახდა. დაწერა რამდენიმე კვიმატური სტატია სექსის შესახებ ვაშინგტონში, რაშაც გაუხსნა გზა იდუმალებ.ით მოცულ წრეში, რომლის წარმომადგენლები გამოდიან ტელევიზიით იმიტომ, რომ ცნობილი ადამიანები არიან, ცნობილი ადამიანები კი იმიტომ არიან, რომ ტელევიზიით გამოდიან. ამასთან, გვენი პოულობდა დროს „რომანტიკული", როგორც დელიკატურად ამბობენ მაღალი საზოგადოების ქრონიკიორები, ურთიერთობისათვის ცნობილ ახალგაზრდა (ცოლიან) სენატორთან, ერთ-ერთ ასე თუ ისე ცნობილ კოსმონავტთან, ვაშინგტონის „წითელკანიანების" გუნდის სამ თუ ოთხ ბეისბოლისტთან. გვენი ცნობილი პიროვნება გახლდათ და ამით ტკბებოდა. ნორტონს მასთან გაორებული ურთიერთობა ჰქონდა. იგი თვლიდა მას სამართლიან ქალად, მაგრამ არ ენდობოდა. ნორტონმა იცოდა, რომ ის და დონა მეუობრები იყვნენ და ხშირად ფიქრობდა, რომ გვენი ცუდ გავლენას მოახდენდა დონაზე. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ გვენმა ზუსტად იცოდა, რა ხდებოდა მთელს ვაშინგტონში. ამაში მას ვერავინ შეედრებოდა, ამიტომ ნორტონს იმედი ჰქონდა, რომ გვენი მოუყვებოდა ისეთ რამეს, რომელიც არავის არ ეცოდინებოდა.

გვენმა იგი შეიყვანა უზარმაზარ მუქკედლებიან ბიბლიოთეკაში, სადაც ბუხარი ენთო. ნორტონი აქ ნამყოფი იყო. მაშინ ბუხრის თავზე კონგრესმენის დედის სურათი ეკიდა, ახლა ის შეცვალა ლარი რივერსის სურათმა, რომელზედაც ნაგვის გროვა იყო გამოსახული.

— დაასხი, დავლიოთ, — თქვა გვენმა, — და კუთხეში მდგარ ბარზე მიუთითა. — გინდა ახალი ამბები ნახო?

— არა, — უპასუხა მან. ორი ჭიქა შეავსო შოტლანდიური ვისკით და ქალს მოუჯდა გრძელ მწვანე სავარძელში.

გვენმა ჭიქა ასწია და ნორტონს მიუჭახუნა.

— ღმერთო, რა კეთილი იყო, თუ უკვე მოგიყევი ეს?

ნორტონს ესმოდა, რომ გვენი ყველაფერს გულწრფელად ამბობდა, მაგრამ მაინც, ერთხანს მის მიმართ სიძულვილს გრძნობდა, იმიტომ რომ მან ჩამოიყვანა დონა ამ სასტიკ ქალაქში, იმისათვის, რომ ის ცოცხალია და დონა მკვდარი.

— მერე რა, შენ ხომ მიაღწიე შენსას? — ხმადაბლა თქვა ნორტონმა, — მთელი მსოფლიო შენს ფერხთითაა.

— სისულელეა, — მკვახედ უთხრა გვენმა, — სახელმოხვეჭილი რომ ვარ, თუ ეს გაქვს მხედველობაში, მიმიფურთხებია სახელისათვის და ტელევიზორში ლაყბობისათვის, დიდი რამეა. შენ იცი, მე მემუარებს ვწერ. ერთმა იდიოტმა გამომცემელმა ასი ათასი დოლარი მომცა ავანსად.

გვენმა ხელი თმებზე ჩამოისვა, გაეღიმა და შესვა ვისკი. ნორტონს მოეჩვენა, რომ ის ცოტა შეთვრა; ეს მას აწყობდა, ასე შეეძლო მეტი ეთქმევინებინა მისთვის.

— საკმარისია, — თქვა გვედნმა, — საკმარისია სასიამოვნო მატერიებზე საუბარი. შენ მოსალაპარაკებლად მოხვედი, მოდი, მოვილაპარაკოთ.

— ძალიან კარგი, — თქვა ნორტონმა. — აი რაშია საქმე, გვენ, მე გუშინ დილით დავბრუნდი. მეგონა, დონა კალიფორნიაში იყო, მაგრამ გუშინ ღამით ის ვაშინგტონში, ვოლტა-პლეისზე ერთ სახლში ყოფილა და იქ ვიღაცას მოუკლავს. ეს არის ყველაფერი, რაც ჩემთვის ცნობილია. მე მინდა გავიგო, ვისია ეს სახლი, რას აკეთებდა დონა ვაშინგტონში და როგორ ცხოვრობდა ჩემი არყოფნისას.

— რაც შეეხება სახლს, მე შემიძლია გითხრა ვისია, — უპასუხა გვენმა, — ოღონდ არ წამოგცდეს, ჩემგან რომ გაიგე, ის ჯეფი ფილდსის სახლია, იანვრის დასაწყისში არენდით დაიქირავა, ახლა შეიძლება შეისყიდოს კიდეც.

— მსახიობს რად უნდა სახლი ვაშინგტონში?

— ჯეფს უყვარს სახლების ყიდვა. შეიძლება, ფიქრობს, რომ უმეტეს დროს ვაშინგტონში გაატარებს. საარჩევნო კამპანიის დროს ძალიან დაუმეგობრდა უიტმორს, ან შეიძლება მოეჩვენა კიდეც ეს.

— დაუმეგობრდა უიტმორს?

— საარჩევნო კამპანიის დროს ჯეფმა უშოვა აუარება ფული, მისგან იყო უიტმორი დაახლოებული სანახაობითი ბიზნესის ტიპებთან. მაგრამ, როცა უიტმორმა თეთრ სახლში შეაღწია, უკვე აღარ დასჭირდა მოხდენილი ტიპები ჰოლივუდიდან. ასე, რომ ახლა ჯეფს აღარც იწვევენ ოფიციალურ სადილებზე, როგორც ის ელოდა.

— რატომ ჩაერთო ის საარჩევნო კამპანიაში?

— ვიღაც-ვიღაცეებს ეგონათ, რომ უიტმორი იდეალისტია

ღა სურდათ, დასმარებოდნენ უკეთესი ამერიკის აშენებაში. ხას კი იმ პერიოდში რეკლამა სჭირდებოდა.

— როგორ აღმოჩნდა დონა იმ სასლში? რომანი ჰქონდათ? გვენმა თავი გააქსია.

— დონა არ იყო ჯეფის შესაფერი ქალი. ჯეფი ისეა გატაცებული სექსით, როგორც შენი მეგობარი უიტმორი პოლიტიკით. ჯეფი თავდავიწყებით სწავლობს სექსის ხელოვნებას. დონა არ აჰყვებოდა იმ თამაშებში, რითაც ის და მისი მეგობრები ერთობიან. დონამ და ჯეფმა ერთმანეთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაიცნეს. ამ პერიოდში, მგონი, დამეგობრდნენ კიდეც. ჰოდა, ჯეფმა რომ გაიგო, დონა ვაშინგტონში მიემგზავრებოდა, ალბათ, შესთავაზა ჩემს სასლში იცხოვრეო.

— როგორ ვიპოვო ფილდსი?

— მას კანტორა აქვს პალმ-სპრინგსში „ფილის პროდაკშნზ", იქ ყოველთვის იციან, სად არის ის, შეიძლება სულაც იქვე დაგვსვდეს.

— დავლიოთ კიდევ? — ჰკითხა ნორტონმა.

— რა თქმა უნდა, იქნებ ჰაშიში გინდა?

— დღეს არ მინდა. — მან შეავსო ჭიქები და ისევ ქალს მიუჯდა, მისმინე, გვენ, ოდი, მთაუარზე გადავიდეთ. როგორ იყო დონას საქმე თავის მეგობართან? ჩემთვის ესაა მთავარი და ამის გაგება მხოლოდ შენგან შემიძლია.

— როგორი გაგებით? ის ამბავი უკვე კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა.

ნორტონი შეყოვნდა, უთხრას თუ არა მას ყველაფერი. გვენმა ხომ გულახდილად უთხრა ყოველივე მან კარგად იცოდა, რომ გვენი უსასყიდლოდ არაფერს იტყოდა.

— უნდა გაგანდო, ერთმა ადამიანმა მითხრა, რომ ამას წინათ დონა ნახეს ჯორჯტაუნში ედი მერფთან ერთად, ისე რომ „შორეულ წარსულზე" მე ეჭვი მეპარება.

გვენი გაყინული თვალებით მიაშტერდა მას. ნორტონი დაინტერესდა, გულის კუნჭულში რას ფიქრობდა მასზე გვენი, ერთ წვეულებაზე მან ხომ ნორტონს გაუთლელი სამხრეოელი უწოდა, რომელიც ღირსი არ იყო, შეხებოდა დონას კაბის კალთასაც კი, და ეტყობა, მაშინ ეს სიტყვები გულწრფელად იყო თქმული.

— მაშინ როგორიღა მდგომარეობა იყო, შენ რომ საფრანგეთში გაემგზავრე? — რაღაც ძალზე ორაზროვნად იკითხა ჩვენმა.

ნორტონი მიუხვდა ეშმაკობას, გვენი ცდილობდა, დაეტყუა რაც იცოდა, მაგრამ პასუხის გაუცემლობა არ შეიძლებოდა.

— შარშანწინდელი შობა დღის წინ ყველაფერს წერტილი დაესვა. — თქვა ნორტონმა, — მინდოდა, ცოლად შემერთო. ჩვენ ვცხოვრობდით ერთად ხუთი თუ ექვსი თვე და ვგრძნობდი, რომ ჩვენი ქორწინება ჯერჯერობით ვერ მოხერხდებოდა, ვფიქრობდი, ვიმუშავებდით უიტმორთან საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე, მერე დავქორწინდებოდით, მე შევუდგებოდი კერძო პრაქტიკას, გავმდიდრდებოდი. შემდეგ კი ვიცხოვრებდით ბედნიერად, მაგრამ ის უარით მისტუმრებდა, მეუბნებოდა, ვერაფრით გადამიწყვეტიაო. მერე ისევ თავის ბინას დაუბრუნდა. არაფერი მესმოდა, ვეკითხებოდი: „რისთვის? რატომ?" მას კი არ შეეძლო აეხსნა. მერე, როცა ყველამ თავი მოვიყარეთ ნიუსემპშირში წინასაარჩევნო კრებაზე, ის ყველაფერში გამომიტყდა. ატირდა, მითხრა: — შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო, რომ არაფერი მეთქვა, გავწუმებულიყავი, მაგრამ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შენი მიტოვება საზიზღრობა იქნებოდაო.

ყველაფერი გულახდილად მომიყვა, მერე ფიცი ჩამომართვა, რომ საიდუმლოს არ გავთქვამდი.

მე კინალამ გავგიჟდი, მინდოდა მაშინვე მომეკლა ის ქვეწარმავალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, დონამ დამაწყნარა; მითხრა, რომ ეს ამბავი ბოლომდე უნდა მიიყვანოს, რომ მე უნდა გავუგო, რომ შესაძლებელია, ჩვენ მომავალში ისევ ერთად ვიყოთ და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, არავინ არ მომიკლავს, მაგრამ არც იმასთან დავრჩენილვარ, წამოვედი კაპიტოლიიდან და როგორც კი შემთხვევა მომეცა, წავედი საზღვარგარეთ. ძალიან ცუდად ვიყავი, არ შემეძლო მასთან ერთად მეცხოვრა ერთ ქალაქში კი არა, ერთ სახელმწიფოშიც კი. შემდეგ, ავლისში დონამ მომწერა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა, და რომ ის უკვე კალიფორნიაში მიემგზავრება, სურს იქ დაუფიქრდეს განვლილ ცხოვრებას, მე მაშინვე ვუპასუხე, მივწერე, რომ ჩამოსულიყო პარიზში, ან მე ჩავიდოდი მას-

თან, მაგრამ პასუხი აღარ მიმიღია და გადავწყვიტე, დავმორჩილებოდი ბედს. აი, ყველაფერი, რაც მე ვიცი, გარდა იმისა, რომ გუშინ დილით ჩამოვფრინდი, ის კი საღამოს მოკლეს.

სანამ ნორტონი ლაპარაკობდა, გვენი თვალს არ აშორებდა მას. ნორტონმა უცაბედად გაიფიქრა, რომ ის ძალიან საშიში ქალი ჩანდა.

— დარწმუნებული არ ვიყავი, რომ შენ ყველაფერი იცოდი, — თქვა გვენმა, — ეფიქრობდი, რომ ამიტომ გაემგზავრე, მაგრამ ყველაფერი მაინც არ იცოდი, რადგან ასეა, გეტყვი. მან ამის შესახებ მეც დაახლოებით იმ პერიოდში მიამბო, როცა შენ. იმ საშობაო დღეებს მისთვის დიდი სიხარული არ მოუტანია. ის იჯდა აქ, სადაც შენ ზიხარ ახლა, ყვებოდა მთელ ისტორიას თავის თავზე, შენზე და, საერთოდ, ყველაფერზე, მერე ატირდა, მთელი საათი ტიროდა, ლაპარაკობდა, რომ თავი უნდა მოიკლას, რომ გაორებული ცხოვრება მას აღარ შეუძლია, სხვა ქალები მის ადგილზე იოლად გამოვიდოდნენ მდგომარეობიდან. საქმრო და საყვარელი, უკანასკნელი განავარდება, სანამ ცოლქმრულ უღელს დაიდგამდა ქედზე. ეს ასე ხდება ყველგან და ყოველთვის. მაგრამ დონა არ იყო ასეთი ქალი. მას სურდა მხოლოდ ერთი მამაკაცი. წყეული ბედი კი აიძულებდა ორი მამაკაცი ყვარებოდა. შემდეგ ის ჩემთან თითქმის ყოველ კვირას მოდიოდა, ისე, უბრალოდ, რომ დალაპარაკებოდა ვინმეს, რომ გარკვეულიყო ყველაფერში. როცა შენ გაემგზავრე, გავიფიქრე, დონასთვის იქნებ ასე სჯობდა-მეთქი. მაგრამ ამ დროს დაიწყო წინასაარჩევნო კრებები და ყველაფერი უფრო მეტად გართულდა.

— რატომ? — ღვარძლიანად იკითხა ნორტონმა, — ისინი ხომ ერთად მოგზაურობდნენ, იქნებ მე ვცდები? კლერის დაკინებული თვალთვალისაგან თავი რომ დაეღწიათ?

— კლერი არ უქმნიდა მათ დაბრკოლებას. მას დონას მსგავსი ქალები ვიგინდარებად მიაჩნია. ყველა სენატორის ცოლი ერთნაირად აზროვნებს. ისინი ქმრებთან არიან იმ იმედით, რომ ცისარტყელას დასასრულს გამოჩნდება დიდი თეთრი სახლი. რა თქმა უნდა, წინასწარი კრებების დროს მათ შეეძლოთ, უფრო ხშირად ყოფილიყვნენ ერთად. სენატორები იოლად პოულობდნენ ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალს: ან ყოვნდებოდნენ კაბინეტში, ან ქირაობდნენ ბინას კაპიტო-

ლიუმის გორაკზე, მაგრამ, როცა სენატორი პრეზიდენტობის კანდიდატი ხდება, საქმე რთულდება, მათ დარაჯობს საიდუმლო პოლიცია. საიდუმლო სამსახური პრინციპში პრობლემა არ არის. ეს ბიჭები მალე ეჩვევიან ენაზე კბილის დაჭერას. მთავარია რეპორტიორები. ისინი პრეზიდენტის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ, და, თუკი რამე შენიშნეს, იმავე დღეს აქვეყნებენ გაზეთებში. დონამ ერთხელ როგორღაც თქვა — მისდა რეპორტიორებს კვალი ავუბნიო, ამიტომ რომელიმე მათგანთან სასიყვარულო ინტრიგა უნდა გავაბაო.

— იქნებ ამ ფუნქციას ჯეფ ფილდსი ასრულებდა?

— შესაძლებელია, ყოველ შემთხვევაში, როცა წინასწარი კრებები დამთავრდა, ისინი ორივენი კინაღამ ჭკუიდან შეიშალნენ. მე მგონი უიტმორი უფრო ცუდად იყო, ვიდრე დონა. რაც უფრო უახლოვდებოდა მიზანს, უფრო ეძნელებოდა რისკის გაწევა. დონა ჩამოვიდა ჩემთან ივლისში, მანამდე, სანამ ის პარტიის ყრილობაზე გაემგზავრებოდა. მითხრა, რომ მათ გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაშორებოდნენ, რომ ის ტოვებს სამსახურს და მიემგზავრება კალიფორნიაში.

— სამუდამოდ დაშორდნენ თუ საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე?

— დონამ თქვა, რომ სამუდამოდო. ამის შემდეგ მან რამდენჯერმე დამირეკა, მეტად კმაყოფილი ხმა ჰქონდა. უიტმორი აღარასოდეს უხსენებია.

— როგორ ცხოვრობდა კალიფორნიაში?

— კარმელთან ახლოს იქირავა სახლი. ამბობდა, რომ ცოტ-ცოტას ვწერო. ლეკვი ჰყავდა, მეტსახელად „დინამიტი“, ერთხელ დონამ დამირეკა, მე ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი, მიპასუხა, რომ მთელი დღე ვუყურებ, როგორ დასდევს „დინამიტი“ პეპლებსო.

— რით ირჩენდა თავს?

— ცოტა რამ გადანახული ჰქონდა, თან ფილმზე მუშაობდა და მის ჰონორარს ელოდა.

— რას წარმოადგენს ეს ფილმი?

— ჰქონდა სცენარის მონახაზი, ამბობდა — ვითომ რომელიღაც პროდიუსერი დაინტერესდა ამ ფილმის იდეით. ერთი სიტყვით, ის სცენარს წერდა!

ნორტონი ადგა და ბუხარს შეუკეთა. ნაპერწკლები აკიაფდა და ოთახში საამო სურნელი დატრიალდა.

— ვერ წარმომედგინა მათი ერთად ყოფნა, — თქვა ნორტონმა. — ვცდილობდი, ობიექტური ვყოფილიყავი, განმესაჯა ისე, როგორც მოწიფულ ადამიანს შეეფერება. ვიცი, რომ ის მიმზიდველი მამაკაცია, ვიცი ყველაფერი ხელისუფლების სინდრომების შესახებ, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა, რომ დონა ძოიხიბლებოდა უიტმორით.

— ბავშვი ხარ, ბენ, არაფერი გაგეგება.

— აი შენ კი ადვილად წარმოგიდგენდი უიტმორთან ერთად.

— ...ჩვენ ვერ ვიტანთ ერთმანეთს პირველივე შესვედრიდან. ძალიან ბევრი საერთო კი გვაქვს.

— გვენ, ბევრმა იცოდა მათ შესახებ?

— არა. თვითონ მათ, შენ და მე. შესაძლებელია, კიდევ ედი მერფმა.

— მერფმა უთუოდ, — თქვა ნორტონმა. — ედმა ყველაფერი იცის. საინტერესოა, შტატის თანამშრომლებიდან თუ იცოდა ვინმემ. მაგალითად, ნიკ გალიანომ.

— მაგ რეგვენმა?

— ის ისეთი რეგვენია, რომ თავის საუკეთესო მეგობართან სვამს და თამაშობს გოლფს და ამისათვის იღებს წელიწადში 35 ათას დოლარს. ნიკმა ბევრი რამ იცის. ოღონდ იმის თქმა არ შეიძლება, რა იცის და რა არა.

— არა მგონია, ბევრს სცოდნოდა, ჭორი რომ გავრცელებულიყო, მე აუცილებლად გავძლებდი. ასე რომ, შესაძლებელია, ვიცით მხოლოდ ჩვენ ოთხმა: შენ, მე, უიტმორმა და მერფმა. იქნებ — ნიკ გალიანომაც.

— მოვლენები სწრაფად განვითარდება, ხვალ მეგაზეთეები გაიგებენ მის გვარს და იმასაც, რომ იგი უიტმორის შტატში თანამშრომლობდა. მალე იმასაც გაიგებენ, რომ ის სახლი ეკუთვნის ფილდს. რეპორტიორები დაიწყებენ ჩაძიებას.

— რა თქმა უნდა, მაგრამ რას აღმოაჩენენ? ჯეფი იტყვის, რომ ამ სახლში ცხოვრების უფლება მან მისცა, კიდევ რა? არა მგონია, რომ ვინმემ ხელახლა დაიწყოს ძიება იმ ამბისა, რომელიც დასრულდა რამდენიმე თვის წინ და, რომელზედაც თავის დროზე ხმა არ ამოუღიათ.

— ამაზე კიდევ ალაპარაკდებიან, — ჯიუტად თქვა ნორტონმა.

— მერე რა? ვინ გამოაქვეყნებს მითქმა-მოთქმას მკვდარ ქალზე, რომელიც ყველას უყვარდა, ან პრეზიდენტზე, რომელიც ცნობილია შტატში, როგორც საუკეთესო მეუღლე, ოჯახის მამა და დედათა და ბავშვთა მფარველი? ღმერთო ჩემო, კენედის ხომ თეთრ სახლში მოჰყავდა ქალები, ყველამ იცოდა ამის შესახებ, მაგრამ არავინ არ ბეჭდავდა გაზეთში. პრეზიდენტს შეიძლება ჰყავდეს საყვარლები, თუ იგი ვარდების ბაღში არ ერთობა მათთან, ტურისტების თვალწინ, ან არ ტოვებს ცოლს მათ გამო.

— გვენ, მე ველაპარაკე სერჟანტს, რომელიც იძიებს საქმეს. ის სასტიკი, საეჭვო მამაძაღლია. ჩვენ ბევრ შეკითხვას მოგვცემენ, რომლებზედაც, ფიცის შემდეგ, უნდა გავცეთ პასუხი.

— მიმიფურთხებია! რომელიღაც ნარკომანმა გატეხა სახლი, უნდოდა სტერეო წაეღო და ერთ დოზა მორფზე გადაეცვალა, ამ დროს იქ დონა დახვდა და მოკლა იგი. ასეთი ამბები ყოველდღე ხდება. მე რომ შემეძლოს მკვლელის მოძებნაში დასმარება, დავეხმარებოდი, მაგრამ ძველ ამბავს პოლიციაში არ მოვყვები. ეს არაფერს მოგვიტანს, მხოლოდ საბრალო დონას სახელს მიაყენებს ჩრდილს და შენც ჯობია ხმა გაკმინდო.

ნორტონს ესმოდა, რომ გვენი მართალი იყო, ესმოდა, რომ ისიც ზუსტად ასე მოიქცეოდა, როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო რისკი, უიტმორის გამო კი არა, — ის ეშმაკსაც წაუღია, — მხოლოდ დონას გამო. როგორც კი ეს გაიცნობიერა, წასვლა დააპირა, მაგრამ საჭირო იყო კიდევ ერთი რამის გაგება.

— რისთვის მოიქცა ასე, გვენ? თავის დროზე ის ცდილობდა ჩემთვის აეხსნა, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

— რისთვის? რატომ დაუკავშირდა ის დიდ ჩაკს, როცა შეეძლო ცოლად გაჰყოლოდა საიმედო ბენს? წარმოსადეგ, ცისფერთვალება იურისტს, რომლისგანაც ეყოლებოდა ბავშვები, ექნებოდა განაღდებული ანგარიშები და დასვენების დღეებს გაატარებდა ქალაქგარეთ? იმიტომ, რომ მას ეს ბედი ეწერა, რატომ არ დარჩი შენ რინგვორმში, სამხრეთ კაროლინის შტატში, ანდა საიდანაც ჩამოხვედი და არ შეუდექი საადვოკა-

ტო პრაქტიკას, იმიტომ რომ გინდოდა, გესინჯა რა სიმაღლეზე შეგეძლო ასვლა. ასევე მოიქცა ისიც. მაგალითად, რატომ მაისცა და მაინც უიტმორი აირჩია? რატომაც არა, დონა იყო ლამაზი, მომხიბვლელი, გათამამებული, იგი ყველაფერს ადვილად აღწევდა, მაგრამ რაღაცეები შეიძლება გაჭირვებოდა კიდეც. მას უნდა მიეღო მტკიცე გადაწყვეტილებები, დატანჯულიყო, მომწიფებულიყო. მინდოდა მივშველებოდი, მაგრამ არ შემეძლო, და ვერც ვერავინ შეძლებდა. ის დამოუკიდებელი იყო და მე ვამაყობდი დონათი, მაგრამ შენთვის ყველაფერი ეს გაუგებარია, ხომ ასეა?

— კი, — უპასუხა ნორტონმა. — გაუგებარია. გაუგებარია ისიც, ჩამოსვლისთანავე რატომ შენ მაინც არ შეგატყობინა, თუ შენ იცოდი?

— არა, — უპასუხა გვენმა, — მე არ ვიცოდი.

ნორტონი წამოდგა და ოდნავ შეტორტმანდა.

— უნდა წავიდე.

გვენმა შესდა მას.

— დარჩენა არ გინდა?

ნორტონს გაეღიმა, მაგრამ გვენმა შეაწყვეტინა.

— იმისთვის არა, თვითკმაყოფილო რეგვენო, შენთან დაწოლა ეს ხომ იგივეა, რაც ჩემს იდიოტ ძმასთან. უბრალოდ არ მინდა, ტელეფონის ბოძებს რომ მიეყრდნო.

— მე მთვრალი არ ვარ, — უპასუხა ნორტონმა.

— მაინც, რისი გაკეთება გაქვს გადაწყვეტილი? მხედველობაში მაქვს ეს ამბავი.

— შეკითხვების მიცემა, სანამ პასუხებს არ მივიღებ.

— რატომ ერევი ასეთ საქმეში, ბენ? შეეშვი, პოლიციამ მოუაროს.

— პოლიციას აინტერესებს ერთი, მე — მეორე. — ის კარის კენ გაეშართა, მერე რაღაც გაახსენდა, — შენ არ იცი, სვამდა თუ არა დონა ქლიავის ნაყენს? რაღაცნაირი უფერული სასმელია, არაყს ჰგავს, ბოთლი თორმეტი დოლარი ღირს?

— რატომ კითხულობ?

— იმ სასლში იყო ასეთი ბოთლი. საღამოს დონა გამოვიდა შინიდან და იყიდა.

— ამის შესახებ იმ სერჟანტმა გითხრა?

— არა, მე ვნახე ბოთლი, ბარზე იდვა. დღეს დავიარე

რამდენიმე ღვინის დუქანი და ვნასე ბიჭი, რომელმაც მიჰყიდა დონას ის ბოთლი. მან დაიმასსოვრა დონა. შეიძლება სერჟანტმაც შეისედოს მასთან.

გვენი ადგა, მივიდა მასთან და ჯიქურ შეხედა.

— მომისმინე, აი რას გეტყვი, ნუ ლაყბობ ამ ბოთლზე მთელ ქალაქში. არ ვიცი, ბევრმა იცის ეს თუ არა, დონა მელაპარაკებოდა და, მგონი, პრესაშიც წავიკითხე, ქლიავის ნაცენი, ჰარტის პერანგები, ბოგარდის ფილმები და მარკ ტვეინის წიგნები შენი მეგობრის ჩაკ უიტმორის გატაცებაა. — ნორტონი მთელი გზა და მერე თითქმის მთელი ღამეც იმაზე ფიქრობდა.

6

ნორტონი უკვე რამდენიმე წელია თეთრ სასლში არ ყოფილა და კვლავ ააღელვა მისმა სადა სიდიადემ. არა როგორც ძალაუფლების ცენტრმა, — ძალაუფლებას გრძნობ, როცა მიაბიჯებ პენტაგონის გრძელ მოშიშვლებულ კორიდორში, — შენობის სიდიადემ, მისმა ისტორიამ. აქ შეიძლება დაივანონ უკანასკნელმა არამზადებმა, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ძველი განცალკევებული სახლი სულ უფრო უდრტვინველად იდგა, რადგან იცოდა, რომ წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

ასეთი სანტიმენტალური აზრები უტრიალებდა ნორტონს, როცა ის თეთრ სახლში ჩრდილოეთის მხრიდან შევიდა. მაგრამ მიუახლოვდა თუ არა მერფის კაბინეტს, ეს ფიქრები უკუაგდო, რადგან იცოდა, მერფისთან სანტიმენტალური განწყობილებით შესვლა არ შეიძლებოდა. მერფიც არამზადა იყო (მაგრამ, როგორც ამას მისი მცველი ამბობდა, „შინაური" არამზადა). მისი ერთადერთი გატაცება იყო, ხელი შეეწყო ჩარლზ უიტმორის მიზნების განხორციელებისათვის. მის კაბინეტში მოხვედრაც კი ნიშნავდა თქვენდამი კეთილ, განსაკუთრებულ განწყობას. ნორტონმა დაურეკა მერფის მდივანს — მისის ხოლს, თეთრთმიან ბებიას რომ წააგავდა, რომელმაც ნორტონს გამოჰკითხა, ჯანმრთელობის შესახებ, დაქორწინდა თუ არა ის და იმწუთშივე დაუნიშნა შეხვედრის დრო, ისე, რომ არც კი დაინტერესებულა, რა საქმეზე მობრძანდითო.

ყველაფერი გაკეთდა ისე უბრალოდ, რომ მიუხედავად დაეჭვებისა, ნორტონი კმაყოფილი დარჩა.

მისის ხოლი დიდი ხნის უნახავი შვილივით მიესალმა ნორტონს, უთხრა რომ ბოსი მას დაუყოვნებლივ მიიღებდა, მიუხედავად ამისა, გააცილა პატარა მისაღებ ოთახში. ნორტონი დაჯდა და აიღო გაზეთ „ტაიმსის" ახალი ნომერი, მოემზადა, ერთი საათი მშვიდად დაეცადა. სიმშვიდე ნახევარი გამარჯვებაა. მაგრამ ათი წუთიც არ იყო გასული, რომ მისაღებში ნიკ გალიანო შემოვარდა.

— ბენ, ეშმაკმა დალახვროს, როგორ ხარ, ბებერო? — და ისე მოეხვია, რომ ნორტონს სუნთქვა შეეკრა. მან თავი გაითავისუფლა და ისე მოაჩვენა თავი, თითქო მასთან შეხვედრით კმაყოფილი იყო. მას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნიკთან და, რადგან უიტმორის სამფლობელოში იმყოფებოდა, ეს ურთიერთობა აუცილებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მაინცა და მაინც არ უყვარდა ის და არც ენდობოდა. ძნელია თქმა რატომ, მაგრამ ნიკი აქ ყველაზე ალერსიანად ხვდებოდა მას. პოლიტიკაში არ ეჩრებოდა, იყო კმაყოფილი თავისი მდგომარეობით — როგორც სასახლის მასხარა, შესანიშნავი პარტნიორი გოლფში, სმაში და მუდმივი გამხსენებელი უიტმორის შმაგი წარსულისა.

— როგორა ვარ? — გაიმეორა ნორტონმა, — ყველაფერი რიგზეა, ნიკ. უფრო სწორად, რიგზე იყო, სანამ დონას ამბავმა ჯერ დამცა თავზარი.

ნიკის მოეღუშა მოსულელო სახე.

— ამ ამბავმა ყველას თავზარი დაგვცა, ბენ. — თქვა მან. — მიკვასრისა როგორც ტონა აგურმა. ბოსი არასოდეს მინახავს ასე შეძრწუნებული, ამბობს, თუ მკვლელამდე მივაღწიე... — ნიკი გაჩუმდა, თითქოს თავს მოერია, — შენ ედს ელოდები?

— ჰო.

— რა, ისევ ბოსთან აპირებ ბუშაობას?

— არა, არა, ნიკ, მინდა ედს მოველაპარაკო დონას შესახებ. ვფიქრობ, თუ ჩვენს დაკვირვებებს შევაპირაპირებთ, შეიძლება რაღაცას ნათელი მოეფინოს.

ნიკი უფრო ახლო მივიდა ნორტონთან და ნდობით აღსავსე ხმით უთხრა.

— იცი ვინ არის ის, ა?..

ნორტონი გაოცდა.

— არა, არ ვიცი.

— ალბათ, რომელიმე ზავკანიანი იქსებოდა, — ღვარძლიანად თქვა მან. — დაეთრევიან ქუჩებში, უთვალთვალებენ რომელი სასლი გაძარცვონ, შინ თუ დასვდი ამ დროს, მით უარესი შენთვის. იცი, რა მინდა გავაკეთო?

— რა?

— მინდა ვუთვალთვალო იმ სახლს, უბრალოდ ვივლი მის გარშემო, შორიასლო. დარწმუნებული ვარ, ის საზიზღარი უნდა დაბრუნდეს. ისინი ყოველთვის ბრუნდებიან და როცა გამოჩნდება, გათქმევინებ სიმართლეს.

ასეთმა სიფიცხემ უფრო დაუძაბა ყურადღება ნორტონს. ის წუთითაც არ ფიქრობდა, რომ პრობლემას გადაწყვეტდა ნიკ გალიანო, ზანგებს რომ სცემა ვოლტა-პლეისზე. მაგრამ მისი ნათქვამი ყოველთვის არ იყო დასაჯერებელი.

— ბენ, მისტერ მერფი გელოდებათ, — ზღურბლიდან განაცხადა მისის ხოლმა.

ნიკ გალიანომ უცებ ხელები მოუჭირა ნორტონს.

— მოდი, ერთად ვიმოქმედოთ, მეგობარო, — თქვა მან, — მოდის?

— რა თქმა უნდა, ნიკ, — უპასუხა ნორტონმა, მან არ იცოდა, რაზე ეთანხმებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ნიკს, უმჯობესია, დაეთანხმო. ბენი მისის ხოლს გაჰყვა მერფის კაბინეტისაკენ. „ერთი ნაბიჯით ვუახლოვდები ტახტს", — გაიფიქრა მან.

მერფი გაუღიმებლად შეხვდა, თუმცა ნორტონმა მთელი ნაცნობობის პერიოდში მხოლოდ ერთხელ ნახა იგი გაღიმებული, როცა სენატორმა — უიტმორის მოწინააღმდეგემ — ორივე ფეხი მოიტეხა.

— დაჯექი, ბენ, — თქვა მერფმა, ასეთი მიმართვა გულითად მისალმებას ნიშნავდა, — ისევ სტოუნის ფირმაში მუშაობ?

— კი, — თქვა ბენმა.

— ძალიან ეშმაკი ტიპია.

— ფირმა კარგი აქვს, — ორჭოფულად შეეპასუხა ნორტონი, — თუკი ყველაფერი შეუფერხებლად წავა...

— გადმოდი ჩვენთან, — შეაწყვეტინა მერფმა. — შემიძლია ადგილი გამოგინახო.

ამ წინადადებამ ნორტონი უცაბედად დააბნია, სწრაფად

ღაუბრუნდა ადრინდელი ცდუნებები, ლტოლვა ხელისუფლებისაკენ, მწვერვალზე ასვლის გადაულასავი სურვილი. რა თანამდებობები შეეძლო შეეთავაზებინა მისთვის მერფს? იუსტიციის მინისტრის თანაშემწის? პრეზიდენტის განსაკუთრებული მრჩევლის? აზრები აერია: — იმუშავე კარგად პირველ ადმინისტრაციასთან, და ვინ იცის, ბედი როგორ ჯილდოს გიმზადებს მეორესთან. შესაძლებელია, კაბინეტის წევრიც კი გახდე?

ნორტონს გაახსენდა, რატომ იყო აქ მოსული და ფანტაზია უკუაგდო.

— მე საშუშაო არ მინდა, ედ. მინდა დონას შესახებ მოგელაპარაკო. სრულიად მოულოდნელი შემთხვევაა. მგონი, შენ შეგიძლია მიპასუხო რამდენიმე კითხვაზე.

პერფმა ყავა ისე მოსვა, ნორტონისთვის ეზერა არ მოუცილებია.

— შემთხვევა საშინელია, — თქვა მან, — ბოსი ყველაფერს ბდღვნის, ჩვენც ასევე ვართ. მე ერთ ყმაწვილს დავავალე, თვალყური ადევნოს გამოძიებას. იქნებ, მოელაპარაკო მას?

ნორტონი მიხვდა, რომ საუბრის დასასრული ახლოვდებოდა. საქმეს თუ არ ვუმარჯვე, — გაიფიქრა მან, — მერფი ნახევარი წუთის შემდეგ გამისტუმრებს.

— ერთი წუთით, ედ. ზოგი რამ მინდა გკითხო.

— მკითხე.

— რას აკეთებდა დონა ვაშინგტონში და რატომ გაჩერდა იგი ფილდსის სახლში?

— რას აკეთებდა ვაშინგტონში, არ ვიცი. ვინ ამბობს, რომ ის ფილდსის სახლში იყო გაჩერებული?

— სარწმუნო წყაროდან გავიგე, რომ ფილდსმა ან იყიდა ის სახლი, ან დაქირავებული აქვს.

მერფი თანხმობის ნიშნად მოიღუშა.

— ჩვენც გავიგეთ ეს, მაგრამ რატომ ჩამოვიდა, არ ვიცი. ჰკითხე ფილდსს.

— შენ არ გილაპარაკია მასთან?

— საიდან. სანდომიანი სახის ვიღაც მსასიოთი ტრიალებდა ჩვენთან საარჩევნო კამპანიის დროს. რაში მაინტერესებდა ვის მიაქირავა მან საკუთარი სახლი.

— ედ, დონამ ხომ არ მოგმართა სამუშაოს შესახებ? ამისათვის ხომ არ იყო ჩამოსული?

— არა.

— დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი უკანასკნელად ნახე?

მერფმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ჩაფიქრდაო.

— მან ზუსტად ყრილობის წინ მიგვატოვა, დაახლოებით ივლისის დასაწყისში? ჩვენ მას გამოსათხოვარი საღამო გავუმართეთ. მას შემდეგ არ მინახავს.

ნორტონი გააოცა არა სიცრუემ, არამედ იმ გულგრილობამ, როგორითაც ის ითქვა.

— ედ, ერთმა კაცმა გასულ კვირას გნახა დონასთან ერთად ჯორჯტაუნში.

— ვინ არის ის კაცი?

— რა მნიშვნელობა აქვს.

— ვინც უნდა იყოს, ტყუის.

— ის ფილროსია, რატომ იტყვის ტყუილს?

— შეცდა, ალბათ, სხვაში შევეშალე.

ნორტონს ეჭვი ეპარებოდა ამაში, მაგრამ სურდა, კიდევ ერთი კითხვა მიეცა, სანამ ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

— ედ, დიდი ხანია იმას არ უნახავს? — ნორტონმა შუა თითით მექანიკურად ანიშნა გვერდით კაბინეტზე.

— ბოსს, იმასაც ჩემსავით, გამოსათხოვარი საღამოს შემდეგ.

— ესე იგი, მან გაწყვიტა დონასთან ურთიერთობა და მას შემდეგ ერთმანეთს არ შეხვედრიან, არა?

— რა ურთიერთობა, რაზე ლაპარაკობ?

— ედ, მათი ურთიერთობა დაახლოებით შობა დღიდან დაიწყო და გრძელდებოდა შემოდგომის ბოლომდე. მე ვიცი, არ არის საჭირო ჩემი გაცურება.

— არაფერი შენ არ იცი, მეგობარო. შენ, როგორც ჩანს, დიდი ფანტასტი ხარ.

— ედ, მე ვცხოვრობდი მასთან, მან ყველაფერი მითხრა.

— ესე იგი, ისიც დიდი ფანტასტი ყოფილა.

ნორტონი წამოხტა.

— მისმინე, დამპ....

მერფიც წამოსტა. ისინი თვალებიდან ცეცხლს აკვესებდნენ.

— მისმინე, „მეგობარო", მან მიგატოვა, ხომ ასეა? შეიძლება სურდა საბაბი გამოენახა, რომ ადვილად ჩამოგშორებოდა, შეიძლება შეუყვარდა ბოსი და წარმოიდგინა, რომ ისიც გაგიჟებულია სიყვარულით, ეს არ ნიშნავს, რომ მათ რაიმე ურთიერთობა ჰქონდათ. ღმერთო ჩემო, კაცი პრეზიდენტობისაკენ იკაფავს გზას და, ფიქრობ, ამ დროს მას სასიყვარულო ინტრიგებისთვის სცალია?

— ედ, ვიღაცეებს დონამ იგივე უთხრა, რაც მე.

— ვის?

— არა აქვს მნიშვნელობა.

— მერე რა, დონამ შეიძლება ბევრჯერაც მოჰყვა თავისი გამონაგონი. ამის გამო ხომ ვერ იქცევა ის სინამდვილედ.

ედი მერფი ისევ ჩაჯდა სავარძელში და იაფფასიან სიგარას მოუკიდა.

— დაჯექი, ბენ, დაწყნარდი, არავითარი პრობლემები ჩვენ არ გვაქვს. კარგი, წარმოვიდგინოთ, რომ დონას ერთ დროს ურთიერთობა ჰქონდა ბოსთან, წარმოვიდგინოთ, რომ გასულ კვირას მე ველაპარაკე მას სამსახურზე და სხვა რამეზე. მერე რა გამოვა აქედან? ის ჩამოდის ვაშინგტონში, ცხოვრობს ფილდსის სახლში, რომელიღაც გარეწარი უვარდება შინ და კლავს. ეს საშინელებაა. მაგრამ ასეთი შემოხვევები ვაშინგტონში ყოველდღე ხდება. ამ საქმეს პოლიცია იძიებს. მკვლელს მონასავენ და თავისას მიუსჯიან. ამას გპირდები. მაშინ რა საჭიროა, ავტესოთ ხმაური იმის შესახებ, რა იყო დიდი ხნის წინათ, შენ მხოლოდ ქმნი პრობლემებს, რომელნიც არავის სჭირდება.

ნორტონს გაახსენდა ქლიავის ნაყენი, დონა გამოვიდა შინიდან სპეციალურად, რომ ეყიდა. გვენმა ხომ უთხრა, რომ ეს „პრეზიდენტის საყვარელი სასმელიაო". რომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დონა მას ელოდა იმ საღამოს და იმიტომ იყიდა ქლიავის ნაყენი. ნორტონს უნდოდა ეკითხა, სად იყო იმ საღამოს უიტმორი. მაგრამ ენა არ დაემორჩილა. მან იცოდა, რომ მერფი ადვილად უარყოფდა მის ვარაუდს. განა ცოტა ხალხი სვამს ქლიავის არაყს? იქნებ დონას სასმელი საჩუქრად უნდა გაეგზავნა უიტმორისათვის? მაწ იცოდა, რომ მერფ-

თან ბლეიი უაზრო იყო. ჯერ საჭიროა დააგროვოს ფაქტები და მერე წამოიწყოს თამაში თანაბარ დონეზე.

— ამ ამბავში ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს, ბენ, — თქვა მერფმა, ორივეს გვინდა, მკვლელი მოინახოს. მე ვიცი, შენ თავზარი დაგეცა, მაგრამ უმჯობესია მოეშვა ძიებას. მართალი ვარ, თუ არა?

— ალბათ კი, ედ.

— ყოჩაღ, — თქვა მერფმა, — დაჯექი, ახლა ერთ კაცს გაგაცნობ.

მან ზარს დააჭირა თითი, კარი მაშინვე გაიღო და შემოვიდა დაახლოებით ნორტონის ხნის კაცი.

— კლეი მაკნეირი, ბენი ნორტონი, — წარუდგინა ისინი ერთმანეთს მერფმა. — ბენი ჩვენთან მუშაობდა, ის დონა ხენდრიკს მეგობრობდა. გააცანი მას საქმე.

— ახლავე, ედ. — თქვა მაკნეირმა. — მივიდა ნორტონთან, მაგრად ჩამოართვა ხელი და ბიჭუნასავით გაუღიმა.

კლეი მაკნეირი ნორტონის სიმაღლე იქნებოდა, ოღონდ უფრო ლაზათიანი სპორტული აღნაგობისა. წვრილზოლიანი კოსტიუმი ეცვა, ცისფერ პერანგზე მყვირალა ფერის ჰალსტუხი ეკეთა, ფეხზე სარკესავით პრიალა ფეხსაცმელი ეცვა, თითზე ოქროს გრავიურიანი ბეჭედი უბრწყინავდა. ნორტონს მოეჩვენა, რომ სადღაც უნახავს იგი, მაგრამ ვერ გაეხსენებინა — სად.

— ედ, ჩემთან ჩავიდეთ? — იკითხა მაკნეირმა.

— არა, აქ დარჩით, — თქვა მერფმა, — მე ცოტა ხნით გავალ ჰაერზე.

მერფი გავიდა. მაკნეირმა ვერანდაზე გასასვლელი კარი გააღო, რომელიც სამხრეთის გაზონზე გადიოდა.

— გითამაშია როდისმე თეთრი სახლის კორტებზე? — იკითხა მაკნეირმა.

— ჯერჯერობით არა.

— დამირეკე როგორმე, ჩვეულებრივ, ისინი თავისუფალია. თამაშის მერე უთუოდ სიამოვნებით დავისვენებთ. დაჯექი, ბენ, მისმინე, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. შენზე ბევრს ლაპარაკობენ აქ და წუხან, რომ ჩვენთან არა ხარ.

ნორტონმა დაასკვნა, რომ მაკნეირი ყალთაბანდია.

— შენ თვითონ დიდი ხანია აქა ხარ?

— ეჯდა ბაშისვე ამიყვანა, როგორც კი პრეზიდენტი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა და უამრავი განსაკუთრებული დავალება მომცა, — ახალგაზრდა კაცმა გულღიად გაიღიმა, — ალბათ, თვითონ უკეთ იცი ეს საქმე.

— მანამდე რას საქმიანობდი?

— კოოპერაციულ სამმართველოში ვმსახურობდი, ერთი სიტყვით, ვაჭრობაში. ჩვენი ფირმა მუშაობდა საარჩევნო კამპანიისათვის. სწორედ იქ გავიცანი მერფი.

— მოგწონს ედი მერფის ხელქვეითობა? — მაკნეირს ისევ გაეცინა.

— სანდასან ის სასტიკია, მაგრამ როგორ შეეძლო უარის თქმა. მგონი თეთრ სახლში მუშაობა ჩემთვის მომავალში სასარგებლო იქნება. ასე არ არის?

— ჰო, რა თქმა უნდა, — უპასუხა ნორტონმა, უნდოდა, შეზიზღებოდა ეს გულითადი რეგვენი იმიტომ, რომ ის თეთრ სახლს კარიერის საფეხურად იყენებდა, მაგრამ ამ თამაშს ასეთი წესი ჰქონდა, ადრე თვითონაც ხომ ასევე თამაშობდა.

— მაშ ასე, ედმა დამავალა შეგიყვანოთ საქმის კურსში, — ცოცხლად თქვა მაკნეირმა. — იმით დავიწყებ, რომ თითქმის ყოველდღე საათში ერთხელ ვუკავშირდები კოლუმბიის ოლქის პოლიციას, მას დავალებული აქვს, დაუყოვნებლივ მაცნობოს, რისი მიკვლევა შეძლო.

— და, რას მიაკვლია მან?

— ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტას. ნახეს დუქანი, სადაც დონას იმ საღამოს რაღაც უყიდია, მოძებნეს დამლაგებელი და მეეზოვე, ახლა მათი დაკითხვა მიმდინარეობს.

— გაარკვიეს ვის ეკუთვნის სახლი?

— არა, პოლიციას ეს უჭირს. — თქვა მოღუშულმა მაკნეირმა.

ნორტონმა გაოცებით შეხედა მას. ედი მერფმა იცოდა, ვინ იყო სახლის მეპატრონე. — თვითონ უთხრა რამდენიმე წუთის წინ, — მაშ რატომ შეფერხდა? იგი მიხვდა, რომ ამ ენერგიულმა ახალგაზრდა კაცმა გაცილებით ნაკლები იცოდა, ვიდრე ედი მერფმა, როგორც ჩანს, თამაში რამდენიმე დონეზე მიმდინარეობდა.

— როგორია თითების ანაბეჭდები?

— პირველი დათვალიერებისას ვერაფერი ნახეს. დღეს კიდევ ერთხელ განაგრძობენ ძიებას.

— აეროპორტებში დაადგინეთ, დონა რომელი თვითმფრინავით მოფრინდა და საიდან?

მაკნეირმა შუბლი შეიჭმუხნა.

— ეს არ გაგვხსენებია.

— იქნებ ღირდეს ამის შესახებ შეახსენოთ მათ?

— შესანიშნავი აზრია, — თქვა მაკნეირმა და რაღაც ჩაინიშნა პატარა ბლოკნოტში, — აი ყველაფერი, რაც შემიძლია გითხრათ გამოძიებაზე და კიდევ დავუმატებ, ამ საქმის მსვლელობას მთელ ძალებს მოახმარენ. გითხრათ, როგორ ვემზადებით დაკრძალვისათვის?

— ამას მე თვითონ გავიგებ. — ეტყობა მაკნეირს ეწყინა.

— მისმინე, ბენ, — თქვა მან სერიოზულად და წინ წამოიწია, — მე არ ვიცნობდი დონას, მაგრამ იმის მისედვით თუ ვიმსჯელებთ, რას ლაპარაკობენ მასზე, ბრწყინვალე გოგო ყოფილა.

— შენ, რომ ასე მიგემართა მისთვის — „მეგობარო“, თვალებში შეგაფურთხებდა.

— არ გეწყინოს, მინდოდა მეთქვა, ბრწყინვალე პიროვნება ყოფილა-მეთქი. აი, რატომ ვარ კმაყოფილი ამ დავალებით. ელმა მთსოვა, დონას ხსოვნის აღსანიშნავად რაიმე ღონისძიება ჩავატარო, ჩვენში დარჩეს და მგონი, ყველაფერი ეს უშუალოდ ბოსისგან მოდის. გადაწყვეტილი მაქვს, მისი ხსოვნის ბატივსაცემად კაპიტოლიუმიდან ყოველწლიურად ხუთი ქალიშვილი... ახალგაზრდა ქალი გადმოვიყვანო აქ სამუშაოდ.

— რა სახის სამუშაო გსურთ შესთავაზოთ?

— ჯერ ეს, როგორც იტყვიან ჰაერში ჰკიდია.

— რაკი ეს დონას ხსოვნასთან არის დაკავშირებული, სამუშაო კარგი უნდა იყოს, მოსამსახურის მოვალეობას ხომ არ დაავალებთ?

— შესანიშნავი აზრია, — თქვა მაკნეირმა. — პირდაპირ მიზანში ურტყამს.

ნორტონს მობეზრდა ეს უაზრო საუბარი. დონა მოკვდა

და ვიღაც შემგუებელი კაცი, ედი მერფის ბრძანებით ახლა ფიქრობს, რაგორ აღნიშნოს მისი ხსოვნის დღე. ამ დებილს სულაც არ ენაღვლება დონა, თუკი ედი მერფი უბრძანებს, იგი საარტილერიო სალიუტს მოაწყობს უიტმორის ყველა საყვარელი ჩიტის გარდაცვალების გამო.

მერფი ვერანდაზე გამოვიდა.

— უკვე დაამთავრეთ?

— დიას, ედ, ბენმა შესანიშნავი აზრი მომაწოდა.

— კავშირი გქონდეთ ერთმანეთთან, — თქვა მერფმა. — მოახსენე ნორტონს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს.

— გასაგებია, — მკაფიოდ მიუგო მაკნეირმა, — ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, ბენ. არ დაგავიწყდეს ჩოგბურთის მატჩის შესახებ.

მან აჩქარებით ჩამოართვა ხელი, მეგობრულად გაუღიმა და წავიდა.

— ეს შენი ახალი ხელქვეითია? — ჰკითხა ნორტონმა.

— არც ისეთი სულელია, როგორც ჩანს, — უპასუხა ედმა, — შენ რას იტყვი?

— მახსენებს ბიჭებს, რომლებიც ჩემთან კოლეჯში სწავლობდნენ, — თქვა ნორტონმა.

— ჭკვიანურად აზროვნებს, — აღნიშნა მერფა. ტელეფონმა დარეკა და ორივენი კაბინეტში შებრუნდნენ.

— ედ, მე წავალ.

— მოიცადე, იქნებ შენ გირეკავენ, — მან ყურმილი აიღო, ცოტა ხანს უსმინა, მერე ნორტონს გადასცა. მან მორჩილად აიღო ყურმილი, მოულოდნელობისაგან შეცბა, რა ხდება, ნუთუ პრეზიდენტს სურს მისი დამშვიდება.

— ბენ, ფილ როსი ვარ.

— გისმენ!

— ბენ, მგონი შევცდი. იმ ლიმუზინში მერფი და ხენდრიკსი არ მსხდარან, ეტყობა მივამსგავსე, მე ხომ მათ წამით მოვკარი ოვალი.

— გუშინ შენ სრულიად დარწმუნებული იყავი?

— თვითონწვე მოგეხსენება, საკმარისია ცოტა დალიო და ყველაფერი გჯერა. ამჟამად კი უკვე აღარა ვარ დარწმუნებული, რომ მანქანაში მერფი და მისის ხენდრიკსი ისხდნენ, გამიგე?

— კი, რა თქმა უნდა, — თქვა ნორტონმა [illegible] ყურმილი [illegible] ადასცა, — შენ დროს არ კარგავ, ედ.

— ადამიანები ხშირად ცდებიან, — თქვა მერფმა მსრების [illegible]. — ბენ, ჩვენ მოკავშირეები ვართ. იქონიე ეს მსედ[illegible].

— [illegible], ედ, მე წავედი. დიდი სიაღლობა, რომ მიმიღე.

— [illegible] პრობლემები არ არსებობს. ბენ. მიგიღებ [illegible] დროს და გახსოვდეს, რა კითხარი სამსახურის შე[illegible].

— კი, რა თქმა უნდა, ედ, — უპასუხა ნორტონმა და გაოგ[illegible] [illegible]გული გამოვიდა კაბინეტიდან. როცა იგი [illegible] ისევ ოფიციალურ სამყაროში მოსვდა, [illegible] [illegible], რომ მერფი ეუბნებოდა მასთან.

7

[illegible] ნორტონს დასვდა წერილი, მას [illegible] [illegible] კარავიციასთან [illegible] სერჟანტთან და[illegible] [illegible] კონსტიტუციის სულ სხვა მხარეს და[illegible] [illegible] ეპასუხა ძლიერი ინგლისური აქცენტით.

— [illegible] გახლავართ, ლორდ ჰშვიდობისა.

— [illegible] გაწუსებთ გაშინტონიდან, თუ შეიძლება, [illegible] [illegible] ბოდეთ. ჩვენ ფიტმორის პრეზიდენტად არ[illegible] [illegible] კამპანიაში ვავიცანით ერთმანეთი.

— [illegible], რა თქმა უნდა, ახლავე, მისტერ ნორტონ. — უკვე [illegible] [illegible] ეპასუხა ქალმა. — ჩვენ ეს-ეს არის იქი[illegible] [illegible], — ის გაწუმდა და შემდეგ განაგრძო ისევ [illegible] [illegible]ული აქცენტით. — თქვენ ბრძანეთ, რომ მუშაობთ [illegible] [illegible], მისტერ ნორტონ?

— [illegible], მე იურისტი ვარ, ვეწევი კერძო პრაქტიკას, — აღი[illegible] [illegible], [illegible] [illegible] საკუთარ თავს, რომ ტყუილის თქმა [illegible] [illegible].

— [illegible] შეიძლება, მითხარით, რა საქმე გაქვთ?

— გადაეცით მისტერ ფილდს, რომ მე დონა ხენდრიკსის [illegible] [illegible] ვარ.

— [illegible], [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] ნორტონმა [illegible] „ტაიმსის"

პირველი გვერდი, როგორც იქნა ქალი დაელაპარაკა, მაგრამ ამჯერად ცივი, გაყინული ხმით.

— მისტერ ფილდსი გაემგზავრა და უახლოეს პერიოდში მას ვერ დაუკავშირდებით.

— როდის უნდა დაბრუნდეს?

— წარმოდგენა არა მაქვს, — უპასუხა ქალმა პალმა-სპრინგსიდან, ტელეფონი გაითიშა, ნორტონმა ამოიოხრა და კრავიცს დაურეკა, სერჟანტმა სთხოვა, პოლიციის სამმართველოში მისულიყო ჩვენების მისაცემად. ნორტონმა უპასუხა, ახლავე მოვდივარო.

პატარა წინკარში, გაშიშვლებულ ხის სკამებზე, მკვლელობების სამძებრო განყოფილების კარის წინ თავჩაღუნული იჯდა დაახლოებით ერთი დუჟინი დაღვრემილი ზანგი. კარის მიღმა გრძელ ვიწრო ოთახში გაძარცულ ძველ მაგიდებს თავდასრილი უსხდა იმდენივე თეთრკანიანი; ზოგი ყავას სვამდა, ზოგი სიგარას ეწეოდა, ზოგი ბლანკს ავსებდა, ზოგი ტელეფონზე ლაპარაკობდა. კრავიცი ნორტონს შესასვლელთან დახვდა, ყავა შესთავაზა, მერე წაიყვანა ოთახის ბოლოში, სადაც სამი ერთნაირი კარი იყო.

— ეს დასაკითხი კამერებია, — თქვა კრავიცმა და შეიყვანა ნორტონი ერთ ციცქნა ოთახში, რომელიც დაახლოებით ათი კვადრატული ფუტი იქნებოდა. იქ იდგა ძველი ლითონის მაგიდა, ორი სკამი, საბეჭდი მანქანა, მაგნიტოფონი. კედელზე ეკიდა ხელბორკილები.

— ეს ჩემთვის ხომ არ მოგიმზადებიათ, სერჟანტ? — კრავიცს არ გაღიმებია.

— დაბრძანდით, მისტერ ნორტონ. გთხოვთ ამას გაეცნოთ.

მან ნორტონს გაუწოდა პატარა თეთრი ქაღალდი, სადაც ეწერა ის, რაც ნორტონმა ისედაც კარგად იცოდა, მოწმის უფლებები სისხლის სამართლის გამოძიებისას. მან ქაღალდი გადააბრუნა და მეორე გვერდზე ხელი მოაწერა. ყოველივე ამის შემდეგ დაიწყო დაკითხვა.

ერთი საათის შემდეგ ნორტონი განყოფილებას ტოვებდა. სერჟანტმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კრავიცს გამოძიება მშვიდად და მეგობრულ ვითარებაში მიჰყავდა. მიუხედავად ამისა, იგი საქმის ყველა დეტალს შეესო. ნორტონი არ იტყუებოდა, მაგრამ ყველაფერს არ ამბობდა, რაც

იცოდა. მართალია, ეს ძნელი დასამტკიცებელი იყო, მაგრამ ასეთი საქციელიც ისჯებოდა კანონით. მას არაფერი უთქვამს უიტმორისა და დონას რომანის შესახებ, ასევე დამალა ფილა როსის მონათხრობი. იმიტომ კი არა, რომ ეს დეტალები არსებითი არ იყო; ყველა ჩვეულებრივი გამოძიებისას ეს წვრილმანები საქმეს არგებდა, ნორტონმა გადაწყვიტა, ჯერ-ჯერობით მათ არ შესებოდა, რადგანაც იცოდა, ნაჩქარევი მხილებით ზიანს მიაყენებდა პრეზიდენტს და იქნებ დაეღუპა კიდეც იგი. როგორც გამოცდილებით იცოდა, პოლიტიკა იყო არჩევანი მცირე და დიდ ბოროტებას შორის, ყველაზე ძნელი კი იმის დადგენა იყო, რომელია მათ შორის უარესი ბოროტება. მან არ იცოდა, ვის შეიძლებოდა ნდობოდა ამ უცნაურ საქმეში. ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება ნდობოდა მხოლოდ საკუთარ თავს და მხოლოდ სხვებისთვის დაესვა კითხვები, სანამ არ დაადგენდა ჭეშმარიტებას. გამოვიდა თუ არა პოლიციის სამმართველოდან პენსილვანია-ავენიუზე, მაშინვე გადაწყვიტა პირველ რიგში წასულიყო საქმის საძიებლად.

ნარინჯისფერი მზე მთებში იმალებოდა, გრილი საღამო იდგა, როცა ნორტონი პალმ-სპრინსის აეროპორტიდან გამოვიდა და ქალაქში ტაქსით გაემგზავრა, ის-ის იყო სასტუმროს ადმინისტრატორთან რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო, რომ ვესტიბიულში საშუალო ტანის, მზისაგან გარუჯული გოგო დაინახა, სქლად შეღებილი ტუჩებითა და გაწეწილი ვარცხნილობით. შეხედა თუ არა, მაშინვე სახელი გაახსენდა.

— პენ! მიცანი?

გოგონამ შეხედა მამაკაცს, ფეხი შეანელა და გაჩერდა, მას დიდი ფართოდ გახელილი ლამაზი თვალები ჰქონდა, ოღონდ — უაზრო. გოგონას სურდა სტიუარდესასთვის ჩვეული პროფესიული ღიმილით შეგებებოდა, მაგრამ მამაკაცი იცნო და ეშმაკური სახე გაებადრა.

— შენ ბენი ხარ! სახელოვანი იურისტი. ჩვენ ერთად ვიყავით „წითელკანიანების“ მატჩზე.

მან აღტაცებით გაიცინა, თითის წვერებზე წამოიწია და ნორტონს ლოყაზე აკოცა. პენი მეგობრობდა ნორტონის მეგობარს, რომელიც გაზეთის უშტატო კორესპონდენტი გახლდათ. ამიტომ ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. კორესპონდენტი ამტკიცებდა, რომ მეგობრობა მხოლოდ სტიუარდე-

სებთან ღირს, რადგან ფრენის მარშრუტები განუსაზღვრელი აქვთ, მათ შეიძლება შეხვდე პარიზში, ბუენოს-აირესში, სტამბოლში, ყველგან, სადაც უნდა გადაგისროლოს ბედმა.

— როგორ არის საქმე მეგობრულ ზეცაში? — ჰკითხა ნორტონმა.

— მტრულად, — უპასუხა პენიმ და ჩაიცინა.

— ხომ არ დაგველია? — შესთავაზა ნორტონმა.

პენიმ ტუჩები გამობურცა და საათს დახედა.

— დრო მაქვს. დღეს წვეულებაზე მივდივარ, მაგრამ შუაღამემდე იქ განსაკუთრებული არაფერი იქნება, ასე რომ, წავიდეთ.

პენიმ ხელკავი გამოსდო ნორტონს და ისინი გრძელი ვესტიბიულით გაემართნენ. ისარი მიანიშნებდა, რომ ბარი საღლაც შორს იყო. ბოლოს და ბოლოს მათ მიაღწიეს მიზანს. ბარი აღმოჩნდა დიდი, საამოდ ჩაბნელებული და ელეგანტური. ერთ მხარეს საორკესტრო მოედანი მოეწყოთ, შეორე მხარეს მოთავსებული ფანჯრები საცურაო აუზს გადაჰყურებდა. მკვეთრად შეღებილმა ოფიციანტმა ტონიკით მოიტანა ჯინი.

— მე წვეულებაზე ჩამოვფრინდი. — თქვა მან, — შენ?

— ისე, ერთ საქმეზე, — უპასუხა ნორტონმა ნასევრად საიდუმლოდ, როგორც ვაშინგტონელ იურისტებს სჩვევიათ.

— ყოფილხარ ადრე პალმ-სპრინგსში?

— არა, არასოდეს.

— მოგწონს?

— არ ვიცი, — აღიარა ნორტონმა, — რადაც უჩვეულოა. ცა ძალიან ცისფერია, მთები — არაბუნებრივი. თითქოს მსოფლიოში ყველაზე დიდ კინოგადამღებ მოედანზე იმყოფები.

— ის არ არის წამდვილი, — თქვა პენიმ, — ამიტომაცაა ასეთი სუფთა. ხალხი აქ იმდენად მდიდარია, რომ არ უნდათ არაფერი რეალური.

— მითხარი, რა წვეულებაზე ხარ მიპატიჟებული.

— კარგი, — ოდნავი ყოყმანის შემდეგ თქვა მან. — საქმე ისაა, რომ მე გავიცანი კაცი, რომელსაც ფული ისე აცვია თავზე, როგორც სხვებს უსიამოვნებები, საღამოობით წვეულებებს მართავს, ზღაპრულს, წვეულებაზე ყველას შეუძლია მისვლა, სახლი ისეთი აქვს, ეწით აუწერელი. იქ შეგიძლია მიიღო ყოველგვარი სიამოვნება, რასაც კი მოისურვებ.

მაგალითად: თუ გსურს, ნახავ მამლების ბრძოლას, დალევ უძველეს ღვინოს, ნახავ არაჩვეულებრივ ფილმს, საჭიროა მხოლოდ მოითხოვო, ერთხელ ვიღაცამ შეუკვეთა დამბო[1] და იმწუთში დაიწყეს მფრინავი სპილოს ჩვენება.

— შენი ნაცნობი შემთხვევით ჯეფ ფილდსი ხომ არ არის?

პენი მოიღუშა, ამავე დროს ნორტონს აგრძნობინა, როგორი კაცუნაა ვაშინგტონელი იურისტი კინომსახიობთან, რომელსაც შეუძლია მოაწყოს მამლების ბრძოლა, ან საზოგადოებას აჩვენოს დისნეის ფილმი დამბო.

— კი, — უპასუხა მან ნაძალადევად, — ოღონდ უფლება არ მქონდა ეს მეთქვა. ის ძალიან უფრთხილდება თავის რეპუტაციას, გასაგებია?

— არა უშავს, — თქვა ნორტონმა, — მე ვიცნობ ჯეფს, ჩვენ ვხვდებოდით საარჩევნო კამპანიის დროს. მე მაშინ უიტმორის თანამშრომელი ვიყავი.

— მართლა?

— ხუმრობის გარეშე. ისე, ჩემს აქ ყოფნაში მაინც უნდა მენახა, შეიძლება პრეზიდენტმა ის კულტურის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნოს.

— რა კარგია! — წამოიძახა პენიმ, — ჯეფმა უკვე იცის?

— ჯერ არა. არაფერი უთხრა, მე თვითონ დავურეკავ ხვალ.

პენიმ ტუჩები გამობურცა და წარბები შეჭმუხნა.

— შეიძლება არაფერი გამოგვივიდეს, — თქვა პენიმ, — წვეულების შემდეგ მას პოლიტიკაზე სალაპარაკოდ არ ეცლება. იქნებ ჯობდეს, ჩემთან ერთად წამოხვიდე და მოელაპარაკო, სანამ ყველა გამოთვრება.

— ჩემი იქ შეყვანა არ გაგიჭირდება?

— იქ, საერთოდ, არ სიამოვნებთ, როცა უცხო მამაკაცი მიგვყავს, მაგრამ ეს ხომ განსაკუთრებული შემთხვევაა.

ნორტონმა თავი დაუქნია და გაიფიქრა, როგორც ჩანს, ღმერთს უყვარს ტყუილი, თორემ მას ასე საჭიროს არ გახდიდა.

— კიდევ მოვასწრებთ დალევას?

— მეტს არ დავლევ, — თქვა პენიმ, — საქმე ისაა, რომ შე-

---

[1] დისნეის მულტფილმის გმირი.

იძლება ვერც კი გამოვიძინო, შენ კი დალიე, ვიცეკვოთ, არ გინდა?

ორკესტრის მოედანზე მუსიკოსებმა ააწყვეს ინსტრუმენტები და უეცრად დასჭექეს, როგორც ნორტონმა გაიფიქრა, რესტორნისათვის დამუშავებული „ჯამბალაი".

— იქნებ ცოტა ხნის შემდეგ, დავლიოთ, — თქვა მან და ოფიციანტს ანიშნა კიდევ მოიტანეო ჯინი, — მე უკეთ ვლაპარაკობ, ვიდრე ვცეკვავ. მომიყევი რამე ჯეფის შესახებ, შენ ჩემზე უკეთ იცნობ მას.

პენიმ ტუჩები გამობურცა, შემდეგ გაიცინა.

— მთავარია გაიგო, რომ ჯეფი მხოლოდ ლამაზი კი არ არის, ჩემს ნაცნობებში ის თითქმის ყველაზე ჭკვიანია. სამ ბრწყინვალე ფილმს ვერ შექმნი მხოლოდ და მხოლოდ იღბლიანობით და საქმე მარტო ფილმები როდია. ის კითხულობს წიგნებს, ხვდება ინტელექტუალებს, ერკვევა პოლიტიკაში და კიდევ ბევრ სხვა რამეში. რა თქმა უნდა, უყვარს წვეულებებიც. მან ცალკე სახლი აიშენა და მეფურად ცხოვრობს. იქნებ ზოგიერთ როკ-ვარსკვლავსაც შეუძლია ასე იცხოვროს, მაგრამ ისინი გადარია ნარკოტიკებმა, რელიგიამ და სხვა ამგვარმა სისულელემ, ჯეფს კი ყოველივე ეს გამოვლილი აქვს და იცი, რისკენ მიისწრაფვის? ხელისუფლებისაკენ, პოლიტიკისაკენ და სხვა ასეთი რაღაცეებისაკენ. ერთხელ მან როგორღაც მითხრა, ერთადერთი კაცი მსოფლიოში, რომელსაც მოწიწებით შეჰყურებს ეს შეერთებული შტატების პრეზიდენტია. ერთი უნდა გენახა ჯეფი, როცა თავის სასასლეს უიტმორს აჩვენებდა, პატარა სახელმწიფოს მეფეს ჰგავდა, რომელსაც სურდა, გაეოცებინა დიდი სახელმწიფოს მფლობელი.

ესტრადაზე ახალგაზრდა კაცმა სიმღერა წამოიწყო, რომელიც, ალბათ, შედგებოდა მხოლოდ ქვითინის, ღმუილისა და შიგადაშიგ ყვირილისაგან — „მომეცი". პენის გაეცინა და სკამიდან წამოხტა.

— წამო, ვიცეკვოთ.

ნორტონი ნაძალადევად წამოდგა.

— ვერაფერი მოცეკვავე ვარ.

პენიმ მოჰკიდა ხელი და წაიყვანა საცეკვაო მოედნისაკენ.

— არ წაგიკითხავს წიგნი „ფრენის შიში"? — ჰკითხა პენიმ, — მე წავიკითხე, ვიფიქრე, ალბათ, ავიაციაზეა-მეთქი,

მაგრამ სულ სხვა რამეზე აღმოჩნდა, ერთი სიტყვით, მწერალი ქალი წერს, ცეკვა სექსს ჰგავს. მთავარი ის კი არ არის, როგორ გამოიყურები, მთავარია, როგორ გრძნობო.

ნორტონი რაღაც შეუძლოდ იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, ეს საოცარი ქმნილება გაერთო. ავიდა საცეკვაო მოედანზე და მთელი მონდომებით დაიწყო თეძოების ქნევა, ახალგაზრდა კაცი ესტრადაზე კვლავ განაგრძობდა ღმუილს და წამოძახილს „მომეცი" და პენიმ დაიწყო წარმოუდგენელი ბრუნვითი მოძრაობები. მიუხედავად ამისა, ნორტონი განუწყვეტლივ ფიქრობდა იმ საიდუმლოებაზე, რომელმაც იგი პალმსპრინგსში მოიყვანა. როცა მათ ცეკვა დაამთავრეს და მაგიდასთან დაბრუნდნენ, ნორტონმა პენის ხელი მოჰკიდა და სხვათა შორის ჰკითხა:

— მისმინე, პენ, როდის დაათვალიერებინა ფილდსმა უიტმორს თავისი სახლი?

— აა? ჰო, შარშან ზაფხულში, თითქმის მაშინვე, როგორც კი აქ გადმოვიდა, კარგად მახსოვს, საცურაო აუზის ტუმბოს რაღაც დაემართა და სასწრაფოდ გამოიძახეს ლოს-ანჟელესიდან თვითმფრინავით ხელოსანი ტუმბოს გასაკეთებლად, რომ უიტმორს ეცურავა. მან საარჩევნო კამპანიის დროს მოაწყო ორკვირიანი წვეულება. არ იცოდი?

— როგორც ჩანს, დამავიწყდა.

— ამ ამბავს ფილდსი საიდუმლოდ ინახავს, ასეთ ადგილებში ეს ყველაზე მთავარია. აშენებ სახლის გარშემო კედლებს და არავინ არ იცის, მიღმა რა ხდება, ალბათ, თეთრ სახლშიც დაახლოებით ასეა, არა?

— დაახლოებით, — თქვა ნორტონმა, — ჩვენი წასვლის დრო არ არის?

— ალბათ, უკვე დროა, — უპასუხა პენიმ, — მისმინე, ბეწ მინდა რაღაც-რაღაცეები გითხრა.

— თქვი.

— წვეულებაზე ჩვენ ერთად წავალთ, მაგრამ იქ ერთად არ ვიქნებით, ეს ჩვეულებრივი წვეულება არ არის.

— მესმის, — თქვა ნორტონმა, პენი მადლიერების გრძნობით მოეხვია მას და ორივენი წავიდნენ გასასვლელისაკენ.

პენი თავდაღმართზე მიაქროლებდა ნაქირავებ „მუსტანგს“, ჩაუქროლა ოტელ „კანონს“, რესტორან „მობის“, ოტელ „ჯინსა ოტრის“, ფინიკის პალმების პლანტაციასა და ფინიკების გასაყიდ დუქნებს, გავიდა ბობა ხოუპის გზატკეცილზე, ეკერდი აუქცია ანენბერგის კარ-მიდამოს და შესრიალდა მთვარისაგან ვერცხლისფრად განათებულ უდაბნოში. ნორტონს რატომღაც ეჩვენებოდა, რომ უდაბნო წარსულს ახსენებდა. მის წარმოსახვაში ისატებოდა... ფურგონები და ინდიელთა ხროვები. უცებ ყოველივე ეს სინამდვილეს შეერწყა და მათ წინაშე აღიმართა ტროპიკული მცენარეებითა და დაჭიმული ჯაჭვებით შემორაგული ფილდსის კარ-მიდამო. ისინი მიქროდნენ სანამ არ მიაღწიეს... ჯიხურს. დარაჯმა, ბრტყელსახიანმა აზიელმა, ნორტონს წარბშეკვრით, ქალს კი — დაცინვით შესედა. მაგრამ საკმარისი იყო პენის ეთქვა ჯადოსნური სიტყვა „პრეზიდენტის მეგობარი“, რომ ამ ფანტასტიკურ უდაბნოში ყველა კარი გაღებულიყო. ბრტყელსახიანმა დარაჯმა ხელის აქნევით ნება დართო, ფილდსის კარ-მიდამოში შესულიყვნენ.

გზა დიდხანს მაღალ პალმებს შორის მიემართებოდა და დამთავრდა ესპანური სტილით ნაგებ თეთრ სასახლესთან. პენიმ თავისი „მუსტანგი“ ვილაცის „მორგანსა“ და „მერსედესს“ შორის დააყენა, შემდეგ ნორტონმა და პენმა ხელიხელჩაკიდებულებმა გაიარეს ვრცელი მინდორი, ავიდნენ კიბეზე, შევიდნენ ღია კარებში და უწესრიგოდ თავმოყრილ სტუმრებს შორის გაუჩინარდნენ. ოთახებში ტევა არ იყო. როგორც ერთი, ყველა ქალი ახალგაზრდა, ტანწერწეტა და ლამაზი გახლდათ. ისინი თავს იწონებდნენ კოსტად და ლამაზად შეკერილი კაბებით. ნორტონმა იცნო ერთი ქალი, რომლის სურათი ჟურნალის პირველ გვერდზე ჰქონდა წანახი და სენატორის ცოლი, ძალიან რომ უყვარდა მოგზაურობა. დანარჩენები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. მამაკაცები, პირიქით, სულ სხვადასხვა ტიპები იყვნენ. ნორტონმა იცნო ორი როკ-მომღერალი, რამდენიმე ახალგაზრდა მსახიობი, რამდენიმე გიგანტი სპორტსმენი, ერთად იდგნენ უფროსი ასაკის მამაკაცები, რომელთა შორის კინორეჟისორებსაც აღმოაჩენდით. პენის რამ-

დენიმე კაცი დაელაპარაკა, ნორტონს კი არავინ აქცევდა ყურადღებას, რაც მას აღიზიანებდა, ნორტონმა და პენმა თითო სირჩა ოქროსფერი პუნში აიღეს და კორიდორით გაემართნენ შენობის სიღრმისაკენ. სამზარეულოდან ყვირილის ხმა გამოდიოდა, მათ შეიხედეს სახლში და დაინახეს გოლიათი, რომლის მსგავსი ჯერ ნორტონს არავინ შესვედრია. მას ატატებული ჰქონდა უზარმაზარი მაცივარი, თეთრ კურტაკში გამოწყობილი მოსუცი ჩინელი კი ემუდარებოდა, ადგილზე დადგიო.

— წავიდეთ აქედან, — წაიჩურჩულა პენიმ.

— ვინ არის ეს კაცი?

— ფეხბურთელი, ნამდვილი ცსოველია. ერთსელ როგორღაც ჩემს მეგობარ ქალთან იყო და სახე დაუწკა, ისე უბრალოდ, თავისი სიამოვნების გულისთვის.

— ყველას თავისებური მიდგომა აქვს, — ჩაიბურდღუნა ნორტონმა და პენის გაჰყვა ქვისიატაკიან გრძელ ტერასაზე. სახლის ამ ნაწილში გაზონებით შემოვლებული საცურაო აუზიდან წყალი ავისმომასწავებელ მომწვანო შუქს ასხივებდა, რის გამოც იქ მყოფნი მოჩვენებებს წააგავდნენ. აუზიდან ასლად ამოსული სალხი იცინოდა, ეწეოდა, სვამდა.

— ხედავ ქალს ტრამპლინზე? — ჰკითხა პენიმ.

— მერე რა, რომ ვხედავ.

— მაგას მელინდა ჰქვია. ტრაბახობს „როლინგ სტოუნზის“ და „ბიტლების“ ანსამბლის თითქმის ყველა წევრთან მძინებია. მაგრამ ახლა უკვე სიბერე ეპარება.

ორ სამყაროს შორის მდგარ ნორტონს გვენი გაახსენდა, მაწაც ერთხელ როგორღაც წაიტრაბახა, ექვს სენატორთან, უმაღლესი სასამართლოს ორ წევრთან და ერთ პრეზიდენტთან. მძინებიაო. ნორტონი დაინტერესდა: ნეტა თუ არსებობს ქულების აღრიცხვის საერთაშორისო საწყაო და თუ არსებობს, რომელი დარჩებოდა მოგებული — მელინდა თუ გვენი? მან შეხედა მელინდას, რომელიც ტრამპლინთან წვერებიან მეგიტარესთან ცეკვავდა. როცა პენისკენ მობრუნდა, ტერასის ბნელ კუთხეში შეამჩნია უცნაური ახალგაზრდა კაცი. მას ეცვა ტენისის ფეხსაცმელები, საცურაო ტრუსი და მოკლესახელოებიანი პერანგი. ხელში ლუდის კათხა ეჭირა და ამ მოუსვენრად მოფუსფუსე ხალხში სრულიად მშვიდად იდგა,

რითაც თითქო მიანიშნებდა ადამიანს, რომ აქ ყველაფერი მე მეკუთვნისო.

— აი ჩვენი მასპინძელიც, — უთხრა ნორტონს პენიმ. შემდეგ ჯეფ ფილდსი მათთან მივიდა.

— ჯეფ! — წამოიძახა პენიმ, — გახსოვს ბენ ნორტონი? ვაშინგტონიდან?

— ეს თქვენ მირეკავდით? თქვენ ხართ დონას მეგობარი,

— ვინ არის დონა? — იკითხა პენიმ.

— გაიქეცი, გამხიარულდი, — ისე უპასუხა ფილდსმა, ნორტონისათვის თვალი არ მოუცილებია, — მე და ამ ჯენტლმენმა უნდა მოვილაპარაკოთ.

— ხელს შეგიშლით თუ რა? ნორტონი მე მოვიყვანე.

— ჩვენ საქმე გვაქვს, პატარავ, შენ კი წადი და იბანავე.

მან გაუღიმა პენის, ის სიხარულით გაიბადრა, ნორტონისაკენ მიბრუნდა, მხრებაჩეჩილი საცურაო აუზისაკენ წავიდა. ეს ეშმაკური, ალერსიანი გაცინება ნაცნობი იყო ნორტონისათვის. მაგრამ დაუპატიჟებელ სტუმარს ფილდსმა უკვე ალერსის გარეშე მიმართა.

— როგორ შემოაღწიეთ აქ?

— ეს ქალიშვილი მოვატყუე. ის არაფერ შუაშია.

— არა, დამნაშავე მე ვარ, რომ ამ ჩერჩეტს თვითნებობის უფლება მივეცი. რადგან აქ ხართ, მოდი მოვილაპარაკოთ, წამობრძანდით, იქით ჩამოვსხდეთ.

მან ნორტონი პალმის ქვეშ მდგარი მაგიდისკენ წაიყვანა, უცებ გამოჩნდა ოფიციანტი და ფილდს ჰკითხა, რას ინებებთო. ფილდსმა ლუდი შეუკვეთა. გახდილი პენი კაბინიდან გამოვიდა და აღტაცებული ყვირილით წყალში გადაეშვა. წუთის შემდეგ ფეხბურთელმა, მაცივრით რომ ერთობოდა, ელვისებურად ჩაუქროლა გაზონებს და აუზში ჩახტა.

— მთვრალი რეგვენი, — წაიბუზღუნა ფილდსმა. — იწყებ რამდენიმე მეგობრით, ნორტონ, მერე ემატება იმათი მეგობრები, საბოლოოდ კი სახლი სამსეცეს ემსგავსება. — მან ამოიოხრა, გამოართვა ოფიციანტს ორი კათხა ლუდი, ერთი ნორტონს მიაწოდა. — მაშ ასე, თქვენ გამოიარეთ დიდი გზა, რომ მე გენახეთ, რა მიზნით?

— თქვენთვის ალბათ ცნობილია, რა დაემართა დონას, სომ ასეა?

— გაზეთებში წავიკითხე. ძალიან ვწუხვარ. საქმის ვითარება ჯერ არ გამოურკვევიათ?

— ჯერ არა. შესაძლებელია მძარცველებმა მოკლეს.

— ვაშინგტონი სახიფათო ქალაქია.

— ფილდს, რატომ აღმოჩნდა ის შენს სახლში?

— თქვენ რა გაქვთ მხედველობაში?

— თქვენი სახლი ჯორჯტაუნში, იქ, სადაც ის მოკლეს.

— ვინ თქვა, რომ ის ჩემია?

— დონას მეგობარი ქალი ამბობს, რომ თქვენ ან დაიქირავეთ, ან იყიდეთ იგი.

— ვინ იცის, კიდევ ამის შესახებ?

— პოლიცია ბოლოს და ბოლოს დაადგენს.

— მანამდე დიდი დრო გავა. ეს სახლი მე სხვის სახელზე მევიძინე!

ნორტონს უცნაურად მოეჩვენა, რომ პოლიციას ჯერ კიდევ არ მიუმართავს ფილდსისათვის. ედი მერფმა იცის, რომ ეს სახლი ჯორჯტაუნში ეკუთვნის ფილდსს, ან ედი არ ჩქარობს, ეს ამბავი პოლიციას განუცხადოს ან პოლიცია არ ჩქარობს, ისარგებლოს მიღებული ცნობით.

— რისთვის არის საჭირო ასეთი თვითგაყრთხილება? — ჰკითხა ნორტონმა!

— რისთვის? ისე ჩავიდე ხოლმე იქ, რომ არ მეშინოდეს ზაღალი საზოგადოების ქრონიკელი ჭორიკნების, ავტოგრაფების მოყვარულებისა და ხელმოცარული სცენარისტებისა.

— კი მაგრამ დონა რატომ აღმოჩნდა იქ?

Შსახიობმა მხრები აიჩეჩა.

— დამირეკა, მკითხა, შეიძლება თუ არა იქ ვიცხოვროთ. მე ნება დავრთე.

— საიდან დაგირეკა?

— პატარა ქალაქიდან, სადაც ცხოვრობდა, მგონი კარმელი ჰქვია.

— რატომ გაემგზავრა ვაშინგტონში?

— არ მიკითხავს.

— ცნობისმოყვარე არ ყოფილხარ!

Შსახიობმა ცივად შეხედა.

— მომისმინე, ნორტონ, შენ მიფუჭებ წვეულებას, მაძლევ Შილიონ შეკითხვას, რომელზედაც მე არ უნდა გიპასუხო,

თანდათან აუტანელი ხდები. მე ვუბრძანებ, გაგაგდონ აქედან.

ნორტონმა მსახიობს ანალოგიური მზერით უპასუხა. მას სიბრაზესთან ერთად ამ ტიპის მიმართ გაუჩნდა უპირატესობის გრძნობაც, რომელიც ადამიანს ხშირად ეუფლება, როცა მისი მოწინააღმდეგე 50 ფუტით მასზე ნაკლებს იწონის.

— უბრძანე, — უთხრა მან, — მაგრამ, სანამ გამაგდებენ, მაგ ლამაზ ცხვირს მოგამტვრევ.

ფილდსმა, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ყურადღებით შეათვალიერა ნორტონი, შემდეგ მხრები აიჩეჩა და მეგობრულად გაუღიმა.

— მისმინე, ბენ, ვერ გამიგია, რატომ ჩხუბობთ? შენ კარგად ეპყრობოდი დონას, მაგრამ მეც ხომ ვმეგობრობდი მასთან. შენ მუშაობდი უიტმორთან? მის საქმეს აკეთებდი? მეც ხომ იგივეს ვაკეთებდი. ესე იგი, ჩვენ შინაური ხალხი ვართ. მე ვუპასუხებ შენს შეკითხვებს, ოღონდ ნუ მიტევ, კარგი?

— კარგი, — დაეთანხმა ნორტონი, — ოღონდ მითხარი, კარგად იცნობდი დონას?

— ჩვენ მეგობრები ვიყავით, შენ უკეთ იცი, საარჩევნო კამპანიის დროს ადამიანები სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს. რამდენჯერმე ერთადაც გვისეირნია. მე ის მომწონდა, იგი ჭკვიანი და პატიოსანი გოგო იყო. შენ თუ ეს გაინტერესებს, სხვა ურთიერთობა ჩვენ შორის არ ყოფილა. მას არ მოსწონდა ჩემი ცხოვრების წესი.

— რა იცი მისი და უიტმორის დამოკიდებულების შესახებ? — მოულოდნელად ჰკითხა ნორტონმა.

— არაფერი, — უკმეხად უპასუხა მსახიობმა.

— მართალია, რომ დონამ შენთვის დაწერა სცენარი?

— დაწერა, მაგრამ არა მგონია, მას სცენარი დაერქვას, უფრო მეტად მემუარებს ჰგავს. ის ამბობდა, რომ ჩანაფიქრი მაქვს ფილმისათვის, რომლის მოქმედებაც ვაშინგტონში ხდებათ. წინადადება მივეცი, გადაეტაწა ქაღალდზე იგი, როგორც შეეძლო. მას აღმოაჩნდა რამდენიმე საინტერესო იდეა.

— როგორი?

მსახიობმა მოსვა ლუდი და შეხედა ვარსკვლავებით მოჭედილ კალიფორნიის ცას. ძირს, აუზში უზარმაზარი ფეხბურთელი ჰაერში ისროდა ბენის თოჯინასავით. ზოგიერთები წყალბურთს თამაშობდნენ.

— დონას ნაწარმოების მთავარი გმირი ახალგაზრდა ქალია, იგი შეყვარებულია პოლიტიკურ მოღვაწეზე, რომელსაც არ უნდა გაეყაროს ცოლს, — თქვა მსახიობმა. — საერთოდ, ეს ბანალური ამბავია, მაგრამ ნაწარმოებში საინტერესო დეტალები იყო.

— მაგალითად?

— ვთქვათ, სცენა ახალგაზრდა ქალისა და პოლიტიკოსის ცოლის დამოკიდებულების შესახებ. კარგად იყო დახატული პოლიტიკური მოღვაწის მობანდიტო თანაშემწის სახე. სცენა საძინებელ ოთახში და სხვა.

— პოლიტიკური მოღვაწე შემთხვევით ორმოცდაათ წელს გადაცილებული მოუსეშავი სენატორი ხომ არ არის, რომელმაც თავი წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე?

— აქ იყო რაღაც გაურკვეველი და საერთოდ ბევრი ადგილი — ბუნდოვანი.

— მას ჰქონდა იმის საფუძველი, რომ გაურკვევლად ეწერა, — თქვა ნორტონმა, — მე და კიდევ ბევრ სხვასაც გვსურს ხელნაწერის წაკითხვა.

— მათ შორის მეც, — თქვა ფილდსმა.

— რა გაქვს მსედველობაში.

— ჩემი ეგზემპლარი მოიპარეს.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა ნორტონმა, — როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.

— ქალაქში მე კანტორა მაქვს. იქ ათასობით სცენარი ინახება. ამას წინათ კანტორა გატეხეს, სალაროში რაღაც გროშები იყო, მეგონა, ის მოიპარეს, როცა დონამ დარეკა და მიამბრა, გადაწყვეტილი მაქვს ვაშინგტონში გამგზავრებაო, სხვათა შორის, ვუთხარი, ჩემს კანტორაში მომხდარი ძარცვის შესახებ. მან მთხოვა, მენახა მისი ხელნაწერი ადგილზე იყო თუ არა. როცა აღმოჩნდა, რომ ხელნაწერი გაქრა, დონა ძალიან შეწუხდა.

— არ აცნობე ამის შესახებ თეთრ სახლს?

— ჩვენ ახლა თითქმის აღარა გვაქვს ურთიერთობა.

— რატომ?

— ეს უკვე იმათ ჰკითხე, — უპასუხა მსახიობმა. — შემიძლია მხოლოდ ის გითხრა, რომ მე და უიტმორი მეგობრები ვიყავით მანამ, სანამ მისთვის ვმუშაობდი, მაგრამ, როგორც

კი თეთრ სასლში მოკალათდა, ჩემი გვარიც დაივიწყა. ბანს, ჩემმა ძველმა მეგობარმა თავის დროზე გამომიყენა, ახლა აღარ ეჭირდები.

— პოლიტიკოსები ყველას იყენებენ, — შენიშნა ნორტონმა, — შეს უნდა გცოდნოდა ეს.

— შინ შევიდეთ, — თქვა მსახიობმა. — თუ სურვილი გაქვს, ღამეც აქ გაათიე, იქნებ კიდევ გველაპარაკა.

— რაზე?

— დოსაზე, უიტმორზე, პოლიტიკაზე, გაცილებით იმაზე წაკლები მცოდნია, ვიდრე მეგონა.

სტუმრებმა საცურაო აუზში გადაინაცვლეს, სასლი თითქმის დაცარიელდა. ფილდსმა ნორტონი ბიბლიოთეკაში შეიყვანა, ერთი კედელი მთლიანად ფოტოსურათებს ეკავა, სადაც ის სხვებთან ერთად იყო გადაღებული. ნორტონმა იცნო რამდენიმე მსახიობი და კინორეჟისორი.

—აი, აქ ჩვენს საერთო მეგობართან ვარ გადაღებული, — თქვა ფილდსმა, — სურათზე აღბეჭდილი იყო ფილდსი და უიტმორი. ფილდსი გულღიად იღიმებოდა, უიტმორი კი ეჭვიანად იყურებოდა. ნორტონმა სურათს გულგრილად შეხედა. ამას ასეთი უამრავი ფოტო ჰქონდა ნანახი, — პოლიტიკოსები ასეთ სურათებს ურიგებდნენ ყველას, როგორც შაქარყინულს — ბავშვებს. მაგრამ მერე უფრო დაკვირვებით დაუწყო თვალიერება. იგი რაღაცამ დააინტერესა, თუმცა იმწუთში ვერ მიხვდა, კონკრეტულად რამ.

— მახსოვს ის დღე, როცა ეს სურათი გადავიღეთ, — დაიწყო ფილდსმა, მაგრამ უმალ გაჩუმდა, როგორც კი კარებში გამოჩნდა ბრტყელსახა კაცი, რომელიც შემოსასვლელ ჭიშკარს დარაჯობდა. ფილდსი ტელეფონზე გამოიძახეს. როცა მსახიობი დაბრუნდა, ნორტონი შემობრუნდა მისკენ და გაოცდა, ფილდს სახე აჭარსლებოდა და მოღრეცოდა, სიგარეტს რომ უკიდებდა, თითები უკანკალებდა, გეგონებოდათ, ეს-ეს ბრის უახლოესი ადამიანის გარდაცვალება აცნობესო.

ნორტონს მისი ნათესავები არ აინტერესებდა, მას მხოლოდ ერთი რამის გაგება უნდოდა.

— ჯეფ, ეს სურათი...

— დაივიწყე მისი არსებობის შესახებ. წვეულება დამთავრებულია. ჯეკი წაგიყვანს ოტელში.

— რა მოსდა?

— თავს ცუდად ვგრძნობ, წვეულება დამთავრებულია.

— კარგი, ოღონდ მითხარი, ვინ არის ამოჭრილი ამ სურათში.

— რაზე ლაპარაკობ, ეშმაკმა დალახვროს?

— უიტმორის გვერდით ქალი მდგარა. უიტმორის მკლავზე მიჩანს მისი ბლუზის ნაწილი.

— ჩემი მდივანია, — ის შეტრიალდა თავისი მცველისაკენ, — ჯეკ, მიიყვანე მისტერ ნორტონი ოტელში.

— ტყუი, — თქვა ნორტონმა. — მე ვსედავ, რომ ეს ბლუზა ღინასია. იგი მე ვუყიდე მას, როდის იყო ის აქ?

ფილდსმა რაღაც უსურსულა ბრტყელსახას და ყოყმანით გავიდა.

— წავიდეთ „მეგობარო", — თქვა მან. ის ძალოსანივით იყო ჩასსმული და თვითკმაყოფილი, გამომწვევად უღიმოდა ნორტონს. ნორტონმა გადაწყვიტა, არ მიეღო გამოწვევა, აუარა გვერდი მას და სადარბაზოსაკენ გაემართა.

— „იმპერიალში" ჩავსხდეთ, — უთხრა ნორტონს გამცილებელმა, როცა ისინი გარეთ გამოვიდნენ და აჩვენა ავტომანქანა, რომელიც გზის ბოლოს იდგა. ნორტონი მანქანისაკენ წავიდა, ის გაოგნებული ფიქრობდა, რა ცნობას შეეძლო ფილდსის ასე შეძრწუნება. ცუდი ამბებისათვის საღამო შეუფერებელი იყო. მას ესმოდა მუსიკა და სიცილი, რომელიც საცურაო აუზიდან აღწევდა ნორტონამდე. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, შემდეგ, როცა ისინი მიუახლოვდნენ „იმპერიალს", ზურგს უკან მდგომმა კაცმა გააკეთა რაღაცნაირი მოძრაობა და ნორტონს თვალთ დაუბნელდა.

9

მზის ამოსვლა უდაბნოში — მეწამულისა და. ვარდისფერის წყნარ სიმფონიას მოგაგონებდათ. ნორტონი შესანიშნავად ხედავდა ამას თხრილიდან, სადაც გონს მოეგო. როგორც კი განძრევას დააპირებდა, ეჩვენებოდა, რომ კეფაზე პატარა ყუმბარები უსკდებოდა. ამიტომ უფრო გონივრული იყო, უბრალოდ წოლილიყო თბილ ქვიშაზე და ეცქირა, როგორ თენდებოდა. როგორც კი ნორტონი ამობობღდა თხრილიდან, მიხვდა,

რომ იგი დიდი მანძილით არ იყო დაცილებული გზატკეცილს. მალე გზაზე გამოჩნდა პიკაპის ტიპის ავტომანქანა „შევროლე", მძღოლი სამარელი ფერმერი აღმოჩნდა, რომელსაც სალათა მიჰქონდა ქალაქში ფერმერმა ნორტონი სასტუმრომდე მიიყვანა. ასსნა-განმარტების მაგივრად მან ღვარძლიანად შესედა ადმინისტრატორს და თავისი ნომრისაკენ წავიდა, რომ მიეღო ცხელი შხაპი და საფუძვლიანად დაფიქრებულიყო. შხაპი ძალიან ესიამოვნა, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ მოისაზრა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ეს ზღაპრული პალმ-სპრინგსი.

ნორტონმა წამით გაიფიქრა, ისევ მოენახულებინა ფილდსი, მაგრამ შეეშინდა, რომ ბოლოს და ბოლოს ისევ იმ თხრილში ან უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ერთადერთი, რაც მას სურდა — ვაშინგტონში დაბრუნება იყო. იქ მას თავში არავინ ჩაარტყამდა და არც თხრილში გადაუძასებდნენ, მაგრამ მას ჯერ კალიფორნიაში ერთი ადგილი უნდა მოენახულებინა.

აეროპორტის ყავახანაში პენი შენიშნა, რომელიც დაღვრემილი ჩასცქეროდა თავის ფინჯანს. როცა ნორტონი მიუჯდა, მას თავიც არ აუწევია.

— რა მოხდა წვეულებაზე? — ჰკითხა ნორტონმა.

— აა... გამარჯობა, — უთხრა მაწ. — არ ვიცი, რა მოხდა. საერთო მხიარულება იდგა. უცებ ჯეფმა ყველა გამოგვისტუმრა და თვითონაც გაემგზავრა. შენი ამბავი მაინტერესებდა, მაწ მითხრა, უკვე წავიდაო. რაღაც სიგიჟეები ხდება. მე მგონი მაფია დევნის, ან რაღაც ამდაგვარია.

—რატომ გგონია?

— ერთ გოგოს მოუნდა დაერეკა თავისი მეგობრისათვის, ავიდა ზემოთ, აიღო ყურმილი და უცებ გაიგონა, ვიღაცა ყვიროდა: „ძაღლის გაგდებულო, ჩვენ გაგსრესთ, აღარ გადაგიცემთ არც ერთ ფილმში". — და კიდევ სხვა რაღაცეები იმავე ტონში, ჯეფი კი ამ დროს ხმას ვერ იღებდა. ჩემი აზრით, მხოლოდ მაფიას შეუძლია ელაპარაკოს ამ ტონით ისეთ გამოჩენილ ადამიანს, როგორიც ჯეფ ფილდსია.

— იმ გოგომ არ იცის, ვინ უყვიროდა?

— არა, შეეშინდა და დადო ყურმილი, მას სურდა, მხოლოდ მეგობრისათვის დაერეკა.

— ახლა საით, პენ?

— ალბათ, ლოს-ანჟელესში, მისმინე, ერთად გავფრინდეთ?

— არა, მე აუცილებლად ვაშინგტონში უნდა დავბრუნდე, მაპატიე.

— არა უშავს, მისმინე, მაინც მინდა, რომ შეგხვდე ვაშინგტონში, ვითამაშებთ ჩოგბურთს და ამავე დროს, გამანათლებ პოლიტიკაში.

ნორტონმა მიუგო, რომ ყველაზე მეტად ახლა ვაშინგტონში შენთან შესვედრაზე ვოცნებობო. ამან ცოტა გამოუკეთა ხასიათი პენის, მიმქრალ ფერიას რომ ჰგავდა, მერე ნორტონს საოცრად მომხიბვლელად გაუღიმა, ლოყაზე აკოცა და თავისი თვითმფრინავისაკენ გაიქცა. ნორტონი კი რამდენიმე წუთის შემდეგ ჩრდილოეთის პატარა ქალაქ კარმელაში მიფრინავდა.

— ნაძლევს გიდებ, მეგობარო, გეგონა, რომ ცოცხალი აღარ ვიყავი, არა?

— კი, მართალი ბრძანდებით, სერ, — აღიარა ნორტონმა.

— მაშ ასე, ვაშინგტონელების გაგებით მე ცოცხლებში აღარ ვწერივარ, — თქვა მოხუცმა. — ჩემი აღსასრული ოცი წლის წინ დადგა, როცა ჯო მაკარტიმ დაიწყო ჩემი დევნა და როცა მე გადარჩევნებზე დავმარცხდი. ვაშინგტონში ყოფილ სენატორზე უბედური არავინ არის. ერთხანს კიდევ ვცხოვრობდი იქ, ძველებურად ვთვლიდი თავს საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე პოლიტიკური მიცვალებული ვარ, რომელსაც ყველა თანაუგრძნობს, მაგრამ სადილზეც კი არავინ ეპატიჟება.

მოხუცს ჰარი ნოლანი ერქვა. ორმოცი წლის წინ მას „პრერიების ლომს" ეძახდნენ. ნორტონს მასზე ბევრი რამ წაეკითხა, ზოგან მისი სურათი რუზველტთან ერთად დაბეჭდილიც უნახავს. ახლა კი იგი კარმელადან რამდენიმე მილის დაშორებით იპოვა გორაკზე მდგარ კოტეჯში, წყნარი ოკეანის ცისფერ ხედს რომ გადაჰყურებდა.

— როგორ მომაგენი, ახალგაზრდავ? დონა თითქმის არავის ატყობინებდა, სად ცხოვრობდა.

— ერთხელ მან წერილი მომწერა და მისამართიც იქიდან ვიცი.

— ეს შენ გაემგზავრე პარიზში?

— დიახ.

მოხუცმა უკმაყოფილოდ შეხედა.

— ისე არ მოიქეცი, როგორც საჭირო იყო, ახალგაზრდავ, არ უნდა დაგეთმო, უნდა გებრძოლა, შენ კი უაზროდ ფუსფუსებდი და ხელიდან გაუშვი გოგო. ახლა ის მკვდარია. ცუდია ეს, ახალგაზრდავ, ცუდი. ასეთისთვის ბრძოლა ღირდა, ვნანობ, რომ არ შევსვდი მას 30—40 წლის წინ.

— როგორ გაიცანით, სენატორო?

— ის ჩემს მეზობლად დასახლდა. პირველ ხანებში კარჩაკეტილად ცხოვრობდა. კითხულობდა, წერდა, თუ რას აკეთებდა, არ ვიცი, მაგრამ ერთხელ ლეკვი გამოექცა და ჩემს ეზოში შემოირბინა, დონამაც მოირბინა, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, ამის შემდეგ ხშირად ვსაუბრობდით.

— რაზე?

— ძირითადად პოლიტიკაზე, როგორც ყველა ახალგაზრდამ, ყანაც საერთოდ არ იცოდა ჩვენი წარსული. გადავწყვიტე, იგი გამენათლებინა. რა თქმა უნდა, ვლაპარაკობდით „ახალ კურსზეც", ეფრო სწორად, ვლაპარაკობდი მე, ის კი მისმენდა, სხვათა შორის, ბაზ შესანიშნავი მოსმენა იცოდა, ვსაუბრობდი რუზველტზე, 1944 წელს ფრანკლინს ჩემი არჩევა უნდოდა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, მაგრამ მე უარი ვთქვი.

— სენატორო, დონას კიდევ ჰყავდა აქ მეგობარი?

— რამეს ხომ არ დალევდი, ჭაბუკო?

— სიამოვნებით.

— მაშინ ყველაფერი მოიტანე, რაც საჭიროა. გასდი. საზოგადოების სასარგებლო წევრი, ბოთლი თაროზეა, მე მხოლოდ გაუზავებელ ვისკის ვსვამ.

ნორტონმა ორ ჭიქაში ჩამოასხა ვისკი და მოხუცთან დაბრუნდა.

— ჭაბუკო, დაკავშირებული ხარ პოლიტიკასთან?

— მე სამი წელი ვიმუშავე კაპიტოლიუმში.

— სამი? ღმერთო ჩემო, სამ წელიწადში ხომ ვერ გაიგებ, რა დროს როგორ მოიქცე. მე იქ ოცი წელი გავატარე, მიუხედავად ამისა, როცა გამომაბრძანეს, იმ ბავშვივით ვგრძნობდი თავს, უსიერ ტყეში რომ დაიკარგა. პოლიტიკოსი განსაკუთრებული ჯურის არსებაა, ზოგჯერ ჩემთან პროფესორები ჩამოდიან პოლიტიკურ მეცნიერებაზე სასაუბროდ. მეცნიერებაზე? რა შუაშია აქ მეცნიერება? პოლიტიკა ხელოვნებაა.

ადამიანი კი, ამ იბადება ნიჭიერად, ან არა, გინდა, ჭაბუკო, პოლიტიკოსებზე გიამბო რამე?

— მინდა, სენატორო.

— მაშ ასე, მთავარია შეიგნო, რომ ისინი ყველანი არამზადები არიან, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, ესე იგი, ყოველი მათგანი კაპიკად ღირებული სარგებლისათვის, ყელს გამოგლადრავს. ერთი პოლიტიკოსი მეორისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, თუ ვინ როგორ გამოგჭრის ყელს. ავიღოთ ფრანკლინი. ვთქვათ, მას უნდა გამოგჭრას ყელი, ზიხართ ერთად და ის მთელი თავისი მოქმედებით გხიბლავს, გთავაზობს მარტინს, თავის ასალ ხომალდს გიჩვენებს. საკმარისია თვალი მოხუჭო ან წამით ფანჯარაში გაიხედო, ფრანკლინი მოგეჭრება თავისი საგორაოთი და ისე დაგჭრის, რომ ვერც კი შეამჩნევ ამას, სანამ ისევ არ მოაბრუნებ თავს, მოაბრუნებ თუ არა, თავი იატაკზე გაგორდება.

ჰარი ტრუმენი უმრავლესობას არ ჰგავდა. მასაც შეეძლო ყელის გამოღადრვა, მაგრამ მისი სტილი იყო, ცხვირში დარტყმა ან პანჩურის ამოკვრა. ჩვილსახიანი, რეგვენი აიკი ჯერ ღაგლოცავდა და მერე აკეთებდა თავის საქმეს. ჭუბერტი ტიროდა, წუსდა, რომ სხვაგვარად არ შეეძლო მოქცევა, სანამ შენ თვითონ არ სთხოვდი, ჩქარა მომიღე ბოლოო. ლინდონი წარმოთქვამდა გრძელ ცრემლნარევ სიტყვას, რომ ეს ყველაფერი შენს სასარგებლოდ ხდებოდა. კენედი გამოვიდოდა ვერსიით, რომ გაცილებით უპრიანია ყელი გამოგჭრან, ნავი ჩაგიძირონ ან სხვა ამდაგვარი. სანამ ის გელაპარაკებოდა, ბობი მოგეპარებოდა და დაგისვამდა სამართებელს. შემდეგ მოგვევლინა ის გარეწარი ნიქსონი, იცი, როგორ გამოგჭრიდა ყელს?

— როგორ?

— როგორ და თვითონ არავითარ შემთხვევაში, ძალიან მშიშარა იყო, იგი დაავალებდა თავის მცველ კაციჭამიებს, ისინი უფლებამოსილებით აღჭურვავდნენ რომელიმე რეგვენ მემარჯვენეს, ის კი მთელ საქმეს გააფუჭებდა. პოლიტიკის მთავარი წესია, ჭაბუკო, — არავის არაფერი უნდა დაავალო, თუ გინდა, საქმე ისე გაკეთდეს, როგორც გსურს.

— პრეზიდენტი უიტმორი? — ჰკითხა ნორტონმა, — როგორ მოიქცეოდა ის?

— უიტმორი? ოო... ძალიან მოხერხებული ტიპია, ის რომ

უფრო შეუპოვარი იყოს, შეეძლო მეორე რუზველტი გამხდარიყო. მე მას ასეც ვუთხარი, ვურჩიე, დაივიწყოს კენედი, მომხიბვლელობა და სხვა ამდაგვარი თვისებები და აიღოს მაგალითი ფრანკლინისაგან, ელაპარაკოს ადამიანებს უბრალოდ, ისე, ვითომ ბუხარს ესაუბრება, გამოვიდეს ტელევიზიით ყოველგვარი ხრიკების გარეშე, უთხრას ხალხს სიმართლე, ისინი მას დააფასებენ, ხალხი სულელი არ არის. მისი თავგზის აბნევა ადვილია, მაგრამ ისინი მაინც არ არიან სულელები. მოხუცმა ვისკი გადაკრა, ნორტონმა თავაზიანად ჰკითხა:

— როდის უთხარით ეს პრეზიდენტ უოტმორს, სერ?

— რაა?

— როდის ნახეთ ის?

— ეშმაკმა დალახვროს, არც მახსოვს, სამი-ოთხი თვის წინ, შეიძლება სუთისაც, მანამდე, სანამ ფიცს მიიღებდა. დიახ, დიახ, ლოს-ანჯელესში იყო რაღაც საქმეზე, მერე დონასთან შემოიარა, ღამე აქ გაათია. დილით კი დონამ ჩემთან მოიყვანა, გამაცნო და უთხრა, რომ მე ყველაზე შესანიშნავი ადამიანი ვარ, მათ შორის, ვისაც კი ის იცნობს. ჩვენ ცოტა სანს ვისაუბრეთ, მერე ის გაემგზავრა. დონამ ფიცი ჩამომართვა, რომ ამ ამბავს არავის მოვუყვებოდი, მაგრამ ასლა, ჩემი აზრით, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— ამის შესახებ კიდევ ვინმეს მოუყევით, სენიორ?

—ჭაბუკო, გახსოვს რა თქვა ჯეკ გარნერმა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შესახებ?

— მგონი თქვა, რომ ეს თანამდებობა ფურთხადაც არ ღირსო.

— დიახ, დიახ, მხოლოდ ეგ სიტყვა კი არა, ისეთი რამ თქვა, რასაც პრესაში არ დაბეჭდავენ. ეს თანამდებობა დიდი არაფერია, ერთადერთი, თუ აქვს, კარგი ისაა, რომ როცა არ გინდა, შეგიძლია პასუხი არ გასცე დასმულ კითხვას, შეგიძლია აირიდო კიდეც თავიდან და სადღაც შორეთში იყურო, სულ მალე შეგეშვებიან. თუ არ გინდა, ტყუილის თქმაც არ დაგჭირდება.

— ვინმეს ხომ არ უკითხავს დონა?

— გუშინ იკითხა ერთმა რეგვენმა, არ მინდოდა მისთვის რამე მეთქვა, იმწუთშივე შევამჩნიე სიყალბე.

— ვინ იყო?

— განსაკუთრებულ საქმეთა აგენტი ვარო, ეტყობოდა ნორმალური არ იყო, ამიტომ თავი შორს დავიჭირე, რაღაც სისულელეებზე ველაპარაკე და ის მალე წავიდა.

— სენატორო, დონას არ უთქვამს, რატომ მივდივარო ვაშინგტონში?

— არ უთქვამს, მაგრამ ქათმის ჭკუის მქონეც კი მისვდებოდა.

— ამით რისი თქმა გსურთ?

— იმის თქმა მსურს, რომ ორი თუ სამი თვის წინ უიტმორი ჩამოვიდა მასთან. ახლა მისი ჯერი იყო. რა თქმა უნდა, შეიძლება მე ვცდები, შესაძლებელია დონა გაემგზავრა იმიტომ, რომ კონგრესის ბიბლიოთეკაში რომელიღაც წიგნი გადაეფურცლა, ან იმიტომ, რომ ესილა, ვაშინგტონში როგორ ყვავის ალუბალი და თუ ეს ასეა, მაშინ ჩემი ახალგაზრდობის დროიდან ყველაფერი შეცვლილა, შეყვარებულები არასოდეს სწორად არ აზროვნებენ, ეშმაკმა დალახვროს, მე ვურჩიე, ნუ წახვალ ვაშინგტონში, დარჩი აქ, სადაც ბედნიერი ხარ-მეთქი, ვაშინგტონი კი ეშმაკსაც წაუღია, საშიში ქალაქია, ჭაბუკო, იქ თუ დიდხანს იცხოვრებ, ასე ან ისე შენც მოგკლავენ. ამაში დარწმუნებული იყავი.

10

ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე ნორტონს სამუშაო ელოდა, ასეთი საქმისათვის კოლეჯში არ ამზადებენ. ამისათვის ხელშეკრულებისა და სამოქალაქო სამართლის ცოდნა კი არ არის საჭირო, რომელსაც ნორტონი სტუდენტობის დროს იზეპირებდა, არამედ უფრო რთული და მომგებიანი კანონი, რომელიც მან ვაშინგტონში ცხოვრებისას შეისწავლა. ნორტონისათვის ნათელი იყო, რატომ აიყვანა სამუშაოზე უიტნი სტოუნმა და რატომ უხდიდა დოლარებს ასე უხვად. სტოუნმა პირველმა გამოიგონა ახალგაზრდა იურისტების მოზიდვის ანგარიშიანი სისტემა. ბევრი ფირმა უკვე სამი ათწლეულია იბირებდა მათ, ვინც ადრე იმ პოლიტიკოსებთან მუშაობდა, ახლა თეთრი სახლი რომ იკავათ და სავარაუდო იყო, რომ კვლავაც იყვნეს მათთან დაკავშირებული. უიტი სტოუნმა, აზარტულმა მოთამაშემ, განავითარა ეს ძველი პროცესი და და-

იწყო იმ ახალგაზრდა იურისტების გადმობირება, რომელთაც კავშირი ჰქონდათ პოტენციურ პრეზიდენტთან, ამ შემთხვევაში ისინი გაცილებით იაფი უჯდებოდათ, თუ პრეზიდენტობის კანდიდატებს ბედი არ გაუღიმებდათ თეთრი სახლისკენ მავალ გზაზე, სტოუნი ადვილად იცილებდა გადმობირებულ იურისტებს. ნორტონს მიაჩნდა, რომ ის იყო ერთ-ერთი იღბლიანი ფსონი უიტ სტოუნისა, რადგან, როცა მან ნორტონი მოიწვია თავის ფირმაში სამუშაოდ, სენატორი უიტმორი ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი. მიუხედავად ამისა, სტოუნი დაეთანხმა ნორტონის სურვილს და ნება დართო, გამგზავრებულიყო ვაშინგტონიდან. თუმცა თვითონ მიაჩნდა, რომ ახალგაზრდა იურისტისათვის სისულელე იყო პოტენციური პრეზიდენტისაგან წასვლა. ნორტონმა იცოდა, რომ მან პარიზში კარგად იმუშავა ფირმისათვის, მაგრამ ახლა, როცა მისი ყოფილი ბოსი პრეზიდენტი გახდა, დადგა დრო აქაც კარგად იმუშაოს ფირმისათვის. სწორედ ამიტომ აიყვანა იგი სამუშაოზე უიტ სტოუნმა.

ნორტონმა გაიგო ეს სისტემა და თითქმის შეეგუა მას, ამ თამაშს „კავშირებს" ეძახდნენ. მისი არსი ის იყო, რომ „კავშირები" გამოგეყენებინა ისე, როგორც ფირმას სჭირდებოდა. ნორტონი ფიქრობდა, რომ ამ თამაშს სხვაზე უკეთ ვაარსებდა თავს, უიტმორთან კავშირი კი დიდ სარბიელს გადაუშლიდა და თავისი ოსტატობისა და პატიოსნების წყალობით ყოველივის დასაქმებული იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს ამისი იმედი წამდვილად ჰქონდა.

და აი კალიფორნიიდან დაბრუნებული, მეორე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ეწვია, რომელიც მოთავსებული იყო დიდებულ სასახლეში. მას იმედი ჰქონდა, გაიგებდა, როგორ შეხვდებოდნენ ანტიტრესტების განყოფილების თანამშრომლები ტეხასის ნავთობსარეწებისა და გაზეთის გამომცემლობათა მაგნატის სურვილს, შეეძინა კიდევ თოთხმეტი რადიოსადგური თავისი მომავალი პოლიტიკური კარიერისათვის. ნორტონი წინასწარ ხვდებოდა ყოველივეს, მაგრამ ხელფასს ამ მიხვედრილობისათვის როდი უსდიდნენ.

შევიდა თუ არა შენობაში, მთვლემარე მცველის პირის-

პირ აღმოჩნდა. ნორტონს ასსოვდა ის დრო, როცა იუსტიციის სამინისტროში შესვლა თავისუფალი იყო.

— მე მისტერ ნორტონი ვარ, — უთხრა მას, — შესვეცრა მაქვს დანიშნული ალენ ჯილსპაისთან.

მცველმა გულგრილად შეხედა ნორტონს და ხელი წაატანა ცისფერ ცნობარს,

— იგი, იუსტიციის მინისტრის სპეციალური თანაშემწეა, — თქვა ნორტონმა. კარისკაცი ცნობარს: იმდენხანს ფურცლავდა, სანამ ნომერი არ მონახა. მერე დარეკა და წუთიერი დაბნეულობის შემდეგ ყურმილი ნორტონს გადასცა.

— მისტერ ნორტონ, მისტერ ჯილსპაი გთხოვთ, შესვდეთ კაფეტერიაში, — უთხრა მდივანმა ქალმა, — ის მოვა, როგორც კი განთავისუფლდება.

ნორტონი მოიღუშა და გაემართა სარდაფში მოთავსებულ პატარა კაფეტერიისაკენ, თან გაიფიქრა, ჩემი მისია არცთუ ისე კარგად დაიწყოო. ძველ მეგობარს ელ ჯილსპაის შეეძლო, იგი მინისტრის პირად სასადილოში მიეღო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გულითადი მეგობრები ისინი არასოდეს ყოფილან, ორივე იურისტი იყო, მთელი წელიწადი ერთად თანამშრომლობდნენ უიტმორის შტატში და გარკვეულწილად ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ. ნორტონს არ სჯეროდა, რომ ჯილსპაი ძალიან წუსდა სამსახურიდან მისი წამოსვლის გამო. მიუსედავად ამისა, ელი ჭკვიანი და პოლიტიკური ალღოს მქონე იურისტი გახლდათ. ნორტონი თვლიდა, რომ საჭირო ცნობებს მისგან უფრო ადვილად მიიღებდა, ვიდრე ყოფილი პროფესორისაგან, რომელიც ამჟამად ანტიტრესტების განყოფილებას ედგა სათავეში.

ჯილსპაი კაფეტერიაში თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩამოვიდა. ის იყო პუტკუნა, თვითკმაყოფილი ახალგაზრდა კაცი. აშკარად ჩანდა, რომ მას ჭკუა ეკითხებოდა. ისინი ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ. ჯილსპაი დაჯდა და მოთმინებადაკარგულმა ყავის მორევა დაიწყო.

— როგორ არის საქმე, ბენ? — ჰკითხა მან.

— შესანიშნავად, — მიუგო ნორტონმა.

— რომელ ფირმაში ხარ?

ნორტონმა უპასუხა, თუმცა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ჯილსპაიმ ეს შესანიშნავად იცოდა.

— ცუდ დროს წახვედი ჩვენგან.

— მე ყოველთვის პირიქით ვიქცევი, როცა ყველა გამარ-ჯვებულის ეტლსე ლამობს აცოცებას, მე მაშინ ძირს ჩამოვ-დიკარ.

— ამბობენ, შეიძლება ისევ ზევით აღმოჩნდე!

— ვინ ამბობს?

— ამბობენ, მართალია ეს?

— ეჭვი მეპარება.

ნორტონს რომ უყურებდა, ჯილსპაის ეგონა, მისმა ყოფილმა კოლეგამ აზროვნება დაკარგა, მაგრამ ნორტონს ეს სრულიადაც არ აწუხებდა. მას აინტერესებდა, საიდან გაიგო ჯილსპაიმ, რომ ედი მერფი სამუშაოს სთავაზობდა.

იქნებ ედიმ ჯილსპაის დაავალა სამინისტროში მისთვის ვაკანტური ადგილი დაეძებნა? ნორტონმა ივარაუდა, რომ შესაძლოა მათი საუბარი რთულად წარმართულიყო. ვაშინგტონში ჯერ კიდევ ნიშნავდნენ და თანამდებობას უცვლიდნენ ხალხს და ეგების ჯილსპაი ფიქრობს, რომ ჩვენ ისევ კოლეგები გავსდებით. თუ ასეა, იფიქროს თავისთვის, რა მენაღვლება.

ნორტონმა გადაწყვიტა თამაშში აჰყოლოდა. ჯილსპაის სამუშაოს შესახებ დაუწყო ლაპარაკი და ყურადღებით ისმენდა მის ტრაბახს, რა წარმატებებს მიაღწია ახლად აღორძინებულმა იუსტიციის სამინისტრომ. შემდეგ ჯილსპაიმ უცებ შეცვალა საუბრის თემა.

— დონა მეცოდება, — თქვა მან.

ნორტონმა თავი დაუქნია.

— თქვენ მგონი დაქორწინებას აპირებდით მასზე?

— არა.

— შენის აზრით, რა მოხდა, ნორტონ?

— არ ვიცი.

— არა გაქვს არავითარი ვერსია?

— მე პოლიციელი არა ვარ, ელ.

— ვიცი, მეგონა, რომ დაინტერესდებოდი ამ საქმით.

— მე არავითარი ვერსია არ გამაჩნია.

ჯილსპაი უნდობლად უყურებდა. ნორტონს ძალიან უნდოდა მისგან რაიმე გაეგო, მაგრამ იცოდა, ჯილსპაის მსგავს ადამიანს, ვერაფერს დასტყუებდა.

მაგ ისევ იუსტიციის სამინისტროს შესახებ ისაუბრეს, ყავა დალიეს. უკვე დრო იყო გამოთხოვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არც ერთი არ ისურვა ინიციატივას. მერე ჯილსპაიმ ისევ გააოცა ნორტონი.

— რა საქმითა ხარ დაკავებული, ბენ?

ნორტონი მისვდა, რომ ეს შემთხვევითი შეკითხვა არ იყო. ჯილსპაიმ გაუადვილა სათქმელი.

— სალაპარაკოდაც არ ღირს, ათასი წვრილმანით, — მან მაგიდაზე ხურდა ფული დაყარა და ორივენი გასასვლელისაკენ გაემართნენ. — არის ერთი საკითხი, რომელიც ანტიტრესტების განყოფილებას ესება, გაზეთების გამომცემელს ტესასში ვინმე ბაკსტერს სურს შეიძინოს რამდენიმე რადიოსადგური, მაგრამ არავინ იცის, რას იტყვის ამაზე თქვენი განყოფილება.

ისინი დერეფანში მოდიოდნენ, გვერდი აუარეს უზარმაზარ პანოს, სადაც გამოსახული იყვნენ ფერმერები, რომლებიც მუშაობდნენ ქვიან მინდორზე. ლიფტიან ჯილსპაი არაფრისმთქმელი სახით მოუბრუნდა ნორტონს.

— რადიოსადგურები? — თქვა მან, თითქოს საკუთარ ფიქრს გაეპასუხაო. სასე მოღრიცა და მსრები აიჩეჩა. ეს ჟესტი ჯილსპაისათვის დამახასიათებელი სულაც არ იყო.

— მისარია, რომ შეგხვდი, ბენ, — თქვა, მან და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

ლიფტი სმაურით დაეშვა ძირს.

— მეც, ელ.

— საბურავების კომპანიაზე წარმოდგენა არა გაქვს?

— არა.

— ბედი გწყალობს. — ლიფტის კარები გაიღო, ჯილსპაი შეავიდა და ლიფტი ზევით წავიდა.

სამი წუთის შემდეგ ჯილსპაი თავისი კაბინეტიდან, მინისტრის კაბინეტის გვერდით რომ იყო მოთავსებული, რეკავდა თეთრ სახლში, რასაც ნორტონი ვერც კი წარმოიდგენდა. იუსტიციის სამინისტროდან გამოსულ ნორტონს მტკიცედ სწამდა, რომ ხარვეი ბაკსტერს ტესასში ყველა რადიოსადგური რომ შეესყიდა, ანტიტრესტების განყოფილება ამაზე თვალს დახუჭავდა.

მსრების აჩეჩვა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ნორტონი ისე კარგად იცნობდა ჯილსპაის, რომ მისი ჟესტის ახსნა

მშვენივრად შეეძლო. მაგალითად, ასე: „იდიოტი, ნუთუ გგონია, რომ ჩვენ, ტეხასის რადიოსადგურებისათვის გვცალია ასლა“. და თუ ნორტონი თავისი გონებაჩლუნგობის გამო ამას ვერ გაიგებდა, ყოველ შემთხვევისათვის ასსენა საბურავების კამპანია, რის შედეგადაც ნორტონისათვის სავსებით ნათელი შეიქნა, რომ ანტიტრესტების ისედაც დაუკომპლექტებელ განყოფილებას უახლოესი თვეების მანძილზე მთელი თავისი ძალისხმევით ამ საკითხის მოსაგვარებლად უნდა ეზრუნა.

ნორტონმა გაიგო ყველაფერი, რაც სჭირდებოდა, გარდა მისდამი ასეთი დამოკიდებულების მიზეზისა. იგი დაფიქრდა ამაზე, რადგან ვაშინგტონში, ნახუქარ ცხენსაც კი კბილები უნდა გაუსინჯო და მისვლა, რომ მიზეზი ნათელია, როგორც ჩანს, ედი მერფი ელაპარაკა ჯილსპაის მისი ვიზიტის შესახებ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჯილსპაიმ ასსენა სამსახური და გამოჰკითხა დონას მკვლელობის ამბები. ნორტონი ფიქრობდა, რომ ელის ეს გულუხვი ჟესტი ედი მერფის კარნახით იყო გამოწვეული. მერფს გადაწყვეტილი ჰქონდა, ნამცეცები მიეგდო ნორტონისათვის, გაესსენებინა მისთვის, რა სასარგებლოა თეთრი სახლის მფარველობა ვაშინგტონელი იურისტისათვის, რომელსაც შეუძლია ენას კბილი დააჭიროს, ძალიანაც კარგი. ის მიიღებს მათ სიკეთეს და როგორც გადაწყვეტილი აქვს, გამოიკვლევს დონას სიკვდილის ნამდვილ მიზეზს, თუნდაც უმადურ კაცად ჩათვალონ, ეს მათი საქმეა.

11

ნორტონი თვლიდა, რომ მის ცნობიერებაში ყველაზე საუკეთესო მსახიობი ქალები იყვნენ: ქეთრინი, ჰეპბერნი, ლივ ულმანი, ჯული ქრისტი და ფრენსის სოლი, ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მისის სოლი მათ ყველას სჯობდა, მართალია, ფართო საზოგადოებისათვის მისის სოლი ცნობილი არ იყო, რადგან თანამდებობრივმა გარემოებამ აიძულა მხოლოდ ტრაგიკული როლები ეთამაშა, რომლებშიც იგი მართლაც შეუდარებელი გასლდათ. ნორტონი შეძრწუნებული წარმოიდგენდა სოლმე რა ბრწყინვალედ შეეძლო მას ეთამაშა მედეას, ლედი მაკბეტის ან მარიამ სტიუარტის როლები, მაგრამ მას

სავსებით აკმაყოფილებდა ედი მერფის მდივნის როლი. ფრეწ-სის ხოლი დღეში რამდენჯერმე უცხადებდა ხალხს, რომ ედი მერფი მათ ვერ მიიღებს, ეს სცენა მეორდებოდა და მეორდე-ბოდა, ამ დროს ხოლი ჩვეულებრივ აუღელვებელ სახეზე მწუ-ხარების ნიღაბს აიფარებდა, ნაზი თეთრი თითები უთრთო-და, ღია ცისფერი თვალები ცრემლებით ეკსებოდა და მოსუ-ლებს გულისტკივილით აუწყებდა, რომ ასლა და ახლო მომა-ვალში ედი მერფი მათ მისაღებად ვერ გამონახავდა დროს, რადგან საპრეზიდენტო და სახელმწიფო საქმეებით იყო და-კავებული.

მაგრამ ბენ ნორტონი არ იყო ჩვეულებრივი მთხოვნელი, იგი იცნობდა ამ თამაშს და, მიუხედავად მისის ხოლის ტა-ლანტით აღტაცებისა, ემოციებს არ აჰყვა.

— ეს ძალიან სერიოზული საქმეა, მისის ხოლ, — უთხრა მან ტელეფონით, — ედისთვისაც კი.

— შემიძლია მოვახსენო მას, რაშია საქმის არსი, ბენ?

— უბრალოდ, უთხარით, რომ ეს ჩვენი ადრინდელი საუბ-რის გაგრძელებაა.

მისის ხოლს, მართალია, არ ესიამოვნა ასეთი უნდობლო-ბა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

— კარგით, გავაკეთებ ყველაფერს, რასაც შევძლებ. — მან ამოიოხრა, — მე დაგიკავშირდებით.

მისის ხოლს არ დაურეკავს, ამიტომ მეორე დღეს ისევ თვითონ დაუკავშირდა.

— ოო, ბენ, ამ წუთში ვაპირებდი თქვენთან დარეკვას. მის-ტერ მერფს არა აქვს თავისუფალი არც ერთი წამი, მაგრამ მე მაინც გადავეცი თქვენი დანაბარები. მან გთხოვათ, მოელა-პარაკოთ კლეი მაკნეირს.

— არა მგონია, ამას რაიმე აზრი ჰქონდეს.

— ბენ, კლეი ძალიან უნარიანი ახალგაზრდაა, — თქვა მან, — მისტერ მერფი სავსებით ენდობა მას.

— მისის ხოლ, გადაეცით ედის, რომ მე ახალი ცნობები მაქვს და სასურველია ერთად განვიხილოთ.

— გადავცემ, — დაჰპირდა მისის ხოლი ოდნავ შესამჩნე-ვი ცივი ხმით.

იუსტიციის სამინისტროში ნორტონის წარმატებებით სტოუნი კმაყოფილი დარჩა, გაიღიმა კიდეც, — ეს იყო იშვიათი, არასასიამოვნო გველისებური ღიმილი, მიღებული ცნობების ჭეშმარიტებაში მას ეჭვი არ შეპარვია, ისიც კი არ უკითხავს, რომელი წყაროდან მოდიოდა ისინი, მიიღო ყველაფერი, და დაიწყო მოქმედება.

—ამწუთში დავურეკე ბაკსტერს, — უთხრა მან ნორტონს დდის მეორე ნახევარში. — თქმა არ უნდა, იგი აღტაცებულია ჩვენი ცნობით და განზრახული აქვს, დაუყოვნებლივ შეიძიწოს რადიოსადგურები.

— ნუთუ ასე სჭირდება ისინი?

— კი, აიკვიატა, რომ ეს რადიოსადგურებია მისი პოლიტიკური კარიერის გასაღები. იქნებ ასეც არის, ვინ იცის?

ტელეფონის კორპუსზე ყვითელი შუქი აინთო, სტოუნმა ბიღო ყურმილი, მოუსმინა და მერე მიკროფონს თავისი პატარა ჭორფლიანი ხელი დააფარა.

— ბენ, შენ გირეკავენ ედი მერფის მისაღებიდან, — ოქვა ზან, — დაელაპარაკები აქედან?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ნორტონმა და გადაწვდა ყურმილს.

— ბენ? — მისის სოლის ხმა სიკეთით იყო სავსე. — შეგიძლიათ ახლავე მოხვიდეთ?

— თხუთმეტ წუთში მანდ ვიქნები, — დაჰპირდა ნორტონი და ყურმილი უიტ სტოუნს დაუბრუნა, დაუფარავი ინტერესით რომ უსმენდა.

— ედი სასწრაფოდ მიბარებს, — დარწმუნებული იყო, რომ სტოუნი არ ჰკითხავდა რისთვის.

— როგორც ეტყობა, შენ და მერფი ამჟამად სასურველ დამოკიდებულებაში ხართ, — შენიშნა სტოუნმა.

— ჩვენ ყოველთვის გვესმოდა ერთმანეთის, — უპასუხა ნორტონმა. სტოუნმა გააცილა კარებამდე და სანამ კარს გაუღებდა, შეაჩერა:

— იცი, ბენ, თუ ადმინისტრაცია შენი ნიჭის შესაფერის ბდგილს შემოგთავაზებს, ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ფირმა თანაგრძნობით შეხვდება მას.

ფირმას ერჩია ისეთი თანამშრომელი ჰყოლოდა, რომე-

ლიც დაკავშირებული კი არ იყო თეთრი სახლის ადმინისტ-
რაციასთან, არამედ უშუალოდ იქ მუშაობდა.

— გმადლობთ, სტოუნ, ვნახოთ, როგორ განვითარდება სიტუაციები.

მისის ხოლი მას შესვდა არაჩვეულებრივი თანაგრძნობით.

— ბენ! — წამოიძახა მან, — მისტერ მერფი ის-ის იყო მო-
ემზადა შენს შესახვედრად, როცა პრეზიდენტმა გამოიძახა, მათი საუბარი, ალბათ, რამდენიმე საათს გასტანს, — მან წა-
მით გააკეთა პაუზა და უცებ სახე გაუბრწყინდა, — მაგრამ მო-
მისმინეთ, რა ზომები მიიღო მან.

ამ დროს თითქოს ნიშანი მისცესო, მოსაცდელში კლეი მაკნეირი შემოვიდა, სერიოზული სახით, როგორც მაშინ, თითზე ძველებურად სტუდენტური ბეჭედი ეკეთა, მხოლოდ კოსტიუმი ეცვა, ზოლიანის ნაცვლად, დახვეწილი, მუქი მწვანე.

— მან სთხოვა კლეის, შეძლებისდაგვარად ყველაფერში დაგეხმაროს, — თქვა მისის ხოლმა. მაკნეირმა ნორტონისაკენ გადმოდგა ნაბიჯი, ბავშვურად გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. ნორტონი მისვდა, რომ გააცურეს.

— ბენ, ჩემს კაბინეტში წავიდეთ, იქ ვისაუბროთ.

ნორტონი დანებდა და გაჰყვა მაკნეირს კაბინეტისაკენ, რომელიც თეთრი სახლის ცოკოლის სართულზე მდებარეობ-
და, კაბინეტი პაწაწკინტელა აღმოჩნდა — ფართობითა და ად-
გილსამყოფელით თუ ვიმსჯელებთ, გენრი კისინჯერის დროს, ალბათ, დამლაგებლის საკუჭნაო იყო. — იქ ძლივს ეტეოდა ორი მაგიდა.

— როგორც ხედავ, სივიწროვეა, — უხერხულობის დასაფა-
რავად თქვა მაკნეირმა, — მაგრამ ჩემი მეზობელი აქ თითქ-
მის არ არის ხოლმე, ასე რომ, კაბინეტი შეიძლება ითქვას, მე მეკუთვნის, ჩემი მდივანი მეზობელ ოთახში ზის.

— რა ჰქვია შენს მეზობელს? — ჰკითხა ნორტონმა.

— ბაირონ რიდლი, უცნაური ტიპია.

ნორტონმა მხრები აიჩეჩა და ბაირონ რიდლის მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე არაფერი იდო, გარდა იმ სადესანტო ჯა-
რისკაცების ძეგლის ასლებისა, რომლებმაც ივო ჯიმის კუნ-
ძულზე დროშა ააფრიალეს. სამაგიეროდ მაკნეირის მაგიდაზე დასვავებული იყო აკურატულად დალაგებული საწერი ქა-
ღალდები, გაზეთები, ჟურნალები, გარდა ამისა, იდო მაკნეი-

რის მეუღლისა და ორი ლამაზი ქერა ბავშვის სურათი. ორიცე მაგიდის თავზე უიტმორის ერთნაირი სურათები ეკიდა.

— მეგონა, დასაფლავებაზე გნახავდი, — დაიწყო მაკნეირმა და რატომღაც მგლოვიარე ჭირისუფლის სახე მიიღო.

— არ მიყვარს გასვენებები.

— ის კარგად იყო ორგანიზებული, — თქვა მაკნეირმა, — დიდი გემოვნებით.

— არაფრის გაგონება არ მინდა იმის შესახებ.

— მეგონა, დაგაინტერესებდა. ერთი საინტერესო დეტალი შევნიშნე, ოღონდ ეს ჩვენს შორის დარჩეს. სერჟანტმა კრავიცმა საწინააღმდეგო მხარეს დამალა გადამღები ჯგუფი, რომ ჰქონოდა იმ ხალხის სია, ვინც დაესწრო დასაფლავებას.

— შესანიშნავია.

— რას იზამ, ასეთია პოლიციელების სამუშაო, ეს უნდა მხედველობაში მივიღოთ.

ნორტონს მხედველობაში არაფერი მიუღია. მაკნეირმა საწერი მაგიდის უჯრიდან ერთი კოლოფი საღეჭი რეზინი ამოიღო, და ნორტონს გაუწოდა. ბენმა უარი უთხრა, კლეიმ თვითონ ჩაიდო პირში ერთი ცალი და დაღეჭა. ამან ისედაც გაღიზიანებული ნორტონი, მთლად გამოიყვანა მდგომარეობიდან. რა ბედენაა, — გაიფიქრა მან, — ზიხარ ასლა ამ საკუჭნაოში და უსმენ ედი მერფის ლაქიას.

— ისევა გაქვს ურთიერთობა კრავიცთან? — ჰკითხა ნორტონმა.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ, რატომ არ უთხარი მას, რომ ის სასლი ჯორჯტაუნში ეკუთვნის ჯეფი ფილდსს?.

— რაა?

— შენ შესანიშნავად გაიგონე. რატომ არ უთხარი კრავიცს?

— მე ეს არ ვიცოდი, — აღიარა მაკნეირმა.

— მაშინ რატომ ედმა არ გითხრა, მან იცოდა.

— შენ საიდან იცი, რომ მან იცოდა?

— იქიდან, რომ მე ვუთხარი, ეშმაკმა დალასვროს, რატომ შენი საშუალებით არ გააგებინა კრავიცს, თუკი ასე იღვწის გამოძიების დასაჩქარებლად!

მაკნეირმა ყოვლის შემძლე ღმერთივით გაიღიმა.

— ალბათ, გადაავიწყდა, ედი მართლაც წარმოუდგენლად არის დაკავებული.

— მისმინე, მე ვმუშაობდი ედისთან, მას არაფერი ავიწყდება, თუ თვითონ არ სურს.

— თეთრ სახლში სხვა პირობებია, — მოთმინებით თქვა მაკნეირმა, — ახლა ის სხვა თანამდებობაზეა და შეიძლება ბევრი რამ დაავიწყდეს, ამიტომაც ვარ მე აქ. ვესმარები საქმეს ორგანიზებაში.

— მაშინ, ჰკითხე მას ფილდსის სახლის შესახებ, — თქვა ნორტონმა, — და მასთან ერთად ისიც, რატომ დაურეკა ფილდსს შუა ღამისას რამდენიმე დღის წინ.

— ვინ ამბობს, რომ მან დაურეკა?

— მე ვამბობ.

— კარგით, გადავცემ. სულ ეს არის შენი სასწრაფო საქმე?

ნორტონი შეყოყმანდა. მას არ სიამოვნებდა საქმე რომ ჰქონდა ასეთ დამთმობ რეგვენთან. მიუხედავად ამისა, სწამდა, ცნობას მერფს გადასცემდა სიტყვასიტყვით, მთავარი კი ეს იყო. ნორტონი თამაშს ედის სტილით წარმართავდა.

— არა, — თქვა მან, — ედის გადაეცი, რომ მე მინდოდა მასთან საუბარი იანვარში პრეზიდენტის მოგზაურობის თაობაზე კალიფორნიაში.

მაკნეირმა გაოცებით შეხედა მას.

— რომელ მოგზაურობაზე?

— მან იცის.

მაკნეირი მოიღუშა და რაღაცა ჩაიწერა ბლოკნოტში. იმ წუთში კარი გაიღო და შემოვიდა ასე ორმოცდახუთი წლის, კარგი აღნაგობის კაცი, შავი თმები მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. გაფაციცებული შავი თვალებით ხან მაკნეირს გადახედავდა, ხან — უცნობს, რომელიც მის მაგიდას უჯდა.

— გაიცანით, ბაირონ რიდლი, ბენი ნორტონი, — თქვა მაკნეირმა.

ნორტონი წამოდგა და ხელი გაუწოდა, მაგრამ რიდლს ეს არ შეუმჩნევია, იგი მივიდა თავის მაგიდასთან და გასინჯა ყველა უჯრა, დაკეტილი იყო თუ არა. მხოლოდ ამის შემდეგ მოტრიალდა და ხელი ისე მაგრა მოუჭირა ნორტონს, რომ ისიც იძულებული გახდა, იგივე მოემოქმედა. ხელის ჩამორ-

ხმეგისას მაწ სახე მიუახლოვა და ისე დააშტერდა ნორტონს, ცეგონებოდათ, ჰიპნოზს უკეთებსო.

— ბენი პრეზიდენტისათვის მუშაობდა, — თქვა მაკნეირმა, — სენატორის შტატში.

— აი რა ყოფილა? — თქვა რიდლმა, — ახლა რას საქმიანობთ?

ნორტონმა პასუხი დაუგვიანა. რიდლს უცნაური მანერა ჰქონდა, ლაპარაკობდა ცალყბად. ამაწ ისე გააკვირვა ნორტონი, კინალამ მისი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— ახლა კერძო პრაქტიკას ვეწევი.

— რომელ ფირმაში?

— „კოგინსი, კოპლენდი და სტოუნში".

— კარგი ფირმაა, — თქვა რიდლმა და საქმის მცოდნე კაცივით თავი დააქნია, — მაგრამ შენ ისევ უნდა დაუბრუნდე თეთრ სახლს, მეგობარო. აქ დიდი საქმეები ხდება. აი სად არის მოქმედების არენა.

— შენ რა როლს ასრულებ თეთრ სახლში? — ჰკითხა ნორტონმა.

— ბევრი როლი მაქვს. მე, როგორც იტყვიან, სათადარიგო მოთამაშე ვარ, — მას გაეცინა თავის ხუმრობაზე და ამ სიცილში იყო რაღაც მგლური.

მან საათს დახედა.

— ბაირონმა აქ მოახდინა... — უნდოდა დაეწყო მაკნეირს, მაგრამ რილდმა შეაწყვეტინა.

— შეეშვით ჩემს პერსონას, — თქვა მან, — მეჩქარება, ქალბატონი მელოდება და მშვენიერთა სქესის წარმომადგენლის წყენინება არ მჩვევია. მან თვალი ჩაუკრა მაკნეირს და თვალს მიეფარა.

— თავისებური კაცია, განუმეორებელია. არ გაგიგონია, რა გააკეთა მან ინაუგურაციის დღეს?

ნორტონმა პროტესტი განაცხადა, მას არ აინტერესებდა ბაირონ რიდლის პიროვნება, მაგრამ მაკნეირმა ანიშნა დამჯდარიყო.

— საქმე ის არის, — თქვა მან, — რომ ბაირონი რაღაც-რაღაც საქმეებს განაგებდა საარჩევნო კამპანიის დროს. უზრუნველყოფდა მიტინგზე სიტყვაში გამოსვლელთა მომზადებას, მათ უსაფრთხოებას და სხვა. მაგრამ ეს არ კმაროდა

იმისათვის, რომ იგი თეთრ სახლში მოსვედრილიყო სამუშაოდ. ინაუგურაციის დღეს, როცა პრეზიდენტის კორტეჟი კაპიტოლიუმიდან მოდიოდა, ერთი ჩემოდნიანი, შერეკილი, გრძელთმიანი ჰიპი შეიპარა თეთრი სახლის ეზოში და განაცხადა: — თეთრ სახლს ავაფეთქებ, თუ ნებას არ დამრთავთ, ნაციონალური ტელევიზიის საშუალებით გამოვიდე საინაუგურაციო სიტყვითო, ხომ წარმოგიდგენია, როგორი პანიკა ატყდებოდა. ზუსტად ამ დროს შემოდის ახალი პრეზიდენტი, რომელსაც მთელი ქვეყანა უყურებს. ბირველ წუთებში არავინ იცოდა, რა გაეკეთებინა, ს ფ ბ - ს აგენტებს უნდოდათ, ესროლათ, საიდუმლო სამსახურმა კი გადაწყვიტა თვალის ასახვევად მოლაპარაკება დაეწყო. ერთი სიტყვით, არავინ არაფერს აკეთებდა. უცებ საიდანღაც გამოჩნდა რიდლი, მივიდა იმ ტიპთან, სიგარეტი შესთავაზა, და საუბარი გაუბა. ორი წუთის შემდეგ ამ ტიპმა ჩემოდანი გადასცა და უსიტყვოდ დანებდა მას. ეს შემთხვევა დიდ ხმაურს გამოიწვევდა, მაგრამ იმ ღღეს იმდენი სხვადასხვანაირი ამბავი მოხდა, რომ ჩვენ შევძელით ამ საქმის მიჩქმალვა. როგორც კი შეშლილი დაპატიმრეს, რიდლი გაქრა. აი, რას ნიშნავს თავმდაბლობა, დამიჯერე, ედი მერფმა დააფასა ეს უანგარო საქციელი და ბაირონმა მიიღო სპეციალური კონსულტანტის რაღაც თანამდებობა. უცნაური ტიპია, მაგრამ ვაჟკაცური, ამაზე ვერაფერს იტყვი.

ნორტონს არ უნდოდა ბაირონ რიდლის საგმირო ამბების მოსმენა და წამოდგა.

— მისმინე, მაკნეირ, გადაეცი ედის, რაც მე გითხარი კალიფორნიის შესახებ, უთხარი, თუ არ მომელაპარაკება ამ საქმის შესახებ, მაშინ მე სხვებს გამოვნახავ.

მაკნეირი მოიღუშა.

— რაღაც არ მომწონს ყოველივე ეს, ბენ, არ ვიცი რა პრობლემები გაწუხებს, მაგრამ, ჩემი აზრით, მცდარი გზით მიდიხარ. ჩვენ ყველანი ერთად ვართ, ხომ ასეა? ყველას გვინდა დავეხმაროთ პრეზიდენტს.

— მისმინე, პრეზიდენტის დახმარებისათვის მიმიფურთხეია, — ცივად თქვა ნორტონმა, — მე მხოლოდ ამის გარკვევა მინდა, ვინ მოკლა დონა. შეგიძლია ზუსტად ასე გადასცე ედის.

მაკნეირი სახტად დარჩა, თითქოს სილა გააწნესო. იგი ცდილობდა, ადამიანებისათვის გული მოეგო, ნორტონს კი რატომღაც ეს არ სურდა. იგი ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან, მაკნეირმა შედავებაც კი ვერ მოასწრო.

მეორე დღეს ნორტონი ედი მერფისთან გამოიძახეს. მერფი გააფთრებული დახვდა.

— ეს კიდევ რა გადაკვრით ლაპარაკობ კალიფორნიაზე იანვარში? — იყვირა მერფმა. — შენ რა თამაშს ეწევი? თუ შენ რაიმე სათქმელი გაქვს, თქვი პირდაპირ.

— ვიტყვი, — უპასუხა ნორტონმა. — გასულ კვირას შენ მითხარი, რომ უიტმორს დონა ზაფსულის შემდეგ არ უნახავსო, მაგრამ ერთმა კაცმა, რომლის სიტყვასაც დაეჯერება, მითხრა, რომ უიტმორი მასთან ჩამოვიდა კარმელაში ზუსტად ინაუგურაციის წინა დღეს.

— სიცრუეა, — იყვირა მერფმა. — მას არ უნახავს იგი თითქმის ერთი წელია.

— ედ, იმ კაცმა ნახა ის და ელაპარაკა კიდეც.

— ვინ არის ის?

— დონას კეთილისმსურველი, თუ შენ გინდა იცოდე, ვინ არის ის, უიტმორს ჰკითხე.

— მოხუცი სენატორი?

— დიახ.

— ის თავის ჭკუაზე არ არის. არჩევნების შემდეგ ურეკავდა და წერილებს უგზავნიდა პრეზიდენტს, რომელშიაც უნაყოფო რჩევებს აძლევდა. ჩვენ ვცდილობდით, ჩამოგვეშორებინა ხუმრობ-ხუმრობით ის, მაგრამ მოხუცი ტკიპასავით მოუცილებელი აღმოჩნდა. იგი გაგვინაწყენდა და ამიტომ გამოიგონა ეს ამბავი, რომ ვინმეს მოესმინა მისთვის. შენ ნაღდი სულელი ყოფილხარ, თუ ყოველივე მისი მონაჩმახი სერიოზულად მიიღე.

— ის მოხუცი სრულიად ნორმალურია, ედ.

— ესე იგი, სულელი შენ ხარ, ეშმაკმა არ იცის, რას ბოდიალობ, ბრწყინვალე მომავალი გაქვს, ბენ, მაგრამ შენი სიჯიუტით შეგიძლია ყველაფერი გააფუჭო.

— მე მინდა ჭეშმარიტებას მივაკვლიო. გინდა გადაეცი ეს შენს ბოსს.

— პირადი მტრობა გამოძრავებს. შენ უარგყო შენმა მეგობარმა ქალმა — დამნაშავე კი უიტმორია, მოკლეს ის — დამნაშავე უიტმორია, შენ რა, მიგაჩნია, რომ აქ რაღაც შეთქმულებაა?

— ედ, მისმინე, დონასა და უიტმორის შესახებ მე ერთი სიტყვაც კი არავისთან მითქვამს. მე, რომ ეჭვიანი შეყვარებული ვიყო, არ გავჩუმდებოდი. ასე არ არის? მე არ მინდა უიტმორს რაიმე პრობლემები შევუქმნა. მე მხოლოდ სიმართლე მინდა დავადგინო, რა შეემთხვა დონას. მაგრამ, როცა შენ ჩემთან წვრილმან ამბებში ეშმაკობ, მე მგონია, რომ სერიოზულ ამბებშიც მატყუებ. თუ დონა მასთან შესახვედრად ჩამოვიდა ან უიტმორი ჩავიდა მის სანახავად იანვარში, მაშინ მითხარი პირდაპირ, მიკიბულ-მოკიბულის გარეშე. სანამ მეგონება, რომ რაღაცას მიმალავენ, ან მატყუებენ, მე განვაგრძობ ძიებას. რატომ არ უნდა მითხრათ სიმართლე?

ედი მერფს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ სანამ უპასუსებდა, შეყოყმანდა, შემდეგ კი გაუბედავად ალაპარაკდა.

— ჩვენ სიმართლე გითხარით, ბენ.

— გასაგებია, ედ. — თქვა ნორტონმა და წამოდგა. საუბრის გაგრძელება უაზრობა იყო. მას გაუელვა აზრმა, რომ მერფიც დამნაშავე იყო. თითქოს მას უნდოდა ეთქვა სიმართლე, მაგრამ არ შეეძლო. ეტყობა, ამ საქმეში უიტმორზე იყო დამოკიდებული. ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ შესაძლებელია სულ სხვა რამეც, ფიქრობდა ნორტონი, იქნებ ედი ამბობს სიმართლეს და მე ვაკეთებ ნაჩქარევ დასკვნებს, იქნებ ფილ როსს შეეშალა, მანქანაში არ ისხდნენ მერფი და დონა? ან იქნებ მოსუცი სენატორი მართლა შეშლილია? იქნებ ეს ყველაფერი დამთხვევაა. მაშინ ედი მართალია. — იქნებ მე მართლა უტვინო ვარ და ვიფუჭებ ჩემს მომავალს. ნორტონს ეჭვები ღრღნიდა, ნუთუ ის აგრერიგად შეშალა გრძნობებმა? ხომ არ ეჩვენება შეთქმულება მის წინააღმდეგ? ნორტონი თავს გონიერ კაცად თვლიდა, მაგრამ ეჭვობდა, სულელურად ხომ არ ვიქცევიო. დონა მოკლულია, ეს ფაქტია, ფიქრობდა ის, და ედი მერფი, როგორც ჩანს, სცრუობს. სენატორი ნოლანი არა მგონია ტყუოდეს უიტმორის კარმელაში ჩამოსვლის თაობაზე. და ბოლოს, აუხსნელი ტელეფონის ზარი დონას მკვლელობის შესახებ. ნორტონი ფიქრობდა, რომ

შესაძლებელია ის ცდება, მაგრამ ეს აშკარა სამხილი ამტკიცებდა მის ეჭვებს.

სიფიცხემ და სიჯიუტემ არ მისცა მას უფლება მიეტოვებინა დაწყებული საქმე, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

12

შუადღისას, როცა ბაირონ რიდლი კაბინეტში შევიდა, კლეი მაკნეირმა ქაღალდებს თვალი მოაცილა თუ არა, მუცელში აუტანელი ტკივილი იგრძნო, მწვავდება წყლული, ამ საგიჟეთში კუჭის წყლული ავიკიდე, — გაიფიქრა მან და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ თავი არ გაეცა.

— ბაირონ, სად არის უშიშროების სამსახურის პატაკი? ედმა დარეკა, გიკითხა.

— შემეშვი, ბიჭო, — მკვახედ უპასუხა ბაირონმა, — მე დაკავებული ვარ განსაკუთრებული საიდუმლო საქმეებით.

— მისმინე, ბაირონ...

— შენ, ყმაწვილო, რა ეშმაკად დასვი გუშინ ჩემს მაგიდასთან ნორტონი? შენ რა, აქ დიდი ცენტრალური ვაგზალი ხომ არ გგონია? თუ კიდევ ვნახე ვინმე ჩემს მაგიდასთან, ორივეს მოგისვრით აქედან.

მაკნეირი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

— ბაირონ, რა მოხდა თუ შენს მაგიდასთან ვინმე დაჯდა? ჩემს მაგიდასთან ვინც გინდა ის დასვი, მე წინააღმდეგი არ ვიქნები. ნუ გავაზვიადებთ ასე.

— შენს მაგიდაზე არ არის ლაპარაკი, — ზიზღით თქვა რიდლმა. — ზოგჯერ ჩემს უჯრებში ინახება ვასსაკუთრებით საიდუმლო საბუთები.

— ბაირონ, — თავშეკავებულად თქვა მაკნეირმა, — ბენ ნორტონი არა მგონია ჯაშუში იყოს და, მეორეც, მე ვიჯექი აქ მასთან ერთად. გარდა ამისა, შენი უჯრები ყოველთვის დაკეტილია, ასე არ არის?

— ვინ თქვა, რომ ის ჯაშუში არ არის? წინასწარ არაფრის განსაზღვრა არ შეიძლება, ყმაწვილო, მერე, შენ ხომ შეგეძლო ტუალეტში გასულიყავი, ის კი ამ დროს ყველაფერს მოასწრებდა.

— ბაირონ, საიდუმლო სამსახური ამტკიცებს, რომ ამ უჯრების ბოქლომები...

— მიმიფურთხებია საიდუმლო სამსახურისათვის, — დაიღრიალა რიდლმა, — საბავშვო ბაღია. ისინი ვერ აზროვნებენ, მისმინე, ყმაწვილო, სამსახურში არ არსებობს ისეთი ბოქლომი, რომელსაც ნამდვილი პროფესიონალი ვერ გააღებს, ახალ ელექტრომოწყობილობასაც კი... ერთი სიტყვით, გააკეთე ის, რასაც გეუბნები. შეიყვანე და ელაყბე ვისაც გინდა სასადილოში, ოღონდ კარი მიიხურე, გასაგებია? მე თუ კიდევ ჩემს მაგიდასთან ვინმე ვნახე, ჩვენ ვიჩხუბებთ, მაგრად ვიჩხუბებთ, — და მაკნეირის პროტესტი რომ არ მოესმინა, სწრაფად გავიდა კაბინეტიდან და კარი მოაჯახუნა.

მაკნეირი უძრავად იჯდა მაგიდასთან, მუცლის ტკივილი უფრო და უფრო უძლიერდებოდა. უსიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა. კლეი მაკნეირი მოითხოვდა ორგანიზაციაში წესრიგსა და სიმშვიდეს, იგი ცდილობდა შეჰგუებოდა ბაირონ რიდლის, ყველაზე არაორგანიზებულ და უმართავ ადამიანს, რომელიც კი ოდესმე შეხვედრია. ის აზრი, რომ ისინი ერთ კაბინეტში მჯდარიყვნენ, მაკნეირს სისულელედ და სადისტურ ხუმრობად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, ისინი ამ საკუჭნაოში პირისპირ ისხდნენ. მაკნეირს უნდოდა, ამ თავისუფალი კონსულტანტისათვის ეჩივლა ედი მერფთან, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებდა, არ იცოდა, როგორ მიიღებდა ამას მერფი. უეჭველია, რიდლი ზოგჯერ სასარგებლო საქმეებს აკეთებდა; როგორც ჩანს, მას ჰქონდა ინფორმაციის ისეთი წყარო, რომლის არსებობა არავინ იცოდა; ცუდი ის იყო, რომ მაკნეირს მისი ეშინოდა. ამ რამდენიმე წუთის წინ, როცა ისინი კამათობდნენ, ბაირონმა ერთი ორჯერ ისეთი თვალით შეხედა მას, თითქოს ეუბნებოდა: „მე შემიძლია შენ მოგკლა“. დასამშვიდებლად მაკნეირმა ჯიბიდან საღეჭი რეზინი ამოიღო და პირში ჩაიდო. როცა წინადადება მისცეს თეთრ სახლში ემუშავა, იგი სულ სხვა რამეს ელოდა. მას წარმოედგინა, რომ მისცემდნენ მშვენიერ კაბინეტს, რომელიც პრეზიდენტის კაბინეტთან ახლო იქნებოდა, დღეში რამდენჯერმე გამოიძახებდა უიტმორი და რჩევას ჰკითხავდა სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად. ამის მაგივრად იგი ცოკოლის სართულზე იყო მიყუჟული და ელოდა ედი მერფის ბრძანებებს, რომ და-

უყოვნებლივ შეესრულებინა ისინი. მაკნეირი ბედნიერად თვლიდა თავს, თუკი კვირაში ერთხელ მაინც შეხვდებოდა პრეზიდენტს; უკანასკნელად მათ სამხრეთით მდებარე კაბინეტში ისაუბრეს, პრეზიდენტმა მას ხენკი უწოდა და შეაქო პროექტზე მუშაობისათვის, რომელზეც მაკნეირს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

უცებ ტელეფონმა დარეკა, რომელიც პირდაპირი ხაზით აკავშირებდა ედი მერფთან, მაკნეირმა ხელის კანკალით აიღო ყურმილი.

— ნორტონს არ დაურეკავს შენთან?! — ბრძანების კილოთი ჰკითხა მერფმა.

— არ დაურეკავს, ედ.

— მასთან მეტს ნუ ილაყბებ, მოუსმინე რას გეტყვის და გადმომეცი, გასაგებია?

— დიახ, ედ.

— და დაივიწყე რას გელაპარაკებოდა კალიფორნიაზე, ის, მგონი, ნორმალურ ჭკუაზე არ არის, საერთოდ, ასეთი იყო ყოველთვის, ჩვენთვის უკეთესია, თავი ავარიდოთ მას.

— დიახ, ედ. — უპასუხა მაკნეირმა, მაგრამ ედის ყურმილი უკვე დადებული ჰქონდა, მან ფრთხილად დადო ყურმილი. მას ვერ გაეგო, რატომ ეშლებოდა მერფს ნერვები ვიღაცა ქალის სიკვდილის გამო და ნორტონი რატომ უსვამდა ამდენ კითხვებს ამის შესახებ, პრინციპში ეს მას არც აინტერესებდა, ერთი წესი კარგად ახსოვდა. „არ ჩასწვდე სხვის პრობლემებს, რადგან შენიც თავსაყრელად გაქვს“.

დაბინდებამდე ბაირონ რიდლი სენატის გალერეაში იყო, იგი გულმოდგინედ აკვირდებოდა სენატორებს, რომლებიც უნიჭოდ თამაშობდნენ დემოკრატიას. სენატში ირჩეოდა კანონპროექტი საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ. ქვეყნისათვის ეს ისეთი სერიოზული პრობლემა იყო, რომ კამათში მონაწილეობას ღებულობდა სენატორთა მესამედი. რიდლი განსაკუთრებით უთვალთვალებდა დონოვან რიპლის, კანონპროექტის მხარდამჭერთა ახალგაზრდა შეუპოვარ ლიდერს. რიდლი ვერ იტანდა რიპლის და მასთან ერთად ყველას, ვისაც ის მხარს უჭერდა, მიუხედავად ამისა, იგი ყურადღებით აკვირდებოდა რიპლის, რომელსაც ფრთხილად შემოჰქონდა კანონპროექტი პარლამენტის დანაღმულ მინდორზე. ბაირო-

ნი თვალყურს ადევნებდა და სახეზე თვითკმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა, იზეიმე, დონი, ფიქრობდა ის, ეს ზეიმი შემდგომში საეჭვოა, რომ განმეორდეს.

სანამ კამათი გრძელდებოდა, რიდლი ხშირად გამოდიოდა მოთმინებიდან, იგი საღამოს უფრო დიდ მოვლენებს ელოდა. დროდადრო თვალებს ხუჭავდა და ისე უსმენდა სენატორების ხმას. ის თითქმის ყველა სენატორს ცნობდა ხმით. ამ პატარა ეშმაკობას თავისი მუშაობის სპეციფიკამ მიაჩვია — კაცმა არ იცოდა, როდის გამოადგებოდა, როგორც კი შენიშნა, რომ ერთი სენატორი ასალი ინგლისიდან ცხვირს იხოცავდა, იგი სასწრაფოდ წამოიწია წინ და ჰალსტუხის სწორება დაიწყო, სინამდვილეში კი პიჯაკის ბორტზე დამალული მინიატურული აპარატით, სურათს უღებდა სენატორს. წვრილმანია, მაგრამ შესაძლოა, ოდესმე გამომადგესო. მან წარმოიდგინა საარჩევნო აფიშა, რომელზეც დაბეჭდილი იქნებოდა გადიდებული სურათი სენატორისა, რომელიც ცხვირს იჩიჩქნიდა, სურათის ქვეშ კი ეწერებოდა. „ეს ის კაცი არ არის, რომლის არჩევასაც პრეზიდენტად ვაპირებთ?“ რიდლის სიცილი აუტყდა, იცინოდა, სანამ წინ მჯდომი ქალი არ შემობრუნდა და არ ჩაასველა.

როცა ბოლოს და ბოლოს სენატორები წავიდ-წამოვიდნენ, რიდლი თვალებით აცილებდა სცენიდან ჩამოსულ რიპლის, რომელიც უახლოესი თანაშემწეებით იყო გარშემორტყმული. მერე გამოვიდა გალერეიდან და სწრაფად გაემართა ტელეფონ-ავტომატისაკენ, მას უმალ უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, თეთრი სასლიდან რამდენიმე კვარტლის იქით მდებარე პატარა ბინიდან.

— ვენდი? მე ვარ, — ჩურჩულით უთხრა რიდლმა.

— აა... დოქტორ გრინ, როგორ არის მანდ საქმეები?

— კარგად, კამათი ეს-ეს არის დამთავრდა. ის თავის კაბინეტში შევიდა, შენთან შებინდებულზე მოვა, ყველაფერი მზად არის?

— მე მზად ვარ, — თქვა ვენდიმ.

— ნერვიულობ?

— ოდნავ.

— ნუ ღელავ, პატარავ, შენ შეუდარებელი იქნები.

— ხა, ხა! ის ამაში დარწმუნდება.

რიდლს გაეცინა.

— შენს შეფასებას ის სრულად ვერ შეძლებს, ოღონდ იცოდე, არ დაგავიწყდეს, უთხარი მას, რომ სინათლე აღგაგზნებს, რომ გინდა უყურო მის საწდომიაწ სახეს, უთხარი, რაც გინდა, ოღონდ არ ჩააქრო შუქი.

— დამშვიდდით, დოქტორ გრიწ. სავსებით შეგიძლიათ მენდოთ.

— ყოჩაღ, აბა კარგი, მე უნდა წავიდე.

— მითხარით, როდის შემეძლება თქვეწთან შეხვედრა, რომ დანარჩენი ფული მივ

ხვალ დაგირეკავ, — დაჰპირდა რიდლი, — ოღონდ არ იღელვო, შენ შეუდარებელი იქნები.

იგი კიბეზე დაეშვა, გვერდით ჩაუარა უზარმაზარ სურათს, რომელზედაც ჯორჯ ვაშინგტონი იყო გამოსახული. როტონდაზე გავლისას დაინახა მისკენ მომავალი კარგი აღნაგობის კაცი, რომლის სახეც ეცნო. კაცმა, როგორც კი რიდლი დაინახა, მასთან ერთად მომავალ უფროსკლასელ ბიჭებს გამოემშვიდობა, რიდლისკენ გამოსწია ხელის ჩამოსართმევად.

— ბაირონ, შე ძველო ბანდიტო, ეშმაკმა წაგიღოს, როგორ არის საქმე?

— შესანიშნავად, სენატორო, თქვენ როგორღა ხართ?

— დაანებე თავი ჩემს სენატორობას, მე შენთვის ბილი ვარ, მეგობარო, ამბობენ შენი საქმეები შესანიშნავად აეწყო, მართალია?

— არ ვუჩივი.

სენატორმა გაიცინა და ხელი დაქაჩა რიდლს.

— „არ ვუჩივი", ჰა. ისევ ის ძველი ბაირონი ხარ. ესე იგი, როგორი დევიზი უნდა გქონდეს „მიყვარს იდუმალება". შე ძველო, შენისთანა ადამიანები სანთლით არის საძებნელი.

ბაირონმა ხელი გაითავისუფლა და საათს დახედა.

— შენი საქმეები როგორღაა, ბილ?

სენატორს სახეზე ღიმილი გაუქრა.

— საქმე სამაგალითოდ მაქვს, — თქვა პირქუშად. — ირჩევენ ადამიანს, რომ იმუშაოს, მერე არ აძლევენ მუშაობის საშუალებას, წარმოგიდგენია, საინფორმაციო ბიულეტენში საკუთარი ჯიბიდან მიხდება ფულის გადახდა. თავის სარჩენად იძულებული ვარ ლექციები ვიკითხო, ზოგჯერ ვფიქრობ ღირს კი სენატორობა.

— შენ უნდა შეხვდე ერთ კაცს, — თქვა რიდლმა, — მას მუ-ხუდოს პლანტაციები აქვს. დედაქალაქში ის ახალბედაა, ამიტომ უნდა საჭირო ადამიანების გაცნობა. იქნებ მან დაგიხსნას ამ გაჭირვებიდან.

— გამომიგზავნე, ბაირონ, გამომიგზავნე. შენი მეგობრების გაცნობით ყოველთვის მოხარული ვიქნები.

— სიამოვნებით, — უპასუხა რიდლმა და წასვლა დააპირა.

— მისმინე, ბაირონ, იქნებ შენ რაღაცეებში დამეხმარო. — სენატორმა ხელი მოჰხვია რიდლს და დიდიხნის დავიწყებული ვიცე პრეზიდენტის ძეგლისაკენ წაიყვანა. — აქ დაბრუნდა რამდენიმე შფოთისთავი. ერთმა მათგანმა კლინიკა გახსნა და მკურნალობის მაგივრად პოლიტიკურ რჩევებს იძლევა. მინდა ვიცოდე, ვინ არის ის და ვინ მფარველობს მას.

— ჩვენს მეგობრებთან არ გილაპარაკია?

— მათგან არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს. ყველას სიკვდილის ურუანტელი უვლის. შენ ისევ ძველი დრო გგონია. მისმინე, ბაირონ, ვიფიქრე, შეძლებდი გაგერკვია...

— შევეცდები, უამრავი საქმე მაქვს, მაგრამ მაინც შეკეცდები.

— შესანიშნავია, მისმინე, ბაირონ, მინდოდა, მეკითხა, რა იცი იმ ქალზე, ჯორჯტაუნში რომ მოკლეს?

— არაფერი.

— უცნაური ამბავია, — თქვა სენატორმა, — მე მეგონა გაზეთებში უფრო ღრმად გააშუქებდნენ.

— შენ უკეთ იცი, როგორი გაზეთები გვაქვს.

— კი, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა შენი ნახვა. დარეკე ხოლმე.

სენატორმა თვალი ჩაუკრა რიდლს და მოსწავლეებს დაუბრუნდა.

რიდლი სწრაფად გამოვიდა კაპიტოლიუმიდან და აღმოსავლეთის ფასადის მსარეს გრძელ კიბეზე დაეშვა კონსტიტიუშნ-ავენიუზე, სანამ დონოვან რიპლი სენატის ძველი შენობიდან გამოვიდოდა, მან ორი სიგარეტი მოსწია. რიპლი სწრაფად გაუყვა პირველ ავენიუს და ისტ-კეპიტოლსტიტზე ჩაუსვია. რიდლი შორიახლო მიჰყვებოდა მას. მისი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. მეოთხე სტრიტზე სენატორმა მარჯვნივ ჩაუხვია, მიაღწია ჩაბნელებული კვარტლის შუა ნაწილს და მერე ბნელ

სადარბაზოში გაუჩინარდა, რიდლი შესანიშნავად იცნობდა ამ ძველ სახლს, რომელშიც საშიერ ბინა ჰქონდა დაქირაცებული. ქუჩის მეორე მხარეს მანქანა იდგა, რიდლი შეძვრა მანქანაში. ერთი წუთის შემდეგ დაინახა, ვენდი როგორ მიგიდა ფანჯარასთან და ფარდები ჩამოუშვა. სინათლე ისევ ენთო. რიდლმა „მალბოროს“ მოუკიდა და ჩაეცინა. ყველაფერი როგორ ადვილად გამოვიდა, — ფიქრობდა ის, — ყველაფერი ადვილია, როცა შენი მტერი ისეთი სულელია, როგორც დონოვან რიპლი. ორი საათი მანქანაში იჯდა, იღიმებოდა და დამშვიდებული ფიქრობდა თავის მომავალზე. ფიქრობდა, როგორი კოზირი ჩაიგდო ხელში, ეს იყო მისი ყველაზე დიდი წარმატება, ახლა ის ყველაფერს ადვილად მიაღწევდა.

ნორტონი დაბრუნდა თუ არა ლენჩიდან, მოულოდნელად ბოსის მდივანმა დარეკა: მისტერ სტოუნს დაუყოვნებლივ სურს მისტერ ნორტონის ნახვა. სამი წუთის შემდეგ ბენი ნორტონი დიდ, მკრთალად განათებულ უიტ სტოუნის კაბინეტში შევიდა. იგი გაუნძრევლად იჯდა ანტიკვარულ მაგიდასთან და სასეზე გაცბუნებული ღიმილი შერჩენოდა. სტოუნმა შესედა ნორტონს და მერე სავარძელზე მიუთითა.

— მე ახლახან შევიტყვე ძალიან ცუდი ამბავი, ბენ. — დაიწყო მან.

— მაინც როგორი?

— როგორც მოგეხსენება, შენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც იუსტიციის სამინისტროდან მოიტანე, მისტერ ბაქსტერმა დაიწყო რადიოსადგურების შემენა. გუშინ დილით მან ხელი მოაწერა ყველა დოკუმენტს.

— მერე.

— დღეს დილით კი ანტიტრესტების განყოფილების წარმომადგენელმა აცნობა მისტერ ბაქსტერს, რომ იუსტიციის სამინისტროს აქვს სერიოზული შეკითხვები ახალ შენაძენთან დაკავშირებით, ამავე დროს იგი ამზადებს სასამართლო აკრძალვას აღნიშნულის თაობაზე.

ნორტონი ისე იყო განადგურებული, რომ პასუხის გაცემაც კი ვერ მოახერხა, მას თითქოს ზურგში დანა ჩასცესო, ის ხვდებოდა რისთვისაც.

— მე მინდა ვიცოდე, ბენ, — განაგრძო უიტ სტოუნმა, თითქოს ალერსიანი, მაგრამ დამცინავი ტონით, — შეგიძლია თუ

არა, ნათელი მოჰფინო ამ მეტად მოულოდნელ უსიამოვნო მოვლენას. ჩვენ, გასაგებია, ვეყრდნობით თქვენს ცნობებს. იქნებ შეცდით? ან ვინმემ შეგიყვანათ შეცდომაში?

ნორტონი ისე იყო განრისხებული, რომ გარდა სიმარ-თლისა, არაფრის თქმა არ შეეძლო.

— არა, მე არ შევმცდარვარ, როგორც ეტყობა, აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ სპეციალურ პრობლემასთან. მე და ედი მერფი... დავუშვათ, შევეჯასეთ ერთ პირად საქმეზე, ვფიქრობ, სამინისტროს ღია კარის პოლიტიკა ედი მერფის ორგანიზებული იყო, ალბათ, ამ ხერხით ფიქრობდა ჩემს და-ყოლიებას, მაგრამ შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ აღსიშნულ საქმეზე, მე ადრინდელივით არ დავეთანხმე იმ საკითხში და, როგორც ეტყობა, გაბრაზდა.

უიტსი სტოუნი ჭერს ისე მისჩერებოდა, თითქოს ზემოდან ელოდა ჭკუის სწავლებას.

— ვაფასებ შენს გულწრფელობას, — ბოლოს თქვა მან. — იცი რა, ბენ, ჩემთვის ცნობილია ზოგი რამ იმის შესახებ, რომ შენი და ედი მერფის თვალსაზრისი ურთიერთ საწინააღმდეგოა. ეს კი, როგორც გავიგე, დაკავშირებულია შენი მეგობრის, მისის ხენდრიკსის სიკვდილთან.

— დიახ.

— და მერფი თვლის, რომ შენ ამ საქმით ზომაზე მეტად კვიმატად სარ დაინტერესებული, ამიტომ მან გამოიყენა ანტიტრესტების საქმე, რომ აემაღლებინა შენი ავტორიტეტი და შემდეგ დაემცირებინე, ასე გავიგოთ?

— ძირითადად კი.

— მაშინ, როგორც ჩანს, მთავარი საკითხი ის არის, მეტისმეტს ხომ არ იღებ საკუთარ თავზე?

— ვფიქრობ, რომ არა, — უპასუხა ნორტონმა, — დონა მოკლულია მეტად უცნაურ ვითარებაში, არავის შეუძლია თქვას, რატომ იყო ვაშინგტონში, კერძო სახლში, იმ დროს. მე მგონი ედი მერფმა ყველაფერი იცის და მატყუებს.

— ბენ, შენ ფიქრობ, რომ პრეზიდენტ უიტმორს ამ მკვლელობასთან რაიმე კავშირი აქვს?

— ასეთი ვარაუდისათვის მე არავითარი საბაბი არ მაქვს, — თქვა ნორტონმა, ეს იყო სრული ჭეშმარიტება. მიუხედავად

ხმისა, როგორც ესმოდათ მასაც და სტოუნსაც, ეს არ ნიშნავდა კატეგორიულ უარყოფას.

— მაგრამ შენ ფიქრობ, რომ უიტმორს და მერფს შეეძლოთ სცოდნოდათ, რისთვის იმყოფებოდა ის ვაშინგტონში და ურთიერთობაც კი ჰქონდათ მასთან?

— დიახ.

— და მოითხოვ, რომ მერფმა დაკმაყოფილოს შენი ცნობისმოყვარეობა ამ პუნქტში?

— ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეობა არ არის, უიტ, მე ვთვლი, რომ სიმართლე მისი მკვლელობის შესახებ უნდა გაირკვეს, თუკი ეს შესაძლებელია.

— სიმართლე მის მკვლელობაზე, ბენ, თუ მისი სასიყვარულო საქმიანობის შესახებ?

ნორტონი განრისხდა.

— მოიცა, უიტ, — თქვა მან — მე ვფიქრობ...

— ნუ გეწყინება, — შეაწყვეტინა სტოუნმა, — მომეცი საშუალება განვავითარო ეს აზრი. დასაწყისისათვის დავუშვათ, რომ მისის ხენდრიკსი მოკლეს მძარცველებმა. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ საღამოს მკვლელობის წინ ის ელაპარაკა პრეზიდენტს ან ის იყო მისის ხენდრიკსთან, შენ თვლი, რომ ეს ცნობები საჭიროა გამოძიებისათვის?

— გამორიცხული არ არის. ნებისმიერი გამოძიებისას საჭირო იქნებოდა.

— სრული სიმართლეა, — თქვა სტოუნმა — მაგრამ, დამეთანხმე, ეს ხომ ჩვეულებრივი გამოძიება არ არის, პირიქით, ეს უმაღლესი ხარისხის არაჩვეულებრივი გამოძიებაა. მე ან შენ, რომ ვწვეოდით მისის ხენდრიკსს მკვლელობის წინ, ეს არავის დააინტერესებდა.

— აუცილებელი არ არის სიკვდილის წინ, უიტ. შესაძლებელია იმ საღამოს, როცა ის მოკლეს.

— მაგრამ დამადასტურებელი საბუთები შენ ხომ არა გაქვს?

— არა, არაფერი მაქვს.

—ამ შემთხვევაში, რაც შენ ეჭვსგარეშე გესმის, ყოველივე ეს შენი ვარაუდია და მისი დამტკიცება თითქმის შეუძლებელია.

— ვიცი.

— რადგან ასეა, მოდი განვაგრძობ ჩემს აზრს. როგორი ღამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონოდა პრეზიდენტს ამ ახალგაზრდა ქალთან, დავუშვათ, ყველაზე უმწიკვლოც კი, თუ იგი გამუღავნდება, შეიძლება პრეზიდენტს სახელი გაუტყდეს და უფრო მეტიც, მისი ადმინისტრაცია მთლად განადგურდეს. აქედან გამომდინარე მდგომარეობა ძალიან დელიკატურია. არის მეორე ვარიანტიც, შეიძლება გამოძიებამ არ მიიღოს შენი მტკიცებები, რადგან შენი მიკვლევა ნაკარნახევია პირადი გრძნობებით საბრალო ახალგაზრდა ქალთან.

ნორტონს კვლავ მოაწვა ბოღმა.

— აქ არ არსებობს პირადი გრძნობები,— განაცხადა მან. — მე მინდა მხოლოდ სიმართლე. თქვას პრეზიდენტმა უიტმორმა სიმართლე, როგორც ყოველმა ჩვეულებრივმა ადამიანმა.

— სიმართლე, — გაიმეორა უიტ სტოუნმა, — ჭეშმარიტება, შენ გინდოდა გეთქვა ჭეშმარიტება, წარმატებებს გისურვებ მის ძიებაში, მაგრამ მინდა შეგახსენო, რომ წმინდანები და ფილოსოფოსები ეძებენ მას სამყაროს გაჩენის დღიდან და ჯერჯერობით ვერავითარ წარმატებებს ვერ მიაღწიეს. პირადად მე მიმაჩნია, რომ სამართლიანობის ძიება უფრო რეალური და პრაქტიკული მიზანია. სამართლიანობა უფრო სჭირდება ხალხს, ვიდრე ჭეშმარიტება. ჭეშმარიტებას თუ გავყვებით, აღმოჩნდება, რომ მისტერ უიტმორი უზნეო, არაკეთილშობილი კაცია. მაგრამ სამართლიანი იქნება ის, რომ განადგურდეს ამისათვის როგორც პოლიტიკოსი? — სტოუნმა გაიღიმა და სიგარეტს მოუკიდა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ნორტონისათვის.

— მე არ მინდა, მას ზიანი მივაყენო როგორც პოლიტიკოსს, — პროტესტი განაცხადა ნორტონმა.

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა სტოუნმა. — შენ გინდა მხოლოდ „ჭეშმარიტება", მაგრამ ნება მომეცი შენიშვნა მოგცე, ბენ, მხოლოდ არ გეწყინოს, რომ შენი ჭეშმარიტებისადმი ერთგულება ამ შემთხვევაში არ არის აბსოლუტური.

— რატომ ამბობ ამას?

— რამდენადაც მე მესმის, შენ ხელთ გაქვს პრეზიდენტის საწინააღმდეგო ზოგიერთი ცნობა. შენ არ გინდა გაუზიარო ისინი მათ, ვინც ოფიციალურად ვალდებულია წარმართოს გამოძიება. მე არ ვერევი შენს საქმეში, მაგრამ უნდა შეგახ-

ესენო, რომ შეიძლება აღმოჩნდე არასასიამოვნო მდგომარეობაში.

ეს იყო სიტყვის გადაკვრა, რითაც სტოუნმა აგრძნობინა, რომ გამოძიებისას ცნობების გადამალვისათვის ამერიკაში მოქალაქეები ისჯებიანო. საუბედუროდ, ეს ბრალდება საფუძველს მოკლებული არ იყო. ნორტონი დაინტერესდა, ვინ აწვდის ცნობებს სტოუნს? თეთრი სასლი? პროკურატურა? პოლიცია? მაგრამ ვაშინგტონში არავინ გასცემს თავისი ინფორმაციის წყაროს, წმინდანები ამ ქალაქში არ ცხოვრობენ.

— შესაძლებელია რაიმე მეშლებოდა. — თქვა ნორტონმა. — მაგრამ ვმოქმედებდი საუკეთესო სურვილებით.

— რასაკვირველია, — თქვა სტოუნმა და სიგარეტი მოქაჩა. — გამიგე, ბენ, მე გელაპარაკები როგორც მეგობარი, რომელსაც შენი მომავალი აწუხებს. თავისთავად ცსადია, მე გულწრფელი არ ვიქნები, რომ გითხრა, კმაყოფილი ვარ მეთქი, იუსტიციის სამინისტროს მოქმედებით.

— მეცოდება კლიენტი, — თქვა ნორტონმა, — იგი სსვისი დანაშაულის გამო დაზარალდა.

— რა ვუყოთ მერე, ასეთი რაღაცეები ხდება, — თქვა სტოუნმა. — ჩვენ როგორმე დავეხმარებით მას. ჩემი მთავარი საზრუნავი შენ ხარ, ბენ. მე არ მინდა, შენი მომავალი ბრწყინვალე კარიერა რაიმეთი დაზარალდეს. მოდი, ამაზე ვილაპარაკოთ. ჩვენ ხომ სერიოზულად არ გვისაუბრია შენი პარიზიდან დაბრუნების შემდეგ. იცი რა, დავლიოთ — შენ შოტლანდიური ვისკი დაგისხა ხომ?

სტოუნი მივიდა ბართან და სწრაფად მოამზადა კოკტეილი. მის ასეთ სტუმართმოყვარეობას, როგორც ნორტონისათვის ცნობილი იყო, ფირმის ისტორიაში არ ჰქონია პრეცედენტი. ნორტონს ოდნავ ეშვი შეეპარა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა სტოუნისათვის ბოლომდე მოესმინა. იქნებ მართლაც საკუთარ გრძნობებს იყო აყოლილი და ღუპავდა თავის მომავალს.

სტოუნმა ჭიქა მიაწოდა და ჩაეთაგდა.

— აბა, ბენ, მოდი, განვეშვრიტოთ მომავალი, სადაც შენ აშკარად ბრწყინვალე კარიერა გელოდება, რა მიზანი გაქვს დასასული?

ნორტონი მოეშვა, ნეტარებით ფიქრობდა დასმულ კი-

ოსვაზე, მომავალზე, რაც უფრო შორს იხედებოდა, მით უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობდა.

— მინდა კარგი იურისტი ვიყო, — თქვა მან. — უკანასკნელ წლებში აქაც და კაპიტოლიუმშიც სულ უფრო მაინტერესებდა მთავრობისა და კორპორაციების ურთიერთდამოკიდებულება. ისინი მარტო იურიდიული როდია. მასში არის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები და ისინი ვითარდებიან იმისდა მიხედვით, როგორ ახალ კანონსაც გამოსცემს კონგრესი. კორპორაციები კი ერთგვარ ზესახელმწიფოებრივ დანიშნულებას ღებულობენ. აქ საჭიროა გარკვეულობა. ორივე მხარეს შორის უნდა არსებობდეს უფრო მჭიდრო კავშირი, ჩვენ კი შუამავლები ვართ. აქ არის ფართო სივრცე იურიდიული სიბრძნისათვის, რომელიც უნდა მოემსახუროს ორივე მხარეს და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ნორტონი გაჩუმდა, ვისკი მოსვა და თან გაიფიქრა, სტოუნი სულაც არ არის ცნობილი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების მსახური, არა მგონია, გაიგოს, რას ეხება ჩემი საუბარი.

— კარგად და სავსებით სამართლიანად არის ნათქვამი, — შენიშნა სტოუნმა. — ზოგჯერ მეჩვენება, ბენ, დროის ერთ ნახევარს იმას ვახმარ, რომ ავუხსნა პოლიტიკოსებს აზროვნების კორპორაციული ხასიათი, ხოლო მეორე ნახევარში კორპორაციების წარმომადგენელ მეგობრებს განვუმარტავ პოლიტიკოსების აზრთა წყობას. აქ საჭიროა გარკვეულობა და სიბრძნე და კიდევ, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიური გააზრება. როგორია ჭეშმარიტი კავშირი საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის? ვინ არის მეპატრონე და ვინ — მსახური? თუ თანასწორთა შესვედრასთან გვაქვს საქმე? ეს ძალიან საინტერესო საკითხია.

— დიახ, — თქვა ნორტონმა. — როცა ყოველდღიურად გისდება ბრძოლა მიმდინარე საქმეებისათვის, ადვილი არ არის ყურადღება გაამახვილო ასეთ საკითხებზე.

— სრული სიმართლეა, — თქვა სტოუნმა. — ზუსტად ამის შესახებ მინდა მოგელაპარაკო, გენრი უილოგბი ჩქარა წავა. ის ჯერ დუმს, მაგრამ მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდება. საბრალო, შენთვის ცნობილია, ის ჩვენთან იყო როგორც ფილოსოფოსი, მე კი პრაქტიკულ საკითხებს ვწყვეტდი. მაგ-

რამ ახლა მე დამჭირდება ახალი თანამშრომელი, რომელიც ჩვენს კორპორაციულ მუშაობას გააანალიზებს, მიმოწერას იქონიებს და შეძლებს წერას. ერთი სიტყვით, მინდა კაცი, რომელსაც უნარი შესწევს გახდეს საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი კორპორაციისა და მთავრობის ურთიერთობის დარგში, ამავე დროს, წარმართოს ის საქმეები, რომელსაც ყველაზე სერიოზულად და საინტერესოდ მიიჩნევს. ვფიქრობ, ამ სამუშაოს შენ ყველაზე უფრო შეეფერები. რასაკვირველია, თუ გიზიდავს.

— რა თქმა უნდა, მიზიდავს, უიტ. მე ისიც კი არ ვიცი, რა ჯითხრა.

— მაშინ ნურაფერს მეტყვი, უბრალოდ, იფიქრე ამაზე, დეტალებზე კი მოგვიანებით მოვილაპარაკოთ. იგულისხმება, რომ ახალი სამუშაოს მასშტაბები გავლენას იქონიებს სელფასზედაც.

— დიდი მადლობელი ვარ, უიტ..

— მე აღტაცებული ვარ შენი პატიოსნებით, ბენ. აღტაცებული ვარ, რომ გულახდილად აღიარებ შენი შესედულებების შეუთანხმებლობას ედი მერფის მიმართ. განსაკუთრებით კი შენი ერთგულებით, რომელიც იმ ქალის მიმართ გამოიჩინე. მხოლოდ მინდა ერთი რამ მეგობრულად შეგახსენო, სიფრთხილესა და თავშეკავებას ზოგჯერ ბევრი სიკეთე მოაქვს.

ნორტონი საგონებელში ჩავარდა. საინტერესოა, — ფიქრობდა ის, — დონაზე დაწყებული საუბარი, რატომ შეიცვალა დიდებულ სამუშაოზე დანიშვნის წინადადებით? სტოუნს ხომ არ უნდა მომისყიდოს? იქნებ ამის გაფიქრებაც კი სისულელეა? ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ მაინც ეჭვმა გაიმარჯვა.

— უიტ, მე გარანტიას ვერ მოგცემ, რომ დონას მკვლელობის გამოძიებას შევეშვები.

— არც არის საჭირო, — მშვიდად თქვა სტოუნმა. — ოღონდ მინდა გაგაფრთხილო. საიდუმლოდ მაცნობეს ერთი ფაქტი. ჩემთვის, როგორც შენ ალბათ უკვე მიხვდი, ცნობილია ზოგიერთი რამ დონას მკვლელობის საქმის შესახებ. ამასწინათ, სარწმუნო ცნობა მივიღე, რომ სულ მალე, შესაძლებელია რამდენიმე დღეში, დააპატიმრონ მკვლელი, ამას გელაპარაკები მხოლოდ იმის გამო, რომ შენ თავი შეიკავო წინდაუხედავი საქციელისაგან.

— ვის დააპატიმრებენ?

უიტ სტოუნმა ამოიოხრა.

— ვფიქრობ, ეს სევდიანი ამბის სევდიანი დასასრული იქნება. ეჭვმიტანილია არანორმალური ჭაბუკი, რომელსაც ჩადენილი აქვს არაერთი სექსუალური დანაშაული, იგი ჯორჯტაუნში გამყიდველად მუშაობს ღვინის დუქანში. იმ საღამოს, როცა მისის ხენდრიკსი მოკლეს, მან ერთი ბოთლი ქლიავის ნაყენი მიჰყიდა დონას. საფიქრებელია, რომ იგი გაჰყვა მისის ხენდრიკს სახლამდე და...

სტოუნმა ფრაზა არ დაამთავრა, მაგრამ ნათელი იყო, რა ჰქონდა მხედველობაში. ნორტონი გარინდებული დაჰყურებდა იატაკს. ესე იგი, ყველაფერი დამთავრდა, ის მოკლა ვინმე გარყვნილმა გიჟმა, იმას დააპატიმრებენ და მორჩა, დაესვა ყველაფერს წერტილი.

— დაგისხა კიდევ, ბენ?

ნორტონი იმავ წუთს დაუბრუნდა რეალობას.

— არა, გმადლობთ, მაპატიე, მე წავალ. ყოველივე ეს იყო... ერთი სიტყვით, ერთი დღისთვის სავსებით საკმარისია.

— რა თქმა უნდა, ბენ. — თქვა უიტნი სტოუნმა გველური ღიმილით, — ხვალ ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ.

შეცბუნებული ნორტონი თავის კაბინეტში დაბრუნდა. იქ მან იმ ფაქტების შეჯერება დაიწყო, რაც სტოუნმა დონასა და ასალი სამსასურის შესახებ უთხრა. ინსტინქტი კარსასობდა. რომ მას უნდა ეშინოდეს ძღვენის შემწირავი უიტნი სტოუნისა, ძნელი იყო გაგება, მართალს ამბობდა თუ არა სტოუნი? ნამდვილად უპირებენ ღვინის დუქნის გამყიდველს დაჭერას, თუ სტოუნმა გამოიგონა ეს? იქნებ სტოუნს ეპარება ყოველთვის და ყველაფერში ტყუილუბრალოდ ეჭვი? ნორტონმა შერყეობისათვის საკუთარ თავს შეუკურთხა და ყურმილი აიღო, რამდენიმე წუთის შენდეგ ის კრავიცს ელაპარაკებოდა.

— სერჟანტ, შეიძლება ასლა თქვენთან სასაუბროდ მოვიდე?

— არა, თუ გადაწყვეტილი არა გაქვთ ვინმეს მოკვლა, — უპასუხა კრავიცმა. — მე ასლა ბეისბოლის სეზონის გახსნაზე მივდივარ, ჩემი შვილი თამაშობს.

— მე თქვენთან ერთი კითხვა მაქვს, — თქვა ნორტონმა, —

გავიგე, თქვენ დამნაშავის დაპატიმრებას აპირებთ სენდრიკ-სის საქმეზე.

— ჩვენ არავინ დაგვიჭერია, — თქვა კრავიცმა.

— ჩემთვის გასაგებია, მაგრამ მე მაცნობეს, თითქოს იმ ჭაბუკს, რომელიც ღვინის დუქანში მუშაობს გამყიდველად, ბევრი დანამაული აქვს ჩადენილი სექსუალურ ნიადაგზე და ამიტომ გამოძიება დაინტერესდა მისი პიროვნებით.

— გამოძიება მრავალი პიროვნებით არის დაინტერესებუ-ლი, — უპასუხა ცოტა გაღიზიანებულმა კრავიცმა.

— კი, მაგრამ, არ შეგიძლიათ მითხრათ, იმ პიროვნებებში შედის თუ არა ის ჭაბუკი?

— მომისმინეთ, ნორტონ, — შეუტია სერჟანტმა. — ჩვენ არ გაგზავნით წინასწარ შეტყობინებას დაპატიმრების წინ. დიახ, გამოძიება დაინტერესებულია ამ ჭაბუკით, მაგრამ მე მეტს არაფერს გეტყვით.

— კარგით, სერჟანტ, გმადლობთ, იმედი მაქვს, თქვენი შვილის გუნდი მოიგებს.

ბოლოს, დაკმაყოფილებულმა ნორტონმა ყურმილი დადო. გასაგებია, კრავიცი არაფერს ეტყოდა მას თავისი გეგმების შესახებ, მაგრამ ცხადი იყო, რა მოხდებოდა შემდეგ. საიდუმ-ლოს ამოხსნა დამთავრდა არა პოლიტიკური სკანდალით გა-მოწვეული ჭექა-ქუხილით, არამედ არანორმალური ჭაბუკის ქირქილით. ნორტონმა გაზეთი დაკეცა და ჩაფიქრდა. მას სურდა პოლიტიკურ სკანდალს დაექუხა, რომ დონას გარდაც-ვალებას უფრო დიდი რეზონანსი ჰქონოდა, ვიდრე ვიღაც ნა-ძირალას გასამართლებას, რომელიც არავის დააინტერესებს. მერე საკუთარ თავს უბრძანა, ეს ფიქრი თავიდან მოეცილე-ბინა. ის ღირსეულად იქცეოდა. შეიძლება ჭკვიანურად არა, მაგრამ ღირსეულად, ახლა კი დროა ჩაუფიქრდეს საკუთარ მომავალს. უნდა დაუსხლტეს სასოწარკვეთილების ღრუბლებს, რომლის გარემოცვაშიც მთელი კვირის განმავლობაში მოექ-ცა. ღიმილით გაახსენდა გამოსაშვები გამოცდების შემდეგ მე-გობრებთან ერთად სიმთვრალეში გატარებული მთელი კვი-რა. ამჟამად სასმელი არ იზიდავდა, მაგრამ უნდოდა საზო-გადოებაში ყოფნა, სიცილი, დროსტარება და გადაწყვიტა მი-ეღო გვენ ბაუერსის მიწვევა. გვენმა დარეკა და უთხრა, რომ მასთან ამ საღამოს თავს მოიყრიან მეგობრები მისი ახალი

მოთხრობის გამოქვეყნების აღსანიშნავად. როგორც ეტყობა, იქ კარგი საზოგადოება იქნება. ნორტონმა გაიფიქრა, რომ ახლა მისთვის აუცილებელია გულის გადაყოლება.

ნორტონმა ორჯერ დარეკა. მერე კარს ხელი ჰკრა და შევიდა. გრძელი დერეფნით ბიბლიოთეკისაკენ წავიდა, საიდანაც მუსიკის ხმა და სიცილი მოისმოდა. ბუხართან გვენი იდგა და რაღაცას უყვებოდა სტუმრებს.

— ერთი სიტყვით, უკვე ახალ სამეჯლისო კაბაში ვარ გამოწყობილი. ქარბუქი მძვინვარებს, მანქანა კი არ იმართება, ტაქსი არ ჩანს. ნახევარ საათში თეთრ სახლში უნდა ვიყო. იქ უნდა შეეხვდეთ ახალ წელს. რაც გინდა ქენი, საშველი არ არის. უცებ მოვისაზრე, ჩავიცვი ჩექმები, გავედი მასსაჩუსეტს-ავენიუზე და ხელაწეული დავდექი, ვიდექი, ასე სანამ, რომელიღაც მანქანამ არ გამიჩერა, უფრო ზუსტად — წიოელმა „იმპალამ". მძღოლი მე მიყურებს, მე იმას: ასეთი შავი, საშინელი ზანგი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. წინა დღის გაზეთები წერდნენ, რომ ზანგმა, რომელიც წითელ „იმპალას" მართავს, მხეცურად გააუპატიურა რამდენიმე თეთრკანიანი ქალი. მეგობრებო, აი, ამას ჰქვია —ვაის გავეყარე, უის შევეყარეო — გარეთ უმოწყალოდ ცივა, სხვა მანქანა არ ჩანს, რა გზა მქონდა, შევძვერი მანქანაში და ზანგს ვეუბნები: „მომისმინე, მეგობარო, თუ ჩემი გაუპატიურება გინდა, გაიკეთე ეს ისე სწრაფად, რომ ვარცხნილობა არ გამიფუჭდეს და შემდეგ მიმიყვანე თეთრ სახლში".

ახალგაზრდებს, რომლებიც უწესრიგოდ იყვნენ მიმოფანტული სავარძლებზე, სიცილი წასკდათ, ზრდილობიანად, ისე როგორც ოცი წლისანები იცინიან ხოლმე ოცდაათ წლიანების ხუმრობაზე. ერთ-ერთმა იკითხა:

— როდის იყო ეს, გვენ?

— ო, მრავალი საუკუნის წინათ, — უპასუხა მან. — ლინდონ მრისხანის უკანასკნელ დღეებში. ჩვენში რომ ვთქვათ, თუ ახლოს გაიცნობდი, არც ისე მრისხანე იყო. ხალხო, შეხედეთ, ვინ მოვიდა!

გვენი ნორტონს ხმაურიანი კოცნით მიესალმა.

— ეს, ბენია, — გამოაცხადა მან. — ბენ, — გვენმა ერთ ახალგაზრდაზე მიუთითა, — ეს ენია, დღეს მისი პირველი მოთხრობა მიიღო „კოსმომ" დასაბეჭდად, ეს იურისტი ტი-

მია, ეს მიტცი, იგი „პოსტში" მუშაობს, ეს მაიკლია „როლინგ სტოუნისთვის" წერს. ეს... რა გქვია, მეგობარო?

— ჯო, — უპასუხა ჭაბუკმა.

— ჯო, — გაიმეორა გვენმა. — ეს კი პიტია, მე მგონი, იცნობ, ეს... ერთი თქვენც, თითონ გაეცანით ერთმანეთს. ბენი, — იურისტია, ძალიან სახელოვანი პიროვნება.

თითქმის ყველა ახალგაზრდამ გაიღიმა ან მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია ბენს. მხოლოდ კუთხეში მდგომმა ერთმა ჭაბუკმა თითქო ენა გამოუყო მას. ნორტონმა ერთხელ კიდევ შეხედა და დაინახა, ჭაბუკი ბზრიალას ატრიალებდა.

— სამზარეულოში წავიდეთ, იქ დაგალევინებ, — თქვა გვენმა და ნორტონი დერეფნისაკენ წაიყვანა, — იცი, ველაპარაკე იმ სერჟანტს. როგორც შენ თქვი, სასტიკია. დაპირებისამებრ, მისთვის ზედმეტი არაფერი მითქვამს.

— მისმინე, გვენ, დაივიწყე ის პოლიციელი; დაივიწყე ყველაფერი, საქმე დამთავრებულია.

— რა გაქვს მსედველობაში?

— მე საიდუმლოდ მითხრეს, რომ პოლიციამ სანქცია მიიღო მკვლელის დასაპატიმრებლად. დონა მოკლა ჭაბუკმა, რომელიც ღვინის დუქანში მუშაობს. იგი მას სახლამდე გაჰყოლია ან რაღაც ამდაგვარს ამბობენ. მას მრავალი სექსუალური დანაშაული ჰქონია ჩადენილი, ის არანორმალურია.

— ეს შენ კრავიცმა გითხრა?

— არა, სხვამ. კრავიცსაც ველაპარაკე. მან ეს არ დაადასტურა, იმიტომ, რომ ჯერ არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ თქვა, რომ გამოძიება დაინტერესებულია ამ ჭაბუკით. ერთი სიტყვით, სურათი ნათელია. ისე, რომ ამაზე უკვე აღარ ვფიქრობ. ეს საქმე დავიწყებას უნდა მივცეთ. ჩვენზე აღარაფერია დამოკიდებული.

გვენი კედელს მიეყრდნო და შეკრთა.

— მადლობა ღმერთს. — თქვა მან. — მეჩვენებოდა, რომ... ის, რაზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ, ჭკუიდან მშლიდა.

— მეც ასე მეგონა, გვენ. მოდი ახლა ეს ამბავი დავივიწყოთ.

— კარგი, ბენ. ოღონდ მე რაღაც მინდა გითხრა.

— თქვი.

— მე და შენ რაც ვილაპარაკეთ, — დონასა და უიტმორის

შესახებ, — შეიძლებოდა დოწას გაეზვიადებინა, ან მე ვერ გამიგო სწორად. ასეთი საქმეები ძნელი გასარკვევია, მაგრამ ამას მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს.

თქმულის დედააზრს ნორტონი ვერ ჩასწვდა და საერთოდ, არც უნდოდა დაბრუნებოდა წარსულს. იგი ადგა და კოკტეილის შეზავება დაიწყო.

— აი, კიდევ რა, ბენ. მე დღეს შემთხვევით ფილ როსას შევხვდი და ვთხოვე, შემოევლო. იმედი მაქვს, შენ საწინააღმდეგო არ გექნება. ვიმედოვნებ, თქვენს შორის არავითარი უთანხმოება არ არის?

ნორტონმა შეხედა გვენს, უნდოდა გაეხსენებინა, უთხრა თუ არა მას, რომ ფილ როსამ თავის ნათქვამზე უარი განაცხადა.

— არავითარი. — უპასუხა მან. — გვენ, არც ერთ ადამიანთან არა მაქვს უთანხმოება. მე ვიწყებ ახალ ცხოვრებას. მოდი, ვიმხიარულოთ. წავიდეთ, გავეცნობი შენს მეგობრებს. ჰო, მართლა, ვინ არიან ისინი?

ისინი კვლავ ბიბლიოთეკისაკენ გაემართნენ.

— აქ ძირითადად ენის მეგობრები არიან, — თქვა გვენმა. — მე მინდა ენი გაგაცნო. ის ყოჩაღი გოგოა. თანაც კარგად წერს. მუშაობდა „პოსტში", მაგრამ ახლა უშტატო კორესპონდენტად გადავიდა. წერდა სტატიებს „როლინგ სტოუნისათვის", „ვაშინგტონისათვის", ახლა კი უნდა სერიოზულად შეუდგეს წმინდა ლიტერატურულ საქმიანობას. ამას წინათ პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა. ეს წვეულება ამის აღსანიშნავად არის გამართული. ბიბლიოთეკაში ბენი ენის გვერდით ჩამოჯდა სავარძელზე. ენი მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა ქალი გახლდათ ლამაზი, დაჭორფლილი სასითა და დიდი შავი აქოჩრილი თმებით. მას ჯინსის შარვალი და ათასფრად დაჩითული ჭიპამდე ჩახსნილი ბლუზა ეცვა, პატარა, კოსტა მკერდიც სახესავით დაჭორფლოდა.

— შენ ენი ხარ, ხომ, — უთხრა ნორტონმა.

— დიახ.

— მე, ბენ ნორტონი გახლავართ.

— ვიცი, გვენმა მითხრა. შენ მეგობრობდი დონას, რამდენიმე დღის წინ რომ მოკლეს, არა?

— კი.

— მომიყევი რაიმე მის შესახებ.

— არ მსურს.

— მაპატიეთ, მე მხოლოდ... მე, მეგონა, რომ ეს ინტერესო ამბავი იყო.

— დონა მკვდარია, — თქვა მან. — ამბავი დამთავრდა.

— ეი, ენი, — დაუძახა ქალმა, ოთახის მეორე ბოლოში რომ იჯდა. — ახალი ამბები გაიგე სოფიზე?

ორმოცდახუთი წლის სოფი კონგრესის წევრი იყო. მან სახელი თავისი სიმსუქნითა და გულწრფელი საუბრებით გაითქვა.

— არა, რა დაემართა?

— ფეხმძიმედ ყოფილა, — უპასუხა მიტციმ. — ღმერთო ჩემო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სოფი თავის ნამცეცა ქმართან ერთად ლოგინში?

ყველა ახარხარდა. ჭაბუკმა კი, რომელიც ბზრიალას აკრიალებდა, დაიწყო გრძელი უთავბოლო ამბის მოყოლა, რომლის არსი ის გახლდათ, რომ კონგრესის სპიკერი ფეტიშისტიაო.

— თქვენ, როგორც გატყობთ, კარგი აზრისა არა ბრძანდებით ჩვენს ამოსარჩევ ლიდერებზე? — თქვა ნორტონმა.

— როგორ გეკადრებათ, — უპასუხა ენმა. — რომ დავივიწყოთ რას ლაპარაკობენ ისინი და მხოლოდ თვალი ვადევნოთ მათ მოქმედებას, ყველაფერი სასაცილოა. მე მინდა გითხრათ, კონგრესი ჰგავს ზოოპარკის სამაიმუნეს. მაიმუნები კონგრესში რომ გადმოვიყვანოთ და კონგრესმენები ზოოპარკში, არავითარი განსხვავება არ იქნება. თქვენი აზრით, მე ერთობ რადიკალური ვარ?

ნორტონმა მხრები აიჩეჩა.

— იქ საკმარისად ჰყავთ ტაკიმასხარები, — თქვა ნორტონმა. — მაგრამ კარგი ადამიანებიც არიან.

— მომიყევით უიტმორის შესახებ, — მოულოდნელად სთხოვა ქალმა, — კარგი ადამიანია ის?

— ამაში ეჭვიც არ მეპარება, — თქვა ნორტონმა. — ის შეიძლება დიდებული პრეზიდენტი გახდეს. ყოველ შემთხვევაში უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არც კი მეგულება.

— რას წარმოადგენს ის, როგორც პიროვნება?

— არ ვიცი, მისი პიროვნებით მე არასოდეს დავინტერესებულვარ.

— ქალებს აინტერესებთ. — თქვა ენმა. — გარეგნულად ძალზე მომხიბვლელია.

— ასაკით მამად გერგება.

— ერთხელ დაინტერესებული ვიყავი მაგ ასაკის კაცით. ნამდვილი მამაკაცი იყო, ხემფრი ბოგარტივით დაკუნთული მთლად.

— ბევრჯერ იყავით გატაცებული?

— არ ვიცი, ბევრია თუ არა, ოცდაშვიდი წლისა ვარ და ამ ხნის მანძილზე ოცდასამი მამაკაცი გამოვიცვალე, ეს ბევრია? შენ რამდენი ქალი გყავდა?

— არ ვიცი, — უპასუხა ნორტონმა, — სათვალავი დავკარგე.

— ხუმრობის გარეშე, მითხარი, რამდენი გყავდა.

— ბევრი, ორმოცდაათი, ან ასი. რამდენიმე წელს აღრიცხვას ვაწარმოებდი. ყველაფერი ეს იდიოტიზმია.

— რატომ არა გყავს ცოლი? — ჰკითხა ენმა — თითქოს ოჯახური ცხოვრებისაკენ უნდა ილტვოდე?

— ეს ასეა, მაგრამ ისინი, ვისი თხოვნაც მინდოდა, უარს მეუბნებოდნენ და პირიქით. ძალიან ფრთხილი კაცი ვარ. ვუყურებ ჩემს სკოლის მეგობრებს. ვინ გაყრილია, ვინ აპირებს გაყრას. ვინ უნდა გაეყაროს, მაგრამ არ ეყრება. მათ შემხედვარეს რა მეჩქარება, ცოლის შერთვას ყოველთვის მოასწრებს კაცი.

— არ მინდა საქმე მქონდეს ცოლიან მამაკაცებთან. — თქვა ენიმ. — ერთი ორჯერ ვიგემე, მეყოფა.

— რატომ, დამნაშავედ თვლი თავს?

— არა, მაგრამ ძალიან შეურაცხყოფილი რჩები, როცა შენ გიყვარს, ეალერსები, ეფერები. ის კი მერე მიდის და სხვასთან ატარებს ღამეს. შენ ვერ წარმოიდგენ ეს როგორი...

ჭაბუკი, რომელიც ბზრიალას ატრიალებდა, მათთან მივიდა და ნორტონს მარიხუანა მიაწოდა. ნორტონმა კი ენის გადასცა.

— შენ არ ეწევი? — ჰკითხა ენმა.

— იშვიათად, როცა მოვწევ, მავიწყდება, რაზედაც ვლაპარაკობდი.

— მოქაჩე. — შესთავაზა ენმა.— ნახე როგორ ნეტარებას იგრძნობ.

ნორტონმა გახელებით მოქაჩა. ქალები ყოველთვის ამბობდნენ მასზე, რომ ის მეტისმეტად თავდაჭერილი, ჩაკეტილი, ცივი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებსო. რა უნდა ექნა, თუკი მართლაც ასეთი შეხედულება ჰქონდა? რა, ფეხშიშველა ხომ არ დაიწყებდა სიარულს?

— იცი, როგორ გამოიყურები? — ჰკითხა ენმა, — როგორც თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი პლასტატორი, რომელიც სახლის აივანზე ზის და პუნშით სავსე ჭიქა უჭირავს ხელში.

— როგორც კლარკ გეიბლის ფილმის მსგავსად მარგარიტ მიტჩელის რომანიდან „ქარწაღებულნი". — თქვა ნორტონმა.

— არა, უფრო სწორად, როგორც გადამდგარი პოლკოვნიკი, რომელსაც შემწვარი წიწილების რეკლამა უჭირავს ხელში, — ენმა ჩაიხითხითა. — მაგრამ ძველი სამხრეთელი არისტოკრატის ტრადიციული სიამაყით.

— ენ, არ გინდა იცოდე, საიდან მოდის ეს ამაყი ტრადიცია? — ჰკითხა ნორტონმა. — მამაჩემის გადმოცემით 720 წელს, დედოფლის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ლონდონის ციხეებიდან გამოუშვეს ყველა პატიმარი, იმ პირობით, რომ ისინი დატოვებდნენ ინგლისის ტერიტორიას.

ეს ნაძირალები იპარავდნენ გემებს, კრავდნენ ტივებს და ათასი სხვა საშუალებით მოაღწიეს ამერიკამდე. ასეთნაირად აღმოჩნდა ნორტონების შთამომავლობა შეერთებულ შტატებში. ჩვენმა გენიალოგიის ხემ შვა ასობით ცხენის ქურდები, ათასობით კონფედერაციის ჯარის სალდათი. ერთი, არა უშავს რა ისეთი, ჩრდილო კაროლინის შტატის გუბერნატორი და ბოლოს და ბოლოს მამაჩემი. 1934 წელს მან თავისი ფერმა ვალებში გაყიდა და მუშაობა დაიწყო ხის სახერხ ქარხანაში 20 ცენტად საათში. ის ბედნიერი იყო ასეთი სამუშაოს შოვნით. მეც ხის სახერხ ქარხანაში ვმუშაობდი, გამოვირჩეოდი მოსაზრებულობით და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კარგად ვთამაშობდი ბეისბოლს, აქედან გამომდინარე, მე დიდი საქმეებისათვის ვიყავი მოწოდებული.

— როგორ მოხვდი უიტმორის შტატში? — ჰკითხა ენმა. — მეგონა, ის მხოლოდ დაუნდობელ ნაძირალებს იღებდა სამსახურში.

— უიტმორმა ჩათვალა, რომ არ იქნებოდა ურიგო, ერთ სოფლელ ბიჭს თუ აიყვანდა სალხის თვალის ასახვევად. — ნორტონს საკუთარ ხუმრობაზე ხმამაღლა გაეცინა. — არა, სინამდვილეში ყველაფერი უფრო რთულად წარიმართა. მე მუშაობა დავიწყე ძრჩევლად ჩრდილო კაროლინის შტატის ერთ სენატორთან ანტიტრესტების კომიტეტში. როცა სენატორი გარდაიცვალა, უიტმორი კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან გამომიძახა კაბინეტში, ვიფიქრე, ალბათ, გამანთავისუფლებს და ჩემს ადგილზე ვინმე თავისიანს დანიშნავს-მეთქი. ამის მაგიერ, აი, როგორი მოკლე საუბარი გამიმართა. მან მკითხა: „ვინდა დარჩე საპისახურში, ნორტონ?" მე ვუპასუხე, რომ მინდა-მეთქი. მან მითხრა: „დარჩი, მხოლოდ მე უსაზღვრო ერთგულებას მოვითხოვ, ასპროცენტიანს". მივუგე, რომ ეს არ არის პრობლემა. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და საუბარი ამით ამოიწურა. მხოლოდ ხელფასის აღების დროს გავიგე, რომ მას ჩემთვის ჯაბაგირი მოუმატებია.

— სწორედ ვერ შეგიფასებია, — თქვა ენმა. — შენ კარგად მუშაობდი და ის ხომ სულელი არ იყო, კარგი მუშაკი რომ საპისახურიდან დაეთხოვა.

— მართალი ხარ, — თქვა ნორტონმა. — ეს იყო უკანასკნელი შემთხვევა, როცა მე ჩაკ უიტმორის შეფასებაში მოვტყუვდი. ბოლოს და ბოლოს მან თავის იურისკონსულტად დამწიშნა და აი, მე აქ ვარ.

— მოსარული ვარ. — თქვა ენმა და ნორტონს თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა. ამ დროს მათთან პიტი მოვიდა ბარმენი ნატანას ბარიდან.

— გამარჯობათ, მისტერ ნორტონ, როგორ მიდის ცხოვრება?

— არ ვუხივი, ენის თუ იცნობ?

— რა თქმა უნდა, მაპატიეთ, საუბარი შეგაწყვეტინეთ, დიღი უბედურება შემემთხვა. ერთი მოქაჩეთ.

მას გაეცინა და ნორტონს დიდი სიგარეტი გადასცა, ნორტონმა მოქაჩა და ენს მიაწოდა.

— საქმე აი რაშია, — განაგრძო პიტმა, — გასულ კვირას მე ერთ ჭაბუკს მანქანა გამოვართვი. საგზაო წესების დარღვევისათვის გამაჩერეს. მანქანის გაჩხრეკისას საჯდომის ქვეშ

ექვსი უნცია მარისუანა აღმოჩნდა და წამომიყენეს ბრალდება სარკოტიკებით ვაჭრობისათვის. მე კი წარმოდგენა არ მქონდა, ნარკოტიკი თუ იდო მაწქანაში.

— როდის არის სასამართლო? — ჰკითხა ნორტონმა.

— ორი კვირის შემდეგ, ორშაბათს.

— გამომიარე შემდეგ კვირას სამსახურში, მოვილაპარაკოთ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე გადარჩენილი ვარ, ოღონდ ფული არც ისე ბევრი მაქვს.

— ეგ ნუ გაღელვებს.

— გმადლობთ, მისტერ ნორტონ. — პიტი ადგა და წასვლა დააპირა.

— მოიცადე, — თქვა ნორტონმა. — გახსოვს, ერთი კვირის წინ შენ მითხარი, რომ ვილაც ტიპი შემოვიდა ბარში, ჩემს შესახებ გამოკითხვა დაგიწყო. როგორ გამოიყურებოდა.

პიტმა ნიკაპი მოისრისა და დაფიქრდა.

— იცით, კარგად არ მახსოვს.

— შენ თქვი, რომ ის შეშლილს ჰგავდა.

— დიახ, მე ასე ვთქვი? მაგრამ შეიძლება ის ის არ იყო, მე იმ დღეს ბევრი მქონდა მოწეული. ერთი სიტყვით, მოხვალ კვირამდე. მოდის? — პიტი სწრაფად გავიდა ოთახიდან.

— რაშია საქმე? — იკითხა ენმა.

— ჯერ გაუგებარია.

— ის ხომ ვაჭრობს ნარკოტიკებით.

— ვიცი, მაგრამ კანონით ნარკოტიკებით მოვაჭრენი ისჯებიან და ამიტომ ცოდვაა ეს ჭაბუკი რაღაც მარიხუანას გაყიდვისათვის ციხეში ჩაჯდეს.

— ბევრი გაქვს ასეთი საქმე?

— ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი მქონდეს. ჩვენი იურიდიული ფირმა ამერიკაში ყველაზე მსხვილ საქმოსნებთანაა დაკავშირებული. და მე დიდ სიამოვნებას მგვრის ხანდახან ასეთ ხელმოცარულ ახალგაზრდებს თუ დავეხმარები.

— მომწონხარ. — თქვა ენმა.

— მეც მომწონხარ, სამართლიანი ქალი ხარ.

— ადამიანები სამართლიანები უნდა იყვნენ. — თქვა ენმა. — როცა ადამიანი ულამაზოა ან უჭკუო, ვერაფერს გახდე-

ბი, მაგრამ სამართლიანი ყველას შეუძლია იყოს, თუ მოი-სურვებს.

ბენის უცებ დონა გაახსენდა. მის ნაცნობებს შორის ის იყო ყველაზე სამართლიანი ადამიანი, ისეთი სამართლიანი, რომ შეიძლება ამან დაღუპა კიდეც. — გაიფიქრა ნორტონმა. მას დათრობა მოუნდა, რომ ცოტა ხნით მაინც დაევიწყებინა იგი, მაგრამ გაბრუებით ვერაფერს უშველიდა. ნორტონმა ენს ხელები მოუჭირა, უნდოდა მხოლოდ მასზე ეფიქრა. ის იყო სასიამოვნო, ჭკვიანი, კარგი, სამართლიანი გოგო და ამ-ით ძალიან გავდა დონას, მაგრამ რამდენიმე წლით დონაზე ასალგაზრდა იყო და ეს მით უფრო მიუწვდომელს ხდიდა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ქალმა.

— არაფერი, მგონი ცოტა გამოვყეყეჩდი. მომიყევი, რას წერ.

— მოსაყოლი თიოქმის არაფერია, ფულის გულისთვის ვწერ სტატიებს ჟურნალებისათვის და მოთხრობებს ჩემთვის, ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ეს ძალის მოსინჯვაა.

— მთავარი მიზანი მაინც რა გაქვთ?

— რომანის დაწერა, მაგრამ ჯერ ამისათვის მზად არა ვარ.

— გვენმა თქვა, რომ შენ „პოსტიდან" წამოხვედი. რატომ? მე კი მეგონა, ამ ჟურნალში მუშაობა ბევრის ოცნებაა.

— ჩემი ოცნებაც იყო, მაგრამ ერთ წელზე მეტი ვერ გა-ვუძელი. იქ მუშაობ ისე, როგორც ქარხანაში, კარგი ქარხანა კარგ პროდუქციას უშვებს. იქ კარგი ხალხი მუშაობს, მაგრამ სულ ერთია, ის ქარხანაა. ერთნი მუშაობენ პოლიგრაფიულ მანქანაზე ქვემოთ, სხვები საბეჭდ მანქანებზე-ზემოთ, უშტა-ტოდ რაც გადავედი, ორჯერ ნაკლებ ფულს ვიღებ, მაგრამ — ორჯერ მეტ სიამოვნებას.

— ოო, ღმერთო, ეს კიდევ საიდან გაჩნდა?

ნორტონმა აიხედა და მისკენ მომავალი ფილ როსი დაი-ნახა, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ გადაიფიქრა.

— ფილ, გაიცანი ენი. თქვენ ორივე ცნობილი მწერლები ხართ. დაისხი ვისკი და ჩამოჯექი.

ფილმა თავი გააქნია მოუთმენლად.

— მე მივდივარ. გვენს არ უთქვამს, რომ დღეს წვეულება ჰქონდა. მაგრამ შენი ნახვა ძალიან გამიხარდა. მე მინდოდა.

:შენივის მეოქვა, რომ ბე და ედი მერფმა შეეფერეთ ჩვენი ცნობები იპაბუ.... სრულიდ გაუცებრობაა. მან ესს შესეცდა.

— არაფერია, იდეპრაკე. — თქვა ნორტონმა.

— საერთოდ, — თქვა როსმა. — იმ დღეს ის ვისკონინ-ავენიუზე თავის ერთ-ერთ მდივანთან ერთად მოდიოდა, ძალიან რომ ჰგავს შენს მეგობარ ქალს, აი, ეს არის იმ გამოცანის დასასრული.

— ძალიან კარგი, ფილ, — თქვა ნორტონმა. — შესანიშნავია, მისმინე, დღეს ბრწყინვალე სტატია გამოგიქვეყნებია.

ჟურნალისტს სახე გაებადრა.

— ამაზე ღირდა დაწერა, — თქვა მან. — მაგრამ მე ახლა უნდა წავიდე.

— რა გეჩქარება, — თქვა ნორტონმა. — დარჩი, გაიცანი უმცროსი თაობა.

როსი მოიღუშა.

— გულახდილად რომ ვთქვა, არ მიყვარს იმ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც მარიხუანას ეწევიან. ეს კანონსაწინააღმდეგოა.

— მართალია, — თქვა ნორტონმა. — ბინძური საქმეა.

— კარგი, წახვამდის, — თქვა ჟურნალისტმა და სწრაფად გაემართა კარებისაკენ.

— რეგვენი, — წაიჩურჩულა ენმა. — გადაყენების უკანასკნელ დღემდე თავის სტატიებში მხარს უჭერდა ნიქსონის პოლიტიკას. მარიხუანას მოწევა კი კანონსაწინააღმდეგო ყოფილა. რა საერთო აქვს ედი მერფთან.

— არაფერი. როსამ დღეს დილით სტატია გამოაქვეყნა, რომლისთვისაც მასალები მისცა მაღალ წრეებთან დაახლოებულმა პირმა. ეს ნიშნავს, რომ მერფი და როსა ახლა მეგობრები არიან. მომიყევი შენს ბავშვობაზე რამე, თამაშობდი ბეისბოლს?

— არა, ლექსებს ვწერდი და დაახლოებით მაშინ, როცა მამაშენმა ფერმა დაკარგა, მამაჩემმა ბრონკსეში გახსნა მწვანე დუქანი. დღეისათვის თერთმეტი ასეთი დუქანი აქვს.

— ღმერთი იძლევა და ღმერთი ართმევს, — თქვა ნორტონმა. — ბედნიერი თუ იყავი?

— არა, უბედური ვიყავი, ვიყავი ძალიან გამსდარი და დღემდე ასეთივე დავრჩი.

— რაც უცრო ახლოა ხორცი ძვალთან, მით უფრო გემრიელია.

— რა, რაა?

— ძველი სამხრეთული თქმაა.

— ცოტა უსამსად ყღერს.

— დიახ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი აღნაგობა მომწონს.

— მეც მომწონს შენი აღნაგობა.

— დიდი მადლობა, მემ, მაგრამ თუ მაპატიებ, ტუალეტში წავალ.

— უკან დაბრუნებას შეძლებ?

— შევეცდები.

ნორტონი წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, ფესი არ შეშლია, ისე მიაღწია ტუალეტს. კარი დაკეტილი დასვდა. შიგ ვიღაც კვნესოდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ნორტონმა.

— მაღებინებს. — უპასუხა შიგნიდან ჭაბუკმა. ნორტონს მოეჩვენა, რომ ეს ის ჭაბუკი იყო, რომელიც „სამაკრუტს" ატრიალებდა. — ჯინი დავლიე, ყოველთვის ასე მემართება, როცა ჯინს ვსვამ, დედის რძეს არ შემარჩენს ხოლმე.

ნორტონი უკანა კარით ეზოში გავიდა. გაზონს გაუყვა და დიდი მუხის ქვეშ თავი გაითავისუფლა. უყურებდა ვარსკვლავებს და ტკბებოდა მუსიკით, რომელიც შენობიდან მოისმოდა. მერე შეამჩნია, რომ კუთხიდან ვიღაც გამოვიდა და ბიბლიოთეკის ფანჯრის წინ, ყვავილნარში მიიმალა. ნორტონი ჯერ უაზროდ უყურებდა ბნელით მოცულ ფიგურას, მერე გაასსენდა კაცი, რომელმაც დონა მოკლა, და მისკენ გაექანა.

— აბა, აქედან მოუსვი. — იყვირა მან.

კაცი, რომელიც იმალებოდა, შეხტა და გაიქცა. მუქი კოსტიუმი ეცვა, გამსდარი და დაკუნთული ჩანდა. ნორტონი გამოეკიდა, თითქმის წამოეწია კიდეც, მაგრამ ამ დროს გაქცეული შემობრუნდა და ფეხებში ეცა ნორტონს. ასე იქცევიან ფეხბურთის თამაშის დროს მეკარეები. ნორტონს მოეჩვენა, რომ დიდხანს ლივლივებდა ჰაერში, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დაეცა სახით რბილ დაცვარულ ბალახზე. გაიგონა, ქუჩაში როგორ ამუშავდა მანქანის ძრავა. ნორტონმა ეს კაცი წამით დაინახა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ცოტა ხნის წინ სადღაც შეხვდა. მაგრამ სად? ჯორჯტაუნში? პალმ-სპრინ-

ტსზე? თეთრ სახლში? ვერ გაიხსენა. ნორტონს რომელიღაც პოეტის ლექსი გაახსენდა: „ლაფში ფაფუკად ვწვები და ვიდრე ზმძინავს, სეტარ ვიქნები“. ამის შემდეგ ჩაეძინა და დიდხანს იქნებოდა ასე, ენის რომ არ გაეღვიძებინა.

15

ნორტონს თავის საწოლში გაეღვიძა, ვერაფრით გაიხსენა, შინ როგორ მივიდა. მიუხედავად ამისა, თავს შესანიშნავად გრძნობდა. საწოლი ოთახის ფანჯარა გამოაღო და გაზაფხულის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. მერე დილის გამამხნევებელი ვარჯიში დაიწყო. დიდხანს იდგა შხაპის ქვეშ და ფიქრობდა: დროა ახალი ცხოვრება დავიწყო. პირველ რიგში გადავალ დიეტაზე და კვირაში ორჯერ ვითამაშებ ჩოგბურთს. მოველაპარაკები უოტ სტოუნს ჩემი ახალი სამუშაოს თაობაზე. საღამოობით ვწერ, განვაგრძობ მუშაობას საძიებო საქმეებზე. უახლოეს კოლეჯში ლექციებს წავიკითხავ კორპორაციების სამართლის შესახებ და ენისაც არ დავივიწყებ. მან ცოცხლად წარმოიდგინა მისი შოლტივით ტანი, დაჭორფლილი სახე, პატარა კოსტა მკერდი, შავი, გრუზა თმები და გადაწყვიტა, სადილზე მოეწვია. მაგრამ ყოველგვარი მარიხუანას გარეშე, ეს სისულელეები წარსულს ჩაბარდა. ახლა საჭიროა ვიფიქრო მხოლოდ მომავალზე.

ნორტონმა ჩაიცვა, და მხოლოდ ფინჯანი ყავა შესვა. — იწყებოდა ახალი დიეტა, — მსნედ გამოვიდა ქუჩაში და სამსახურისაკენ ფეხით გაემართა. გაზაფხულის ცინცხალი დილა იდგა, ღამით ნაწვიმარი ქუჩები ჯერ კიდევ არ იყო მშრალი, მაგრამ ღრუბლები უკვე გაფანტულიყო და ლურჯად მოხასხასე ცა თვალს სჭრიდა ადამიანს. თეატრ „ბიოგრაფთან“ ერთმა ფერმკრთალმა გოგონამ, ძველმოდური კაბა რომ ეცვა, ნორტონს ჰკითხა, ამ ბოლო დროს მიგიმართავთ ღმერთისთვისო? უკანასკნელად ოცი წლის წინათ მიმართა ნორტონმა ქრისტეს. ქალიშვილმა გაახსენა სევდიანთვალება გოგოები, ბავშვობაში მასთან ერთად რომ თამაშობდნენ და ლოცულობდნენ. ნორტონმა ჯიბე მოიჩხრიკა, რამდენიმე დოლარი ჩაუდო გოგონას გამოწვდილ გამხდარ, სიფრიფანა ხელში. „ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა დაგლოცოთ“, ისმოდა გო-

ბონას ჩუმი ხმა. ნორტონმა ლოცვას ღიმილი შეაგება და გზა განაგრძო.

სამსახურამდე კიდევ ერთი კვარტალი რჩებოდა, როცა მან გებრიელ პინგუინი დაინახა. სხვები ქუჩაში გაღიმებული, სახეგაბადრული მიდიოდნენ, შეჰხაროდნენ გაზაფხულის დღეს. გეიბი დანაღმულ მინდორზე მიმავალი ჯარისკაცივით ადგამდა ნაბიჯებს. თან მზერა ერთი გამვლელიდან მეორეზე ისე გადაჰქონდა, თითქოს მკვლელი ჰყავს ჩასაფრებულიო. გებრიელი ოცდათხუთმეტი წლის საშუალო ტანის მსუქანი მამაკაცი იყო. პროფესიით ჟურნალისტი, ასეთი ცნობისმოყვარე კაცი, ალბათ, მეორე არ მოიძებნებოდა მსოფლიოში.

დაინახა თუ არა ნორტონი, ყოველგვარი მისალმების გარეშე მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა: „როდის ჩამოსვედი?“ ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, იფიქრებდით, ნორტონი მართლმსაჯულებას ემალებაო.

— ორიოდე კვირის წინ, გეიბ, როგორ არის შენი საქმე? წავიკითხე, ლიტერატურული (პულიტცეროვის) პრემია მიგიღია.

— მე ეს პრემია ჯერ კიდევ შარშან უნდა მიმეღო, — თქვა გეიბმა. — ისევ უიტ სტოუნთან მუშაობ?

— კი.

— შენთან საუბარი მსურს. ერთ სერიოზულ საქმეს წავაწყდი.

— ამჯერად რას, გეიბ?

ნორტონის ერთი კოლეგა მათთან მივიდა და თავის დაკვრით მიესალმა.

— ახლა არ შემიძლია გითხრა, — უპასუხა გეიბმა. — მერე დაგირეკავ, — თქვა და გაუჩინარდა.

გეიბის წასვლა ნორტონს არ სწყენია. იგი შესანიშნავი რეპორტიორი გახლდათ, მაგრამ ზოგჯერ მომაბეზრებელი. ცხოვრობდა ინტრიგებისა და შეთქმულებების სამყაროში და რადგან რეალური ცხოვრება უკანასკნელ წლებში ძალიან შეესატყვისებოდა მის ყველაზე შემაძრწუნებელ ფანტაზიასაც კი, გახდა ცნობილი ჟურნალისტი, ოღონდ ახლა ნორტონს უწდოდა შორს ყოფილიყო ყოველგვარი ფანტაზიისა და ინტრიგებისაგან. ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდა. ამიტომ გადაწყვი-

ტა, მდივანი ქალი გაეფრთხილებინა, თუ მისტერ პინკუსი დარეკავს, უთხარი, ნორტონი ადგილზე არ არისო.

ნორტონი ბრწყინვალე, თანამედროვე ადმინისტრაციული შენობის ვესტიბიულში შევიდა, ავიდა ლიფტით. მესამე სართულზე და გააღო მუხის დიდი კარი, რომელზედაც ეწერა „კოგინს, კოპლენდ და სტოუნი". იგი თვალის ჩაკვრით მიესალმა მდივან ქალს, შევიდა თავის კაბინეტში და ფოსტას გადასედა. იქ იყო წერილები ფირმის კლიენტებისაგან, სუნამოდაპკურებული გზავნილები პარიზიდან, რამდენიმე გაუნაღდებელი ანგარიში, რაღაც ცნობა ფირმიდან „დიუკ ელამნი კაუნსილ", მიწვევა სამხრეთ კაროლინიდან და, ბოლოს, უბრალო თეორი კონვერტი, რომელზედაც ძველმოდური კალიგრაფიით მისი მისამართი ღა გვარი ეწერა. ვაშინგტონიდან იყო გამოგზავნილი. კონვერტს გამომგზავნის არც გვარი ეწერა და არც მისამართი. ნორტონმა კონვერტი გახსნა. წერილი მოკლე აღმოჩნდა: „მოითხოვეთ გვამის გაკვეთის ოქმი, არ დანებდეთ, თქვენ მარტო არა ხართ", ხელს აწერდა: „მეგობარი". ნორტონმა წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა. მეგობარი? რომელი მეგობარი? რა შუაშია აქ გაკვეთა? ვინ გამოგზავნა წერილი? მან გაიფიქრა, რომ ეს საძაგელი ხუმრობა იყო. იქნებ ეს გვენმა მოიფიქრა? ან ვინმე შეშლილმა, თუნდაც უცნობმა მტერმა. პოლიციამ იცის, რიხვან მოკვდა დონა, მკვლელი მონახეს, გაკვეთა ახალს რას მოგვცემს? მას უნდოდა, წერილი გადაეგდო და დაევიწყებინა მისი არსებობა, მაგრამ ვერ შეძლო, გუმანით გრძნობდა, რომ ეს ხუმრობა არ იყო. ტელეფონს გადაწვდა კრავიცთან დასარეკად, ნორტონმა იგრძნო, რომ მისი დილანდელი ოპტიმიზმი იმსხვრეოდა და კვლავ უიმედობა ეუფლებოდა.

* * *

კრავიცი დონას საქმეს კოლუმბიის ოლქის ახალგაზრდა პროკურორ ფრენკ კიფნერთან ერთად იხილავდა. საუბარი არასასიამოვნოდ წარიმართა.

— შენ თუ ხალხი გჭირდება, ჯო, ჩვენ უზრუნველგყოფთ. — თქვა კიფნერმა. კრავიცი მასთან იჯდა კაბინეტში. ოთახი დიდი და სადა იყო, თვითონ კიფნერი კი პატარა ტანის, მკაცრი

კაცი გახლდათ, თანაც როგორც კრავიცი ფიქრობდა, არამზადა. — ხალხი, ს ფ ბ-ის დახმარება, ზედმეტი სამუშაოსათვის ანაზღაურება — ზოითსოვე ყველაფერი, რაც გჭირდება. არავითარი პრობლემა არ არსებობს. ოღონდ ეს საქმე სწრაფად დავამთავროთ.

კიფნერი ზოიღუშა და ზოუკიდებელი ყალიონის გამართვას შეუდგა. იგი იყო არცოუ მაღალი, აკურატული მამაკაცი, გაურკვეველი ფერის თმებითა და პენსნეთი.

— როგორ არის იმ ბიჭის საქმე? — იკითხა მან. — მკონი, პირდაპირი სამსილი მასალა სახეზეა.

კრავიცმა გულში ჩაიკლა კვნესა. ასეთი კიფნერი მას არასოდეს უნახავს. ამ საქმით ვიღაც იყო დაინტერესებული, მაგრამ საიდან მოდიოდა დაწოლა, კრავიცი ვერ მიმხვდარიყო.

— ჯომ აღიარა, რომ ნახა დონა, რომელიც ღვინის დუქნიდან გავიდა 8 საათზე. დედამისი კი ამტკიცებს, რომ იგი ცხრის ნახევარზე მოვიდა შინ და ისინი შუაღამემდე ერთად უყურებდნენ ტელევიზორს.

— შვილის გამო ის ყოველგვარ ტყუილს იტყვის.

— რა თქმა უნდა და ნაფიც მსაჯულებსაც დაარწმუნებს. ის მშვენიერი ქალია, კოლეჯში ასწავლის. თუ მკვლელი მართლაც ჯოა, მაშინ ჩვენ მას მტკიცე სამსილი უნდა წავუყენოთ.

— იგი სექსუალური დამნაშავეა.

— ლაწირაკია, რომელიც აყოლილია ნარკომანებს. ერთსელ წმინდა ელისაბედის საავადმყოფოში მოხვდა და იქ გაიგო ქალის გემო. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ იგი სხვის ფანჯრებში იჭყიტებოდა, ყველაზე უარესი, აქამდე რაც მან ჩაიდინა, ის არის, რომ ერთსელ პარკში სეირნობისას ეცა გოგონას და წაქცევა დაუპირა, მაგრამ გოგო დაუსხლტა ხელიდან და გაიქცა. ეს ლაწირაკი კი ბალასზე წამოწვა და დაიძინა. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ იგი არ არის სექსუალური მანიაკი.

— ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ ჯო მკვლელი არ არის.

— შესაძლებელია, დედამისმა იცრუა. დამნაშავეს ხომ შეეძლო მისულიყო სასლში, ეთხოვა კარის გაღება, დაერტყა მისთვის და მოეკლა, მაგრამ მე მაეჭვებს ხელის ანაბეჭდები, უფრო სწორად, ხელის ანაბეჭდების არარსებობა. როგორც

ჩანს, ვიღაცამ ანაბეჭდები ყველგან მოსპო. ამის მოფიქრება და, გაკეთება ჯოს ძალას აღემატება. მას ფეხსაცმლის თასმების შეკვრაც კი უჭირს.

— განაგრძე ჯოს მიმართ საქმის ძიება. თითების ანაბეჭდების წაშლა მას შეეძლო, უბრალოდ, ტელეგაფაცემებიდან ისწავლიდა. დანარჩენებზე რას იტყვი?

— გაზეთების დამტარებელი, როგორც ეტყობა, არაფერ შუაშია. ვაგრძელებთ დამლაგებლის შვილის ძებნას. ვუთვალთვალებთ ბენზინის ჩამომსხმელ ბიჭს. მსახიობის ჩვენება დადასტურდა, იმ ღამეს ის წვეულებაზე იყო ლოს-ანჟელესში და კიდევ ნორტონი. მან გუშინ დამირეკა და მკითხა, გავიგე ჯოს დაპატიმრებას აპირებთო.

კიფნერი ისევ ჩიბუხს უტრიალებდა.

— არ ვიცი, რა ვიფიქრო, — აღიარა კრავიცმა. — იქნებ მას სინდისი სუფთა არა აქვს და ეს აიმედებს, რომ ჩვენ საქმეს დავხურავთ. მე ვერ გავუგე მას. მაფიქრებს იმდილანდელი ტელეფონის ზარი, როცა მიცვალებული აღმოვაჩინეთ, და მისი სასწრაფო მოვარდნა ჯორჯტაუნში.

— შენ რა ვერსია გაქვს ამის თაობაზე? — ჰკითხა კიფნერმა.

კრავიცმა გულდაწყვეტით ჩაიქნია ხელი.

— იქნებ ტყუილია, იქნებ მართალი. თუ სიცრუეა, თუ არავითარი ტელეფონის ზარი არ ყოფილა, მაშინ, ჩემი აზრით, მან მოკლა ქალი. შემდეგ კი სულელური აზრი მოუვიდა, თუ გამოჩნდება და მკვდარს ამოიცნობს, მასზე ყოველგვარი ეჭვი მოისპობა. არ ვიცი. ადვილად ვიჯერებ, რომ ამ კაცს შეეძლო ყბაში გაერტყა თავისი ყოფილი შეყვარებულისათვის, მაგრამ ისეთი სულელი არა მგონია, დანაშაულის ადგილზე დაბრუნებულიყო.

— თუ მას მართლაც ვიღაცამ დაურეკა? — ჰკითხა პროკურორმა.

— მაშინ მკვლელს სურდა დანაშაული მისთვის გადაებრალებინა, — თქვა კრავიცმა. — ამ შემთხვევაში გამოირიცხება თქვენი ვერსია, რომ მკვლელობა ჩადენილია გაძარცვის მიზნით. მაშინ მკვლელს უნდა ცნობოდა დონა და უნდა სცოდნოდა ისიც, რომ ნორტონი ეს-ეს არის ჩამოვიდა ვაშინგტონში.

— დონას ცნობა აუცილებელი არ არის, — თქვა კიფნერ-

მა. — ჯოს ან ვინმე სხვას შეეძლო ეთსოვა და შესულიყო მასთან. საუბარში შესაძლოა ქალს ეთქვა, რომ მისი საყვარელი ეს-ეს არის დაბრუნდა ქალაქში. მერე მოხდა მკვლელობა, მკვლელმა ნორტონის ჩათრევის მიზნით დაურეკა მას. — კრავიცმა შეიგინა და მორიგ სიგარეტს მოუკიდა.

— თუ იცნობთ ნორტონს? რა კაცია იგი? შეუძლია კი ამის გაკეთება?

სანამ უპასუხებდა, კიფნერმა ჭერს ახედა.

— ბენი აფექტის კაცი არ არის, — თქვა ბოლოს და ბოლოს მან. — ძლიერია, მაგრამ გულკეთილი. მეორე მხრივ, როგორ ვთქვა? ის ბრუნდება ევროპიდან. ფრენის შემდეგ დაღლილია. მიდის ბარში, სვამს რამდენიმე სირჩას და თვრება. შემდეგ შენიშნავს თავის ყოფილ საყვარელს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის ბარიდან გამოვიდა დაახლოებით მაშინ, როცა დონა — ღვინის დუქნიდან. ადვილი შესაძლებელია, რომ მან დაინახა იგი. დონა პატიჟებს მას შინ, ან ნორტონი აედევნება თვითონ. ისინი წაიჩხუბებენ ეჭვიანობის ნიადაგზე და მთვრალი კაცი ყბაში ურტყამს დონას. სრულიად ადვილი შესაძლებელია.

პროკურორმა საათს შეხედა და წამოდგა.

— იმოქმედე, ჯო, — თქვა მან. — ეს ძალიან სერიოზული საქმეა. ვიცი სამძებრო მილიციის უფროსი გინდა გახდე. მე დიდი სიამოვნებით ვიტყვი რამდენიმე სიტყვას შენს სასარგებლოდ. მაგრამ ძირითადად ამას შენ თვითონ უნდა მიაღწიო. ეს საქმე კი ბევრ რამეში დაგეხმარება.

სერჟანტი კარებისაკენ გაემართა, მერე შემოტრიალდა.

— ნორტონი დღეს უნდა მოვიდეს ჩემთან, — თქვა მან. — ბრის რაიმე განსაკუთრებული მოსაზრება?

— დააწექი ამას, — თქვა ფრენკ კიფნერმა. — საერთოდ, ყველაზე იქონიე ზემოქმედება, სანამ რომელიმე არ აღიარებს.

* * *

მკვლელობის საგამომძიებლო განყოფილებაში ნორტონი თორმეტის ნახევარზე მოვიდა. იქ, როგორც წინათ, სიგარეტისა და ყავის სუნი იდგა. კრავიცი და ის დასხდნენ ოთახის სიღრმეში თავისუფალ მაგიდასთან. ნოტონს სურდა ეკითხა,

რა შედეგი მისცა გამოძიებას გვამის გაკვეთამ, მაგრამ კრავიცმა მოულოდნელი დარტყმა მიაყენა.

— თქვენ არ იყავით ჩემთან გულახდილი, მისტერ ნორტონ.

— რა გაქვთ მსედველობაში?

— მე ველაპარაკე ჟურნალისტ როსს, რატომ არ მითხარით, რომ მან იმ დღეს ედი მერფთან ერთად ნახა მისის ხენდრიკსი?

— მერფმა უარყო ეს. როსმა კი უარი თქვა თავის ნათქვამზე. ამიტომ მე დავასკვენი, რომ როსს მერფის მდივანი დოსა ეგონა.

— მისტერ ნორტონ, მე გირჩევთ, საკუთარი მოსაზრებით არაფერი გადაწყვიტოთ. თქვენ კარგად იცით, სიცრუისათვის რა გემუქრებათ.

— თქვენ მართალი ხართ, მაგრამ ეს ჩემთვის უნდა შეგეხსენებინათ.

— კალიფორნიაში გამგზავრებაც ხომ არ უნდა შემეხსენებინა? თუ თქვენ ჩათვალეთ, რომ მე ეს არ დამაინტერესებდა?

— მე ვალდებული არა ვარ მოგასსენოთ თქვენ თითოეული ჩემი ნაბიჯის შესახებ, სერჟანტ. იქ გამგზავრება უცებ გადავწყვიტე. როგორც კი გავიგე, რომ ის სახლი ჯეფ ფილდსს ეკუთვნის, მინდოდა რაღაც-რაღაცეები დამეზუსტებინა. ჩვენი საუბარი ხანმოკლე იყო. გავიგე, რომ დონამ სთხოვა იმ სახლში ცხოვრების უფლება და მან ნება დართო. მარწმუნებდა, რომ მან არ იცის, დონა რისთვის გაემგზავრა ვაშინგტონში, სულ ეს იყო.

— კარმელის შესახებ რას იტყვით? — მე ველაპარაკე ჰარი ნოლანს, ძველ სენატორს, რომელიც დონას მეზობლად ცხოვრობდა. მას თითქმის არაფერი უთქვამს.

— დიახ, თითქმის არაფერი, — გაიფიქრა ნორტონმა, — გარდა იმ პატარა დეტალისა, რომ ახალი არჩეული პრეზიდენტი ფიცის დადების წინა დღეებში ესტუმრა კარმელში დონას. ნორტონს გადათვალიერებული ჰქონდა წინა კვირის პრესა, სადაც გაზეთები ოფიციალურად იუწყებოდნენ, რომ პრეზიდენტი იმ დღეებში ერთ თავის მეგობარ მილიონერთან ერთად

ასტით სეირნობდა ოკეანეში. მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი თქვა. დაე, კრავიცმა ეს თვითონ გაარკვიოს.

— სერჟანტო, შეიძლება ზოგი რამ გკითხოთ?

— მკითხეთ.

— მგონი საქმის დამთავრებას აპირებთ. მე მაქვს ცნობა, რომ გადაწყვიტეთ, დააპატიმროთ ღვინის გამყიდველი ბიჭი.

— მისტერ ნორტონ, თქვენ არ ვიცი, საიდან გამოჩსრიკეთ ეს ცნობები, მაგრამ გირჩევთ, ხმა გაიკმინდოთ, სანამ ის ბიჭი არ დაგვიპატიმრებია.

ნორტონი დაიბნა, ან სტოუნს აქვს ყალბი ცნობები, — გაიფიქრა მან, — ან კრავიცი ტყუის.

— რა სამხილი გაქვთ იმ ბიჭის საწინააღმდეგოდ, სერჟანტ?

— არ გეტყვით, რა სამხილი გვაქვს, მისტერ ნორტონ. კიდევ გაქვთ რაიმე შეკითხვა?

ნორტონი ყოყმანობდა. კინაღამ არ დაავიწყდა, რისთვის მოვიდა აქ. მთელი ეს საქმე მისთვის რაღაცნაირად გაუგებარი იყო. ახლა წუხდა, რომ ისევ ჩაერთო მასში ვიღაც შეშლილის გამო.

— დიახ, სერჟანტ. შეიძლება გადავიკითხო გაკვეთის შემდეგ შედგენილი სამედიცინო დასკვნა?

— რისთვის?

— უბრალოდ, ცნობისმოყვარეობისათვის. თქვენ გაქვთ ასლი?

— არა, — იცრუა კრავიცმა. — მაგრამ დასკვნის ძირითადი ნაწილი შემიძლია გითხრათ. თქვენ უკვე იცით, სიკვდილის მიზეზი: დაცემისას თავი დაარტყა ყავის მაგიდის ძგიდეს, იგი მთვრალი არ იყო, არ გაუუპატიურებიათ, მამაკაცთან არ უცხოვრია, ჯანმრთელობა შესანიშნავი ჰქონდა, გაკვეთამ ცხადყო მხოლოდ ერთი საინტერესო ფაქტი, მისტერ ნორტონ.

ნორტონი მიხვდა, რომ ის გააცურეს; ახლა კი აინტერესებდა, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას.

— მაინც რა, სერჟანტო?

— მისის ხენდრიკსი სამი თვის ფეხმძიმე აღმოჩნდა.

ერთხელ ბეისბოლის მატჩის დროს ნორტონი შემობრუნდა მაყურებლებისაკენ იმისთვის, რომ თვალი ჩაეკრა გულშემატკივრების კაპიტნისათვის და უცებ ბურთი სახეში მოსვ-

და. იგივე შეგრძნება ჰქონდა ახლაც. მოულოდნელმა დარტყმამ ნორტონი დააყრუა და დააბრმავა. დონა სამი თვის ფეხმძიმე იყო! ესე იგი, ეს მოხდა იანვრის შუა რიცხვებში, როცა უიტმორი დონასთან იმყოფებოდა კალიფორნიაში. ეს ბოლიანად სცვლიდა საქმის ვითარებას. ბავშვი, რა თქმა უნდა, უიტმორისა იყო. ის ჩამოვიდა ვაშინგტონში, რომ ჩარლზს შესვედროდა და...

— თქვენ, მგონი გაოცებული ხართ, მისტერ ნორტონ?

— რა თქმა უნდა, გაოცებული ვარ.

— სომ არ იცით, ვინ არის ის მამაკაცი, რომელმაც...

— არა.

— მისტერ ნორტონ, თქვენ რაღაცას გვიმალავთ, რატომ არა ხართ გულწრფელი? თუ მართლა გიყვარდათ დონა, რატომ არ გვეხმარებით მკვლელის მონასვაში?

ნორტონს სურდა დახმარებოდა. უნდოდა ყველაფერი მოეთხრო კრავიცისათვის. ყველაფერი, რომ ამ არამზადა უიტმორმა დააფეხმძიმა დონა, მერე ხელები დაიბანა და თუ თვითონ არ არის მკვლელი, ის მაინც იცის, ვინ მოკლა დონა. ერთი მხრივ, ნორტონს ეჩვენებოდა, რომ ეს ასეა. მეორეს მხრივ, მთლად არ იყო დარწმუნებული. და ამიტომ არ უნდოდა, ასეთი ბრალდება წაეყენებინა პრეზიდენტისათვის. მან გაიხსენა ყოფილი სენატორი ჰარი ნოლანი. პოლიციას მისთვის რომ მიემართა, ჰარი მოუყვებოდა მათ იანვრის შეხვედრების შესახებ, მაშინ ძიება სწორი გზით წარიმართებოდა. ამის იმედი ჰქონდა ნორტონს. უიტმორის დაფარვას ის არ აპირებდა, გინდაც ექვსთვალაზე დადებული გაეტანათ ქალაქიდან, მაგრამ, სანამ კიდევ ეპარებათ ეჭვი, მას არ სურდა პრეზიდენტისათვის სახელის გატეხა.

— თქვენ არ ესაუბრეთ სენატორ ნოლანს? — იკითხა მან. — ის და დონა კარგი მეგობრები იყვნენ. შეიძლება მან იცოდეს, ვინ იყო მასთან იანვარში.

— ის შინ არ დაგვხვდა, — უპასუხა კრავიცმა. — მას მხოლოდ გუშინ საღამოს დავურეკეთ, დღეს ჩვენი კაცი აპირებდა მასთან დაკავშირებას.

— ძალიან კარგი, — თქვა ნორტონმა. — მაპატიეთ, სერჟანტო, მე... რაღაც ვერა ვარ კარგად.

კრავიცმა მხრები აიჩეჩა და ნორტონი გაუშვა. ბენი გაუჩქარებლივ გავიდა დერეფანში, გვერდი აუარა ატირებულ ორ ზანგ ქალს და ლიფტით ვესტიბიულში ჩავიდა. ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ფარდა აესადა. ეს ნაძირალა უიტმორი. ნორტონმა თავის თავს სიტყვა მისცა, რომ ძირისძირობამდე ჩაჰყვებოდა ამ საქმეს. ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის მაგივრად ამას პოლიცია გააკეთებდა. მას სჭირდებოდა დასმარება, მაგრამ არა პოლიციელებისაგან. ნორტონმა მონახა ტელეფონ-ავტომატი და ჩიკაგოს გაზეთ „უორლდის" ვაშინგტონის რედაქციაში დარეკა. გეიბ პინკუსმა ნორტონი დაუყოვნებლივ თავისთან მოისმო.

16

ჩიკაგოს გაზეთ „უორლდის" ვაშინგტონის რედაქციაში სრული მყუდროება სუფევდა, ასეთი მყუდროება შეიძლება იურიდიულ დაწესებულებებს უფრო უსდება, ვიდრე რედაქციას. ბდივანმა, ახალგაზრდა ზანგმა ქალმა, ნორტონი გეიბ პინკუსის საწერ მაგიდამდე მიაცილა. ოთახში ყველა მაგიდა აკურატულად იყო დალაგებული, მაგიდებს მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი ჟურნალისტები უსსდნენ, მხოლოდ გეიბ პინკუსის მაგიდა ჰგავდა სანაგვე ყუთს და ამ უწესრიგობით გარემოცული გეიბი თავის სტიქიაში გრძნობდა თავს. ყელზე მოდიდან გადასული ვიწრო ჰალსტუხი ფალასივით ეკიდა, პერანგის საყელო გაცრეცოდა, ტვიდის პიჯაკი მხართან გარღვეოდა, დალაქავებულ შარვალს სიძველისაგან თავდაპირველი ფერი დაჰკარგოდა. ლანსაამძვრალი ფეხსაცმლიდან თითები მოუჩანდა, გამვლელებს რომ კარგად დაენახათ, ფეხები საწერ მაგიდაზე შემოეწყო და ვიღაცას ხმამაღლა ესაუბრებოდა ტელეფონით.

— მომისმინეთ, ბატონო მინისტრო, თავი დაანებეთ სისულელის ჩმახვას და მიპასუხეთ ჩემს შეკითხვაზე. ჰა, როგორ არ ექვემდებარება გამოქვეყნებას? მე ვწერ სტატიას და გირჩევთ, ისევ თქვენდა სასიკეთოდ, დაუყოვნებლივ მიპასუხოთ. კარგით, მაშინ ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ.

გეიბმა ყურმილი დაახეთქა და ნორტონს თვალი ჩაუკრა.

— წავიდეს და იხტუნაოს— განადგურება თავის თავს დააბ-

რალოს, — თქვა მან, — ახლა კი ლენჩის დროა, „სან-სუსში" გაწყობს?

— შეგვიშვებენ?

— ვინც ფულებს ჩეჩქივით აბნევს, მისთვის ყველა კარი ღიაა. ეს ტიპები არ მიხდიან იმდენს, რამდენიც ვღირვარ და ამიტომ უფრო ძვირი ვუჯდები. ჰარიგენის პროცესის შემდეგ ყველა ნაფიცი მსაჯული ლენჩზე დავპატიჟე. რედაქციას ეს რვაასი დოლარი დაუჯდა, მაგრამ ამად კი ღირდა. ამ ტიპებს ჰარიგენისათვის გამამართლებელი განაჩენი რომ გამოეტანათ, ჩვენ ცილისწამების სარჩელისათვის მილიონი დოლარი უნდა გადაგვეხადა.

მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა ხანში შესულმა ჯენტლმენმა, რომელიც ბირჟის მაკლერს წააგავდა, თვალები დახუჭა და პირჯვარი გადაიწერა. გეიბს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, ისე გავიდა ოთახიდან ნორტონთან ერთად. ზუსტად გასასვლელთან ვიღაცის კაბინეტიდან გამოვიდა ელეგანტური ჭაღარათმიანი მამაკაცი, რომელსაც კოსტად შეკერილი ინგლისური კოსტიუმი ეცვა, მაგრამ როგორც კი გეიბი დაინახა, უკანვე შეტრიალდა. გეიბმა თვალი ჩაუკრა ნორტონს და ლანჩაამძვრალ თავის ფეხსაცმელზე მიუთითა.

— ამ ვაჟბატონს არ შეუძლია მშვიდად უყუროს ჩემს ფეხსაცმელს, — თქვა მან. — ეს რეგვენი სიამოვნებით გამათავისუფლებდა სამსახურიდან, მაგრამ თავის მოკლე ჭკუით იმას მაინც ხვდება, რომ გაზეთს მე უფრო ვჭირდები, ვიდრე თვითონ.

„სან-სუსიში" მეტრდოტელი ისეთი ენთუზიაზმით მიესალმა გეიბს, როგორც ესალმებიან ვიზიტით ჩამოსულ სახელმწიფო მეთაურებს. მაგრამ, როცა მან გეიბს საუკეთესო მაგიდა შესთავაზა დარბაზის ცენტრში, პიწკუსმა უარი თქვა და იქვე კედელთან მიდგმული მაგიდა ამჯობინა. დარბაზის გავლისას გეიბს პოლიტიკური მოღვაწეები თავაზიანად ესალმებოდნენ, რესტორანში მსხდომთა უმრავლესობა უბღვერდა, ზოგიერთი სახეს არიდებდა. იუსტიციის მინისტრის ერთი ხელქვეითი კი, დაინახა თუ არა გეიბი, წამოდგა და დარბაზიდან გავიდა.

ახალგაზრდა ფრანგმა ოფიციანტმა მოკრძალებით იკითხა, რას დალევთო?

— მე „სისხლიან მერის“, — თქვა ნორტონმა.

— შესანიშნავია, — თქვა გეიბმა. — მოიტანეთ ოთხი სირჩა, ერთდროულად, ხშირად რომ არ შეგაწუხოთ. როცა ოფიციანტი წავიდა, გეიბმა მაგიდიდან ყვავილებიანი ლარნაკი აიღო და დაათვალიერა, მერე მუსლებზე დაიჩოქა და მაგიდის ქვემოთ შეიხედა.

— უნდა შევამოწმო, მიკროფონი ხომ არ არის სადმე, — ჩურჩულით თქვა მან. — მე, არასოდეს არ ვჯდები იმ მაგიდასთან, რომელსაც მთავაზობენ, მიკროფონის მეშინია. როცა ოფიციანტი მოგვიახლოვდება ხმა არ ამოიღო და საერთოდ, ჩუმად ილაპარაკე, მეზობელ მაგიდასთან მსხდომებმა რომ არ გაიგონ ჩვენი საუბარი.

ნორტონმა ქურდულად გახედა გვერდით მდგომ მაგიდას, რომელსაც ორი ხანდაზმული ქალი უჯდა. ოფიციანტი დაბრუნდა და ოთხი სირჩა „სისხლიანი მერი“ მოიტანა. ერთი წუთის შემდეგ მათ მაგიდას პატარა თმასუფუჭა კაცი მიუახლოვდა და გეიბთან გააბა საუბარი.

— პატარა ნაძირალა, — თქვა გეიბმა, როცა იგი თავის მაგიდას დაუბრუნდა.

— ვინ არის?

— ჯერი ვინსენტია. არ იცნობ. თეთრ სახლში მუშაობდა, ასლა დიდი საქმოსანია.

— ვერ ვიხსენებ.

— ერთ ამბავს მოგიყვები. ასეთი მლიქვნელი, როგორიც ეს კაცია, ქვეყანას ჯერ არ მოვლენია. ერთხელაც მის სათაყვანებელ პრეზიდენტს თვალში არ მოუვიდა კაბინეტის ერთ-ერთი წევრი, გვარად ხარპერი, რომელიც თავს მეტისმეტად დამოუკიდებლად თვლიდა, პრეზიდენტმა ხარპერი გამოიძახა და წაუკითხა ლექცია ერთგულების შესახებ, მაგრამ კოლეჯის ამ შტერ პროფესორს ვერაფერი შეასმინა. ბოლოს და ბოლოს, როცა მოთმინებიდან გამოვიდა, მან გამოიძახა ერთგული მსახური ჯერი ვინსენტი.

— ჯერი, — ეუბნება ის. — ვიწექი მე შენს ცოლთან, სანამ მას შეირთავდი?

— დიახ, სერ, — ამაყად უპასუხა ჯერიმ.

— ვიწექი მე შენს ცოლთან, თქვენი შეუღლების შემდეგ?

— დიახ, სერ, — ისევ პასუხობს ჯერი და თვალები სიამოვნებისაგან უბრწყინავს.

აქ ჩვენი სახელოვანი ლიდერი შემობრუნდა სარპერისაკენ და ეუბნება:

— აი, ეს არის ერთგულება.

ნორტონმა ხელი ჩაიქნია.

— ამის დაჯერება შეუძლებელია.

— ეს ჭეშმარიტებაა, — თქვა გეიბმა. — ეს ამბავი სარპერის საყვარელმა მომიყვა. სარპერი ისე იყო შეძრწუნებული, რომ კაბინეტში თანამშრომლობა მიატოვა, ეს საყვარელი კი ამის შემდეგ დაცილდა მას.

მამაკაცები ნება-ნება სვამდნენ კოკტეილს და ძალდაუტანებლად საუბრობდნენ. რამდენიმე წლის წინ, როცა გეიბი პირველ ცოლს გაეყარა, ის დონას მეგობარ ქალს ხვდებოდა. ეს ოთხეული ხშირად ერთად ატარებდა დროს. გეიბი მაშინ პოლიციის რეპორტიორი იყო. შემდეგ ის მისვდა, რომ, თუ ამ დაუცხრომელ ენერგიას სხვა უფრო სერიოზულ საქმეს, ვთქვათ, საბელმწიფოებრივს, მოახმარდა, შედეგი უფრო ეფექტური იქნებოდა. მალე იგი პოლიტიკური მიმომხილველი გახდა და, როგორც „უორლდის“ თითქმის ყველა თანამშრომელი, ისიც ატარებდა სენატორებისა და კაბინეტის წევრების თავის ქალადან აღებულ ქამარზე ჩამოკიდებულ სკალპელს. გეიბი აცვიფრებდა ნორტონს. გარეგნულად იგი ნასმარი მანქანების გამყიდველს ჰგავდა, მორალი კი — სეიფების გამტეხისა ჰქონდა. მიუსედავად ამისა, დადიოდა ხმები, გეიბი რომ გაშმაგებით უარყოფდა, — თითქოს მან ჯოლეჯში შეისწავლა ბერძნული ენა და თავისუფალ დროს კლასიკოსებს თარგმნიდა. ის კი ყველამ იცოდა, რომ მან მეორე ცოლის ხელში იშვილა ზანგი გოგონა და ობოლი ვიეტნამელი.

როცა ნორტონს ხბოს სორცი მოუტანეს, ხოლო გეიბს — თევზეული, ბოთლ კარგ ღვინოსთან ერთად და ოფიციანტი წავიდა, რეპორტიორი ნორტონისაკენ დაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

— რაზე ფიქრობ, მეგობარო?

— დონაზე.

— ასეც ვფიქრობდი. შენი აზრით, ვინ?..

— არ ვიცი, შეიძლება მძარცველმა. არ მინდა ნაჩქარევი ვერსიები ავაგო შეთქმულების შესახებ.

— რატომ? ჩვეულებრივ, ისინი სინამდვილეს უახლოვდებიან ხოლმე. ვაშინგტონში რისთვის ჩამოვიდა დონა?

— არ ვიცი. შევიტყე, რომ იგი ედი მერფს შეხვდა.

— გასაკვირია, მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. იგი ხვდებოდა უიტმორს, რომ ასეა?

გაოცებულმა ნორტონმა გეიბს შეხედა.

— შენ საიდან იცი?

რეპორტიორმა გაიცინა.

— მე არ ვიცოდი, სულელო, შენ თვითონ მითხარი, შენგან კარგი პოკერისტი არ გამოვა. მერე რა მოხდა?

— მათი რომანი არჩევნების წინ დაიწყო. ეტყობა ისინი ერთმანეთს ივლისში დასცილდნენ, როცა დონა კალიფორნიაში გაემგზავრა, იქნებ არც დაცილებულან, გავიგე, რომ უიტმორი იანვარში ჩასულა დონასთან.

— შორიდან შემოვლას თავი დაანებე. ფეხმძიმედ ყოფილა?

— ისევ რაღაცასა თხზავ, გეიბ?

რეპორტიორმა თავი გააქნია.

— ეს მე საპრეზიდენტოს თანამშრომლისაგან გავიგე. უიტმორმა დააორსულა ქალი. იგი ჩამოდის ვაშინგტონში, ხვდება უიტმორს, სთხოვს ფულს ან აიძულებს გაეყაროს ცოლს, ვინ იცის — კიდევ რას. ანდა პირიქით, უიტმორი ურჩევს მუცელი მოიშალოს, ან საერთოდ გაჩუმდეს. და ამის შესახებ კრინტი არ დაძრას. ამ ნიადაგზე შესაძლოა მათ შორის იწყება კამათი, დიდი ჩაკი მოთმინებიდან გამოდის და ურტყამს დონას. დონა ეცემა, თავს დაჰკრავს მაგიდას და... უიტმორი სწრაფად უჩინარდება. იწყება „დამალობანას" თამაში.

გეიბს სახე აელეწა.

უაზრო ილუზიების აგება და შემდეგ იმის მტკიცება, რომ ეს ჭეშმარიტებაა, მისი ხელოვნებაა, — გაიფიქრა ნორტონმა, ხმამაღლა კი თქვა.

— შესაძლებელია ასეც იყო, მე არ მიფიქრია ამაზე. საერთოდ, ვერ ვიტყვი, რომ უიტმორი უმწიკვლო პიროვნებაა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— მაგრამ ის პრეზიდენტია, ეშმაკსაც წაუღია. ის ცდილობს ამერიკელ ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანოს.

— სისულელეა! — ღვარძლიანად თქვა გეიბ პინკუსმა, — მისმინე, მეგობარო, ის პოლიტიკოსია, აქედან გამომდინარე კაცისმკვლელი, ისინი ყველანი კაცისმკვლელები არიან. რა ეს ბრბო, რა ის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მათგანი აიღებს ხელში ძალაუფლებას. ერთადერთი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ერთნი უფრო გულუსვად ფანტავენ სხვის მონაგარს, მეორენი კი ცოტა უფრო უკეთ იცვამენ. ის მითხარი, გინდა თუ არა მოძებნო დონას მკვლელი?

— მინდა, — თქვა ნორტონმა. — მოკლედ, შესაძლებელია ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც შენ მიითხარი.

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მისი მოკვლა შეეძლო ედი მერფსაც და გამვლელ ქურდბაცაცასაც. უპირველეს ყოვლისა, მე მინდა ვიცოდე, სად იყვნენ იმ საღამოს ედი მერფი და უიტმორი.

— იმ საღამოს დემონსტრანტებს აშოშმინებდნენ, რომლებიც სამუშაოს მოითხოვდნენ. — თქვა ნორტონმა. — ოფიციალური მონაცემებით უიტმორი თეთრი სახლიდან არ გამოსულა.

— მას შეეძლო უჩუმრად გაპარულიყო, — თქვა გეიბმა. — ვთქვათ, ჩამჯდარიყო ლიმუზინში და ისტ-ეგზეკუტივ ავენიუთი სიბნელეში გაუჩინარებულიყო. ამ ლიმუზინებს ყურადღებას არავინ აქცევს. რომელიმე მათგანში ჰიტლერიც რომ მჯდარიყო, ვერავინ შენიშნავდა. მაგრამ მე შევაგროვებ ცნობებს, ვინმეს ხომ უნდა დაენახა, დარაჯს, აგენტს, საიდუმლო სამსახურის თანამშრომელს ან საერთოდ ვინმეს.

— გეიბ, უკანასკნელ ხანებში უცნაური ამბები ხდება.

— მაგალითად?

— ადამიანები უარყოფენ თავიანთ ნათქვამს. ამას წინათ ფილ როსმა მითხრა, რომ დონა ედი მერფთან ერთად ნახა, ედის დარეკვის შემდეგ კი განაცხადა, სხვაში შემეშალაო.

— როსი — მხდალია, — უკმეხად თქვა გეიბმა. — არც ერთი მიმომხილველი და პოლიტიკური რეპორტიორი ამ საქმეს ახლო არ გაეკარება. მთელმა ამ ხროვამ უოტერგეიტი მძარცველად მონათლა, ხოლო ყველაზე შეუპოვარმა ჟურნალისტებმა კი, რომელთაც მოინდომეს ჭეშმარიტების მიგნება, ოა-

ვისი კარიერა სასწორზე შემოსდეს. როსას საქციელი იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მერფის მიეყიდა. ახლა გასაგებია, უკანასკნელ ხანებში საიდან აქვს მას ახალ-ახალი ცნობები.

— ასე მოიქცა არა მარტო როსი, — თქვა ნორტონმა. — „ნატანას" ბარმენმა — პიტმა, მითხრა, რომ ამას წინათ შენი ამბავი გამომკითხა ერთმა ტიპმა, რომელიც გიჟს ჰგავდა. როცა ეს ამბავი გავახსენე, პიტს მეხსიერებამ ულალატა. გვენ ბაუერი გატაცებით მიყვებოდა უიტმორისა და დონას რომანის ამბებს, გუშინ საღამოს კი განმიცხადა, ალბათ, ვცდებოდიო.

გეიბმა მხრები აიჩეჩა და ოფიციანტს ხელით ანიშნა ღვინო მოიტანეო.

— პიტი ნარკომანია, აქედან გამომდინარე მისი დამუშავება ადვილია, გვენიც არა მგონია მტკიცე ადამიანი იყოს. ზოგჯერ ცნობილი პიროვნების მოსყიდვა უფრო ადვილია, ვიდრე ჟურნალისტების. ნახავ, მალე დიდ თანამდებობას მიიღებს.

სანამ ოფიციანტი თეფშებს წაიღებდა, ისინი დუმდნენ. ხანშიშესული ქალბატონები ისევ ისხდნენ მეზობელ მაგიდასთან. გეიბმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი ქალი მათკენ იცქირებოდა. მან ისე შესედა ქალბატონს, რომ იგი გაწითლდა და მიისედა.

— ჩემთან, სამსასურშიაც რაღაც-რაღაცეები სდება, — თქვა ნორტონმა. — ამას წინათ ერთმა კაცმა, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მუშაობს, სიკეთე მიყო, მაგრამ, როგორც კი მერფის მაგრად მოვკიდე ხელი, ეს საქმე აღარ გამოვიდა.

— ამაში მერფის ხელი ურევია.

— ალბათ, — დაეთანხმა ნორტონი. — მაგრამ მთავარი ის არის, რომ გამომიძახა უიტ სტოუნმა და იმის მაგივრად, რომ გამწყრომოდა, შესანიშნავი თანამდებობა შემომთავაზა. აღმოჩნდა, რომ მან ყველაფერი იცოდა დონას სიკვდილის შესახებ. ისიც კი მითხრა, რომ პოლიციას გადაწყვეტილი აქვს, დააპატიმროს ის ჭაბუკი, რომელიც დონას ღვინის სარდაფში მოემსახურა. მაგრამ, მე დღეს ვესაუბრე კრავიცს, პოლიციელს, რომელმაც თქვა, რომ, მართალია, ეჭვი გვაქვს იმ ჭაბუკზე, მაგრამ მის დაპატიმრებაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც

კი ზედმეტიაო. ბოლო ხანებში ვერაფერი გამიგია, საერთოდ რა ხდება.

გეიბი ნორტონისაკენ გადაიხარა, მღელვარებისაგან თვალები უბრწყინავდა.

— მე ვიცი, რაც ხდება. შენ თვალს გისვევენ. ხომ არ გგონია, რომ ეს ყველაფერი თანდამთხვევაა?

— არ ვიცი, გეიბ.

— იცი, შენს მონათხრობში ყველაზე საინტერესო რა არის?

— რა?

— შენი საუბარი უიტ სტოუნთან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენი პატივცემული ბოსი, ამერიკის ადვოკატურის მანათობელი ვარსკვლავი, ყველაზე დიდი თაღლითია ვაშინგტონში. ამაში ბევრი რამ იგულისხმება.

ნორტონი გაოცებული შეჰყურებდა.

— უიტი ეშმაკია, მაგრამ არა მგონია, მასზე ნაკლები თაღლითები იყვნენ ვაშინგტონის სხვა ცნობილი ადვოკატები. მარიალია, მან ხელი შეუშალა რამდენიმე კარგი კანონპროექტის დამტკიცებას...

— მე არ ვლაპარაკობ კანონპროექტზე, არც შანტაჟებზე, ტელეფონის მიყურადებაზე. მისი მეშვეობით ბრუნავს მსხვილი კაპიტალი მეგობარ კორპორაციებსა და მისსავე მეგობარ პოლიტიკოსებს შორის და თავის წილ მოგებას ის ორივე ხელით სვეტავს.

— კარგი, გეიბ, დავუშვათ ის თაღლითია, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას დონასთან?

— ის ცდილობდა დაეწყნარებინე, დაეცხრო შენი აღშფოთება, ხომ ასეა?

— კი.

— იცოდა ყველაფერი ამ საქმის შესახებ, ხომ?

— იცოდა ბევრი რამ.

— რატომ, რა მიზნით უნდა დაინტერესებულიყო უიტ სტოუნი მკვლელობის საქმით?

— არ ვიცი, — გამოტყდა ნორტონი.

გეიბი წინ გადაიხარა, ორივე ხელით ყავის ფინჯანი ეჭირა, ზედა ტუჩზე ყავის ნალექი აჩნდა.

— იცი, ყველაზე მეტად რა სურს უიტ სტოუნს?

— რა?

— იუსტიციის მინისტრად ყოფნა.

— შენ ხუმრობ,

— არ ვხუმრობ. ასლანდელი ყეყეჩი ერთ წელსაც ვერ შეძლებს თანამდებობის შენარჩუნებას. სტოუნს სურს მისი ადგილის დაკავება. მას შეუძლია იყიდოს იმ,დენი ხმა სენატში, რამდენიც საჭიროა, ოღონდ მთავარია უიტმორის დარწმუნება, რომ მან სტოუნის კანდიდატურა წამოაყენოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე. იგი ახლა ცდილობს, რაიმეთი დაიმსახუროს თეთრი სახლის ყურადღება, გული მოუგოს პრეზიდენტს. შენი დაშოშმინება კი დიდ სამსახურს გაუწევს ამ საქმეში.

დაახლოებით სამი სააოი იქნებოდა, რესტორანი თითქმის დაცარიელდა, ოფიციანტები მათ მაგიდასთან ტრიალებდნენ. გეიბი ეჭვმიტანით უთვალთვალებდა მათ.

— მისმინე, ნორტონ, ეს თამაში შეიძლება ძალიან საშიში აღმოჩნდეს, — ჩურჩულით თქვა მან. — ჯერჯერობით ისინი შენს მოსყიდვას ცდილობენ. მომავალში შეიძლება სტოუნმა სამსახურიდან დაგითხოვოს, მერფის წყალობით კი არც ერთი იურიდიული ფირმა ვაშინგტონში ასლოს არ გაგიკარებს. უმუშევარი დარჩები. მზად ხარ ამისათვის?

— სავსებით, გეიბ, ამიტომ ვარ ასლა აქ. ჩვენ ორნი ნათელს მოვფენთ ამ საქმეს.

გეიბმა შუბლი მოისრისა და ნორტონს დააკვირდა, ეტყობოდა რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა.

— კეთილი, — თქვა მან. — ბოლოს და ბოლოს ვიქნები შენთან გულახდილი. საქმე საიდუმლოა, იქნებ შენ მართლაც არ გეშინია სტოუნისა, მაგრამ იცოდე, თუ ჩემი მოტყუება გადაწყვიტე, გაგანადგურებ.

— შეგიძლია მენდო, გეიბ.

— მისმინე, შევეცდები დავადგინო, ვინ მოკლა დონა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებს ამ საქმეში რატომ ჩაეჭიარა სტოუნი. მე ამ ნაძირალაზე ვნადირობ და შენ შეგიძლია დამეხმარო.

— რითი?

— ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

— შენ, რა, ხელწერილი სისხლით გინდა დაგიწერო?

— ნუთუ ვაშინგტონელ იურისტებს სისხლიც გაქვთ? — წაიქილიკა გეიბმა. შემდეგ გადაიხარა მაგიდაზე, პირზე ხელები საყვირივით მიიფარა, თითქოს ეშინოდა, ტუჩების მოძრაობით არ ამოეკითხათ ის, რის თქმასაც აპირებდა.

— ნორტონ, — წაიჩურჩულა მან. — შენ ოდესმე გსმენია გუვერის დოსიეს შესახებ?

— გუვერის დოსიეს შესახებ? არა.

— აგიხსნა?

— მე მგონი, საჭიროა.

— კეთილი, დიდი ხანი დადიოდა ხმები, რომ მოხუცის სიკვდილის შემდეგ დარჩა მისი პირადი დოსიე La czeme de la czame.[1] იქ თავმოყრილი იყო მასალები ამერიკის ყველა ცნობილ პიროვნებაზე. გინდა გაიგო, საიდან ღებულობდა ლორდონი ფულს? რას საქმიანობდა ჯეკი დასვენების დღეებში, იმ დროს, როცა ყველას ეგონა, რომ იგი მელიებზე ნადირობდა? როგორ აცდენდა გამოჩენილი სენატორი სელზე მოსამსახურე პატარა ბიჭებს? და ეს ყველაფერი წვრილმანია, იმასთან შედარებით, რაც იქ წერია, იქ არის ცნობები, რომელსაც შეუძლია შეძრას მთელი მსოფლიო.

— მაგალითად?

— მაგალითად, ვინ მოკლა კენედი.

— რომელი კენედი?

— ერთიც და მეორეც. მომისმინე, თუ ეს გუვერის ნახელავი არ არის, მან იცოდა, ვინ ჩაიდინა ეს ბოროტება. ყველაფერი ეს იმ დოსიეშია თავმოყრილი. მე ვიცნობ კაცს, რომელიც ამისათვის ულაპარაკოდ გადაიხდის ერთ მილიონ დოლარს.

ნორტონი დაეინებით დააცქერდა პინკუსს, რომელსაც თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს უცებ უდიდეს განძს წააწყდაო. ნორტონს რომ არ ცნობოდა გეიბი, მას გიჟად ჩათვლიდა. მაგრამ გეიბი იყო პრემირებული ჟურნალისტი, და, იგი ყველაზე რეალურად და ასლო იცნობდა ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეებს.

— ამას სერიოზულად ამბობ? — ჰკითხა ნორტონმა. — თუ ეს ვაშინგტონის მორიგი ჭორია.

---

[1] თვით ნაღები.

— გუვერი ენდობოდა მსოლოდ ერთადერთ ადამიანს მსოფლიოში, — თქვა გეიბმა. — თავის მეგობარს ზიკ მაკგაირს, და აი, ორი თვის წინ მე მოვახერხე შეღწევა საავადმყოფოს იმ პალატაში, სადაც ის იწვა. გამოკაძევე სამედიცინო დები და პირდაპირ ვუთხარი: „ზიკ, შენ ხომ იცი, რომ მალე მოკვდები. მე გაძლევ შესაძლებლობას, რაც ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი, დაწერე გამოსათხოვარი სიტყვა". მან თვალები დაახამხამა, თითქოს დაინტერესდაო. მე განვაგრძე: „ზიკ, შენი გამოსათხოვარი სიტყვა შეიძლება გაისმას სხვადასხვანაირად, გაზეთ „ურლდ"-ის პირველ გვერდზე დაბეჭდილ სიტყვაში შეიძლება ლაპარაკი იყოს იმის შესახებ, 40 წლის მანძილზე უანგაროდ, როგორ ემსახურე საზოგადოებას, რაც ყველა მომაკვდავი ადამიანის ოცნებაა, იმავე გაზეთის იმავე გვერდზე დაიბეჭდება სტატია, სადაც ლაპარაკი იქნება იმაზე, შენი მოღვაწეობის უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, როგორ იღებდი ორ სელფასს: ერთს, შეღარებით მცირეს, მთავრობისაგან და მეორეს, გაცილებით მეტს, ბოროტმოქმედთაგან". ზიკი წამოჭარხლდა და დიდი ხვალების შემდეგ ძლივს გამოსცრა: „რა გინდათ ჩემგან?" მე იმწუთშივე მივასალე „გუვერის დოსიე-მეთქი".

ნეტა გენახა ის მამაძაღლი! როგორ შეეშინდა, მთელი ტანით აცახცახდა, ოფლმა დაასხა. მომეჩვენა დავითანხმე-მეთქი. მაგრამ მაინც შეფისა უფრო ეშინოდა, ფიქრობდა, თუ დოსიეს მომცემდა, მოხუცი ჯო ედგარი ზეციდან დაეშვებოდა და სასტიკად გაუსწორდებოდა. ამიტომ უფრო შეკუტიე: „ზიკ, — ვუთხარი, — მე მაქვს შენს შესახებ საბუთები, ჩეკები, წერილები, მოხსენებითი ბარათები, იმ შემთხვევაში თუ არ მომცემ დოსიეს, ამას ყველაფერს გამოვაქვეყნებ პრესაში და იმათზე უფრო დიდ თაღლითად დარჩები, ვიდრე იყვნენ პრეზიდენტები — გრანტი, გარდინგი და ნიქსონი ერთად აღებული". ამის გამგონე ზიკი მოიკრუნჩხა, აცახცახდა, ტუჩები აუკანკალდა და ამოღერღა: „უოტ სტოუსი". მერე ამოიკვნესა და ბალიშზე დაეცა. მედდებმა მოირბინეს, მე წამოვედი. ორი საათის შემდეგ მოხუცი ზიკი გარდაიცვალა. საცოდავი. ასლო გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ის არც ისე ცუდი ადამიანი ყოფილა.

— ესე იგი, შენ არ გამოგიქვეყნებია პრესაში მისი წერილები და ჩეკები? — ჰკითხა ნორტონმა.

— ეშმაკმა დალახვროს, მე ხომ ვატყუებდი, რაღაც ყურმოკრული ჭორების საშუალებით, საქმის გასაღები ჩავიგდე ხელში. უიტ სტოუნს აქვს გუვერის დოსიე, ან იცის, სად ინახება იგი. ჩემი აზრით, მას სურს, ეს დოსიე შესთავაზოს პრეზიდენტ უიტმორს, სამაგიეროდ, კი მიიღოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა.

ნორტონმა ყავა მოსვა. მათ გარდა რესტორანში მსოლოდ ორი კაცი იჯდა.

— კარგი, მაგრამ რაში სჭირდება უიტმორს გუვერის დოსიე? — ჰკითხა ნორტონმა. — თუნდაც იგი მართლა არსებობდეს?

— იმიტომ, რომ ის ბორიტი ნაძირალაა. იმ შემთხვევაში, თუ შევადგენ იმ ათი უბისძურესი ბორიტმოქმედის სიას, რომლებიც ამერიკელმა ხალხმა აირჩია, ის იქნება ერთადერთი კერძო პირი. დანარჩენები აქ ამომრჩევლებმა გამოგზავნეს, რომ ხალხის პატარ-პატარა ცოდვები გამოავლინონ. სტოუნი ამას თავისი სიამოვნებისათვის აკეთებს. აი რა, მეგობარო, ჩვენს შორის ვიღაცა ცდილობს გადაარჩინოს ეს ქვეყანა, და ქვეყნის გადარჩენა კი ისეთი ნაძირალებისაგანაა საჭირო, როგორიც უიტმორია.

— მისმინე, გეიბ, შემიძლია ამ საქმეში დაგეხმარო?

— ხელი შემიწყვე, რომ სტოუნის კაბინეტში შევაღწიო, — ჩურჩულით თქვა გეიბმა. — შესაძლებელია, ის თავის სეიფში ინახავს გუვერის დოსიეს.

— გეიბ, ზოგჯერ ასეთ საქმეს ქურდობას ეძახიან.

— შემეშვი, — ჩაიღრინა გეიბმა, — ჩვენ საქმე გვაქვს ნაძირალებთან, ისინი იტყუებიან, ჯიბეს ისქელებენ, არავის რომ არ სჭირდება, ისეთ ომებს აჩაღებენ და ამის შემდეგ დადიან ეკლესიებში საღილეში გაკეთებული ამერიკული დროშებით. გინდა იცოდე, ვინ მოკლა შენი მეგობარი ქალი? დამიჯერე, გუვერის დოსიეს მფლობელისათვის ეს ცნობილია სხვა ამბებთან ერთად. ახლა მითხარი, ხარ ჩემთან თუ არა?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ნორტონმა. — რა უნდა გავაკეთო?

— არაფერი არ მოიმოქმედო, სანამ ნებას არ დაგრთავ.

ფრთხილად იყავი სტოუნთან და ედი მერფოთან. დაე, იფიქრონ,რომ შენ მათთან ერთად ხარ ჩაბმული თამაშში. იყავი ყურადღებით, თუ კიდევ რაიმე ანალოგიური დამთხვევა მოხდება, დაუყოვნებლივ მაცნობე.

გეიბმა ოფიციანტს მოუხმო და ანგარიში გამოართვა. გადასახდელი იყო 55 დოლარი. გეიბმა დაუმატა კიდევ ოცი დოლარი მომსახურებისათვის და ანგარიშის ასლი მოითხოვა.

— დამავიწყდა ზოგი რამ მეთქვა შენთვის. — თქვა ნორტონმა.

— რა?

— ეე გავემგზავრე კარმელში და ვესაუბრე მოხუც სენატორს, დონას მეგობარ ჰარი ნოლანს. მან მითხრა, რომ უიტმორი ჩამოსული იყო დონასთან ზუსტად ინაუგურაციის წინ.

— და ამ მოვლენის აღსანიშნავად დონა ბავშვით დაავჯილდოვა, არა?

— მე ამის შესახებ პოლიციისათვის არ მიცნობებია, მაგრამ კრავიცმა მითხრა, რომ მან თავისი კაცი გაგზავნა იქ. ის დღეს უნდა შეხვდეს ნოლანს, თუ სენატორმა უამბო მას უიტმორის ჩამოსვლის შესახებ, მოვლენები სწრაფად განვითარდება.

გეიბმა ტუჩი მოიკვნიტა.

— ვშიშობ, რომ სენატორი არაფერს იტყვის, — აუჩქარებლად თქვა მან.

— რატომ?

— დაიცადე ერთი წუთით, — თქვა გეიბმა და ერთ-ერთ ოფიციანტს მოუხმო:

— გაიქეცი და გაზეთ „სტარის" უკანასკნელი გამოშვება მომიტანე. — უბრძანა მან, ოფიციანტი უმალ გაიქცა.

— რისთვის გჭირდება ეს?

— მოიცადე, მოიცადე, — თქვა გეიბმა. — ხედავ კარებთან იმ ორს?

— ვინ არიან?

— მე მითვალთვალებენ. შესანიშნავი დავალება აქვთ. ყოველ დღე საუკეთესო რესტორნებში იკვებებიან შეწერილი გადასახადების ხარჯზე.

ოფიციანტი სირბილით დაბრუნდა, ხელში გაზეთი ეჭირა. გეიბმა მისცა დოლარი და გაზეთის ფურცვლა დაიწყო.

— კი, ყველაფერი სწორია, — თქვა მან ბოლოს. — გამახსენდა, მე რაღაც ვნახე ტელეგრაფში, მაგრამ მისდოდა დავრწმუნებულიყავი.

მან გაზეთი ნორტონს გაუწოდა, ის გადაშლილი იყო იმ გვერდზე, სადაც ნეკროლოგები იბეჭდება ხოლმე. ნორტონმა პირველად ნაცნობი პორტრეტი დაინახა, მერე წარწერა წაიკითხა: „ყოფილი სენატორი ნოლანი დაიღუპა დაცემით. მსახურობდა 1933—1953 წლებში".

— ო... ღმერთო. — ამოიგმინა მან.

— აი კიდევ ერთი „უცსაური დამთხვევა". — თქვა გეიბმა, დაასლოკინა და კარებისაკენ გაემართა.

17

ფარული კამერით გადაღებული ეს ფილმი ერთ-ერთი შედევრი იყო ანალოგიურად შექმნილ ფილმებს შორის: ეკრანზე სენატორი რიპლი შევიდა მოუწესრიგებელ პატარა ბინაში, გაუღიმა, თავისი საყოველთაოდ ცნობილი ღიმილით, ახალგაზრდა ქალს — ვენდის და მოეხვია. ვენდიმ თავი გაითავისუფლა სენატორისაგან, ჩამოუშვა ფარდები, მერე ორივემ სწრაფად ტანთ გაიხადეს და დაწვნენ განიერ საწოლზე.

ვენდი, რომელიც ამ ფილმს რიდლთან ერთად უყურებდა, იმავე ჯინსებში და სვიტერში იყო გამოწყობილი, რომელიც ეკრანიდან მოჩანდა. ოღონდ ამჯერად არ ეკეთა შავი ნიღაბი. იგი ფილმის გადაღებისას სპეციალურად გაიკეთა, რომ არ ეცნოთ და შემდგომში რაიმე უსიამოვნება არ შემთხვეოდა. სენატორს კი აუხსნა, რომ ეს სექსუალურად უფრო აღაგზნებსო მამაკაცს, რაშიც ადვილად დაარწმუნა კიდეც.

სენატორი რიპლი, ორმოც წელს მიღწეული, თვინიერი, არცთუ მიმხვედრი კაცი იყო. ახალგაზრდა, ჭკვიან ქალს მისი დაყოლიება ადვილად შეეძლო. მათ, ვინც ცდილობდა რიპლი პრეზიდენტად აერჩიათ, იცოდნენ ეს სუსტი მხარე და ყველანაირად ცდილობდნენ იგი ასეთი ქალებისაგან დაეზღვიათ. მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ ბაირონ რიდლი.

ვენდის აღმოჩენა რიდლს არ გასჭირვებია. პროფესიონა-

ლი მეძავი ამ საქმისათვის არ გამოდგებოდა. რიპლს მოსწონდა ახალგაზრდა, უმანკო გარეგნობის ქალები. ბაირონმა საღამოობით დაიწყო ადგილობრივ სტუდენტურ ქალაქებში სიარული. ერთ საღამოს იგი მოხვდა იმ ჯგუფის შეკრებაზე, რომელსაც „ამერიკელთა თავისუფლების დამცველთა“ ორგანიზაცია ერქვა. შეხვდა ვენდის. იგი კრებაზე მოითხოვდა ბაირონ უაიტის პასუხისგებაში მიცემას. კრების შემდეგ რიდლმა იგი ფინჯან ყავაზე მიიპატიჟა და თავი წარუდგინა, როგორც დოქტორი ჰორაციო გრინი, პროფესიით ფსიქოლოგი და შეერთებული შტატების კონსტიტუციის უანგარო დამცველი. ვენდის უყვარდა პოლიტიკაზე მსჯელობა. საუბარში გამოირკვა, რომ იგი ვერ იტანდა დონოვან რიპლს. „ყველაფერზე თანახმა ვიქნები, რომ მას პრეზიდენტობისაკენ მიმავალი გზა გადავუჭრა“, — თქვა მან და ასე დაიწყო ოპერაცია „წითელი თვალი“.

შემდეგი ამოცანა გაცილებით რთული იყო. მათ უნდა გაერღვიათ რიპლის ირგვლივ არსებული დაცვის კედელი, ერთადერთი, რაც სენატორს თანამოქალაქეთა მომსახურებაზე მეტად უყვარდა, თანამოქალაქეთა ცოლების, დედების, დებისა და შვილების შეცდენა იყო. მიუხედავად ამ მისწრაფებისა, ის დიდ სიფრთხილეს იჩენდა, რომ ხაფანგში არ გაბმულიყო, ეშინოდა შანტაჟის, სკანდალის; პარტნიორ ქალებს უდიდესი სიფრთხილით ირჩევდა. მან შტატში აიყვანა მხოლოდ თავისი პოლიტიკური მრჩევლების ქალიშვილები, რომელთა ლოიალობა ეჭვს არ იწვევდა.

მიუხედავად ამისა, ბაირონმა მაინც გაგზავნა ვენდი სენატორის აპარატში სამუშაოს სათხოვნელად, მაგრამ არ გაუმართლა. რიდლი იმედს მაინც არ ჰკარგავდა, და ერთხელაც აღმაფრენა ეწვია. მერფის დახმარებით ბაირონმა ვენდი სენატში მოაწყო სამუშაოდ. მისი ოთახი სენატორის კაბინეტს ეკვროდა. ბაირონი დარწმუნებული იყო, რომ სენატორი აუცილებლად შეამჩნევდა ლამაზ ქალს. პირველივე კვირას რიპლიმ თვალი ჩაუკრა ვენდის, შემდეგ სალაპარაკოდ კაბინეტში მოიწვია, მეორე საღამოს კი შესდგა მათი დებიუტი კინოში.

— ნაძირალა, — თქვა ვენდიმ. — ისე, რომ ეკრანისათვის თვალი არ მოუცილებია.

— შენ შეუდარებელი იყავი, — უთხრა მას რიდლმა.

ეკრანზე სენატორმა საათს ღახედა, წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა, დაუდევრად ხელი დაუქნია ვენდის და ოთახიდან გავიდა.

— შესანიშნავია, — თქვა რიდლმა.

— ახლავე გადამისდით? — ჰკითხა ვენდიმ. — დღეს მე ლექციები მაქვს.

— რა თქმა უნდა, გოგონა, — უპასუხა ბაირონმა. მან აანთო სიგარეტი. ამოიღო საფულე და გადათვალა ათი ტაციანი ასდოლარიანი.

— ცოტაოდენს კიდეც დაგიმატებ, — თქვა მან. — ოღონდ ღაიხსომე, არავისთან სიტყვა არ დაგცდეს. თორემ ჩვენი ოპერაცია ჩაიშლება.

— ნუ ღელავთ, დოქტორ გრინ, — თქვა ვენდიმ. მას კიდევ სურს შემხვდეს კვირას ეკლესიაში ლოცვის დამთავრების შემდეგ, შეიძლება?

— არა, — თქვა რიდლმა. — შენი მისია დამთავრებულია. მიატოვე სამსახური და კოლეჯში დაბრუნდი.

— იცით, სხვა სენატორებსაც მოვეწონე.

— დაივიწყე ყველაფერი, — მკაცრად უთხრა რიდლმა.

— კარგით, — უპასუხა ვენდიმ. იქნებ შეიძლება მითხრათ, რას უპირებთ ამ ფირს? ხომ არ უჩვენებენ მას რომელიმე კინოთეატრში ახლო მომავალში?

— ნუ იქნები ცნობისმოყვარე, — თქვა რიდლმა, — ხომ მიიღე შენი გასამრჯელო, ჰოდა იყუჩე.

ბაირონმა ისე შეხედა ვენდის, რომ მას ძარღვებში სისხლი გაეყინა. გიჟს ჰგავს, გაიფიქრა ქალმა. ხან მშვიდია, ხან მრისხანე. ზუსტად ისეთია, როგორც ჯაშუშებზე გადაღებულ ფილმებშია ხოლმე.

— მე არავის არაფერს ვეტყვი, — დაჰპირდა ვენდი, — ერთადერთი, რაც მსურს ისაა, რომ ეს დეგენერატი პრეზიდენტი არ გახდეს.

— შენ შენი საქმე გააკეთე, გოგონი.

— მომისმინეთ, ნუთუ არ შეიძლება მომავალში როგორმე ერთმანეთს შევხვდეთ? — მოკრძალებით ჰკითხა მან. — ვილაპარაკოთ პოლიტიკაზე და ათას სხვა რამეზე?

— მაპატიე, ვენდი, ამჯერად მე უნდა მივიმალო, — თქვა რიდლმა და ხელი დაუქნია ვენდის. — ნასვამდის, პატარავ.

— ნასვამდის, დოქტორ გრინ, დიდი მადლობა ყველაფრისათვის. — ცრემლები ძლივს შეიკავა ქალმა და ოთახიდან გავარდა.

ვენდის წასვლის შემდეგ რიდლმა მოისადა ქერა, სუჭეჭა პარიკი, სავარძელში ჩაჯდა და ჩაფიქრდა. ვენდიმ სწორი კითხვა დამისვა: რა უნდა უქნა ფირსო? ასლოვდებოდა ოპერაციის ყველაზე სასიფათო, ყველაზე რთული მონაკვეთი.

დონოვან რიპლი უკვე ვეღარასოდეს გახდება პრეზიდენტი, — ეს ცხადია. მაგრამ მხოლოდ ეს პრობლემა, როდი აწუხებდა ბაირონს, იქ მთავარი იყო მისი მომავალი კარიერა. აი, სერიოზულად რა უნდა მოეფიქრებინა რიდლს. მისი მიზანი მხოლოდ დონოვან რიპლის პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოცილება რომ ყოფილიყო, საკმარისი იქნებოდა, სენატორისათვის გაეგზავნა ფილმის ასლი პატარა ბარათით, — თუ ამა და ამ რიცხვისთვის საკუთარი სურვილით არ გადადგები პრეზიდენტობიდან, ერთ კვირაში ფილმს ნახავს შეერთებული შტატების ყველა მოქალაქე. სენატორს სხვა არჩევანი არ დარჩებოდა, გარდა ერთისა, იგი იძულებული იქნებოდა, გამოსულიყო ტელევიზიით და განეცხადებინა, რომ ის ტოვებს სენატს თავისი, ან ცოლის ავადმყოფობის, ან კიდევ სხვა რამის გამო და არასოდეს დაუბრუნდება პოლიტიკურ სარბიელს. მისთვის ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა, მოენახა ფირის მფლობელი და მოეკლა იგი, მაგრამ რიდლი დარწმუნებული იყო, რომ მას ვერასოდეს აღმოაჩენდნენ. შეეძლოთ ეპოვნათ ვენდი, ეწამებინათ და ეთქმევინებინათ ყველაფერი, მაგრამ ვენდიმ არ იცოდა მისი ნამდვილი არც გვარი, არც სახელი, არც მისამართი, არც სახეზე იცნობდა, რადგან ბაირონი მას ყოველთვის პარიკითა და კონტაქტურლინზიანი სათვალით ხვდებოდა.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ამ ფილმის ჩვენება ისე, რომ რიპლისათვის გადადგომა არ შეეთავაზებინათ, მაგრამ მას მაინც მოუსდებოდა სენატის დატოვება. და რა სიამოვნება იქნებოდა, ესასათ ეს რეგვენი თავლაფდასმული! რიდლს არაერთხელ უფიქრია ამაზე. მან აღტაცებით წაიკითხა გაზეთში ცნობა, როგორ უჩვენეს მექანიკოსებმა ტელევიზიის სა-

კაბელო არსით პორნოგრაფიული ფილმი (მერე კი ამბობდნეს, ვითომ, შეგვეშალაო). კარგი იქნებოდა თასის გათამაშების ფინალური შესვედრისას ტაიმთაშორის შესვენებებზე ესვენებინათ სენატორის ინტიმური „მამაცობანი", მაგრამ ამოცანა რთული იყო. ტელესტუდიის დაპყრობას გულისხმობდა. რიდლიმ დაასკვნა, რომ ჩიტი ბდღვნად ღირდა.

ამაო აზრები ამაო აზრებად რჩებოდა, საქმე კი ძალზე სერიოზული იყო და დაფიქრება სჭირდებოდა. მაგალითად, ფინანსური საკითხი. ეს ფილმი მილიონი დოლარი ღირდა. რა თქმა უნდა, სენატორი რიპლი მაშინვე დადებდა ფულს, ამასთან, მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც უფრო დიდ თანხას გადაიხდიდნენ, ბაირონ რიდლი წავიდოდა ესპანეთში ან სხვა დომინიკანურ რესპუბლიკაში და სიკვდილამდე ხელმწიფესავით იცხოვრებდა. მაგრამ რიდლს უფრო მეტი უნდოდა. მას თავისი ქვეყნის სამსახური სწადდა და მაინცა და მაინც ერთაღერთ თავისებურ თანამდებობაზე მუშაობა სურდა.

ბაირონ რიდლი ცსს-ს დირექტორობას უმიზნებდა.

ამ თანამდებობის ხელში ჩაგდება ადვილი არ არის, — ფიქრობდა ის. როგორც წესი, ამ თანამდებობაზე ნიშნავენ ბანკირებს, უოლსტრიტელ იურისტებს, ან ცნობილ ადამიანებს და არა საწყალ პიჭებს, რომლებიც სიცოცხლეს ტრანშეებში სწირავენ, მაგრამ ახლა საქმე სხვანაირად შეტრიალდა, მას ხელთ ჰქონდა ფირი, ამ თამაშის უმაღლესი კოზირი. საკითხავი და გადასაწყვეტი იყო, როგორ მოქცეულიყო შემდგომში. შეიძლებოდა პირდაპირ ედი მერფისთვის მიემართა, მაგრამ, არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ედი. ეს გზა ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ჯობია, დასაწყისისათვის მოელაპარაკოს უიტ სტოუნს, უიტი ჭკვიანი კაცია, თითქმის ყველაზე ჭკვიანი ვაშინგტონში. იქნებ ისინი მოლაპარაკებოდნენ კონგრესის ზოგიერთ ლიდერს. იქნებ მათ შეუძლიათ კიდეც ცსს-ს დირექტორად დანიშნონ ის კაცი, რომელმაც პოლიტიკური სარბიელიდან გააძევა რიპლი.

მაგრამ ეს საქმე როგორც უნდა გადაწყვეტილიყო პოლიტიკურ სფეროში, მაინც აუცილებელი იყო სარეკლამო კამპანიის ჩატარება. საზოგადოებისათვის უნდა წარგედგინა სა-

კუთარი თავი ისეთ ადამიანად, რომელიც ამ თანამდებობას შეეფერებოდა. ყველაფერი დაკვირვებით უნდა აეწონ-დაეწონა, იქნებ პირველ ხანებში უფრო დაბალი თანამდებობით, ცსს-ს დირექტორის მოადგილეობით, დაკმაყოფილებულიყო. შემდეგ უკვე შეიძლებოდა დაწყებულიყო სარეკლამო კამპანია, გამოქვეყნებულიყო ბიოგრაფია, რომელშიც აისახებოდა მისი ნამდვილი და გამოგონილი დამსახურებები, გამოვიდოდა კონგრესში, ინტერვიუს მისცემდა ჟურნალისტებს. „ტაიმსში" გამოაქვეყნებდა სტატიებს, ამაში დაეხმარებოდა მისი ძველი კოლეგა, რომელიც იქ უფროს რედაქტორად მუშაობდა. კარგი რეკლამა, კონგრესისა და თეთრი სახლის მხარდაჭერა და ერთი წლის შემდეგ ის შეიძლება მართლა გამხდარიყო ცსს-ს დირექტორი. ბაირონ რიდლი ამაში თითქმის დარწმუნებული იყო. ამ ოცნების განსახორციელებლად ის უკვე რამდენიმე წელია თავდაუზოგავად მუშაობდა, ბევრი რამ შესწირა კიდეც ამ საქმეს და ახლა უკვე დადგა დრო, დაუფასდეს შრომა. მართველობით ორგანოებს ესაჭიროება გაბედული და შორსმჭვრეტელი ადამიანი და ეს ადამიანი, მისი აზრით, ბაირონ რიდლია.

ის სავარძლიდან წამოდგა, პროექტორიდან ფირი გამოიღო, ჩადო დიპლომატში, შეამოწმა პისტოლეტი და ღიმილით გავიდა ბინიდან.

18

ქალაქგარეთ მდებარე კლუბ „ქარიშხალას" გოლფის სათამაშო მოედანზე პრეზიდენტსა და კომიკოსს რეპორტიორები სურათს უღებდნენ. ღია წითელ სპორტულ ხალათში გამოწყობილი კომიკოსი — პიტ გეინორი — ფოტოგრაფებისა და კლუბის წევრების წინაშე, თამაშის საყურებლად რომ იყვნენ მოსული, მასხარაობდა. პრეზიდენტი ჩარლზ უიტმორი გაჰყურებდა შორეული მთების დათოვლილ მწვერვალებს და ფიქრობდა, კარგი იქნებოდა, ეთამაშა ერთი პარტია გოლფი ამ მაყურებლების დაუსწრებლად და განსაკუთრებით, კლუბის სიტყვამოსწრებული მეპატრონის, პიტ გეინორის გარეშე.

— აი, რას გეტყვით, მეგობარო, — ლაზღანდარობდა რე-

პორტიორებთან გეინორი, — მე ვეთამაშები პრეზიდენტს მჯოლოდ გოლფს და არავითარ შემთხვევაში სხვა თამაშს.

რეპორტიორებმა და კლუბის წევრებმა გაიცინეს. გეინორის იმპროვიზებული ლაზღანდარობა არც ისე სასაცილო ეჩვენათ. მაგრამ პიტი უკვე ორმოცი წელია აცინებდა ამერიკას, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით და ახლა გაცინება მის ხუმრობაზე ჩვეულებად ექცა ხალხს.

ნიკ გალიანო ყველასაგან მოშორებით ცალკე იდგა, რათა ფოტოაპარატის კადრში არ მოხვედრილიყო. მას კლუბის სხვა წევრების მსგავსად ფირმა „პოლოს" ხალათი და გოლფის სათამაშო ძვირფასი შარვალი ეცვა, მაგრამ საკუთარი სახის ფირზე აღბეჭდვა ერიდებოდა. კლუბის წევრებს ნებიერი, მდიდრებისათვის დამახასიათებელი სახეები ჰქონდათ, მას კი სიფათი ბალტიისპირელ ბარმენს მიუგავდა. და ახლა, როცა პიტ გეინორის ხუმრობაზე ყველა იცინოდა, იგი მოღუშული ელოდა, როდის მინელდებოდა სიცილი. როცა სიცილი შეწყდა, ნიკ გალიანომ პრეზიდენტს გადასძახა:

— მისმინე, ბოს, ამ სასახლეს მგონი არაუშავს. იქნება, იგი თეთრად შეგეღება და აქ გადმოსულიყავი?

მაყურებლებს ხუმრობა მოეწონათ და ახარხარდნენ. გეინორმა კი თვალები ზეცას მიაპყრო და განაწყენებული კაცის პოზა მიიღო.

— ბატონო პრეზიდენტო, ვინ არის ეს კაცი? იგი ყველა ჩემს რეპლიკას იპარავს.

ისევ გაისმა სიცილი, — ხალხი იმაზე მეტ სიამოვნებას იღებდა, ვიდრე ელოდა. ნიკ გალიანომ მათ თვალი ჩაუკრა, ისეთი ილეთი გააკეთა, თითქო ყვანჭით ბურთს ურტყამდა და ისევ გაკენწლა სასახლის პატრონი.

— ხუმრობის გარეშე, ბოს, პალმ-სპრინგსი შესანიშნავი ადგილია, როგორც ჩანს, აგნიუ არც ისეთი ბრიყვი ყოფ.ილა.

რეპორტიორები და ფოტოგრაფები ახარხარდნენ, მაგრამ კლუბის წევრებს ამ ხუმრობაზე არ გაუცინიათ. ჩარლზ უიტმორმა, რომელიც ყველაფერს ამჩნევდა, შენიშნა, ერთმა წვეროსანმა რეპორტიორმა, რაღაც რომ ჩაინიშნა ბლოკნოტში.

— ბიჭებო, ნიკის ბოლო ფრაზა გამოქვეყნებას არ ექვემ-

დებარება, — თქვა უიტმორმა. წვეროსანი ჟურნალისტი მოიღუშა და ბლოკნოტი შეინახა.

პრეზიდენტმა ისიც შენიშნა, აგნიუს სახელის გაგონებისთანავე, პიტ გეინორმა როგორ შეიჭმუხნა წარბები. მას გაასსენდა, რომ კომიკოსი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი — აგნიუ რამდენიმე წლის წინ დიდი მეგობრები იყვნენ. „ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ, — გაიფიქრა უიტმორმა, — ეს სპექტაკლი მე კი არა, მან გამართა“.

მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო. უკვე რამდენიმე ათეული წელია პრეზიდენტები და პრეზიდენტობის კანდიდატები ტრადიციულად ჩამოდიოდნენ პალმ-სპრინგსში და თამაშობდნენ გოლფს პიტ გეინორთან, იმიტომ, რომ გეინორი იყო ამერიკის საყვარელი ატრიბუტი, ქვეყნის პირველი კომიკოსი. მასთან გოლფის თამაში და სურათის გადაღება პოლიტიკას უკავშირდებოდა, იმიტომ, რომ პიტ გეინორი ამერიკის უმდიდრესი ადამიანი იყო, მისი მეგობრები კი — მასზე მდიდრები. მას ისეთი გავლენა ჰქონდა ამომრჩევლებზე, როგორც კორპორაციის პრეზიდენტს, ან გაზეთების გამომცემელს და ამიტომ მის მიპატიჟებაზე არც ერთ პოლიტიკოსს უარი არ შეეძლო ეთქვა. ეს წააგავდა საუზმეს პროფკავშირების ბოსთან — ჯორჯ მინთან — გაიღიმე და მოითმინე.

— ბიჭებო, იცით სად დაბინავდა პრეზიდენტი? — მიმართა შეკრებილთ გეინორმა. — ხოლენფილდის მამულში. ერთხელ მაინც გინახავთ ეს ადგილი? ხოლენფილდის მამული საოცრებაა. მას თვით ღმერთი შექმნიდა, ფული რომ ჰქონოდა.

ძველმა ხუმრობამ, კიდევ უფრო გაამხიარულა იქ მყოფნი, უიტმორი ნერვიულობდა. მას მობეზრდა და აღიზიანებდა კიდეც კომიკოსის პარტნიორობა.

— მოდი, დავიწყოთ, პიტ, — თქვა მან. — ნიკ, შენ ნამდვილად არ გინდა თამაში?

— არ მინდა, ბოს, — უპასუხა გალიანომ. — ვერაფრით ვერ გამოვედი ნაბახუსევიდან.

— ნიკ, შენ, ალბათ, იცი ეს ანდაზა, — დაერია პიტ გეინორი. — მამაკაცებს ნაბახუსევზე ასპირინი უხდებათ, ქალებს კი — ბიუსჰალტერი.

უიტმორი მიხვდა, რომ კომიკოსს ხუმრობა ერჩია, ნიკის სათამაშოდ გამოწვევას. პიტ გეინორი პრეზიდენტთან

თამაშობდა გოლფს და არა მის ქვეშევრდომებთან. ნიკი კი, როგორც ეტყობა, მართლაც საშინელი ნაბახუსევი იყო. უკანასკნელ ხანებში ის ძალიან ბევრს სვამდა.

პრეზიდენტმა ძლიერად, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. პირველმა ბურთმა თავზე გადაუფრინა საიდუმლო სამსახურის აგენტს, რომელიც ორასი იარდის დაშორებით იდგა პალმის ხესთან.

— გამაგრდით, ბატონო პრეზიდენტო, — თქვა პიტ გეინორმა. — აქ ჩამოსული წმინდა სისხლის პრინცებიც კი აგებენ ხოლმე პირველ ხელს.

უიტმორის მეორე ბურთი პირდაპირი და მაღალი იყო, მან დამსწრეთა არაერთსულოვანი ტაში გამოიწვია. პრეზიდენტს გაეღიმა, ხელი დაუქნია მათ და გაიფიქრა, ნეტა ამათგან რამდენი პროცენტი მომცემსო ხმას არჩევნებზე, უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, ოცი პროცენტი.

გეინორი მივიდა ბურთთან, ხალხს თვალი ჩაუკრა, მერე უსერსულად შემოტრიალდა, ხელი მოიქნია და ბურთი, რაღაც სასწაულით ოცდაათი იარდით უფრო შორს გაგზავნა, ვიდრე პრეზიდენტმა.

— შესანიშნავია, პიტ, — გულახდილად თქვა უიტმორმა. — სამოცდაათს გადაცილებული იქნება ეს ბებერი და ჭაბუკივით კი თამაშობსო, — გაიფიქრა.

— ამას მე ჩემს პატიოსნურ ცხოვრებას ვუმადლი, — უპასუხა გეინორმა, — წამობრძანდით, ბატონო პრეზიდენტო, ჩემი მანქანით.

ისინი ჩასხდნენ ღია ცისფერ ავტო-ურიკაში, რომელსაც ფოჩიანი სავერდის ტენტი ჰქონდა გადაკრული. ნიკ გალიანომ გადააფურთხა და მეორე ურიკაში ჩაჯდა უოლტ სერიგენთან ერთად, რომელიც საიდუმლო სამსახურის ჯგუფს ხელმძღვანელობდა... უოლტი სპორტული აღნაგობის, მზეზე გარუჯული ახალგაზრდა იყო დიდი ცხვირითა და გაჩეჩილი გრუზა თმით.

— ეს ტიპი პედიკი ხომ არ არის? — იკითხა ნიკმა.

— გეინორი? არა, უბრალოდ ასეთი საქციელი აქვს. ამ ბებერ კაცს უამრავი ქალი ჰყავს.

— ადრე თუ შეხვედრისარ?

— კი, მე ვესწრებოდი, როცა ის აგნიუსთან თამაშობდა გოლფს, ფორდთან მის თამაშსაც დავსწრებივარ.

— რას იტყვი მის შესახებ?

— ნაძირალაა. რეპორტიორების წასვლისთანავე ხუმრობას თავს ანებებს და ჩვეულებრივ გულსვიად მებატონედ იქცევა ხოლმე. ის ყოველთვის ავალებდა ბიჭებს ბურთების მოძებნას. ჩვენ კი ეს სულაც არ გვევალებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, შეგვეძლო თუ არა ამ ტიპთან შეკამათება ისე, რომ სამსახური არ დაგვეკარგა, მაგრამ ახლებურად მაინც აღვზარდეთ.

— როგორ?

უოლტმა ურიკა შეაჩერა და ხმას დაუწია, პრეზიდენტი კი ამ დროს ბურთის ახალი დარტყმისათვის ემზადებოდა.

— როცა რომელიმე ჩვენგანს ის ბურთის მოსაძებნად აგზავნიდა, ბურთი ყოველთვის იკარგებოდა, ან ის წყლით სავსე საცურაო აუზში ორი ფუტის სიღრმეზე აღმოჩნდებოდა ხოლმე. ბოლოს მისვდა და უფასოდ სასმელს აღარ გვიგზავნიდა. მაგრამ ჩვენ ამას არ ვნანობთ. ყველა მდიდარი ასეთია, დიდ პიროვნებას მიეტმასნებიან ხოლმე და მერე სხვებს ადამიანებადაც აღარ თვლიან. მდიდრებს შორის ერთადერთი ვისაც მე პატივს ვცემ, ეს ჯეფ ფილდსია. ეს ის მსახიობია, საარჩევნო კამპანიაში, რომ მონაწილეობდა. ღირსეული კაცია.

ურიკა ჩრდილში გააჩერეს და შორიდან უყურებდნენ კომიკოსისა და პრეზიდენტის თამაშს. კომიკოსმა ოცი ფუტიდან შეაგდო ბურთი. პრეზიდენტმა კი 6 ფუტიდან ორჯერ დააცილა.

— მოდი, გავაორმაგოთ ჩასვლა, — დაუძახა გეინორმა, რეპორტიორებსა და ფოტოგრაფებს სიცილი წასკდათ. კოპებშეკრული პრეზიდენტი უოლტ ხარვინგენს მიაჩერდა.

— ამ წუთში დაბრუნდები, — უთხრა ნიკს უოლტმა, ურიკიდან ჩამოხტა და რეპორტიორებთან მივიდა.

— დიდად ვწუხვარ, ბიჭებო, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე პრესამ უნდა დატოვოს მოედანი.

— ეს რა უბედურებაა? — თქვა რეპორტიორმა „ნიუ-იორკ ტაიმსიდან“, — ადრე ასეთი რამ არ ხდებოდა.

— რას იზამ, — თქვა აგენტმა. — მე ინსტრუქციით ვმოქმედებ.

— ვისგან? — შეეკითხა წვეროსანი.

— ხელმძღვანელობისაგან, — იცრუა მან. — თქვენს ადგილზე კლუბში წავიდოდი, ცოტას ყელს გავისველებდი და მატჩის ბოლოს დავბრუნდებოდი.

— დალევის წინააღმდეგი არ ვარ, — თქვა ერთმა რეპორტიორმა. ცოტა წაიბუზღუნეს და ჟურნალისტები კლუბის შენობისაკენ გაეშურნენ.

— ვინ იყო ის წვეროსანი, — იკითხა ნიკმა, როცა ის და უოლტი შესვენების დროს ურიკით სეირნობდნენ.

— ჩვენ უკვე შევამოწმეთ, — თქვა უოლტმა. — საშიში არაფერია.

— ესენი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, — ღვარძლიანად თქვა ნიკმა. — ეს გარეწრები, უფრო სწორად „სნაიპერები", გეტყვი რას წარმოადგენენ. როცა ბოსთან არიან, კაიკაცობას თამაშობენ, სვამენ ვისკს, იცინიან შეფის ხუმრობაზე, მერე კი, ისე გექცევიან, როგორც ოსვალდი მოექცა კენედის, ოღონდ ტყვიის მაგიერ სიტყვებს გესვრიან.

— არა, უმრავლესობა კარგი ბიჭები არიან, — თქვა უოლტმა.

— თვალთმაქცებიც არიან, — განაგრძო ნიკმა. — ყველანი ისეთი კეთილშობილი, წესიერი, წმინდანია, გაოცდები. იცი ახლა ნახევარი მათგანი სად იმყოფება? ოტელში, კოცნაობენ ბარმენ ქალებთან და კახპებთან, რომლებიც ლოს-ანჯელესიდან ჩამოიყვანეს.

უოლტს გაეღიმა.

— კი, — თქვა მან. — ისინი ჩვენს პრეზიდენტზე ჭორაობენ. თქვენ ხომ თვალყურს ადევნებთ მათ?

— ვიცით, ვინ სად და ვისთან არის, — თქვა აგენტმა.

უოლტმა ისევ გააჩერა ურიკა. ისინი უყურებდნენ პრეზიდენტი და გეინორი როგორ აწოდებდნენ ბურთებს უკვე მეორე ნიშნულიდან. ამჯერად პრეზიდენტი იგებდა თამაშს.

— ვიღაცამ მითხრა, რომ ჯეფ ფილდსი ქალაქშიაო, — თქვა უოლტ ხარიგენმა.

— ქალაქშია, — დაუმოწმა ნიკმა.

— აქით შემოივლის?

— არა, — მკაცრად უპასუხა გალიანომ. — ჯეფი მაინცდა-

მაინც წესიერად ვერ იქცევა. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მის თავგადასავლებზე, განსაკუთრებით ქალებთან. არ შეიძლება ისე აიშვა თავი და თან იმედი იქონიო, რომ პრეზიდენტი მოგცემს მასთან მეგობრობის უფლებას.

— მართალია, — თქვა უოლტმა. — ისიც უცნაური დამთხვევაა, ის ქალი მის სახლში რომ მოკლეს?

— არაფერია გასაკვირი, — თქვა ნიკმა. — ისიწი მეგობრები იყვნენ, თუ გსურს იცოდე, ძალიან ახლო მეგობრები.

ახალგაზრდა აგენტმა ვერ გაიგო, რა ჰქონდა მხედველობაში გალიანოს, ნიკმა უცებ შეწყვიტა ამ თემაზე საუბარი. მწვანედ მობიბინე მინდორზე მატჩი გრძელდებოდა. დილის მზეზე ბრწყინავდა ხელოვნური ტბები, პატარა ლამაზი სასტუმროები, რომლებიც თვალუწვდენელ ველზე სააღდგომო კვერცხებივით მიმობნეულიყო. მალე ჩარლზ უიტმორი დაწინაურდა და უფრო თავშეკავებით დაიწყო თამაში. როცა რეპორტიორები დაბრუნდნენ, მეცხრე ბილიკზე უიტმორი იგებდა.

— იქნებ ერთი პარტია კიდევ გვეთამაშა? — გზად იკითხა გეინორმა, როცა ისინი ფოტოგრაფებისკენ მიდიოდნენ, — ერთი ხელით მოგება სათვალავში არ ჩაითვლება.

— არა, პიტ, — უპასუხა უიტმორმა. — დღეს ძალიან დაკავებული ვარ.

— კეთილი, საღამოს, ალბათ, შევხვდებით სადილზე.

უიტმორმა წასვლა დააპირა, მაგრამ ფოტოგრაფებმა სთხოვეს, რამდენიმე კადრს კიდევ გადავიღებთო და ისიც დათანხმდა.

— იცით რა, ბატონო პრეზიდენტო, — ხმადაბლა უთხრა გეინორმა. — დღეს სადილზე იქნება რამდენიმე პიროვნება, რომლებიც ელიან — რას იტყვით თქვენ იმ ქველმოქმედების შესახებ. ეს ხალხი მუდამ თქვენს მხარეზეა, მაგრამ ახლა უბრალოდ აღელვებთ ვაშინგტონიდან ამის შესახებ წამოსული ხმები.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, — გაიფიქრა პრეზიდენტმა. — მთავარი ყოველთვის ბოლოს გაირკვევა ხოლმე.

— აუცილებლად დავიმახსოვრებ, პიტ, მადლობთ, რომ მითხარი.

— თქვენ კარგად მიცნობთ, მე პოლიტიკასთან არაფერი

ჰესაქმება, — განაგრძო გეინორმა, — მაგრამ ყველა ჩვენგანს აურს საარსებო საშუალება ჰქონდეს.

— რა თქმა უნდა, პიტ, მე ხშირად მიფიქრია ამაზე, — თქვა პრეზიდენტმა და ფოტოგრაფებს მიუბრუნდა. — მოვრჩეთ, ბიჭებო, საღამომდე.

ის ლიმუზინისაკენ გაემართა, რომელიც ცოტა მოშორებით ელოდებოდა, პიტი ისევ გვერდით ამოუდგა.

— მომისმინე, ბატონო პრეზიდენტო. იქნებ, საღამოს სადილის შემდეგ, ჩემთან შევიაროთ, გავერთოთ? არავითარი პოლიტიკა, ცოტა დავლიოთ, გავმხიარულდეთ. იქნებ ორმა ნაზმა ქმნილებამაც შემოგვიაროს, — მე ამ გოგონებს სამსახიობო კარიერის დაწყებაში ვეხმარები. მათ დიდ სიამოვნებას მიანიჭებს თქვენი გაცნობა. მე ხაზს ვუსვამ — სიამოვნებას.

მოხუცმა, მთლად გაჭაღარავებულმა კომიკოსმა თვალი ჩაუკრა პრეზიდენტს, უიტმორმა ლამის გადიხარხარა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და გაიფიქრა, — საოცარია, ნუთუ ასეთი სულელი ვგონივარ ამ ბებერს? ხმამაღლა კი თქვა:

— ვნახოთ, როგორ წარიმართება საქმე, მე დღეს ძალიან მკაცრი განრიგი მაქვს.

პრეზიდენტმა ნაბიჯს აუჩქარა და გრილ ლიმუზინში ჩაჯდა. იქ მას ედი მერფი ელოდა მთელი დასტა მოკლე მოხსენებითი ბარათებით და იმათი ტელეფონის ნომრებით, ვისაც პრეზიდენტთან დაკავშირება უნდოდა. როგორც კი ლიმუზინი კლუბს გასცდა, მერფმა მოასსენა უკანასკნელ ორ საათში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. უიტმორი მერფს თავის გადაწყვეტილებებს კარნახობდა, როცა ლიმუზინმა ფრენკ სინატრის გასასვლელისაკენ ჩაუხვია, ყველა სასწრაფო საქმე გადაწყვეტილი იყო და პრეზიდენტმა საუბრის თემა შეცვალა.

— ედი, აღარ მსურს ამ კომიკოსთან შეხვედრა.

— ამ საღამოს ის თქვენი წარმომადგენელია.

— ვიცი ამით დაესმება წერტილი. დამიჯერებ? ამ ტიპს უნდოდა, რომ მე მასთან ერთად ამ საღამოს, სადილის შემდეგ კახპებთან წავსულიყავი.

— ადრე ასეთ რამეებს ის სხვებთან ახერხებდა.

— ადრე... ზოგიერთ მათგანს, ალბათ, არ ჰქონდა მეტი გემოვნება, ან გონიერება აკლდა... მომისმინე, საღამოს წარ-

მოსასაქმელ სიტყვაში მე რაღაც-რაღაცეები მინდა ჩავამატო, ჩავურთე ჩემი ამასწინანდელი გამოსვლიდან ის ადგილი, რომ ადამიანები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ, ერთმანეთს უნდა დაუკავშირდნენ, მხარში ამოუდგნენ, გახსოვს ის აბზაცი?

— გამიგეთ, დღეს იქ მხოლოდ ჯიბესქელი ადამიანები იქნებიან.

— ვიცი, რას წარმოადგენენ ისინი. შესაძლოა მათ არცკი იციან ვინ ვარ მე.

— გასაგებია.

— კიდევ აი რა. შენ შეამჩნიე, რომ უკანასკნელ სანს ნიკი ძალიან ბევრს სვამს?

— შევამჩნიე.

— თვალყური ადევნე. თუკი ის შეეცდება შემიქმნას პრობლემები, რაღაცის მოფიქრება მოგვიხდება.

— გასაგებია, — ისევ თქვა მერფმა.

ლიმუზინმა სინქარეს უკლო და სოლენფილდის მამულის მთავარ ჭიშკარში შევიდა, შემდეგ ჩაუარა გოლფის სათამაშო მოედანს, აეროდრომს, ხელოვნურ ტბას, სადაც გედები დაცურავდნენ ტენისის დახურულ და ღია კორტებს, დიდ საცურაო აუზს, რომლის გვერდითაც საიდუმლო სამსახურის თავისუფალი აგენტები გაუთავებლად თამაშობდნენ პოკერს და ბოლოს და ბოლოს მარჯვნივ ჩაუხვია. გამოჩნდა ჰოლენფილდის ვარდისფერი სასახლე, რომელიც ბრწყინავდა ნათელი ცის ფონზე.

— გითხარი, რომ ის ამ საგვარეულო მამულს ჰყიდის? — იკითხა უიტმორმა. — რვა მილიონად.

— რატომ, მეპატარავებაო?

— ნაკლებად მყუდროაო. ხედავ იმ შენობას?

შორს ხეებს მიღმა მოჩანდა შესანიშნავი ახალი ნაგებობის ზედა სართულები.

— ის ამბობს, რომ ამ სახლის ზედა სართულებიდან დურბინდით შესაძლებელია დაინახონ, როგორ თამაშობს ის გოლფს, — აუხსნა უიტმორმა. — და ჰგონია, რომ ამით მის პირად ცხოვრებაში ერევიან?

— საბრალო, — თქვა ედი მერფმა. — როცა ლიმუზინი სასახლეს მიუახლოვდა, ქაღალდები მოაწესრიგა. — იცით, ორი

რეპორტიორი ამბობდა, რომ პრეზიდენტი ამ სასასლეში არ უნდა დაბინავებულიყოო.

— ვიცი, რასაც ამბობდნენ, — თქვა უიტმორმა. — ეშმაკსაც წაუღია მათი თავი. ისინი თვითონაც დიდი სიამოვნებით იცხოვრებდნენ აქ, რომ შეეძლოთ. მოდი, ყოველგვარი სიკეთით ვისარგებლოთ, სანამ შეგვიძლია.

„ლინკოლნი" სასასლესთან გაჩერდა. საზღვაო-სახმელეთო ჯარის კაპიტანმა კარი გააღო, რომ პრეზიდენტი მანქანიდან გადმოსულიყო. უიტმორი მანქანიდან გადმოსვლამდე მერფს მიუბრუნდა.

— ელაპარაკე ჩვენ მეგობარ მსახიობს?

— ველაპარაკე.

— თანახმაა?

— დიახ, უხალისოდ, მაგრამ მაინც დამეთანხმა.

— კარგია, — თქვა პრეზიდენტმა, მსუბუქად გადმოვიდა ლიმუზინიდან და კიბეებს შეუდგა.

19

გვიანი საღამო იყო, კაბინეტში სამარისებური სიჩუმე იდგა. ნორტონი ამაოდ ცდილობდა გულისყურით გასცნობოდა ჟურნალ „ამერიკენ ლო რევიუში" გამოქვეყნებულ გეიბის სტატიას. სტრიქონებს შორის თითქოს გეიბი დასცინოდა მას და, როცა იგი ჟურნალს დახედავდა, ეჩვენებოდა, თითქოს გეიბი მიკი-მაუსივით უკრეჭდა კბილებს. ნორტონმა ჟურნალი მოისროლა და მოლუშული კედელს მიაჩერდა, წუხდა, რატომ ავყევი გეიბის რჩევასო. ის, რაც იმას ჩაფიქრებული ჰქონდა, ნამდვილი უგნურება იყო. უფრო მეტიც, — დანაშაული. „მაგრამ ეს აუცილებელია", — უმტკიცებდა გეიბი და დაარწმუნა კიდეც.

ნორტონს ესმოდა, როგორ ასველებდა თავის კაბინეტში ჯორჯ ივენსი, ერთადერთი თანამშრომელი, რომელიც ჯერ კიდევ არ წასულიყო, წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა, დაინახა, როგორ გამოდიოდა ხალხი ფრანგული რესტორნიდან. შემდეგ, უფრო შორს გახედა ქუჩას. მოეჩვენა, რომ გრამფირფიტების მაღაზიის კუთხეში, ვიღაცა სიბნელეში იმა-

ლებოდა. გეიბია თუ მეჩვენება? — გაიფიქრა ნორტონმა. ამ დროს კაბინეტის კარზე დააკაკუნეს.

— შემოდი, ჯორჯ, — მიიპატიჟა მან და გამხდარ-გამხდარი, ნერვიული, ასე, ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი გაუბედავად შემოვიდა ოთახში.

— მაპატიე, თუ ხელი შეგიშალე, — თქვა მან.

— არა, ჯორჯ, უკვე წასასვლელად ვემზადებოდი.

— მეც, — თქვა ჯორჯ ივენსმა. — ამდენ ხანს რატომ შემორჩი?

ივენს აშკარად სურდა საუბრის გაგრძელება, ნორტონს კი უნდოდა, რაც შეიძლება გაეჭიანურებინა მოსასდენი უგუნურება და ამიტომ სკამზე მიუთითა ხელის მოძრაობით.

— ვათვალიერებ, რისი წაკითხვაც ვერ მოვასწარი, — თქვა მან. — ეშმაკმა დალახვროს, იმდენი საქმე მაქვს, თავი ვერ მომიბამს.

ივენსმა ნაღვლიანად დაუკრა თავი.

— გავიგე, ბენ, ახალ თანამდებობაზე გნიშნავენ. კორპორაციული სამართლის განყოფილებას უნდა უხელმძღვანელო, ბედი გწყალობს.

ნორტონი მიხვდა, რომ ეს სმები უიტ სტოუნმა გაავრცელა. პირადად ნორტონთან კი ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ მას შემდეგ კრინტი არ დაუძრავს. საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— უიტი მელაპარაკა ამ თემაზე, — თქვა მან. — მაგრამ აქედან რა გამოვა, ჯერ არ ვიცი.

ივენსმა უსიამოდ გაიღიმა.

— უიტს ყოველთვის ასე უჭირავს თავი, ხომ მართალი ვარ? არასოდეს არ იცი, ხვალ რას გიმზადებს. ხანდახან ვფიქრობ, ჩიტი ბდღვნად არ ღირსო.

პასუხის ნაცვლად ნორტონმა ჭიქებში ვისკი ჩამოასხა და სოდიანი წყლით გააჯერა. ჯორჯ ივენსი დიდებული ბიჭი იყო და კარგი იურისტიც. უიტ სტოუნი აწამებდა მას და კარიერას უფუჭებდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, კარიერას უფუჭებდა მას დაუწერელი, ყოვლისშემძლე, ამ სისტემის კანონები, რომელთა მიხედვითაც, ქვეყნის უმსხვილესი იურიდიული დაწესებულებები წყვეტენ, ვინ უნდა დაწინაურდეს და ვინ — არა.

ეს სისტემა იყო უბრალო და მარტივი. ყველაზე უფრო პრესტიჟული ფირმები ქირაობდნენ განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ სამ-ოთხ ახალგაზრდა იურისტს, რომ შემდგომში ერთი მათგანი აერჩიათ კომპანიონად. ოთხი-ხუთი წლის გამოცდის შემდეგ ეს იურისტები აწ აღზევდებოდნენ, ან ტოვებდნენ სამსახურს. მათ შორის რჩეულნი ხდებოდნენ ფირმის ხელმძღვანელის კომპანიონები და რჩებოდნენ ამ თანამდებობაზე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, უარყოფილები კი მიდიოდნენ ფირმიდან და ცხოვრების ბოლომდე იყვნენ მეორეხარისხოვანი იურისტები.

უმრავლესობა გადადიოდა ნაკლებად ავტორიტეტულ წვრილ ფირმებში, ზოგი კი თავს ანებებდა თავის პროფესიას და ლოთდებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვითმკვლელობით ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ზოგიერთნი კი მოთმინებით ელოდნენ რაღაც სასწაულს. მათ რიცხვში იყო ახლა ჯორჯ ივენსი, უიტ სტოუნი კი მშვიდად ადევნებდა თვალს მის წამებას. ნორტონისთვის გაუგებარი იყო, ივენსი რატომ ითმენდა ყოველივეს, რას ელოდა. იქნებ იმიტომ, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენდა პატივმოყვარე მეუღლე.

— არ ვიცი, ღირს ჩიტი ბრდღვნად? — ამბობდა ივენსი და თან ნიკაპს ისრესდა. — ზოგჯერ მგონია, რომ უკეთესია პედაგოგობა დავიწყო. ფული ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. შენ არ მოგსვლია ანალოგიური აზრი?

ნორტონს სტუდენტური წლები გაახსენდა, როცა ისინი გაუთავებლად კამათობდნენ ცხოვრებაზე, სიმართლესა და მომავალზე. ცხოვრება — დაუსრულებელი წამებაა, — გაიფიქრა მან.

— რა თქმა უნდა, მომსვლია, ჯორჯ, — უპასუხა ბენმა. — ერთი მხრივ, პედაგოგობა მიზიდავს, არ იქანცები, არავინ შენზე ზემოქმედებას არ ახდენს, ყველაფერი დაწესებული განრიგის მიხედვით მოედინება, მეორე მხრივ, კი მსურს პრაქტიკოს იურისტად დავრჩე.

მას არ შეეძლო ივენსისთვის ეთქვა რა სურვილები ჰქონდა: დაუძლეველის დაძლევის ჟინი, მეტოქის დაჯაბნა, მიზნის მიღწევა, საკუთარი თავის გამოჩენა. ეს მისი თაობის ყველა წარმომადგენელს სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯღარი.

ეს თაობა არ გამოთიშვია სისტემას; იგი შევიდა მასში და ყოველსაირად ცდილობს, რომ იქ მყარად დამკვიდრდეს.

— ყველაფერზე ცუდი ისაა, რომ უიტი ჩუმჩუმელაა, — თქვა ივენსმა. — ვერასოდეს ვერ მიხვდები, რას ფიქრობს, ასეთ ადამიანებს არასოდეს შევხვედრივარ. ზოგჯერ მისდა ცსვირ-პირი დავულეწო.

მას უსიცოცხლოდ გაეღიმა და ჭერს შეხედა.

— მე ვიხუმრე, ნორტონ, — თქვა მან. — უმცროსი თანამშრომლები ჩურჩულებდნენ, სტოუნმა კაბინეტებში მისაყურადებელი მოწყობილობები დაადგმევინაო.

შენი მომავალი თითქოსდა გადაწყვეტილია, ბენ, — განაგრძო ივენსმა. — ხომ არ იცი, რა მოგველის ჩვენ, დოყლაპიებს?

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ნორტონს ეცოდებოდა ივენსი და ეზიზღებოდა კიდეც ასეთი უნიათობისათვის.

— არაფერი არ ვიცი. ასეთ რამეებს მე არ მითანსმებენ, — თქვა მან. დარჩენილი ვისკი დალია და წამოდგა, — მგონი, დროა სასლეებში წავიდეთ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ივენსმა. მათ თავთავიანთი ნივთები აიღეს და გრძელი დერეფნით გასასვლელისაკენ გაემართნენ.

ნორტონი ბოლოს გამოვიდა, კარი მიისურა და ლიფტისკენ წავიდა, მერე შეჩერდა.

— მგონი, კარი არ დაიკეტა, — თქვა მან. — ჯორჯ, თუ ძმა ხარ, შეამოწმე. ივენსი დაბრუნდა, სახელური გამოსწია.

— დაკეტილია.

— კარგი, — თქვა ნორტონმა. ისინი ლიფტით ჩავიდნენ ვესტიბიულში. ბენმა ხმამაღლა უთხრა მთვლემარე დარაჯს — ნახვამდისო, წასვლის დრო აღნიშნა სპეციალურ წიგნში და ჩვეულებრივთან შედარებით უფრო გარკვევით მოაწერა ხელი. შუაღამე იყო.

— მიგიყვანო სახლში? — ჰკითხა ივენსმა.

— მირჩევნია გავისეირნო, — თქვა ნორტონმა. მათ ერთმანეთს გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნიეს. ნორტონი ქუჩას გაუყვა. ფრანგულ რესტორანს რომ გასცდა, მარჯვნივ ჩაუხვია გრამფირფიტების მაღაზიასთან.

— ბენ, აქეთ, — ხმა გაისმა სიბნელიდან.

ბენი სადარბაზოში შევიდა და დაინახა გეიბ პინკუსი.

— ყველაფერი „სუფთად“ არის? — დაიჩურჩულა გეიბმა.

— ჩვენ, მე და ის კაცი, უკანასკნელი გამოვედით შენობიდან.

— ვინ არის ის?

— რიგითი თანამშრომელია.

— დამლაგებლები?

— დიდი ხანია წავიდნენ, ფირმაში არავინაა, სინათლეები ყველგან ჩამქრალია, — თქვა ნორტონმა. — გეიბ, მე რაღაც მეშინია.

— ნუ წუწუნებ, — მკაცრად უთხრა რეპორტიორმა. — გასაღები სად არის?

ნორტონმა მორჩილად ჩაიყო ჯიბეში ხელი, მაგრამ ამ დროს მოსახვევიდან ქალი და კაცი გამოვიდნენ. გეიბმა ნორტონი კედელს ააკრა. ბედნიერი წყვილი მხიარულად საუბრობდნენ ბერგმანის ახალ ფილმზე.

— გასაღები, გასაღები მომეცი, — მოუთმენლად წაიჩურჩულა გეიბმა.

ნორტონმა გასაღები გადასცა.

— დიდი გასაღები ავტოსადგომის მოწინააღმდეგე მხარეს მდებარე კარს აღებს, — თქვა მან, — ზემოთ შეგიძლია ისე ახვიდე, რომ ვესტიბიული არ გაიარო, მეორე, დერეფნის გასაღებია. მერე უკვე შენით იმოქმედე. დერეფნის ბოლოს სტოუნის კაბინეტია.

— ვიცი, — უპასუხა გეიბმა, — ახლა კი გაუტიე და საღმე შემსვდი.

— თუ ღმერთი გწამს, ფრთხილად იყავი, — თქვა ნორტონმა და ტაქსის გასაჩერებლად გაემართა.

გეიბი რამდენიმე წუთით დარჩა სადარბაზოში. ყურადღებით აკვირდებოდა ფირმა „კოგინს, კოპლენდ და სტოუნის“ შენობის ჩაბნელებულ ფანჯრებს. იგი ჩვეულებრივზე უკეთ იყო გამოწყობილი. ჟილეტიანი მუქი კოსტიუმი ეცვა, ხელში შავი ტყავის ჩემოდანი ეჭირა. ცდილობდა, ჩაცმულობით მაინც დამსგავსებოდა იურისტს. მაგრამ მას რეზინის ლანჩებიანი უხეში ფეხსაცმელი ეცვა, პორტფელში კი იურიდიული ლიტერატურის ნაცვლად, კარების გასატეხი მოწყობილობები ჰქონდა ჩალაგებული. ეს საქმე მას დაასლოებით

ისევე მოსწონდა, როგორც ნორტონს. სისხლის სამართლის რეპორტიორად ყოფნის დროს მას არ ერთხელ დაურღვევია კანონები, ახლა უფრო დახვეწილად მუშაობდა, რადგან ჰქონდა ბევრი რამ, რისი დაკარგვაც ძალზე უჭირდა, მაგრამ გუვერის დოსიესათვის ის ყოველგვარ რისკზე წავიდოდა, საკუთარ სიცოცხლესაც კი გასწირავდა.

გეიბმა ღრმად ამოისუნთქა, წელში გასწორდა, სადარბაზოდან გამოვიდა და მტკიცე ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. რამდენიმე წუთში ის მისაღებში გაჩნდა. ჯიბის ფარანი აანთო და ბნელ დერეფანს გაუყვა, ჩაუსვია მარცხნივ, უცებ შეყოვნდა, მოპირდაპირე კაბინეტის კარის ღრიჭოდან შუქი გამოდიოდა. გეიბი კედელს აეკრა, გონებაში ბენ ნორტონს შეუკურთხა. „ეშმაკმაც დალასვროს ყველა იურისტი ერთად აღებული, — ფიქრობდა ის, — ზოგი თაღლითია, ზოგი კრეტინი". არის ვინმე ამ კაბინეტში, თუ ნორტონი შეცდა, როცა ამბობდა, — სინათლე ყველა კაბინეტში ჩამქრალიაო? გეიბს ესმოდა, როგორ უცემდა გული. საჭირო იყო ან გასცლოდა აქაურობას, ან დაეცადა. თუ კაბინეტიდან რაიმე სმაურს გაიგონებდა, ან ვინმე გამოვიდოდა, გეიბი გაქცევას უეჭველად მოასწრებდა. ამიტომ დაცდა ამჯობინა. ყოველნაირი სმაური, მანქანების კარის მიჯახუნება, ავტობუსების მოტორების გუგუნი, უცებ აფეთქებული სიცილი, — ქუჩიდან ისმოდა. ახლა მან ყურადღება კარის ქვემოდან გამომკრთალ ვერცხლისფერ ზოლზე გაამახვილა. მისი გონება ისევ გუვერის დოსიეს დასტრიალებდა. შესაძლებელია, იგი მისგან სულ ორმოცდაათი ფუტის სიშორეზე, რომელიმე სეიფში იდო და მის ხელში აღმოჩნდებოდა, რაღაც ნახევარ საათში. გუვერის დოსიე! ამის გაფიქრებაზე გეიბი ციებიანივით ცახცახებდა.

ამ დოკუმენტებში თავმოყრილი იყო ყველა შემზარავი სიმართლე იმის შესახებ, თუ ოცდაათი წლის განმავლობაში რა ბნელ საქმიანობას ეწეოდნენ ამერიკელი პოლიტიკოსები. სიხარბისა და გაუმაძღრობის, სიცრუის, ფარისევლობისა და გამყიდველობის ამბები ისტორიაში არნახული მასშტაბებით. სიმართლე, რომელიც პოლიტიკაში ყველაზე გათვითცნობიერებულ ჟურნალისტებსაც კი არ შეეძლოთ წარმოედგინათ. სიმართლე, რომელიც იცოდა მხოლოდ ღმერთმა (თუ-

კი ის არსებობს, რაც გეიბს ნაკლებად სწამდა) და ჟურნალისტებს არ უზიარებდა.

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, გეიბს ვერ წარმოედგინა, რა უნდა ექნა ამ დოსიესათვის, თუკი იპოვნიდა მას. დოსიეს გაყიდვა მას არ სურდა, იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ გაზეთი იქიდან ბევრ რამეს არ დაბეჭდავდა. მას უნდოდა, დოსიე თავისთვის ეშოვა. უნდოდა სიმართლისათვის თვალებში ჩაეხედა, დაენახა ის ადამიანები დღის სინათლეზე, უნდოდა ჩამოეგლიჯა საზოგადოებისათვის საგულდაგულოდ შექმნილი ნიღაბი და ჩაეხედა ადამიანების სულის უკუნეთში. აი, უკვე ათეული წლებია, რაც გეიბს თავისი ინტერესებისათვის იყენებდნენ, ატყუებდნენ, ამცირებდნენ, ეზიზღებოდათ და მან დაიჯერა, რომ იგი ერთ-ერთი პატიოსანი, წესიერი ადამიანი იყო ვაშინგტონში. ამან აამაღლა იგი საკუთარ თვალში. საკუთარი უპირატესობის შეგნებამ და არა საუკეთესო ჟურნალისტის პრემიამ, რომელიც მას წელს მიანიჭეს.

გავიდა თხუთმეტი წუთი, განათებული კაბინეტიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. გეიბმა გაიფიქრა, შუქის გამორთვა, ალბათ, დამლაგებელს დაავიწყდა და ნორტონმა ვერ შენიშნაო. მან ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მიაყურადა კარს და, როცა დარწმუნდა ოთახში არავინ იყო, სტოუნის კაბინეტისაკენ გაემართა. სპეციალური გასაღებით ფრთხილად შევიდა კაბინეტში, კარი მიიხურა და დიდი ოთახი პატარა ფარნით გაანათა. დაინახა მართკუთხა კაბინეტი. ერთ ბოლოში იდგა საწერი მაგიდა,მეორე ბოლოში დივანი და სავარძლები. გეიბმა დივანთან კარი შენიშნა. — ნორტონს ამის შესახებ არაფერი უთქვამს. — სწრაფად მივიდა და კარს ხელი ჰკრა, კარი უხმაუროდ გაიღო, დაინახა პატარა ოთახი, სადაც იდგა საწოლი და კართოტეკის მაგიდა. იქიდან — ერთი კარი სააბაზანოში გადიოდა.

ცნობისმოყვარეობა, როგორც კი დაიკმაყოფილა, გეიბი სტოუნის სამუშაო მაგიდასთან დაბრუნდა. პირველი უჯრა გახსნა, იქ ასპირინის აბები, პატარა ბიბლია, რამდენიმე იურიდიული დოკუმენტი და მისამართების მწვანე წიგნაკი აღმოჩნდა. წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო და ახლა სხვა უჯრების ჩხრეკა დაიწყო. იქ საინტერესო ვერაფერი ნახა, როცა ბო-

ლო უჯრა გამოაღო, ფანრის შუქზე დიდ, სათუთად შეხვეულ პაკეტს მოჰკრა თვალი. გეიბმა ამოიღო ის, გახსნა და დაინახა რემენქტონზე ნაბეჭდი სტრიქონები. ხელის კანკალით აიღო სატიტულო ფურცელი, დარწმუნებული იყო, რომ „გუვერის“ გვარს წაიკითხავდა, მაგრამ სატიტულო ფურცელზე ეწერა:

დონა ხენდრიკს

მეგობრები ხელისუფლების დროს შეიცნობიან

რომანი

გეიბმა ერთი კი შეიკურთხა, მაგრამ ხელნაწერი მაინც პორტფელში ჩააგდო და სეიფის ძებნას შეუდგა. სეიფი კედელზე ჩამოკიდებული სურათის უკან აღმოაჩინა. მალე დარწმუნდა, რომ მის გაღებას ვერ შეძლებდა. ადრე იგი სეიფის გახსნის ხელოვნებას ერთ თავის ნაცნობ, ყოფილ ბოროტმოქმედთან სწავლობდა, მაგრამ მის თითებს არ აღმოაჩნდა ის სინატიფე და გრძნობადობა, რაც მის მასწავლებელს გააჩნდა. დისკის ტრიალის დროს მისი თითები ვერ გრძნობდნენ საკეტების იდუმალ ხმაურს. მან შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა, ისევ ჩაიცვა ხელთათმანები და სურათი თავის ადგილზე ჩამოკიდა. გეიბს წინათგრძნობა კარნახობდა, რომ სტოუნი „გუვერის დოსიეს“ მაინც არ შეინახავდა ასე ადვილად ხელმისაწვდომ ადგილზე. იგი კვლავ იმ ოთახისაკენ გაემართა, სადაც კართოტეკის მაგიდა იდგა. შევიდა თუ არა ოთახში, რაღაც ხმაური შემოესმა.

გეიბმა ფარანი გამორთო და მიაყურადა. შემოსასვლელი კარი უცებ გაიღო და ფანრის სხივმა ცარიელი მაგიდა გაანათა.

— შენ მე სამიზნეზე მყავხარ დასმული! — დამარცვლა შემოსულმა. — ხელები აწიე და გამოდი.

გეიბმა დაინახა უცნობის გამხდარი პროფილი. მას მარჯვენა ხელში პისტოლეტი ეჭირა, მარცხენაში — პატარა ფარანი. გეიბმა ღრიჭოდ მიხურა პატარა ოთახის კარი და იქიდან უთვალთვალებდა. უცნობი მაგიდასთან მივიდა, უჯრები გამოწია, შემდეგ შემობრუნდა და კაბინეტი დაათვალიერა. როცა ოდნავ გამოღებული კარი დაინახა, რომლის უკანაც გეიბი იმალებოდა, ნელა დაიძრა მისკენ. გეიბმა კარი მი-

აჯახუნა, ჩაკეტა და იქვე მდგარი კართოტეკის კარადა მიიდგა. მერე სააბაზანოში შევიდა და ჩაიკეტა. მას სამი შესაძლებლობა ჰქონდა. შებრძოლებოდა იარაღიან მოწინააღმდეგეს, ხელებაწეული დამორჩილებოდა მას, იმ იმედით, რომ მხილებებით შეშინებული სტოუნი არ აღძრავდა საქმეს სასამართლოში ან გაქცეულიყო.

— თუ ხუთ წამში არ გამოსვალ, მაშინ ნიფრთხილდი, მე შემოვალ და ანდერძს აგიგებ! — დაუყვირა უცნობმა. მოხდა გასაოცარი რამ. უცნობის მელოდრამატულმა ხმამ გეიბს გადარჩენის იმედი ჩაუსახა, — როგორც ჩანს სულელია, — გაიფიქრა გეიბმა და ფანჯრის გაღება დაიწყო. მერე გასროლის ხმა გაიგონა, ეს მამაძაღლი საკეტს ამტვრევს. ფანჯარა გამოაღო, გადაიხედა. მიწამდე ოცი ფუტი იყო. მაღალია, გაიფიქრა გეიბმა, მაგრამ შენიშნა, რომ შენობას ირგვლივ კარნიზი ჰქონდა გაკეთებული, რაც გადარჩენის შანსს იძლეოდა.

უცებ ბრახუნი გაიგონა, უცნობმა კართოტეკის კარადა გადააყირავა და კარი გააღო. გეიბი ფანჯარაში გადავიდა, კარნიზს გაჰყვა, 12 ნაბიჯიც კი არ ექნებოდა გავლილი, როცა დაინახა ფანჯრიდან უცნობი გადმოყუდებულიყო და იარაღს უმიზნებდა.

— თუ არ დაბრუნდები, ნაბიჭვარო, შენთვის ყველაფერი დამთავრებულია, ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ.

— კარგი, მეგობარო, დამშვიდდი, — თქვა გეიბმა. — შენ მაჯობე.

— ეგღა მაკლდა, შენთვის არ მეჯობნა! — საზეიმოდ თქვა უცნობმა. გეიბმა ძირს ჩაიხედა. რესტორნის თავზე, მისგან თორმეტი ფუტის სიმაღლეზე, გაჭიმული იყო მოცისფრო ტილოს ტენტი.

— რა ვქნა, სხვა გზა არ არის, ორი უბედურებიდან კაცმა ერთი უნდა ამოირჩიოს, — გადაწყვიტა გეიბმა და კარნიზიდან ჩახტა.

ტენტი ხმაურით გაიხა და გეიბი არცთუ რბილად დაეშვა ტროტუარზე. უცებ წამოხტა, პორტფელი ჩაიხუტა. საკუთარი თავის კმაყოფილი იყო. ასეთი შემთხვევები ადრეც ჰქონია, როცა პოლიციის ჟურნალისტად მუშაობდა. უცებ ზემოთ აიხედა, უცნობი კარნიზს მოჰყვებოდა და ზედ გახეულ ტენტთან გადმოხტა.

— ღმერთო ჩემო, ეს ნამდვილი გიჟია, — გაიფიქრა გეიბმა და მთელი სისწრაფით მოკურცხლა.

მდევარის სხეული გახეულ ტენტს აღარ შეუკავებია და იგი მთელი სიმძიმით დაასკდა ტროტუარს. კაცი იფიქრებდა, ფეხები მოიტეხაო, მაგრამ, როგორც კი შეცბუნებულმა ტაქსის მძღოლმა მანქანა გააჩერა და დახმარება შესთავაზა, იგი წამოხტა, ტაქსის მძღოლს იარაღით დაემუქრა და გეიბ პინკუსს გამოეკიდა.

გეიბმა სასლის კუთხესთან შეუხვია და პირდაპირ პოლიციის მანქანას გადააწყდა, მას პოლიციელების ისევე ეშინოდა, როგორც იმ გიჟისა, უკან რომ მოსდევდა. შეჩერდა და უცებ თვალი მოჰკრა კინოთეატრის ღია კარს. აფიშა იუწყებოდა, რომ აქ უჩვენებდნენ ორ ფილმს: „ჭაბუკთა სიხარულს“ და „ადამიანის ბედნიერებას“. „შტორმის დროს ყველა პორტი გამოდგება თავშესაფარებლად“, — გაიფიქრა გეიბმა. კონტროლიორს რამდენიმე დოლარი მიაჩეჩა და კინოს სადემონსტრაციო დარბაზში ამოყო თავი.

კინოთეატრი სავსე იყო ყველა ასაკის მაყურებლით. დარბაზში ბნელოდა და თამბაქოს საშინელი სუნი იდგა. ეკრანზე თექვსმეტი წლის ტიტველი გოგონები ჩარსტონს ცეკვავდნენ. გეიბმა, როცა სიბნელეს თვალი შეაჩვია, სახანძრო გასასვლელს დაუწყო ძებნა. ვერ მონახა და წინა რიგებში თავისუფალ ადგილზე დაჯდა. როცა უკან მოისედა, თავისი მდევარი დაინახა, იგი კოჭლობით დადიოდა რიგებს შორის და ფარნის შუქზე ათვალიერებდა ადამიანების სახეებს. მდევარი ნელ-ნელა უახლოვდებოდა მის რიგს. გეიბი იატაკზე გაწვა და მაყურებელთა ფეხებს შორის გახოხდა გასასვლელისაკენ. შეწუხებული მაყურებლები ფეხებით თელავდნენ გეიბ პინკუსს. მას მეტის ატანა არ შეეძლო, ფეხზე წამოდგა და მდევრის პირისპირ აღმოჩნდა.

— არ გაინძრე, ჭაბუკო, — იყვირა მან და იარაღის ამოღება დააპირა. გეიბმა ინსტიქტურად ხელი ჰკრა, უცნობი აყაყანებულ მაყურებლებში გადაჩეხა, თვითონ კი კინოდარბაზიდან ქუჩაში გავარდა, სადაც ორ პოლიციელს შეეფეთა.

— სად მიგეჩქარებათ, ბატონო? — შეეკითხა ერთი მათგანი

— საზიზღარი ფილმია, — ამოილუღლუღა გეიბმა.

— ო, მე, მგონი, გიცნობთ, — თქვა მეორემ. — იქვენ ხომ რეპორტიორი ხართ?

— დიას, — თქვა გეიბმა. — მე ივენს ნოვაკი ვარ.

— სწორია, — გაიბადრა პოლიციელი. — მე ყოველდღიურად ვკითხულობ თქვენს სტატიებს. საიდან აღმოჩნდით ამ ბალაგანში? — პოლიციელს სახე მოეღუშა. — შემოსვევით, თქვენ ხომ....

— არა, რას ამბობთ? — კატეგორიულად თქვა გეიბმა. — მე მინდა ეს ნაძირალები ვამხილო. შეიხედეთ კინოდარბაზში. იქ რომელიღაც შეშლილმა აურზაური ატეხა.

— ამ წუთში ავიყვანთ მას, — დაჰპირდა პოლიციელი. — თქვენ კი წერეთ თქვენი წერილები, ბატონო ნოვაკ.

ორივე პოლიციელი კინოთეატრში შევიდა, გეიბი კი უახლოეს შესასვევში გაუჩინარდა. მკერდზე პორტფელს იხუტებდა, დაღლილ-დაქანცული იყო, მაგრამ სახეზე გამარჯვებული კაცის ღიმილი ეხატა.

20

ნორტონს გათენებისას გაეღვიძა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ამ გარიჟრაჟზე სახრჩობელაზე უნდა წაეყვანათ. სასწრაფოდ ჩართო რადიომიმღები და ძებნა დაუწყო იმ ტალღას, რომელიც ახალ ამბებს გადმოსცემდა. ვერაფრით ვერ დაიჭირა და იქვე ჰოლში მდგარ სავარძელში ჩაჯდა. მანამ იჯდა გაუნძრევლად, სანამ გაზეთის დამტარებელმა „პოსტი“ არ მოიტანა. მერე შეშლილივით დაიწყო გაზეთის ფურცვლა. იგი ეძებდა სტატიას დაახლოებით ასეთი სათაურით: „ცნობილი რეპორტიორი დაკავებულია იურიდიული ფირმის გატეხვის დროს. თანამონაწილე ძებნაშია“. მაგრამ მსგავსი რამ გაზეთში ვერ მოძებნა. უნდოდა გეიბისათვის შინ დაერეკა, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ, გეიბის ტელეფონს უსმენენო და არა მარტო გეიბისას, ალბათ, ჩემი ტელეფონიც ჩართულიაო. მან წარმოიდგინა თავხედი გეიბი პოლიციის სამმართველოში, მას დაკითხვას უწყობენ, აშინებენ, ცემენ, მაგრამ იგი კატეგორიულ უარს ამბობს თანამონაწილის დასახელებაზე. მერე დედამიწაზე დაბრუნდა და წარმოიდგინა, როგორ მოელაპარაკა პოლიციელებს და ყველაფერი ნორტონს დააბრალ

ბოლოს და ბოლოს ნორტონმა გადაწყვიტა საშიშროებას პირისპირ შესვედროდა. ჩაიცვა და ფეხით გაეშურა სამსახურისაკენ. მთელი არსებით ცდილობდა დამტკბარიყო მაისის დილით. თავს ირწმუნებდა, რომ ეს მისი თავისუფლებაში ყოფნის უკანასკნელი დილაა. და გაკვირვებულიც კი დარჩა, როცა შენიშნა, რომ მისი სამსახურის სადარბაზოს წინ პოლიციის მანქანები არ იდგა. რესტორანთან შენიშნა მხოლოდ ერთი მანქანა, რომელსაც მუშები ტვირთავდნენ. სადარბაზოს კარი შეშინებულმა გააღო, ელოდა, რომ ვესტიბიულში პოლიციელების მთელი ოცეული დახვდებოდა, მაგრამ მის წინ მხოლოდ მისაღების მდივანი ქალი — ჯოზი იდგა.

— მეგობარო, სახის ფერი მთლად დაგიკარგავს, — უთხრა ჯოზიმ, — რას აკეთებდი წუხელ? — ნორტონი დაიბნა, რაღაცას პასუხობდა, ბოლოს ჯოზის გაეცინა და უთხრა.

— ჰო, კარგი, ახლახან დაგირეკეს.

— ვინ? — იკითხა შეშინებულმა.

— არ მოისურვა ეთქვა ვინ იყო, თქვა, რომ კიდევ დავრეკავო.

ნორტონმა გაიფიქრა, — ალბათ, გეიბი იყო. ის ისევ თავისუფალია. შესაძლებელია ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ნორტონმა ღრმად ამოისუნთქა და კაბინეტისაკენ წალასლასდა. შუა გზაზე ჯორჯ ივენსი შეხვდა.

— მისმინე, ბენ, გუშინ ღამე მომხდარი ამბის შესახებ უიტს არაფერი უთქვამს შენთვის?

— გუშინ ღამით? — შეეკითხა ნორტონი გაკვირვებული ტონით.

— თურმე ვიღაცას მისი კაბინეტის გატეხვა დაუპირებია, ჟურნალში უნახავს, რომ წასვლაზე ყველაზე ბოლოს ჩვენ ვაწერთ ხელს და დაინტერესდა, საეჭვო ხომ არაფერი შეგიმჩნევიათო. შენთან არ ულაპარაკია ამის შესახებ?

— ჯერ არა, — თქვა ნორტონმა, — ალბათ, დარწმუნდა, რომ მე შენზე მეტი არაფერი მეცოდინება. როგორ არის? ნერვებმოშლილია?

— სრულიადაც არა, — უპასუხა ივენსმა. — გასაოცარია, რამდენიმე წელია უიტი ასე კეთილგანწყობილი ჩემს მიმართ არ ყოფილა.

— „ერიდე ალერსიან კობრას", — გაიფიქრა ნორტონმა და

შევიდა თავის პატარა კაბინეტში, რომლის მოცულობა ციხის კამერის ხელა თუ იქნებოდა. საბედნიეროდ, შესვლისთანავე ტელეფონმა დარეკა.

— ისევ ის იდუმალებით მოცული კაცი რეკავს, — თქვა ჯოზიმ. მის ხმაში დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა იგრძნობოდა. — მან მხოლოდ ის თქვა, რომ შენი ნაცნობია და ძალიან სერიოზული საქმე აქვს. დაელაპარაკები?

— რატომაც არა? — თქვა ნორტონმა.

ჯოზიმ გადამრთველი გაატკაცუნა, — იქნებ მომაყურადოს კიდეც, — გაიფიქრა ბენიმ. ნორტონი მოემზადა გეიბის ჩახლეჩილი, იდუმალი ხმის მოსასმენად, მაგრამ ყურმილში გაისმა ნაცნობი, რბილი შეშფოთებული ხმა.

— ბენ, მე არ შემიძლია ჩემი ვინაობა დავასახელო, შენთან საუბარი მინდა.

— კი, ბატონო, შემოიარეთ ჩემთან სამსახურში, — თქვა ნორტონმა. — მისაღები საათები თორმეტიდან ორ საათამდე ვქვს.

— მე არ შემიძლია მოვიდე, ამის მიზეზები მაქვს. მოდი, სადმე შევხვდეთ. საქმე ძალიან სასწრაფოა.

ნორტონს უნდოდა ყურმილი დაეგდო, მაგრამ იგი ხმამ დაინტერესა. ამ კაცს ის იცნობდა და დიდი ხანი არ არის, რაც ელაპარაკა, მაგრამ სად, არ ახსოვდა.

— იქნებ, გგონია, რომ ჩემს ტელეფონს უსმენენ, — მხიარულად უპასუხა ნორტონმა.

— არ არის გამორიცხული.

— მართალია, არ არის გამორიცხული, მაგრამ შენ თუ პარანოიკი ხარ, ჭაბუკო, იყავი ბოლომდე. თუ ჩემს ტელეფონს უსმენენ, მაშინ გამომყვეებიან კიდეც ჩვენი შესვედრის ადგილამდე. ეს ნაძირალები ყველგან არიან.

— შეგიძლია სერიოზული იყო? — ჰკითხა ნაცნობმა ხმამ. — საქმე არ ითმენს, შუადღისას მე ლაფაიეტ-სკვერში ვიქნები, იქ მომნასავ.

უსმო სიცილისაგან ნორტონს მხრები აუცახცახდა.

— კეთილი, — თქვა მან. — რატომაც არა? ვის მოუვა თავში ლაფაიეტ-სკვერში ჩვენი მოძებნა?

— კარგით.

— თუ ეე არ მიცნობ, — განაგრძო ნორტონმა, — ათი წუ-

ტის მოშორებით შენიშნავ შავკოსტიუმიან ორ თანმხლებ კაცს. — მაგრამ მის იდუმალებით მოცულ თანამოსაუბრეს ყურმილი უკვე დაედო.

* * *

ლაფაიეტ-სკვერი. მაისის მზიანი შუადღეა. ჩინოვნიკები თავის ღარიბულ საუზმეს უყოფენ უმიშარ ციყვებს. ბეტონის ფილაქანზე ჩამომჯდარი ზანგი მდივანი ქალები ბუტერბროტებს მიირთმევენ. ნორტონმა მონახა თავისუფალი სკამი, გადაშალა „სტარ"-ის პირველი გამოშვება და დაუწყო ძებნა ცნობას გეიბის დაპატიმრების შესახებ. მალე მას ტანადი, ცზისგან გარუჯული, მდიდრულ სპორტულ კურტაკსა და შორტებში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მიუჯდა. ნორტონმა უცებ ვერ იცნო იგი. როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, მაშინ ის სულ სხვანაირად გამოიყურებოდა.

— სალამი, ჯეფ, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, — თქვა ნორტონმა.

— მომისმინე, — აუჩქარებლად უპასუხა ჯეფ ფილდსმა, — ბევრი რამ მინდა გითხრა, მაგრამ ძალიან ცოტა დრო მაქვს.

— ამბის მოყოლამდე მითხარი, რატომ მიმბეგვა შენმა ბანდიტმა?

— ასეთი დავალება მას არ ჰქონდა ჩემგან მიღებული, — თქვა აქტიორმა, — შეცდა. ბოდიშს გიხდი. დაკმაყოფილდი?

— რა თქმა უნდა, — თქვა ნორტონმა. — ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა, მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, რამ მოგიყვანათ ამ დემოკრატიის ციტადელში?

— მოითმინე, — წაიჩურჩულა მსახიობმა და თვალით ანიშნა მოპირდაპირე სკამზე, რომელშიც ჰალსტუსსა და დაჭმუჭნულ კოსტიუმში გამოწყობილი ჭაღარა მოხუცი ჩამჯდარიყო და ქაღალდისყდიან წიგნს კითხულობდა.

— წავიდეთ აქედან, — თქვა ჯეფმა.

— შენ თვითონ ამოირჩიე ეს პარკი, მეგობარო, — პროტესტი განაცხადა ნორტონმა, მაგრამ მსახიობი უკვე წამომდგარიყო. ნორტონმა ამოიოხრა და გაჰყვა მას აგურით მოკირწყლულ გზაზე, ენდა ჯეკსონის ძეგლის უკან თავისუფალ სკამზე ჩამოსხდნენ. მათ ვერ შეამჩნიეს ახალგაზრდა ზანგი

მოშორებით, ბალახზე რომ იჯდა, როგორც კი ორი თეთრკანიანი შენიშნა, იგი წამოდგა და იქაურობას გაეცალა.

— გარშემო ან მონადირეებია, ან ნადირი, ფილდს, — თქვა ნორტონმა, — ციყვებსაც კი მიკროფონები აქვთ, ერთადერთი გამოსავალია — ცხვირწინ დუდღუნი.

— მისმინე, ბენ, მე ბევრი რამ გადავიფიქრე პალმ-სპრინგსში ჩვენი შეხვედრის შემდეგ! შენ ჩემთან პატიოსნად იქცეოდი, მე კი — არა. ამჟამად გულახდილი ვიქნები. რასაც, ახლა ვიტყვი, შეიძლება არც გესიამოვნოს, მაგრამ ეს სიმართლეა. ოღონდ გთხოვ, მოდი, ყველაფერი ჩვენს შორის დარჩეს.

— ვერაფერს დაგპირდები, — თქვა ნორტონმა. — არავითარი დაპირების ღირსი არ არის ის, ვისაც შეუძლია სტუმარი თხრილში მოისროლოს.

— დონასთან მე გაცილებით უფრო ახლოს ვიყავი, ვიდრე შენ გითხარი მაშინ, — თქვა აქტიორმა. იგი ისე შეიჭრა როლში, რომ ნორტონს აღარ უსმენდა. — ჩემზე ამბობენ, ქალების მუსუსიაო. და მართლაც ასეა. თითქმის ყველა ქალმა, ვინც კი შემხვედრია, სექსის გარდა არაფერი იცის, სხვა არაფერი არც აინტერესებს და არც უნდა. დონა კი სულ სხვანაირი ქალი იყო. ჩვენ ერთმანეთი საარჩევნო კამპანიის დროს გავიცანით. — მთავარი ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მე ამ თამაშში ჩავები. თავდაპირველად კარგი თავშესაქცევი იყო, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მე ჩემს ლიგაში არ ვთამაშობდი. უიტმორმა უბრალოდ გამომიყენა. ბოლოს და ბოლოს მივუსვდი. მე მაიმუნს ვგავდი, რომელიც ბრბოს იზიდავდა. და ასეც მოსდა. მაგრამ მე თავს მარტო ვგრძნობდი. მერე დავუახლოვდი დონას, ის იყო ერთად-ერთი წესიერი ადამიანი ამ მოხეტიალე ცირკში. მიყვარდა მასთან საუბარი პოლიტიკურ თემაზე. ის, სხვა ქალებისაგან განსხვავებით, ჩემზე არანაკლებად ერკვეოდა პოლიტიკაში. უკეთაც კი, ეშმაკმა დალახვროს, და შემიყვარდა ის წიწილა. კამპანიის შემდეგ, როცა იგი კარმელში გაემგზავრა, რამდენჯერმე ჩავედი მასთან. ის განმარტოებით ცხოვრობდა, ჩვენ მშვენივრად ვატარებდით დროს, და ბოლოს და ბოლოს დავითანხმე, რომ ჩემთან ჩამოსულიყო პალმ-სპრინგში. მისმინე, ყოველივე ამას იმიტომ გეუბნები, რომ გადაწყვეტილი მქონდა ცოლად

შემერცხო. მან კი გადაჭრით უარი მითხრა: გმადლობთ, ვერ გამოგყვებით. პირველად არც კი დავიჯერე. ყურ წარმოიდგენ, რას არ სჩადიოდნენ გოგოები, რომ ცოლად გამოთხოვდნენ.

— რადგან არ გაგიმართლა, დანა უნდა აგეღო ხელში. — ამოიბურტყუნა ნორტონმა.

— მისმინე, მორჩი ხუმრობას? გაიგე, რომ ეს წიწილა მე შენზე ნაკლებად არ მიყვარდა.

— მაშინ რატომ ეძახი მას წიწილას და რატომ არ გადადისარ გულასდილ, საქმიან საუბარზე.

— საქმე ის არის, რომ შეიძლება ყოველივე ეს არ მოგეწონოს, მაგრამ მე მაინც გულასდილი ვიქნები. როგორც გავიგე, დონა ფეხმძიმედ ყოფილა და თუ ეს მართალია, ამაში ბრალი მე მიმიძღვის. იანვრის მეორე კვირა ჩვენ ერთად გავატარეთ. მოლაპარაკების თანახმად, ის ჩემთან ჩამოვიდა, ალბათ, ყოველივე მაშინ მოსდა.

ფილდსი გაჩუმდა. მისი ძარღვიანი სხეული დაიძაბა. ლამაზი ტუჩები მოეკუმა. წაბლისფერი თვალები ბრწყინავდნენ მუქი სათვალის უკან, ნორტონმა გაიფიქრა, რომ მსახიობმა არ უნდა ითამაშოს შავი სათვალეებით, იმიტომ, რომ თვალები გამოხატავენ ძალიან ბევრ ემოციას.

— რატომ ატარებ შავ სათვალეს, ჯეფ? თაყვანისმცემლებს სომ არ ემალები?

— ეს არის ყველაფერი, რაც შენ შეგიძლია მითხრა?

— აბა რისი მოსმენა გინდოდა?

— არ გაინტერესებს შემდეგ რა მოსდა?

— რა შეიძლება მომხდარიყო?

— მისმინე, მე მესმის შენი გრძნობების, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ის ფეხმძიმედ იყო. იმ იანვრის კვირის შემდეგ მე მომისდა სამი თვით ესპანეთში გამგზავრება. დაბრუნებისთანავე დავურეკე მას. და სწორედ მაშინ მკითხა, შემიძლია მე შენს ვაშინგტონის ბინაში ვიცხოვროო? მე ხომ გითხარი, დონას არ უთქვამს, რისთვის მოდიოდა აქ. მან თქვა, რომ მინდა, მოვინახულო ზოგიერთი ჩემი ნაცნობი და ამავე დროს ზოგიერთი ცნობები მოვიპოვო ჩემი წიგნისთვისო. ის შენც გახსენებდა. მას გაგებული ჰქონდა, რომ პარიზიდან უნდა დაბრუნებულიყავი და პატარა სიურპრიზს გიმ-

ზ..დებდა. მისმინე, მე ვიცოდი, რომ მას და უიტმორს რაღაც გრძნობები აკავშირებდათ და ამიტომ ვკითხე, ხომ არ გაგიტაცებს ისევ უიტმორის სიყვარული-მეთქი, მაგრამ მიპასუხა, რომ ის ამბავი წარსულს ჩაბარდა, რომ ყველაფერი უკვე დიდი ხანია დავიწყებას მიეცაო.

აქტიორის შუბლზე ოფლის წვეთები ციმციმებდნენ, ნორტონმა გაიფიქრა, რომ რაღაც ნატამალი სიმართლისა ერია მის მონათხრობში.

— როგორ გაიგე?

— რა?

— რომ დონა ფესმძიმედ იყო?

— ეს ჩემმა ადვოკატმა შეიტყო. მე მას დიდ თანხას ვუხდი იმისათვის, რომ ყველაფერი დაწვრილებით მაცნობოს.

მათ გვერდით ჩაუარა თმააჩეჩილმა ყმაწვილმა, რომელსაც ხელში საჰაერო ბუშტებზე გამობმული გირლიანდები ეჭირა.

— რა ღირს შენი ბუშტები? — ჰკითხა ნორტონმა.

— ერთი დოლარი, — უთხრა ყმაწვილმა.

— ეს ხომ ძარცვაა, ძმობილო, — იმავე ტონში უპასუხა ნორტონმა.

— ფასები ზემოთ იწევს, მეგობარო. ახლა ტონა რეზინი ორმოცი დოლარი ღირს.

— ესენი თუ იწევენ ზემოთ?

— რა?

— რა და ბუშტები, დაფრინავენ?

— რა თქმა უნდა, ისე მაღლა, რომ თვალსაც ვერ მოჰკრავ. ნორტონმა გადაუხადა ნასევარი დოლარი და ამოარჩია ხასხასა ცისფერი ბუშტი. რამდენიმე წუთს ამ ბუშტით ერთობოდა, სან ძირს დაქაჩავდა, სან ისევ გაუშვებდა ჰაერში, აიძულებდა, მის თვალწინ ესტუნა, მერე გაუშვა და დაუწყო ყურება, ბუშტი მიფრინავდა ჰაერში, შემდეგ ქარმა აიტაცა და თეთრი სახლისაკენ წაიღო.

— რას უნდა ნიშნავდეს ეს? — ჰკითხა ფილდსმა.

— თეთრი სახლის ლოკატორებს ვამოწმებ, — უპასუხა ნორტონმა. — შეხედე ახლა ცაში აიჭრებიან ბოროტი სულები და ბუშტის სიცოცხლეს ბოლო მოეღება, მისმინე, რატომ არ მოხვედი ჩემთან სამსახურში?

— რა?

— რატომ არ მოისურვე მოსულიყავი ჩემთან სამსახურში და იქ გეთქვა ყოველივე? რატომ ამოირჩიე პარკი? ძალიან გიყვარს ციყვები?

— არ მიყვარს იურიდიული კანტორები, — უპასუხა ფილდსმა. — მე იქ საკმაოდ დიდსანს დავყავი, ამიტომ მათი დანახვაც აღარ მინდა.

„— ეს, — გაიფიქრა ნორტონმა, — მართლაც გონივრული ნათქვამია".

ფილდსმა ჯიბიდან მონოგრამიანი ცსვირსახოცი ამოიღო, სათვალეები მოიხსნა და შუბლი მოიწმინდა. ქუთუთოებს ქვემოთ შავი უპეები გასჩენოდა, სახეზე — ნაოჭები. გასული შეხვედრისას ნორტონს ეს არ შეუმჩნევია.

— ბენ, უკანასკნელი თვე ჩემთვის ძალიან მძიმე გადასატანი იყო, მაგრამ ახლა სიმართლე გითხარი და გულზე ცოტა მომეშვა, გააკეთე, რაც გინდა, თუ გინდა მომკალი, მაგრამ ყოველივე ეს სიმართლეა!

ნორტონმა დაამთქნარა.

დიდი ხნის პაუზის შემდეგ აქტიორმა ჰკითხა:

— ეშმაკმა დალახვროს, იტყვი რამეს, თუ არა?

— რა უნდა გითხრა? მონათხრობი შესანიშნავი იყო, ოღონდ შენი არ მჯერა.

— არ გჯერა? — ფილდსი, ჩანდა, სულ დაეცა სულიერად.

— არ გეწყინოს.

— მისმინე, სიტყვას გაძლევ...

— აი რა, ჯეფ, იქნებ მე ყველაფერი დამეჯერებინა შენთვის, მთელი ეს ამბავი დამიზნებული პისტოლეტის შიშით რომ გეთქვა, მაგრამ არ მჯერა იმ კეთილი ადამიანებისა, რომლებიც უსასყიდლოდ ამბობენ სიმართლეს.

— ბენ, არ მესმის შენი, მამაზეციერმა იცის, საიდან ჩამოვფრინდი იმისთვის, რომ შენთვის სიმართლე მეთქვა, შენ კი...

— კარგი, კარგი, არ დაიწყო ახლა ყველაფერი ისევ თავიდან, ჩემი საქმისა მე ვიცი, ნახვამდის, ჯეფ. — ნორტონი წამოდგა, ზურგი შეაქცია და წავიდა, მაგრამ აქტიორი წამოეწია.

— დაფიქრდი, ბენ, შენ გაქვს ეჭვის საფუძველი, მაგრამ

დაფიქრდი, მე არ მინდა, რომ ჩვენ ერთმანეთის მტრები ვიყოთ.

— ჩვენ მტრები არა ვართ, — თქვა ნორტონმა. — შენ ჩემი საყვარელი მსახიობი ხარ.

— ბენ, მე კიდევ მინდა გითხრა რაღაც. დამიცადე ერთი წუთით.

ნორტონი აქტიორისაკენ შემობრუნდა და მის ზურგს უკან დაინახა იმ პოლონელი პატრიოტის ძეგლი, რომელსაც ვაშინგტონში იშვიათად იხსენებდნენ. „აი რა სჭირდება ამერიკას, — გაიფიქრა მან, — რაც შეიძლება მეტი პოლონელი პატრიოტი. სად ხარ ახლა შენ, კოსტიუშკო, როცა ასე გვჭირდები?"

— მე კინოსტუდია შევიძინე, — თქვა მსახიობმა, — ჩვენ ხუთი ფილმის გადაღება დავამთავრეთ, იმედი მაქვს, თითოეულით ორიდან ათ მილიონამდე დოლარი უნდა ამოვიგოთ. იმდენი ფული მაქვს, მინდა რაიმე საქველმოქმედო ფონდი შევქმნა. ოღონდ ჩემი ადვოკატი მშლის ჭკუიდან. ყველა ისინი, შემგუებელი ხარბი რეაქციონერები არიან.

— ყოჩაღები ყოფილაწ, — თქვა ნორტონმა.

— მისმინე, ახალგაზრდავ, ჭკვიანი, წესიერი კაცი მჭირდება, რომელიც მთლიანად მიადევნებს საქმეს თვალყურს, კაცი, რომელსაც ვენდობი, რომელიც გონივრულ რჩევებს მომცემს.

— და ამ კაცმა ჩეჩქივით უნდა ხვეტოს ფულები და ასეთი საქმიანობისათვის ყველაზე შესაფერისი მე ვარ, არა?

მსახიობი უცებ დადუმდა, თითქოს პანღური ამოკრესო. ნორტონი მიხვდა და უხაროდა, რომ მასში იღვიძებდა სადისტი. მთელი ცხოვრების მანძილზე მას იმდენმა ვინმემ აჯობა, რომ ახლა სიამოვნებდა, ვიღაცას რომ ერეოდა, თუნდაც ამ უბადრუკ სულელს.

— აი, რა მინდა გითხრა, ჯეფ. ან შენ შეგეშალა, ან იმას, ვინც ამ საქმისაკენ გიბიძგა. შენ ამბობ, რომ მე ახალგაზრდა, ჭკვიანი და წესიერი ადამიანი ვარ. არა, მე შეიძლება შედარებით ახალგაზრდა და ასე თუ ისე ნიჭიერი კაცი ვარ, მაგრამ წესიერი — არავითარ შემთხვევაში. წესიერი? წესიერიც შეიძლება ვიყავი, მაგრამ ახლა გარდავიქმენი. ამ თვინიერ გარეგნობაში იმალება სისხლის მსმელი ნადირი, რომე-

ლიც მზად არის ერთი ცენტისათვის მშვენიერი ყელი გამოგღადროს. დღეის შემდეგ ვეღარავინ მაჯობებს, გადაეცი ეს იმათ, ვინც შენ აქ გამოგგზავნა, გადაეცი, რომ მოთმინების ფიალა ამევსო და შეიძლება მთვარე სისხლით შევღებო. ახლა კი წადი, სანამ შენთვის კისერი არ მომიგრეხია.

ის აქტიორს გასცილდა და წითელ შუქზე ჯეკსონპლეისი გადაკვეთა. გაოგნებულმა მძღოლმა მანქანა მის ცხვირწინ მთელი ძალით დაამუხრუჭა და გულიანად შეუკურთხა. ნორტონმა, ვითომ აქ არაფერიაო, გზა განაგრძო. მას ათრობდა კვლავ დაბრუნებული მძვინვარება და პირველად დიდი ხნის შემდეგ თავს შესანიშნავად გრძნობდა.

21

საღამოს, როცა ნორტონი სახლს მიუახლოვდა, მსახიობთან შესვედრით გამოწვეული გააფთრება თითქმის დაუცხრა. იგი მოულოდნელად ისეთ თავსხმაში მოხვდა, რომ თავიდან ფეხამდე გაილუმპა. თავისი ბინის ფანჯრებში შუქი შენიშნა. ეს შეიძლება ყოფილიყო ან გეიბი, ან პოლიცია. ნორტონს არც ერთთან არ სურდა შესვედრა, მაგრამ გამოსავალი არ ჰქონდა. კარი გააღო თუ არა, ტახტზე წამოწოლილი გეიბი დაინახა, იგი ხან ფრჩხილებს იკვნეტდა, ხან ნორტონის ლუდს პირდაპირ ბოთლიდან წრუპავდა. გეიბს გაჭუჭყიანებული კოსტიუმი ეცვა, შუბლზე სისხლის ლაქა აწნდა.

— როგორ მოსვედი? — ჰკითხა ნორტონმა, სველი პიჯაკი გაიხადა და საწოლ ოთახში მოისროლა.

— კარზე ნორმალური საკეტი დააყენე, — უპასუხა გეიბმა, — თორემ, რომელიმე ქურდი შენს ბინას სატვირთო მანქანას მოაყენებს და პირწმინდად გაცლის.

ნორტონი სავარძელში ჩაჯდა და ფეხსაცმლის გახდა დაიწყო.

— კარგი, გეიბ, რა მოხდა გუშინ ღამით?

— რადიო ჩართე, — ჩურჩულით უპასუხა რეპორტიორმა, — სახლში შეიძლება მიკროფონები იყოს დაყენებული.

ნორტონმა რადიომიმღები ჩართო. მუსიკალურ პროგრა-

მაზე დააყენა, ოთახში აეღერდა მოცარტის კონცერტი. ნორ-ტონმა სავარძელი გეიბთან მიაჩოჩა.

— მოხდა ისე, უტვინო მამაძაღლო, რომ შენს გამო კინა-ღამ დავიღუპე. — თქვა გეიბმა. — იქ ვიღაც ყმაწვილი დამხვ-და პისტოლეტით.

— ეშმაკს წაუღია! ნეტა ვინ იყო?

— არ გამცნობია. იქნებ შენ იცნობ?

— როგორ გამოიყურებოდა.

— სიმაღლით ხუთი ფუტი და რვა-ცხრა დიუმისა იქნე-ბოდა, წონით ალბათ 150 ფუნტი. თმები შავი, მოკლედ შეკ-რეჭილი, წლოვანებით, ალბათ, 45 წლისა, ელამი, კმაყოფი-ლი გამომეტყველებით.

ნორტონმა თავი გაიქნია.

— ასეთი აღწერილობა არაფერს მეუბნება.

— ერთ-ერთ კაბინეტში სინათლე ენთო, ალბათ, იქ იჯდა.

— გეიბ, როცა მე მოვდიოდი, სინათლე ყველგან ჩამქ-რალი იყო. რომელ კაბინეტზე ლაპარაკობ?

— მარცხნივ, შესახვევთან, მამაკაცების საპირფარეშოს გვერდით. — იქ არავინ ზის, ცარიელია, რადგანაც იმ ოთახში ისმის საპირფარეშოს წყლის ხმაური. როგორც წესი, იქ ას-ალმიღებულებს სვამენ.

— იმ ტიპს იშვიათი, ჩახლეჩილი ხმა აქვს. ლაპარაკობს ისე, როგორც ძველ ფილმებში განგსტერები ლაპარაკობ-დნენ — „შენ მე სამიზნეზე მყავხარ" და სხვა ამდაგვარივე ფრაზებით. ნორტონის მეხსიერებაში რაღაცამ გაიელვა. მ-გრამ ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გამოეცვალა სველი ფეხსაცმელი და რომელი წამალი მიეღო გაციების საწინააღმდეგოდ.

— არ ვიცი, გეიბ, — თქვა მან. — ვიღაცას მაგონებს, მაგრამ არ შემიძლია გავიხსენო — ვის. ის დაიხარა, ფეხზე მიწებებუ-ლი წინდების გახდა დაიწყო. — გეიბ, ესე იგი, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. შენი თავგანწირვა ამაო აღმოჩნდა?

— მე ასე არ ვფიქრობ! — მკვახედ თქვა გეიბმა. — აი შენ ზოგიერთი რამ. მან ხელჩანთაში ჩაყო ხელი და ნორტონს ხელნაწერი გაუწოდა. ნორტონმა სატიტულე ფურცელს და-ხედა. ამოიოხრა და შემდეგი ფურცელი გადაშალა. ფურცელ-ზე ეწერა „თავი პირველი" და იგი იწყებოდა ასე: „ლინდა



ჰენდერსონი ვაშინგტონში 1968 წლის გაზაფხულის ერთ ქარიან დღეს ჩამოვიდა. თუმცა ასეთ დროს ამ ქალაქში ხეობსვლა არ ღირდა".

ნორტონმა ხელნაწერი გადადო.

— ეს დონას რომანია, — თქვა მან, — ზუსტად ის, რომელზედაც ფილდსმა თქვა, ჩემი კაბინეტიდან მოიპარესო. ნეტავ, როგორ მოხვდა ის უიტის კაბინეტში?

გეიბმა მხრები აიჩეჩა.

— შეიძლება, ის სტოუნის ბიჭებმა მოიპარეს, ანდა ვიღაცამ მოიპარა და სტოუნს მიჰყიდა. კარგი იქნებოდა ამის გარკვევა.

— გავარკვევ, — თქვა ნორტონმა. — დილითვე შევალ სტოუნთან და გავარკვევ.

— უაზრობაა, იქნებ ერთხელ მაინც გაანძრიო ტვინი? შენ შეეკითხები სტოუნს, საიდან გაქვს ხელნაწერი. ის გიპასუხებს, ვიღაც უცნობმა გამომიგზავნა ფოსტითო. ახლა სტოუნი, გკითხავს, საიდან იცი ამის შესახებო. შენ რას უპასუხებ? რომ ის შენმა მეგობარმა მოიპარა, არა?

ნორტონს გაეცინა.

— მართალი ხარ, გეიბ. მე ასეთ საქმეებში ახალბედა ვარ. მისმინე, დღეს უცნაური ამბავი მოხდა. უცებ ჩემს სანახავად ჩამოვიდა ჯეიფ ფილდსი.

— რა უნდოდა?

— ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ დონასთან ის ჩავიდა იანვარში და მან დააფეხმძიმა იგი. და ვითომ მან უთხრა ფილდსს, რომ იგი მიემგზავრება ვაშინგტონში ნაცნობ-მეგობრების სანახავად. ბოლოს კი თავისთან მუშაობა შემომთავაზა.

— შენ რა უპასუხე?

— რომ, არც ერთ მის სიტყვას არ ვენდობი.

— იდიოტი ხარ, ხომ გითხარი, აჰყევი-მეთქი თამაშში, ვითომ ყველაფერი გჯერა.

— მაპატიე, გეიბ. მე, სიმართლის თქმას ვარ მიჩვეული.

— კარგი, რაც იყო, იყო. ახლა, როგორმე მონახე ფილდსი, ბოდიში მოუხადე და უთხარი, რომ საუბრის გაგრძელება გსურს.

— აღარ დამიჯერებს უკვე.

— ადამიანები იმას იჯერებენ, რისი დაჯერებაც სურთ, უთხარი, რომ შექმნილი სიტუაციის გამო სამსახურის შესასებ გინდა მოელაპარაკო.

— სამსახურს თავი უნდა დავანებო, — თქვა ნორტონმა. — მე უკვე აღარ შემიძლია სტოუნთან მუშაობა. როცა მისი თანამშრომელი არ ვიქნები, სიმართლეს ნებით თუ არა, ძალით მაინც ვათქმევინებ.

— ჯერჯერობით იყავი შენს ადგილზე და ხმა გაიკმინდე.

ტელეფონმა დარეკა, ნორტონი წამოსტა და სანამ ყურმილს აიღებდა, გეიბს შეხედა.

— უპასუხე, — უთხრა რეპორტიორმა. — შეიძლება, შენთვის სასიამოვნო ახალი ამბავი გაიგო.

ნორტონი შეყოვნდა, მაგრამ მესამე ზარის შემდეგ მაინც აიღო ყურმილი.

— გისმენთ?

— ბენ? მე პენი ვარ.

— ვინ?

— პენი. გასსოვს წვეულება პალმ-სპრინგსში?

ნორტონს გაახსენდა. მინიატურული, ფერიასავით ლამაზი გოგო.

— რა თქმა უნდა, პენი, — უპასუხა მან. — როგორა ხარ?

— ბენ, უსიამოვნება შემემთხვა.

— რა მოხდა?

— ახლა მოყოლა არ შემიძლია, მინდა შეგხვდე.

— თუ გსურს, ახლავე მოდი, გელოდები.

— ახლა ჩიკაგოში ვარ, ხვალ საღამოს ვიქნები ვაშინგტონში. შეიძლება — ხვალ?

— რა თქმა უნდა. საღამოს შვიდ საათზე შინ დაგელოდები, მისამართი იცი?

— მოგნახავ. — უპასუხა პენიმ და ყურმილში გაისმა გრძელი ზუმერი.

ნორტონმა ყურმილი დაკიდა, შეამჩნია, რომ გეიბი დაჟინებით მისჩერებოდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ჟურნალისტმა.

— გოგონა, პალ-სპრინგსში რომ დავუახლოვდი. პროფესიით სტიუარდესაა. მან შემაპარა იმ დაუვიწყარ წვეულება-

ზე, ფილდსმა რომ გამართა თავის სასახლეში. ისეთი ხმა ჰქონდა, ეტყობა რაღაც უსიამოვნება შეემთხვა.

— როგორც ეტყობა, მხოლოდ მას არა, — თქვა გეიბმა. — მისმინე, წუსელ მე სტოუნის კაბინეტიდან მისი პირადი ტელეფონების წიგნაკი წამოვიღე, იქ ძალიან საინტერესო გვარები და ტელეფონის ნომრები წერია.

— მაგალითად?

გეიბმა პიჯაკის ჯიბიდან ცისფერი წიგნაკი ამოიღო.

— ზოგიერთი გვარი ჩემთვის ნაცნობია, [illegible] [illegible] [illegible] მხოლოდ ინიციალებსაც. აი, მაგალითად „გ. 546—3646".

— ეს გვენ ბაუერსის ნომერია, იცნობ?

— კი, მაგრამ საინტერესოა, მისი ტელეფონის ნომერი როგორ აღმოჩნდა სტოუნის ტელეფონის წიგნაკში.

— შევეცდები გავიგო.

— მომავალში მაინც უფრო ეშმაკურად იმოქმედე, ეი, კიდევ: „რ. 456—7236".

— „456" — ეს თეთრი სასლის კოდია. მაგრამ ვინ არის „რ" ჩემთვის გაუგებარია.

— დღეს მე დავრეკე ამ ნომერზე. მდივანმა ქალმა მიპასუხა: „მისტერ მაკნეირის კაბინეტიაო".

— ეს კლეი მაკნეირია. იგი ედი მერფის კაცია. მე ის ორი კვირის წინ გავიცანი თეთრ სასლში.

— როგორ გამოიყურება?

— დაახლოებით ჩემი ასაკისაა. მაღალი, სიმპათიური, აცვია წვრილზოლებიანი კოსტიუმი, ხმარობს პერანგის სამაგრებს, თეთრი სასლის ტიპური უმცროსი თანამშრომელია. მაშინ გავიცანი, როცა დონას მკვლელობის შესახებ ცნობებს ვაგროვებდი. ედი მერფმა მას გამოძიების მსვლელობაზე თვალყურის დევნება დაავალა.

— იქნებ, ამავე დროს ინფორმაციასაც აწვდის უოტ სტოუნს?

— არა მგონია, მაკნეირი ის კაცი არ არის, ვისაც ედი მერფი რაიმე სერიოზულ საქმეს მიანდობს. ტიპური ამერიკელი ბიჭია. სტუდენტურ სათვალეს ატარებს და „ჯუსი ფრუტს" ღეჭავს.

ნორტონი მოიღუშა. მერე უცებ გამოცოცხლდა.

— მოიცა, მოიცა! მაკნეირს თეთრ სასლში ერთი ციცქნა

კაბინეტი უკავია ცოკოლის სართულზე. იმავე კაბინეტში ზის უცნაური კაცი, — ბაირონ რიდლი. მაკნეირმა მითხრა, რომ ის კონსულტანტია და რაღაც განსაკუთრებულ დავალებებს ასრულებსო. მაკნეირის კაბინეტში მე ზის მაგიდას მივუჯექი. იგი ცოტა ზოგვიანებით შემოვიდა. როცა, ზის მაგიდასთან დამინახა, კინაღამ გაგიჟდა. მაკნეირს ეცა და ვაიუშველებელი აუტეხა. წამდვილი გიჟია.

გეიბს სასე გაებადრა.

— როგორ გამოიყურება ეს რიდლი?

— საშუალო სიმაღლისაა. გამსდარი. მუქი თმები აქვს. ორმოც წელს გადაცილებულია.

— მე მგონი, ის არის. — გეიბმა შვებით ამოისუნთქა.

— ის არის? ვინ ის?

— ვინც გუშინ ღამით პისტოლეტით შეიარაღებული ცირზის შენობაში დამსვდა. ის მჭახე ხმით ლაპარაკობს, როგორც კინოფილმებში განგსტერები? რაღაცნაირად, ცალყბად?

— ჰო! ესე იგი, ის არის!

— საჭიროა ამ ვაჟბატონით, ბაირონ რიდლით, დავინტერესდეთ. — თქვა გეიბმა.

ნორტონმა ოთახში ბოლთას ცემა დაიწყო.

— მომისმინე, რაღაც-რაღაცეები გამახსენდა. ამ ერთი კვირის წინ მე გვენ ბაუერსთან წვეულებაზე ვიყავი. იქ, როგორც ყველამ, მეც ზედმეტი დავლიე. ბოლოს, როგორც იქნა, ჰაერზე გამოვედი. ბუჩქებში შევნიშნე, ვიღაც იმალებოდა, გამოვეკიდე, მაგრამ გამექცა. ჩემი აზრით, რიდლი იყო.

— ალბათ, ის იყო. — თქვა გეიბმა. — მაჩვენებ იმ ბაირონ რიდლს?

— როგორ?

— თუ თეთრ სახლთან დავუდარაჯდებით, ბოლოს და ბოლოს ვნახავთ.

— თუკი ვაშინგტონშია. მაკნეირის თქმით, ის ხშირად მოგზაურობს.

— მაგალითად, პალმ-სპრინგსში ხელნაწერის მოსაპარად? კარმალში, რომ მოხუცი სენატორი კლდიდან გადაჩეხოს? როგორც ჩანს, ამ რიდლს ბევრი მოგზაურობა უხდება.

ნორტონი სავარძელში ჩაჯდა და თავის შიშველ ფეხებს დააშტერდა.

— ეს უკვე ნამეტანია, გეიბ, — თქვა მან. — ნუთუ შენ მართლა თვლი, რომ კაცი, რომელიც თეორ სახლში, უიტ-მორის თეთრ სახლში მუშაობს, შეიძლება იყოს ბოროტმოქ-მედი და მკვლელი?

გეიბმა გაიცინა, გაქონილ თმებზე ხელი გადაისვა.

— კარგი, კარგი, დავუშვათ, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ თუ ასეა, ალბათ, საჭიროა, შევატყობინოთ ხელისუფ-ლებას იმის შესახებ, რაც უკვე ვიცით.

— რომელ ხელისუფლებას? ჩაკ უიტმორს? ედი მერფს? იმ გამოთაყვანებულ იუსტიციის მინისტრს? ან იქნებ, უიტ სტოუნს, რადგან შესაძლებელია, ამის გამო მან შეცვალოს იუსტიციის მინისტრი?

— არა, მათ არა. მაგრამ ხომ მიმდინარეობს გამოძიება დონას მკვლელობის საქმეზე, სტოუნთან აღმოჩნდა დონას ხელნაწერი, ესე იგი, აქ რაღაცაში სტოუნიცაა გარეული. შე-ვატყობინოთ პროკურატურას ყველაფერი, რაც ვიცით და მ-მავალში მათ იმოქმედონ.

— პირველ რიგში, არ შეიძლება დავუმტკიცოთ სტოუნს, რომ ხელნაწერი მისი საწერი მაგიდის უჯრაში იდო. თუ მე არ ვთქვი სიმართლე. მეორე, იცი შენ, ვინ არის კოლუმბიის შტატის ახალი პროკურორი?

— რა თქმა უნდა, ფრენკ კიფნერი. მაგრამ არა მგონია, მან პირადად წარმართოს დონას მკვლელობის საქმის გამო-ძიება, ალბათ, ამ საქმეს რომელიმე თავის თანაშემწეს მიაბ-დობს.

— ისევ ცდები. ის თვითონ ხელმძღვანელობს გამოძიე-ბას. და როგორც მე გავიგე, ერთი სული აქვს როდის წაუ-ყენებს დამნაშავეს ბრალდებას. მაგრამ ამ საქმეს ერთი პა-ტარა სარვეზი აქვს. არ არის პიროვნება, რომელსაც შეიძ-ლება ეს ბრალდება აჰკიდო.

— ის არანორმალური ზაწგი ჭაბუკი?

— არავითარი დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს, და მაინც სულ ერთია ბრალდება რომ დაუმტკიცდეს, მისი გასამართლება მაინც არ შეიძლება. ის ფსიქიურად არის და-ავადებული. დიდი, დიდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მო-ათავსონ. იქ კი ისედაცაა მისი ადგილი.

— მე არა მგონია, რომ ფრენკმა მსგავსი რამ იკისროს.

— იცნობ მას? —ჰკითხა გეიბმა.

— ხუთი წლის წინ გავიცანით ერთმანეთი კაპიტოლიუმ-ში. ის ზემზე ახალგაზრდაა.

— მართალი ხარ, ყველაზე ახალგაზრდა პროკურორია შტატებში და სურს გახდეს ყველაზე ახალგაზრდა ფედერალური მოსამართლე, ან იუსტიციის მინისტრის ყველაზე ახალგაზრდა თანაშემწე, თუკი უიტ სტოუნი სათავეში ჩაუდგება იუსტიციის სამინისტროს. აი, კიდევ რას გეტყვი: სტოუნის სატელეფონო წიგნაკში კიფნერის გვარი არ წერია, ხის ფაგივრად აღნიშნულია ასო „ფ".

— გასაკვირი არაფერია, რომ გაშინგტონის ერთ-ერთ ცნობილ თურისტს თავის წიგნაკში ეწეროს პროკურორის ტელეფონის ნომერი.

— რა თქმა უნდა, შენ სწორი ხარ, მაგრამ, ერთი გარემოებაა გაუგებარი, წიგნაკში ყველა აბონენტის გვარი დაუშიფრავად წერია, ნაცვლად „გვენის" ნაცვლად წერია ასო „გ", „რიდგეის" ნაცვლად ასო „რ" და ფრენკ კიფნერის ნაცვლად „ფ". ეს ალბათ ოტყვი, პროკურორი რჩეულ საზოგადოებაშია ჩაუვიდრილი.

— მე კარგად ვიცნობ ფრენკს და შემიძლია გულახდილად მოგახსენებ, ისე რომ, არ გახსენო არც შენ და არც ის წყეულიერ ხელოსანი. უბრალოდ მოგუყვები, რომ ხდება რაღაც საეჭვო ამბები.

— კიფნერი მოგაღორებს, როგორც კი წამოროშავ ყველაფერს, რაც ბევენ გიცით, ყველა თანამდებობის პირი ცხვირწინ ნაგვისურავს კარს.

— ჩემის აზრით, კიფნერი პატიოსანი კაცია. და მე მგონია, იმდენად გონიერი, რომ ის არ მიაფუჩეჩებს მკვლელობის საქმის გაპოძიებას.

— ო, ღმერთო, — ამოიკვნესა ჟურნალისტმა. — ახლა კი გასაგებია, რატომ წააგეს სამხრეთამერიკელებმა ომი. ნუთუ შენ არ შეგიძლია შეასმინო შენს გამოთაყვანებულ თავს, რომ ყველას, შენს გარდა, მიუფურთხებია, ვინ მოკლა დონა? უიტმორს სურს, თავი დაიზღვიოს, მერფს კი სურს, უსიამოვნებას გადაარჩინოს უიტმორი. კიფნერი ოცნებობს, როგორ ასიამოვნოს თეთრი სახლის ბინადართ, რომ კიდევ

უფრო დაწინაურდეს, სერჟანტს, რომელიც გამოძიებას წარმართავს, პოლიციის უფროსობა სურს. ასე, ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს.

— შენ, გეიბ? — ჰკითხა გაღიზიანებულმა ნორტონმა. — შენ, ალბათ, ის გაღელვებს, რა დაემართა დონას, არა? თუ გსურს მიაგნო შენი დიდი ხნის ოცნებას, რომელსაც „გუვერის დოსიე" ჰქვია?

გეიბს გაეცინა.

— აი, ახლა კი ნამდვილად მიზანში მოარტყი, — თქვა მან. — რა თქმა უნდა, იმიტომ გეხმარები, რომ შენ შეგიძლია მე დამეხმარო. ასეა მოწყობილი ქვეყანა. მაგრამ შენ ვერავის დაეხმარები, თუ ცოტა თავი არ გაანძრიე. მისმინე, დაურეკე ჯეფ ფილდს და უთხარი, რომ მასთან მოლაპარაკება გსურს. მოელაპარაკე გვენ ბაუერსს სტოუნის შესახებ და ბოლოს მონახე რაიმე მიზეზი მაკნეირის მოსანახულებლად. რაკი ის და რიდლი ერთ ოთახში სხედან, არ შეიძლება მან რამე არ იცოდეს ამ ტიპის საქმიანობის შესახებ.

გეიბი წამოდგა და მხრებიდან ქერტლი გადაიფერთხა.

— უნდა წავიდე, — თქვა მან. — მისმინე, შენ ისევ ჩემს მხარეზე ხარ? თამაში თანდათან სერიოზული ხდება. გუშინ სათამაშო იარაღი როდი დამიმიზნეს.

ნორტონმა ჰალსტუხის შესხნა დაიწყო. სველი პერანგი ტანზე ეკვროდა.

— შენთან ვარ, გეიბ, ოღონდ მინდა ვიცოდე, ყველაფერი ეს რით დამთავრდება.

— გეტყვი რითაც, — უპასუხა გეიბმა, — უმოკლეს დროში მტერს გავანადგურებთ.

გეიბმა ორივე ხელი გაუშვირა. ნორტონმა დახედა და საინტერესო ვერაფერი შენიშნა, გარდა ჭუჭყიანი ფრჩხილებისა.

— შეხედე, — უთხრა გეიბმა და მაჯა უჩვენა, — ხედავ?

ნორტონი დააშტერდა და მაჯაზე ვარდისფერი ლაქები მართლა შენიშნა.

— ასეა ყოველთვის, — თქვა გეიბმა. — როცა მიზანს ვუახლოვდები, ასეთი ლაქები მიჩნდება, და მერე, როცა სულ ახლოს ვარ, მიზანთან, მთელ ტანზე მაყრის. ეს ჩემი მეექვსე გრძნობაა.

ნორტონი დუმდა.

— ისე, რომ ნუ ღელავ, მეგობარო, — თქვა გეიბმა. — ჩვენ გამოვააშკარავებთ ამ დამპლებს და სამარცხვინო ბოძზე გაგაკრავთ.

თვალი ჩაუკრა, მერე მეგობრულად მოეხვია და ოთახიდან გავიდა.

ნორტონმა თავისუფლად ამოისუნთქა, კარები ჩაკეტა, მიმღები გამორთო და სააბაზანოში შევიდა ვიტამინ „C"-ს მისაღებად. ის გაციებული იყო და გრძნობდა, რომ ავადმყოფობა ეწყებოდა.

22

როგორც კი ნორტონმა კარი გააღო, პენი პირდაპირ მკლავებში ჩაუვარდა.

— ფრთხილად, — უთხრა ნორტონმა. — გაცივებული ვარ.

— ეერე რა, — თქვა ქალმა, აკოცა, ატირდა და ატირებული უფრო მიეკრა მკერდზე.

— ოთახში შემოდი, — თქვა ნორტონმა. — მშიერი ხარ? შემიძლია ერბოკვერცხი შეგიწვა.

— გმადლობთ, არ მინდა. — თავი გაიქნია პენიმ. — ჭამის ხასიათზე არა ვარ.

— ცხელი პუნში ხომ არ გინდა? ეს კვირაა აბებითა და პუნშით ვარსებობ.

— კოკა-კოლა ხომ არა გაქვს? ბოლო ხანებში ისეთ ხლაფორთში გავეხვიე, სმისაც მეშინია, მოწევისაც, წარმოიდგინე, უადგილო ადგილზეც არ გადავდივარ ქუჩაზე.

პენი გაღიმებას შეეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და ისევ ატირდა.

ნორტონმა კოკა-კოლა მოიტანა და სავარძელზე ჩამოჯდა პენის გვერდით.

— აბა, მომიყევი რაშია საქმე.

— მე ისიც კი არ ვიცი, რა ხდება, — ისევ აქვითინდა პენი. — თვითმფრინავში ერთი ტიპი გავიცანი, მერე „ფარაონები" გამოჩნდნენ, დამაყარეს კითხვები. მემუქრებოდნენ სასამართლოთი, ციხით, ლამის ჭკუიდან შევიშალო.

პერიმ ერთი ამოსუნთქვით თქვა ყველაფერი.

— ნუ ჩქარობ, პენი, თავიდან დაიწყე მიმდევრობით.

მან ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, ხელისკანკალით მოუკიდა და თქვა:

— როგორც ჩანს, ყველაფერი ეს თვითმფრინავიდან დაიწყო, — ლოს-ანჟელეს-ვაშინგტონის მარშრუტზე მე პირველი კლასის სალონს ვემსახურებოდი. საუბარი გამიბა ერთმა უცნაურმა ტიპმა. იგი იკვეხნიდა, დიდი პიროვნება ვარო, ათასნაირ უცნაურ ამბავს მიყვებოდა. ბოლოს და ბოლოს ვუთხარი, თქვენი არაფერი მჯერა-მეთქი. მან ეს შეურაცხყოფად მიიღო და თეთრ სახლში შესასვლელი საბუთი მიჩვენა, რომელშიაც მისი სურათი იყო ჩაკრული. თურმე არ ტრაბახობდა.

— წარმოგიდგინა თავი, გვარი და სახელი გითხრა?

— მითხრა, რომ ჰქვია, უეინდელ ბეკსტერი, მაგრამ, როცა საბუთს მიჩვენებდა, გვარს და სახელს თითი დააფარა. პერანგის სამაგრზე კი ასო „რ" ეწერა. ისე, რომ დასკვნები შენ თვითონ გამოიტანე.

ნორტონს არც კი გაჰკვირვებია. ის კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ გეიბი მართალია: როგორც ჩანს, მთელ მსოფლიოს მის წინააღმდეგ შეუკრავს პირი, — გაიფიქრა მან.

— პენი, ის ორმოცდახუთი წლისაა, გამხდარ-გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილი მუქი თმა აქვს და ცელური გამოსედვა, არა?

პენის თვალები კაკლის მურაბასავით დაუმრგვალდა.

— შენ საიდან იცი?

— ეს გრძელი ამბავია. მიამბე დაწვრილებით რაზე გესაუბრებოდა.

— მისთვის, რომ მოგესმინა, საერთაშორისო რანგის ჯაშუში გეგონებოდა. ბევრს ლაპარაკობდა იარაღებზე, თქვა, რომ ისეთი იარაღი აქვს, რომლითაც მოსახვევიდანაც კი ესვრის მიზანში. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით თქვა. ყვებოდა ლოწდონის კერძო კლუბებზე, სადაც კარტს თამაშობდა. თქვა, რომ პირადად იცნობს ირანის შაჰს, ასახელებდა მსოფლიოში ცნობილ კინომსახიობების გვარებს. ბოლოს ლაპარაკი ჯეფზე დაიწყო.

— ფილდსზე?

— ჰო, ჩემი სისულელით წამოვრიშე, რომ ფილდსთან

წვეულებებზე ვარ ნამყოფი. ამას ჩაეჭიდა. დამიწყო გამოკითხვა, როგორ წვეულებებს მართავდა ჯეფი. მერე საუბრის თემა შევცვალე და ის ისევ მოჰყვა ტრაბახს თავის საგმირო საქმეებზე.

— მან არ გითხრა, რატომ აქვს თეთრ სახლში შესასვლელი საბუთი?

— თქვა, რომ სპეციალურ დავალებებს ასრულებს, ამას ისე ყვებოდა, თითქოს ამადლიდა თეთრი სახლის ბინადართ თავის სამსახურს. უიტმორზე მაღალი აზრის არ არის. ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, თქვა, რომ სახელმწიფოს სჭირდება ახალი ხელმძღვანელობა და „კონსტიტუციური პრინციპი". წარმოდგენა არა მაქვს, ამაში რას გულისხმობდა. მისი ბოდვების მოსმენა შეუძლებელი იყო. მაგრამ თითქოს მომაჯადოვაო, ვერ ვაცილებდი თვალს.

პენიმ კოკა-კოლა მოსვა.

— ბოლოს, როცა ჩვენ დალასში დავფრინდით, შემომთავაზა, ერთად ვისადილოთო; საქმე მაინც არაფერი მქონდა და დავთანხმდი; მერე ვაშინგტონში ჩამოვფრინდით და რომელიღაც არაბულ რესტორანში წავედით; მოკლედ, რომ ვთქვა, დავთვერი. მან, კაპიტოლიუმის გორაკზე, რომელიღაც ბინძურ ბინაში მიმიყვანა. იმის მაგიერ, რომ მომხვეოდა და ლოგინზე დავეგორებინე, ამისათვის ყოველ შემთხვევაში მზად ვიყავი, მან ჯეფის შესახებ დამიწყო გამოკითხვა, მასთან წვეულებებზე ღებულობენ თუ არა ნარკოტიკებს. ოღონდ მომშვებოდა და რაც ვიცოდი, ყველაფერი გადმოვულაგე, მერე ტაქსი გამოიძახა და თავის მეგობრებთან წამიყვანა. ის ღამე იქ გავათიე.

— პენი, თუ შეგიძლია მიაგნო იმ სახლს?

— არა მგონია, ჩემზე უკეთ იცი, იმ გორაკზე ყველა სახლი ერთმანეთს ჰგავს. იქნებ ვიცწო კიდეც, თუ გვერდით ჩავუარე.

— ხვალ უნდა გავისეირნოთ იმ გორაკზე, იქნებ ვიპოვოთ, თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა, ბენ.

— მერე რა მოხდა?

— დაახლოებით მთელი კვირა არაფერი. მერე, ერთ დილას, როცა გასაფრენად ვემზადებოდი, ორი ტიპი მოგიახლ-

ლოვდა და ვერცხლისფერი ნიშნები მაჩვენეს. მითხრეს, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ბიუროს აგენტები არიან. მემუქრებოდნენ, სურდათ, რაღაც კითხვებზე მეპასუხა. მე ვუთხარი: რას ამბობთ, ბიჭებო, მე არაფერი ვიცი. თვითმფრინავს უნდა მივუსწრო-მეთქი, მაშინ მათ მითხრეს, — თუ გსურს, შენს უფროსს მოველაპარაკებითო, — ზრდილობიანად, ისე, თითქოს დიდ სიკეთეს მიკეთებდნენ, მაგრამ იმის გაფიქრებაზეც კი, რომ ისინი ჩემს უფროსთან დამასმენდნენ, გამაჟრჟოლა.

— მათ ეს წინასწარ იცოდნენ.

— კარგად არ მახსოვს, ალბათ, მე ვკითხე, რისი გაგება სურდათ და დაიწყო გაუთავებელი შეკითხვები ნარკოტიკების შესახებ: ვღებულობ თუ არა მე, ვიცნობ თუ არა ვინმეს, ვინც ნარკოტიკებს ხმარობს. მე სიცილით ვპასუხობდი: „რაზეა აქ ლაპარაკი, ბიჭებო, ყველა ეწევა ბალახს, ყველა ყნოსავს ბედნიერების ფხვნილს. გულწრფელად უნდა გითხრა, ბენ, გაფრენის წინ ყველა გოგო ეწევა, ან ყნოსავს ფხვნილს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ გაუღიმონ ყველა დებილ მგზავრს, მაგრამ ეს ტიპები მაინც არ მეშვებოდნენ და მალე გადავიდნენ ჯეფ ფილდსზე. დაპატიჟებულთა შორის ვინ ხმარობდა ნარკოტიკებს წვეულებაზე, საიდან მაქვს ნარკოტიკები და სხვა. ბოლოს და ბოლოს, როცა სულ მთლად გამომიყვანეს მდგომარეობიდან, მე კატეგორიულად განვუცხადე, რომ მეტს არაფერს ვეტყოდი.

პენი დადუმდა და კოკა-კოლა მოსვა. ნორტონმა დააცემინა.

— ცხელი პუნში დალიე, — თქვა პენიმ. — იქნებ მეც დავლიო.

— კარგი აზრია, — თქვა ნორტონმა. — სამზარეულოში შევიდა, წყალი აადუღა, ყავის ფინჯნებში ჩაასხა თითო ჭიქა ვისკი, შეავსო ადუღებული წყლით, დაუმატა თაფლი და ორორი მუსკატის კაკალი.

პენიმ მოსვა სასმელი და გაიცინა.

— ეს კარგია, — თქვა მან. — მე, რომ მხოლოდ ვსვამდე, ალბათ, ასეთ შარში არ გავეხვეოდი, ანდა, ვინ იცის, იქნებ მაინც არ ამცდებოდა, ისეთ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი.

— პენი, გითხრა იმ ხალხმა, რომ ვალდებული არა ხარ

მათ კითხვებს უპასუხო? რომ შეგიძლია გამოიძახო ადვოკატი? რომ ყველა შენი ნათქვამი შეიძლება შენს საწინააღმდეგოდ შემობრუნდეს?

— საერთოდ არა, თუმცა ერთმა წაილაპარაკა, რომ მე ვალდებული არა ვარ კითხვებს ვუპასუხო, აქ მეორე ჩაერია და თქვა, რომ ჩემთვის უკეთესია ვუპასუხო, რადგან ჩემი მდგომარეობა ისედაც ცუდია. მე მთლად დავიბენი. ერთმა იმაზე წამოიწყო საუბარი, რა საშინელ მდგომარეობაში არიან ჩემი მსგავსი გოგოები ციხეში. კინაღამ ავტირდი. მეორემ კი დაყვავებით მითხრა, მათ სურთ ჩემგან სიმართლე გაიგონ. სიმართლეს კი ყოველთვის სიკეთე მოაქვს.

ნორტონმა ამოიკვნესა.

— პენი, გამიგონე; პოლიციელმა რომ გკითხოს — რომელი საათიაო, უნდა უპასუხო, ჰკითხეთ ჩემს ადვოკატს-თქო.

— რა თქმა უნდა, შენთვის უნდა დამერეკა, — თქვა მან. — მაგრამ მე მაშინვე ლოს-ანჟელესში გავფრინდი. იქ რამდენიმე დღე გავატარე და დავმშვიდდი. ვფიქრობდი, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მაგრამ, როგორც კი ვაშინგტონში დავბრუნდი, ის ორივე ტიპი ტრაპთან მელოდა. ამჯერად მათ მითხრეს, პროკურორს სურს შენი წასვაო. მე ყბა ამიკანკალდა, შენი გამოძახება მინდოდა, მაგრამ ისინი უკვე მოელაპარაკნენ ჩემს ინსპექტორს და მან მითხრა, თუ ხელს არ შეუწყობ მათ, უმუშევარი დარჩებიო. სამუშაო კი, შენ ჩემზე უკეთ იცი, ქუჩაში არ ყრია. და ბევრ ჩემზე უკეთეს გოგოს უჭირს ცხოვრება. მივხვდი, რომ საუკეთესო გამოსავალი იყო წავსულიყავი პროკურორთან და წავედი კიდეც.

— ფრენკ კიფნერთან.

— შენ იცნობ მას?

— ვიცნობ, — უპასუხა ნორტონმა. — რა გითხრა?

— პირველად რბილად, დაყვავებით მელაპარაკა. მითხრა, მე სწორად მოვიქეცი მასთან, რომ წებაყოფლობით მივედი. რომ საჭიროა გაირკვეს ზოგიერთი დეტალი. მერე კი ჩვენს შორის ისევ დაიწყო ჩვეულებრივი თამაში, რომელიც დაასლოებით ოცი კითხვისაგან შედგებოდა. ძირითადად ფილდსზე და ნარკოტიკებზე. ის მეკითხებოდა, ვხმარობ თუ არა კოკაინს. „მხოლოდ კბილების საწმენდად", — ვუპასუხე. მაგრამ მას არც კი გაუღიმია. მეკითხებოდა, ყნოსავდნენ წვეუ-

ლებებზე ნარკოტიკებს თუ არა. მე ვუპასუხე, რომ კი. თვითონ ჯეფი? — ამ კითხვაზეც დადებითად ვუპასუხე. მათ უნდოდათ ჩემთვის ეთქმევინებინათ, რომ ეს კოკაინი ჯეფის იყო, და, რომ ის ვაჭრობს ნარკოტიკებით. მე ვუპასუხე, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ეს ვთქვი თუ არა, ყველა ერთად ალაპარაკდა დიდი ჟიურის შესახებ. მე ისევ ავტირდი. ბოლოს და ბოლოს გამომიშვეს, მაგრამ გამაფრთხილეს, რომ შესაძლებელია ისევ დაგვჭირდეო. რამდენიმე დღის წინ დამირეკეს. მითხრეს, რომ კიფნერს ისევ დასჭირდა ჩემი ნასვა. ამის შემდეგ დაგირეკე შენ. აღარ შემიძლია ამ კაცთან შესვედრა, ბენ, მას ისეთი ცივი შემოხედვა აქვს.

— ღმერთო, როგორ ვწუხვარ, რომ ადრე არ დამირეკე!

— მაპატიე, — თქვა პენიმ. — ასეთი სულელი ვარ.

— არა, შენ ისეთი გულუბრყვილო გოგონა ხარ, რომლის მოტყუებაც ნებისმიერ წერა-კითხვის უცოდინარ პოლიციელსაც კი შეუძლია. მით უმეტეს, ისეთი იურისტი, როგორიც, კიფნერია, რა თქმა უნდა, აგიბნევდა გზას.

— ჩემი საქმე ძალიან ცუდად არის?

— არა მგონია. მე დარწმუნებული ვარ, შენით არ არიან ისინი დაინტერესებულნი. მე ვფიქრობ, ისინი იმისთვის თითსნიან ამ საქმეს, რომ ზეგავლენა მოახდინონ ფილდსზე და ამით აიძულონ იგი, პატარა სამსახური გაუწიოს მათ. ამიტომ გათქმევინეს შენ და, ალბათ, კიდევ სხვასაც რაღაცრაღაცები მის შესახებ. ამას ჩვენს ენაზე „დამუშავება" ჰქვია. აწვებიან პატარა ადამიანებს, რომ მიაღწიონ უფრო დიდებამდე.

— ვერ გავიგე, — თქვა პენიმ. — რა უნდათ ფილდსისაგან?

— ვინ იცის, — უპასუხა ნორტონმა. თუმცა დარწმუნებული იყო კოკაინის საქმის გახსნით ფილდსი აიძულეს ეთქვა, რომ დოწა მისგან არის დაორსულებული.

— რა მიზეზით მიძახებენ ისევ მე?

— არ ვიცი, ალბათ, უნდათ შექმნან ილუზია, რომ ეს კანონიერი გამოძიებაა და არა პოლიტიკური შანტაჟი.

გაკვირვებულმა პენიმ დაახამხამა ჯაგრისივით წამწამები.

— შენი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ეს შანტაჟია! — თქვა ქალმა. — ხელისუფლება გვაშინებს კანონით, როგორც ბო-

როტმოქმედი — იარაღით. ნუთუ ასეთი რამ დასაშვებია? მი-ი.ხარი, ასეთ სასელმწიფოში ცხოვრება შეიძლება?

— ასეთი ამბები ხდება ყოველდღე და ყოველ წუთში, — უპასუხა ნორტონმა. — კანონი ნარკოტიკების წინააღმდეგ კი ამძიმებს მდგომარეობას. დაიმახსოვრე, პენი, როცა ეწევი მარიხუანას, ან ყნოსავ კოკაინს, შენ არღვევ კანონს, ამდენად, ხელისუფლების სამოწყალო ხდები. მოწყალების გაცემაზე კი ისინი არც ისე გულუხვები არიან.

პენი შეკრთა და სახეზე ხელები აიფარა.

— უკვე გვიანაა, — უთხრა პენის ნორტონმა. — სად დაბინავდი?

— არსად, თუ გაქვს ოთახი, შენთან დავრჩები?

ნორტონმა თავი გაიქნია.

— ასე არ ივარგებს, პენი.

— ჩვენ შეგვიძლია და-ძმასავით ვიყოთ, — თქვა პენიმ.

— იცი რა, პენი, ჩვენი შეხვედრის შემდეგ მე... ასე ვთქვათ...

— საყვარელი გაიჩინე, არა? — თქვა პენიმ.

— საერთოდ კი, ყველაფერი ისე უცაბედად მოხდა. თუმცაღა...

პენის გაეღიმა.

— რა თქმა უნდა, მას არ ესიამოვნება, მე რომ შენთან ღამე გავათიო.

— შენ სწორად გამიგე, — თქვა ნორტონმა. — მისმინე, იქნებ მასთან წახვიდე. ის ფოგი ბოტომში ცხოვრობს. ცენტრთან ახლოს, მას საძინებელი თავისუფალი აქვს. საქმე იმაშია, რომ მე უნდა მოველაპარაკო კიფნერს. საჭიროა, მანამდე არავის შეხვდე.

— რა ჰქვია მას.

— ენი, — თქვა ნორტონმა.

— ენი, — ნაღვლიანად გაიმეორა პენიმ. — ალბათ, ჭკვიანია და არა ჩემსავით სულელი. გოგონა სავარძლის ზურგს მიეყრდნო და ატირდა.

ნორტონმა მხარზე შეახო ხელი.

— პენი, შენ გეშლება. შენ და ენის ბევრი საერთო გაქვთ. თქვენ ორივენი სამართლიანები ხართ, ორივენი — კარგები,

და მშვენივრად შეეწყობით ერთმანეთს. ჩვენ სამივენი მეგობრები ვიქნებით. მივეხმარებით ერთმანეთს, თანახმა ხარ?

ის ნორტონისაკენ შემობრუნდა. თვალი ჩაუკრა, ხელები გაშალა. ნორტონმა გულში ჩაიკრა თვალცრემლიანი გოგონა. მერე ტელეფონთან მივიდა და ენის დაურეკა. წამიერი სიჩუმის შემდეგ ტელეფონში ენის ხმა გაისმა:

— ნორტონ, თუ პენი ათ წუთში ჩემთან არ იქნება, მე მას კისერს მოვუგრეხ, გესმის.

23

კლეი მაკნეირი ჩაფიქრებული კითხულობდა თეთრი სახლის შეფ-მზარეულის განცხადებას, რომლითაც იგი მოითხოვდა ბიუჯეტის ოცდაათი პროცენტით გაზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში სამზარეულოს მუშაკთა გაფიცვით იმუქრებოდა, უცებ კაბინეტში ბაირონ რიდლი შემოვარდა, კარი მიაჯახუნა და პატარა ტელევიზორი „პონი" ჩართო, რომელიც მის მაგიდასთან ახლოს იდგა.

მაკნეირმა გაბრაზებულმა ახედა.

— ბაირონ, თქვენის ნებართვით, მე მსურს მუშაობა განვაგრძო.

რიდლმა კლეის სიტყვებს წაუყრუა. ის თვალის მოუცილებლად შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანს, სადაც ჩასუქებული ქალი იდგა ახალთახალი მარკის ავტომობილთან.

— ბაირონ, მე ვმუშაობ!

— შეისვენე, მეგობარო, — უპასუხა ცალყბად რიდლმა. — იცი, რამდენიმე წუთში რა მოხდება?

მაკნეირმა ამოიოხრა და შეფ-მზარეულის განცხადება გვერდზე გადადო.

— არა, ბაირონ, შენი აზრით, რა უნდა მოხდეს?

— დონი რიპლმა პრეს-კონფერენცია მოიწვია, — უპასუხა რიდლმა. მისმა თვითკმაყოფილებამ მაკნეირი ჩააფიქრა.

— პრეს-კონფერენცია? რა მიზნით? მისთვის ხომ ჯერ ადრეა პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრა.

— ოჰო, — უპასუხა რიდლმა ღვარძლიანი ღიმილით, — მომავალი გვიჩვენებს.

მაკნეირმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი. პოლიტიკოსები

მუდამ კამათობდნენ, იქნებიოდა თუ არა სამი წლის შემდეგ სენატორი რიპლი პრეზიდენტ უიტმორის მეტოქე, თუმცა ეს საკითხი სულაც არ აწუხებდა მაკნეირს. ამ დროისათვის მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თეთრი სახლიდან წასვლა, რომ უფრო მშვიდ ცხოვრებას დაბრუნებოდა, უფრო მეტიც, მისთვის სულ ერთი იყო, ვინ ჩაჯდებოდა პრეზიდენტის საკარძელში. იგი დიდი ხანია დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკოსები ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ორი წვეთი წყალი. მათ ისეთ რეკლამას უქმნიან, თითქოს, რაღაც უნიკალურს წარმოადგენენ, სინამდვილეში კი არავითარი განსხვავებაა. მაკნეირი ფიქრობდა: თანამდებობის მიღწევისათვის რაც მეტი ნიჭი აქვს ადამიანს, როცა მიზანს მიაღწევს, მით ნაკლები აღმოაჩნდება თავისი მოვალეობის შესრულებისას.

— დაიწყეთ, ეშმაკსაც წაუღისართ, დაიწყეთ! — თქვა მოთმინებიდან გამოსულმა ბაირონ რიდლმა. სენატორის პრეს-კონფერენციის წინ ტელევიზია გადმოსცემდა კომერციული ფილმების გაუთავებელ სერიას. ეკრანზე მოხუცი, ცოტა მოთავხედო ქალი გადმოსცემდა სარეცხის ფხვნილის დადებით თვისებებს.

— ღირსეული მთავრობა გვყავდეს, — ღვარძლიანად შენიშნა რიდლმა, — ხალხს არ მოუხდებოდა ასეთი სისაძაგლის ყურება.

— ბაირონ, რეკლამა ჩვენ გვჭირდება, — შეედავა მაკნეირი. — ის ამოძრავებს სახელმწიფო მანქანას.

— მისმინე, მეგობარო, ამ ქვეყანას სჭირდება ისეთი მთავრობა, რომელიც ბოლოს მოუღებს უხერხულობას და საპნის გაყიდვას კი არ გაუწევს რეკლამას, — წაიღრინა რიდლმა.

ის ნერვიულობდა და თან ჯიბეებში ეძებდა სიგარეტს, რომ ვერ მონახა, უჯრა გამოაღო, „მარლბოროს“ გაუხსნელი კოლოფი ამოიღო, როგორც კი სიგარეტს მოუკიდა, ტელევიზორის ეკრანზე ძაღლის საჭმელი კონსერვის ქილა კაპიტოლიუმის გუმბათმა შეცვალა, შემდეგ გამოჩნდა ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველის დაბნეული სახე, ის ლაპარაკობდა:

— დღეს მოულოდნელმა პრეს-კონფერენციამ გააოგნა ვაშინგტონელები. ძველი ვაშინგტონელი ტელემაყურებლები

ფიქრობენ, რომ სენატორ რიპლისათვის ჯერ ნაადრევია საპრეზიდენტო პროგრამის გამოცხადება. თუმცა ამის უფლება მას აქვს, ამიტომ ჩვენს გადაცემაში ვრთავთ პრესკონფერენციას...

გამოჩნდა დონოვან რიპლი. მისი წარმოსადეგი დაღლილი სახე ეკრანზე მსხვილი პლანით აჩვენეს, მის ზურგს უკან მოჩანდა ამერიკის შეერთებული შტატების დასვეული დროშა, გვერდით მეუღლე და ბავშვები ესხდნენ. მეუღლეს, მომხიბვლელ ქალს, შემცბარი გამოხედვა ჰქონდა, გოგონები კი ისე იყურებოდნენ ეკრანიდან, თითქოს შახტში მომსდარ კატასტროფას უცქერიანო.

— ამერიკელო თანამოქალაქენო, — წარმოთქვა დონოვან რიპლიმ, — მილიონების იმედის გამმართლებელი მომავალი პრეზიდენტი თქვენს წინაშეა. დღეს აქ ვარ იმისათვის, რათა მოგახსენოთ ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, ბევრი ლოცვის, ჩემს საყვარელ ცოლთან, ბევრ მეგობართან ერთად, მრავალგზის მსჯელობისა და კამათის შემდეგ რომ მივიღე. ისინი მომიწოდებენ ვემსახურო ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებას.

კლეი მაკნეირი მოიღუშა, ბაირონ რიდლი კი აღტაცებული იყო.

— ...საზოგადო მოღვაწე, — აგრძელებდა სენატორი. — მუდამ თანაზომიერად უნდა ზრუნავდეს, როგორც თავის უახლოეს ადამიანებზე, ასევე ჩვენი დიდი ქვეყნის რიგით მოქალაქეზე...

ბაირონ რიდლი მუშტს აბრახუნებდა მაგიდაზე და თან უსმოდ იცინოდა.

— ...შეიძლება დიდი ნებისყოფაა საჭირო, მაგრამ აუცილებელია, ცოლ-შვილის სურვილის გამო არც ახლა და არც მომავალში არ გახდე შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი.

რიდლი წამოხტა და გადარეულივით დაიწყო კაბინეტში ცეკვა, ტელეეკრანზეც იგივე ხდებოდა. თავაზიანი პოლიტიკური კომენტატორი წყლიდან ახალამოვარდნილი თევზივით აღებდა პირს.

...თითქოს ბომბი აფეთქდაო... წარმოუდგენლად უცაბე-

დად... საკუთარი ოჯახის ღრმა ერთგულება ისე ცვლის ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკას.

— მორჩა! — იყვირა ბაირონ რიდლმა. — რიპლი გამოვიდა თამაშიდან!

გაღიზიანებული მაკნეირი ადგა და ტელევიზორი გამორთო.

— ბაირონ, დამშვიდდი. ეს ხომ არცთუ ისეთი მნიშვნელოვანი საქმეა.

— არცთუ ისეთი მნიშვნელოვანი საქმეაო? — გაიმეორა რიდლმა და სიცილისაგან ისე ჩაბჟირდა, რომ თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა, — მომისმინე, მეგობარო, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა, რომელშიაც მე პირადად ვმონაწილეობდი.

— მონაწილეობდი? როგორ თუ მონაწილეობდი? — მაკნეირს მოეჩვენა, რომ მისი კომპანიონი გაგიჟდა.

— უბრალოდ სიტყვის თამაშია, — უპასუხა რიდლმა, როგორც კი გონს მოეგო, — მე უნდა წავიდე, ეს ყველაფერს ცვლის, უნდა მოველაპარაკო მერფის, ნახვამდის, მაკნეირ.

— ბაირონ, ამ მოსსენებით ბარათს რა ვუყოთ... — უნდოდა დაეწყო მაკნეირს, მაგრამ რიდლმა კარი მოიჯასუნა და კაბინეტიდან გავარდა.

კლეი მაკნეირმა თავისუფლად ამოისუნთქა და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

ეს სიგიჟე ერთობ გაჭიანურდა. არ ვიცი—რა მნიშვნელოვან მომსახურებას უწევს ბაირონ რიდლი ედი მერფის და სსვა ხალხს თეთრ სახლში, ვიცი მხოლოდ ის, რომ, ბაირონი ხელს მიშლის მუშაობაში. ალბათ საჭირო გახდება ედი მერფთან მოლაპარაკება. ბოლოს და ბოლოს ბაირონ რიდლს ალბათ სხვა კაბინეტში გადასვლა მოუწევს. საკმარისია, უკვე ყელში ამომივიდა. — ფიქრობდა კლეი.

მაკნეირი კვლავ გადასწვდა შეფ-მზარეულის საჩივარს, ამ დროს თვალში ეცა ერთი უჩვეულო რამ. რიდლს მაგიდის უჯრა გამოღებული დაეტოვებინა. მაკნეირი შეცბუნებული იყო. რიდლი ხომ თავის უჯრას ვეფხვივით დარაჯობდა. მან ვერ დაძლია სურვილი, ჩაეხედა რიდლის უჯრაში.

არა, უთხრა მან თავის თავს, ეს უღირსი საქციელი იქნება, თეთრი სახლის მოსამსახურეები ასე არ უნდა იქცეოდნენ.

„მიუხედავად ამისა, გაიელვა აზრმა, იქ შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი რამე, რაც კომპრომენტირებას გაუწევს რიდლს, მაშინ ედი მერფთან მისი თხოვნა უფრო დასაბუთებული იქნება". მაკნეირი ყველაფრისათვის მზად იყო, ოღონდ ბაირონ რიდლი თავისი ოთახიდან და ცხოვრებიდან გაეძევებინა.

ის სწრაფად მიუახლოვდა მაგიდას და უჯრა გამოსწია. იქ აღმოჩნდა ერთი ბლოკი სიგარეტი „მარლბორო", კალიფორნიის რუკა და ორი ქაღალდის კონვერტი. მაკნეირმა აიღო ის, რაც ზემოდან ელაგა. კონვერტი დაბეჭდილი აღმოჩნდა, ზედ ეწერა: დ. ხ.-ს ფირი. შიგ ისინჯებოდა მრგვალი კოჭი. მაკნეირი მოიღუშა, პაკეტი ისევ უჯრაში ჩადო და მეორე პაკეტი ამოიღო, რომელიც სავსე იყო ძირითადად 100-დოლარიანი და რამდენიმე 50-დოლარიანი კუპიურებით. მაკნეირმა თვალით განსაზღვრა, კონვერტში 10 ათას დოლარამდე ფული იდო.

მაკნეირი უყურებდა ფულს და გული გამალებით უცემდა, ლამის ამოვარდნოდა საგულედან, გონება ციებიანივით უმუშავებდა. ის ფიქრობდა, რაც სახელმწიფო სამსახურში გადავიდა, გაცილებით ნაკლებ ხელფასს ღებულობდა, მარტო კერძო სკოლაში ბავშვების სწავლა წელიწადში 5 ათასი დოლარი უჯდებოდა, მეუღლე ცალკე ეჩხუბებოდა, ბევრს მუშაობ, ჩვენთვის სულ არ გცალია, ორი წელია შვებულებაშიც კი არ ყოფილხარო. მაკნეირმა უცებ გაიაზრა, რა კარგი იქნებოდა, აეღო შვებულება და ოჯახთან ერთად სადმე ფეშენებელურ კურორტზე დასასვენებლად წასულიყო. მაგრამ ფული რომ არ ჰქონდა? მან ხელი ჩაჰყო კონვერტში. მხოლოდ ორი ათასი, სულ ოცი კუპიური. ბაირონმა იქნებ ვერც კი შეამჩნიოს, რა ბრწყინვალედ გაატარებს შვებულებას ოჯახთან ერთად.

უცებ კარი გაიღო და ოთახში ბაირონ რიდლი შემოვიდა, მაკნეირი დაიბნა და კონვერტი ხელიდან გაუვარდა.

— ტყუილად სჩადიხარ ამას, მაკნეირ, — კბილებში გამოსცრა რიდლმა.

— უჯრა ღია დაგრჩა, — მშვიდად უპასუხა კლეიმ, — და გადავწყვიტე, დამეკეტა, საჭიროა უფრო ყურადღებიანად იყო, ბაირონ.

მაკნეირმა რაღაც უსერხულად, ბავშვურად გაიღიმა, მაგრამ ღიმილი სახეზე შეაშრა, რიდლი მკვლელის თვალებით უყურებდა. მაკნეირმა მხრები აიჩეჩა და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

— მისმინე, ბაირონ, — თქვა მან. — მე მგონი ჩვენ დიდი ხანია უნდა გველაპარაკა ამაზე, მე უკვე მომბეზრდა...

უცებ რიდლის მუშტი ფერდში მოხვდა მაკნეირს. იგი ტკივილისაგან მოიხარა, იგრძნო, რომ გული ერეოდა. რიდლმა ჰალსტუხში ჩაავლო ხელი, კედელს მიაკრა და ალიყური აჭამა. მაკნეირი თავის დაცვას შეეცადა, მაგრამ ამ დროს კისერში ხელის ძლიერი დარტყმა იგრძნო და ხელები ჩამოუცვივდა.

— ბაირონ, თუ ღმერთი გწამს! — შეევედრა კლეი.

რიდლმა კიდევ ერთი სილა გააწნა.

— როგორ გააღე უჯრა?

— თვითონ დაგრჩა ღია.

რიდლმა ისევ დაარტყა მუცლის არეში და მაკნეირი მუხლებზე დაეცა. „მომკლავს, — გაუელვა თავში. — ეს დამთხვეული აქვე მომკლავს თეთრი სახლის ცოკოლის სართულზე".

— ბაირონ, — ემუდარებოდა ის, — თუ ჩვენს შორის რაიმე პრობლემა გაჩნდა, მოდი განვსაჯოთ. როგორც...

რიდლმა თმებში ხელი ჩაავლო და თავი ისე მიარტყმევინა კედელს, რომ კლეის თვალთ დაუბნელდა.

— ფული გინდა, ნაძირალავ? — ღვარძლიანად ჩაიჩურჩულა რიდლმა, — ფული გჭირდება არა? კარგი, მოგცემ.

მან კონვერტიდან 100-დოლარიანი ამოიღო და უბეში ჩაუჩარა.

— ხეთქე, ნაძირალავ!

— რაა?

— მე გეუბნები ხეთქე-მეთქი!

რიდლმა ხელახლა გააწნა სახეში და ახლა ფული პირში ჩაუტენა.

— დაღეჭე და გადაყლაპე.

მაკნეირმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ, როგორც კი რიდლმა მუშტი დასარტყმელად შემართა, ღეჭვა დაიწყო. ფული საშინელი ჭუჭყიანი იყო. მას შეეშინდა არ მაღებინოსო და ტირილი დაიწყო.

— გადაყლაპე, თორემ მოგკლავ, — თქვა რიდლმა.

მაკნეირს ჯერ გულზე დაადგა, შემდეგ გადაყლაპა. მერე ოთხზე დადგა და გაოგნებული დააშტერდა იატაკს.

— რა ნახე უჯრაში? — მკვახედ ჰკითხა რიდლმა.

— არაფერი, ბაირონ, გეფიცები, არაფერი...

რიდლმა ფესი ამოარტყა ფერდში.

— ტყუი, რა ნახე?

— სიგარეტი, რუკა, ფული.

— კიდევ რა?

— კონვერტი.

— რა ეწერა?

— არ ვიცი.

რიდლმა ხელახლა წასცხო წისლი.

— რა ეწერა.

— ღმერთს ვფიცავარ, არ ვიცი.

რიდლმა დაიჩოქა და ყურში ნასჩურჩულა:

— როგორც კი ვინმეს ეტყვი, რა ნახე უჯრაში, მოგკლავ. გასაგებია?

— დიახ, ბაირონ.

— მაშინვე არა. მოგკლავ წელ-წელა. ცოლსაც და შვილებსაც მოგიკლავ. არ გეგონოს, რომ ვხუმრობ!

— არა, ბაირონ, — ჩურჩულით თქვა მაკნეირმა, — ახლა შეიძლება ავდგე?

— იწექი ადგილზე.

— ბაირონ, ამის შემდეგ ჩვენ არ შეიძლება ერთ კაბინეტში ვისხდეთ.

— ბოლოს და ბოლოს რაღაც გოწივრული გავიგონე შენგან. ჰოდა, უთხარი მერფს, რომ სხვაგან გინდა გადათრევა.

— კი, ბაირონ, როგორც ბრძანებ.

— ეს უკვე კარგია. ახლა შეგიძლია წამოდგომა.

მაკნეირი ძლივს წამოდგა ფეხზე. რიდლი კედელს მიეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა.

— მე არ მსიამოვნებს, შენ რომ ასე გექცევი, — თქვა მან. — ეს ჩემი სტილი არ არის. მაგრამ უნდა გაიგო, მე გასრულებ დიდი ხალხის საიდუმლო დავალებებს. და ამიტომ არავითარი გაჟონვა არ უნდა მოხდეს, ასე რომ, მოკეტე. და მომავალ-

ში, ჩვენს შორის არავითარი პრობლემა აღარ იქნება, მოვილაპარაკეთ?

— მოვილაპარაკეთ, — უპასუხა მაკნეირმა. მას საშინლად აწუხებდა ფერდის ტკივილი, იქ სადაც რიდლმა წიხლი ჩასცხო. — მგონი ნეკნი მაქვს გატეხილი, — გაიფიქრა.

— და აი რა, ბაირონ... მე ბოდიშს გიხდი, შენი მაგიდის უჯრაში, რომ ჩავიხედე. ეს არ უნდა გამეკეთებინა.

— აი, ეს კაცური სიტყვაა, — თქვა ბაირონმა და მოულოდნელად ხელი გაუწოდა. გაოცებულმა მაკნეირმა და მისმა მტანჯველმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— ჩვენს შორის არავითარი პრობლემა არ უნდა არსებობდეს, — თქვა რიდლმა. — შენ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე ხარ, ისეთებს, როგორიც შენ ხარ, აქ თავისი ადგილი აქვს მიჩნეული, ბაირონ რიდლი კი — მარტოხელა მგელია, რომელიც მოქმედებს თავისი სიცოცხლის საფრთხის ფასად და ასრულებს ურთულეს დავალებებს, რომელსაც სხვა არავინ ხელს არ ჰკიდებს. გირჩევ, ამიერიდან რაც შეიძლება შორს იყო ჩემგან.

— თანახმა ვარ, — თქვა მაკნეირმა.

— შესანიშნავია! ახლა კი სახით კედლისაკენ მიბრუნდი.

— რაა?

— არ გესმის, სახით კედლისაკენ!

მაკნეირი სწრაფად მიბრუნდა კედლისაკენ. მან გაიგონა, რიდლმა, როგორ გამოაღო მაგიდის უჯრა და როგორ გადაალაგა ყველაფერი, რაც უჯრაში იყო თავის დიპლომატში.

— ნახვამდის, მაკნეირ, — თქვა რიდლმა ერთი წუთის შემდეგ. — გახსოვდეს ჩემი გაფრთხილება. ხმა გაიკმიდე და ყველაფერი კარგად იქნება.

კარი დაიხურა. მაკნეირი ნელა შემობრუნდა, დაინახა, რომ რიდლი ოთახში აღარ იყო და სასწრაფოდ დაკეტა კარი. თითქოს რომელიმე საკეტს შეეძლო მისი დაცვა ბაირონ რიდლისაგან. ტკივილებისაგან გამწარებული თავის მაგიდას მიუჯდა და დაიწყო ფიქრი იმაზე, რა მოხდებოდა მომავალში. ალბათ, ყველაფერი უნდა ვუამბო ედი მერფს, ამ მანიაკთან, ერთი წუთის წინ რომ მკლავდა, ჩემი შემდგომი მუშაობა შეუძლებელია.

და მაინც... რა ვქნა, თუ ბაირონმა ყველაფერი სიმართ-

ლე თქვა? თუ ის მართლა ასრულებს ედი მერფისა და ბრეზიდენტის საიდუმლო დავალებებს. ვაიდა თქვას, რომ მე საშიშროების წინაშე დავაყენე მათი საიდუმლოება? მერე რა მეშველება, თუ ამის გამო მე გამაგდეს სამსახურიდან და არა რიდლი? მაშინ ყველა ჩემი სამომავლო გეგმა ჩაიშლება. არც ერთი კორპორაცია არ მომცემს ისეთ სამუშაოს, როგორიც მინდა. იქნებ ჯობდეს გავჩუმდე, გადავბარგდე სხვა კაბინეტში და თავი ავარიდო ბაირონს? გინდაც ამისათვის სხვა კარიდან დამჭირდეს თეთრ სახლში შემოსვლა. ჩემთვის ახლა აუცილებელია, ვიცოდე მხოლოდ ჩემი საქმე. მე მგონი, ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალია. მაგრამ, ერთხელ გაჩაღებული ცნობისმოყვარეობის ცეცხლი, მაინც გიზგიზებდა. რატომ გაცხარდა ასე ძალიან რიდლი? რა იდო იმ კონვერტში? ვის დასაღუპავად იყო გამზადებული? ვისი დოსიე იყო ჩაწერილი ფირზე? აი რა კითხვები აწუხებდა მაკნეირს.

დ. ხ.-ს ფირი, ნუთუ „დონა ხენდრიკსი"? ეს შეუძლებელია.

ამ ფიქრმა უცებ გაუელვა და საშინლად შეაშინა.

რა ურთიერთობა ჰქონდა რიდლს მოკლულთან? რა ფირია ეს? რა საიდუმლო შეიძლება ყოფილიყო ჩაწერილი მასზე, რისთვისაც რამდენიმე წუთის წინ კინაღამ მოკლეს? მაკნეირს ისეთი აზრები მოეძალა, რომელზედაც არ სურდა ეფიქრა. მას ხომ მხოლოდ თავისი სამუშაოს შესრულება, უფროსების სიამოვნება და დაწინაურება უნდოდა. მაგრამ ახლა რატომღაც ნამდვილად გიჟს გადაეყარა, რომელიც მოკვლითა და ოჯახის ამოწყვეტით ემუქრება. მაკნეირმა სახეზე ხელები აიფარა. უღვთო ცემისაგან ნეკნები საშინლად სტკიოდა, თან გულიც ერეოდა. ფულზე, რომელიც დაღეჭა და გადაყლაპა, შეიძლება ათასგვარი მიკრობი იყო. იქნებ ექიმთან წასულიყო? მაგრამ, როგორ აეხსნა, რისთვის დაღეჭა და გადაყლაპა 100-დოლარიანი ბინძური ქაღალდი? ტელეფონმა დარეკა, მაკნეირმა ყურმილი არ აიღო. მას არავისთან სურდა საუბარი. უნდოდა ვაშინგტონიდან სადმე შორს ყოფილიყო. იქნებ უფრო ის ერჩია, რომ მომკვდარიყო.

აეროპორტისკენ მიმავალი ნორტონი და ენი კამათობდნენ.

— არ ენდო გეიბ პინკუსს, — თქვა ქალმა.

— არც ვენდობი, — უპასუხა ნორტონმა. — მაგრამ მე ის მჭირდება.

— მოგატყუებს, — თქვა ენიმ. — ეს მხოლოდ თავის სენსაციებსა და სახელის მოხვეჭაზე ფიქრობს. მისი გაკონტროლება შენ არ შეგიძლია.

— მისგან მე სარგებელი მაქვს. ამ ამბის შესახებ ნახევარი ცნობები მან მომაწოდა.

— ჰოდა, ბევრი გაიგე, არა? — გაეღიმა ენის. — ისე ბევრი, რომ ახლაც ალბალბედზე მიფრინავ კალიფორნიაში?

— ენი, ეს ერთადერთი გზაა, რაც მე დამრჩენია, — დაღლილი ხმით, თქვა ნორტონმა. — სადღაც ხომ უნდა იყოს სუსტი რგოლი. მაკნეირმა არ მოისურვა ჩემთან საუბარი, რიდლი გაქრა, ისე, რომ მე ერთხელ კიდევ ვსინჯავ ჯეფ ფილდსთან მოლაპარაკებას.

— შენ შეგეძლო საზოგადოებისათვის მიგემართა, — თქვა ქალმა. — მოიწვიე პრეს-კონფერენცია. ყველაფერი გადმოულაგე, რაც იცი. აიძულე ისინი, რომ გაიგონ საქმის არსი, თორემ არა მგონია, კედელზე თავის ხათქუნმა გიშველოს.

— პრეს-კონფერენციისათვის ჯერ მზად არა ვარ. ასე შეიძლება ვავნო უიტმორს. მე კი ამას არასოდეს გავაკეთებ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონას მკვლელობის თანამონაწილეა.

— არ ხარ დარწმუნებული? ნეტავ კიდევ რა გინდა? — წამოიყვირა ქალმა. — შენ იცი, რომ მან დააფეხმძიმა დონა, იცი, რომ ამიტომ მოკლეს სენატორი ნოლანი. იცი, რომ მათ აიძულეს ჯეფი ფილდსი ეთქვა, ვითომ დონა მან დააფეხმძიმა. კიდევ რა გინდა, პრეზიდენტის აღიარება?

მათ გადაუსწრო ტაქსმა, რომელიც საათში 80 მილით მიქროდა.

— ალბათ, თვითმფრინავზე აგვიანდება, — თქვა ნორტონმა. — მომისმინე, მე ხომ წუხელ აგიხსენი, რომ ყველაფერი შეიძლება უბრალო დამთხვევის ბრალი იყოს. ჯერ-ჯერობით

უიტმორის მიმართ პირდაპირი ბრალდებები არ არსებობს. არის განსხვავება ორ მცნებას შორის: რა ვიცი და რაზე მაქვს ეჭვი. ნაფიცი მსაჯული რომ ვიყო, მაინც ვერ შევძლებდი მეთქვა, უსიტყვოდ დარწმუნებული ვარ. უიტმორი ამ საქმის თანამონაწილეა-მეთქი.

— ოო... ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ენმა. — რა ხართ ეს იურისტები!

ნორტონმა აეროპორტთან მანქანა გააჩერა. ენის ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— საღამოს დაგირეკავ.

— თავს მოუარე, —თქვა ქალმა, — წამოწექი ხოლმე აუზთან და გაირუჯე.

— შევეცდები, — თქვა ბენიმ. — მისმინე, ბოდიშს გიხდი გუშინდელი დღისთვის.

ენი მიუახლოვდა და აკოცა.

— გუშინ ყველაფერი შესანიშნავად იყო, — თქვა ქალმა. — დაწყნარდი, დაისვენე, რომ ჩაბოსვალ, ალბათ, შემომეჭვები.

ნორტონმა სასწრაფოდ აკოცა ქალს და ვაგზლისაკენ გაემართა.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა თვითმფრინავმა სიმაღლე აიღო, ბენმა გაიფიქრა, რომ იგი არასოდეს არსად გაფრენილა ასე ბედნიერი და ნასიამოვნები, ეს განწყობა ენთან დაშორებითაც იყო გამოწვეული. ბოლო ხანებში ნორტონს გაუჩნდა ისეთი შეგრძნება, თითქოს კედლები დაიძრა და მის გასრესას ლამობდა. მან დაიწყო ქუჩაში ხალხის თვალიერება, აკვირდებოდა ადამიანებს, ადრე ამას არასოდეს აკეთებდა. ახლა თვითონ ეჩვენებოდა, რომ ისინი თვალყურს ადევნებდნენ, უთვალთვალებდნენ, ეძებდნენ, შეთქმულებებს უწყობდნენ. დარწმუნებული იყო, რომ მის ტელეფონს უსმენდნენ, მის წერილებს კითხულობდნენ.

უკანასკნელი იმედი კი წინა ღამეს დაკარგა, როცა ის ენისთან დაწვა. რაღაც საშინელება მოუვიდა. მას ეგონა, რომ პარანოიზმის უკანასკნელი სტადია — იმპოტენცია ეწვია. ბენის ესმოდა კარს უკან რაღაც ფაჩუნი, ხედავდა აჩრდილებს ფანჯრებს მიღმა. ეჩვენებოდა ჯაშუშები დაფარული კინოკამერებით, კედლებში უჩუმრად ჩართული მიკროფონები. ყოველივე ამაზ ის გააპასიურა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ

ქალი გაუგებდა. ამიტომ იყო, რომ მოუყვა ყველაფერი, რასაც გრძნობდა, რასაც განიცდიდა. რა თქმა უნდა, როცა ის ქალს დონას მკვლელობის შესახებ ეჩურჩულებოდა, სადღაც გულის სიღრმეში ეშინოდა კიდეც, ენიც ხომ არ არის შეთქმულების თანამონაწილეო, მაგრამ იმ წუთებში აუცილებელი იყო, ვიღაცას განდობოდა.

როცა ბენი მოუთხრობდა, ქალი წამოჯდა ლოგინზე, შუქი აანთო და კიდევ მთელი ნახევარი საათი ეკითხებოდა დონას ამბებს. ის ფიქრობდა, რომ ბენი ზედმეტად გულუბრყვილო და ზედმეტად გულახდილია. ქალი დარწმუნებული იყო, რომ უიტმორი მკვლელობის თანამონაწილეა. იგი ათი წლით უმცროსი იყო ბენიზე და უფრო რეალურად უყურებდა ცხოვრებას, ნორტონმა უკვე მიაღწია იმ ასაკს, როცა ენდობი საკუთარ მთავრობას, გჯერა მისი, ენი კი სხვაგვარად ფიქრობდა. ბოლოს, როცა ნორტონმა ყველა კითხვაზე უპასუხა, ქალმა სინათლე ჩააქრო, ბენის ჩაეხუტა და ორივეს ასე ჩაეძინა.

— გნებავთ კოკტეილი, სერ?

ნორტონმა თვალები გაახილა, ცისფერთვალება სტიუარდესას მოურიდებლად ეჭირა თავი. ბენი გაახსენდა და გაიფიქრა, ალბათ, მის კოლეგასაც ჰაშიში აქვს მოწეულიო.

— თუ შეიძლება ორი „სისხლიანი მერი", — სთხოვა ნორტონმა. მას ასეთი გეგმა ჰქონდა, დაელია ორი კოკტეილი და კალიფორნიამდე გამოუფხიზლებლად სძინებოდა.

* * *

ბრტყელსახა ისევ დარაჯობდა ფილდსის ჭიშკარს, მაგრამ ამჯერად არავითარი პრობლემა არ წამოჭრილა.

— ბოსი აუზთან გელოდებათ, — თქვა მან არცთუ ალერსიანად.

ნორტონმა წაქირავები „ფორდი" სასახლის წინ, ბრწყინვალე „იაგუარის" გვერდით გააჩერა, შემოუარა სახლს და ფართო მწვანე გაზონით აუზისაკენ გაემართა. მაშინ აუზში და მის გარშემო უამრავი სტუმარი ნებივრობდა. ამჯერად აქ მხოლოდ ჯეფ ფილდსი იყო. ის იწვა დიდ, თეთრ, გაბერილ ლეიბზე და ტალღებზე წელ-ნელა ირწეოდა.

— გამარჯობა, ნორტონ, — ლეიბიდან თავიც კი არ წამოუწევია ისე მიესალმა.

— გამარჯობა, ჯეფ, დიდი მადლობა სტუმართმოყვარეობისათვის.

— უფრო ადრეც უნდა მომეწვიე იმ ამბის შემდეგ. ოღონდ, გთხოვ, ისევ არ თქვა ის სისულელე, თითქო სამუშაოს თაობაზე ჩამოხვედი. ლუდს დალევ?

— სიამოვნებით.

— ახლავე მოგიტან, — თქვა ფილდსმა. — კაბინაში მაცივარი მაქვს.

შევიდა კაბინაში და მალე დაბრუნდა ორი ქილა ცივი ლუდით.

— შენ, მგონი, სამხრეთელი ხარ, არა? — ჰკითხა მან ნორტონს.

— კი. ჩრდილო კაროლინიდან.

— შენ როგორ ამბობ, — „მაცივარი“ თუ „საყინულე“.

— ბავშვობაში „საყინულეს“ ვამბობდი. ჩვენ გვქონდა ყუთი, სადაც ყინულებს ვაწყობდით. ამის გავლენით დღემდე ასე გამოვთქვამ. რატომ მკითხე?

— ერთხელ მიღებდნენ ფილმში, სადაც მოქმედება ოცდაათიანი წლების მისისიპში მიმდინარეობდა. ძლივს დავარწმუნე რეჟისორი, რომ უნდა მეთქვა „საყინულე“ და არა „მაცივარი“.

— წანახი მაქვს ის ფილმი. თამაშობდი კონტრაბანდისტს, რომელიც აკრძალულ სპირტიან სასმელებს ყიდის. თამაშობდი შესანიშნავად. მე მომბეზრდა ფილმები სამხრეთელებზე, სადაც მთავარი როლების შემსრულებლები ბრუკლინური აქცენტით მეტყველებენ.

ფილდსს გაეცინა.

— მისმინე, ჯეფ, — თქვა ნორტონმა. — მაშინ, ლაფაიეტსკვერში ძალიან უხეშად მოგექეცი. არ დავუჯერე შენს მონაჩმახს. გინდა გულწრფელად გითხრა, ჩემი აზრით, რაშია აქ საქმე?

— რა თქმა უნდა. გადმოალაგე.

— უპირველეს ყოვლისა, მე არ დავიჯერე, რომ დონა შენ დააფეხმძიმე. ჩემი აზრით, ამაში დანაშაული უიტმორს მიუძღვის. შენ კი გაიძულეს, საკუთარ თავზე აგეღო ეს დანა-

შაული. ეე, მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, რატომ დაითასმდი ასეთ სისულელეზე.

— რატომ არის სისულელე?

— რატომ? უპირველესად ყოვლისა, სისულელეა, არაფრის გამო, გაერიო მკვლელობაში. თანაც, ყველაფერი ეს ჩამოაყალიბო წერილობით ფიცის დადების შემდეგ. ხომ შეიძლებოდა ცხენში ჩაესვით ცრუ ჩვენებისათვის. როცა დამნაშავეს იცავ, ჯეფ, ყოველთვის არის იმის საშიშროება, რომ მან თქვას სიმართლე და შენ ზურგი შეგაქციოს.

აქტიორმა მხრები აიჩეჩა და ნელსაცხებლით შეიზილა მკერდი, მზე რომ უკეთ მოკიდებოდა.

— შენთან შესვედრიდან, რამდენიმე დღის შემდეგ, — განაგრძო ნორტონმა, — რატომღაც ჩემთან მოვიდა სტიუარდესა, პენი ერქვა, შენ ალბათ გახსოვს?

— მახსოვს.

— ჰოდა, მან ცრემლების ფრქვევით მიამბო პროკურატურაში როგორ აიძულეს იგი, ყველაფერი მოეთხრო აქ გამართულ წვეულებებზე. განსაკუთრებით ნარკოტიკების შესახებ. როგორც მე ვხედავ, სხვა შენს სტუმრებსაც ათქმევინეს იგივე, მანამ არ შეკრიბეს საკმარისი მასალები შენს წინააღმდეგ. მთელი უბედურება ისაა, რომ ამით შენც გაიძულეს ყველაფერზე წასულიყავი.

— მისმინე, ნორტონ, მინდა გულახდილად გითხრა, პრაქტიკულად მთავრობას შეუძლია ისეთ ადამიანებს როგორც მე ვარ, ყოველგვარი სასამართლოსა და ბრალდებების გარეშეც გაუსწორდეს. ჩემთვის ფაქტობრივ შეეძლოთ არც კი ეკითხათ რამე. საკმარისი იყო რაღაც-რაღაცეები ეცნობებინათ გაზეთებისათვის; მაგალითად: „მსახიობს ბრალს სდებენ ნარკოტიკების გავრცელებაში“, „ველური ორგიები აქტიორის ვილაში“. კოკაინი გაანადგურებდა ჩემს კარიერას, როგორც მარიხუანამ 30 წლის წინ დაღუპა ბობი მიტჩემი.

— ესე იგი, შენი აზრით, მთლიანად მათ ხელში ხარ?

— რა, შენი აზრით, არა?

— არა, მე ვთვლი, რომ შენი სისულელით დიდ შეცდომას უშვებ.

—ნორტონ, თუ შენ როდისმე, სადმე გამოიყენებ ჩემს სიტყვებს, წინასწარ გაფრთხილებ, მე ყველაფერზე უარს ვი-

ტყვი. მაგრამ შენ შორს არა ხარ ჭეშმარიტებისაგან. იყო შემთსვევა, როცა უარი ვთქვი. იმ დღიდან ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი აგენტების მთელი არმია თავს დაესხა ჩემს ნაცნობ-მეგობრებს ათასნაირი კითხვებით. და, ბოლოს, მეც გამომიძახეს. შექმნილი სიტუაციის შესახებ მოველაპარაკე ჩემს ადვოკატს. მისი პასუხი ძალიან მოკლე იყო: „გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებიან". მეც გავაკეთე და გამოძიებაც მაშინვე შეწყდა. ასე რომ, როგორც ჩანს, მე არცაუ ისე სულელი ვარ.

— ბოს! — დაიძახა ტერასიდან ბრტყელსასამ. — მე ქალაქში მივდივარ. რაიმე დავალება ხომ არ გექნებათ?

— ლუდი მოიტანე! — უპასუხა ფილდსმა.

მან ხელი დაუქნია და თვალს მიეფარა.

— ახლა აქ მხოლოდ შენ და ის ხართ, ჯეფ? არც მშვენიერი გოგოები? არც მუსიკა? აღარც წვეულებები? — იკითხა ნორტონმა.

— წვეულება დამთავრებულია. ახლა ამიხსენი, შენი აზრით, რაში ტყვის ჩემი ადვოკატი?

— ის არ არის მართალი იმაში, რომ ტყუილად დაგრთონება გახვეულიყავი ამ უსიამოვნებებში, რომ სწორად ვერ შეაფასა შენი შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, უიტმორს შეუძლია გავნოს, მაგრამ შენც არანაკლებ შეგიძლია, დააზარალო იგი. დაკარგვით კი ის გაცილებით მეტს კარგავს, ვიდრე შენ.

— ეს დაღუპული საქმეა, — ხელი ჩაიქნია ფილდსმა.

— დაღუპული საქმე ის არის, რაც შენ გაგაკეთებინეს. ახლა მომისმინე, მე ვფიქრობ, შენ თითქმის ყველაფერი იცი უიტმორისა და დონას დამოკიდებულების შესახებ. იცი, რატომ ჩავიდა დონა ვაშინგტონში უიტმორის სანახავად და, იქნებ, ისიც კი, როგორ მოკლეს იგი. და თუ შენ იცი რაღაცა მაინც, არაფერი გვაქვს დასათმობი. მაშინ ისინი ბრიან განსაცდელში ჩავარდნილი და არა შენ. შენ არ მოგიკლავს არავინ. რატომ უნდა დაფარო მკვლელები?

— იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ გამიფუჭონ ცხოვრება, ეშმაკმა დალახვროს.

— ცხოვრებას მარტო შენ როდი გაგიფუჭებენ. იცი, ვინ არის ფრენკ კიფნერი?

— ვიცი.

— ის გემუქრებოდა ნარკოტიკების საქმის გახსნით?

— არა, მისი თანაშემწე.

— კარგი, როგორც კი ვაშინგტონში დავბრუნდები, მოვინასულებ კიფნერს. ვეტყვი, რაც ვიცი. პენის ის აწამებდა თეთრი სახლის მესვეურთა დავალებით, შენზედაც იგივე ხალხის დავალებით ახდენდა ზემოქმედებას. ამის უფლება მას არა აქვს, ჯეფ. არ შეიძლება ადამიანები გადათელო და არ დაისაჯო. არ შეიძლება სამართალწარმოებაში შანტაჟი გამოიყენო. ფრენკი ჭკვიანი და პატივმოყვარეა, ამიტომ დამიჯერებს. ის იძულებული იქნება დაიცვას თავისი ინტერესები. მე კი მინდა შთავაგონო მას, რომ მის ინტერესებშია, დაადგინოს ჭეშმარიტება დონას მკვლელობის შესახებ. ვურჩევ გაესაუბროს ზოგიერთებს, მათ შორის, შენც. იმედი მაქვს, გონს მოეგები და სიმართეს ეტყვი.

ფილდსი ნელ-ნელა, თითქოს დიდი ტვირთი ედო მხრებზეო, წამოდგა.

— დალევ კიდევ ლუდს? — ჰკითხა მან.

— რა თქმა უნდა.

ფილდსი ორი ქილა ლუდით ხელში დაბრუნდა და ერთი ნორტონს გაუწოდა.

— მისმინე, ორიოდე რამ მინდა გკითხო.

— მკითხე.

— რისთვის მეუბნები ყველაფერ ამას? შენი აზრით, რა, უიტმორმა დააფეხმძიმა დონა და იცის, ვინ მოკლა ის? რატომ აპირებ კიფნერთან მისვლას? არ გეშინია, რომ მე გაგცე და უიტმორს ან ედი მერფს დავურეკო, ან იმას, ვინც ეს საქმე წამოიწყო და მოვუყვე ყველაფერი, რაც შენ მითხარი.

— მერფთან უკვე მქონდა საუბარი. იმან იცის, რას ვფიქრობ და რას მოვიმოქმედებ. ახლა ჩვენ ვთამაშობთ პოკერს. ისინი ჩამოდიან იმაზე, რომ მე ვერ დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს, მე ჩამოვდივარ იმაზე, რომ დავამტკიცებ. შენ კი ჯორზე ხარ.

მზე ჩადიოდა, ბალახზე პალმის ხეების გრძელი ჩრდილები წვებოდა. ფილდსი ადგა და მზით განათებულ ადგილზე გადადგა შეზლონგი. ნორტონი ჩრდილში დარჩა.

— ბენ, არ გეუფლება ისეთი გრძნობა, რომ ქარის წის-

ქვილებს ებრძვი? შენს მოწინააღმდეგეს ჰყავს პოლიცია, ფ ბ რ და პროკურატურა. შენ ვერასოდეს გაანგრევ ამ კედელს. ხომ არ მითრევ იმ თამაშში, რომელშიც მოგების ძალიან მცირე შანსი გაქვს?

— რა თქმა უნდა, ასეთი შეგრძნება მქონდა, — უპასუხა ნორტონმა. — ვაშინგტონში მე დიდი ხანია ვცხოვრობ და ვიცი, როგორი უზნელი და ბამყიდველი შეიძლება იყოს ჩვენი პოლიტიკური სისტემა. მიუხედავად ამისა, ჯეფ, გულის სიღრმეში, მე მისი მჯერა. ჩემი შეხედულებით, ის ჰგავს ბებერ ჯორს. ის ზარმაცი და ჯიუტი, ეგოისტი და უგნურია, მაგრამ ამ ყველაფერ პირუტყვს, მუშაობა შეუძლია! და თუ ლაზათიანი პანლური ბლიარტყი, იმუშავებს. აი ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც მინდა, მინდა, რომ პანლური ამოვარტყა ამ ბებერ ჯორს, რათა სწორი მიმართულებით იმოძრაოს.

— ნუ ჯორი ტლინკებს აყრის, მაშინ, ბენ?

— ეგარის ტლინკები, მეც ისეთივე ჯიუტი ვარ, როგორიც ის.

— მე არ გეხუმრები. ჩემი აზრით, ვილაც-ვილაცეებს სურთ ხმა ჩაგაწყვეტინონ. და თუ არაფერი გამოვიდა ერთი ხერხით, მიმართავენ მეორეს. შენს ადგილზე მე ვიფიქრებდი, საით მივდივარ და ვის შევაქციე-მეთქი ზურგი. მე მყავდა მეგობარი, კინორეჟისორი, მან ვერ მონახა საერთო ენა მაფიასთან, რაღაც ხურდა ფულის გამო, რვა თუ ათი ათასი დოლარისათვის. მერე იგი პოლიციამ აღმოაჩინა სანაგვე ყუთში, სხეულზე მიყენებული ოთხმოცდასამი ჭრილობით.

— ჩვენ მაფიასთან არა გვაქვს საქმე, ჯეფ.

— აი თურმე რა ყოფილა? მოხუცი სენატორი გახსოვს? შენ გგონია, რომ ის კლდიდან შემთხვევით გადმოვარდა?

— არ ვიცი, — აღიარა ნორტონმა. — მინდა ვიფიქრო, რომ — კი.

ფილდსმა მწარედ გაიცინა.

— მაშინ მე ნუ მეძახი სულელს, როგორც ჩანს, შენ ჩემზე სულელი ყოფილხარ, თუკი ეს შესაძლებელია.

— შესაძლებელია, — თქვა ნორტონმა. — ბოლოს და ბოლოს ამაში ჩვენ გავერკვევით. ახლა მსურს ვიცოდე, დამიჭერ თუ არა მხარს. და კიდევ, თეთრ სახლში ვინ დაგავალა შეეეთხზა ის უაზრობა. რატომ გაემგზავრა დონა ვაშინგტონში და

რა იცი მკვლელობის შესახებ. ყველაფერი დაუფარავად უნდა მითხრა, თუ ერთად ვაპირებთ ბრძოლას, რას იტყვი?

ფილდსმა ლუდის თუნუქის ქილა დაჭუჭნა და გვერდზე გადააგდო. იგი ბალახებში ჩავარდა და მზის სხივებზე ბრჭყვიალებდა.

— ეშმაკმა დალახვროს, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. — თქვა მან.

— თქვი სიმართლე, ფილდს, სიმართლე არასოდეს ბოროტებას არ წარმოშობს.

აქტიორმა ოდნავ შესამჩნევად ვაიღიმა.

— გინდა, გეტყვი ისეთ ამბავს, რომ გაგეცინება? მე მჯერა უიტმორის და სულ არ მინდა შევუქმნა მას პრობლემები. ჩემი აზრით, თუკი ვინმეს ჩვენი შეშლილი ქვეყნის გადარჩენა შეუძლია, ეს დიდი ჩაკია.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ნორტონმა. — მაგრამ ჩვენ მას პრობლემებს არ ვუქმნით. მან თვითონ შეუქმნა თავის თავს პრობლემები. შენ საკუთარ პრობლემებზე უნდა იფიქრო. რაც შეეხება უიტმორს, მას ჰყავს ხალხი, რომელიც ამ პრობლემებს მოუვლის.

ფილდსი წამოდგა და აუზის გასწვრივ დაიწყო სიარული.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა მან. — ყველაფერი იმ წყეული ფირის გამო მოხდა.

ნორტონი გაინაბა.

— რა ფირია, ჯეფ? — ხმადაბლა იკითხა მან.

მსახიობი გაჩერდა და, ეტყობა გამოვიდა ტრანსიდან.

— რა? ა, არაფერია. დაივიწყე.

— ჯეფ, რა ფირზე ლაპარაკობ?

ფილდსი შეზლონგის ნაპირზე ჩამოჯდა და ხელებში ჩარგო თავი.

— ასლა არაფერს არ გეტყვი, — ჩაიბუზღუნა მან. — მე უნდა დავფიქრდე. უნდა მოველაპარაკო ადვოკატს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე!

— ჩვენ ცოტა დრო გვაქვს, — თქვა ნორტონმა. — ხვალ ტირუნდები ვაშინგტონში. ჩემთვის აუცილებლად საჭიროა ციცოდე, ვის მხარეს იქნები.

— ხვალ დილით მოდი, 9 საათზე, — თქვა ფილდსმა. — ამ დროისათვის მე ყველაფერს გადავწყვეტ.

ნორტონი წამოდგა, შემდეგ უკანასკნელი ცდა მაატარა.

— ფირი, რომ ასსესე, ჯეფ, თქვი, რა გქონდა მხედველობაში?

— დილით, — უპასუხა აქტიორმა, და ნორტონი დანებდა.

ის აღმართზე ავიდა, მერე გაჩერდა სასასლესთან და აუზისაკენ გაიხედა. ფილდსი ბანაობდა. ცოტა გაცურა და თეთრ გაბერილ ლეიბზე აძვრა, რომელიც წყალზე ნელა ირწეოდა. იგი ახლა გულაღმა იწვა, თითქოს სრულიად დამშვიდებული იყო. ეს იყო ერთობ საამო სანახაობა: გამხდარ-გამხდარი, მზემოკიდებული, ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცი წევს თეთრ ლეიბზე, რომელიც ცისფერ წყალზე ლივლივებს, ფონად კი ახლავს მაღალი პალმები, თვალუწვდენელი მთები და უსასრულო ცა; ნორტონმა გაიფიქრა, — ეს ხედი იქნებოდა ფილმის შესანიშნავი დასასრული თანამედროვე კინოში, რომ საერთოდ არსებობდეს კარგი დასასრული.

ფილდსმა თვალები გაახილა, დაინახა ნორტონი და გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია.

— მიცურავ შენი გზით, ჯეფ? — დაუყვირა ნორტონმა.

— შესაძლოა, — უპასუხა აქტიორმა, — ან იქნებ დინებასაც მივდევ.

„იქნებ ასეცაა და ისეც", — გაიფიქრა ნორტონმა. ფილდს ხელი დაუქნია და თავისი მაწქანისაკენ წავიდა.

25

დაბრუნდა თუ არა სასტუმროში, ნორტონი ბარში შევიდა. შეუკვეთა ჯინი ტონიკით და ბარმენს სთხოვა, მოეტანათ საღამოს „ახალი ამბები". ახალი ამბების მოსმენის გარეშე ნორტონს ცხოვრება არ შეეძლო: იმ საღამოს, როცა უოლტ კრონკაიტის გადაცემას გამოტოვებდა, აკანკალებდა და ოფლიანობდა, როგორც ნარკომანი, რომელმაც თავისი დოზა არ მიიღო.

ბარმენმა როგორღაც უცნაურად შეხედა ნორტონს, მაგრამ დიდი ფერადი ტელევიზორი მაინც ჩართო, რომელიც იქვე დახლზე იდგა. პატარა, ჩაბნელებულ ბარში სხვას არავის აინტერესებდა ახალი ამბები. ნორტონმა შეამჩნია, რომ რამდენიმე კაცმა ამრეზით შეხედა მას.

ახალ ცნობებს ვაშინგტონიდან გადმოსცემდნენ: ფასები მაღლა იწევს, უმუშევრობა იზრდება, სანოვაგე არ ჰყოფნის ქალაქს, — იუწყებოდა ბოხი სმით დიქტორი... სპეციალისტები გაოცებულნი არიან. კიდევ ერთ კონგრესმენს დასდეს ბრალი შემოსავლის დამალვაში. სენატი შებორკილია ობსტრუქციებით. სახელმწიფო დეპარტამენტმა ახლო აღმოსავლეთში ხალხის ახალი აფეთქება იწინასწარმეტყველა. პენტაგონი კიდევ ფულს თხოულობს. ფინანსთა სამინისტრო გადაკეკრილი ლაპარაკობს გადასახადების გაზრდის მორიგ შესაძლებლობებზე. ცუდი ამბები ერთმანეთს ცვლიდა ეკრანზე. ნორტონმა თავი უხერხულად იგრძნო. ამ მოვლენებს დაუწყო ტქერა ახალი, შიმისმომგვრელი, არა ვაშინგტონური თვალსაზრისით. ვაშინგტონში ის ამ პოლიტიკურ რყევებს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამდა. უფრო მეტიც, ის და თავისი ნაცნობების უმრავლესობა ზოგჯერ სარგებლობდნენ კიდეც ქვეყნის პოლიტიკური უბედურებით. მაგრამ აქ, ამ ბრწყინვალე პატარა ბარში, რომელიც უდაბნოს ოაზისს წაგავდა, ვაშინგტონური არასასიამოვნო ამბები სრულიად უადგილოდ ეჩვენებოდა. მან შეამჩნია, რომ ბარის სტუმრებმა ბუზღუნი დაიწყეს, გაღიზიანებული, დაბოღმილები უყურებდნენ მას — ვაშინგტონელ ვაუბატონს. უცებ გაიფიქრა: „როგორ ვძულვართ!" ჰემინგუეი პარიზს დღესასწაულს ეძახდა, რომელიც მუდამ თან გახლავს, ვაშინგტონი კი უბედურებაა, რომელიც მუდამ შენთანაა, რომელიც ყოველდღიურად უსუსურ ქვეყანას გულისშემძვრელ ამბებს ამცნობს.

— მისტერ, თქვენ ისევ უყურებთ? — ჰკითხა ბარმენმა ნორტონს, — ზოგიერთებს გოლფის თამაშის ყურება უნდათ.

— შესანიშნავი აზრია, — თქვა ბენიმ და უოლტერ კრონკაიტი ეკრანზე შეცვალა ჯონი მილერმა, რომელმაც 30 მეტრიდან გასტყორცნა ბურთი კარისკენ. აღტაცების საერთო ამოძახილი გაისმა ბარში. ნორტონიც კი გახალისდა.

* * *

მეორე დილით, როცა ჯეფ ფილდსი სასახლიდან გამოდიოდა, ზუსტად მაშინ გააჩერა ნორტონმა თავისი „ფორდი" ფილდსის „იაგუარის" გვერდით. ფილდსი და ნორტონი კი-

ბის საფეხურთან შეხვდნენ ერთმანეთს. ფილსი სპორტულ ფეხსაცმელებში, თეთრზოლიან შარვალსა და ცისფერ სპორტულ პერანგში იყო გამოწყობილი. მას ნერვებმოშლილი და გაღიზიანებული კაცის გამომეტყველება ჰქონდა.

— გამარჯობა, ჯეფ.

აქტიორმა ნორტონს შეხედა და გაიცინა.

— ბენ, ადამიანის ფერი არ გადევს.

— თითქმის არ მიძინია, — დაეთანხმა ნორტონი. — გათენებამდე სულ ამ ამბავზე ვფიქრობდი. შენც არ გამოიყურები მთლად კარგად.

აქტიორმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, შუბლშეჭმუხნულმა გასცქერა ეზოში შემოსასვლელ ხეივანს, კეფაზე გაკრა ფეხი და თქვა: — ის იყო გადაწყვეტილება მივიღე, როგორ უნდა მოვიქცე და უცნაური რამ მოხდა.

— მაინც, რა?

— მისმინე, მე რამდენადაც შემიძლია გულახდილი ვიქნები შენთან, გუშინ ჩვენი საქმიანი საუბრის შემდეგ, დავურეკე ჩემს ადვოკატს და დიდხანს ვისაუბრეთ. შემდეგ დავრეკე ვაშინგტონში, ერთ პიროვნებასთან, ვისთან — არ გეტყვი — და ჩემთვის საინტერესო ზოგიერთ საკითხზე მოველაპარაკე. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, რომ შენ მართალი ხარ, მე ვალდებული ვარ, მოვუყვე პროკურორს ამ საქმის შესახებ სრული სიმართლე, და საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, მოხდეს, რაც მოსახდენია.

— შესანიშნავია, — თქვა ნორტონმა.

— და ზუსტად ათი წუთის წინ, დამირეკა ამერიკის სამხედრო ბაზის უფროსმა, ის აქვეა განლაგებული, ქალაქგარეთ და მითხრა, რომ მე სასწრაფოდ უნდა გამოვცხადდე მასთან, რომ მე მირეკავენ თეთრი სახლიდან.

— რა უბედურებაა. — თქვა ნორტონმა. — რა უნდათ შენგან? საინტერესოა, მაინცა და მაინც იქ რატომ დაგირეკეს.

— ჩემი აზრით, პრეზიდენტი უნდა რეკავდეს. მას, ალბათ, სურს რაიმე საიდუმლო საქმეზე ლაპარაკოს ტელეფონით. ბაზაზე უფრო სიმაღლე ტელეფონი აქვთ, ვიდრე ჩემია.

— მაშასადამე, შენ ნიღბიხარ?

— აბა, სხვანაირად რაგორ შეიძლება?

— ჯეფ, თუნდაც ეს პრეზიდენტი იყოს, რაც უნდა გითხრას, დარწმუნებული ვარ, არაფერი შეიცვლება.

— მე მგონი, არა. მაგრამ მასთან დალაპარაკება, თუნდაც ზრდილობის გამო, აუცილებელია.

— კი, რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ნორტონმა. — ოღონდ არ წამოეგო რაიმე ფანდზე. შენი პოზიცია ძალიან უბრალოა: — გადაწყვეტილი გაქვს, თქვა სიმართლე. არავითარ სისულელეს არ მოუსმინო. არა მგონია დასავლეთის ცივილიზაცია დაინგრეს, თუ უიტმორი გარეული აღმოჩნდება ამ სკანდალში. ეს მათი პრობლემაა.

— ჰო, მეც ასე მგონია, — ყოყმანით თქვა აქტიორმა.

— აი კიდევ რა, — თქვა ნორტონმა. — როგორც ჩანს, მე ახლა ცუდად ვაზროვნებ, მაგრამ, მაინც საინტერესოა, რაღა ზუსტად ამ დროს გამოგიძახეს?

— ერთადერთი, რაც შეიძლება ვივარაუდოთ: შენი წასვლის შემდეგ მე ველაპარაკე ჩემს ადვოკატს, ის ახლა ლოსანჟელესშია. მერე დავურეკე იმ კაცს ვაშინგტონში. ეტყობა ერთ-ერთმა მათგანმა გაგვცა და დარეკა თეთრ სახლში, ან ჩემი ტელეფონი ჩართულია და ყველაფერი მოისმინეს. თუ ჩემი განზრახვა მათთვის ცნობილია, ძალიან ცუდია, ბენ. თუ ყველა კარტი მათ ხელში აღმოჩნდა, რაც უნდა მოიმოქმედო, ისინი ყოველთვის ერთი ნაბიჯით შენზე წინ იქნებიან.

— დაანებე ასეთ ფიქრს თავი. მთავარია რაიმეზე არ დაგიყოლიონ იმ არამზადებმა.

— ბენ, ხომ იცი, მელოდებიან. ბაზამდე ოცი წუთის გზაა, თუ გინდა წამომყევი.

ნორტონმა თანხმობის ნიშნად ხელები გაშალა, წავიდეთ.

— ვფიქრობ, ორივეს გაგვატარებენ, — თქვა ფილდსმა. — იქ რაღაც სრულიად საიდუმლო კავშირგაბმულობის ცენტრია. „იაგუარით“ წავიდეთ.

— ისინი ყვითელი „იაგუარისაკენ“ გაემართნენ. უცებ ნორტონი რატომღაც შეჩერდა.

— ჯეფ, მე საუზმობა ვერ მოვასწარი, თუ წინააღმდეგი არ იქნები დავრჩები, ყავას დავლევ.

— როგორც გენებოს, — უპასუხა აქტიორმა. — ყველაფერი, რაც გინდა, სამზარეულოშია. შეგიძლია მოამზადო შენი საყვარელი კოკტეილიც.

— ყავით და კვერცხით იოლას გავალ, — უპასუხა ნორ-
ტონმა.

— კარგი, ასე ერთ საათში დავბრუნდები. გული ან გა-
ტეხო.

აქტიორმა გაიცინა, მსუბუქად მიირბინა „იაგუართან" და
გრაციოზულად ჩაჯდა მანქანაში. ძრავა მაზინვე ამუშაგდა.
მუშაობდა თანაბრად და ნელა, სანამ ფილდსმა ქამარი შე-
მოირტყა ბივნიდან გადმომდგარი ნორტონი ღიმილით უყუ-
რებდა მის წინ გადაშლილ სურათს: მანქანის დასვეწილი
მოხაზულობა, აქტიორის უწაკდო პროფილი, ახლადმორწყუ-
ლი დიდის მზის სხივებზე მოციმციმე გაზონი, უფრო მშვე-
ნიერს ვერაფერს დაინახავდა კაცის თვალი. და უცებ ყველა-
ფერი ეს ერთიანად აფეთქდა და ალიმართა ცეცხლის სვეტ-
ნორტონი აფეთქების ტალღამ წააქცია. სასახლის ფასადის
ყველა ფანჯარა ჩაიმსხვრა, გაზონებთან, იქ, სადაც ერთი
წამის წინ ყვითელი „იაგუარი" იდგა და მზის სხივებზე ბზი-
ნავდა, შავი კვამლის ღრუბელი ალიმართა. ნამსხვრევებმ
გროვად ქცეული მანქანა იწვოდა, ცეცხლის ალები ცეკვავ-
დნენ მის ნარჩენებზე. კარებთან მდგარმა მცველმა რაღაც
დაიყვირა და „იაგუარისაკენ" გაიქცა. ნორტონიც წამოხტა და
აფეთქების ადგილისაკენ გაეშურა. გზაზე, რაღაც მოვარდნ-
ფრო-თეთრი შეამჩნია. გაჩერდა, დაიხარა და გაარჩია, რომ
ეს ამ სასახლის პატრონის დიდი თითი იყო. ნორტონი შეკ-
რუნდა და გული აერია. მერე მან საკუთარი თავი აიძულა
სასლში შესულიყო და პოლიციისათვის დაერეკა.

* * *

პალ-სპრინგსის პოლიციელებმა ნორტონი მხოლოდ დღის
მეორე ნახევარში გაათავისუფლეს. მან თქვა, რომ ფილდს-
თან სამსახურის თაობაზე მოსალაპარაკებლად ჩამოვედი, ა,
გაიხსენა, სამხედრო ბაზიდან საეჭვო დარეკვის შესახებაც.
ნორტონის წასვლამდე პოლიციელებმა ერთი ფაქტის დად-
გენა მაინც შეძლეს: არავითარი ტელეფონის ზარი ეთრ
სასლიდან ბინაში არ ყოფილა და ბაზიდან არავის დაურეკ
კავს ფილდსისათვის.

აეროპორტში მოსვლის შემდეგაც არ იყო ნორტონი მო-

კიდან გამოსული, მაგრამ მის მეხსიერებაში ზოგიერთი ფაქტი კინოკადრებივით დალაგდა. როგორც ჩანს, ბომბი მანქანაში დამით ჩადეს, რადგან ფილდსის მცველმა განაცხადა, რომ სადასოს „იაგუარით" ვიმგზავრეო. მაშასადამე, ბოროტმოქმედმა იცოდა, რომ ჯეფ ფილდსი აპირებდა სიმართლის თქმას.

— რაგორ? საიდან? იქნებ აქტიორმა მიმართა ცსს-სთან ჭეშმარიტ ბირთვსეპას? ვინ არის ეს საიდუმლოებით მოცული კაცი? იქნებ ფილდსის ტელეფონს უსმენდნენ? — აი, ის კითხვები, რომლებიც ნორტონს აეროპორტში მოსვენებას არ აძლევდა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ დადგენილია, რომ ვიღაცამ შუადამისას „იაგუარში" ასაფეთქებელი ნივთიერება ჩადო. და ხერე, ცხრა საათზე, როცა ნორტონის და ფილდსის საქმიანი შეხვედრა უნდა შემდგარიყო, ფილდსს დაურეკა. ბოროტმოქმედი დარწმუნებული იყო, რომ ჯეფი ტელეფონზე გამოპასებისთანავე გადადებდა ყველაფერს, ჩაჯდებოდა „იაგუარში" და სამხედრო ბაზაში წავიდოდა.

თვითმფრინავში ჩაჯდომამდე ნორტონს უკვე ყველაფერი დაწვრილებით ჰქონდა გაანალიზებული.

— ვთქვათ და, — ფიქრობდა იგი. — დონას მკვლელობა არ იყო განზრახული, სენატორი ნილონიც შემთხვევით მოკვდა. ფილდსის მკვლელობა, ხომ აშკარად წინასწარგანზრახული ბოროტმოქმედებაა.

რამდენსაც მეტს ფიქრობდა ნორტონი, უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ მკვლელს მისი აფეთქებაც ჰქონდა ჩაფიქრებული საბრალო აქტიორთან ერთად.

26

ნორტონი ტაქსიდან გადმოვიდა, კარი მიაჯახუნა და ფედერალური სასამართლოს წინ დამდგარ გუბეში გააბოტა. იგრძნო, რომ ფეხები უსველდებოდა. კოკისპირული წვიმა გაჩაღებას არ აპირებდა. კარგი იქნებოდა, ლაბადა ჩაეცვა, მაგრამ ეს გაშინგტონში არასოდეს აქცევდა ამინდს ყურადღებას. კალიფორნიაში სულ სხვაა, როგორც კი ამინდის ბიურო წვიმას გამოაცხადებს, უნდა იგულისხმო, რომ იმდღე-

ვანდელი მატჩები ბეისბოლში და ფეხბურთში გადადებულია. ვაშინგტონი სხვა საქმეა. ნორტონი თვლიდა, რომ ვაშინგტონში ამინდი არაფერს არ ცვლის. ეს ქალაქი, განწყობილების ქალაქია. ცაზე მოთარეშე საწვიმარი ღრუბელი აქ არაფერს ნიშნავს. მთავარია, რა იბეჭდება გაზეთებში, რას აცხადებს რადიო და ტელევიზია. მისი ჭეშმარიტი სინოპტიკოსები პოლიტიკური მიმომხილველები არიან. დღეს ვაშინგტონში მშვიდი ვითარებაა, დღეს ვაშინგტონში დაჭიმული მდგომარეობაა, დღეს ვაშინგტონში პესიმისტური განწყობილებაა. იმ ქალაქში, სადაც დღეს ნორტონი ცხოვრობს კლიმატი პოლიტიკურია და ბარომეტრი ყოველდღე ეცემა.

ნორტონი ფედერალური სასამართლოს შენობაში შევიდა, დარაჯს ჰკითხა, ფრენკ კიფნერის კაბინეტი სად არისო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლი აღმოჩნდა. რადგან კიფნერი თურმე ისე ხშირად იცვლის კაბინეტებს, როგორც გველი კანს და ყოველთვის ახალი კაბინეტი წინამორბედზე დიდი და შთამბეჭდავია.

კიფნერმა იურიდიული კარიერა მოკრძალებული თანამდებობით დაიწყო. იგი უმცროს ჩინოვნიკად მუშაობდა უმაღლეს სასამართლოში, შემდეგ სენატორის მრჩეველი გახდა, უოტერგეიტის საქმის განხილვის დროს, გამომძიებლად მუშაობდა, მალე მას პროკურორის თანაშემწედ ნიშნავენ, ხოლო ერთ წელიწადში კოლუმბიის შტატის პროკურორის თანამდებობას აღწევს. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს მის პატივმოყვარეობას. იგი უფრო შორს იხედება. მას სურს — რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩასვას ცისტში, მოიხვეჭოს მკაცრი და პატიოსანი მოქალაქის სახელი, რომ შემდეგაც შესაძლებლობა მიეცეს მის მიერვე დაპატიმრებული ხალხი გამოუშვას, გახდეს ფედერალური მოსამართლე, სადაც მას შეეძლება ერთიც გააკეთოს და მეორეც, ან ხელი მოჰკიდოს პოლიტიკას და თვითონ დააწესოს თამაშის წესები.

ნორტონმა მონახა სასურველი კარი, შეაღო ის და, წარუდგა თმაგაწეწილ ზანგ მდივან ქალს. რამდენიმე წუთის შემდეგ მდივანმა უშველებელ კაბინეტამდე მიაცილა. კიფნერი ცივად მიესალმა ნორტონს. ეს იყო საშუალო ტანის სათვალიანი კაცი, იგი უზუსტესი მექანიზმის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ბენ, მოხარული ვარ, რომ მომინახულე, — თქვა მან. — ჩვენ გვსურდა შენთან დაკავშირება.

— რამდენიმე დღით კალიფორნიაში ვიყავი.

— ვიცი, საქმის კურსში პალ-სპრინგსის პოლიციამ ჩაგვაყენა.

— ამის შესახებ გინდა მომესაუბრო?

— პირველ რიგში, მოდი, შენს საქმეში გავერკვეთ. შენ ჭისის კარის წარმომადგენელი ხარ?

— დიახ. და მეც ისევე გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ, როგორც პენი. აღძრულია თუ არა მის მიმართ საქმე? და თუ აღძრულია, რაში სდებთ მას ბრალს? მე მოვითხოვ თქვენი საუბრის ოქმს. აგრეთვე მინდა ვიცოდე, წინასწარ რატომ არ გააცანით პენის თავისი უფლებები. თქვენ არაკანონიერად დაჰკითხეთ იგი, ფრენკ.

კიფნერს სახეზე აღელვება არ ეტყობოდა, მხოლოდ თითებს აკაკუნებდა მაგიდაზე და თვალის დაუხამხამებლად მისჩერებოდა ნორტონს.

— მისის კარის გავაცანით თავისი უფლებები, — თქვა მან. — გამოძიება მისი საქმის მიმართ დამთავრებულია. თქვენ თუ გსურთ გაეცნოთ დაკითხვის ოქმებს, მიაკითხეთ ჩემს მდივანს.

„გაიძვერა, — გაიფიქრა ნორტონმა. — კომპიუტერივით იქცევი, ვითომ ადამიანთან კი არა, უსულო საგანთან გაქვს საქმე".

— გამოძიება დამთავრებულია. — თქვა მან. — იმიტომ, რომ ჯეფი ფილდსი აფეთქდა.

— ჩემთვის არ არის დამთავრებული, — თქვა ნორტონმა. — თქვენ ზემოქმედებას ახდენთ ჩემს კლიენტზე, რასაც არავითარი გამართლება არა აქვს, გარდა თქვენი პოლიტიკური თამაშისა.

კიფნერი ნორტონს ფარული ზიზღით შესცქეროდა, მისი სახის გამომეტყველებამ ნორტონს რატომღაც უიტ სტოუნი გაახსენა.

— შენმა კლიენტმა აღიარა, რომ იგი ნარკოტიკებს ღებულობდა.

— ფრენკ, კმარა! ჩემზე უკეთ იცი ნარკოტიკებს ვაშინგტონში მილიონობით ახალგაზრდა ღებულობს.

— მან აღიარა, რომ იგი ესწრებოდა წვეულებებს, სადაც ძალიან ბევრი კოკაინი იყო. ჩვენი გამოძიებით დადგენილია, რომ ამ წვეულებებს ესწრებოდნენ ნარკოტიკებით მოვაჭრე ადამიანებიც.

— ესე იგი, თქვენ მახეს უგებდით ჯეფ ფილდს, რომელმაც უკანასკნელ ფილმში რვა მილიონი დოლარი აიღო და გინდოდათ დაგეპატიმრებინათ იგი, როგორც ნარკოტიკების გადამყიდველი, არა? ცოტა სასაცილოდ ხომ არ გამოიყურება თქვენი ბრალდება.

— ის დიდი ჯაჭვის ერთი რგოლი იყო.

წორტონმა ჩაიცინა და გაიფიქრა, — ნეტა თვითონ მაინც თუ სჯერა თავისი ნათქვამის.

— მითხარი, ფრენკ. იცი რაც სდება თუ არა? — კიფნერმა მოუთმენლად დახედა საათს, თითქოს საკუთარ განრიგს ხუთი წუთით ჩამორჩა, იმის მაგიერ, რომ ხუთი წლით გაესწრო მისთვის.

— შენ რატომ არ გსურს ამ საქმეში, გამანათლო? — ირონიით თქვა მან.

— დიდი სიამოვნებით. დავიწყოთ თავიდან, როცა დონა ხენდრიკსი გარდაიცვალა, იგი სამი თვის ფეხმძიმე იყო. შენ ალბათ, იცი ეს. ყოფილმა სენატორმა, ნოლანმა მიამბო, რომ უიტმორი მასთან კარმელში იანვარში ჩავიდა, სამი თვით ადრე დონას სიკვდილამდე. მე ვფიქრობ, რომ იგი უიტმორისაგან დაფეხმძიმდა და ვაშინგტონში მასთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა. და ვვარაუდობ მან ან ედი მერფმა იცის, ვინ მოკლა დონა. ედი ათასი მიზეზით თავიდან მიცილებს, გამირბის. რამდენიმე კვირის წინ ჯეიფ ფილდსი ჩამოვიდა ჩემთან და მითხრა, ვითომ დონა მისგან იყო ფეხმძიმედ. ეს, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო. მერე მე მოველაპარაკე პენის და გავიგე, ნარკოტიკების საქმის გამოძიების შესახებ. მივხვდი, ეს საქმე მხოლოდ იმისთვის იყო წამოწყებული, რომ ზეგავლენა მოეხდინათ ფილდსზე. ფილდსმაც არ დააყოვნა, ჩამოვიდა და მითხრა: ბავშვით მე დავასაჩუქრეო დონა. სიკვდილის წინ კი სიმართლე აღიარა. ამიტომ გირჩევ როგორც პროკურორს, თავი დააწებო სტიუარდესებს, რომლებიც კოკაინს ყნოსავენ და დაინტერესდე ჭეშმარიტი საქმით. მაგალითად, იმისთვის ხომ არ მოუკლავთ ფილდსი და სენატორი

ნოლანი, რომ მათ ძალიან ბევრი რამ იცოდნენ დონას მკვლელობის შესახებ.

— სამივე მკვლელობის გამო მიმდინარეობს გამოძიება, — მშვიდად თქვა კიფნერმა.

— გასაგებია, მაგრამ ვინ ხელმძღვანელობს გამოძიებას, შენ თუ ედი მერფი?

კიფნერს თვალები დაუწვრილდა, მაგრამ სახის გამომეტყველება არ შეცვლია.

— ასეთი ლაპარაკი ვერ გიშველის, ბენ.

— მე? ფრენკ, მოისმინე ჩემი მონაყოლი? წუთუ შენ ვერ ხვდები, რა ხდება?

— ჩვენი გამოძიება წინ მიიწევს, — თქვა კიფნერმა. — მე ვალდებული არა ვარ საქმის გამოძიების მსვლელობა დაწვრილებით მოგახსენო, — და ისევ საათს დახედა.

ნორტონი თავს ველარ იკავებდა.

— ფრენკ, იცი, ვინ არის ბაირონ რიდლი?

— კი, ვიცი.

— შენ დაკითხე იგი?

— ამ კითხვაზე უფლება მაქვს არ გიპასუხო.

— გირჩევ დაკითხო, იმიტომ, რომ ეს ტიპი ყველგან ეჩხირება. ჯერ ერთი, მან შემოგაჩეჩათ პენი — თავისი ნარკოტიკების საქმით. — ნუ უარყოფ, ეს სიმართლეა. ერთ საღამოს დავინახე, როგორ მითვალთვალებდა ქუჩაში ვიღაც უცნობი მამაკაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა მას, ეს ბაირონ რიდლი ჩავიდა სენატორ ნოლანთან. სენატორი, უბედური შემთხვევის გამო მეორე დღეს გარდაიცვალა. მე შემიძლია უკანასკნელ დოლარამდე ჩამოვიდე სანაძლეოს, რომ ის პალმსპრინგსში იყო, როცა ჯეფ ფილდსი დაიღუპა.

— თუ გაქვს დამამტკიცებელი ფაქტები?

— არა, ეშმაკსაც წაუღიხართ. მტკიცებების დადგენა თქვენი მოვალეობაა! ამ საქმეში ბევრი ძაფია გაწყვეტილი და მათი გადაბმა შენს კომპეტენციაში შედის.

— კიდევ გინდა რაიმე მირჩიო, ბენ?

— კი, თუ არ გინდა რაიმე უსიამოვნებას გადაეყარო, პირადად შენ უხელმძღვანელე ამ საქმის გამოძიებას. ახლა შენ უკვე ოფიციალურად ხარ ჩემგან გაფრთხილებული და კანონით უფლება არ გაქვს ეს საქმე აიცილო. პირველ რიგში

დაკითხე ედი მერფი, რიდლი, მაკნეირი და გალიანო, ოფიციალურად, ფიცის ქვეშ. იქნებ რომელიმე გამოტყდეს, აღიაროს სიმართლე. შესაძლოა, ისინი არაფერ შუაში არიან. შესაძლოა, პრეზიდენტმაც არაფერი იცის — ეს სავსებით დასაშვებია. ამიტომ შენ, როგორც შტატის პროკურორმა, პირადად პრეზიდენტს უნდა მოახსენო ყველაფერი. ახლა შენი სვლაა, ფრენკ. რაც მე გითხარი, ყველაფერს გავიმეორებ ფიცის ქვეშ. ამაში დარწმუნებული იყავი, მაგრამ ახლა ბურთი შენს კორტშია, შენ უნდა ჩამოაწოდო. სიჩუმე ჩამოვარდა. კაბინეტში მხოლოდ კიფნერის თითების განუწყვეტელი კაკუნი ისმოდა მაგიდაზე.

— მე მგონია, ვიცი როგორ შევასრულო ჩემი მოვალეობა, ბენ, — თქვა მან ბევრი ფიქრის შემდეგ. — თუმცა, ეჭვგარეშეა, გაცილებით გამიადვილდებოდა ყოველივე, დარწმუნების შენეული უნარი რომ მქონდეს. როგორც ჩანს, შენ ადამიანები ყველაფერს გენდობიან, ყოველთვის სიმართლეს გეუბნებიან. სენატორი ნოლანი საიდუმლო შესვედრების ამბებს გიყვება, რომლის შესახებაც მის გარდა სხვამ არაფერი იცის. ჯეფ ფილდსი კი აღსარებას გაბარებს, იმის შესახებ, როგორ ზემოქმედებას ახდენდნენ მასზე თეთრი სახლის მესვეურები. მერე ორივე კვდება ზუსტად შესაფერის დროს და საფლავში ჩააქვთ საიდუმლო. რჩები შენ ერთადერთი კაცი, რომელმაც სიმართლე იცი. გამოდის, რომ მხოლოდ შენს ჩვენებას უნდა დაეყრდნოს სასამართლო, სხვა ყველა ტყუის.

— კარგი, ფრენკ, მეტ დროს აღარ წაგართმევ. მე მეგონა პატიოსნად შეასრულებდი შენს მოვალეობას.

— დაჯექი, ბენ.

— არ მინდა, ფრენკ. გამოთხოვებისას უნდა გითხრა ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ. მე ვიცი იმ ფირის არსებობის შესახებ. სიკვდილის წინ ფილდსმა ყველაფერი მითხრა.

კიფნერმა მაგიდაზე თითების კაკუნი შეწყვიტა და რამდენიმე წუთი სავარძელში გარინდული იჯდა როგორც პოკერის მოთამაშე, რომელსაც ჯერ გადაუწყვეტია, „იბლეფოს“ თუ არა.

— ფილდსმა გითხრა, სად არის ფირი? — ბოლოს იკითხა კიფნერმა.

მაგრამ ნორტონს აღარ ძალუძდა „ბლეფის“ გაგრძელება.

ან შეიძლება „ბლეფზე" გამოიჭირო ის პარტნიორი, რომელსაც უფლება აქვს კარტის გასვლა გიბრძანოს.

— არა, — თქვა მან. — არ ვიცი. უფრო სწორად ჯერ არ ვიცი.

— დაჯექი, ბენ.

— მე ყველაფერი გითხარი, რაც მსურდა. შემეძლო უფრო დაწვრილებით მეთქვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შენ არ გჭირდება.

— დაჯექი, შენ. შეიძლება ყველაფერი მითხარი, მაგრამ მე არ მითქვამს ჯერ ყველაფერი. — ნორტონი დაჯდა.

— ბენ, გინდა დაიჯერე, გინდა არა, მაგრამ გამოძიება დონა ხენდრიკსის საქმის შესახებ წარმატებით მიიწევს წინ. სერჟანტი კრავიცი, რომელიც გამოძიებას ხელმძღვანელობს, შენზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული ამ საქმის დამთავრებით. შესაძლებელია მეტადაც. სერჟანტმა წარმატებებს მიაღწია. რადგან შენ ასე გულუსვად გვიზიარებ საკუთარ მოსაზრებებს, მე თავს ვალდებულად ვთვლი, ჩვენც ასევე გულუსვად გაგიზიაროთ ჩვენი მოსაზრებები.

კიფნერის ხმაში გაისმა არასასიამოვნო აკორდი, და ამან გააფხიზილა ნორტონის ყურადღება.

— ჩვენ გვყავს მოწმე, — განაგრძო კიფნერმა. — რომელიც ამტკიცებს, რომ იმ ღამეს, როცა დონა მოკლეს, მან დაინახა კაცი, რომელიც დაასლოებით შუაღამისას ვოლტა-პლეის ქუჩაზე მდებარე სახლიდან გამოდიოდა.

— ვინ არის შენი მოწმე?

— მოწმეს მე არ დავასახელებ, — თქვა კიფნერმა. — მაგრამ გეტყვი, ვინ დაინახა მან იმ საბედისწერო ღამეს.

— კარგი, თქვი!

— შენ, ბენ.

27

გეიბი გულაღმა იწვა ნორტონის ტახტზე. მუცელზე ვისკით სავსე ჭიქა ედო. ლაპარაკის დროს ქერტლით სავსე თმებს თითებით ივარცხნიდა. ხან ჭუჭყიან ფრჩხილებს იკვნეტდა.

— ჩვენ ახლოს ვართ მიზანთან, — აღგზნებით თქვა მან.

— ახლოს ვართ, არა? — ჩაეკითხა დაღვრემილი ნორტო-

ნი. — მე ამ რამდენიმე დღის წინ სიკვდილთან ახლოს ვიყავი, სასწაულით გადავრჩი აფეთქებას. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არ ჩავჯექი იმ მანქანაში. ახლაც არა ვარ დარწმუნებული, ქუჩაში რომ გავდივარ, დავბრუნდები თუ არა შინ ცოცხალი.

— ვაშინგტონში შენ არავინ მოგკლავს, — თქვა გეიბმა. — ასეთი „ტრიუკები“ მხოლოდ ქალაქგარეთ, მინდორში სრულდება. ვიღაც ჭაბუკი, რომელიც კარიერას იწყებს, ცდილობს, ასიამოვნოს თავის შეფს. წარმოიდგინე, რომ მანქანიანად ჰაერში აფრენილიყავი, ეს ტიპი უცებ გაითქვამდა სახელს საზოგადოებაში. აქ, ვაშინგტონში, ეს ბიჭები უფრო წინდახედულად მოქმედებენ. აქ ადამიანებს ბომბების მაგივრად იდეებით აშინებენ.

— ამჯერად შენ მართალი ხარ, — თქვა ნორტონმა. — ჩემმა ძველმა მეგობარმა ფრენკ კიფნერმა ამას წინათ, რამდენიმე ისეთი იდეა მომაწოდა, კინაღამ კედელზე ავედი.

— მაგალითად?

— მას შეეძლო ჩემთვის ცრუმოწმეობა დაებრალებინა, ამას მე ველოდი. მაგრამ მან სულ სხვა მხრიდან შემომიტია. კიფნერმა მითხრა, რომ მას ჰყავს მოწმე, რომელმაც დამინახა შუაღამისას, როგორ გამოვდიოდი იმ სახლიდან, სადაც დონა მოკლეს.

გეიბმა ისე გადაიხარხარა, რომ ვისკი ჭიქიდან შარვალზე გადაესხა. მან შეიგინა, ჭიქა აიღო, ვისკი დალია და ისევ გაიშლართა ტახტზე. მერე ნელ-ნელა გაუქრა სახიდან ღიმილი და ნორტონს მიაშტერდა.

— მართალია ეს? — მკაცრად იკითხა გეიბმა.

— რა?

— შენ, მართლა გამოხვედი იმ სახლიდან, შტერო?

ნორტონმა თითქმის იღრიალა:

— არა, მე არ გამოვსულვარ იმ სახლიდან, მე არ მომიკლავს ის, შენ თუ ამას გულისხმობ.

რეპორტიორმა მხრები აიჩეჩა და სველი შარვალი ჩამოიწმინდა.

— მთავარია, — განაგრძო ნორტონმა. — კიფნერმა უარი განაცხადა ჩემთვის ეთქვა, ვინ არის ის მოწმე. შესაძლებელია არავითარი მოწმე არ არსებობს და ის უბრალოდ „ბლეფობს“.

— არა, არ „ბლეფობს," — თქვა გეიბმა. მან სიგარეტს მოუკიდა და ასანთი საფერფლისაკენ ისროლა.

— შენ საიდან იცი?

— მე ვიცი, ვინ არის მისი მოწმე.

— ვინ არის, ეშმაკმა დალახვროს?

— ჯოი სმოლვუდი.

— ის არანორმალური ბიჭი ღვინის დუქნიდან?

გეიბმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. — რადგან იგი სისტემატურად იყურება სხვის ფანჯრებში, სისტემატურად დაეთრევა ჯორჯტაუნის ქუჩებში, ამიტომ ეს ბინძური საქმე იმას აკისრებინეს. მან თქვა, რომ ის იდგა სახლის საწინააღმდეგო მხარეს და დაგინახა, როგორ გამოდიოდი შენობიდან.

— კარგი მოწმე მოუნახავთ, — თქვა ნორტონმა. — მე მეგონა პროკურატურაში უფრო სუფთად მუშაობდნენ.

— მათ მეტი არც არაფერი უნდათ, — თქვა გეიბმა. — რა თქმა უნდა, ჯო არანორმალურია და მისი ჩვენების საფუძველზე შენ ბრალდებას ვერ წაგიყენებენ. სამაგიეროდ, ჩაანუმებენ ამ საქმით გამოწვეულ აურზაურს, ისიც კია შესაძლებელი, წამოგიყენონ ბრალდება ცრუმოწმეობის გამო, ამ მიზეზით გაგრიცხონ ადვოკატთა კოლეგიიდან და ერთი ან ორი წლით ჩაგსვან ციხეში. სასჯელის მოხდის შემდეგ არავინ მოგისმენს, შენს ჩვენებას არ დაიჯერებენ. დონა ხენდრიკსის მკვლელობის საქმე სამუდამოდ გაუხსნელი დარჩება, შენ კი — უმუშევარი. როგორც ეტყობა, ახლა ეს ნაძირალები შენს დამუშავებას იწყებენ, მეგობარო.

ნორტონი ადგა და ვისკი დაისხა. გეიბი ისევ ტახტზე გაიშხლართა, სიგარეტი გააბოლა და ხელების ქავილი დაიწყო, ალაგ-ალაგ სისხლმაც კი გამოჟონა, ის ენით ლოკავდა სისხლს.

— ამ საქმის შესახებ მე ჩემი თეორია ჩამომიყალიბდა. მართალია, ყველა დეტალი, ყველა ფაქტი ჯერ არა მაქვს შეგროვილი, მაგრამ თეორია ჩამოყალიბდა, მთავარი კი ეს არის, — თქვა და ნორტონს შესედა.

— მე გისმენ.

— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავუშვათ, რომ დონა მოკლა უიტმორმა, ან მერფმა, ან რომელიმე მათმა უახლო-

ესმა თანამოაზრემ. სხვა შემთხვევაში ასეთ გულმოდგინე შენიღბვას არავითარი აზრი არ ექნებოდა. ამიტომ მათ უნდათ, მონახონ განტევების ვაცი და ამ როლისათვის შენ შეგარჩიეს.

— რატომ მაინცდამაინც მე?

— გეტყვი, რატომაც. ამაში არის თავისებური ლოგიკა — შენ ხარ დონასაგან მიტოვებული საყვარელი. ამიტომ შეგატყობინეს ტელეფონით, რომ დონა მოკლეს. გაიძულეს, გაგეკეთებინა ზუსტად ის, რაც შენ გააკეთე, — გაიქეცი მკვლელობის ადგილზე და ამით მიიქციე პოლიციის ყურადღება.

— შენი აზრით, ვინ დამირეკა?

— ვფიქრობ, რიდლმა. ის ამ საქმეში ყურებამდეა ჩაფ'ლული. მაგრამ შემთხვევით საქმე გართულდა, — არენაზე გამოჩნდა ჯო. სულელი ჭაბუკი, რომელიც ღვინის დუქანში მოემსახურა დონას და შესაძლებელია სახლამდეც კი აედევნა. ჯო იურისტი არ არის და ნორმალურადაც არ აზროვნებს. ის აღმოჩნდა შენზე უკეთესი განტევების ვაცი და ამიტომ, გამოძიების სტადიაშივე შეცვალეს სტრატეგია და შეთითხნეს ბრალდება ჯოს წინააღმდეგ.

— მაშინ მათ რატომ აიძულეს ჯო, ეთქვა, ვითომ მე მოვკალი დონა.

— პირველყოვლისა, ჯოს ქველმოქმედი დედა ხატზე იფიცებს, რომ იმ ღამეს ჯო შინ იყო, მეორე მხრივ, შენ ისე ხარ ამ საქმეში გაჩხირული, მათ გადაწყვიტეს, ხმა ჩაგაწყვეტინონ.

— გასაგებია, გეიბ. მაგრამ თუ ისინი აპირებენ მკვლელობაში დამადანაშაულონ, მაშინ რატომ უნდოდათ ჩემი ნაკუწებად ქცევა? თუ შენი თეორია ასე შორს არ მიდის?

— აქ რაღაც გაუგებრობაა, — დაეთანხმა გეიბი. — შესაძლებელია ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ გარდაცვლილის დანაშაულზე მხილება უფრო ადვილია.

გეიბმა ისევ მოსვა ვისკი.

— ანდა, — თქვა ბოლოს მან, — ერთ ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს შენი დანაშაულში მხილება, მეორეს კი — მოკვლა. როცა მთავრობასთან გაქვს საქმე, მათგან ყველაფერს უნდა მოელოდე.

ერთხანს ისინი ჩუმად ისხდნენ, გეიბი ნება-ნება სვამდა

ვისკის, ნორტონი კი ფიქრობდა ბურუსით მოცულ მომავალზე.

— ერთი აზრი მომივიდა, — დუმილი ბენმა დაარღვია. — შესაძლებელია, ჯომ მართლა დაინახა კაცი, რომელიც იმ სასლიდან გამოდიოდა და გულწრფელად ფიქრობს, რომ ის მე ვიყავი.

— ცოტა ტვინი გაანძრიე, — ზიზღით უპასუხა გეიბმა. — ის ბიჭი მხოლოდ თავის დაძვრენას ცდილობს. მან ან შენ უნდა დაგაბრალოს მკვლელობა, ან თვითონ უნდა წავიდეს ცისეში. ამას სულელიც კი მიხვდება, თუ გამომძიებელიც ცოტას წაეხმარა.

ნორტონს ძალიან აინტერესებდა, გეიბმა როგორ გაიგო ვინ იყო ეს საიდუმლოებით მოცული მოწმე, მაგრამ დარწმუნებული იყო ჟურნალისტს ვერაფერს დასტყუებდა. ამიტომ არაფერი ჰკითხა. ბენის გონება გაუსათდა. — ალბათ, კრავიცმა. ერთი კვირის წინ გეიბმა თავისი გაზეთის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა დიდი პუბლიკაცია. სადაც ის აღიარებდა კრავიცს, როგორც მკვლელობების საქმის გამოძიების საწიმუშო სპეციალისტს. ნორტონმა კი იცოდა, რომ გეიბი, როგორც პოლიტიკური მიმომხილველების უმრავლესობა, იშვიათად აქებდა პოლიციელებს რაიმე სარგებლობის გარეშე.

— იცი, გეიბ, ძალიან მაინტერესებს, რატომ მითხრა კიფნერმა იმ მოწმის არსებობის შესახებ. როგორც წესი, სასამართლომდე დამნაშავეს ამის თაობაზე არაფერს ეუბნებიან. როგორც ჩანს, ფრენკი მაინც წამეხმარა.

— მე არ მჯერა იმ ნაძირალასი. — თქვა ჟურნალისტმა.

— არც მე, მაგრამ იმდენი რამე მოვუყევი დონასა და უიტმორის ურთიერთობის შესახებ, ვგონებ დაფიქრდა, მომავალი რას უმზადებს, თუ ეს ამბავი ისე არ დამთავრდა, როგორც მას აქვს ჩაფიქრებული.

— ეს სხვა საქმეა, — თქვა რეპორტიორმა. — ახლა გამოძიება შესაძლებელია ძალიან ჩქარა დამთავრდეს. რადგან ფილდსის სიკვდილის შემდეგ ზოგიერთი რეპორტიორი რაღაც-რაღაცეებს მიხვდა. მე ვფიქრობ, მალე ერთ-ერთი მათგანი გამოაქვეყნებს სტატიას, რომელშიაც დასმული იქნება დაახლოებით ასეთი კითხვა: ხომ არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან დონას, ფილდსის და სენატორ ნოლანის სიკვდილი. შენ კი წარმოგადგენენ, როგორც ამ ამბების დამა-

კაშირებელ რგოლს. შეიძლება ისიც კი დაწერონ, რომ შენ იმ ღამეს დაგინახა იდიოტმა ჯომ, როგორ გამოდიოდი ფილდსის სახლიდან. ახლო მომავალში თუ ამას არავინ არ გააკეთებს, ამ სენსაციურ სტატიას დავწერ მე.

ნორტონმა ამოიოხრა.

— ეშმაკმა დალახვროს, გეიბ, მე არაფერი გამეგება, როგორ მუშაობენ ჟურნალისტები. მაგრამ, მე მეგონა, ფილდსის მკვლელობის შემდეგ ყველა ჟურნალისტი ამ ორ მკვლელობას ერთმანეთს დაუკავშირებდა და საქმის გახსნა დაჩქარდებოდა. ამის მაგიერ, დილის გაზეთში წავიკითხე იდიოტური სტატია, ვითომ ფილდსი მაფიის მსხვერპლი აღმოჩნდა.

— მერე რა არის აქ გასაკვირი, — თქვა გეიბმა. — მაფია ხომ განტევების ვაცია ცსს-სა და სფბ-ისათვის, როცა მათ უჭირთ.

— რაო, რაო?

— მომისმინე, გულუბრყვილო ბიჭო, მაფია ეს მხოლოდ ედგარ გუვერის წარმოსახვის ნაყოფია. მან და მისმა მერეკლამეებმა იტალიაში შეკრიბეს ორასამდე ღიპიანი ბანდიტი, მაჭანკალი და ბუტლეგერი და ჩამოაყალიბეს დანაშაულებრივი სინდიკატი, რომლებმაც გაძარცვეს ამერიკაში რამდენიმე ბანკი, კორპორაცია, მოკლეს ათამდე ამერიკელი ნაძირალა და ერთი-ორი საქმოსანი. შემდეგ სფბ-ის მესვეურებმა რეკლამა გაუკეთეს მათ მიერვე შექმნილ არალეგალურ ორგანიზაციას. მაფიის შესახებ ბეჭდავდნენ წერილებს, ნარკვევებს, ტელევიზიასა და კინოფილმებში უჩვენებდნენ მაფიის გაუგონარ სისასტიკეს, ბოროტმოქმედებას, სადიზმს. ბოლოს, ამერიკის მთავრობა დაარწმუნეს, რომ ეს ორგანიზაცია მეტად ძლიერია, რომ მას შეუძლია კატასტროფამდე მიიყვანოს ქვეყანა, სამაგიეროდ, მაფიის გასანადგურებლად კონგრესს მილიონობით დოლარი დასტყუეს, რათა სფბ-ს საკუთარი სახელმწიფო შეექმნა სახელმწიფოში, თავისი აგენტებით, აპარატით, მანქანებითა და თვითმფრინავებითაც კი.

— გეიბ, — პროტესტი განაცხადა ნორტონმა. — შენ გინდა თქვა, რომ მაფია არ არსებობს?

— მე ვამბობ, რომ მაფია, როგორც ინსტიტუტი, საზოგადოებისათვის ისეთ საშიშროებას წარმოადგენს, როგორი-

ცაა ბოისკაუტი და გაცილებით იმ ორგანიზაციებზე ნაკლებ საშიშია, რომლებიც აწარმოებენ სიგარეტებს, ან უზარმაზარ არასაიმედო დეტროიტულ ავტომობილებს, ანდა ამერიკულ სამედიცინო ასოციაციას.

ეშმაკმა დალასვროს, ეს წყეული ექიმები ყოველწლიურად კლავენ ასჯერ მეტ ადამიანს, ვიდრე მაფია და ყიდიან ორასჯერ მეტ ნარკოტიკს, ვიდრე მაფიოზები, რაშიაც გაცილებით მეტ ფულს ასდევინებენ უბედურ ადამიანებს, ვიდრე სპეკულანტები.

ნორტონი ცნობისმოყვარეობით დააკვირდა გეიბს, ამჯერად მის სმაში არ ყლერდა ცინიზმი.

— შენ არ გიყვარს ექიმები, გეიბ?

რეპორტიორმა ისე ცივად შესედა, რომ ნორტონი გაოგნდა.

— ერთმა ექიმმა დედაჩემი მოკლა და ამისათვის ჩემს მოსუც მამას ოცდაათი ათასი დოლარი გამოართვა, მერე მამაჩემმა მუშაობით მოიკლა თავი, რომ ამ დამპლისათვის ვალი გადაეხადა. კი, შეიძლება ითქვას, რომ მე არ მიყვარს ექიმები და მათთან ერთად ყველა არაპროფესიონალი, მაგრამ ეს შენი ჭკუის საქმე არ არის.

გეიბმა ვისკი ბოლომდე დალია, ნორტონმაც მას მიბაძა.

—კარგი, გეიბ, ვთქვათ, იუსტიციის სამინისტრო, ან პროკურატურა ავრცელებს სმას, რომ ფილდსი მოკლა მაფიამ, ამით რისი დამტკიცება სურთ?

— პირველ რიგში, კიდევ ერთხელ ამტკიცებს პინკუსის კანონის ჭეშმარიტებას.

— რაში გამოიხატება ეს კანონი.

— ვასდენ ციტირებას: „პოლიტიკოსი რამდენადაც მეტად უარყოფს ამა თუ იმ ფაქტს, უნდა გწამდეს, რომ ეს ფაქტი ჭეშმარიტებაა“. ამ შემთხვევაში თუ თვალს მიადევნებთ თეთრი სახლის მიერ აღებულ კურსს, იმას იქითკენ მივყავართ, რომ უიტმორი ან საერთოდ არ იცნობდა ჯეფ ფილდსს, ანდა, იქნებ და სწორედ იქნებ, საარჩევნო კამპანიის დროს ერთხელ, ან ორჯერ ხელი ჩამოართვა ნიქსონ. რაც არჩევნების დროს ჩვეულებრივი ამბავია. პრეზიდენტობის კანდიდატები ხშირად ხელს ართმევენ უცნობ ადამიანებს და ზოგჯერ სურათსაც კი იღებენ მათთან. მათ სიკვდილამდე ეშინიათ ერთი რამისა, რომელიმე ჟურნალისტმა ზემთხვევით არ შეშ-

ლოს იმის დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა, რომ უიტ-მორის, ფილდსისა და დონას შორის, ჩაკის პრეზიდენტად არჩევამდე, იყო ინტიმური კავშირი.

თეთრმა სახლმა აიძულა შტატის პროკურატურა და ვა-შინგტონის პრესა, ბრალი დასდონ მაფიას ფილდსის მკვლე-ლობაში. ეს ჭუჭყიანი, შეთითხნილი ვერსია მათ ხალხისა და სენატის დასარწმუნებლად სჭირდებათ, რასაც ნაწი-ლობრივ მიაღწიეს კიდეც.

— კი, მაგრამ, ვინ არიან ისინი? — იკითხა ნორტონმა წა-მებულის ხმით. უიტმორი? მერფი? კიფნერი? რიდლი? ვინ? ეშმაკმა დალასვროს, ვინ ხელმძღვანელობს ამ წარმოდგენას?

გეიბმა მხრები აიჩეჩა და მოკვნეტილი ფრჩხილი გადმო-აფურთხა.

— ზუსტად ამის დადგენას ვცდილობთ ჩვენ, ცუდია თუ ეს აქამდე არ შეგიმჩნევია. ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ, როგორც ადრე ვამბობდი, სჯობს ყველაზე უარესი წარმო-ვიდგინოთ. მე არ მინდა, რომ შენ საბოლოო შედეგმა რწმენა გაგიცრუოს.

ნორტონი დაისარა და თავის ფესსაცმელს დახედა. გა-საწმენდიაო გაიფიქრა და მერე რაღაც-რაღაცეები გაახსენდა.

— გეიბ, მომისმინე, იმ უკანასკნელ დღეს, როცა ფილდსს ჩემთან მოლაპარაკება სურდა, მაგრამ რაღაცის საშინლად ეშინოდა, ის ახსენებდა, რაღაც ფირს.

— რას?

— მან თქვა რაღაც ამდაგვარი: „ეს ჩემი სადარდებელი არ არის, მაგრამ ეს წყეული ფირი რომ არა". ამის ახსნა — რა ფირზე იყო ლაპარაკი არ მოისურვა, მაგრამ ძალიან აღ-ელვებული იყო.

— ეშმაკმა დალასვროს! — წამოიძახა გეიბმა. — როგორც ჩანს, ეს მართალია.

— რა არის მართალი?

— ერთ-ერთ ჩემს ინფორმატორს გაგონილი აქვს რაღაც ფირის არსებობის შესახებ, მაგრამ ვერაფრით დაუკავშირა იგი ამ ამბავს.

— რა ამბავს?

— იცი, რაშია საქმე, როცა პოლიცია ვოლტა-პლეისზე ფილდსის სახლს ჩხრეკდა, იქ აღმოაჩინა ეშმაკური ხმის ჩამ-

წერი აპარატურა, რომელიც ბგერის წარმოთქმისთანავე ირთავებოდა. რასაც კი ლაპარაკობდნენ იმ სახლში, ფირზე იწერებოდა, ან შესაძლებელია ჩაწერილიყო.

— რისთვის?

— ღმერთმა უწყის. იქნებ ფილდსი სცენარებისათვის ამ ჩანაწერებიდან დიალოგებს ქმნიდა. იქნებ გარყვნილი კაცი იყო და აინტერესებდა, მისი მეგობრები რაზე საუბრობდნენ სექსუალური ურთიერთობის დროს. შეიძლება პოლიტიკურ მოღვაწეთა საუბრებს იწერდა კახპებთან ურთიერთობის დროს და მერე ყოველივე ამას შანტაჟისათვის იყენებდა. ერთი სიტყვით, მე არ ვიცი. ფილდსი ამტკიცებდა, რომ მას არასოდეს უსარგებლია ამ სისტემით. მაგრამ, შესაძლებელია, ტყუოდა. და თუ შენი სიტყვებიდან დავასკვნით, იგი ნამდვილად ტყუოდა. ესე იგი, შესაძლებელია, მკვლელობის მთელი სცენა ჩაწერილია ფირზე, მაგრამ, ჩვენ არ ვიცით, ვისთან ინახება ეს ფირი დღეს.

გეიბი დადუმდა და ჩაფიქრდა. ნორტონი გაოცებული უყურებდა მას.

— გეიბ, თუ იქ იყო ფირი და მკვლელმა იგი აღმოაჩინა, ის ხომ იმავე წუთში გაანადგურებდა მას. ეს ღღესავით ნათელია.

— მაშინ ფილდსს რატომ აწუხებდა ფირის არსებობა?

— არ ვიცი, — თქვა ნორტონმა. — აქედან მე აზრი ვერ გამოვიტანე.

— თუ ფირი აღმოაჩინა სხვა პიროვნებამ და არა მკვლელმა, მაშინ აზრი აქვს, — თქვა გეიბმა. — თუ ფირი იპოვა ვინმე სხვა პიროვნებამ და ამ საქმეში რაღაცით მაინც გარეულია პრეზიდენტი, მაშინ ფირი სოლიდური თანხა ეღირება და ამას აზრი აქვს.

— რა გაქვს მხედველობაში?

— ფული. თუ ამ ქალაქში სდება რაიმე უცნაური და შენ ვერ ხვდები, ბიზეზს ნუ ეძებ სიყვარულში, ეჭვიანობასა ან შურისძიებაში. ამის მიზეზი მხოლოდ ფულია. იმიტომ, რომ ადამიანები მხოლოდ ფულის გამო მიდიან ყველაფერზე. ეს ფირი კი ძალიან დიდი თანხა ეღირება, ჩემო მეგობარო. ის ვაშინგტონის ბაზარზე ბეორე ადგილს დაიჭერს გუვერის დოსიეს შემდეგ.

— მოიცა, მოიცა, გეიბ. როგორ შეეძლო გიღაც სხვას, — და არა მკვლელს — აღმოეჩინა ის ფირი?

— მომისმინე, დონას სიკვდილის მომენტის შემდეგ, სანამ იგი გაზეთის დამტარებელმა აღმოაჩინა, გავიდა რვა თუ ათი საათი. ამ პერიოდში იმ ბიწაში შეიძლება სხვებიც შესულიყვნენ. ვინ, არ ვიცი, მაგრამ ახლა ჩვენთვის მთავარია, მოგძებნოთ ის ავბედითი ფირი.

ნორტონი დაეთანხმა და თავი ხელებში ჩარგო.

— რა გავაკეთოთ მომავალში? — იკითხა მან.

— მე დავურეკავ ფილდსის ვექილს და ბალმ-სპრინგსის პოლიციას, იქნებ რამის გაგება მოვახერხო ფათგან. შენ კი კიდევ ერთხელ მოელაპარაკე მაკნეირს. შეეცადე გაიგო, სად იმყოფება რიდლი. ეს მამაძაღლი მიიმალა.

— გამოჩნდება, — თქვა ნორტონმა. — მზად ვარ ღმერთის წიწაში დავიფიცო, რომ მან ჩაუდო ბომბი ფილდსს მანქანაში.

— შესაძლებელია, — თქვა გეიბმა, — მე ზოგი რამ გავიგე რიდლის შესახებ, გსურს მოისმინო?

— რა თქმა უნდა, მაგრამ საწამ მოყოლას დაიწყებდე, იქნებ ცოტა დაგველია?

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, — ნორტონი ჭიქებში ვისკის აზავებდა, გეიბმა სიგარას მოუკიდა.

— მომისმინე, — დაიწყო გეიბმა, — კაცი, რომელსაც ჩვენ ბაირონ რიდლის ვეძახით, იმ სტადიამდე მივიდა, რომ არავინ დანამდვილებით არ იცის, ვინ არის ის. ის კი არა, შესაძლებელია უკვე თვითონაც არ იცის საკუთარი თავის ვინაობა.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ კაცი, რომელიც დღეს თავის თავს ბაირონ რიდლს ეძახის, ადრე ისა ბობი კოლდუელი ერქვა. კაცი, რომელიც ამ სახელითა და გვარით იყო ცნობილი, გარეგნობით ძალიან ჰგავს დღევანდელ რიდლს. მან 1954 წელს დაამთავრა იელის უნივერსიტეტი, მაშინ მოდაში ისე იყო ცსს-ში მუშაობა, როგორც მშვიდობის კორპუსში შესვლა კენედის დროს. როგორც მე გავიგე, ამ კოლდუელმა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე არ დაუწყია ცსს-ში მუშაობა. ორი წელიწადი ცდილობდა, დაეწერა უდიდესი ამერიკული რომანი და როცა არაფერი გამოუვიდა, ბედს დაემორჩილა და მუშაობა ცსს-ში დაიწყო. შემდეგ მის შესა-

ხებ თანამიმდევრული ცნობები არა მაქვს. ერთხანს კუბაში უმუშავია. მერე იქვე დააპატიმრეს და ციხეში იჯდა. ასე იყო, თუ ისე, სამოციან წლებში იგი ვაშინგტონში გამოჩნდა. მისი სპეციალობაა კავშირგაბმულობა: რადიოგადაჭრები, ტელეფონით სხვისი საუბრების მოსმენა. ფაქტობრივ კი გაფორმებული იყო რომელიღაც სარეკლამო სააგენტოში. თავისუფალ დროს ისევ წერდა, ამჯერად—ჯაშუშურ დეტექტივებს. მათგან რამდენიმე წავიკითხე. არცთუ ისე ცუდია. ბევრს წერს სექსზე. სიუჟეტები თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავს. ასე იყო თუ ისე, როგორც შევიტყვე, რიდლმა, რამდენიმე წლის წინ თავაშვებული ცხოვრება დაიწყო, რატომ არ ვიცი, შესაძლებელია მიხვდა, რომ მწერლობაში ხელი მოეცარა, შესაძლებელია უბრალოდ გიჟია, ყოველ შემთხვევაში, ცსს-ში გავრცელდა ხმა, რომ იგი ტელეფონზე სხვისი საუბრის მოსმენის გარდა, სხვა რამეზეც აწერდა ხელს.

— რა გაქვს მხედველობაში? — ჰკითხა ნორტონმა.

— რომ ის ხელის აუკანკალებლად მოკლავდა ადამიანს თუკი დარწმუნდებოდა, რომ ეს ხელს შეუწყობს მის ბინძურ საქმეს. ის იყო რომელიღაც სალიკვიდაციო ჯგუფის წევრი. აი ინებეთ, იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც ეზიზღება კომუნისტები და ჩინოვნიკები, ცხოვრობს ფანტასტიკურ სამყაროში და დროდადრო სიამოვნებით იცილებს გზიდან იმ ადამიანებს, რომლებიც მისი თვალსაზრისით ხელს უშლიან „თავისუფლებას“.

— გეიბ, ეს ფანტასტიკაა?

— არა, — უპასუხა რეპორტიორმა, — ეს ფანტასტიკა არ არის, მთელი უბედურება ის არის, რომ შენ ამ ქალაქში საზოგადოების მხოლოდ ზედაპირულ შრეს იცნობ. აბა გათხარე ცოტა ღრმად, დაინახავ, რომ იქ დაბობღავენ უქნარები, პოლიტიკური ბანდიტები, ჯაშუშები, კერძო დეტექტივები და ათასგვარი ნაძირალები, რომლებთანაც შედარებით რიდლი ცაში მონავარდე ჩიტია, სწავლობდა უნივერსიტეტში, უყვარს საუბარი სკოტ ფიცჯერალდზე და მხოლოდ დროდადრო კლავს ადამიანებს.

— კარგი, გეიბ, მაგრამ, როგორ შეაღწია ასეთმა ნაძირალამ თეთრ სახლში?

— მე გავიგე, რომ რიდლი დაკავშირებულია შენს დიდად

პატივცემულ შეფთან—უიტ სტოუნთან. არ მკითხო როგორ და საიდან. რიდლი ასრულებდა მის დავალებებს. სტოუნი, ეს თუ ადრე არ იცოდი, ახლა მაინც შეისმინე, დაკავშირებული იყო ცსს-ს სამმართველოს ბიჭებთან. არჩევნებამდე რიდლს იგი იყენებდა, როგორც დამსმენს, ფულის გამომძალველს. პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ რიდლი ეძებს უფრო საიმედო თავშესაფარს, სსნის ახალ სამძებრო სააგენტოებს, ხდება რესპექტაბელური.

— გასაგებია, მაგრამ როგორ მოხვდა თეთრ სახლში?

— სწორედ ამის შესახებ მინდა მოგითხრო. უიტმორი გასულ ზაფხულს წამოაყენეს, ხომ ასეა? მანამდე სტოუნი და მისი მეგობრები — ნავთისმრეწველები — ფულს სხვა „ცხენზე" ჩამოდიოდნენ. მაგრამ, როგორც კი უიტმორი გამოჩნდა არენაზე, მაშინვე მის ეტლზე აცოცდნენ. სტოუნი აფინანსებს წინასაარჩევნო კამპანიას, უგზავნის გამოცდილ იურისტებს, რომლებიც თავის სამსახურს სთავაზობენ უიტმორს. სტოუნმა ბაირონ რიდლის დახმარებაც შესთავაზა მომავალ პრეზიდენტს. რიდლი მიიღეს წესრიგის დამცველად სხვა და სხვა ღონისძიებათა ჩატარების დროს, რაღა თქმა უნდა, იგი ძალასა და ღონეს არ იშურებდა თავის გამოსაჩენად, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო იმის საწინდარი, რომ წარმატების შემთხვევაში იგი რაიმე თანამდებობას მიიღებდა თეთრ სახლში უიტ სტოუნის დახმარებითაც კი. მას შეიძლება მიეღო ჩინოვნიკის თანამდებობა ფინანსთა ან რომელიმე სხვა საჭინისტროში.

— მაგრამ, ინაგურაციის დღეს ბაირონ რიდლმა ჩაიღინა გმირობა, — თქვა ნორტონმა.

— დიახ. შენ გასსოვს? გიჟი მკვლელი, რომელსაც ხელში ფეთქებადი ნივთიერებით სავსე ჩემოდანი ეჭირა. იგი შეიპარა თეთრი სახლის ეზოში, რამაც მთელი საზოგადოება შეაშფოთა. უშიშარი ბაირონ რიდლი აუღელვებლად მივიდა მასთან და შეულილი განაიარაღა. ამ დამსახურებისათვის იგი დაინიშნა თეთრ სახლში გაურკვეველ თანამდებობაზე.

— რაც არ უნდა თქვა, ამ ტიპს, ვაჟკაცობა აქვს, — თქვა ნორტონმა.

— არაფერიც არ აქვს, — უპასუხა გეიბმა. — ყველაფერი ეს, წინასწარ იყო ჩაწყობილი.

— რაა?

— სრული ჭეშმარიტებაა. მე გუშინ შევკრიბე ცნობები ამ, ეგრეთ წოდებულ, გიჟ მკვლელზე. აღმოჩნდა, რომ მან, სანამ ყველაფერი მიწყნარდა, ერთი თვე გაატარა წმინდა ელისაბედის საავადმყოფოში, მერე კი უკვალოდ გაქრა. დამიჯერე, რომ რიდლი სტოუნისათვის, ცსს-სათვის და თეთრი სახლისათვისაც კი ძალიან საჭირო კაცია. მათი დახმარებით მოხვდა იგი იქ. ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, ვიღაცეებს ძალიან სელს აძლევს, თუ რიდლი ისეთ მასალებს შეკრებს ახალი პრეზიდენტის შესახებ, რომელიც ჩირქს მოსცხებს მის ავტორიტეტს.

— ესე იგი, შენ თვლი...

— მე ვფიქრობ, რომ რიდლმა ან უკვე გამოჩხრიკა რაღაც უიტმორისა და დონას კავშირის შესახებ, ან ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა მიაკვლიოს საჭირო მასალებს. რიდლი, შესაძლებელია თვლის, რომ იბრძვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მაგრამ უიტ სტოუნმა და მისმა მეგობრებმა ზუსტად იციან, რა სურთ. მხოლოდ და მხოლოდ ფული. ფულის გულისთვის ეს ნაძირალები მზად არიან გაძარცვონ მთელი ამერიკა. გაიხსენე, როგორ მოიქცნენ ისინი ნიქსონის დროს. მისი საარჩევნო კამპანიის დროს დადეს ხუთი თუ ათი მილიონი დოლარი. მაგრამ, როცა დადგა დრო, ამ მამაძაღლებმა, ორმაგად გააძვირეს ნავთი და სხვა პროდუქტები. მხოლოდ ამათ, ღმერთმა უწყის, რამდენი მილიარდი მანეთი მოიგეს. ფუი ეშმაკს, შენ წარმოგიდგენია, რას მოიმოქმედებენ ისინი, თუ მათ ხელში აღმოჩნდება რაიმე სერიოზული სამხილი პრეზიდენტის წინააღმდეგ? ვთქვათ, იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ იგი დონას მკვლელობის მონაწილეა. მაშინ ერთ ბალონ ბენზინში ალბათ 5 დოლარს წაგვღლეტენ, და გგონია ამით დამთავრდება საქმე? ცსს-ც თავის წილ ხორცს მოითხოვს, გახსოვს, როცა დიდმა ჩაკმა ეს მკვლელების ბიურო შეავიწროვა, ბევრი მათი აგენტი უმუშევარი დარჩა. ერთადერთი რაც მათ იციან, — ეს რადიკალების დაპატიმრებაა. და როგორ გგონია, ისინი შანტაჟს არ მოუწყობენ უიტმორს, რომ ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ საქმეს? და ბო-

ლოს, თვითონ ბაირონ რიდლი, — გავიგე, რომ იგი ოცნებობს ცსს-ს დირექტორობაზე.

— ეშმაკმა დალახვროს, — წაიჩურჩულა ნორტონმა.

— ჩინებულად აუწყვიათ საქმე, ასე არ არის? — თქვა გეიბმა. — ზუსტად ასეა, როგორც შენ გასწავლიდნენ უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართალს — დემოკრატია მოქმედებაში.

28

გამთენიისას ფრენკ კიფსერმა დაურეკა ნორტონს და აცნობა, მეორე კვირას გამოცხადებულიყო მასთან ჩვენების მისაცემად. პროკურორი ლაპარაკობდა მოკლედ, საქმიანად; არც ევალებოდა დაწვრილებითი ცნობების მიცემა. ამ დიალოგმა ნორტონი ცუდ ხასიათზე დააყენა. იჯდა იგი თავის კაბინეტში დიდ სავარძელში და ათას რამეზე ფიქრობდა. განსაკუთრებით, თავის ბოსზე, უიტ სტოუნზე, რა უნდა ეთქვა კიფსერისთვის. აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა, ნორტონს უკვე სურდა, მისთვის დაერეკა, მაგრამ როგორც ყოველთვის, სტოუნმა დაასწრო, დარეკა მდივანთან და ყანულივით ცივი ხმით უთხრა, რომ მას სურს მისტერ ნორტონის ნახვა.

ამჯერად, როცა ნორტონი ბოსის კაბინეტში შეკიდა, მას არც გაუღიმეს, არც ხელი ჩამოართვეს და არც ვისკი შესთავაზეს. უიტ სტოუნი თავის მაგიდას უჯდა, მისი თვალები ნაკვერჩხლებივით ანათებდნენ ნახევრად ბნელ კაბინეტში.

— როგორც გავიგე, შენ რაღაც გართულებები გაქვს დიდ ჟიურისთან, — დაიწყო მან.

— არავითარი გართულებები, უბრალოდ, გამომიძახეს.

— მე ამას გართულებას დავარქმევდი, — თქვა სტოუნმა. — ან იქნებ გართულებები გაქვს ვაშინგტონთან, ბენ. იქნებ აქვს აზრი, ცოტა ხნით გაემგზავრო სადმე. დაფიქრდე.

— შესაძლებელია, — თქვა ნორტონმა. — მაგრამ ჯერ დავამთავრებ იმას, რაც წამოვიწყე.

— საქმე ის არის, ბენ, შეგიძლია თუ არა გააგრძელო შენი... ააა... გამოძიება და თან ამ ფირმაში იმუშაო.

— გეთანხმები.

სტოუნი გაოცდა.

— იქნებ შვებულება აგეღო... — დაიწყო მან.

— არა, შვებულება არა. ჩანს, მდგომარეობა მოითხოვს ურთიერთობის საბოლოო გაწყვეტას. ერთი სიტყვით, მე ვტოვებ სამსახურს. — სახეზე ეტყობოდა, მას მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული.

სტოუნი გადაწვა სავარძლის ზურგზე, ნორტონი მიხვდა, რომ ის კმაყოფილია, მისი ასე ადვილად მოცილებით.

— კარგი, ბენ, რაკიღა ასე გადაწყვიტე, ალბათ, ასე გირჩევნია. ვფიქრობ, შეიძლება შევადგინოთ ორმხრივი შეთანხმება შენი სამსახურიდან წასვლის შესახებ.

— მე აღარ მჭირდება შენი ფული, ცენტიც კი, სტოუნ, ოღონდ წასვლის წინ სიმართლე მინდა გითხრა. შენ ყველაზე არამზადა მოღალატე, მამაძაღლი ხარ ვისაც კი ამ უკანასკნელ ხანებში, ჩემდა საუბედუროდ, შევხვედრივარ.

სტოუნი წამოხტა.

— გაეთრიე, — დაიყვირა მან, — მომწყდი თავიდან, საწამ არ მიბრძანებია, აქედან ძალით გაგაძეონ!

ასე დაამთავრა ნორტონმა მუშაობა ფირმაში „კოგინს, კოპლენდ და სტოუნი". ხუთი წუთის შემდეგ ბენმა თავისი მაგიდიდან აალაგა ყველა საჭირო ნივთი და ენის დაურეკა.

— იცი, რა? — დაიწყო მან.

— ვიცი, ვიცი, შენ უიმედოდ ხარ ჩემზე შეყვარებული.

— კიდევ უარესი. მე უმუშევარი დავრჩი. ჩემი და უიტ სტოუნის გზები, რამდენიმე წუთის წინ, სამუდამოდ გაიყარნენ.

— შესანიშნავია.

— და კიდევ, ჩემი ნახვა სურს დიდ ჟიურის.

— ძალიან დაძაბული დილა გქონია.

— პარასკევი ყოველთვის დაძაბული დღეა, — თქვა ბენმა. — მაგრამ წუხანდელი ღამე იყო გადასარევი, თუ, მგონი, უკვე გითხარი ამის შესახებ?

— კიდევ ერთხელ გაიმეორე, თუ შეიძლება? — შეეხვეწა ენი.

— წუხანდელი ღამე გადასარევი იყო, შენ გადააჭარბე ყველა ჩემს მოლოდინს.

— არც შენ იყავი ნაკლები. საპასუხო მოწვევა დღეს საღამოს ხომ არ დაგაინტერესებს?

— წარმოიდგინე, არა, ენ. მე რაღაც-რაღაცეები უნდა მოვაწესრიგო.

— მისმინე, ხვალ ხომ ფრანების გაშვების დღეა.

— მგონი ფოლკლორის ფესტივალის ჩატარებასაც აპირებენ, იქნებ ჰირშჰორნის მუზეუმშიც შევიხედოთ.

— შესანიშნავი აზრია.

— კიდევ დაგირეკავ.

— კარგი, ნახვამდის.

ენი ყოველთვის ისე ხმადაბლა ამბობდა „ნახვამდის", ასეთი გამომშვიდობება ნორტონს მუდამ თავბრუს ახვევდა. და საერთოდ, ბევრი ისეთი რამ ჰქონდა ენის, რასაც ნორტონი აღტაცებაში მოჰყავდა. მათ სულ ახლახან გაატარეს ზედიზედ ორი ღამე ერთად. ორივე ბედნიერი იყო. მაგრამ ნორტონს მაინც დროდადრო გაუელვებდა ფიქრი: — ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის ქალის ასე სიგიჟემდე შეყვარება სისულელე ხომ არ არისო? — მაგრამ არა. მე მგონი ეს არის ერთ-ერთი, იმ მცირე გონივრულ მოვლენათა შორის, რაც დღეს ხდება ვაშინგტონში.

ექვს საათზე ნორტონმა მანქანა ქალაქგარეთ აგურის ორსართულიან მყუდრო სახლთან გააჩერა. მისამართი ერთხელ კიდევ შეამოწმა და ზარი დარეკა.

როცა ჯეინ მაკნეირმა კარი გააღო და ნორტონს მოკრძალებული ღიმილით შეხვდა, მან იმ წუთშივე გაუგო ქალს. გაუგო იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება იცნობდა ასეთ ქალებს. მიხვდა, რომ ბავშვობიდან იგი მშობლების გამგონე გოგონა იყო, შემდეგ პედაგოგების საყვარელი მოსწავლე, კლასის ჯგუფხელი, მოკრძალებული პირველკურსელი, მიზანდასახული საპატარძლო, ერთგული ცოლი, შვილების მოყვარული დედა და, ბოლოს, ახალგაზრდა თაობისათვის მაგალითის მიმცემი ქალი. იგი გამოიყურებოდა ბრწყინვალედ. ოდნავ მიამიტურად. პირველი შეხედვისთანავე ნორტონს დაებადა რაღაც სიმპათიისა და შებრალების მსგავსი გრძნობა.

— ქალბატონო, მაკნეირ, მე ბენ ნორტონი გახლავართ. თქვენი მეუღლე შინაა?

ქალი გაოცდა.

— თქვენ მასთან, სამსახურში არ დაგირეკავთ?

— მიპასუხეს, წავიდაო, — თქვა ნორტონმა. — მაგრამ, სულ ერთია, მე მასთან პირადი საქმე მაქვს და ამ საქმეზე კაბინეტში არ მსურდა მესაუბრა.

— მაპატიეთ, — თქვა ქალმა. — თქვენ რა გქვიათ?

— ბენ ნორტონი.

— დიახ, ჩემი მეუღლე მგონი გახსენებდათ.

— ჩვენ რამდენჯერმე ვისაუბრეთ. მე იურისტი ვარ.

— თქვენ იმ ქალის მეგობარი ხომ არა ხართ, რომელიც ზოკლეს.

— დიახ.

— ამ საქმეზე გსურთ მოელაპარაკოთ მას, არა?

ნორტონმა ისეთი სახე მიიღო, ვითომ ყოყმანობდა.

— მთლად ასე არ არის, — თქვა მან. — იცით რა, მისის ბაკნეირ, მე მეშინია, რომ თქვენს ქმარს შეიძლება უსიამოვნება შეხვდეს, მაგრამ მე არ მინდა, თავი შეგაწყინოთ ასეთი საუბრით.

ნორტონმა თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ ქალმა იმწამსვე კარი გამოაღო და ბენი შინ შეიპატიჟა.

— თუ შეიძლება, შემობრძანდით, მისტერ ნორტონ. მე მგონი ჩვენი საუბარი საჭიროც არის და სასარგებლოც. კლეიც წუთი-წუთზე უნდა მოვიდეს. დღეს დამპირდა, ადრე მოვალო, — ქალს გაეღიმა, — დღეს ქორწინების წლისთავი გვაქვს და გადავწყვიტეთ, სადმე რესტორანში ვიზეიმოთ.

დიასახლისმა სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა და დივანზე მიუთითა, თვითონ კი მოპირდაპირედ სწორზურგა სავარძელში ჩაჯდა. სახე სერიოზული და მშვიდი ჰქონდა, წელში ლარივით იყო გამართული, მუხლები ერომანეთზე მიტყუპული, ხელები გადაჯვარედინებული — ერთი სიტყვით, ახალგაზრდა მატრონას ნიმუში გასლდათ.

— ჰოდა ასე, მისტერ ნორტონ... — დაიწყო მან.

— ბენ.

— ბენ, სიამოვნებით, რადგან ასეა, თქვენც ჯეინი დამიძახეთ. და გთხოვთ, მომიყვეთ, თქვენი აზრით, როგორი სახის უსიამოვნება შეიძლება შეემთხვეს ჩემს ქმარს.

— ვშიშობ, რომ ეს არ იქნება ტაქტიანი...

— ის კი ტაქტიანია, უმწეო ქალს რომ აშინებთ, ბენ, მაშინ ნება დამრთეთ, გითხრათ, რაც ვიცი. ვფიქრობ, ჩემს

ქმარს იმ დღიდან დაეწყო უსიამოვნებები, როგორც კი ამ ქალაქში შემოვდგით ფეხი. მეჩვენება, რომ გაშინგტონი ღუპავს მას. მხედველობაში კუჭის წყლული არა მაქვს, ახლა, ამ დაბავადებას უკვე კურნავენ. მაგრამ ჭკუის, გულის და სულის მკურნალობა ცინიზმისა და ზემოდან დაწოლისაგან ჯერ შეუძლებელია. მე ყველაზე უკეთ ვიცნობ ჩემს ქმარს. ის არც დიადი და არც ბრწყინვალე ადამიანი არ არის, მაგრამ კარგი ბიროვნებაა, ან ცდილობს იყოს კარგი. ის ბევრს შრომობს, რომ ოჯახი ყველაფრით უზრუნველყოს. მთელი უბედურება ის არის, რომ წარმატებებს ფულის მიხედვით ზომავს. მაგრამ მე ვხედავ, რომ სამუშაომ... ამ ქალაქმა... პოლიტიკამ იგი მანქანად გადააქცია. ძალიან ზუსტ, მაღალმწარმოებელ მანქანად. ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ ეს სამუშაო მას ართმევს მთელ დროსა და ენერგიას. უტოვებს მხოლოდ ადამიანის გარეგნულ იერს, რომელსაც მე გავყევი ცოლად. ასე, რომ, ბენ, ნუ გეშინიათ, მითხარით ყველაფერი, რაც მოგესურვებათ. თქვენი ნათქვამი, დარწმუნებული იყავით, აღარ ამაფორიაქებს.

ნორტონს მოსწონდა ეს ქალი და ამიტომ წამით საკუთარი თავი შეეზიზღა, რომ ასეთ თამაშში ჩაითრია. ვაშინგტონის ბრძოლებში მუდამ ასე ხდებოდა: ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ ისინი, რომლებიც საომარ სიტუაციებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. — გაიფიქრა ნორტონმა.

— რა თქმა უნდა, კლეი იტყვის, რომ მე გულუბრყვილო ქალი ვარ, არ ვიცი ცხოვრება, არ ვიცნობ პოლიტიკურ სამყაროს. ეს ყველაფერი მართალია, იმიტომ, რომ მე და კლეის ერთნაირი ბავშვობა არ გაგვიტარებია. ის მიჩვეულია სიძნელეებს, სიღარიბეს, მე კი ვცხოვრობდი მშვიდად, უზრუნველად, სანამ არ გავთხოვდი. ამიტომ ვაშინგტონს ისე შევყურებ, როგორც ჯუნგლებს, ის კი ხედავს მას, როგორც მიმზიდველსა და ამაღელვებელს. მე არ ვიცი, რომელია ჩვენ შორის მართალი.

— შესაძლებელია ორთავე, ჯუნგლები შეიძლება მიმზიდველიც იყოს და ამაღელვებელიც.

— იმ შემთხვევაში, შენ თუ მხეცი ხარ, — გაცეცხლებით თქვა ქალმა, — ან პოლიტიკოსი.

— ეს დამღუპველი ქალაქია, — თქვა ნორტონმა. — დამ-

ღუპველი ყველა მამაკაცისათვის და განსაკუთრებით ასალ-ჯვარდაწერილთათვის.

— მაინც, რატომ უნდა იყოს შეერთებული შტატების დედაქალაქი ასეთი?

— რატომ? იმიტომ რომ ჩვენი საზოგადოება კონკურენციის მოყვარული საზოგადოებაა. ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით საბავშვო თამაშებში, სპორტში, სექსში, ბიზნესში, პოლიტიკაში, თითქმის ყველაფერში. ისეთ ადგილებში კი, როგორიც ვაშინგტონი, უოლ-სტრიტი ან ჰოლივუდია ჩამოსასვლელი თანხა უფრო დიდია, ვიდრე სხვაგან. ამიტომ აქ მეტოქეობაც უფრო მკაცრია. მაგალითისათვის, თქვენი ქმარი თეთრ სასლში მუშაობის დაწყების შემდეგ წელიწადში ღებულობს 25 ათას დოლარს. თუ ის თამაშს სწორად წარმართავს, იქიდან წასვლის შემდეგ ორჯერ-სამჯერ მეტ ფულს მიიღებს. მაგრამ ამის გამო მან მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობა უნდა გადმოალაგოს, შესწიროს თეთრ სასლს. იმიტომ, რომ მის ადგილს ასობით სხვა ადამიანი უღარაჯებს.

კარი გაიღო, ოთახში ორი გოგონა შემოფრთხიალდა, ისინი ერთმანეთში გაცსარებით კამათობდნენ და იცინოდნენ. როგორც კი ნორტონი დაინახეს, იმწამსვე გაჩუმდნენ და ცნობისმოყვარეობით შესედეს დედას.

— ეს მისტერ ნორტონია, გოგონებო, — ცერემონიალურად თქვა ქალმა. — ესენი კი ჩემი ქალიშვილები არიან — ემილია და ენი. გოგონები რიგის მიხედვით მივიდნენ ნორტონთან, თავაზიანად მიესალმნენ, სელი გაუწოდეს და ჩაიჩურჩულეს:

— დიდად მოხარული ვართ თქვენი გაცნობის.

— წადით, რძე დალიეთ, — უთხრა მათ დედამ, — ჩვენ კი ვისაუბრებთ.

— მომხიბვლელი ბავშვები არიან. — თქვა ნორტონმა.

— ამ მომხიბვლელმა ბავშვებმა ვერაფრით ვერ გაიგეს, რატომ აღარ ჰყავთ მამა. და ამას საშინლად განიცდიან. მე შეკითხვებით სულს ამოგხდით, ბენ. მითხარით, რა არასასიამოვნო ამბავი ემუქრება, თქვენი აზრით, ჩემს ქმარს.

— ამაში მთლიანად დარწმუნებული არა ვარ, — თქვა ნორტონმა. — მე მგონი, არაფერი ცუდი მას პირადად არ გაუკე-

თებია. მაგრამ, შესაძლებელია თვითონაც ვერ მიხვდეს, ისე გაებას უსიამო ამბავში. ეს ამბავი დაკავშირებულია დონას მკვლელობასთან. ჩემი აზრით, თეთრ სახლში ზოგიერთმა ადამიანმა უფრო მეტი იცის დონა ხენდრიკსის მკვლელობის შესახებ, ვიდრე მათ პოლიციას განუცხადეს. ერთ-ერთი მათგანია, ბაირონ რიდლი, რომელიც თქვენი ქმრის კაბინეტში ზის.

ჯეინ მაკნეირმა ერთი წამით თვალები დახუჭა.

— დიახ, — თქვა ქალმა. — მე უნდა მივმხვდარიყავი, რომ რაღაც მოხდებოდა.

— თქვენ იცნობთ რიდლს?

— ჩვენ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს. ის ერთი შეხვედრაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ პიროვნებაზე საკუთარი აზრი შემქმნოდა. ის ყოველგვარი მიზეზის გარეშე უხეშად მექცეოდა, ცდილობდა შეურაცხყოფა მოეყენებინა. მაგრამ ეს იმასთან ზღვაში წვეთია, რასაც მისგან კლეი ითმენს. ამ კაცთან, ორი კვირის წინ, ჩემს მეუღლეს რაღაც უსიამოვნება მოუხდა. შინ ისეთი აღელვებული და დაბნეული დაბრუნდა, როგორც არასოდეს.

— დაბნეული?

— სახე გაფითრებოდა, ხელები და ხმა უკანკალებდა. მერე მუცლის ტკივილიც კი დაეწყო. მე მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა, ბაირონ რიდლთან გიჩხუბეო. მეორე დღეს კი, დანამდვილებით ვიცი, კაბინეტი გამოიცვალა.

— მას არ უთქვამს, კონკრეტულად, რაზე იჩხუბეს? ან რაიმე ხომ არ მოგიყვათ რიდლის საქმიანობის შესახებ.

ჯეინ მაკნეირი მოიღუშა და ჩაფიქრდა. ორმა ვერტიკალურმა ნაოჭმა დააუშნოვა მისი ლამაზი შუბლი.

— არა, — თქვა მან როგორც იქნა, — ამბობდა მხოლოდ, რომ რიდლი, ვიღაც მეძებარია, და ის მარტოხელა მგელია. მაგრამ ზოგჯერ თეთრი სახლისათვის მეტად საჭირო კაციაო, კლეი მას გამუდმებით გიჟს ეძახდა, ამბობდა, რომ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. რამდენჯერმე გაიმეორა; „არასოდეს, არასოდეს არ ჩავერევი სხვის საქმეში"-ო.

ნორტონს მოეჩვენა, რომ ჯეინი ეს-ეს არის ატირდებოდა. მან გაიფიქრა, წასვლა ხომ არ ჯობსო. ქალმა, ზუსტად

ამ დროს, შესედა მას და თითქოს თვალებში ამოიკითხა მისი ფიქრი.

— რა საძაგელი დიასახლისი ვარ! — მოდი, ცოტა დავლიოთ. კლეი წუთი-წუთზე უნდა მოვიდეს.

— დიდი სიამოვნებით, — თქვა ნორტონმა. მან გაიფიქრა, რომ დალევა ახლა ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იყო.

ამ დროს კარი გაიღო და კლეი მაკნეირი შემოვიდა.

— გამარჯობა, ჩემო კარგო, — თქვა მან. მერე ნორტონს მოეკრა თვალი და დაღლილი სახე ჯერ გაოცებით, შემდეგ კი სასიამოვნო გამომეტყველებით შეეცვალა. მაგრამ მიუსედავად ჭაბუკური ღიმილისა, სახეზე კლეის მაინც ეტყობოდა დაღლილობა.

— გამარჯობა, ბენ, რით დავიმსახურე ასეთი პატივი?

— მინდოდა მოგლაპარაკებოდი. შენმა მეუღლემ თავაზიანად შემომიპატიჟა და აი მეც გელოდები.

— ჩვენ კი ზუსტად ახლა გადავწყვიტეთ დაგველია, — თქვა ჯეინ მაკნეირმა. — შენ რა გინდა, კლეი? მე ახლავე შემოვიტან დასალევს.

— არა, ჩემო კარგო, ამის უფლება მე მომეცი, შენ რას დალევ, ბენ?

— კარგი იქნებოდა შოტლანდიური ვისკი სოდით.

— შენ, ჩემო კარგო?

— მარტინი, გეთაყვა.

— მომაქვს, — მხიარულად თქვა მაკნეირმა და როცა გასვლა დააპირა, მასთან გოგონებმა მიირბინეს. მან ისინი საოცრად აიყვანა, აკოცა და ბავშვებიც კლეისთან ერთად სიხარულით გაცვივდნენ სამზარეულოში.

— თავს იმხნევებს, — წაღვლიანად თქვა ჯეინ მაკნეირმა. — ამას მთელი ძალ-ღონის დაძაბვა სჭირდება.

ისინი ჩუმად ისხდნენ და უსმენდნენ, როგორ იყრებოდა ჭიქებში ყინული და როგორ გულიანად იცინოდნენ ბავშვები, შემდეგ მაკნეირი შემოვიდა ჭიქებით, გოგონები კი ზემოთ სართულზე ჩუმად ავიდნენ. მაკნეირი სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა.

— ბენ, მე და ჯეინი მალე პატარა წვეულებაზე უნდა წავიდეთ, ასე, რომ, თუ შეიძლება, სწრაფად გადავიდეთ საქმეზე. გეთაყვა, შენ თუ შეიძლება...

— არა, კლეი, მირჩევნია დავრჩე. მე და ბენმა რაღაც-რაღაცეებზე უკვე ვილაპარაკეთ, როგორც ჩანს, ეს საქმე ეც მესება.

მაკნეირი მოიღუშა და კოკტეილი გადაჰკრა, რომელიც გაცილებით უფრო ღია ფერის იყო, ვიდრე ნორტონის.

— აბა, მოყევით რა საიდუმლო საქმეა?

— კლეი, შენ იცი, მე მინდა გავიგო, ვინ მოკლა დონა. დარწმუნებული ვარ, თეთრ სახლში არიან ადამიანები, მათ შორის ედი მერფიც და, შესაძლებელია, პრეზიდენტიც, რომლებმაც იმაზე მეტი იციან, ვიდრე ოფიციალურად განაცხადეს. ამას გარდა, მე მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ბაირონ რიდლი ამ საქმეში, თავიდან ფესვებამდეა. ჩაფლული. მე მისი წარსულიდან ზოგიერთი რამ დავადგინე. ის საშიში კაცია. მე მხოლოდ ერთს გთხოვ, საკუთარი თავის დაზღვევისათვის მის შესახებ მომიყვე ყველაფერი, რაც იცი.

მაკნეირმა ჭიქას მაგრა მოუჭირა ხელი და თავი გააქნია.

— არაფრის მოყოლა არ შეშიძლია, მართალია, ჩვენ ერთ კაბინეტში ვისხედით, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ არაფერი ვიცი.

— რადგან ასეა, მე დაგისვამ კითხვებს, შენ კი მიპასუხე! — რისთვის წაიჩხუბე? რატომ გადახვედი იმ კაბინეტიდან? რატომ უთხარი ჯეინს: „არასოდეს სხვის საქმეში არ ჩავერევიო?“.

გაბრაზებულმა მაკნეირმა ცოლს შეხედა.

— გეთაყვა, რა უთხარი ჩვენს სტუმარს?

— მხოლოდ სიმართლე, კლეი. და შენც ვალდებული ხარ, იგივე გააკეთო. მოყევი სიმართლე, შენ არავითარი უფლება არა გაქვს, დაიცვა ის კაცი.

— ჯეინი მართალია, კლეი. რა დამსახურებისათვის უნდა დაიცვა რიდლი? ის რა, დაგიცავდა შენ? ახლა, მეგობრულად გიხოვ, მითხრა — რა აქვს განზრახული ბაირონ რიდლს?

მაკნეირი წამოდგა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ხელები უკანკალებდა. — მე მაინტერესებს, რა განზრახვა გაქვს? რა უფლებით შემოიჭერი ჩემს ოჯახში? რა უფლებით გამოიყენე ბოროტად ჩემი მეუღლის გულახდილობა? — შენ ჩაიდინე კანონსაწინააღმდეგო საქციელი, ნუ უარყოფ. ახლა კი

გისოვ, წასვიდე. თუ რაიმე კითხვები გაქვს, მიმართე ედი მერფს. არ მინდა უსეში ვიყო, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რისი თქმაც შეიძლია.

ნორტონი ზანტად წამოდგა.

— შენ დიდ შეცდომას უშვებ, კლეი. ეს საქმე გაიხსნება, და...

— მე ეს არ მესება.

— კლეი... — რაღაცის თქმა უნდოდა მეუღლეს.

— ნუ ბაერევი, ჯეინ. შენ არაფერი იცი. საღამო მშვიდობისა, ნორტონ.

ნორტონმა ხსრები აიჩეჩა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— ღამე მშვიდობისა, ჯეინ, — თქვა მან. — სტუმართმოყვარეობისათვის დიდი მადლობა.

ბოლოს, რაც ნორტონმა დაინახა, ის იყო, რომ ჯეინი უმწეოდ უყურებდა თავის მეუღლეს. მაკნეირმა გააცილა სტუმარი და კარი მიაჯახუნა. ნორტონი თავის მანქანისაკენ გაემართა, ბოგონები, რომლებიც მეზობელ სახლთან „კლასობანას" თამაშობდნენ, ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ბენს და. ულიმოდნენ. ნორტონმა მანქანა აამუშავა და აღვილიდან დაძრა. იგი ჯიუტად იყო დარწმუნებული, რომ მაკნეირი გადაიფიქრებდა, მაგრამ კლეი არაფრის გადაფიქრებას არ აპირებდა.

— ჯეინ, არ უნდა შემოგეშვა ეს კაცი სახლში და, რაც მთავარია, არ უნდა გეამბნა ჩემი საქმეების შესახებ.

— კლეი, მე მომეჩვენა, რომ მას შენი დახმარება სურდა.

— ჩემი დახმარება? თვითონ მას სჭირდება დახმარება. მომავალ კვირას დიდი ჟიური იძახებს მას ჩვენების მისაცემად. გენიძლავები, რომ ეს შენთვის მას არ უთქვამს. ნუთუ გაუკვირია, ის უბრალოდ ეძებს საშუალებას, თავი, რომ დაიხსნას.

— კლეი, რა იცი შენ რიდლის შესახებ?

— არაფერი.

— შენ ხომ ამბობდი, ის გიჟიაო. და ასლაც, მგონია, რომ მისი გუშინია. რაშია საქმე?

გალიზიანებულმა მაკნეირმა ოთახებში ბოლთას ცემა დაიწყო.

— რაშია საქმე? შენ ძალიან გინდა იცოდე? კარგი, მე

გეტყვი, რაშია საქმე. ბაირონ რიდლი მოკვლით მემუქრებოდა. ამიტომ გამოვიცვალე კაბინეტი და ამის გამო არ ვეარევი არავის საქმეში. მე არაფერი არ ვიცი და არც მინდა, რომ ვიცოდე.

ის სავარძელში ჩაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

ჯეინი წამოდგა, კლეის მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა და მის ხელს შეეხო.

— მოკვლით, კლეი? ალბათ, ხუმრობდა.

მაკნეირი სავარძლიდან წამოხტა.

— ის არასოდეს არ ხუმრობს. რატომ არ გინდა გამიგო? მე მან არაადამიანურად მცემა, პისტოლეტით მემუქრებოდა, მას ჩემი მოკვლა აქვს გადაწყვეტილი. რატომ არ გესმის ჩემი.

— კი, მაგრამ რისთვის?

— ამის თქმა არ შემიძლია.

— შენ უნდა თქვა.

— არ შემიძლია, ეშმაკმაც დალახვროს! არ შემიძლია! ეს... ეს პოლიტიკაა. მე უფლება არა მაქვს აგიხსნა. უბრალოდ, უნდა შევურიგდე ყველაფერს.

— შეურიგდე? მიუხედავად იმისა, რომ შენ გცემეს, მიუხედავად იმისა, რომ შენ სიკვდილით გემუქრებიან, კლეი, ან მომიყვები ყველაფერ სიმართლეს, რაშია საქმე, ან მე... მე მოვკიდებ ჩემს შვილებს ხელს და გავემგზავრები იქ, სადაც ცხოვრობენ ნორმალური ადამიანები, ყოველ შემთხვევაში, სადაც სიკვდილით არ ემუქრებიან ადამიანებს.

მაკნეირმა ამოიკვნესა და სავარძელში ჩაჯდა. პატარა, მინიატურული სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობდა, ინგრეოდა, იღუპებოდა. გასაოცარია, რატომ არ აძლევენ მოსვენებას, ადამიანს რატომ არ უტოვებენ იმის უფლებას, რომ მხოლოდ თავისი საქმით იყოს დაკავებული?

...კარგი, ჯეინ, ყველაფერს მოგიყვები, ერთხელ შემთხვევით ჩავიხედე რიდლის საწერი მაგიდის უჯრაში, იქ იდო მაგნიტოფონის ფირი, რომელსაც რაღაც კავშირი ჰქონდა დონა ხენდრიკსის მკვლელობასთან. მან სწორედ ამ დროს შემომისწრო და დამემუქრა, რომ ამის შესახებ თუ სადმე რამე წამომცდებოდა, მომკლავდა და მომკლავს კიდეც, დარ-

წმუნებული ვარ. ამიტომ მინდა ყველაფერს მივაფურთხო, გავდგე გვერდზე და ვაკეთო მხოლოდ ჩემი საქმე.

ჯეინ მაკნეირი, თითქმის გონმიხლილი, დეიდოფალ ანა სტელას სავარძელში ჩაეშვა, რომელიც მას მშობლებმა თოთხმეტი წლის წინ ქორწილში აჩუქეს.

— კლეი, შენ უნდა უამბო ყველაფერი ეს ვინმეს, ნორტონს, პროკურორს, პოლიციას, ან ვინმე სხვას.

— არ შემიძლია, — ამოიკვნესა კლეიმ, — არ შემიძლია!

გარინდებული ჩაცქეროდა კლეი ხალიჩას და სურდა გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ახლა ის უკვე სავსებით დარწმუნდა, რომ სამყარო შეიშალა.

* * *

ნორტონმა და ენიმ კაპიტოლიუმის გორაკამდე დაიქირავეს ტაქსი და იქ სენატის ერთ-ერთ რესტორანში ისადილეს; ბოსტნეულის წვნიანი იყო ნორტონის ერთ-ერთი უსაყვარლესი კერძი. მერე კაპიტოლიუმამდე მივიდნენ და მარმარილოს კიბეებით დაეშვნენ. ომში დაღუპულთა გახსენების წინა დღეები იდგა და, ალბათ, ამიტომ ასობით ჩამოსული ტურისტი მუზეუმიდან მუზეუმში გადადიოდა. მანქანები უსასრულოდ ეძებდნენ გასაჩერებელ ადგილს. შორს კი, ვაშინგტონის ძეგლის თავზე, ცაში სპეციალურად გაშვებული კაშკაშა ფრანი ლიცლიცებდა.

ისინი მესუთე ქუჩაზე გაჩერდნენ.

— სად წავიდეთ? — იკითხა ნორტონმა. — ჰირშჰორნის მუზეუმში თუ ეროვნულ გალერეაში? ღმერთმანი, კარგია, ალბათ, აქ ტურისტად ჩამოსვლა.

— დროის საქმე როგორა გვაქვს? — იკითხა ენიმ.

— დრო ცოტა გვაქვს. ნახევარი საათის შემდეგ მინდოდა, იმ ფესტივალზე წავსულიყავით.

— მაშინ აქვე ქანდაკებათა ბაღში ვიბორიალოთ. არ მინდა, რომ ამაჩქარო.

ენიმ ხელი მოჰკიდა ნორტონს და ჰირშჰორნის მუზეუმთან ჩაუხვიეს.

— თუ ყოფილხარ როდისმე ამ დარბაზებში მხიარულ ხასიათზე? — ჰკითხა ენიმ.

— არასოდეს.

— ერთხელ ჩვენ პიკნიკი მოვაწყვეთ. ყველანი ჰაშიშით დავთვერით. მერე მე მუზეუმში მოვხვდი და მთელი საათი გავჩერდი ჯეკსონ პოლკას ერთ-ერთ სურათთან. ადრე ვერ აღვიქვამდი ამ სურათს, ვხედავდი მხოლოდ სხვადასხვა ფერთა გათიშვას, მაგრამ ამჯერად სურათი თითქოს გაცოცხლდა. ფერები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ნახატი ასხივებდა უზარმაზარ ენერგიას და ყველაფერი ეს მიტაცებდა... მეჩვენებოდა, რომ ვიღაცას ჩემი მოტაცება უნდოდა.

— იაფფასიანი აღტაცებაა, — თქვა გაღიზიანებულმა ნორტონმა.

სკულპტურების ბაღში მათ აუჩქარებლად დაიწყეს ომში დაღუპულთა ძეგლებს შორის სიარული. ათვალიერებდნენ რკინისა და მოძრავი ნაწილებისაგან დამზადებულ გოლიათურ სკულპტურებს, ჩაუარეს პიკასოს საბავშვო ეტლს და ბოლოს გაჩერდნენ ჩაფიქრებული ბალზაკის უზარმაზარი ძეგლის ჩრდილში.

— შესანიშნავია, — თქვა ენმა. — თუ სამოთხე არსებობს, ის ასეთი უნდა იყოს.

— იქნებ, ღმერთი წააგავს ჯო ჰირშჰორნს, — თქვა ჩაფიქრებულმა ნორტონმა. — წვრილფეხა საქონლით მოვაჭრე ძეგლების კოლექციონერს. წავიდეთ, ნაყინი ვჭამოთ.

მათ ხალხით სავსე მუზეუმის მოედანი გადაკვეთეს, შადრევნების აუზში ხურდა ფული ჩაყარეს, იყიდეს ორი ცალი ნაყინი და ისევ მოლში დაბრუნდნენ. ნორტონმა ენი ხეივნისაკენ წაიყვანა, რომელიც მეთექვსმეტე ქუჩასთან ახლოს მდებარეობდა. აქ არასრულწლოვან მოზარდებს ღია ცის ქვეშ ბაზარი გაემართათ. მათი საქონელი განლაგებული იყო ლომბერნის მაგიდებსა და ინდიელთა საბნებზე. კერამიკა, სურათები, ტყავის ნაკეთობა, ბიჟუტერია, ნაკეთობათა ოსტატები. საოცრად პასიური ვაჭრები, იდგნენ ჩუმად და გამვლელებს ათვალიერებდნენ ნეტარი ღიმილითა და მიამიტი ჟვალებით.

— ამათ ჩამორჩენილ ახალგაზრდებს ეძახიან, — აუხსნა ნორტონმა. — ეს რაღაც განსაკუთრებული პროგრამაა. ჯო ხმოლვუდიც აქ უნდა იყოს, მაგრამ მე მას ვერ ვხედავ.

მათ ნელა ჩაუარეს მაგიდებს. ენმა იყიდა რამდენიმე კე-

რამიკული ფინჯანი და ინდური ყელსაბამი. ერთმა ჭაბუკმა უთხრა ნორტონს, რომ ჯოი იქნება ცოტა მოგვიანებითაც.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა ენმა.

— მოდი, წავიღეთ და მერე ისევ მოვბრუნდეთ.

— საითკენ?

— არასოდეს ვყოფილვარ იქ, — თქვა მან და მიუთითა მოლსა და „კონსტიტიუნ-ავენიუს“ შორის მდებარე დიდ შენობაზე.

— არც მე ვყოფილვარ, რა არის იქ?

— ისტორიისა და ტექნოლოგიის მუზეუმი.

— ეს, როგორ გავიგო?

— არ ვიცი. წამო, ვნახოთ.

მუზეუმი აღმოჩნდა გასაოცარი საგანძური. აქ იყო შეერთებული შტატების მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის დროშა, ბემის მოდელები, ძველი მანქანები, იუპიტერის სასის მქონე ჯორჯ ვაშინგტონის უზარმაზარი ძეგლი, ზემო სართულზე მათ ყურადღებით დაათვალიერეს დარბაზი, რომელშიაც მოეთავსებინათ ძველი მასობრივი ინფორმაციის ნიმუშები. პატარა კინოთეატრში უჩვენებდნენ კინოქრონიკას. რუზველტი სიტყვას წარმოთქვამდა. „ამერიკელებო, არ შეგეშინდეთ არაფრის, გარდა შიშისა“ და მომღიმარე ჭაბუკ ამერიკელებს ემშვიდობებოდა, ოკეანის გადაღმა რომ მიცურავდნენ მეორი მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის. შემდეგ ძველ ტელეფილმების დარბაზში გადავიდნენ, იქ ადრინდელ ტელეფილმებს უჩვენებდნენ: სენატორ ჯო მაკარტს კომუნისტების დანაშაული სასამართლოზე რომ გამოჰქონდა. კენედის, რომელიც საინაგურაციო სიტყვას წარმოთქვამდა, ჯონსონს, რომელიც ამერიკელ სალსს „დიად მომავალს“ ჰპირდებოდა და ვიეტნამში საბრძოლველად მიმავალ მომღიმარ ახალგაზრდა ამერიკელებს. ნორტონმა ხელი დაავლო ენის და გასასვლელი კარისაკენ წაიყვანა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— არაფერი, — უპასუხა ნორტონმა. — აქ მეორდება ჩემი წარსული და მე არ მსურს მას ვუყურო.

ბენიმ ისევ წაიყვანა ენი ხეივანთან ბაზრობაზე.

— აგერ ჯოი, — წაუზურჩულა ბენიმ ქალს. — აი ის, ბეისბოლის ქუდი რომ ახურავს.

— რა საცოდავი სახე აქვს.

— მოდი, მივიდეთ მასთან, მოველაპარაკოთ.

ჯოი სმოლვუდი უხეშ, ქეიტელა სურათებს ჰყიდდა, რომლებზედაც გამოხატული იყო სახლები, ცხენები, მოთამაშე ბავშვები, როცა ენმა მათი დათვალიერება დაიწყო, ჯოი სიხარულით შესციცინებდა მას.

— მომწონს თქვენი კოლორიტი, — თქვა ქალმა. — დიდი ხანია რაც ხატავთ?

— მგონი დიდი ხანია. ამბობენ, რომ ეს ჩემთვის სასარგებლოა.

— მე მინდა ეს ტილო ვიყიდო. — მიუთითა სურათზე, სადაც ორი ბავშვი პურის ყანაში თამაშობდა. — რა ღირს?

— თუ მოგწონთ, აიღეთ ისე, უფასოდ, — თქვა ჯოიმ.

— არა, — იუარა ენიმ. — აი, მიიღეთ, — და გაუწოდა ათ-დოლარიანი. ჯოის არც კი დაუხედავს, ისე ჩაიდო ჯიბეში.

ნორტონი მათ მიუახლოვდა და ჭაბუკს შეხედა.

— ჯოი, სომ მიცნობ?

ჯოიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და აკანკალდა.

— მიცნობ? — ეაიმეორა ნორტონმა. — აღრე გინახავარ სადმე?

— შესაძლებელია.

— სად?

— არ ვიცი. ათას ადგილას შეიძლება კაცს შესვდე. თქვენ პოლიციიდან ხართ?

— არა, ჯოი, მე პოლიციელი არა ვარ. მაკრამ შენ პოლიციელებს უთხარი ტყუილი ჩემს შესახებ.

ჯოი შებრუნდა და გაიქცა. ნორტონი და ენი უყურებდნენ, ჭაბუკი როგორ უქცევდა გვერდს მანქანებს, სანამ ის სმიტსონის ინსტიტუტის ძველ შენობას არ მიეფარა.

— აუცილებელი იყო მისი დაშინება? — იკითხა ენმა.

— მე მინდოდა გამეგო, რას იტყოდა ის ჩემი თანდასწრებით. ამას შეიძლება ეშველა მისთვის.

— შენ მკაცრად მოექეცი.

— მისმინე, ენ, პროკურატურას ჯოის დახმარებით სურს ამკიდოს დონას მკვლელობა.

— კარგი, წავიდეთ აქედან. რა ვუყოთ მის სურათებს?

ნორტონმა სურათებს ერთად მოუყარა თავი და სთხოვა

გვერდით მაგიდასთან მდგომ გოგონას, თვალყური ეჭეკნე-ბინა ნახატებისათვის.

როცა ისინი შებრუნდნენ და წავიდნენ, მათ გზა გადაუჭ-რა საშუალო ტანის მოკლედ თმებშეკრეჭილმა კაცმა.

— გამარჯობა, ბენ.

— გამარჯობა, ნიკ.

— საუბარი მსურს შენთან.

— გისმენ.

— მარტო ორნი უნდა ვიყოთ.

ენმა შეხედა ჯერ გალიანოს, შემდეგ ნორტონს და დე-მონსტრატიულად აიწურა მხრები.

— გასაგებია, — თქვა ქალმა. — სკულპტურების ბაღში შევხვდებით.

— დიდხანს არ გავჩერდები, — თქვა ნორტონმა. — ამას მე წამოვიღებ.

მან აიღო ენის ხელჩანთა, რომელშიც ყავის ფინჯნები და ჯოის სურათი იდო. შემდეგ გახედა, გრძელფეხება და ტან-წერწეტა ენი რხევა-რხევით როგორ მიდიოდა ბაღისაკენ. მე-რე გალიანოს მოუბრუნდა.

— ნიკ, გისმენ.

— გული მერევა, იმდენ სისულელეს სჩადიხარ, — თქვა ნიკმა. — გავიგე, უმუშევარი დარჩენილხარ.

— ამაზე ნუ ღელავ.

— სულაც არ ვღელავ, მაგრამ შენს მოქმედებაში ვერა-ვითარ აზრს ვერ ვხედავ. ბოსს ეს არ მოსწონს.

— იმან გამოგგზავნა ჩემთან მოსალაპარაკებლად?

— ნუ ამღვრევ წყალს. ცოტა ტვინი გააწძრიე და ბოლო მოეღება ყოველგვარ პრობლემას. ეშმაკსაც წაუღიხარ, ბენ, შენ ისევ შეგიძლია ჩვენთან მუშაობის დაწყება და ძველე-ბურად ისევ ერთად ვიქნებით. .

— წარსული დღეებიდან აღარაფერი დარჩა, ნიკ.

— შენგან არ დარჩება, მეგობარო, არაფერი, როცა დიდი ჟიური განიხილავს შენს საქმეს.

— არა მგონია. ვფიქრობ, სხვას უფრო მეტი აქვს სანერ-ვიულო, ვიდრე მე.

— შენ უსიამოვნებებს ქმნი, — ჩაიბუზღუნა გალიანომ. —

და ძალაუნებურად შეიძლება ყველაფერი ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდეს.

ერთხანს ხმის ამოუღებლად მიაბიჯებდნენ. ეროვნულ გალერეასთან ნორტონმა თვალი მოჰკრა ტურისტების გრძელ რიგს, მას იქ ყოფნა ერჩია, კარის ამ მასხარასთან კამათს, რომელიც სასაცილოც კი აღარ იყო.

— შენ ყველაფერი თქვი, რაც გსურდა, ნიკ? თუ სათქმელი დაამთავრე, გადაეცი შენს ზეგობარს, რომ მე ისევ ვაგრძელებ ბრძოლას.

გალიანო შეჩერდა. ისინი პირისპირ იდგნენ.

— როგორც ჩანს, შენ ვერაფერი გაიგე, — თქვა გალიანომ, — ბოსს ეს საქმე სულაც არ აწუხებს. მან თითქმის არაფერი იცის იმ ამბების შესახებ, ეს შენ ასხამ ცეცხლზე ნავთს.

ნორტონს მობეზრდა.

— ნიკ, მე ვეღარ ვიტან ბოსზე საუბარს. იყოს ის შენი ბოსი, თუნდაც შენი მარჩენალი, თუნდაც პრეზიდენტი — მე ეს ვიცი. მაგრამ კანონის წინაშე ის პასუხს აგებს, როგორც ნებისმიერი მოქალაქე.

გალიანომ სახე მიუახლოვა ნორტონს.

— გაბრაზებული ვარ შენზე, ბენ, — წაიჩურჩულა მან. — და მერე, როგორ...

ნორტონს მოეჩვენა, რომ ნიკს მისთვის გარტყმა უნდოდა. ის დაიძაბა, მოემზადა დარტყმის მისაღებად და ხურდის დასაბრუნებლადაც. მაგრამ ნიკი უცებ შეტრიალდა და სწრაფად წავიდა კაპიტოლიუმისაკენ.

ნორტონმა თვალი გააყოლა მას. მერე ჰირშჰორნის მუზეუმისაკენ გაემართა. ენი მალე მონახა. ის სკამზე იჯდა და გულისყურით ათვალიერებდა როდენისეულ ბალზაკის სკულპტურას. ნორტონმა ხელი მოჰკიდა ქალს და ისინი ვაშინგტონის ძეგლისაკენ წავიდნენ. ქალალდის ფრანების შეჯიბრება გრძელდებოდა. ფრანები ღრუბლებისაკენ აცურდებოდნენ და ისევ ეშვებოდნენ ქვემოთ. ენის სასწაულად ლამაზი მოეჩვენა ღრუბლები, რომლებიც ჩამავალ მზეზე ვარდისფრად დაცურავდნენ ზეცაში.

— ეშმაკმა დალახვროს, როგორი მშვენიერი ქალაქია, — თქვა ნორტონმა. — როგორი შესანიშნავი იქნებოდა, რომ... —

ის წამით გაჩუმდა სიტყვის მოსაძებნად, — რომ შეშლილი ხალხი არ ცხოვრობდეს აქ.

ენის გაეცინა.

— ცდები, — თქვა ქალმა. — აქ, რომ შეშლილი ხალხი არ ცხოვრობდეს, ეს ქალაქი არ იქნებოდა საერთოდ.

ნორტონმა ხელზე ხელი მოუჭირა ენს, მერე ასედა ცაში მოლივლივე ფრანებს, ვონება დაძაბა და მთელი ძალით შეეცადა დაევიწყებინა სასახლის მასხარა ნიკი გალიანო.

* * *

იმ ადგილიდან რამდენიმე კვარტლის მოშორებით, საწოლ ოთახში, სარკის წინ ჩარლზ უიტმორი გაქათქათებულ პერანგზე შავი ჰალსტუხის განასკვას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მან გულიანად შეიკურთხა და მესამედ რომ დაიწყო განასკვა, კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

— ჩარლზ!

— შემოდი.

კლერ უიტმორი ოთახში შემოვიდა და გაეღიმა, მეუღლე რომ ამ დღეში დაინახა.

— მოდი, მე ვცდი, — თქვა ქალმა. უიტმორმა ამოიოხრა და სანამ ცოლი ოსტატურად უკეთებდა ჰალსტუხს, ნიკაპი მაღლა ჰქონდა აწეული.

— ჩემი აზრით, უმჯობესია, პირადი მსახური აიყვანო, — თქვა კლერმა.

— ჯერ ძველიც ვერ მომინელებია, — უპასუხა უიტმორმა. — პერანგებსა და კოსტიუმებს მიმზადებდა. ეს კარგია, მაგრამ გამუდმებით ჩემს ირგვლივ რომ ტრიალებდა, ეს იყო აუტანელი. ერთხელ, როცა შარვლის ჩაცმას ვაპირებდი, მოსახმარებლად მეცა. ეშმაკმა დალახვროს, წარმოგიდგენია ასეთი რამ? მამაკაცი ეხმარება მეორე მამაკაცს შარვლის ჩაცმაში? მართალია, ის ინგლისელია. რა გვარი იყო? მე მგონი, რივსი? აი რაშია ინგლისელების უბედურება — ძალიან ბევრ ინგლისელ პოლიტიკოსს ეხმარება მსახური შარვლის ჩაცმაში.

— იქნებ ასეცაა, — თქვა კლერმა.

— ქვემოთ ყველაფერი მზად არის? — ჰკითხა უიტმორმა.

— ყველაფერი მზადაა, — უპასუხა ქალმა. — ვარდების ბაღი ბრწყინვალედ გამოიყურება, ამინდიც, ჩემი აზრით, კარგი იქნება.

უიტმორმა სმოკინგი ჩაიცვა და კმაყოფილი სახით შეათვალიერა თავი სარკეში.

— ადრე თუ შეხვედრიხარ ამ ხელმწიფეს? — იკითხა მან.

— არა.

— ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს. თავდაპირველად ცოტა შებორკილია, მაგრამ საკმარისია ერთი ორი ჭიქა ვისკი გადაკრას და კარგ გუნებაზე დგება. ამასწინანდელი ჩვენი შესვედრის დროს მოვუყეკი ერთი ანეკდოტი — „სამშობლოს კასრში ჯდომის შენი რიგია...“ ამდენი იცინა, კინაღამ მუცელზე გასკდა.

— ვფიქრობ, საღამო საინტერესო იქნება. — თქვა კლერ უიტმორმა. — მაგრამ შენი მისტერ შერფი მადლობას არ იმსახურებს.

— ეს როგორ უნდა გავიგო?

— ისე, როცა ჩვენ გადავწყვიტეთ სადილი ვარდების ბაღში გაგვემართა, აღმოჩნდა, კიდევ ვიღაცეების მოწვევა შეგვეძლო, მე ელისაბედი გავაგზავნე მერფთან კანდიდატურების შესარჩევად. ის მას უხეშად და უზრდელად შესვდა. მესმის, ჩარლზ, მერფის გაუზრდელობა შენთვის ზოგჯერ სასარგებლოც კია, მაგრამ, როცა ის ჩემს მდივანს, სტუმრების მიღება რომ აქვს დავალებული, უხეშად ელაპარაკება, ეს ჩემთან უხეშობის ტოლფასია.

— მე დაველაპარაკები, — შეპპირდა უიტმორი, — ბოლო დროს მას უამრავი საქმე აქვს.

— ეჭვიც არ მეპარება.

— შერი გინდა?

— თუ გვაქვს დრო, დიდი სიამოვნებით.

— დრო გვაქვს, — თქვა უიტმორმა და დაასხა ორი სირჩა შერი. ისინი სავარძლებში ჩასხდნენ, რომლებიც საშხრეთის მხრის გაზონებს გადასცქეროდნენ.

— მართლა ლამაზია, ხომ? — თქვა კლერმა. — მოლივლიკე ფრანები ჩამავალი მზის შუქზე, მათ უკან კი ობელისკი.

— კი, — დაბნეულად უპასუხა უიტმორმა. მას ვერ გაეგო,

რისთვის მოვიდა კლერი, ისინი ხომ ყოველთვის მხოლოდ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

— ედი მერფის გარდა გაქვს კიდევ სასაყვედურო? — იკითხა პრეზიდენტმა, — ან კონსტრუქციული კრიტიკა? ან იქნებ კომპლიმენტი გსურს მითხრა?

კლერმა გაიღიმა და შეეცადა, გაოცებული ადამიანის სახე მიეღო.

— მაგალითად, მე მგონია, შენი სიტყვა გუშინ გენიალური იყო.

— გმადლობთ.

— და რომ შენ ბრწყინვალედ მოჰკიდე ხელი სკოლების მშენებლობას.

— მითხრეს, რომ შენც ბრწყინვალედ გამოსულხარ კონგრესმენ ქალებთან და შენი სიტყვით აღგიფრთოვანებია ისინი.

— ისინი ხომ ადამიანები არიან, ჩარლზ. ისინი ძირითადად საშუალო ასაკს მიღწეული ქალები არიან. მოსწონთ, როცა უსმენენ და ზოგჯერ ეპირფერებიან. შენ რომ საყოველთაოდ ცნობილი შენი მომხიბვლელობა მათკენ მიგემართა, ალბათ ხელებს დაგიკოცნიდნენ.

— აი, ზუსტად ესღა მაკლდა, — თქვა მან და გაიცინა. ისინი ისხდნენ ჩუმად და უყურებდნენ, ცის ტატნობზე როგორ ლივლივებდნენ ფრანები.

— ჩარლზ, — თქვა ბოლოს კლერმა.

— გისმენ.

— მე რაღაც-რაღაცეები მაწუხებს.

— რა, სახელდობრ?

— არ ვიცი. აი ის საქმე. დონა ხენდრიკსის სიკვდილი, შემდეგ მოხუცი სენატორისა, დონას მეგობარი რომ იყო.

— დამთხვევაა.

— ათასნაირი ხმები დადის, ჩარლზ.

— ამას კი მე ვერაფერს მოვუხერხებ.

— ერთმა რეპორტიორმა „პოსტიდან", რომელიც ადრე დონასთან მეგობრობდა, საიდუმლოდ მითხრა, რომ მათთან ამ საქმეზე რეპორტიორების მთელი ჯგუფი მუშაობს.

— მერე იმუშაონ. თუ ისინი დაადგენენ რა მოხდა, ესე

იგი, გამოძიება მათ უკეთ აქვთ აწყობილი, ვიდრე კოლუმბიის ოლქის პოლიციას.

— ჩარლზ, მოეკიდე ამ საქმეს უფრო სერიოზულად. მე შევაგროვე ზოგიერთი ცნობა.

— მაინც რა?

— იყავი ძალიან ფრთხილად. ნუთუ შენ გგონია, რომ მე შენს სიტყვებს და გაზეთების ცნობებს ვეყრდნობი? მე არ ვიჩემებ, რომ ჩემთვის აქ ყველაფერი ნათელია, მაგრამ, მგონია, ხდება რაღაც ძალიან უსიამოვნო ამბავი და ამაში გარეული არიან შენი თანამშრომლები. თუ ასეა, მაშინ, ჩემი აზრით, შენ ვალდებული ხარ, შენი სახლი წესრიგში მოიყვანო.

უიტმორი წამოდგა და საწოლ ოთახში ბოლთას ცემა დაიწყო.

— კლერ, რაც იყო, იყო. შენ ყოველთვის უსამართლო იყავ დონას მიმართ.

— მე დონაზე არ გელაპარაკები! — წამოიძახა ქალმა. — ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მე მიცვალებულზეც ვეჭვიანობ? მე ვლაპარაკობ რამდენიმე ადამიანის სიკვდილზე. აი, იმ რიდლზე და მის მფარველ უიტ სტოუნზე — შენ იცი, რა აზრისა ვარ, აგრეთვე იმ ჭორებზე, რომელთაც აგროვებს ბენ ნორტონი.

— მოიცა, — ხმას აუწია უიტმორმა. — რიდლი თამაშიდან გავიდა სამუდამოდ. სტოუნიც, სანამ მე, პრეზიდენტი ვარ. ნორტონი კი.... საერთოდ, კარგი ბიჭია, მაგრამ ის შეყვარებული იყო დონაზე და ახლა ყველგან შეთქმულება ელანდება. არა უშავს, დამშვიდდება.

— არა მგონია, დამშვიდდეს, — თქვა კლერმა. — არა მგონია, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, რომ შენ რიდლი გაათავისუფლე და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტე სტოუნთან. მოხდა უსიამოვნო ამბები, ჩარლზ, და შენ თუ არავითარ გადამჭრელ ზომებს არ მიიღებ, ამას გართულებები მოჰყვება.

— მენდე, ამ საქმეს თვითვე მივხედავ.

— თვითვე მიხედავ? თუ იმედი გაქვს, რომ თავისით ჩაწყნარდება ყველაფერი?

უიტმორი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და იმწუთას გაისმა ზარის ხმა. პრეზიდენტმა ხელი გაიშვირა და ღამის მაგიდაზე რაღაცას თითი დააჭირა.

— დიახ, — დაღლილი ხმით უპასუხა მან.

—სერ, მეფე და დედოფალი ცელოდებიან, — გაისმა მამაკაცის ხმა.

— ერთ წუთში ჩამოვალთ.

— კარგით, კიდევ ერთი საქმე მინდა მოგასსენოთ, სერ.

— დიახ.

— თქვენი ნახვა სურს მისტერ გალიანოს.

სანამ უიტმორი უპასუხებდა, კლერმა წასჩურჩულა:

— ოღონდ ახლა არ მოიწვიო იგი სადილად.

არც კი შეუხედავს მისთვის, უიტმორმა ისე დაუქნია თავი და უთხრა თავის უჩინარ თანაშემწეს:

— ნიკს გადაეცი, რომ მე მას შევხვდები ამ პატარა სუფრის შემდეგ, თერთმეტი საათისათვის.

— გისმენთ, სერ.

უიტმორმა ხელახლა დააჭირა ზარს ხელი და ბოლომდე დალია თავისი შერი.

— რაზე შევჩერდით? — შეეკითხა მეუღლე.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მე ის უნდა მეთქვა, რომ მოსდა რამდენიმე არასასიამოვნო ამბავი. არა, კიდევ უფრო უარესი, სულელური. მაგრამ ყველაფერი ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. ერთადერთი საკითხავი ახლა ის არის, ვარდება ვინმე მძიმე მდგომარეობაში, თუ არა.

— მე ეს არ მომწონს, — თქვა კლერმა.

— არც — მე, — თქვა უიტმორმა. — მაგრამ საქმის ვითარება ასეთია.

ქალი წამოდგა და მათ ერთმანეთს შეხედეს.

— ჩინებულად გამოიყურები, — თქვა ჩარლზმა. — ეს კაბა ასალია?

— ნიუ-იორკში ვიყიდე გასულ კვირას.

— შენ ყოველთვის ჩინებულად გამოიყურები.

— გმადლობთ, ჩარლზ, — უპასუხა მან. ლოყაზე აკოცა და ჰალსტუხი გაუსწორა, თუმცა ეს სულაც არ იყო აუცილებელი. უიტმორმა ჩაიცინა, კარი გააღო და კლერი წინ გაატარა. დერეფანში საზღვაო ფეხოსანთა კაპიტანი მათ სამხედრო წესით მიესალმა.

— ჩარლზ? — წაიჩურჩულა ქალმა.

— რა იყო?

— რა ჰქვია დედოფალს?

— ოლგა? ირმა? დამავიწყდა. პროტოკოლის შეფს ჰკითხე. ის დედოფლების სასელების დამახსოვრებაში იღებს ხელოვანს. მე კი ჩემს მესსიერებასა და ნიშს დიდი პრობლემების გადასაწყვეტად ვინახავ.

კლერს გაეცინა, სელკავი გამოსდო და ისინი დერეფნის გავლით გრაციოზულად გაემართნენ ოთახისაკენ, სადაც გვირგვინოსანი სტუმრები ელოდნენ. კლერმა გადაწყვიტა, რომ არ უნდა ეღელვა ამის გამო, იმიტომ რომ ნორტონი მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც სურდა. ის ყოველთვის ასე ექცეოდა. მიუხედავად ამისა, ქალს მაინც ზოგჯერ მღელვარება ეძალებოდა, ზოგჯერ კი ფიქრობდა, ნეტავ კიდევ რამდენ სანს გაუმართლებს პრეზიდენტს?

30

ნორტონი მოიკუნტა, თავი ბალიშის ქვეშ შეყო, ცდილობდა, როგორმე შეებრუნებინა ძილი, მაგრამ ტელეფონის დაყინებულმა რეკვამ ბოლოს და ბოლოს ლოგინიდან წამოაგდო. მან აიღო ყურმილი და ჩაიბუზღუნა.

— ალლო?

— ბენ? — გაისმა ქალის ხმა. — ხომ არ გაგაღვიძე? ჯეინ მაკნეირი ვარ.

ნორტონმა ნამძინარევი ხმით დილა მშვიდობისა უსურვა.

— აი რატომ ვრეკავ... მე და კლეი დიდხანს ვმსჯელობდით იმ ამბავზე და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ მან უნდა გიამბოს, რაც იცის ბაირონ რიდლის შესახებ და... საერთოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველაფერი.

ნორტონი წელში გასწორდა და საათს შესედა.

— როდის? — იკითხა მან. — შემიძლია ერთ საათში მოვიდე.

— ყურმილს კლეის გადავცემ, თქვენ მოილაპარაკეთ. — თქვა ქალმა.

— ნორტონ?

— როდის გსურთ საუბარი?

— ახლა ჩვენ ეკლესიაში მივდივართ, — თქვა მაკნეირმა, — მერე — ვირგინიაში. მე ჩოგბურთში მაქვს შეჯიბრი. ჩემი პარ-

ტია ხუთი საათისათვის დამთავრდება. იქნებ იქ შევხვდეთ? შინ წამოგიყვან და გზაში ვილაპარაკებთ?

— კლეი, ეს ხომ მთელი შვიდი საათია. არ შეგიძლია მატჩის გადადება?

— მე ფინალში გამოვდივარ, — თქვა მაკნეირმა. — ხალხი ჩემს გამო ფსონს ჩამოდის.

— კარგი, კარგი, — გაღიზიანებით თქვა ნორტონმა.

— მხოლოდ ერთი პირობით, — განაგრძო მაკნეირმა. — ყველაფერი, რასაც მე მოგიყვები, საიდუმლოდ უნდა დარჩეს. რაც გინდა ის გააკეთე, მაგრამ მე ნურაფერში გამრევ, მოვილაპარაკეთ?

— რა თქმა უნდა, — თქვა ტყუილი ნორტონმა. — ამისსენი, როგორ მოვაგნო ჩოგბურთის კლუბს?

ნორტონმა ყავა დალია და რამდენიმე წუთს ფურცლავდა „პოსტის" საკვირაო გამოშვებას. არავითარი ახალი ამბები იმის გარდა, რომ ხალხი მაგისტრალურ გზებზე სარეკორდო მაჩვენებლებით იღუპება, მერე ის წააწყდა პატარა ცნობას სათაურით: „ადვოკატის სახლის გაძარცვა და დაწვა". ცნობა იუწყებოდა: რომ უცნობები შეიპარნენ ადვოკატ უიტ სტოუნის სახლში, პოტომაკის ქუჩაზე. გაძარცვეს, ააფეთქეს ჩაშენებული რკინის სეიფი და წასვლისას, სახლს წაუკიდეს ცეცხლი. პოლიცია დარწმუნებულია, რომ ეს პროფესიონალების ნამუშევარია, ნორტონმა გაიფიქრა, პროფესიონალები, ალბათ, მისმა მეგობარმა გეიბ პინკუსმა დაიქირავა. ნახა თუ არა ბოლოს და ბოლოს გეიბმა გუვერის დოსიე? ჩაიგდებს თუ არა მას როდისმე ხელში? ნორტონს უნდოდა, გეიბთან დაერეკა, მაგრამ გადაიფიქრა. ჩართო ტელევიზორი და რამდენიმე წუთი უყურა გადაცემას „ერის სახე". გადმოსცემდნენ ინტერვიუს ეკონომიკურ საკითხებზე პრეზიდენტის მთავარ მრჩეველთან. მაგრამ გეგონებოდათ, ის რომელიღაც გაუგებარ ენაზე ლაპარაკობსო. მალე ნორტონს კიდევ ერთი აზრი მოუვიდა.

გვენმა კარი მომხიბვლელი ღიმილით გააღო, მაგრამ როგორც კი ნორტონს მოჰკრა თვალი, ღიმილი უცებ გაუქრა.

— გამარჯობა, ბენ, — თქვა ქალმა. — არაფრით არ გელოდი.

— მე დაგირეკე, შენს ახალ კაბინეტში, მინდოდა მომელოცა, — თქვა ნორტონმა. — როგორ ჰქვია შენს ახალ თა-

ნამდებობას? სპეციალური თანაშემწე ხელოვნების საქმეში? ძალიან შთამბეჭდავია, გვენ. მიუხედავად ამისა, ტელეფონის ზარს, მაინც უნდა უპასუხო.

— დაკავებული ვიყავი, — თქვა ქალმა. — რამე გინდა?

— შემთხვევით სურვილი ხომ არ გაქვს, შინ შემიპატიჟო?

— იცი რა, ვიღაც-ვიღაცეებს ველოდები, რა გინდა, აქვე მითხარი.

— იქნებ მსურს, უბრალოდ, მოგილოცო. მე ვნახე შენი ფოტოსურათი „ტაიმსში". შენ იზრდები. მომავალში, ალბათ, გარეკანზე დაიბეჭდები. მომილოცავს, წლის ყველაზე პოპულარული ქალი ხარ. — ირონიული ღიმილით თქვა ნორტონმა.

— რისთვის მოხვედი, თქვი? — უპასუხა უკვე გაღიზიანებულმა გვენმა.

— მინდა მეხსიერება გავიხალისო. თუ გახსოვს, დონას სიკვდილის შემდეგ ჩვენ ვსაუბრობდით დონას რომანზე უიტმორთან. ორი კვირის შემდეგ, აქ, საღამოს წვეულებაზე, შენ თქვი, რომ შესაძლებელია არავითარი რომანი არც ყოფილა. გვენ, ამ კვირაში ჩვენება უნდა მივცე დიდ ჟიურის და იქნებ შენი მხარდაჭერა დამჭირდეს. რას იტყვი?

— ნუ გამრევ ამ საქმეში, ბენ.

— არ გაგრიო? უბრალოდ, სიმართლე თქვი.

— სიმართლე? — ეს სიტყვა მან ზიზღით წარმოთქვა. — ამ საქმეს ძალიან იოლად უყურებ.

— ეს ყველაფერი ძალიან უბრალოა, — თქვა ნორტონმა, — შენ რას იტყვი?

გვენის მწვანე თვალებმა ცივი მძვინვარებით გაიელვეს.

— დონა ბევრს ლაპარაკობდა ჩარლზე. საშინლად იყო მასზე შეყვარებული. არ ვიცი, მართალია ეს თუ არა. მას სჩვეოდა, ყოველივე მდიდარი ფანტაზიით შეეთხზა.

ნორტონი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

— გვენ, ის შენი უახლოესი მეგობარი იყო...

— თავი დაანებე კეთილშობილი ადამიანის როლის თამაშს, ნორტონ.

— შენ კი უმწიკვლო სული თანამდებობისათვის გაყიდე, რომელიც სრულიად არ გეჭირდება, მხოლოდ „ტაიმსში" საკუთარი პორტრეტის დასაბეჭდად თუ გამოგადგება.

— ეშმაკმა დალახვროს, წმინდანს თამაშობ, ისე კი ლაწირაკი მამაძაღლი ხარ! — თქვა გვენმა, ნორტონს ალიყური გააწნა და კარი მიუჯახუნა. ნორტონმა ლოყა მოისრისა, მერე გონს მოეგო და მანქანისაკენ წავიდა. უკვე დრო იყო, ჩოგბურთის მატჩზე მაკნეირთან შესასვედრად წასულიყო.

ჩოგბურთის კორტი მიდლბერგთან ახლოს მდებარეობდა, ვაშინგტონიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე. ნორტონს მანქანა ნელა მიჰყავდა და თან ათვალიერებდა ვირგინიის მდიდარ, ლამაზ ბუნებას. მალე გრუნტიან გზაზე გადაუხვია, სელმარჯვნივ ეწერა „ჩრდილო ვირგინიის ჩოგბურთის კლუბი. შესვლა მანქანით აკრძალულია". ნორტონმა მანქანა კლუბის ეზოში დატოვა, რომელიც საზღვარგარეთული მანქანებითა და ამერიკული ფურგონებით იყო სავსე. ბევრ მანქანას უკანა კარები გაღებული ჰქონდა. მოჩანდა სასოვაგით სავსე სელჩანთები. მარჯვნივ აუზში ჭყუმპალაობდნენ და იცინოდნენ ბავშვები. ნორტონი იქითკენ წავიდა, სადაც 50-60 კაცი სახელდახელოდ მოწყობილ სკამებსა და საბნებზე იჯდა.

მაკნეირის მეტოქე ძლიერი აღნაგობის წვეროსანი ასალგაზრდა იყო. ნორტონმა პირველ რიგში მაყურებლები შეათვალიერა. მატჩს ესწრებოდნენ ყველა ასაკის წარმომადგენლები: მოზარდები, ახალგაზრდები, რამდენიმე ათეული წყვილი საშუალო ასაკის კარგად შენახული, მზემოკიდებული მამაკაცი მუღლეებითურთ, ასალგაზრდობა ქილებიდან ლუდს წრუპავდა, უფროსები კი თერმოსებიდან მარტენს ისხამდნენ. ყველასგან გამოირჩეოდა ფერად კაბაში გამოწყობილი ქალი, რომელიც განცალკევებით იდგა და დიდი ხელჩანთა ეჭირა. ჯეინ მაკნეირი, თავის გოგონებთან ერთად, გაშლილ საბანზე იჯდა და ქმარს ამსნევებდა. ნორტონი თვითონაც როდი იყო ცუდი ჩოგბურთელი. ამიტომ მალე დაინტერესა თამაშმა.

მაკნეირი და მისი წვეროსანი მოწინააღმდეგე პირველი კლასის მოთამაშეები იყვნენ. მაგრამ მათი თამაშის მანერა სავსებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაკნეირი კლასიკური სტილით თამაშობდა. მოხდენილად, ელეგანტურად, კლეი თეთრ ფორმაში იყო გამოწყობილი. ის აგდებულ ბურთს ისე მოხდენილად აწოდებდა, რომ ერთ ზედმეტ მოძრაობასაც კი არ აკეთებდა. კორტზე მას შესანიშნავად და თავისუფ-

ლად ეჭირა თავი. მისი მოწინააღმდეგე, რომელსაც წითელი შორტი და ზოლიანი მაისური ეცვა, თამაშობდა მოუსაზრებლად, კვნესითა და ხვნეშით დარბოდა კორტის ერთი ბოლოდან მეორემდე. ეცემოდა, დგებოდა და მთელი ძალით ურტყამდა ბურთს. ის აშკარად მეტოქეზე უარესად თამაშობდა. მაგრამ ცდილობდა არ დაეთმო მაკნეირისათვის. ამიტომ მაყურებლები ორივეს გატაცებით უკრავდნენ ტაშს. ნელნელა იკვეთებოდა, რომ თამაშის ფავორიტი მაკნეირი იყო. მისი მეტოქე თამაშის დროს ბუზღუნებდა, ილანძღებოდა, ეს კი მაყურებელს აღიზიანებდა. ნორტონი რომ მივიდა, მიმდინარეობდა მესამე, უკანასკნელი ტაიმი. ანგარიში იყო ექვსით-ექვსი. როცა კორტზე ჩრდილი დაეცა, მაკნეირმა ისარგებლა და გადამწყვეტი ქულების შესაგროვებლად სამი პირდაპირი მიწოდება გააკეთა. მისმა მოწინააღმდეგემ მსაჯს ანიშნა, რომ განათება ცუდია, მაგრამ ეს წესის დარღვევად არ ითვლებოდა. თამაში განახლდა. მაკნეირმა უკანასკნელი ბურთი მსუბუქად ჩააწოდა. როცა მოწინააღმდეგემ მოიგერია ის და ბადესთან მივარდა, მაკნეირმა ბურთი რამდენიმე დიუმით თავს ზემოთ გადაუგდო, იცოდა, რომ მოწინააღმდეგე მას ვერ მისწვდებოდა. ბურთი კორტის ფარგლებში დაეშვა, აღტაცებული ბრბო აღრიალდა, წვეროსანმა მოწინააღმდეგემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიწაზე დაახეთქა ჩოგანი და უკმაყოფილოდ წავიდა ბადისაკენ ხელის ჩამოსართმევად.

ჯეინი თავისი ქალიშვილებით კორტისაკენ გაიქცა და მაკნეირს მოეხვია. სხვა მოყვარულებიც ულოცავდნენ გამარჯვებულს. მწვანემოსასხამიანი მოხუცი ჯენტლმენი, პრიზით ხელში გამოვიდა მოედანზე. მან წარმოთქვა მოკლე სიტყვა. მაკნეირს ბედნიერებისაგან სახე უბრწყინავდა, ვიღაცა სურათს უღებდა. გაისმა აპლოდისმენტების ბოლო აფეთქება. მაყურებლებმა სკამებისა და საბნების ალაგება დაიწყეს და კლუბის შენობისაკენ გაემართნენ. ნორტონი უყურებდა, მაკნეირი როგორ ტოვებდა კორტს. ერთ ხელში პრიზი ეჭირა,

მეორე ხელი მეუღლის მხრებზე ჰქონდა მოხვეული. საოცრებაა, გაიფიქრა მან, რომ ასეთი დოყლაპია შეიძლება იყოს პირველი კლასის ჩოგბურთელი, თუმცა, ვინ იცის? იქნებ პირად ცხოვრებაში სულ სხვანაირია. უცებ მაკნეირი ჩაიკეცა და ბალახზე სახით დაეცა. მისმა მეუღლემ იკივლა და ისიც მის გვერდით დაეცა. მწვანემოსასხამიანმა მოხუცმა ჯენტლმენმა ექიმს გამოუძახა, მაყურებლები კი სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ. ზოგი მაკნეირისაკენ, ზოგი, პირიქით, საწინააღმდეგო მხარეს. ნორტონი მიუახლოვდა, მაკნეირს მაისურზე სისხლის ლაქა შენიშნა. მან ბრბოს თვალიერება დაიწყო. მისი ყურადღება მიიპყრო ფერად კაბაში გამოწყობილმა ქალმა, რომელიც კლუბისაკენ გარბოდა, მისმა უცნაურმა სირბილმა დააინტერესა ნორტონი. ქალი მიიმალა და ბენიც გაეკიდა მას. ნორტონი შენობას უახლოვდებოდა, როცა მას გვერდით ჩაუქროლა მწვანე „მერსედესმა“. ბაირონ რიდლს პარიკი უკვე ჩამოეხსნა, კაბაზე პიჯაკი მოეცვა. ნორტონი თავის მანქანას მივარდა, მაგრამ გზა წვეროსანმა ჩოგბურთელმა გადაუჭრა.

— საით გარბიხართ? — იკითხა მან.

— მკვლელს მივდევ. გზა დამითმე.

— ერთი წუთით დამაცადეთ, მისტერ, — თქვა წვეროსანმა და შეეცადა ბენი შეეჩერებინა. ნორტონმა ერთი დარტყმით მოცელა ჩოგბურთელი. შევარდა თავის „მუსტანგში“ და „მერსედესს“ გამოუდგა. „მერსედესი“ არ ჩანდა, № 50 შოსემდე კი რიდლს სამი-ოთხი კილომეტრი უნდა გაევლო.

ნორტონი ბოლომდე აწვებოდა აქსელერატორს, ერთი მილის გავლის შემდეგ ხის ძველ ხიდს გადაუქროლა. ცოტა მოშორებით დაინახა „მერსედესი“, რომელსაც გზას ცხენების გადასაზიდი სატვირთო მანქანა უღობავდა. მისი გასწრება ამ ვიწრო გზაზე შეუძლებელი იყო. ნორტონი დაეწია „მერსედესს“ და თითქმის ბამპერზე ბამპერმიდებული მიჰყვებოდა, ოან ეძებდა საშუალებას რიდლი გზისპირას მიეჭყლიტა.

უცებ რიდლი შემოტრიალდა, ნორტონის „მუსტანგის“ წინა მინას ესროლა. ნორტონმა მუხრუჭს დააჭირა ფეხი, ამასობაში ორმოცდაათი იარდით ჩამორჩა „მერსედესს“. ახლა ბენი გვერდიდან უთვალთვალებდა რიდლს. წინა შუშა დაბზარული იყო, იქიდან არაფერი ჩანდა. სატვირთო მანქანამ გზიდან გადაუხვია, „მერსედესმა“ გვერდი აუარა და მთელი სისწრაფით წინ გავარდა. შემდეგ, მოსახვევში მწვანე ფერის მანქანამ წამით გაიელვა და გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი. „მერსედესი“ გზიდან ხრამში გადავარდა, ტრიალ-ტრიალით დაგორდა და პატარა ნაკადულთან გაჩერდა.

ნორტონმა მანქანა გააჩერა და გადმოვიდა. მწვანე სატვირთო მანქანის მძღოლი, კომბინიზონიანი წითური მოხუცი, ძლივს იდგა ფეხზე, ცხვირიდან სისხლი თქრიალით სდიოდა, წიწილები, რომლებიც, როგორც ჩანს, მანქანიდან გადმოცვივდნენ, გზაზე წია-წიათი დარბოდნენ. ნორტონს მოხუცისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სირბილით დაეშვა ქვემოთ, დამსხვრეული „მერსედესისაკენ“.

ბაირონ რიდლი საჭეზე იყო მიკრული. ფერადი კაბა სისხლში ცურავდა, მამაკაცი, რომელსაც კაბა ეცვა, მკვდარივით გაუნძრევლად ეგდო. ნორტონი შეძვრა მანქანაში, რიდლს ჯიბეები გაუჩხრიკა, შემდეგ ხელი დასტაცა პაკეტს, რომელიც ბაირონ რიდლის ფეხებთან ეგდო. გაგლიჯა იგი, ამოიღო ფირი და ჯიბეში ჩაიდო; ამასობაში გორაკიდან „პიკაპის“ მძღოლი ჩამოვიდა და დამსხვრეულ მანქანაში შეიხედა.

— ეშმაკსაც წაუღია, ეს ნაძირალა პედერასტი ყოფილა.

— მე ექიმის მოსაყვანად მივდივარ, — თქვა ნორტონმა.

— ათასი გიჟი დადის აქ ვაშინგტონიდან, — ბუზღუნებდა მოხუცი. — პედერასტები, ჰიპები, ლიბერალები, როგორ ფიქრობ, ეს ტიპი დაზღვეული თუა?

— ჯიბეები მოუჩხრიკე, თუ დაზღვეულია, საბუთი ექნება, — თქვა ნორტონმა, გზაზე გამოვიდა, ჩაჯდა „მუსტანგში“

და ძალიან, ძალიან ფრთხილად წავიდა ვაშინგტონისაკენ. 8 საათი იქნებოდა, შინ რომ მივიდა, ჩაიკეტა და ფირს მოუსმინა, შემდეგ კვლავ მოუსმინა. მერე დარეკა თეთრ სასლში. ყურმილი პრეზიდენტმა აიღო.

31

ნორტონს წლების განმავლობაში უსდებოდა თეთრი სასლის დასავლეთ ნაწილში პრეზიდენტთან მიღებებზე ყოფნა. ხშირად იყო ხოლმე მიწვეული ჩრდილოეთის ფრთაზე, პრეზიდენტის სხვადასხვა მრჩეველთა კაბინეტებში, მაგრამ პრეზიდენტის ოვალურ კაბინეტში არასოდეს ყოფილა. ეს კაბინეტი მის წარმოდგენაში საიდუმლოებით მოცულ, შეუღწეველ, რაღაც ოლიმპოს მსგავს, წმინდა ადგილად ჰქონდა წარმოდგენილი. სადაც მხოლოდ ღმერთის რჩეულთ შეეძლოთ შეღწევა. ამიტომაც მეორე დილით ცოტა ვერ იყო გუნებაზე, როცა გაიგო, როგორი ადვილია იქ მოხვედრა, რა თქმა უნდა, როცა შენ საჭირო სარ.

ნორტონმა ჩრდილოეთ ფრთაზე შესასვლელთან თავი წარუდგინა დარაჯს, მან საბუთი გაუსინჯა და ტელეფონზე დარეკა. წუთის შემდეგ მის შესახვედრად გამოვიდა ჯო სარადინო. ნორტონი, როცა სენატში მუშაობდა, ჯო სარადინო პენტაგონში მოიერიშეთა ჯგუფის უფროსი იყო. ისინი მეგობრობდნენ და ხშირად პარტნიორობდნენ გოლფის თამაშის დროს, ახლა კი ჯოს პრეზიდენტის სამხედრო მრჩევლის თანამდებობა ეკავა. ჯო აყლაყუდა, ცხენისსახიანი, მომხიბვლელი, უშუალო, მაგრამ ეშმაკი ადამიანი იყო. ცოტა ხნის წინ მან ბრიგადის გენერლის ჩინი მიიღო, მაგრამ დღეს სამოქალაქო ფორმა — მკვეთრი ფერის სპორტული კურტაკი და ელეგანტური ფეხსაცმელი — ეცვა. ჯომ მაგრად ჩამოართვა ნორტონს ხელი და დასავლეთ ფრთისაკენ წაიყვანა.

— ბენ, რა ხდება, ეშმაკმა დალასვროს? — ჰკითხა სარადინომ. როცა მათ საიდუმლო სამსახურის შავკოსტუმიანმა თანაშრომლებმა ნაუარეს, რომელთაც ისე ეჭირათ თავი, თითქოს მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

— შენ რას მეკითხები?

— არასოდეს მინახავს ასე აღშფოთებული შეფი, რაშია საქმე?

— არა მაქვს უფლება გითხრა, ჯო.

სარადინომ ელვისებური, უნდო მზერა ესროლა. მერე შეაჩერა მწვანე ხალიჩით დაფენილ დერეფანში, ოვალური კაბინეტის წინ და საათს დახედა. ათს ორი წუთი აკლდა.

— იცი რას გეტყვი, ბენ, თუკი რითიმე შეგიძლია ამ კაცს სული შეუმსუბუქო, შეეცადე. მას ახლა იმდენი საზრუნავი აქვს, რომ ალბათ, ყველას თავის ლოცვებშიც კი ვერ მიიხსენიებს. მოელი ასლო აღმოსავლეთი შეიძლება აფეთქდეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საათზე. პრეზიდენტი ამჟამად ქეშმარიტად ორ ცეცხლშუაა. დამიჯერე, ისეთ დღეშია, შეგეცოდება. ახლა ყველაზე მეტად საწამებელ კამერასა ჰკავს. გისოვ, შენ მაინც ნუ შეუქმნი ახლა ახალ პრობლემებს, ნორტონ.

სარადინომ კვლავ დახედა საათს, და როცა წამმზომი ვერტიკალურად გაჩერდა, ზუსტად ათ საათზე მან დააკაკუნა, კარი გააღო და ნორტონი პრეზიდენტის კაბინეტში შეაღა.

მან თავის თავს ნება მისცა სწრაფად დაეთვალიერებინა ბრწყინვალედ მოწყობილი ოთახი. თვალში ეცა ვაშინგტონის პორტრეტი, რომელიც ბუხრის თავზე ეკიდა. ლინკოლნისა და კენედის ბიუსტი. პრეზიდენტის დიდი მაგიდა, მის გვერდით მდგარი გლობუსი, მაღალი ფანჯრები, რომლებიც ვარდების ბაღში გადიოდა. მერე ყურადღება გაამახვილა ორ ადამიანზე, რომლებიც წამოდგნენ, რათა მას მისალმებოდნენ. ედი მერფი უნდობლად და მრისხანედ უყურებდა, ფრენკ

კიფნერის მლიქვნელური სახე მსნეობასა და გულითადობას გამოხატავდა.

— პრეზიდენტი ერთ წუთში შემოვა, — თქვა მერფმა.

— გმადლობთ. — თქვა ნორტონმა.

— მოდი, დავსხდეთ, — განაგრძო მერფმა. — ვისაუბროთ, სანამ ის არ არის. პრეზიდენტმა თქვა, რომ შენ რაღაც სიასლეები გაქვს დონა ხენდრიკსის საქმესთან დაკავშირებით.

— მაქვს, — თქვა ნორტონმა და ჩაჯდა ერთ-ერთ სავარძელში მოსაუბრეების პირდაპირ.

— იქნებ ღირდეს, რომ ამის შესახებ ჯერ მე, ან ფრენკს მოელაპარაკო.

— მე პირადად მას უნდა ველაპარაკო, — კატეგორიულად თქვა ნორტონმა. — ამის შესახებ ჩვენ უკვე შევთანხმდით.

მერფი მოიღუშა.

— ალბათ, შენ უკეთ იცი, რასაც აკეთებ?

ნორტონსაც ამის იმედი ჰქონდა, მაგრამ გაჩუმდა. კარი გაიღო, და სამივე დაიძაბა, იმის მოლოდინში, რომ პრეზიდენტის შემოსვლისთანავე წამომდგარიყვნენ. მაგრამ კაბინეტში ფეხოსანი მეზღვაური შემოვიდა, რომელსაც წითელი კურტაკი ეცვა. მან ლანგრით ყავა შემოიტანა. ნოტონმა და კიფნერმა უარი თქვეს; მერფმა აიღო ფინჯანი, ყავის სმის დროს ნერვიულობისაგან ხელები უკანკალებდა.

— პლაუზე წასასვლელად ვემზადებოდი, — თქვა კიფნერმა. — შენ მთელი დასვენების დღე გამიფუჭე. ეს, იცი, რომ სისხლის სამართლის დანაშაულია.

ნორტონმა ნაძალადევად გაიღიმა. ხუმრობა მას გონებამახვილური არ ეჩვენა, მაგრამ ამჯობინა უკბილო ხუმრობა აეტანა, ვიდრე ფინჯანზე მერფის კბილების კაკუნი ესმინა.

— დასვენების დღე, ჩემი აზრით, ბევრს გაუფუჭდა, — თქვა მან. — ვინმეს ხომ არ გაგიგიათ, რა მდგომარეობაშია მაკნეირი?

— დილით ველაპარაკე ექიმს, — თქვა მერფმა. — ის გამო-

ჯანმრთელდება. ექიმები ამბობენ, ტყვია ერთი დიუმით ქვემოთ, რომ მოხვედროდა, მისი საქმე დამთავრებული იყო.

— ამასთან დაკავშირებით, ბენ, — თქვა კიფნერმა, — ვირგინიაში გამოწერილია ორდერი შენი დაპატიმრების შესახებ, რადგანაც შენ ჩვენების მიუცემლად გაუჩინარდი დანაშაულის ადგილიდან.

ნორტონმა ვერ მოასწრო კიფნერისათვის ეკითხა ისევ ხუმრობ თუ არაო, რომ კარი ხელახლა გაიღო და ამჯერად პრეზიდენტი შემოვიდა. მას უკან ნიკ გალიანო მოჰყვებოდა. სამივენი ადგნენ, პრეზიდენტმა თავი დაუკრა მერფს, კიფნერს, ნორტონთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, ბენ, — თქვა ჩარლზ უიტმორმა. ხმა რბილი და მჟღერადი ჰქონდა. მზეზოკიდებული სახე — ვაჟკაცური და თვითდაჯერებული. იმ მომენტში, როცა ისინი პირისპირ იდგნენ, ნორტონმა იგრძნო, რომ მას თრგუნავდა უიტმორის დიდების შარავანდედი და უმაღლესი ხელისუფლება. რატომღაც გაუჩნდა მისი თანადგომის სურვილი. მან იგრძნო, რომ ნელ-ნელა ძალ-ღონე ეცლებოდა, სუსტდებოდა, თითქოს კაბინეტში ისეთი გაზი გაუშვეს, რისგანაც ადამიანები კარგავენ გამბედაობას, სიმტკიცეს.

პრეზიდენტს ხელი ჩამოართვა თუ არა, ნორტონმა უკან დაიხია.

— დიდი მადლობა, რომ მიმიღე, — თქვა მან და განგებ გამოტოვა თითქმის აუცილებელი სიტყვა „სერ". ნორტონი განუწყვეტლივ არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ „პრეზიდენტიც ისეთივე ადამიანია, როგორიც ყველა".

— მას შემდეგ, რაც შენ მითხარი ტელეფონით, არჩევანი აღარ მქონდა, — უპასუხა უიტმორმა. — მოდი, ჩამოვსხდეთ, ჯენტლმენებო, და მოვუსმინოთ, რას გვეტყვის ბენი.

პრეზიდენტი თავის მაგიდას მიუჯდა და სიგარების ყუთი ამოიღო. ნიკ გალიანო ბუხართან ჩამოჯდა, დანარჩენნი სა-

ვარძლებში ჩასხდნენ, რომლებიც პრეზიდენტისაკენ იყო მიმართული.

— ვინმეს ხომ არ უნდა შემომიერთდეს? — იკითხა უიტმორმა და ასწია სიგარა „მოსტეკარლო". ყველამ თავი გაიქნია, პრეზიდენტმა გაიცინა.

— მე ვალიარე კუბა და ამიტომ უფლება მაქვს მოვწიო ფაფი სიგარა, — თქვა ძან და მოუკიდა. სიამოვნებით მოქაჩა, ჭიან წამოიწია და დააცქერდა ნორტონს.

— შესაძლებელია, შენ არ იცი, ბენ, მაგრამ მეც ანალოგიურად გაოვნებული ვიყავი დღიან სიკვდილის გამო. ედს ვთხოვე, რომ პოლიცია მკაცრად გაეფრთხილებინა, მიუხედავად ამისა, პასუხად მხოლოდ ეს მესმოდა, რომ რამდენიზე კაცზე აქვთ ეჭვი, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერიაო. ბოლოდროინდელად რეკავ შენ და შეუბნები, რომ იცი, ვინ მოკლა დონა ხენდრიკსი. — მან თავი გაიქნია და ისევ მოქაჩა. — გუშინდელი ამბის შემდეგ მე ვხვდები, ვიღაც რიდლს ჰქონდა სერიოზული დამოკიდებულება ამ საქმესთან. ფუი ეშმაკს, ნე ბას მხოლოდ ერთხელ შევხვდი, ახლა კი მეჩვენება, რომ ის ჩვენთან სპეციალურად იყო მოგზავნილი.

— რიდლის დანაშაულს მე ჩემს თავზე ვიღებ, — თქვა ცდი ბერიმ. — გუშინ თავი მოვუყარე რამდენიმე კაცს და იმდენი რამ გავიგე, რაზეც თავის დროზე თავი არავის შეუწუხებია, რომ ჩემივის რამე ეთქვა. როგორც ჩანს, ცსს-ში შეუშალიდა და დაკავშირებული იყო უიტმორ სტოუნთან. ჩვენ ეერასოდეს გავიგებთ, როგორი გეგმები ჰქონდა ამ ტიპს. მაგრამ დაბეჯითებით ვიცით, რომ გუშინ მან ესროლა მაკნეირს და, ჩემი აზრით, დონაც მანვე მოკლა. მე მგონი, სწორედ ეს გამოიკვლია ბენმა. უნდა გითხრათ, რომ ბოდიშს ვისხდი მასთან. მე ის მაფრთხილებდა რიდლის შესახებ და მართალიც აღმოჩნდა. რიდლი იყო გარეწარი, მე მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ მისგან განვთავისუფლდით. ამის შესახებ გინდოდათ მოგეთხროთ, ხომ ასეა, ბენ?

ნორტონმა იძულებითი პატივისცემით გადასედა მერფს. სადამდის მიდის მისი ეშმაკობა და გაიძვერობა. — გაიფიქრა მან. — სურს ყველაფერი გადააბრალოს რიდლს, მოგვილოცოს გამარჯვება, ჩამოგვართვას ყველას ხელი და ღიმილით გავიდეს არენიდან. მაგრამ ეს არ მოსდება.

— რიდლს არ მოუკლავს დონა, — თქვა ნორტონმა.

— შენ საიდან იცი? — იკითხა კიფნერმა. — რა მტკიცებები გაქვს?

— ვფიქრობ, საჭიროა თავიდან დავიწყოთ. თქვენ წინაალმდეგი ხომ არ იქნებით, ბატონო პრეზიდენტო.

— დაიწყე, — თქვა უიტმორმა და წინ წამოიწია, ისე, რომ კუბური სიგარა არ მოუცილებია.

— კარგით. პირველ ყოვლისა, მე გავიგე, რომ ჯეფ ფილდსმა თავის სახლში, რომელიც ვოლტა-პლეისზე მდებარეობს, დააყენა ხმის ჩამწერი სისტემა, რომელიც ყოველგვარ ხმაურზე თავისით ირთვებოდა.

— საიდან გაიგე? — მკაცრად ჰკითხა ედი მერფმა.

— გეიბ პინკუსისაგან, იმას კი პოლიციელებმა უთხრეს.

— ეს მართალია, — თქვა ფრენკ კიფნერმა. — ჩვენმა ხალხმა აღმოაჩინა ეს სისტემა, მაგრამ ფირი ვერ იპოვეს. ფილდსი ამტკიცებდა, რომ არასოდეს ჩაუდია იქ ფირი.

— ტყუოდა, — თქვა ნორტონმა. — იგი სიკვდილის წინ მე ყველაფერში გამომიტყდა. მითხრა, რომ ფირი ვიღაცამ მოიპარა. ვინ, სახელდობრ, მან არ იცოდა. იმ დროისათვის მე უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ მოქმედებას რიდლი ხელმძღვანელობდა და, ბუნებრივია, ამაშიც მისი ხელი ერია. ამიტომ არ ვეშვებოდი მაკნეირს, მას შეეძლო ბევრი საქმისათვის ნათელი მოეფინა. გუშინ დილით მაკნეირი დავითანხმე, ყველაფერი მოეთხრო ბაირონ რიდლის შესახებ, ჩოგბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ. მაგრამ, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, რომელიც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ეს შეხვედრა არ შედგა. რიდლმა მაკნეირი დაჭრა.

— როგორ შეეძლო რიდლს გაეგო, რაზე შეთანხმდით შენ და მაკნეირი. — იკითხა პრეზიდენტმა.

— ზუსტად არ ვიცი, — უპასუხა ნორტონმა., — მაგრამ რიდლი იყო ტელეფონის მოსმენის დიდოსტატი. ასე, რომ, დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ. ეტყობა, მან ბევრი რამ იცოდა იმის შესახებ, ვინ რას ლაპარაკობდა და აკეთებდა. ვდებ ნაძლევს, თუ თქვენ იპოვით რიდლის საცხოვრებელ ბინას, იქ აღმოაჩენთ ძალიან ბევრ ფირს, დოკუმენტების ასლსა და ღმერთმა იცის, კიდევ რას.

— ედ, ახლავე დაავალეთ გაჩხრიკონ რიდლის ბინა. და, საერთოდ, შეისწავლონ ის ტიპი. — ბრძანა პრეზიდენტმა. — ბეს, შენი აზრით, როგორ თამაშს ეწეოდა რიდლი და რა სურდა მას?

— ძნელი სათქმელია, — უპასუხა ნორტონმა. — შესაძლებელია, სათავგადასავლო ამბებს ეძებდა, შესაძლებელია — მაღალ თანამდებობას. ვფიქრობ, რომ ის ნორმალური არ იყო. მე მაქვს ცნობები რიდლისა და უიტ სტოუნის ურთიერთკავშირის შესახებ, სტოუნმა შემოგაჩეჩათ თქვენ რიდლი იმ მიზნით, რომ მას მოეპოვებინა მასალები თეთრი სახლის შანტაჟისათვის. სოლო რა გეგმა ჰქონდა სტოუნს, ეს მე არ ვიცი.

— ეს ტიპი ერთდროულად რამდენიმე თამაშს ეწევა, — თქვა პრეზიდენტმა. — ის დარწმუნებული იყო, რომ მე მას იუსტიციის მინისტრად გავხდიდი. ერთხელ ვეხუმრე, შენ ისეთი ეშმაკი ხარ, შეიძლება შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრიც გახდე-მეთქი. მან, როგორც ეტყობა, ეს სერიოზულად მიიღო. გარდა ამისა, ის მრავალი ნავთობსარეწის ადვოკატია. ეს საზოგადოება კი ძალიან უხეშ და დაუდევარ თამაშს ეწევა. როგორც კი სტოუნი ჩემი შანტაჟისათვის მასალებს მოიპოვებდა, ისინი შემოძვრებოდნენ ჩემთან თავიანთი ბინძური საქმეების მოსაგვარებლად.

— ჰო, მართლა რა ფირია, ბენ? მოდი დავუბრუნდეთ მას.

— პატარა განცხადება, — თქვა კიფნერმა. — დღეს დილით მე ვიყავი მაკნეირთან საავადმყოფოში, მან მითხრა, რომ რიდლის საწერი მაგიდის უჯრაში ნახა ყუთში ჩადებული ფირი, ზედ ეწერა ასოები „დ. ხ." და რიდლი სიკვდილით დაემუქრა, თუკი მას ამის შესახებ ვინმესთან რამე წამოცდება. გუშინ, ეს უნდოდა ეთქვა მაკნეირს ბენისათვის.

— ნამდვილად მჯერა, — თქვა ნორტონმა. — იმიტომ, რომ როცა რიდლი დაიმტვრა, მე ვნახე ეს ფირი. აი, რატომ წამოვედი სასწრაფოდ ვაშინგტონში. არ მინდოდა, იგი გადამეცა ვირგინიის პოლიციისათვის და საერთოდ, ვინმესთვის. ფირი შინ მივიტანე, ჩავრთე, მოვისმინე, შემდეგ დავურეკე პრეზიდენტს და ვთხოვე ეს შეხვედრა.

მას შეეძლო დაემატებინა, რომ დარეკვის შემდეგ მან აიღო ფირი, წავიდა სასტუმროში და მთელი ღამე იქ გაატარა გამოგონილი გვარით. შინაგანად ახლაც კი გულის სიღრმეში. ეშინია, რომ ვინმემ არ დააჭიროს ღილაკს ხელი და ის უცებ არ გაქრეს.

— ახლა ეს ფირი თანა გაქვს? — თქვა პრეზიდენტმა.

— დიახ, სერ, — უპასუხა ნორტონმა და მექანიკურად დაირტყა ხელი პიჯაკის ჯიბეზე, — მე ჩავრთავ მას, როგორც კი ყველაფერი მზად იქნება.

— ყველაფერი მზად არის, — თქვა პრეზიდენტმა. — მაგნიტოფონი იმ კარადაშია.

ნორტონი ადგა და კარადასთან მივიდა.

— ფირი ვერაფერს დაამტკიცებს, — პირველად ამოიღო ხმა ნიკ გალიანომ. — ის შეიძლება ნაყალბევი იყოს, ან დამონტაჟებული. ერთი სიტყვით, მისგან ყველაფრის გაკეთება შეიძლება.

— ამის დამტკიცება ექსპერტს შეუძლია, — თქვა კიფნერმა.

— სიცოცხლეს მიმწარებენ ეს წყეული ექსპერტები, — თქვა ნიკმა.

ნორტონმა კარადა გახსნა და დაინახა ისეთი მაგნიტოფონი, რომლის უკეთესი მის თვალს არ ენახა.

— იცი, როგორ უნდა აამუშაო ამ სისტემის მაგნიტოფონი? თუ ვინმეს დავუძახო?

— ვფიქრობ, მე თვითონ მოვუვლი, — უპასუხა ნორტონმა. ამოიღო ჯიბიდან ფირი და მაგნიტოფონში ჩადო.

— არ ვიცი, უფლებამოსილები ვართ თუ არა, ასე რომ ვიქცევით, — თქვა ედი მერფმა. — რადგან ეს ახალი ფაქტია, ჩემი აზრით, ის სასწრაფოდ უნდა გადაეცეს პროკურატურას. ჩვენ უფლება არა გვაქვს, რაიმე დავაშავოთ ცნობისმოყვარეობის გამო.

პრეზიდენტმა გაოცებულმა შეხედა ახალგაზრდა პროკურორს.

— ფრენკ?

— მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, — უპასუხა კიფნერმა. — აქ მე წარმოვადგენ იუსტიციის სამინისტროს. თქვენ კი ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი ხართ.

— ასე მარწმუნებენ, — ჩაიბუზღუნა უიტმორმა. — კარგი, ბენ, იმოქმედე.

ნორტონი მიაშტერდა პრეზიდენტს. გააოცა მისმა სიმშვიდემ. ნუთუ მან არ იცის, რასაც ახლა გაიგონებს? ნუთუ მისთვის ეს სულერთია? ან იქნებ უცოდველი კაცის როლს თამაშობს, რაც არ უნდა თქვა, ამ მამაძაღლმა იცის საკუთარი თავის ხელში აყვანა.

ნორტონმა ღილაკს დააჭირა. გაისმა რაღაც ხმაური, მერე გაისმა ტელეფონის ზარი და ქალის ხმა. „ალლო", ნორტონმა გადასასვევი ჩართო და ფირი ხმამაღალი სტვენით დატრიალდა.

— ეს დონა პასუხობს ტელეფონზე, — თქვა ნორტონმა. — მე მგონი, შემდგომ საუბარს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს.

ნორტონს აინტერესებდა, მიხვდა თუ არა პრეზიდენტი,

რომელ ლაპარაკს შეესებოდა ეს. რამდენიმე წამის შემდეგ მან კვლავ ჩართო ჩანაწერი. სტვენა სმადაბალ ხმაურში გადავიდა. ფრენკ კიფნერმა ჩაასველა, პრეზიდენტის სავარძელმა გაიჭრიალა. უცებ ოვალურ კაბინეტში გაისმა კარზე კაკუნი. ხმები ისმოდა სრულიად გარკვევით. ნორტონს გაასსენდა რადიოდადგმები, რომელსაც ის ბავშვობაში იატაკზე წამოწოლილი ისმენდა.

— „ვინ არის?" — იკითხა დონამ.

— „მე ვარ. გააღე!" — ეს იყო მამაკაცის უსუნი და აუწყარებელი ხმა. ნორტონი დაინტერესდა, ეცნოთ თუ არა ეს ხმა. ის იჯდა და დაჟინებით მიშტერებოდა მოტრიალე კოჭს. საოცრად არ სურდა მსმენელთა სახეების დანახვა.

— „ვიინ? ახლავე".

გაისმა ჯაჭვის ჟღარუნი, გასაღების გადატრიალება, კარის ჭრიალი.

— „ეს შენ ხარ? შენ რაღა გინდა"?

— „შენთან საუბარი".

— „ჩვენ არაფერი გვაქვს სალაპარაკო".

— „ჩემი აზრით, გვაქვს. ბოლოს და ბოლოს შემომიპატიჟებ შინ თუ არა?"

— „კარგი, შემოდი".

კარი დაიკეტა, დერეფანში გაისმა ნაბიჯების ხმა.

— „შეგიძლია აქ დაჯდე, — თქვა დონამ. — რა გინდოდა, რომ გეთქვა?"

ნორტონმა მალულად მოავლო თვალი პრეზიდენტის კაბინეტს. ყველა გაყინული სახეებით გაუნძრევლად იჯდა. მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ დაძაბულობა მატულობდა. ეჭვგარეშეა, მათთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო.

— „ეს შენი ხელნაწერია, — თქვა მამაკაცის ხმამ. — შენ რა, არ გესმის, მამაძაღლო, რას აკეთებ..."

— „ღმერთო ჩემო, აი, თურმე რისთვის მოსულხარ", — თქვა გაღიზიანებულმა დონამ.

— „მომისმინე, შენ ისეთ პრობლემებს ქმნი, რომელიც არავის არ სჭირდება. მითუმეტეს პრეზიდენტს. თუ 24 საათში ვაშინგტონიდან არ აორთქლდები, შენს თავს დააბრალე“.

— „ეშმაკსაც წაულიხარ! — იყვირა დონამ. — გაეთრიე“!

გაისმა მამაკაცის განრისხებული ლანძღვა, სავარძლის ჭრიალი, ნაბიჯების ხმა — და მერე ლაწანი, თითქოს თოფის ხმის ექოაო.

— გამორთე! — იყვირა ნიკ გალიანომ, — მაგნიტოფონს მივარდა და ნორტონს ხელი ჰკრა.

ნიკმა მაგნიტოფონი გამორთო, ნორტონმა მაჯაში წაავლო ხელი. გამხეცებული ნიკ გალიანო კისერში ეცა ნორტონს. მაგრამ ამ დროს კაბინეტში გაისმა გამყინავი ხმა.

— ნიკ, შეჩერდი!

ეს იყო პრეზიდენტის ხმა, როგორც კი გაიგონა გალიანომ, იმწუთასვე ჩამოეშვა ხელები და იქვე კარადასთან აიტუზა. სახე მიცვალებულივით გაფითრებული ჰქონდა, თითები უკანკალებდა.

— არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს განვაგრძოთ ამ წყეული ფირის მოსმენა, — ღვარძლიანად თქვა ნიკმა. — შემდეგ რაც მოხდა, თვითონ მოგიყვებით. მე დავაპირე, დონასთვის ხელნაწერი წამერთმია. ჩვენ წავიჩხუბეთ, მან სილა გამაწნა, მეც შევუბრუნე. ის წაიქცა და თავი დაარტყა მაგიდის ძგიდეს. ასე დამთავრდა ეს უბედური შემთხვევა. წინასწარ მოფიქრებული ბოროტი განზრახვა მე მის მიმართ არ მქონია, ბოს, მე მხოლოდ შენი დახმარება მიწდოდა.

ის ისევ ჩაჯდა სავარძელში და სახე ხელებით დაიფარა. პრეზიდენტი მოიღუშა. ედი მერფმა აკანკალებული თითებით სიგარას მოუკიდა. ბოლოს ფრენკ კიფწერმა დაარღვია სიჩუმე:

— რა მოხდა შემდეგ, ნიკ? ვის მოუყეგი ამის შესახებ? ვინ წაიღო ფირი?

ნიკ გალიანომ ნელა წამოწია თავი, ლაპარაკისას თვალს არ აშორებდა პრეზიდენტს. თითქოს კაბინეტში მის გარდა არავინ იყო.

— მე იმწამსვე მივხვდი, რომ ის მკვდარი იყო. დახმარება აღარ შემეძლო. შემეშინდა და შინ წავედი. შემდეგ გამახსენდა თითების ანაბეჭდი. რა მექნა, არ ვიცოდი. მე ჩემს თავზე არ ვწუხდი, არც ახლა ვწუხვარ, ღმერთს გეფიცებით, ბოს, მაგრამ ვხვდებოდი, შანტაჟისათვის ამ შემთხვევას როგორ გამოიყენებდნენ შენი მტრები. მე მინდოდა, უკან დავბრუნებულიყავი და მომესპო თითების ანაბეჭდები, მაგრამ ვერ გავბედე. საჭირო იყო ეს საქმე ვინმე სხვას გაეკეთებინა და მაშინ გამახსენდა ბაირონ რიდლი. ვიცოდი, ასეთ საქმეებში ის დახელოვნებული იყო. დავურეკე და ვუთხარი, რომ რაღაც საქმის გამო მე იმ სახლში ვიყავი და შემთხვევით აღმოვაჩინე მკვდარი ქალი, რომ არ ვიცი, ვინ მოკლა ის, მაგრამ წინა საღამოს იქ იყო ერთი მეტად საპატიო პიროვნება და ამას შეიძლება მოჰყვეს უსიამოვნება. დავპირდი, თუ ყოველივე ამას თავიდან აგვაცდენდა, ვალში არ დავრჩებოდით. მან მიპასუხა: „ნუ ღელავ, ნიკ, ბაირონ რიდლი ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა". მეორე დღეს გავიგე, რომ მან სიტყვა შეასრულა. ფირის დაკარგვის ამბავი მოგვიანებით შევიტყვე, მივხვდი, რომ რიდლმა მომატყუა, მე მასთან სერიოზული საუბარი მქონდა, მაგრამ ის მიმტკიცებდა, რომ ფირის შესახებ მან არაფერი იცოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი გაქრა. აი ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა.

ნიკი წამოდგა და პრეზიდენტის მაგიდის წინ დადგა, როგორც დამწაშავე. იგი დაღლილი, დაბერებული და ძალაგამოცლილი იყო.

— ბოს, მე ვცდილობდი დაგხმარებოდი. ერთხელ შენ თქვი, რომ დონა წერს წიგნს, რომელმაც შეიძლება ზიანი მოგაყენოს, ამიტომ მიწდოდა, წამერთმია ხელნაწერი. მაგრამ დონას უეცარმა სიკვდილმა ისე შემაძრწუნა, რომ ხე-

ლიც კი არ მისლია იმ წყეული ხელნაწერისთვის, როგორც ეტყობა, ისიც რიდლმა წაიღო. მინდოდა, მიმეჩქმალა ეს ამბავი, მაგრამ საქმე უფრო გავაფუქე, როგორც ყველაფერი ჩემს უაზრო ცხოვრებაში. დანაშაულს კი მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ. ამ საქმეში მხოლოდ მე და რიდლი ვართ გარეული. მე ხელს მოვაწერ აღიარებას, განვაცხადებ პრესაში, ვაღიარებ ჩემს დანაშაულს — როგორც შენ მეტყვი.

უიტმორი ნელა წამოდგა, მაგიდას მოსცილდა და ნიკს მხარზე მოჰხვია ხელი.

— რას იზამ, დიდად სამწუხარო ფაქტია, ნიკ! — უიტმორმა ნაღვლიანად გაიქნია თავი. — ცუდად არის საქმე, აქ მე ვერაფერს დაგეხმარები. მიუხედავად იმისა, რომ ძველებურად შენი მეგობარი ვარ.

ნიკმა გაღიმება სცადა.

— მთავარი ეს არის, ბოს, თეთრი სახლიდან ახლავე უნდა წავიდე. მე უკვე ყველაფერი ვთქვი. ოღონდ მითხარი, მომავალში რა გავაკეთო.

ფრენკ კიფნერმა ჩაახველა.

— ბატონო პრეზიდენტო, ჩემი აზრით, მე ვალდებული ვარ, რაც შეიძლება ჩქარა მოვისმინო ნიკ გალიანოს ოფიციალური აღიარება. რა თქმა უნდა, თუ მას სურს, ადვოკატის თანდასწრებით.

— ადვოკატი მე არ მჭირდება, — თქვა გალიანომ. — მე ჩემთან წავალ კაბინეტში და იქ დაგელოდებით, სანამ საქმეს არ დაამთავრებთ.

თავდახრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ფეხებს ძლივს მიათრევდა, ნიკი ისე გავიდა კაბინეტიდან, გეგონებოდათ ცოცხლებში აღარ ერია.

ჩამოვარდა წუთიერი დუმილი. მერე ხმა ამოიღო კიფნერმა:

— ბატონო პრეზიდენტო, მაქვს რამდენიმე კითხვა, რაც შეიძლება სწრაფად მიპასუხეთ,

— რა შეკითხვებია კიდევ? — მკაცრად იკითხა ედი მერფმა. — ყველაფერში დამნაშავეა მხოლოდ გალიანო და რიდლი. ნიკმა აღიარა, რიდლი კი მკვდარია.

— ცოტა მოიცადეთ, — თქვა პრეზიდენტმა, — მე უნდა მოველაპარაკო ნიკს. ის თავს მოიკლავს, თუ დარწმუნდა, რომ ამით მე რაიმე სარგებლობას მომიტანს. საჭიროა დავაწყნარო და გამოვუძებნო ადვოკატი. დავბრუნდები თხუთმეტ წუთში და შემდეგ ყველაფერს მივხედავთ.

სამივე წამოდგა, როცა პრეზიდენტი ფართო ნაბიჯებით კაბინეტიდან გადიოდა, შემდეგ ისევ დასხდნენ. ნორტონი ფიქრობდა, შეწყალებაზე და იმაზე ღირს თუ არა ასლა პრეზიდენტის ნიკთან ლაპარაკი. მაგრამ რას იზამ?

— არადა რა მშვენიერი დილა იყო, — თქვა ედი მერფმა. — საშინელებაა გაფიქრებაც კი, რომ ყველაფერი ეს ნიკმა ჩაიდინა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს წყეული ამბავი დასრულდა. დალევა არც ერთს არ გინდათ?

ნორტონმა და კიფნერმა თავი გაიქნიეს.

— ბენ, მე გულასდილად გეტყვი, — განაგრძობდა ედი მერფი, — შესანიშნავად გიმუშავია. შენ მართალი იყავი, მე კი არა. სიჯიუტე შენ არავისგან გესწავლება, მიუხედავად ამისა, მე შენით აღტაცებული ვარ, ბოსიც კი. დამიჯერე, როცა ყველაფერი მიწყნარდება, წინადადება თეთრ სასლში მუშაობის შესასებ ძალაში რჩება.

ნორტონმა არ იცოდა, რა ეპასუხა, ამ დროს კარი გაიღო და პრეზიდენტის კაბინეტში სამხედრო მრჩეველი ჯო სარადინო შემოვიდა.

— შენთან წერილია, ბენ, — და გაუწოდა ნორტონს.

— ასლა ის დაკავებულია, — ჩაიბუზღუნა ედი მერფმა. — ცოტა უნდა მოიცადო.

ნორტონმა გამოართვა ბარათი, წაიკითხა და წამოდგა.

— არა, — თქვა მან. — დაყოვნება არ შეიძლება. ათ წუთში დავბრუნდები.

— რა უბედურებაა? — უკმაყოფილოდ განაცხადა ედი მერფმა, თუმცაღა ნორტონი უკვე გარეთ იყო. დერეფანში მან მეზობელ კაბინეტამდე რამდენიმე ნაბიჯი გაიარა. კლერი მარტოდმარტო უცდიდა მაგიდასთან და თან ფანჯრიდან ვარდების ბაღში იცქირებოდა.

როცა ნორტონი შევიდა, ის წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— მისის უიტმორ... — უნდოდა დაეწყო მას.

— ბენ, ჩვენ ცოტა დრო გვაქვს, — შეაწყვეტინა კლერმა. — შეგიძლიათ მითხრათ, რაზე იყო იქ საუბარი?

— ნიკმა შემთხვევით მოკლა დონა. მან აღიარა. რიდლი, გუშინ რომ მოკვდა, ის პიროვნებაა, რომელიც ცდილობდა ნიკის დანაშაულის კვალი დაეფარა.

კლერმა გაოცებით შეხედა ნორტონს, შემდეგ ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო.

— ახლა რაზე უნდა ისაუბროთ?

— არ ვიცი.

— ალბათ, ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც ვიღაც-ვიღაცეებს სურდათ? — ასე ვფიქრობ.

— შეიძლება თხოვნით მოგმართოთ?

ნორტონი დააშტერდა წითელი ხის გაკრიალებულ მაგიდას; ეს იყო ყველაზე უსიამოვნო წუთი მთელი დღის განმავლობაში.

— ისიც კი არ ვიცი, ღირს თუ არა ამ ლაპარაკის წამოწყება, — თქვა ნორტონმა. — ჩემთვისაც არ არის იოლი, ალბათ იცით, პირადად თქვენთვის მე ყველაფერს გავაკეთებდი... თუმცა.

— არაფერს გთხოვ ჩემთვის, არც ჩარლზისათვის, ბენ. მე შენზე ნაკლებად არ მინდა, რომ მართლმსაჯულებამ გაიმარჯვოს. გახსოვს ალბათ წერილი, გვამის გაკვეთის თაობაზე.

ნორტონი შეცბუნდა.

— ესე იგი, თქვენ...

— ერთი ნაცნობი აგროვებდა ჩემთვის ცნობებს. თქვენ

ფიქრობთ, რომ მე არ მაინტერესებდა მონაწილეობდა თუ არა ჩემი ქმარი ამ უბედური ქალის სიკვდილში? მაგრამ მე შემეძლო გამეკეთებინა ძალიან ცოტა რამ ისე, რომ ჟურნალისტების ყურადღება არ მიმექცია, ამიტომ, გავიგე თუ არა, რომ ის ფესმძიმედ იყო, გადავწყვიტე, ყველაფერი თქვენთვის მეცნობებინა და ასეც მოვიქეცი, ხედავთ, მე არაფერს გიმალავთ.

— მე არც მიფიქრია, რომ რამეს დამიმალავდით, თქვენ რაღაც გინდოდათ ჩემთვის გეთქვათ, მისის უიტმორ?

ის ცსვირსასოცს მუსლებზე კეცავდა.

— რატომღაც მეუხერსულება ამის თქმა. მე ამ საქმის ყველა დეტალი არ ვიცი. შესაძლებელია, ის ვერასოდეს ვერავინ გაიგოს, მაგრამ მალე თქვენი მონაწილეობით იქნება მიღებული რამდენიმე ძალიან სერიოზული გადაწყვეტილება. საერთოდ, აი, რა მინდა გითხრათ, ბენ, ამ გადაწყვეტილების მიღებისას შეეცადეთ გაისსენოთ, როგორი დაძაბულობით მუშაობდა ჩარლზი არჩევნების დროს. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა არის ეს. არავის არ შეუძლია ამის წარმოდგენა. ეს შეუძლებელი სამუშაოა ერთი ადამიანისათვის, ბენ. ამიტომ, ის იძულებულია დაეყრდნოს სხვებს და შესაძლებელია, ყოველთვის ვერ ასერსებს შეარჩიოს შესაფერისი პიროვნება. ამაში ის ჰგავს მანამდე არსებულ ყველა სხვა პრეზიდენტს. როცა უნდა აირჩიო ორში ერთი ჭკვიანი, ან ერთგული თანამშრომელი, ყოველთვის ირჩევ ერთიანულს. რატომღაც სწორედ ეს ერთგულება აიძულებს მათ, მოიქცნენ ზუსტად ისე, როგორც არ არის საჭირო.

ჩარლზს ბევრი რამ ეშლებოდა. ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის. მაგრამ, მიუხედავად თავისი უარყოფითი მხარეებისა, ჩემი აზრით, ის ყოველთვის იღვწოდა ქვეყნისათვის გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მის ძალ-ღონეს არ აღემატებოდა. გაისსენეთ, რას ამბობდა მარკ ანტონიუსი ცეზარზე: „როცა უბედური ადამიანი კვნესოდა, ცეზარი მაცის ტარო-

დ'". ჩარლზიც ტირიოდა, ბენ. მთელი ღამე წინ და უკან დადიოდა, იკინებოდა, ლოცულობდა, თვრებოდა — და არა მარტო იმისთვის, რომ თანამდებობა იზიდავდა და არ შეეძლო გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მას სურდა. მე ვხედავ ყველაფერ ამას, და ჩემი გული ილტვის მისკენ, როგორც ქმართან კი არა, იგი მე დიდი ხანია დავკარგე, არამედ, როგორც ადამიანთან, რომლისაგანაც მე აღტაცებული ვარ, რომლისაც მჯერა და რომელსაც მე, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ვპატიობ. ამიტომ, ბენ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, გადაწყვეტილების მიღებისას შეეცადოთ გაიგოთ, როგორ უჭირდა მას და გაიხსენოთ, რამდენი რამ არის ამ ადამიანში კარგი.

გაისმა კარზე კაკუნი.

— დროა წავიდე, — თქვა ნორტონმა. — გთხოვთ შეწყნარებას. სამწუხაროდ, არ შემიძლია გადმოგცეთ, რა მდგომარეობაში ვარ ახლა. გეთანხმებით ბევრ რამეში, რაც თქვენ ბრძანეთ. მე... მე დავიმახსოვრებ, რაც თქვენ მითხარით, მადლობელი ვარ თქვენი.

ის წამოდგა და გავიდა, ქალი ისევ ბაღს გაჰყურებდა.

პრეზიდენტი დაბრუნებულიყო და თავის მაგიდას უჯდა.

არავის უკითხავს ნორტონისათვის, სად იყო. როგორც ეტყობა, მათ უკვე იცოდნენ. მას მოეჩვენა, რომ მის გარდა ყველამ ყველაფერი იცოდა.

— მე და ფრენკმა მოვილაპარაკეთ ამ საკითხზე, — უთხრა ედი მერფმა პრეზიდენტს. — ის თვლის, რომ ნიკი დაუყოვნებლივ უნდა წარდგეს დიდი ჟიურის წინაშე. უნდა აღიაროს, რაც მან ჩაიდინა. აგრეთვე, დაწვრილებით უნდა მოუყვეს მართლმსაჯულებას რიდლის ბორიტმოქმედების შესახებ. ამით მთელი ისტორია უსმაუროდ დამთავრდება. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ალბათ, მოგიწევთ ვანცსადების გაკეთება. მოიწვიეთ პრესკონფერენცია და რეპორტიორებს აუწყეთ, რომ თქვენთვის ყველაფერი დღეს გახდა ცნობილი. უთხარით ნიკის ჩვენების შესახებ, აღიარეთ ჩვენი შეცდომები,

ოფიციალურად მაღლობა გამოუცხადეთ ბენ ნორტონს ამ საქმეში დიდი დამსახურებისათვის. ამით დონა ხენდრიკსის საქმეს ნათელი მოეფინება, ბოლო მოეღება იმ ჭორებს, რომელიც დღეს მთელ ვაშინგტონში დადის. თუ ჩვენ ჩქარა არ დავამთავრებთ ამ საქმეს, მოსალოდნელია ხალხის მღელვარება, მიტინგები, დემონსტრაციები.

პრეზიდენტმა მზერა პროკურორზე გადაიტანა.

— შენც ასე თვლი, ფრენკ?

ახალგაზრდა პროკურორს მკაცრი სახე ჰქონდა.

— სერ, რაც აქ მოვისმინე, ამის საფუძველზე ნიკ გალიანო თავიდან უნდა დავკითხო. ამის შემდეგ მან ყველაფერი უნდა აღიარის ოფიციალურად დიდი ჟიურის წინაშე, საქმე შეიძლება დამთავრდეს ისე, როგორც მოგახსენათ მერფმა. იგულისხმება, რომ აღიარების საფუძველზე ბატონი გალიანო მიჩნეული იქნება დამნაშავედ დონა ხენდრიკსის მკვლელობაში და მიესჯება პატიმრობა.

პრეზიდენტი ნორტონს მიუბრუნდა.

— რას იტყვი, ბენ? ხელს გ ძლევს ასეთი დასასრული?

ნორტონმა არაფრისმთქმელი თვალებით შესედა პრეზიდენტს. არსებითად იგი მას ვერ ხედავდა. ის ბევრ რაზეზე ფიქრობდა. კლერ უიტმორის სიტყვებზე იმის შესახებ, რომ ძალიან დაიღალა, რომ კარგი იქნებოდა მალე დამთავრებულიყო ეს წამება. მაგრამ ფიქრობდა ფირის შესახებაც, მის იმ ნაწილზე, რომლის ბოლომდე მოსმენის საშუალებაც ნიკმა არ მისცათ. მაგნიტოფირი შეაჩერა ზუსტად იქ, სადაც მან იყვირა „გათახსირებულო, მამაძაღლო!" — მერე ამას სწრაფად მოჰყვა სილის გალაწუნება, დონას შეკივლება, შემდეგ ნიკის ხმა: „გონს მოდი"! „გონს მოდი!" — და ბოლოს დიდი ხნის, შემაძრწუნებელი სიჩუმე.

მან თვალები დახუჭა, მერე გაასილა და დაინახა, რომ პრეზიდენტი კითხვაზე პასუხს ელოდა.

ნორტონმა შეათვალიერა სამივე, უნდოდა ისინი ისე-

თად დაეწახა როგორნიც ახლა იყვნენ: ჩარლზ უიტმორი, ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მიზანდასახული პოლიტიკოსი; ადამიანი საკსე ვაჟკაცური თვისებებითა და ამოუწურავი ვერაგობით. — ასე იცნობდა ბენი მას; ედი მერფი, პროფესიონალი მამაძაღლი, რომლის უხეში მომხიბვლელობა ვერ მალავდა მის მუდმივ, შეიძლება ზოგჯერ გამართლებულ, სიმკაცრეს; ფრენკ კიფნერი, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც სწრაფად გაიკეთა კარიერა. მაგრამ, ზემოთ აღნიშნულ, ორ პიროვნებას ვერ შეედრებოდა. მას დაწინაურების ისეთი დაუოკებელი სწრაფვა ჰქონდა, რომ მზად იყო ყველაფერი ჩაედინა თავისი ბოსებისა და საკუთარი მომავლის საკეთილდღეოდ. წორტონმა უცებ გაიფიქრა, რომ ის მათ უკეთ უგებს, ვიდრე საკუთარ თავს. მისთვის ცხადი იყო, რას წარმოადგენენ ისინი; საქმე ისაა, რას წარმოადგენდა თვითონ. მის მეხსიერებაში უცებ ამოტივტივდა სემ რეიბერნის ცნობილი რჩევა, რომელიც მან მისცა ერთ ახალგაზრდა კონგრესმენს, რჩევა, რომელიც მას მრავალჯერ ჰქონდა გაგონილი კაპიტოლიუმში და თვლიდა, რომ იგი იქვე, ქვაზე უნდა ამოიკვეთოს: „თუ გიწდა საკუთარ თავთან სიამტკბილობით ცხოვრება, გაეცალე".

და თეთრი სახლის ეს მესვეურები გამუდმებით აიძულებდნენ, გასცლოდა მათ.

— ბატონო პრეზიდენტო, — თქვა წორტონმა. — მე მგონი, ჩვენ ძალიან წინ ვუსწრებთ მოვლენებს. ვივიწყებთ ბევრ კითხვას, რომლებზედაც პასუხი ჯერ არ გაგვიცია.

— რომელ კითხვებს, ბენ? — ჰკითხა უიტმორმა.

— ფირზე ჩანაწერით ჩვენ ვიცით, რომ ნიკმა მოკლა დონა და წავიდა იმ სახლიდან, — თქვა ნორტონმა. — ვიცით, რომ ვიღაც, ნიკის სიტყვებით რომ ვთქვათ, რიდლი — მოგვიანებით შევიდა იმ ბინაში, წაშალა თითის ყველა აწაბეჭდი და წაიღო ფირი. როგორც ჩანს, ეს მართლა რიდლი იყო, რადგან ფირი მასთან აღმოჩნდა. მაგრამ საკითხავი ის არის, ვინ გაგზავნა რიდლი იქ.

— საკითხავი? როგორ გავიგოთ, ეშმაკმა დალახვროს, — ბღშფოთდა მერფი. — ნიკმა გვითხრა ჩვენ, რომ მან მიმართა რიდლს დასახმარებლად!

— მე ვიცი, რა თქვა ნიკმა, — უპასუხა ნორტონმა. — მაგრამ ეჭვი მეპარება მისი სიტყვების სიმართლეში. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ნიკი ასეთ სასოწარკვეთილ სიტუაციაში, როცა მას ემუქრებოდა მკვლელობისათვის სასჯელი, პრეზიდენტს კი, ღმერთმა უწყის, როგორი გართულებები, მიმართავდა ვილაც რიდლს, რომელსაც წესიერად არც კი იცნობდა. ჩემი აზრით, მან მიმართა ისეთ ადამიანს, რომელსაც თავით ფეხებამდე ენდობოდა.

— ამით, შენ რისი თქმა გინდა? — იკითხა უიტმორმა.

— ბატონო პრეზიდენტო, — უპასუხა ნორტონმა. — თუ გნებავთ, სავსებით ობიექტური ვიყო, მე ეჭვი მაქვს, რომ ნიკმა მიმართა ედი მერფს ან თქვენ.

ედი მერფი წამოსტა.

— მამაძაღლო!..

— დაჯექი და გაჩუმდი! — დაიყვირა პრეზიდენტმა. მერფი დაემორჩილა.

— გასაგებია, ბენ, ჩემთვის გასაგებია. შენ თვლი, რომ ნიკმა მომმართა მე ან ედს და რომელიმე ჩვენგანმა გადაწყვიტა ამ საქმეში რიდლი ჩაერია. ეს ლოგიკურია. მაგრამ, მე შემიძლია მტკიცედ განვაცხადო, რომ ნიკს ჩემთვის არ მოუმართავს. დონას სიკვდილის შემდეგ იგი ვერ გაბედავდა ჩემთან შემოსვლას, ეს მან იცოდა.

— ჩემთვისაც არ მოუმართავს! — იყვირა მერფმა. — და მე აღშფოთებული ვარ ამის ვარაუდითაც კი. დაამტკიცე ეს, ნორტონ, ან სმა გაიკმინდე. გიმეორებ, წარმოადგინე დამამტკიცებელი საბუთი და მე დაგნებდები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეშმაკსაც წაულიხარ.

— არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა მაქვს, — თქვა ნორტონმა. — მე მხოლოდ საკითხს ვაყენებ. ამის გარდა, ათასი გაურკვევლობაა.

— მაგალითად? — იკითხა უიტმორმა.

— მრავალი, ბატონო პრეზიდენტო, — უპასუხა ნორტონმა. — მრავალი, რომლებიც ცალკეულად რომ ავიღოთ, შეიძლება შემთხვევითობასაც კი მივაწეროთ, მაგრამ ამ მოვლენებს თუ ერთად მოვუყრით თავს და გულდასმით განვიხილავთ, აღმოვაჩენთ დანაშაულის ერთ მთლიან ჯაჭვს, რომელსაც ვიღაც დიდი პიროვნება მფარველობს. პირველ რიგში, ვიღაც უცნობი მირეკავს იმ დილით, როცა დონას გვამი აღმოაჩინეს; მეორე, ჟურნალისტი ფილ როსი მეუბნება, რომ ნასა ედი დონასთან ერთად და მერე, ედისთან საუბრის შემდეგ, უარს ამბობს თავის სიტყვებზე; მესამე, გვენ ბაუერსი დაინიშნა დიდ თანამდებობაზე იმის შემდეგ, როგორც კი უარყო თავისი სიტყვები თქვენსა და დონას დამოკიდებულების შესახებ; მეოთხე, სენატორმა ნოლანმა მიამბო, რომ თქვენ ჩახვედით კარმელში დონასთან, ამის შემდეგ იგი მოკლეს; მეხუთე, იუსტიციის სამინისტრომ შეთითხნა ფილდსის წინააღმდეგ საქმე ნარკოტიკების შესახებ, ამით იგი აიძულეს ეთქვა, ვითომ დონა მისგან იყო ფეხმძიმედ. მერე, როცა მან გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა, ის ააფეთქეს; შემდეგ, ისევ იუსტიციის სამინისტრომ წამოიწყო ჩემს წინააღმდეგ ბინძური თამაში, რომელშიაც სტოუნიც მონაწილეობდა, ამ თამაშის მიზანი იყო ჩემთვის პირში ბურთი ჩაეჩარათ.

— მოიცა, მოიცა, — თქვა ედი მერფმა, — იმის ნახევარი, რაც თქვი, შენი ვარაუდია, მეორე ნახევარი კი — რიდლის ნახელავია. შენ ნუთუ არ გაგიგონია, რა თქვა ნიკმა? ის და რიდლი ერთად მოქმედებდნენ.

— მე ერთი წუთითაც არ გამიკვირდება, თუ რიდლმა დამირეკა იმ დილით, როცა დონას გვამი აღმოაჩინეს, იმისათვის, რომ პოლიციას ეჭვი ჩემზე მოეტანა, — თქვა ნორტონმა, — არ გამიკვირდება ისიც, რომ რიდლმა მოკლა სენატორი ნოლანი და ფილდსი. მაგრამ საკითხავია, ის საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა, თუ მას ვინმე წარმართავ-

და. ზოგი რამ, რაც მე ზემოთ მოვიხსენიე, — გვენის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა, ან იუსტიციის სამინისტროს დაწოდა ფილდსზე რიდლისაგან არ იყო დამოკიდებული. მე მინდა ვთქვა, რომ ყველა ეს ფაქტი გულისხმობს იმას, რომ მაღალ სფეროებში ორგანიზებულად სურდათ დაემალათ ის, რომ ნიკმა მოკლა დონა. და კიდევ, რომ პრეზიდენტი ასლო ურთიერთობაში იყო დონასთან.

— შენ ვერაფრის დამტკიცებას ვერ შეძლებ! — იყვირა ედი მერფმა. — შენ გინდა გაქექო ბინძური წვრილმანი და დაღუპო პრეზიდენტი. ყველაფერი ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ქალმა უარგყო.

— მე მსურს მხოლოდ, — უპასუხა ნორტონმა, — დონას მკვლელობის საქმის ნორმალური გამოძიება, ყველა მღგომარეობის გათვალისწინებით. ახლა იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ნიკს სურს თავის თავზე აიღოს სხვების დანაშაული, პროკურატურა კი ამ დროს თავს ქვიშაში მალავს.

— მე აღშფოთებული ვარ ასეთი ვარაუდის გამოთქმით, — თქვა ფრენკ კიფნერმა.

— მაშინ წარმართე ეს საქმე ისე, როგორც იძიებენ ყველა საქმეს მკვლელობის შესახებ.

— როგორც ყველა საქმეს მკვლელობის შესახებ, — ღვარძლიანად გაიმეორა ედი მერფმა. — რატომ არ ამბობ პირდაპირ? შურისძიება გინდა? შენ შესანიშნავად იცი, საკმარისია რეპორტიორებმა გაიგონ ჩარლზისა და დონას შესახებ და ამ ადმინისტრაციას ბოლო მოეღება.

— არ ვიცი ბოლო მოეღება კი? — უპასუხა ნორტონმა. — თუ ასე მოხდა, მაშინ ვერაფერს გააწყობ.

— როგორ დამშვიდებით ლაპარაკობ ამის შესახებ, ნაძირალავ, — წაიჩურჩულა მერფმა. — შე...

— დამშვიდდი, ედ, — თქვა პრეზიდენტმა, — შენ და ფრენკი იქნებ შენთან კაბინეტში დასხდეთ. მე და ნორტონი კი მოვილაპარაკებთ.

კიფნერი და მერფი ადგნენ. ედმა ღვარძლიანად შეხედა ნორტონს, შემდეგ კიფნერს გაჰყვა კარისაკენ. პრეზიდენტი ადგა, გაისედა ფანჯარაში და უცებ გაოცებული შემობრუნდა ნორტონისაკენ.

— დღეს ხომ დასვენების დღეა, ბენ. გინდა ვისკი, სიგარა?

— არა, მადლობელი ვარ.

— შენ უზარმაზარი სამუშაო შეასრულე, ბენ. — თქვა მან. — შენ ყოველთვის გულისხმიერი თანამშრომელი იყავი და ჯიუტი, როგორც ჯორი. დონა გიხსენებდა, ამბობდა, რომ ასეთ სანდო ადამიანს, როგორიც შენ ხარ, არ შესვედრია. სამწუხაროა, რომ შენ არ შეირთე ის.

— მე ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს ჩაერიეთ თქვენ, — თქვა ნორტონმა და გააოგნა საკუთარმა ბოროტებამ. ნუთუ მას ასე სძულს უიტმორი? იქნებ მერფი მართალია, იქნებ მას მართლა შურისძიება ამოძრავებს?

დაინასა თუ არა ხელსაყრელი შესაძლებლობა, უიტმორმა იმწუთშივე ისარგებლა ამით.

— მესმის შენი გრძნობები, ბენ, და ამიტომაც ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, მაგრამ ახლა წარმოიდგინე საკუთარი თავი ჩემს ადგილზე. მე არ მოვითხოვ შეწყნარებას იმის გამო, რომ დონასთან მქონდა კავშირი. ეშმაკმა დალასვროს, მე იმის ასსნაც კი არ შემიძლია, როგორ დაიწყო ეს ამბავი. ყველაფერი თავისთავად მოხდა. მაგრამ მოხდა სიყვარულით და ორივეს მსრიდან თავდავიწყებული, სერიოზული სიყვარულით. რამდენჯერმე შევეცადეთ გაგვეწყვიტა კავშირი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამიტომ იანვარში მე ჩავედი მასთან, — შენ ამის შესახებ იცი. ორი თვის შემდეგ კი გავიგე, რომ ის ფესმძიმედ იყო. მას არ სურდა, მე გამეგო ეს ამბავი. ერთხელ, დავურეკე მას და მივხვდი: მოხდა რაღაც არასასურველი. ბოლოს და ბოლოს ის გამომიტყდა. მე კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. მთელი ამბავი იმით დამთავრდა, რომ დავითანხმე, ჩამოსულიყო ვაშინგტონში და ერთად მოგველა-

პარაკა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, გაეჩინა ბავშვი და არავისთვის არაფერი გაემჟღავნებინა.

ნორტონს თავი ჩაექინდრა. ამ ამბის მოსმენა სიკვდილივით არ უნდოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

— მე ეს ხელს არ მაძლევდა, — განაგრძობდა უიტმორი. — მეშინოდა, რომ ის გათხოვდებოდა და, რომ ჩემს ბავშვს ვიღაც სხვა გაზრდიდა. არ ვიცოდი, რა მექნა. მის ჩამოსვლამდე, ორი კვირით ადრე, ადგილს ვერ ვპოულობდი. ზოგჯერ ვფიქრობდი, გავყროდი კლერს, მეთხოვა დონა და განმეცხადებინა მთელი ქვეყნისათვის: შენ ეს მოგწონს თუ არა — გადაყლაპე. ხან ვფიქრობდი, მეთხოვა იგი პრეზიდენტობის პირველი ვადის გასვლის შემდეგ. ოღონდ დარწმუნებული არ ვიყავი, დამთანხმდებოდა ამაზე თუ არა. აი რამ განაპირობა მისი ჩამოსვლა ვაშინგტონში. ის ჩამოვიდა. ედიმ მოინახულა იგი, გაარჩიეს ზოგიერთი დეტალი. იმ საღამოს, როცა მე ვაპირებდი მასთან მისვლას, ქუჩის გადაღმა გაიმართა დემონსტრაცია და ყველაფერი ჩაიშალა. და კიდევ მე მაწუხებდა იმ წიგნის ბედი, რომელსაც დონა წერდა, ეს აწუხებდა ნიკსაც, დანარჩენი შენ ყველაფერი იცი.

— დიახ, დანარჩენი ყველაფერი ვიცი.

— მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გითხრა: დონას გამო, როგორც არ უნდა გძულდე, ნუ იქნები ტენდენციური რაიმე გადაწყვეტილების მიღების დროს.

— მე არავითარ გადაწყვეტილებას არ ვღებულობ, — თქვა ნორტონმა. — დონა მკვდარია, ის ნიკმა მოკლა. ლაპარაკია იმაზე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, ვიღაც-ვიღაცეები ცდილობდნენ დაეფარათ დანაშაული.

— კარგი, — თქვა უიტმორმა. — მოდი ვილაპარაკოთ ამაზე. შენ თვლი, რომ ნიკმა დონას სიკვდილის შემდეგ მიმართა ედს, მან კი მკვლელობის ჩაფარცხვა რიდლს დაავალა და რის შემდეგ ედი მფარველობს ამ დამნაშავეებს, ასე, ხომ?

— ვფიქრობ, რომ ეს საკვანძო დასაჯერებელი ვერსიაა,

აქვე ისიც უნდა დავუშვათ, რომ დამნაშავეებს სხვებიც აფარებდნენ ხელს.

— მაგალითად?

— მაგალითად, უიტ სტოუნი, მაგალითად...

უიტმორს გაეცინა.

— დაასრულე, ბენ.

— მაგალითად, თქვენ.

უიტმორმა კიდევ ერთი წამით შეინარჩუნა დამცინავი ღიმილი. შემდეგ იგი ნელ-ნელა გაუქრა.

— ვარაუდი ყველაფრის შეიძლება, ბენ. — თქვა მან. — მაგრამ მე ამ საქმის თანამონაწილე არა ვარ. რაც შეეხება უიტ სტოუნს, ის, ჩემი აზრით, საკუთარ თამაშს თამაშობდა. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ რიდლი ეწეოდა ორმაგ თამაშს, ერთდროულად მუშაობდა მერფზე და სტოუნზე. მე არ ვიცი, მაგრამ ედი მერფი ამ საქმის მთავარი მონაწილეც რომ იყოს, მისთვის ამ ბრალდების დამტკიცება ძალიან ძნელი იქნება. თუკი ნიკი და ის საწინააღმდეგო ჩვენებას არ მისცემენ, შენ ვერ შეძლებ ბრალდების დამტკიცებას. ეს ამბავი ძალიან დიდ უსიამოვნებას მიაყენებს ყველ·ს. მე სომ მართალი ვარ?

— როგორც ეტყობა, კი.

— მაშინ დამრთე უფლება დაგისვა ასეთი შეკითხვა: — თუ ედი მოითხოვს სამსახურიდან გადადგომას, დღესვე წავა ვაშინგტონიდან და არასოდეს აღარ დაბრუნდება, თუ ნიკი აღიარებს დონას მკვლელობას, ოღონდ არა წინასწარი განზრახვით, შენ თანახმა იქნები, რომ ამით დავამთავროთ ეს ყველასათვის არასასიამოვნო ამბავი?

ნორტონმა თავი გაიქნია.

— ესე არ გამოვა, ბატონო პრეზიდენტო. თუკი ედი ხელს აფარებდა მკვლელობას, მან ჩაიდინა დანაშაული. თუ არა, ის უნდა დარჩეს თავის სამსახურში, კომპრომისების დაშვება აქ არ შეიძლება.

— ეს არასახელმწიფოებრივი საქმეების მოგვარების ჩვეულებრივი ხერხია.

— პოლიტიკაში კი, მაგრამ არა კანონმდებლობაში.

— კანონი შენთვის ასე ბევრს ნიშნავს?

— ეს არის ერთადერთი და ძირითადი, რაც ჩვენ, ამერიკელებს გაგვაჩნია, — თქვა ნორტონმა. — „ან ჩვენთან არსებობს კანონი, ან ჩვენ ისევ ვცხოვრობთ ჯუნგლებში", — ეს ცნობილი ფრაზა, აქსიომაა.

— ჩვენ გვაქვს კარგი ვაკანსია იუსტიციის სამინისტროში, — თქვა პრეზიდენტმა, — ჩვენ შეგვიძლია იქ ავიყვანოთ სამსახურში.

ნორტონმა შესედა უიტმორის მოღუშულ სახეს და მიხვდა, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ამით ნერვებმოშლილმა უფრო მკვახედ უპასუხა, ვიდრე პრეზიდენტს ეკუთვნოდა.

— არ მაინტერესებს იუსტიციის სამინისტროში მუშაობა.

უიტმორმა შეხედა თავის ჩამქრალ სიგარას, ხელახლა აანთო იგი. კმაყოფილებით მოქაჩა რამდენჯერმე და შემდეგ უსიამოვნოდ მიაპყრო მზერა ნორტონს.

— მაშასადამე, არ გაინტერესებს? — სინანულით თქვა მან. — აი, რა, ბატონო წმინდანო. მე მინდა კიდევ ერთი რამ გკითხო, გაინტერესებს თუ არა ჩემი კანონპროექტი ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ? გაინტერესებს თუ არა, ჩემი სასკოლო პროგრამა? გახსოვს, ჩემთან მუშაობის დროს, შენ ამ კანონებით აღტაცებული იყავი.

— ახლაც აღტაცებული ვარ.

— რადგან ასეა, იცოდე, მე თუ ჩამითრევ ამ სკანდალურ საქმეში, ყველაფერ ამას ბოლო მოეღება. ბოლო მოეღება სხვა კანონპროექტებსაც, რომელმაც ახლო მომავალში ამერიკას მშვიდობა და ბედნიერება უნდა მოუტანოს. შენ კარგად იცი, ბენ, რასაც მივაღწიე. მე ბევრი გამიკეთებია ქვეყნისათვის, ამით თავის გამოდება არ მსურს, ეს ყველა ამე-

რიკელის ვალია. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს, თუ ეს ამბავი გასმაურდება, ჩემი მოწინააღმდეგეები ჩამქოლავენ, ისინი იზეიმებენ, ე. ი. ბოროტება იზეიმებს. აი რატომ ვიბრძვი ასე თავგამოდებით. ახლა შენთვის ნათელია, რა წისქვილზე ასხამ წყალს. რაც მთავარია, საუკეთესო შემთხვევაში ჩემი პროგრამა ჩავარდება. და შესაძლებელია, ეს კიდევ ყველაფერი არ არის. კონგრესი რამდენიმე წელია, ჩემი მეცადინეობით, გრძნობს თავის ძალას და შეუძლია ეს ძალა ქვეყნის საზიანოდ გამოიყენოს, თუ პრეზიდენტმა სწორად არ წარმართა მათი მოქმედება.

უიტმორმა პაუზა გააკეთა, რომ მის სიტყვებს ბოლომდე ჩაწვდომოდა ბენი. ნორტონი უსერხულად შეიშმუშნა.

— შენ იცი, ვინც არის ვიცე-პრეზიდენტი და რა პოზიციაზეც დგას, — თქვა უიტმორმა. — მე ავიყვანე ის იმიტომ, რომ არჩევნებზე მჭირდებოდა, მაგრამ თუ ის პრეზიდენტი გახდა, ყველაფერი ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნდება.

ნორტონმა უმწეოდ გაშალა ხელები.

— ბატონო პრეზიდენტო, გამორიცხული არ არის, რომ დონას მკვლელობის გამოძიებამ აქამდე მიგვიყვანოს. მე არ ვიცი. მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— არაფერი არ შეგიძლია! — ღვარძლიანად თქვა პრეზიდენტმა. — დასაწყისისათვის შეგიძლია დაეშვა ცოდვილ მიწაზე. არ შეიძლება ატესო ასეთი დავიდარაბა და თვითონ გვერდით გადგე. შენ პასუხი უნდა აგო საკუთარ საქციელზე.

— და თქვენც. საქმეც ეგ არის.

უიტმორი წამოდგა და კაბინეტში დაიწყო სიარული.

— ბენ, როცა ამ საქმეს ნათელი მოეფინება, ვიღაც-ვიღაცეები დაინტერესდებიან შენი პიროვნებით. გაითვალისწინე, ყველა შემთხვევაში გაილანძღები.

— არაუშავს.

— და, აქედან გამომდინარე, რაც მე მითხრა კიფნერმა, შენც შეიძლება შეგხვდეს უსიამოვნებანი პოლიციისაგან ცნობების დამალვის გამო.

ნორტონმა კინაღამ გაიცინა.

— გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ არა, მე ვცდილობდი გაგფრთხილებოდით. არ მინდოდა უკიდურეს აუცილებლობამდე მომეყოლა თქვენი და დონას ურთიერთობის შესახებ, რაც დღემდე არც გამიკეთებია. თუ სხვა გზა არ მექნა, ალბათ უკან არ დავიხევ.

— საქმე მხოლოდ ჩემზე და კოწგრესზე არ არის. ხედავ ამ გლობუსს? მომისმინე, ჩვენ გვაქვს გართულებები ისეთ ქვეყნებში, რომელთა შესახებ შენ საერთოდ არაფერი გაგიგონია. დარწმუნებული იყავი, სხვა სახელმწიფოები ისარგებლებენ შემთხვევით, როცა შეხედავენ, რომ მე, ჩემს სახლში, ძირს მითხრიან. და თუ ისინი შემავიწროვებენ, იძულებული გავხდები იგივეთი ვუპასუხო. ასე დაიწყება ომები, დაფიქრდი ამაზე, პატარა, ადამიანურმა შეცდომამ შეიძლება კაცობრიობის ბედზე იქონიოს გავლენა, რისი უფლებაც ჩვენ არა გვაქვს.

— თუ ადამიანები კანონის ზემოთ დადგებიან, კაცობრიობის ბედი მაინც სამუდამო საფრთხეში აღმოჩნდება, — უპასუხა ნორტონმა.

— ეს შენი უკანასკნელი სიტყვაა?

— ალბათ.

— და შენ ისე ხარ საკუთარ თავში დარწმუნებული, რომ ბედავ დაღუპო ქვეყანა, ოღონდ შენი გაიტანო?

— არა, მე ჩემ თავში არა ვარ დარწმუნებული, — თქვა ნორტონმა. — მე სიკვდილამდე მეშინია იმის გაფიქრებისაც კი, რომ ვაკეთებ იმას, რასაც არ უნდა ვაკეთებდე. მაგრამ, დიდი ხნის დაძაბული ფიქრის შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება, მჯერა, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა!

— და მაშინ, რა მოხდება მე თუ არ ვითამაშებ შენ თამაშს? — უცებ ჰკითხა უიტმორმა. — თუ მე ვუბრძანებ კიფნერს, რომ გამოძიება მარტო ნიკს შეესოს. იუსტიციის მინისტრი, რა თქმა უნდა, მე დამიჭერს მხარს?

— მაშინ მე დავურეკავ გეიბ პინკუსს და მოვუყვები ყველაფერს, რაც ადრე ვიცოდი და რაც დღევანდელი შეხვედრების შემდეგ გავიგე, ამ ლაპარაკის ჩათვლით. ყველა შემთხვევაში ეს ამბავი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. მაგრამ მე მირჩევნია და ქვეყნისთვისაც უკეთესი იქნება, თუ ამ საბედისწერო ისტორიას ხალხი თქვენგან გაიგებს.

პრეზიდენტმა შვებით ამოისუნთქა, სხეული ოდნავ შეუმსუბუქდა, საკუთარი თავი ხელში აიყვანა და თქვა:

— ამისათვის დრო დაგჭირდება.

— ოცდაოთხი საათი მე გაჩუმებული ვიქნები, — თქვა ნორტონმა, — ესე იგი, ხვალ შუადღემდე. ამ დროის განმავლობაში, თქვენ შეგიძლიათ მოიწვიოთ პრესკონფერენცია.

— გინდა დაესწრო მას?

— დიდად არ ვარ დაინტერესებული, — თქვა ნორტონმა. — მირჩევნია ტელევიზორში ვუყურო.

— შენ რას აპირებ, ბენ? — ჰკითხა პრეზიდენტმა. — როცა ყველაფერი დამთავრდება.

— არ ვიცი, მე მგონი ჩრდილო კოროლინში დავბრუნდები და ადვოკატურ საქმიანობას მოვკიდებ ხელს.

უიტმორმა გაკვირვებით შესედა უკვე მთლად გაჭაღარავებულ ბენ ნორტონს, შემდეგ მოულოდნელად წამოდგა. გადაწყვეტილება მიღებული იყო, შეხვედრა დამთავრებული.

— მე მგონი ყველაფერი გავარკვიეთ. შენ მაგარი კაკალი ხარ, ბენ. მწყინს, რომ ჩემს მხარეს არა ხარ.

— თქვენს მხარესა ვარ, ბატონო პრეზიდენტო, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენს მხარესა ვარ.

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ერთი წუთის შემდეგ ნორტონი ტოვებდა თეთრ სასლს, როგორც მას ეჩვენებოდა, სამუდამოდ. ის ჭიშკრიდან გამოვიდა და პენსილვანია-ავენიუსაკენ წავიდა. საშინელი სურვილი მოეძალა, უნდოდა, უკან მოეხედა, უნდოდა უკანასკნელად შეეხედა თეთრი სახლისათვის, მაგრამ დაჯაბნა სურვილი და უკანმოუხედავად წავიდა წინ.

ტელეფონის ზარი თერთმეტს რომ ათი წუთი აკლდა, მაშინ გაისმა. ნორტონმა უხალისოდ აიღო ყურმილი —მან ინტერვიუს მიცემაზე უარი თქვა, მაგრამ რეპორტიორი მისი ვაშინგტონელი მეგობარი აღმოჩნდა. ნორტონი პატივისცემით ეკიდებოდა მის ნაწერებს და გადაწყვიტა დალაპარაკებოდა მას.

— ბენ, როგორ არის საქმე?

— ყველაფერი შესანიშნავად მიდის, ბილდი.

— ძალიან ხარ დაკავებული?

— მაინცადამაინც, არა. რითი შემიძლია გემსახურო.

— მომავალ კვირას იწყება სასამართლო. მე გადავწყვიტე დავბეჭდო წერილი ჩვენს გაზეთში დაახლოებით ასეთი სათაურით: „მთავარი მოწმე ბრუნდება ვაშინგტონში“ ან სხვა სახელით მოვნათლავ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენი გამგზავრებიდან თითქმის მთელი წელი გავიდა. სალსი დაინტერესებულია, როგორ ხარ მანდ.

— ბილ, მე არაფრის თქმა არ შემიძლია პრესისათვის. ყოველგვარმა საჯაროობამ შეიძლება გავლენა იქონიოს პროცესის მსვლელობაზე, ასეთ რისკზე წასვლა არ შემიძლია.

— მაშინ მოდი, ყოველგვარი კავშირის გარეშე ვილაპარაკოთ. უბრალოდ მომიყევი, როგორ ცხოვრობ? რას აკეთებ?

— ერთ პატარა ქალაქში ადვოკატურ საქმიანობას მოვკიდე ხელი. კანტორა მოთავსებულია ძველი სასლის მეორე სართულზე, რომლის ფასადი ოლქის სასამართლოს შენობას უყურებს. ჩემი სარკმლიდან ჩანს აყვავებული შინდით დაფარული მშვენიერი მოედანი. მოედნის ცენტრში აღმართულია დაღუპულ კონფედერალისტთა ძეგლი. იქვე მდგარ გრძელ სკამზე დილიდან საღამომდე სხედან მოხუცები, ღეჭენ თამბაქოს და თლიან ჯოხებს. ზოგჯერ პოლიტიკაზე კამათობენ. დღის მეორე ნახევარში გამოვდივარ პროცესზე. უფრო ხშირად, ეს პროცესები, ეხება პიროვნების უფლებებს. მერე

ვხვდები თამბაქოს ფერმის მეპატრონეს, რომელსაც ანდერძის შეცვლა სურს, ან სხვა კლიენტებს დაახლოებით მსგავს საკითხებზე. ასე, რომ იტყვიან, უფერულად გადის დღეები.

— კმაყოფილი ხარ ასეთი ცხოვრებით?

— კმაყოფილი ვარ, როგორც ღორი სამყურა ბალახით.

— თუ გაქვს ვაშინგტონში დაბრუნების სურვილი?

— გახსოვს, რას ამბობს წიგნის დასასრულს ჰეკ ფინი? „— ამას უკვე ვეღარ ავიტან, მე ის ერთხელ უკვე ვიგემე". ასეთივე დამოკიდებულება მაქვს ვაშინგტონთან. მე ის ერთხელ უკვე ვიგემე.

— ენი როგორ არის? ეჩვევა სოფლურ ცხოვრებას?

— აღტაცებულია. წერს რომანს. გარდა ამისა, უვლის ბაღს და ბევრს სეირნობს ცხენით. მე მეგობრებთან ვთამაშობ ბრიჯს. კვირაობით, თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, მივდივართ ტბაზე სათევზაოდ. უბრალო ცხოვრებაა, დასაწერიც არაფერია.

— ჩემი აზრით, პირიქით, ბევრი რამ არის დასაწერი, — თქვა რეპორტიორმა. — შენს მდგომარეობაში თამაშიდან გამოსვლა სისულელედ მიმაჩნია. ეშმაკმა დალახვროს, შენ ისეთი ცნობილი პიროვნება გახდი, შეგეძლო ვაშინგტონში ნებისმიერი სამსახური მიგეღო, რომელსაც მოისურვებდი.

— მე ხომ გითხარი, მივიღე ისეთი სამსახური, რომელიც მსურდა.

— კარგი, ბენ, პროცესზე შევხვდებით, მისი დამთავრების შემდეგ კი ჩამოვალ შენს სანახავად. ვფიქრობ, კარგ მასალას მოვამზადებ საკვირაო გამოშვებისთვის.

— პროცესის შემდეგ, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო საინტერესო იქნება, — თქვა ნორტონმა და ფანჯარაში გაიხედა, სასამართლოს შენობიდან მოსამართლე ხარპერი გამოვიდა და სწრაფი ნაბიჯით გადმოჭრა მოედანი.

— ბილ, იძულებული ვარ, ყურმილი დავდო. უნდა შევხვდე ადამიანს, რომელსაც ვერ ვალოდინებ.

— რამე საინტერესოა?

— ჯერ არ ვიცი. ეს მოსამართლე ხარპერია, ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერი. რამდენადაც მახსოვს, ის ყოველთვის იყო რაღაც კეთილი დიქტატორის მსგავსი. ვფიქრობ, მას უნდა, რომ თავისუფალი ადგილი შევავსო, ოლქის დემოკრატიული პარტიის კომიტეტში. ამ პატივით დიდად არა ვარ აღტაცებული, რადგანაც დარწმუნებული არა ვარ, დავრჩი თუ არა ბოლომდე დემოკრატად. მე მგონი, უფრო მეტად რაღაც ანარქისტს ვგავარ. აი ის უკვე კიბეზე ამოდის, მე ვამთავრებ შენთან ინტერვიუს! — თქვა ნორტონმა და ირონიულად გაიღიმა.

— შევხვდებით პროცესზე, — თქვა რეპორტიორმა. — ნახვამდის.

ნორტონმა ყურმილი დადო, ამოიოხრა და გაემართა მოსამართლე ხარპერის შესახვედრად.

— გამარჯობათ, ბატონო მოსამართლევ.

— დილა მშვიდობისა, ბენ. — კარგად გამოიყურები.

— თქვენც, აგრეთვე.

ნორტონი არ პირფერობდა. სარპერი გასლდათ მაღალი, ხმელ-ხმელი, ჭაღარათმიანი, სამოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცი. რაც ნორტონი მას იცნობდა, როგორც ეტყობა, წონაში ერთი ფუტიც კი არ ჰქონდა მომატებული.

— თქვენი მშვენიერი მეუღლე როგორღა ბრძანდება?

— შესანიშნავად, სერ, სალამს გითვლით.

ისინი დასხდნენ, ნორტონი ელოდა როდის მოუკიდებდა მოსამართლე, ყალიონს. მას მოსწონდა და უყვარდა ეს ძოხუცი. უამრავ სიკეთესთან ერთად, შეიძლება ითქვას, მას ერთი ნაკლიც ჰქონდა: იგი ცოტა რეაქციონერი და რასისტი იყო. მაგრამ ისევან თანდაყოლილი სიკეთე და სისუფთავე ამოსჭვივოდა. ოლქში ყველასთვის საყვარელი უბრალო ადამიანი გასლდა თ. მისი შვილი, 1965 წელს ვიეტნამში რომ დაიღუპა, ნორტონის საუკეთესო მეგობარი იყო.

— აი რა, ბენ, — თქვა მოსამართლემ, როცა ყალიონი გაღვივდა, — მგონი, მომავალ კვირას ვაშინგტონში მიდიხარ პროცესზე დასასწრებად, არა?

— დიახ, ბატონო.

— როგორ ფიქრობ, დიდხანს გაგრძელდება სასამართლო?

— ამბობენ, რომ შეიძლება ორ თვეს გაჭიანურდესო, — თქვა ნორტონმა. — მე უფრო ადრე ვფიქრობ დაბრუნებას.

— მაგრამ, შენ ხომ ბრალდების მთავარი მოწმე ხარ?

— როგორც ჩანს, კი. ეს რთული საქმეა.

— შენი აზრით, რითი დამთავრდება? იურისპრუდენციაში ეს დასაშვები შეკითხვაა?

— დასაშვებია, — თქვა ნორტონმა. — ოღონდ არ ვიცი, ამ კითხვაზე როგორ გიპასუხოთ. ჩემი აზრით, როგორ დამთავრდება სასამართლო წინასწარ, ამის თქმა შეუძლებელია. ბრალდებულის სკამზე ზის სამი შეთქმული — დამნაშავე: ედი მერფი, ნიკ გალიანო და უიტნი სტოუნი. ბრალდება ჩემგან, კიფნერისაგან და კიდევ რამდენიმე მოწმისაგან არის წაყენებული, ამიტომ საქმე არაპირდაპირ სამხილზეა დაფუძნებული. შეთქმულების არსებობა ყოველთვის ძნელი დასამტკიცებელია. ნიკ გალიანოს, რომელმაც უკვე აღიარა არაწინასწარ განზრახული მკვლელობა, დასაკარგი თითქმის არაფერი აქვს. იგი ამტკიცებს, რომ ყველაფერში დამნაშავეა რიდლთან ერთად. ედი მერფი და უიტ სტოუნი ყველაფერს უარყოფენ. საქმის დასასრული იმაზე იქნება დამოკიდებული, ვის დაუჯერებენ ნაფიცი მსაჯულები.

— ხომ შეიძლება დამნაშავეებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდეთ? — იკითხა მოსამართლემ.

— ეს ადვილი დასაშვებია. რამდენადაც ვიცი, უიტ სტოუნი ჯოკერია კარტის ამ დასტაში. ჩემი აზრით, მერფი და გალიანო მზად არიან წავიდნენ ციხეში, ოღონდ უიტმორი გადაარჩინონ — რა თქმა უნდა, შეწყნარების იმედით, მაგრამ თუ უიტ სტოუნი იგრძნობს, რომ ციხე ემუქრება, მაშინ ის დაუყოვნებლივ შეეკვრება მართლმსაჯულებას.

— პრეზიდენტს, ალბათ ჰმართებს, სასამართლოს მსვლელობას ინტერესით ადევნოს თვალყური, — თქვა ხარპერმა.

— დამნაშავეთა გამართლება მას ძალიან აძლევს ხელს. მიიღო რა ყველაფერი მხედველობაში, მან, არსებითად, შესანიშნავად გაუძლო კრიზისს. გაზეთები ძალიან შემწყალედ მოეკიდნენ მის კავშირს დონასთან. მისის უიტმორის მხარდაჭერამაც ძალიან შეუწყო ხელი. არავითარი სამხილი არ არსებობს იმისა, რომ პრეზიდენტმა რაიმე იცოდა დონა ხენდრიკსის მკვლელობის საქმის გამოძიების შესახებ და მფარველობდა დამნაშავეთა ჯგუფს. შეიძლება იცოდა კიდეც ყველაფერი, მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია. ჯერჯერობით ის მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ უყვარდა ქალი და ზედმეტად ენდობოდა ზოგიერთ თანამშრომელს, ამავე დროს მისი მეგობრებიც რომ იყვნენ. თუ ედი მერფი გაამართლეს, ამ ფაქტს ყველა იმის დასტურად ჩათვლის, რომ უიტმორმა მომხდარი ამების შესახებ არაფერი იცოდა.

— მაგრამ ის დაზარალდა, როგორც პოლიტიკოსი.

— ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ორი წლის შემდეგ სელმეორედ მან არც წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. მაგრამ თუ დარჩენილ ორ წელიწადში ამერიკაში მშვიდობა იქნა და ეკონომიკა აყვავდა, თუ კონგრესი პრეზიდენტის მოღვაწეობით კმაყოფილი დარჩა, მაშინ უიტმორს ვერავინ შეეცილება პრეზიდენტობას.

— ბენ, გატყობ, სრულებით არა ხარ გაბრაზებული.

— მე მინდოდა მხოლოდ დონას მკვლელობის სამართლიან გამოძიებისათვის მიმეღწია და მივაღწიე კიდეც. უიტმორმა, ვფიქრობ, მკვლელის მფარველობის შესახებ იცოდა, მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია. ჩვენება მივეცი დიდ ჟიურის და კონგრესის კომიტეტს, იყოს გავიმეორებ სასამართლოზე და ამით დავამთავრებ. ახლა მე მხოლოდ პროვინციელი ადვოკატი ვარ და მშვენივრად ვგრძნობ თავს.

მოსამართლეს გაეღიმა.

— ამასთან ერთად შენ ხარ ყველა ამერიკელისათვის ცნობილი პიროვნება, ჩემო ბიჭიკო.

ნორტონმა მხრები აიჩეჩა.

— ადამიანები გულმავიწყნი არიან.

— მხოლოდ მაშინ, როცა მათ უფლებას აძლევ დაგივიწყონ, — თქვა მოსამართლემ. — კაცმა რომ თქვას, ბენ, მე საკამათოდ არ მოვსულვარ. შენთან ერთად მინდოდა მიმეღო ერთი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

ნორტონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გადაწყვიტა უარი არ ეთქვა, თუკი ხარპერი მას შესთავაზებდა კომიტეტის წევრი გამხდარიყო. ბოლოს და ბოლოს თვეში ერთი საღამო ექნებოდა დაკავებული პარტიის საქმეებით.

— ვშიშობ, ცუდი ამბით მომიხდება თხრობის დაწყება, — თქვა მოსამართლე ხარპერმა, — ჯონი ფლეგი ძალიან ავად არის. მე მას გუშინ ველაპარაკე. წელს კონგრესმენად ხელახლა მის არჩევას არავითარი აზრი არა აქვს.

— ცუდია, — თქვა ნორტონმა. — კარგი კონგრესმენი იყო.

— კი, რა თქმა უნდა, — თქვა მოსამართლემ, — მაგრამ ახლა, თუ ჩვენთვის პარტიული საქმეები სულ ერთი არ არის, უნდა მოვძებნოთ სხვა კანდიდატურა.

ნორტონს გაეცინა.

— ბატონო ხარპერ, როცა მე თქვენ გელოდით, ფანჯარაში გამოვიხედე და დავინახე სასამართლოს შენობის წინ მდგარი სამი თუ ოთხი ახალგაზრდა იურისტი. ვფიქრობ, ყოველი მათგანი სიამოვნებით დათანხმდება, კენჭი იყაროს ამ პოსტზე. დარწმუნებული ვარ, რომელიმე მათგანი აღმოჩნდება საკმაოდ კარგი კანდიდატურა.

— საკმაოდ კარგი ცოტაა, ბენ, ჩვენ გვინდა კაცი, რომელიც უმწიკვლოდ იმსახურებს ვაშინგტონში, მიაღწევს უპირატესობას და შესაძლებელია, ხელსაყრელ პირობებში, სენატორიც გახდეს. მგონი, მე ვიცი, ვინც იქნება შესანიშნავი კანდიდატურა, მაგრამ ძნელად დასაყოლიებელი კაცია.

— ეჭვი არ მეპარება, რომ მას თქვენ დაარწმუნებთ; ვინ არის ეს ბედსვიანი?

— შენ, ბენი.

— რაა? — ნორტონი სკამიდან კინაღამ გადმოვარდა.

— შეგიძლია ახლა არ მიპასუხო, ბენ ნორტონ, ეს ძალიან, სერიოზული და პასუხსაგები დავალებაა. იფიქრეთ,, ყმაწვილო. თქვენ ამერიკელი ხალხის მსასური ხართ.

— შეძრწუნებული ვარ, მისტერ ხარპერ, უბრალო საზოგადოების წევრობის კანდიდატიც კი არ ვყოფილვარ, არამც თუ კონგრესის. ჯერ ერთი, აქ მე კარგადაც არ მიცნობენ, ერთი წელიც არ არის, რაც დავბრუნდი.

— სისულელეა. შენ შტატის ამ ნაწილში ერთადერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი ხარ. ზოგიერთებს სკოლის მოწაფეობიდან ახსოვხარ და, რა თქმა უნდა, ამასწინანდელმა შენმა დიდებულმა საქმეებმა შეახსენა მათ შენი პიროვნების შესახებ. მე ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ხალხი შენ წამოგაყენებს და აგირჩევს. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს, ძალიან ჯიუტი ხარ და არ გაგვიფუჭო საქმე შენი სიჯიუტით.

— იქნებ, კიდეც ვთქვა უარი, მისტერ ხარპერ. მე მომწონს ჩემი სასლი, აქაური ცხოვრების რიტმი. ვაშინგტონი, რატომღაც ამ ბოლო დროს გულზე არ მეხატება.

— ეს გასაგებია, — თქვა მოხუცმა. — მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ შენს დაბრუნებაზე იქ კონგრესმენის ხარისხით, დამოუკიდებელ ადამიანად. და ძნელია იწინასწარმეტყველოს კაცმა, სად მიგიყვანს ეს გზა. შენ ბედის რჩეული ხარ, ბენ.

ნორტონმა ყოყმანით გააქნია თავი.

— მე მოველაპარაკები ენის, — თქვა მან. — და ხვალ გაცნობებთ პასუხს.

ნახევარი საათის შემდეგ ნორტონი გამოვიდა კანტორიდან, შემოუარა მოედანს, ჩაუარა ნაციონალურ ბანკს, კაფე „თეთრ სასახლეს", სადაც მეგობარ იურისტებთან ერთად სადილობდა, როცა შინ არაფერი ეგულებოდა. ჩაუარა, ხეი-

სის, მსოფლიოში უძველეს აფთიაქს, ფიცრებით შემოღობილ კინოთეატრ „რიალტოს“, სადაც ბავშვობაში შაბათობით ფილმების სანახავად დადიოდა, მერე შეუსვია ოუკ-სტრიტზე და გაემართა კოსტა, ძველი სტილით ნაგებ გრძელვერანდიანი სახლებისაკენ, რომლებსაც უზარმაზარი ხეები მზისაგან იფარავდნენ. ოუკ-სტრიტზე ცხოვრობდნენ ქალაქის ლიდერები — ექიმი, ბანკირი, სამი ადვოკატი და მოსამართლე ხარპერი. ბავშვობაში ნორტონი მათ ეზოებში გაზონებს კრეჭდა, ჯიბის ფული რომ ეშოვნა.

ენი სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და საბეჭდ მანქანას დასჩერებოდა. ნორტონი დაიხარა და აკოცა.

— როგორ მიდის უდიდესი ამერიკული რომანის საქმე? — ჰკითხა მან.

— ზოზინით, — თქვა ქალმა. — ნახევარი დღე მძიმეებსა ვსვამ, მეორე ნახევარში კი ვშლი.

ნორტონს გაეცინა. — კარგი ნათქვამია.

— ვიცი. ოღონდ ეს ოსკარ უაილდს ეკუთვნის. რა არის ასალი შენთან?

— ითქმის არაფერი. სკოლაში მთხოვენ, სიტყვით გამოვიდე გამოსაშვებ საღამოზე.

— წახვალ?

— ალბათ. ადრე რამდენჯერმე უარი ვუთხარი, ახლა ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა „ალმა-დედამ“ მთხოვა. გაქვს რაიმე, რომ გავღეჭო?

— არის გუშინდელი წიწილი, სალათასაც მოგიმზადებ.

— შესანიშნავია, — თქვა ნორტონმა. ენი გავიდა ასალი სალათისა და ისპანახის მოსაკრეფად. ნორტონმა კი ამასობაში სუფრა გაშალა, გამოიღო წიწილი და რძე.

— სალათას ისევ სარეველა შეერია, — თქვა ენმა.

— მართლა, სარეველაზე გამახსენდა, — თქვა ნორტონმა. — დღეს დილით გეიბ პინკუსმა დარეკა სინგაპურიდან.

— იპოვა, რაც უნდოდა?

— ცდილობს, ყოველ შემთხვევაში. მას ჰგონია, გუვერის დოსიეს ცხელ ნაკვალევს მიაგნო და უნდოდა, რჩევა ეკითხა, შეეძლო თუ არა უიტ სტოუნის პარტნიორს გაეტაცა გუვერის დოსიე. მე ვუთხარი, რომ მისი თეორია სულელურია, ახლა მგონი თვლის, რომ მეც შეთქმულების მონაწილე ვარ. მომავალ თვეში შეიძლება ჩვენთან ჩამოვიდეს.

— მე მას შინ არ შემოვუშვებ.

— ის შენ ანტისემიტისტად ჩაგთვლის — თქვა ნორტონმა, — გირჩევ, პინკუსს თავი გაანებო და წიწილის ეს უკანასკნელი ბარკალი შეჭამო.

— შენ თვითონ ჭამე.

— გმადლობთ, — მან აიღო ბარკალი, მოკბიჩა და გვერდით გადადო, — მისმინე, ენ, დღეს მე სერიოზული საუბარი მქონდა მოსამართლე ხარპერთან. მან შემომთავაზა, თავი წამოვაყენო დეპუტატობის კანდიდატად კონგრესში. იგი დარწმუნებულია, რომ მე გავიმარჯვებ.

ენს ჩანგალი გაუვარდა და ნორტონს მიაჩერდა.

— მერე, რა უპასუხე?

— რომ უნდა მოვიფიქრო და მოგელაპარაკო.

— და რა მოიფიქრე?

— არ ვიცი. ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ.

— მაგრამ ეს შენ გინდა, ბენ?

— რასაკვირველია, ვინ არ მოისურვებდა. მხოლოდ...

— რა, მხოლოდ?

— მე ვფიქრობდი, რომ ჩვენ სხვანაირად ვიცხოვრებდით. არ მივიღებდით მონაწილეობას ვირთხების ამ დოღში. ვიცხოვრებდით მშვიდად. ეს არც თუ ისე ცუდი ადგილია, შესაძლებელია მოწყენილობაა, მაგრამ გართობა შეიძლება.

— რასაკვირველია, შეიძლება, — ცალყბად თქვა ქალმა.

— მგონი, მე უკვე განვდევნე ჩემი ცხოვრების სისტემიდან პოლიტიკა. წუხელ აივანზე ჯეფერსონის ბიოგრაფიას ვკითხულობდი, და არ მოვუსმინე ასალ ამბებს, საკუთარ არ მა-

ინტერესებდა, რას იტყოდა უოლტერ კრონკაიტი. სიმართლე, რომ გითხრა, დამავიწყდა კიდეც რომელ საათზეა გადაცემა.

— ამ ახალი რომანის წერისას, შუა გზაზე გავიჩხირე, — თქვა ენმა. — შენ თუ ისევ პოლიტიკაში გადაეშვი, მე ამ რომანს, ალბათ, ვეღარასოდეს დავამთავრებ.

— და ჩვენი ბავშვებიც შესანიშნავად გაიზრდებიან ამ პატარა ქალაქში. ვაშინგტონი — არ არის ის ადგილი, სადაც ბავშვებს ლაღად შეუძლიათ ცხოვრება.

— მოზრდილებსაც.

— ახლა კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და გამარჯვებისათვის ბრძოლა, ჩემი აზრით, სიგიჟეა, — თქვა ნორტონმა. — ვიცი, რა ფასად უჯდება ადამიანს ეს. არა, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

— არც ერთი სიტყვა, — თქვა ქალმა.

ნორტონს გაეცინა და რძე მოსვა.

— სასაცილოც კია. ჩემი ასაკის ადამიანები მთელს ამერიკაში ტყუიან, ათასნაირ ინტრიგებს ქსოვენ, ზღვა ფულს სარჯავენ და მზად არიან სულიც კი მიჰყიდონ ეშმაკს, ოღონდ ასეთი შესაძლებლობა მიეცეთ, მე კი უარს ვამბობ საკუთარი სურვილით.

— შენ იმათზე ჭკიანი ხარ.

— იღბლიანი ვარ, — თქვა მან. — მყავს მშვენიერი მეუღლე. ვცხოვრობ, დიდებულ, წყნარ, აუღელვებელ საზოგადოებაში. აღარ ვმონაწილეობ ვირთხების დოღში და დიდი სისულელე იქნებოდა, რომ ეს ცხოვრება ისევ პოლიტიკაში გამეცვალა.

— ერთი სიტყვით, შენ უკვე ყველაფერი გადაწყვიტე?

— საბოლოოდ. ხვალ ყველაფერს ვეტყვი მოსამართლეს.

რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ნორტონი ფანჯარაში იყურებოდა, ენი კი აკვირდებოდა მას.

— იცი, რაზე ვფიქრობ?

— რაზე?

— შენ თვალმაქცი ხარ, ბენ.

— როგორ?

— ბენ ნორტონ, ალბათ, ექვსი წლის ასაკიდან გინდა, რომ კონგრესში კენჭი იყარო.

— ვაღიარებ, რომ ასეთი ცთუნება მქონდა, მაგრამ ვაშინგტონი....

— ვაშინგტონი — ჭუჭყიანი, საშიში, ხარბი, გამყიდველი და თვალმაქცი ქალაქია, — გამოაჯავრა ენმა.

— მართალი ხარ.

— მაგრამ იქ დიდი პრობლემები წყდება, საქმე კეთდება. ნორტონმა თვალები დაახამხამა და ფანჯარაში გაიხედა.

— და ჩვენი ადგილი იქ არის, — თქვა ენმა. — იმიტომ, რომ ჩვენ ვაშინგტონელები ვართ.

— ეშმაკსაც წაუღია ვაშინგტონი.

— ეს ნარკოტიკია, აზარტულ თამაშებზე, ნიკოტინზე უარესი. ის სისხლში შედის. შენ გგონია ყოველგვარი კავშირი გაწყვიტე ვაშინგტონთან, რადგან ერთ საღამოს არ მოუსმინე უოლტერ კრონკაიტს? ბენ, შენ აქ ნელ-ნელა გიჟს ემსგავსები. მე ვხედავ ამას ყოველ საღამოს, როცა შენ სამსახურიდან ბრუნდები ჩამქრალი, უღიმღამო თვალებით და იმაზე ლაპარაკობ, ვისი ძროხა ვის საძოვარზე გადავიდა. მეც მალე შევიშლები ჭკუიდან. თუ ერთხელ კიდევ მომიწევს ბრიჯის თამაში შენს ძველ მეგობარ ბილ დიუსონთან და მის შერეკილ მეუღლესთან. მართალია, ვაშინგტონში ადამიანები გამყიდველები და თვალთმაქცები არიან, მაგრამ მათთან იშვიათად მოიწყენ.

— ვიცი, რომ ბილი მოსაწყენი ტიპია, მაგრამ მე მას ვიცნობ ოცდაათი წელია, ის უკანასკნელ პერანგს არ დაიშურებს ჩემთვის.

— და ორმაგად ნაქსოვ კოსტიუმს? ნუთუ შენ არ გესმის, ბენ, რომ აქეთ დაბრუნება შეუძლებელია? თუ დაბრუნდი ნახავ, რომ შენი მშობლიური ქალაქი ჭუჭყიანი, მიყრუებული

პატარა დასახლებაა, სადაც პატარა ეგოისტი ადამიანები ცხოვრობენ. თუ კიდევ ცოტა ხანს დავრჩით აქ, შენ მალე გაიხსენებ, რისთვისაც მიატოვე ის.

გულგატეხილმა ნორტონმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია მეუღლეს.

— იცი, რა მოხდა გასულ კვირას? მე არ მინდოდა ეს შენთვის მეთქვა. მისის კოუენი, სკოლის მასწავლებელი, მოვიდა და მითხრა, რომ არ იცის, რატომ იხდის პროცენტს თავის ასალ მანქანაში. მოკლედ, რომ ვთქვათ, მე გამოვარკვიე, რომ ბანკმა და მანქანებით მოვაჭრე ორგანიზაციამ მოილაპარაკეს და როცა მოქალაქეებს ახალი მანქანა კრედიტით გამოაქვთ, 200 დოლარით მეტს ასდევინებენ, შემდეგ ამ ფულს იყოფენ. რა თქმა უნდა, თუ ამ მაქინაციას მიხვდები და იჩივლებ, ისინი განაცხადებენ, რომ შეცდომა დაუშვეს და ფულს უკან დაგიბრუნებენ, ბოდიშს მოგიხდიან.

— მერე რა ზომების მიღებას აპირებ?

— მე მოველაპარაკე ბანკის პრეზიდენტ ბილინგსლის. ბუნებრივია, მან თქვა, რომ აქ რაღაც გაუგებრობაა, თან ძალზე აღშფოთდა ცილისწამებით, როგორ მივიღებდი მონაწილეობას ასეთ უღირს გარიგებაშიო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბანკის პრეზიდენტი, ბილინგსლი ჩვენი ეკლესიის მნათეცაა, რაც მთავარია, მეზობლები ვართ. ის ისეთივე თაღლითია, როგორიც უიტ სტოუნი და თუ ამას ჯერ კიდევ ვერ მიაღწია, ოცნებობს გახდეს ისეთი.

— თუ გინდა თავი შეწირო ასეთ თაღლითებთან ბრძოლას, შეგიძლია ეს ვაშინგტონშიც გააკეთო.

— მართალი ხარ, — თქვა ნორტონმა. — შინ დაბრუნება მინდოდა, ვცადე საბუდამოდ ჩამეშვა ფესვები მშობლიურ მიწაში. მაგრამ...

— რად ვინდა ფესვები? თალგამი ხომ არა ხარ, მინდორს მოედო. ნურაფერს ჩაებღაუჭები, ბიჭუნავ, შესაძლებელია, როდისმე პრეზიდენტი გახდე.

— ენ, თუ შეიძლება, ხუმრობითაც კი არა თქვა ეს.

— ვინ ხუმრობს? მოსვენებას არ მოგცემ, სანამ თეორ სახლში არ აღმოჩნდები.

— მომისმინე, ენ, ხუმრობის გარეშე, მე თუ კონგრესში მოვხვდი, არ მინდა ვიფიქრო სენატზე, თეთრ სახლსა და სხვა რაღაცეებზე. მინდა კეთილსინდისიერად ვიმუშაო, განმაწესონ კომიტეტში და სარგებლობა მოვუტანო ჩვენს ოლქს. კონგრესი იქნება დიდი გამოცდა. ეს უკვე შავ-თეთრი ლიბერალურ-კონსერვატიული სისულელე კი არ არის, არამედ ძალიან რთული საქმეა. როგორ ავიცილოთ თავიდან ენერგეტიკული კრიზისი, რა გავაკეთოთ ეკონომიკისათვის? ვინმემ ხომ უნდა გასცეს ამაზე პასუხი.

— ბენ, — თქვა ენმა. — მე დაგეთანხმები, მე შევავსებ შენს საარჩევნო ურნებს, მე ვიშოვი შენთვის იმდენ ფულს, რამდენიც დაგვჭირდება, მაგრამ წყეულიმც ვიყო, თუ შენი გამოსვლები როდისმე მოვისმინო.

ნორტონმა წინ და უკან სიარული დაიწყო.

— მაპატიე, — თქვა მან, — ამ აზრებმა ამაფორიაქა.

ენი ადგა და სანამ ის ბოლთას სცემდა, ჭურჭელი აალაგა.

— მე მაქვს იდეა, — თქვა ქალმა.

— კერძოდ?

— თუ არა გაქვს სასწრაფო ადვოკატური საქმე, ავიდეთ ზემოთ და იქ შევეცდები დაგამშვიდო.

— ბრწყინვალე იდეაა, — თქვა ნორტონმა.

— ისინი მე მილიონობით მაქვს, — უპასუხა ენმა, მოჰკიდა ნორტონს ხელი და საწოლ ოთახში აიყვანა.

რედაქტორი ე. პოლოლიკაშვილი
სამსატვრო რედაქტორი გ. ზაკალაშვილი
ტექრედაქტორი ნ. გაგნიძე
უფ. კორექტორი ც. ნოზაძე
კორექტორი ლ. ლიპარტელიანი
გამომშვები ლ. დავითული

სბ № 4532 Художественное издание

გადაეცა წარმოებას 22.02.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.01.91. ქაღალდის ზომა 60×90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. ბეჭდვის ხერხი მაღალი. გარნიტურა ვენა. ნაბეჭდი თაბახი 19,5. პირ. ნაბ თაბ. 16,38. პირ. საღებავ გატარება 16,38. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,12.
ტირაჟი 100.000. შეკვ. № 795.

ფასი 5.8 მან

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, გ. ნუბინაშვილის ქ. 50.
Издательство «Ганатлеба», ул. Г. Чубинашвили № 50.
1991

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სასელმწიფო კომიტეტის
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета по печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе № 7.